

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ლ ე პ ს მ ც ო დ ნ ე ო ბ ა

ცისფერყანწელებისადმი მიძღვნილი
ლექსმცოდნეობის მეცნიერება
სამეცნიერო სესია
(მასალები)

5



თბილისი
2012

UDC(უაკ) 821.353.1.09-1

**რედაქტორი
თამარ ბარბაქაძე**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე**

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი, 2011

მერაბ კოსტავას ქ. 5

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ტელ. 99-53-00; E-mail: litinstituti@yahoo.com

ISSN 1987-6823

გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები?!

მაინც ვისთან, რომელი პოეტური თაობის თუ პერსონალურად რომელი პოეტის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ლექსის უახლესი რეფორმა? ზემოთჩატარებული ანალიზი,* თითქოსდა, იძლევა ამ კითხვაზე პასუხს, მაგრამ ჩვენს ლიტერატურულ წრეებში დრო და დრო განსხვავებული თვალსაზრისიც გაიღვებს ხოლმე.

ქართული ლექსის ფერისცვალებას იმ დროს გრძნობდნენ და განიცდიდნენ მხერალთა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. კიდევ უფრო ნათელი გახდა ვითარება ოციან წლებში, როცა ქართული ლექსი ახალ ტალღაში სწრაფი დინებით ჩაერთო. ამ დროს არავისთვის საეჭვო აღარ იყო, რომ ქართულ ლექსში მოხდა გარდატება, რამაც საფუძვლიანად შესცვალა ძველი პოეტიკა. მართალია, ამის შესახებ ვრცლად და დასაბუთებულად არაფერს ამბობდნენ, რადგან მას ხშირად გაცნობიერებული ხასიათი არ ჰქონია, მაგრამ აშკარაა, რომ იმ დროს ეს იცოდნენ პოეტებმაც და მათმა კრიტიკოსებმაც.

გარდატება ქართულ ლექსში შეუმჩნეველი არ დარჩენია თანამედროვე კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობას. ჩვენი ცნობილი მკვლევარნი და კრიტიკოსები გაკვრით და ზოგადად აღიარებენ ამ ფაქტს. საგანგებოდ და საფუძვლიანად კი საკითხი არავის შეუსწავლია. პასუხი არ გაუციათ საჭირო და აუცილებელ კითხვებზე: კონკრეტულად როდის მოხდა გარდატება? რა ფაქტორებმა განაპირობა? როგორ გამოვლინდა? რა სიახლე მოიტანა? და ბოლოს, ვისთან, რომელი პოეტური თაობის სახელთან არის იგი დაკავშირებული?

შესაძლებელია, ჩვენი კრიტიკოსები იმის გამოც დუმდნენ ამ კითხვებზე, რომ ფიქრობდნენ: „გარდატება... მოახდინეს უმთავრესად იმ ქართველმა პოეტებმა, რომლებიც მაშინ დეკადენტურ მიმდინარეობასთან იყვნენ დაკავშირებული“ (გ. ასათიანი). აშკარაა, გარდატების ფაქტორთა შორის ერთ-ერთი ძირითადი სამბოლისტური პოეზიის ზეგავლენა იყო; ხოლო დეკადენტურ მიმდინარებებზე, სიმბოლიზმზე რაიმე დადებითის თქმა ერთ დროს ჩვენში არა თუ შეცდომად, დანაშაულად ითვლებოდა, 1957 წელს ამ საკითხს

* ეს ნარკვევი იბეჭდება წიგნიდან: აკაკი ხინთიბიძე, გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები. ქართული ლექსის უახლესი რეფორმა. მწერალთა დამოუკიდებელი ასოცია. თბილისი, გამომცემლობა „გულანი“, 1992, გვ. 152-164.

საგანგებოდ შექმო კრიტიკოსი გ. ასათინი. მისი წერილი „შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ“ მრავალმხრივ არის საყურადღებო. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ გარდატეხა, რომელიც ქართულ პოეზიაში ამ საუკუნის დასაწყისში მოხდა, „ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში... არ არის ბოლომდე გათვალისწინებული და, მით უმეტეს, დაზუსტებული“.

გ. ასათიანმა გაარკვია და დააზუსტა ეს საკითხი: იმდენად, რომ გარდატეხის არსებობა და ძირითად ფორმებში მისი რაობა, ხასიათი, ეჭვმიუტანლად იქნა დადასტურებული. რამდენიმე საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული ავტორს, აგრეთვე, გარდატეხის ფაქტორებთან დაკავშირებით (თუმცა გაკვრით, რამდენადაც ამის საშუალებას საუკუნალო სტატია იძლეოდა).

მაგრამ, ჩვენი აზრით, გ. ასათიანის წერილში არასწორად არის გაშუქებული პრობლემის ორი ძირეული საკითხი — როდის მოხდა გარდატეხა და კონკრეტულად ვის სახელთან არის იგი დაკავშირებული?

როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს მოვლენათა მსვლელობამ აუცილებელი გახადა, გადაგვესინჯა ჩვენი პოზიციები დეკადენტურ მიმდინარეობათა და, კერძოდ, ქართული სიმბოლიზმის („ცისფერყანწელთა“ გაერთიანების) მიმართ. ყველა, ვისაც კარგად ესმოდა ლიტერატურის სპეციფიკა, ნათლად გრძნობდა, რომ სრულიად უსაფუძვლო და გაუმართლებელი იყო ხელალებით უარყოფა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებისა, იმ წვლილისა, რაც მათ შეიტანეს ქართული პოეზის, ქართული პოეტიკის განვითარების საქმეში. მაგრამ ამ ბოლო ხანებში „ცისფერყანწელთა“ როლისა და ადგილის განსაზღვრის დროს ჩვენში თავი იჩინა მეორე უკიდურესობამ. მეტისმეტად გააზვიადეს ამ დაჯგუფების როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. კერძოდ, გავრცელდა თვალსაზრისი, რომ ქართული ლექსის ფერისცვალება, გარდატეხა XX საუკუნის პოეტიკაში დაკავშირებულია უურნალ „ცისფერ ყანწებთან“ და მის დამარსებლებთან.

ამ დებულებამ ფეხი მოიკიდა ლიტერატურული ცხოვრების კულისებში (რომელიც ხშირად აკანონებს შეხედულებებს და მზამზარეული ფორმით აწვდის ოფიციალურ აზრს), ამას მოისმენთ ლიტერატურულ საღამოებზე, მწერალთა საუბრებში, კრიტიკოსთა გამოსვლებში... და ბოლოს, ეს თვალსაზრისი განავითარა ზემოხსენებულ წერილში გ. ასათიანმა, რითაც საკითხს უკვე ბეჭდურად გაფორმებული, ერთგვარად კანონმდებლური სახე მისცა.

გ. ასათიანის სტატიაში, რომელიც თანამედროვე ქართული პოეტიკის გენეზისის პრობლემას შეხება, აქცენტი „ცისფერყანწელებზეა“ გადატანილი. აქ კონკრეტულად არის საუბარი: ტ. ტაბიძეზე,

პ. იაშვილზე, ვ. გაფრინდაშვილზე, გ. ლეონიძეზე, ხოლო გალაკტიონი, გრიშაშვილი, აბაშელი საერთო სიებშია მოხსენიებული. ზემოთ მოტანილ ამონანერშიაც — „გარდატეხა... მოახდინეს უმთავრესად იმ ქართველმა პოეტებმა, რომლებიც მაშინ დეკადენტურ მიმდინარეობასთან იყვნენ დაკავშირებული“, ცისფერყანწელებია ნაგულისხმევი.

კითხვას, თუ როდის დაინტყო გარდატეხა ქართულ ლექსში, სტატიის ავტორი პასუხობს: „ქართული ლექსის რეფორმაცია დაინტყო სწორედ იმ დროს, როდესაც ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა სიკვდილს ებრძოდა თბილისის ერთ-ერთ ლაზარეთში“. აյ არაპირდაპირ არის მინიშნებული ცისფერყანწელთა ჯგუფის შექმნის თარიღი.

როდესაც გ. ასათიანმა „ცისკარში“ დაბეჭდილი სტატია შემდეგ თავის წიგნში შეიტანა („პოეზია და პოეტები“, 1963 წ.), ეს ციტატა ამოიღო, მაგრამ ეს აზრი მაინც დარჩა. ავტორის შეხედულებით, ქართული ლექსის განახლება 1915 წლის მეორე ნახევარში, ან 1916 წლის დამდეგს დაინტყო, როცა „ცისფერი ყანწები“, როგორც ლიტერატურული დაჯგუფება, გაფორმდა და უურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი გამოვიდა. აქედან გამომდინარე, ქართული ლექსის რეფორმაციასთან არაფერი აქვს საერთო არა თუ გრიშაშვილისა და აბაშელის 1915 წლის მეორე ნახევრამდე დაწერილ ლექსებს, არამედ თვით გალაკტიონის „Art poetique“-ს, „ატ-მის ყვავილებს“, „აკაკის ლანდს“, „სანთელს“, „შერიგებას“ და სხვ. რეფორმაცია მას შემდეგ დაინტყო, რაც აღნიშნული ნაწარმოებები გამოქვეყნდათ.

გ. ასათიანი იმასაც ამბობს: „რასაკვირველია, ეს გარდატეხა არ მომხდარა ერთ დღეს, იგი გრძელდებოდა ათეული წლის განმავლობაში და, შეიძლება ითქვას, როგორც პროცესი, იგი განაგრძობს თავის არსებობას დღესაც“. მაგრამ ეს აზრი ეწინააღმდეგება ავტორისავე ნათქვამს, რომ „XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში მოხდა ნამდვილი გადატრიალება“.

ავტორი სავსებით მართალია: „თანამედროვე ქართული ლექსი და მისი ახალი პოეტიკა იმ სახით, როგორითაც იგი ამჟამად არსებობს, არ შექმნილა ერთ დღეში, ერთი რომელიმე ლიტერატურული ჯგუფის ან მიმდინარეობის მიერ და არც ერთი რაიმე მანიფესტის ან დეკრეტის საშუალებით. მის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა დროს თავიანთი წვლილი შეიტანეს სრულიად სხვადასხვა ხასიათის პოეტებმა“. დასახელებულია 15 პოეტი — გ. ტაბიძით დაწყებული და ლადო ასათიანით დამთავრებული. წიგნში გადაბეჭდვის დროს ამ სიას ანა კალანდაძის სახელიც მიემატა.

მართლაც, ახალი ქართული პოეტიკა იმ სახით, როგორითაც ამჟამად არსებობს, შექმნილია არა ერთი პიროვნების ან ერთი თაობის მიერ; მის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა თაობები მონაზილეობდნენ, მაგრამ სხვადასხვა ცნებებია: გადატრიალება პოეზიაში (პოეტიკაში) და „ახალი ქართული პოეტიკა იმ სახით, როგორითაც იგი ამჟამად არსებობს“. გადატრიალება არ შეიძლება იყოს ხანგრძლივი პროცესი და რამდენიმე ათეულ წელს მოიცავდეს.

ცოტა მოგვიანებით, ტ. ტაბიძის შემოქმედებაზე დაწერილ სტატიაში გ. ასათიანი წერს: „ტიციან ტაბიძე ეკუთვნოდა იმ ოსტატთა რიგს, რომელთაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს ქართულ პოეტიკაში“.

მაშასადამე, ქართული ლექსის რეფორმაცია დაიწყო 1915 წლის მეორე ნახევარში, რეფორმა გატარდა საუკუნის დასაწყისში და ერთ-ერთი რეფორმატორთაგანი (იმ ოსტატთაგანი, ვინც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა) ტიციან ტაბიძეა.

როგორია სალექსო რეფორმაში გალაკტიონ ტაბიძის როლი? გ. ტაბიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ წერილში გ. ასათიანს აღნიშნული აქვს: გალაკტიონ ტაბიძე „ჩვენს პოეზიაში პირველმა დაიწყო ახალი ფერებისა და ნახევარტონების ძიება... პირველმა დაიწყო ჩვენი პოეზიის განახლება“; მაგრამ „შენიშვნებში“, სადაც სწორედ ჩვენი პოეზიის განახლების საკითხია დასმული, გ. ტაბიძის დამსახურებაზე არაფერია ნათქვამი. ამ საგანგებო დანიშნულების სტატიაში, რომლის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ქართული პოეტიკის გენეზისის საკითხის გარკვევა, ავტორს, გ. ტაბიძის გვერდის ავლით, აქცენტი ცისფერყანწელთა შემოქმედებაზე აქვს გადატანილი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთმა უკანასკნელმა „ცისფერყანწელმა“, ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1967 წ., № 40), პატარა მოგონება გამოაქვეყნა — „პოეზიის დღე, მოგონების ფურცელი“. მოგონების ფურცელს ამ საუკუნის დასაწყისში გადავყავართ, როცა ქუთაისში უურნალ „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერი გამოვიდა, რომელმაც, ისე როგორც პირველმა, „წარმოუდგენელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია“.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო მოგონების მეორე ნაწილი, რომელიც, ფაქტობრივად, მოგონება კი არა, მსჯავრია იმდრონ-დელ ლიტერატურულ ვითარებაზე, პოეტურ ძალთა მაშინდელ შეფარდებაზე. მოგვყავს ამონანერი გაზეთიდან: „გვნამდა, რომ არ-სებითად სწორ გზას ვადექით (ლაპარაკია: „ცისფერყანწელებზე“,

ა.ხ.), რომ ქართული ლექსის ფორმა და მისი აღნაგობა დაკინიებას განიცდიდა, რომ აკაკი წერეთლის მიერ სავსებით ამონურული ქართული ლექსის აკაკისებური წყობა გადაიქცა შტამპად, შაბლონად, რომ აკაკის ეპიგონებმა დაუკარგეს ქართულ ლექსის სილამაზე და უღერადობა, გააუბრალოეს, დააყრუეს იგი. ქართული ლექსი გახდა უგემოვნების, დაცემისა და საოცარი ჩამორჩენილობის მაჩვენებელი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რუსთაველი უფრო თანამედრვე პოეტი იყო, ვიდრე აკაკის მიმპაძველთა ლეგიონი“. „ცალკეულ გამოჩენილ პოეტთა ხმა (ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე), — განაგრძობს კ. ნადირაძე, — იყარგებოდა ამ უგემოვნობის ზღვაში, რადგან მათი განცალკევებული, ერთპიროვნული გამოსვლა, რაც მთავარია, არ ქმნიდა ერთ მთლიანსა და მიზანდასახულ ფრინტს, ე.ი. პოეტურ სკოლას“.

„შესაძლებელია, ბევრს ეს პარადოქსად მოეჩვენოს, — ამბობს დასასრულს ავტორი, — არ დამეთანხმოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ქართული პოეზიის განვითარების მიუდგომელი მარტიროლოგი გაიაზრებს ამ აზრს“.

ამრიგად, კოლაუნადი ნადირაძე — თავის დროზე ორთოდოქსი ცისფერყანწელი, უშუალო მონაწილე იმ ლიტერატურული ბრძოლებისა, რამაც მაშინ „წარმოუდგენელი მითება-მოთექმა გამოიწვია“, თავად გვაცნობს საკუთარი ბიოგრაფიის ერთ საინტერესო ფურცელს.

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ სახელოვან პოეტს, როცა იგი ეპიგონთა მიერ შექმნილ ატმოსფეროს ახასიათებს. მისი მღელვარე პათოსი მეტყველებს: ისე მძაფრად განუცდია პოეტს აღნიშნული ვითარება, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ამ საგანზე გულდამშვიდებით საუბარი არ შეუძლია. ამასთან ერთად, კ. ნადირაძე მთელი ჯგუფის სახელით ლაპარაკობს, იგი გულწრფელია, ისევე, როგორც გულწრფელები იყვნენ მისი მეგობრები, როცა, განახლების ჟინით შეპყრობილნი, ძველ ლიტერატურულ სამყაროს ომს უცხადებდნენ.

ეს აზრი, ცხადია, დავას არ იწვევს, დღეს იგი საყოველთაოდ მიღებული და გააზრებულია. მაგრამ ეს არ გახლავთ მოგონების მთავარი პათოსი, ძირითადი ლერძი, რისთვისაც ეს მოგონება დაიწერა. ეპიგონობის გამო აღშფოთება მხოლოდ ფონია იმისათვის, რომ მოგონების ავტორს ეთქვა: ქართული ლექსის განახლება დაკავშირებულია არა გალაკტიონისა და მისი თაობის სახელთან, არამედ „ცისფერყანწელების“ ჯგუფთან. ამრიგად, კ. ნადირაძე პირდაპირ ამბობს იმას, რასაც გ. ასათიანი ათიოდე წლის წინათფარულად, მინიშნებით გვაცნობდა. საბუთად მოტანილია გალაკ-

ტიონის, გრიშაშვილისა და აბაშელის „განცალკევებული, ერთ-პიროვნული გამოსვლა“, რაც „არ ქმნიდა ერთ მთლიანსა და მიზან-დასახულ ფრონტს, ე.ი. პოეტურ სკოლას“.

პოეტურ სკოლას, ჯგუფს, გაერთიანებას რომ მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული საქმის წარმატებისათვის, ლიტერატურული პროცესის დაჩქარებისათვის, თუ სრულიად ახალი მიმდინარეობის ჩასახვა-განვითარებისათვის, ეს, ცხადია, უდავოა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ სიახლეთა დანერგვა პოეზიაში, გარდატეხა და გა-დატრიალება პოეტურ სამყაროში, უნინარეს ყოვლისა, თვით პო-ეტური ნიმუშებით, ქმნილებებით, ლექსებით ხდება, რაც სწორედ „განცალკევებული“, ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია, „ერთპიროვნული გამოსვლის“ შედეგს წარმოადგენს.

გალაკტიონი უკვე ათიოდე ნოვატორული ლირიკული შედევ-რის ავტორი იყო, როცა ცისფერყანნელები თავიანთ ჯგუფს აყა-ლიბებდნენ, ქართულ ლექსში გარდატეხა მანამდე მოხდა, ვიდრე „ცისფერყანნელთა“ ლიტერატურული გაერთიანება გაფორმდებოდა.

1915 წელს დანერილ კრიტიკულ-თეორიულ წერილებში, სადაც გაანალიზებულია მიმდინარე ლიტერატურული პროცესი, საუბა-რია ახალგაზრდა პოეტთა მხოლოდ პირველი თაობის წარმომად-გენლებზე (გალაკტიონი, გრიშაშვილი, შანშიაშვილი, აბაშელი...). თვით ტიციან ტაბიძე თავის ცნობილ სტატიაში არ ასახელებს მისი თაობის („ცისფერყანნელთა“ მომავალი სკოლის) არც ერთ პოეტს. ამავე დროს, გალაკტიონის წიგნის განხილვისას აღნიშნავს, რომ მასში „არიან სახეებიც, რომლებიც ქმნან ილუზიას სიმბოლიზმისას“.

როგორც აღნიშნული გვაქვს, პირველი წიგნის გამოსვლის შემ-დეგ (1914 წლის ივნისი) გალაკტიონი ერთბაშად ახალი ხელოვნე-ბისაკენ იღებს კურსს. თუ მანამდე პოეტის შემოქმედებითი ზრდა ევოლუციური განვითარების გზით მიმდინარეობდა, 1915 წელს გარდატეხა აშკარა ხდება. იგი, უპირველეს ყოვლისა, პოეტურ მე-ტყველებას დაეტყო: ამაღლდა სიტყვის ფუნქციური დანიშნულე-ბა. სიტყვა გადაკტიონს ესმის, არა როგორც ჩვეულებრივი მე-ტყველების პოეტური განშტოება, არამედ, როგორც პრინციპულად სხვა მეტყველება, ტროპის პირობითობა წაშლილია, გადატანითობა რეალური და ერთადერთი ფორმაა მეტყველებისა. ასახვა, პოეტის აზრით, ახლის შექმნა და არა არსებულის გადატანა ხელოვნებაში.

მოვლენის სახელდებას ცვლის მინიშნებები, სრულ უფლებებში შედის სიმბოლიზაცია. მეტყველების ამ საერთო პრინციპში მიჰყე-ბიან ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები.

ეპითეტის როლის ამაღლება ფერთამეტყველების დონეზე სალექსო რეფორმის ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო.

უფრო უეცარი და მოულოდნელი გახდა შედარება. გათარ-თოვდა და განივრცო მეტაფორა, როცა ეპითეტები და შედარებები უკლებლივ მის ფარგლებში მოექცა.

მეტრიკის სფეროში სიახლემ განსაკუთრებით ნათელი გამოვ-ლენა პოვა მარცვალმონაცვლე (პეტეროსილაბურ) სტრიქონებში, რაც გალაკტიონის პოეზიაში სათავეს, ფაქტობრივად, 1915 წლიდან იღებს. მეტრული ფორმების „ძიებას“ იმთავითვე შეუდგა პოეტი, როცა ლექსის განახლება კონკრეტულ მიზნად და რეალურ ამო-ცანად დაისახა. მეტრი ხომ ვერსიფიკაციის გასაღებია. პირველივე ლექსი, რომელიც მან 1915 წლის თარიღით გამოაქვეყნა („რა სევდი-ან ზღაპარს ამბობს ქარი“), აღდგენა და გაანალიზებაა მამუკა ბა-რათშვილის „ჭაშნიკში“ ფიქსირებული „მუხრანულისა“. ეს მეტრი შემდეგ საფუძველი ხდება გალაკტიონის არა ერთი შედევრისა.

მეტრის რეკონსტრუქციას რითმა და ბგერწერაც მიჰყვა. თუ პირველ წიგნში არაიშვიათად ნახავდით ურითმოდ დატოვებულ სტრიქონს, ახალ ლექსებში ორ სტრიქონზე საშუალოდ სამი რითმა მოდის, ხოლო რითმების ნიაღვარი, რომელიც მოიტანა ლექსებმა: „ი.ა.“, „ატმის ყვავილები“ და „ლურჯა ცხენები“ ქართულ პოეზიაში მანამდე უპრეცედენტო იყო. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა გარდატეხა რითმის ევფონიაში, რასაც საერთოდ ლექსის ევფო-ნიური გადახალისება მოჰყვა. ალიტერაციული კეთილხმოვანება გალაკტიონის ლექსს იმთავითვე მოსდგამდა, მაგრამ ხმოვანშე-ნაცვლებულ ფუძეთა ამგვარი თამაში: „და დედოფალი ალვა ელვამ დალუნა ცივმა“ მხოლოდ და მხოლოდ ამ თარიღის საკუთრებაა.

მეტრის, რითმისა და ევფონიის ასეთმა მიზანსწრაფულმა კოორდინაციამ შექმნა „ლურჯა ცხენების“ ვერსიფიკაცია, რომელ-იც 1915 წლის პოეტიკურ მიღწევათა მეჯამებას წარმოადგენს. ამ ფესვებზე ამოიზარდა სტრუქტურა ლექსებისა: „ატმის ყვავილები“, „აკაკის ლანდი“, „მთანმინდის მთვარე“, „შერიგება“, „სანთელი“, „ი.ა.“, „მამული“, რომლებიც გალაკტიონში 1915 წელს შექმნა. ამ თარიღმა დაუდო სათავე არა ერთ მნიშვნელოვან მოტივს გალაკ-ტიონის შემოქმედებაში (მერის მოტივი, ატმის ყვავილების მოტივი, ლურჯა ცხენების მოტივი და სხვ.), რომლებიც, ისევე როგორც პო-ეტის ვერსიფიკაციული და მხატვრულ-სტილისტიკური მონაპო-ვარი, დვრიტად დაედო მთელს უახლეს ქართულ პოეტიკას.

ამრიგად, სრულიად აშკარაა გალაკტიონის ნოვატორული მი-ზანსწრაფვა და მისი პრიორიტეტი სალექსო რეფორმაში.

გალაკტიონის ამდროინდელ ლექსებში ვხვდებით არაერთ კონკრეტულ მინიშვნებას გარდატეხის ეპოქასთან დაკავშირებით. „დროს“ თავდაპირველ ვარიანტში (1915 წ.), რომელიც ავტოგრა-

ფულია, ვკითხულობთ: „პანთეონს მივეცით ძვირფასი სამება“, ანდა: „მთაწმინდას დადაფნავს ძვირფასი სამება“, „ჩვენ თვალწინ დასრულდა იმათი წამება“ (წაგულისხმევია ილია, აკაკი, ვაჟა). წინა-პართა აჩრდილების გვერდით ამ ლექსში უკვე მოჩანს „ლურჯა ცხენების“ ავტორი, როგორც მარადიული სიმაღლეებისკენ მსრბოლი პოეტი:

აზის დაშლილი თმის შავი გიშერის
მსუბუქი ტალღები და ლურჯა ცხენები!
შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები...
სარკეთა სახეებს სანთლები მოედო
და შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები,
სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო,
თუ ასე წარმართო გზით წარემართები.

ამავე მოტივზეა გაშლილი ლექსი „სიზმრები“, რომელიც ასევე 1915 წლით არის დათარიღებული. ოღონდ „სიზმრები“ სიმბოლურია, თავისიუფალია ემპირიული ფაქტებისაგან, რაც „დროს“ ავტოგრაფს შემორჩია (ასევე სიმბოლურია „დროს“ ბოლო რედაქციაც, მას ცოტა კავშირი აქვს თავის პირვანდელ ვარიანტთან). როგორც ჩანს, - „დროს“ ავტოგრაფი ორივე ლექსს დასდებია საფუძვლად — „დროსაც“ და „სიზმრებსაც“. „სიზმრებში“ პოეტის ფიქრი კვლავ გარდასულ წინაპრებს დატრიალებს თავს:

წავიდნენ ლანდები მეორე, მესამე...
და ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა.

ძნელი არაა, ამ ლანდებში მეორე-მესამე რიგით აკაკი და ვაჟა შევიცნოთ. პირველი ადგილი ილიასია. წავიდნენ სახელოვანი წინაპრები, რომლებიც წათელივით თავზე ადგნენ ქართულ მწერლობას და სიპრესულ ჩამოწვა („და ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა“).

შევადაროთ „სიზმრების“ ეს სტრიქონები ტიციან ტაბიძის წერილის სათაურს: „უმეფობა, ლიტერატურული ტრაური“, რომელიც ვაჟას გარდაცვალების თარიღს დაემთხვა (გაზ. „საქართველო“, 1915, № 78). ანალოგია თვალწათლივია, ოღონდ ერთ შემთხვევაში ცნებების ენით გამოთქმული, მეორე შემთხვევაში კი — პოეტური მეტყველებით.

ამ ძვირფასი სახელების შემდეგ, როგორც ცნობილია, გაღაკტიონი პირველობას არავის უთმობდა და, აი, სტროფის მეორე ნახევარში მას საუბრის კილო თავისთავზე გადააქვს:

შენ იცი? შენ იცი — მე როგორ ვენამე?
როდესაც მე მოველ — არავინ არ სჩანდა!

პოეტი თავის სასურველ არსებას ესაუბრება (ლექსის ავტოგ-
რაფმა შემოგვინახა სიტყვა „ხელმწიფეა“); ესაუბრება იმ ტკივილსა
და სიძნელეებზე, რაც თან სდევს პირველი სიტყვის თქმას. საუბარი
გრძელდება:

მე მქონდა ვაზაში ვარდები მრავალი
უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა,
არ იყო იქ მხოლოდ ნაცნობი ყვავილი,
იდუმალ ძახილით ღამით რომ დამპირდა.*

ყვავილების ვაზაში, — გვეუბნება პოეტი, — სადაც უცხო და
შორეული მდინარის ნაპირებიდან მოტანილი ვარდები მეწყო, მა-
შინ არ იყო ცისფერი ყვავილი (ავტოგრაფში „ნაცნობი ყვავილის“
ნაცვლად არის „ცისფერი ყვავილი“), რომელსაც ღამით იდუმალი
ხმა დამპირდა.

ჩვეულებრივ ენაზე თუ გადმოვიტანთ პოეტურ სიმბოლოებს,
ნათქვამის აზრი ასეთი იქნება: გალაკტიონმა იმთავითვე მოიტანა
პოეზიის უცხო სურნელი, მაგრამ ადრე მის ლექსებს აკლდა ზოგი
რამ სპეციფიკური, მისეული. დღეს კი, 1915 წელს ეს საიდუმლო
მიგნებულია. ცისფერი (იგივე ლურჯი) გალაკტიონის პოეზიის
სიმბოლოა.

რამდენიმე წლის შემდეგ ლექსში „წინამურში რომ მოჰკლეს
ილია“ გალაკტიონმა ახალი ხელოვნების დაწყების კონკრეტულ
თარიღზე მიუთითა („დადგა ცხრაას რვა“). აქაც შეუმცდარია პოე-
ტის ალლო. დასაწყისი ქართული ლექსის ფერისცვალებისა, მზადე-
ბა რეფორმისათვის, რომელიც აკავისა და ვაჟას გარდაცვალების
წელს დაგვირგვინდა, ილიას მოკვლის შემდეგ იღებს სათავეს.

ცხადია, არ შეიძლება პოეტის ამ მინიშნებათა აბსოლუტური
კონკრეტიზაცია. „აკავის ლანდისა“ და „ატმის ყვავილების“ შექ-
მნის პროცესში გალაკტიონი, ალბათ, არ ფიქრობდა, ლექსის რე-
ფორმას ვახდებო და 1915 წლის ბოლოს იგი არ მისულა დასკვნამდე
— რეფორმა უკვე დამთავრებულია. პოეტი ასეთივე ალმავლობით
განაგრძობს შემოქმედებით ცხოვრებას. კერძოდ, 1916 წელს იქ-
ნება: „თოვლი“, „ჭიანურები“, „გზაში“, „ათოვდა ზამთრის ბალებს“,
„საუბარი ედგარზე“, „ატმის რტოო“. მეტი გასაქანი ეძლევა ერთ-

* თორმეტტომეულში ტექსტი დამახინჯებულია. ადრინდელ გამოცემებში გვქონდა „იდუმალ ძახილმა, ღამით რომ დამპირდა“. მართალია, იქ გრამატიკული შეცდომაა, მაგრამ აზრი ნათელია. თორმეტტომეულის ტექსტი კი სტილისტურადაც გაუმართა-
ვია და აზრობრივადაც.

ხელ გამომუშავებულო პრინციპს — მოვლენათა ემპირიული ზედა-პირიდან ზეაღსვლისა. ამ თვალსაზრისით სწორდება კიდეც ადრე დაწერილი ზოგიერთი ლექსი. საერთოდ, გალაკტიონი არსოდეს დაკმაყოფილებულა მიღწეულითა და მონაპოვარით. მას მუდამ ახლდა და სტანჯავდა დიდ ხელოვანთა დამახასიათებელი უკმარისობის გრძნობა. პოეტი თვით უკანასკნელ რითმამდე ამშვენიერებდა და აკეთილშობილებდა ქართულ ლექსს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მისი შემოქმედება გარდატეხის შემდეგ აღმავალი პროცესით სვლაა („ლურჯა ცხენებიდან“ „ნიკორწმინდამდე“ 32 წლის გრძელი მანძილია).

მაგრამ როცა ლექსის რეფორმაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის საჭირო მინიმუმი, რაც გარდატეხას იწვევს, რაც საკმარისია გარდატეხისათვის. ხოლო 1915 წელს გალაკტიონმა იმდენი ფასეულობა დააგროვა, იმდენი რამ შესძინა ქართული ლექსის საგანძურს, რომ რაოდენობრივა მონაცემებმა თვისებრივი ცვლილების სახე მიიღო.

გალაკტიონისეულ რეფორმაზე საუბრის დროს ერთ გარემოებასაც უნდა მიეკცეს ყურადღება. გალაკტიონი სამოღვანეო ასპარეზზე არ გამოსულა თვითმიზნური ბრძოლის სურვილით. არც პირველად — „მე და ლამეს“ რომ სწერდა, არც შემდეგ — ქართული ლექსის ფერისცვალების პროცესს რომ წარმართავდა, იგი სუბიექტურად არავის უპირისპირდებოდა. პოეტმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა უღრმესი პატივისცემა თავისი წინაპრებისადმი, რომელი რანგისაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი. იმდროინდელ ლექსებსა თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ ჩანაწერებში, რომლებიც პოეტის არქევშია დაცული, ოდნავადაც არ იგრძნობა, რომ „ლურჯა ცხენების“ ავტორს არ აკმაყოფილებდეს, მაგალითად, დემოკრატიული პოეზია. პოეტი დუშმა ამაზე. უფრო მეტიც, გალაკტიონისეული რეფორმა, ფაქტობრივად, ილიასა და აკაკის მიერ დანერგილი პოეტური ტრადიციების დაძლევას და გადალახვას ნიშნავდა. ეს იყო მისი პირდაპირი მიზანი და დანიშნულება. ვიდრე სამოცავანელთა პოეტური მრნამსი ახალი სიტუაციის მიხედვით არ შეიცვლებოდა, მანამდე ზედმეტი იყო ლექსის განახლებაზე ლაპარაკი; მაგრამ ამ მწვავე ბრძოლას გალაკტიონი რაინდული სიდარბაისლითა და კეთილშობილებით წარმართავდა. დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით ექცეოდა იმათ, რომელთაც თავისი ლექსის ხასიათით უპირისპირდებოდა. ეს თავისებურება გალაკტიონისეული ბრძოლისა მისი სპეციაკი, უანგარო პიროვნებიდან, უაღრესად კეთილი, სათონ ხასიათიდან მომდინარეობდა. ავტორის ეს პიროვნული ღირსებანი იმთავითვე შეიწოვა მისმა პოეზიამ. გალაკტიონის

პირველივე ლექსები სწორედ ამ სპეტაკი პიროვნების გულწრფელი აღსარებით ხიბლავდა მეითხველს. ეს იმდენად თვალსაჩინო იყო, იმდენად გამოარჩევდა პოეტს თავის თანამოკალმეთაგან, რომ იმ დროს საგანგებო ყურადღებისა და აღიარების ლირსად უცვინათ. ამაზე წერდა ტ. ტაბიძე გალაკტიონის პირველი წიგნის შესახებ და-ნერილ სპეციალურ სტატიაში, ამაზე მიუთითებდა ა. აბაშელი 1916 წელს გამოქვეყნებულ წერილში — „გულწრფელ გრძნობათა სათუ-თო სიმებიო“. ეს მიიჩნია ია ეკალაძემ გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთ სპეციალურ ნიშნად, კერძოდ, მისი დახასიათებით, რომელიც 1927 წელს, „პოეზიის დღეშია“ მოთავსებული, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია არის „პოეზია თავგანწირვისა და ოცნებისა, პოეზია ბრძოლისა... პოეზია უანგარობისა და ფაქიზი გრძნობების პოეზია“.:

უნგარობისა და ფაქიზი გრძნობების პოეზია. ალბათ, ვერც ერთ იმდროინდელ პოეტზე ვერ იტყვი ამ სიტყვებს ისე თამამად და გაბედულად, როგორც გალაკტიონზე. გალაკტიონისებური სი-ნაზე და სისადავე, სილბო და სიფაქიზე, ლრმა და სათუთი განცდა იმდროინდელ ქართულ პოეზიაში დიდ სიახლეს წარმოადგენდა. ეს იყო გალაკტიონისეული რეფორმის ეთიკური მხარე.

* * *

თვალი გადავავლოთ ამ წიგნის გვერდებს: ძველი თაობის ად-გილი დემოკრატიული მწერლობის წარმომადგენლებმა დაიჭირეს, რომლებმაც მხარი ვერ აუბეს ქართული ლექსის განახლების პრო-ცესს და ადრევე გამოეთიშნენ მას. ასპარეზზე ახალი პოეტური თაობა დარჩა. ერთი მხრივ, კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. შანში-აშვილი, გ. ტაბიძე, ა. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, მთის ნიავი (გრიგოლ მეგრელიშვილი), ხოლო მეორე მხრივ, — ტ. ტაბიძე, ჰ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ.

პირველი იერიში პოეზიის ძველ ციხე-სიმაგრეზე ახალმა თაო-ბამ 1911-1914 წლებში მიიტანა, რაც აისახა კიდეც იმ პერიოდის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში.

ი. გრიშაშვილის, ს. შანშიაშვილის, ა. აბაშელის, მთის ნიავისა და გ. ტაბიძის პირველ ლექსებსა და კრებულებში განახლების სული ტრიალებს, იგრძობა მისწრაფება ქართული ლექსის გადახალისე-ბისაკენ. ამის მაუწყებელია ი. გრიშაშვილის ნარნარა რიტმი, მისი ცქრიალა და კისკისა ხმები, მხატვრული სახეების, კერძოდ, ეპი-თეტების სიახლე და მოულოდნელობა; ა. აბაშელის ბერნერული ოსტატობა, ფრაზის ევფონიური დახვეწილობა, მეტყველების ტრა-ფარეტს დაცილებული სიმბოლურობა; ს. შანშიაშვილის ძარღვიანი ქართული და სტროფულ-კომპოზიციური სიახლეები, მთის ნიავის

რთული და ნატიფი მუსიკალური რითმები; გ. ტაბიძის მდიდარი პოეტური სამყარო, უაღრესი გულწრფელობა და კეთილშობილება, გარეგნულ ეფექტს მოკლებული სიტყვის შინაგანი სითბო, ძნელად მისაღწევი სისადავე და განუმეორებელი ლირიზმი.

ყველაფერი ეს იმ დროს ორიგინალური და მოულოდნელი იყო, თუმცა ამას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი სახე.

1915 წელს ი. გრიშაშვილმა და ა. აბაშელმა წინ წასწის თავი-ანთი ხელოვნება, რამდენიმე კარგი ლექსით გაამდიდრეს ქართული პოეზია, მაგრამ ეს იყო ევოლუციური განვითარების ჩვეულებრივი გზა. პირველი კრებულების შემდეგ მათს პოეზიაში რაიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა არ მომხდარა. 1915 წელი მათთვის რიგითი თარიღია, შეიძლება ითქვას, უფრო ნაკლებ საყურადღებო, ვიდრე 1911 წელი ი. გრიშაშვილისთვის, ხოლო 1913 წელი — ა. აბაშელისთვის.

1915 წელსვე იწყებენ ნამდვილ შემოქმედებით ცხოვრებას „ცის-ფერყანწელთა“ სკოლის მომავალი მესვეურები — ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი. ეს წელი მათს შემოქმედებაში სიახლისა და გარდატეხის წელია. ტ. ტაბიძე მეტყველების ახლებური ფორმით უპირისპირდება ეპიგონურ პოეზიას, რაც გამოხატულებას პოულობს ლექსიკის გაუცხოებაში, მოვლენათა გაუცნაურებაში, სტილისტურ ძიებებში. მართალია, მეტყველების ეს ახლებური ფორმა უზადო არ არის, მაგრამ ძველთან დაპირისპირების ფუნქციას კარგად ასრულებს. ტ. ტაბიძისათვის (ისევე როგორც პ. იაშვილისათვის) ამ დროს უფრო არსებითია ძველის წინააღმდეგ გალაშქრება (რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი), ვიდრე ახალ ფასეულობათა შექმნა.

პ. იაშვილის მეამბოხე სული უფრო მეტად ვერსიფიკაციაში ვლინდება. პოეტი გაურბის ტრადიციული საზომების თანაბარზომიერებას, შემოაქვს ჰეტეროსილაბურობის რამდენიმე ახალი ნიმუში. ერიდება ზუსტ რითმებსაც, ზრუნავს რითმის თავისთავადობის, მისი აკუსტიკური და სემანტიკური სიმდიდრისათვის, მაგრამ განახლების პროცესში მონაწილე არც ერთ ზემოხსენებულ პოეტს არ შეიძლებოდა განახლების მედროშის პრეტენზია ჰქონდა. ამ წლის ლიტერატურული მონაპოვრის მხატვრულ მაქსიმალიზმს გ. ტაბიძის სახელთან მივყავართ. გ. ტაბიძე პირველი კრებულის გამოცემისთანავე გამოეყო თავისი თაობის პოეტებს, ამაღლდა მათზე და სათავეში ჩაუდგა ლექსის განახლების პროცესს. ამავე დროს, იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „ცისფერყანწელთა“ კოლექტიურ გამოსვლას. ვიდრე ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი თავიანთ ჯუფს აფორმებენ, თავიანთი უურნალის გამოცემისათვის ემზადებიან, გალაკტიონი ლიტერატურულ მანიფესტს აქვეყნებს. ტიციან ტაბიძის „Art poetique“ (წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“) გალატიონის „Art

poetiqe“-ზე ერთი წლით გვიან იწერება. საერთოდ, „ცისფერყანწელ-თა“ მანიფესტები, დეკლარაციები — გარითმული თუ გაურითმავი, გ. ტაბიძის „Art poetique“-ს მოსდევს.

მთავარი მაინც ის არის, რომ გალაკტიონის ლირიკულ შედევრებს, რომლებიც 1915 წელს არის შექმნილი, პოეტის თანამოკალმენი მათს ტოლფასოვანს ვერაფერს უპირისპირებენ. მართალია, ი. გრიშაშვილის „ხელთათმანის ღილი“ და „რა კარგი ხარ, რა კარგი“, ა. აბაშელის „მწუხრის ფსალმუნი“ და „ზამბახის ფოთლებში“, ტ. ტაბიძის „თეთრი სიზმარი“ და „შორეულს“, პ. იაშვილის სონეტები ამ თარიღის მხატვრულ საგანძურშია შესული, მაგრამ ამ პოეტების შემოქმედებითი ყვავილობის ხანა სხვა ლექსებსა და სხვა თარიღებშია საძიებელი, ხოლო როცა იწერება „ლურჯა ცხენები“, „შერიგება“ და „ატმის ყვავილები“, გარდატეხა ეჭვის გარეშეა და ქართული ლექსი თავის განახლებას დღესასწაულობს.

P.S. ეს წიგნი 1966-1970 წლებშია დაწერილი. მისი ცალკეული ნაწილები ქვეყნდებოდა კიდეც. დღეს იბეჭდება ადრინდელი სახისა და დებულებების შენარჩუნებით. თავის დროზე მისი გამოქვეყნება შეუძლებელი იყო, რადგან გაუთვალისწინებელი რჩებოდა გრიგოლ რობაქიძის, როგორც თეორეტიკოსის როლი ახალი სალექსო რეფორმის მომზადებაში.

20.XI.91.

ლალი ავალიანი

„ცისფერი ორდენი“ — ნოვატორობა, ტრადიცია, ეკლექტიკა

თითქმის ერთი საუკუნე გვაშორებს ცისფერყანწელთა, ე.წ. ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფის დაფუძნების (1915-16 წლების მიჯნა) დროს. ის, რომ ოცდამერთე საუკუნეშიც არ განელებულა ინტერესი „ცისფერი ორდენის“ მიმართ (მარტო ჩვენში კი არა, — უცხოეთშიც), მიგვანიშნებს მის ქეშმარიტად ნოვატორულ სულს და ცხოველმყოფელობას. შესაძლოა, ახლა, ინტერტექსტუალიზაციისა და გლობალური ეკლექტიკის უამს, უფრო მკაფიოდ ნარმოჩნდეს, — როგორ გაუსწრო დროს „ცისფერმა ორდენმა“ და რაოდენ დიდია მისი წვლილი არა მხოლოდ ქართული ლექსის ფორმალური სრულყოფისა და გამრავალფეროვნების, არამედ, ზოგადად, ქართული პოეზის განახლების საქმეში.

ლიტერატურული დაჯგუფებანი მთლად უცხო ხილი არ იყო ქართული მწერლობისათვის. XIX საუკუნეში პირველად „თერგ-დალეულებმა“, ე. წ. სამოციანელებმა გამოკვეთეს ნათლად თავიანთი მრნამსი. რუსეთში განათლებამიღებულ „თერგდალეულებს“, — მათ აღიარებულ მოთავეს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, კირილე ლორთქიფანიძეს და სხვათ, მოგვანებით დაუახლოვდნენ პეტრე ნაკაშიძე, ალექსანდრე სავანელი, მიხეილ ყიფიანი, ივანე პოლტარაცკი, ილია წინამძღვრიშვილი... მაგრამ მათ არ უცდიათ ორგანიზაციული გამთლიანება, განსხვავებული ლიტერატურული სკოლის, დაჯგუფების შექმნა, თუმცა ზოგ საკითხში მკვეთრად გაემიჯნენ წინა თაობათა მწერლებს, ე. წ. „მამებს“.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა, რომ ეს არ იყო სკოლა; ეს იყო ერთი მიზნისაკენ მიმსწრაფი ახალგაზრდობის კავშირი, ახალგაზრდობისა, რომელსაც, პროგრამაზე უწინარეს, განწყობილება და ტემპერამენტიც აკავშირებდა.

„თერგდალეულთა“ უპირველეს მიზანს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება ნარმოადგენდა; მწერლობა მათთვის ერთგვარი პლაცდარმიც იყო, რომლის დაუფლებითაც აპირებდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას.

დემოკრატიულ იდეალებზე აღზრდილი სამოციანელები „მამებს“ — კონსერვატორ-ლიბერალებს დაუპირისპირდნენ; ლიტერა-

ტურული ოვალსაზრისით კი „მამათა და შვილთა ბრძოლა“ კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიკული მიმდინარეობისა და კრიტიკული რეალიზმის ურთიერთდაპირისპირებას გამოხატავდა. ლიტერატურის ისტორიკოსის თვალთახედვით, ეს მართლაც ასეა; თუმცა, ლიტერატურულ მიმართულებათა ამგვარ მკვეთრ შეჯახებას მაშინ ადგილი არ ჰქონია.

ორგანიზაციული გამთლიანებისაკენ სწრაფვა უფრო „მეორე დასელებს“ („მეორე დასი“, ფაქტობრივად, სამოციანელთა ერთერთი განშტოება იყო) და, განსაკუთრებით, „მესამე დასელებს“ ეტყყობოდათ, თუმცა მათი თავიდათავი მიზანი პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ, ლიტერატურას კი უფრო „მეორადი“ ფუნქცია ენიჭებოდა. „თერგდალებულები“ თავადაზნაურული ინტელიგენციის წრიდან იყვნენ; მოგვიანებით მათ ხალხოსნები, „დიაკონის შვილები“, ე. წ. „ტეტიათა მოტრფიალენი“ დაუპირისპირდნენ.

ეს დაჯგუფებანი ხშირად სტიქიურად იქმნებოდა. მათ, უწინარესად, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებები ამოძრავებდათ და არა ლიტერატურული სკოლის შექმნის სურვილი.

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“ — ილიას ამ სიტყვებს მეტ-ნაკლებად XIX საუკუნის ყველა ჯგუფი იზიარებდა. მათ უფრო „ძირი“ აინტერესებდათ და მისი რევოლუციური („მესამე დასი“) თუ არარევოლუციური (ხალხოსნების „ხალხში გასვლა“) გარდაქმნისთვის იღვნოდნენ. ზოგჯერ გადაჭარბებითაც კი აფასებდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების როლს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში.

პირველი ქართული ლიტერატურული დაჯგუფება, რომელმაც სრულიად გაცნობიერებულად დაგმო გაკვალული გზა, უარყო სოციალურ-პოლიტიკური იდეალები (ეროვნული — არა!) და „ნმინდა ხელოვნების“ მსახურება და ქართული მწერლობის „მსოფლიოს რადიუსით“ გამართვა მოინადინა, — „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი იყო.

საბჭოურ „ოფიციალურ“ კრიზიკაში გაბატონებული მოსაზრებით, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ოდენ ნეგატიური მოვლენა იყო, ანტიხალხური, იდეალისტური (ანუ „უიდეო“), ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის უსუსური მიბაძვა, მათი დაგვიანებული გამოძახილი. განსაკუთრებული სიმკვეთრით უნდა თქმულიყო, რომ ეს ჯგუფი „უნიადაგოდ“ აღმოცენდა!

არადა, „ცისფერი ორდენი“ დღეს გვესახება, როგორც სრულიად კანონზომიერი რეაქცია იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და 10-იანი წლების ჩიხში მომწყვდეული ქართული ეპიგონური მწერლობის მიმართ.

მართლაცდა, საქართველოში, 1905-1907 წლების რევოლუციის მომდევნო წლებში რუსეთის დამსჯელი ექსპედიციები თარე-შობდნენ. ილიას მკვლელობამ გამოუსწორებელი ლახვარი ჩასცა ქართული საზოგადოების ეროვნულ ცნობიერებას და ერთიანობას, საქართველოს ინტელიგენცია გაუთავებელი პარტიული კინკლა-ობით დაქსაქსულიყო; ლიტერატურის სარბიელზე ძირითადად ეპიგონიზმი, მიმბაძველობა გამეფებულიყო; მალე უმაგალითო მას-შტაბის სასაკლაო — პირველი მსოფლიო ომიც დაიწყო.

ასეთი ვითარება სწორედ რომ ნოყიერი ნიადაგი გახლდათ რა-გინდარა მოდერნისტული თუ ავანგარდისტული მიმართულებების აღმოცენებისათვის.

საგანგებო კვლევას საჭიროებს კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორ-ჯაძის, გრიგოლ რობაქიძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრე-ვის უდიდესი ზეგავლენა ახალგაზრდა ქართველ პოეტებზე. მათ, გადაუჭარბებლად, გზა გაუკაფეს XX საუკუნის 10-იანი წლების შემოქმედებით ნოვაციებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ლირსია გრიგოლ რობაქიძის საჯარო ლექციები, რომელთაც მნიშვნელო-ვანწილად განსაზღვრეს „ცისფერი ორდენის“ ჩამოყალიბება.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის „ახალ პოეზიას“ ზიარებულ მომავალ „ცისფერყანწელებს“ აერთიანებდა ეპიგონური პოეზიის სიძულვილი, უწინარეს ყოვლისა კი, ბრწყინვალე პოეტური ნიჭი და ახლისმაძიებლის აზარტი, ახალი, აუთვისებელი თემებისა და ახლე-ბური ფორმებისკენ ლტოლვა.

ე. წ. „ქართული სიმბოლიზმი“ ანუ „ცისფერი ორდენი“ 1915-1916 წლების მიჯნაზე ნარმოიშვა. ამ დროისთვის ფრანგული სიმ-ბოლიზმი უკვე ისტორიის კუთვნილებად იყო ქცეული, რუსული სიმბოლიზმი კი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ამ სკოლათა ვარსკვლავებს ელვარება დღემდეც არ დაუკარგავთ, მაშინ კი ვერლენის, მალარმეს, რემბოს, ვერპარნისა და მეტერლინ-კის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ბელისა და ბლოკის სახელები სალო-ცავ კერძებად გაეხადათ. გარემოებაც ხომ ამასვე უწყობდა ხელს.

ისტორიამ დაგვანახა, რომ სიმბოლისტური მიმართულების დამკვიდრებას წინ უსწრებდა სოციალური თუ კულტურული კრიზისი. ფრანგულ ლიტერატურაში სიმბოლიზმი კომუნის დამარცხების შემდევ ჩაისახა; XIX საუკუნის 80-იანი წლების რუსული ეპიგონური ლიტერატურა ნადსონის მეთაურობით რუსული სიმბოლიზმის პიონერს ვალერი ბრიუსოვს კლასიკური პოეზიის კრიზისად ესა-ხებოდა. უეჭველია ისიც, რომ 10-იან წლებში დამდაბლებული და დაქვეითებული იყო ქართული კლასიკური ლექსი.

ძნელია ვილაპარაკოთ ე. წ. „ქართული სიმბოლიზმის“ მტკიცე და ერთიან იდეურ-ესთეტიკურ მრნამსზე, მწყობრ მსოფლმხედველობაზე. „ცისფერყანწელთა“ ჯგუფმა უფრო ნოვატორობისა-კენ სწრაფვით, შინაური ინტიმით, უანგარო მეგობრობით, ორგანიზაციული მთლიანობით და ახალგაზრდობისათვის ნიშანდობლივი სითამამით განიმტკიცა მდგომარეობა, ვიდრე სიმბოლიზმისადმი ერთგულებით, დასაბუთებული იდეურ-ესთეტიკური სისტემითა და შესაბამისი პოეტური პროდუქციით.

ზემოთქმული „ცისფერი ორდენის“, როგორც სრულყოფილი ლიტერატურული „სკოლის“ სისუსტეზე მეტყველებს მხოლოდ და საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში ფეხმოკიდებულ აზრს მისი ურიადაგობის და ეპიგონიზმის შესახებ საფუძვლად ვერ გამოადგება. ობიექტური პირობები ქართული მოდერნისტული, ავანგარდისტული თუ დეკადენტური ლიტერატურული ჯგუფის შექმნისათვის ნამდვილად არსებობდა: რევოლუციური მძვინვარების, რეაქციის პერიოდის რეპრესიებისა და პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი იყო სწორედ ის ნიადაგი, რომელზედაც შეეძლო აღმოცენება სწორედ დეკადენტურ-სიმბოლისტურ მიმართულებას. ამას დაერთო ის რეალური საფრთხეც, რასაც უქადა ქართულ პოეზიას „საკუთარ წვენში დუღილი“, უფრო თანამედროვედ რომ ვთქვათ, — იზოლაციონიზმი და ეპიგონიზმი.

10-20-იანი წლების სხვა ქართული სალიტერატურო დაჯგუფებანი ექვსი, შვიდი, ანდა სულაც 13 წლის დაგვიანებით შეიქმნა. მიუხედავად „ცისფერი ორდენის“ მიმართ პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური „დიდი მტერობისა“, ისინი დიდად იყვნენ დავალებულნი „ცისფერი ორდენისაგან“.

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ანუ როგორც თვითონ მოიხსენიებდნენ თავს — „ცისფერი ორდენი“, 1915-1916 წლების მიჯნაზე ქუთაისში შეიქმნა. ჯგუფის სახელნოდება მათ პირველ ბეჭდურ ორგანოს ალმანახ „ცისფერ ყანწებს“ უკავშირდებოდა (I ნომერი გამოიცა ქუთაისში, 1916 წლის 28 თებერვალს, II — იქვე, ამავე წლის დეკემბერში, რედაქტორი — პაოლო იაშვილი).

სარბიელზე გამოსვლისთანავე ჯგუფი ავანგარდისტული სკოლებისათვის დამახასიათებელ თვითდამკვიდრებას ანუ თვითრეკლამას შეუდგა.

დასაწყისისთვის მათი მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო: „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებულ დეკლარაციებსა (პაოლო იაშვილის „პირველთემა“, ტიციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“) და მხატვრული პროდუქციის ერთ ნაწილში, ფართო მკითხველმა საზოგადოებამ, არცთუ უსაფუძლოდ, უნინარესად,

გამოწვევა და ახალგაზრდული სითამამე დაინახა, წინაპართა ღვაწლის დაუფასებლობა და უარყოფა — მერეხელობად მიიჩნია. ალ-მანახის გამოსვლამ მთვლემარე ქუთაისში, როგორც ამბობდნენ, მეხის გავარდნის ეფექტი იქონია; თუ იმდროინდელი ქუთათური საზოგადოების „სტაგნაციას“ გავითვალისწინებთ, ეს არ იყო ურიგო საქმე!

უნდა ითქვას, რომ „ცისფერ ყანწებს“ იმთავითვე გამოუჩნდნენ მფარველნიც და დამთასებელნიც, რომელთაც განჭვრიტეს ჭაბუკ მეამბოხეთა შემოქმედებითი პოტენციალიც და „დაკანონებულ“ ლიტერატურულ ნორმათა „ხელყოფის“ მცდელობაც დადებით მოვლენად მიიჩნიეს. უწინარეს ყოვლისა, ესენი გახლდნენ ღვაწლოსილი და გავლენიანი კიტა აბაშიძე და „ცისფერყანწელთა“ უფროსი მეგობარი და მაესტრო გრიგოლ რობაქიძე.

1916 წელსვე „ცისფერყანწელთა“ განზრახვა ყოველკირეული სალიტერატურო გაზეთის „ცისფერი ყანწების“ გამოცემისა ვერ განხორციელდა, რადგან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ნება არ დართო ამ „გაურკვეველი მიმართულების“ ჯგუფს ესარგებლა მისი სტამბით.

„ცისფერყანწელებმა“ საჯარო გამოსვლებს მიმართეს; სწორედ საჯარო გამოსვლებმა თეატრსა თუ კაფეებში მოუტანა მათ უცარი პოპულარობაც და საზოგადოების მოზრდილი ნაწილის მხარდაჭერაც. თუმცა, 1916 წელსვე, ახალგაზრდა პოეტთა მიერ დეკადან-სისა საერთოდ და, კერძოდ, სიმბოლიზმის, აგრეთვე, „წმინდა ხელოვნებისადმი“ ხოტბის აღვლენამ, ბოჰემურმა განწყობილებებმა, ლიტერატურული „თამაშისა“ და პოზიორობისაკენ სწრაფვამ, ახალგაზრდულმა ეპატაჟმა, მერეხელურმა გამონათქვამებმა ქართველ კლასიკოსთა მიმართ — ოდიოზური სახელი მოუზვეჭა ჯგუფს. ამასთან, შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი მხატვრული ლირსებანი: ნოვაციებისადმი ლტოლვა, ქართული ლექსის ფორმის სრულყოფისაკენ სწრაფვა, ახლებური, აუთვისებელი თემებისა თუ სახეების შემოტანა და დამკვიდრება. გართულებული მხატვრული აზროვნება, დეკადენტური განწყობილებანი თითქოს „ისტორიული აუცილებლობითაც“ იყო განპირობებული: უკვე ითქვა, რომ მიმბა-ძველებმა ჩიხში მოამწყვდიეს ქართული კლასიკური ლექსი.

1916 წლის დამლევს, როცა ქუთაისში „ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელი ნომერი გამოვიდა, მას უწინდებური ვნება-თაღელვა და მძაფრი კრიტიკა აღარ გამოუწვევია.

„ცისფერყანწელთა“ აღიარებისა და აღმავლობის პერიოდი იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წლიდან. მაშინ დასავლეთ საქართველოდან დედაქალაქს მოაშურა ქართულ-

მა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. დაიწყო, როგორც სერგო კლდიამვილი იგონებდა, „დიდი გადმოსახლება“ ქუთაისიდან თბილისში. „ცისფერყანწელთა“ ძირითადმა ბირთვმაც თბილისში დაიდო საბოლოო ბინა.

დიდი წარმატებით ჩატარდა მათი პირველი სალამო თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ქუთაისშიც და თბილისშიც დაისტამბა მათი ჟურნალ-გაზეთები. 20-იანი წლების დასაწყისში მათი ლიტერატურული „მტრების“ აღიარებითაც კი, „ცისფერყანწელებს“ ხელთ ეპყრათ ჰეგემონობა ქართულ პოეზიაში.

„ცისფერყანწელთა“ ბეჭდვით ორგანოებს „ცისფერი ორდენის“ ძირითადი ბირთვი მეურვეობდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პაოლო იაშვილის, — „ცისფერი ყანწების“ რედაქტორის, ჯგუფის აღიარებული მოთავის ორგანიზატორული ნიჭი და შემოქმედებითი სითამამეა ალსანიშნავი. ვალერიან გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებს“ (გამოიდიოდა 1919-1924 წლებში, ქუთაისა და თბილისში); გაზეთ „ბარრიკადს“ (თბილისი, 1920, 1922, 1924 წწ.) ტიციან ტაბიძე რედაქტორობდა; გაზეთ „ბახტრიონს“ (თბილისი, 1922-1923 წწ.) — გიორგი ლეონიძე, გაზეთ „რუბიკონს“ (თბილისი, 1923 წ.) სარეადაქციო კოლეგია განაგებდა. ქუთაისში დარჩენილმა სანდრო ცირკებიძემ დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დააარსა „ცისფერყანწელთა“ გამომცემლობა „კირჩხიძი“, გამოსცა „ახალი მწერლობის ანთოლოგია“, ვალერიან გაფრინდაშვილისა და კოლაუნადის პირველი პოეტური კრებულები, სტეფან მალარმეს ლექსთა ქართული თარგმანები, საკუთარი მინიატურების კრებული „მთვარეულები“, მისივე რეადაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „შვილდღისანი“ (ქუთაისი, 1920 წ.).

„ცისფერყანწელთა“ ჟურნალ-გაზეთებში ბევრი ისეთი ავტორის გვარი გვხვდება, რომელიც „ცისფერ ორდენს“ ორგანიზაციულად არ განეკუთვნებოდა. პაოლო იაშვილი 1922 წელს გაზეთ „ბარრიკადში“ ათ „ცისფერყანწელს“ ჩამოთვლიდა: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუნადი ნადირაძე, სანდრო ცირკებიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლო მინიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაძე და პაოლო იაშვილი. ტიციან ტაბიძის თქმით, „ცისფერ ორდენში“ 13 წევრი იყო („ბარრიკადი“, 1924 წ.); 1924 წელს პაოლოც ამ რიცხვს იმეორებდა. „ცისფერყანწელები“ იყვნენ აგრეთვე სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ივანე ყიფიანი, ლელი ჯაფარიძე, გიორგი საგანელი და ზოგიერთი სხვაც, მაგრამ ჯგუფის მოთავის პაოლო იაშვილის მიერ 1922 წელს დასახელებული ათი პოეტი უთუოდ სული და გული იყო „ცისფერი ორდენის“.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძეს, მის სალექციო, თეორიულ თუ მხატვრულ შემოქმედებას, — დიდი წვლილი მიუძღვის პოეტურ ნოვაციათა დანერგვასა და ახალგაზრდა პოეტთათვის გეზის მიცემასა და წახალისებაში; მიუხედავად იმისა, რომ პაოლო იაშვილი ათი „ცისფერყანწელის“ ნუსხას გრიგოლ რობაქიძინით იწყებდა, ხოლო ტიციან ტაბიძე ცამეტ „მოციქულთა“ (ანუ ჯგუფის წევრთა) შორის უპირველესად „მოდერნიზმის ქადაგს“, მათ უფროს მეგობარს და იდეურ შთამაგონებელს ასახელებდა, დღევანდელი გაგებით, გრიგოლ რობაქიძე უფრო „საპატიო თავმჯდომარე“ გახლდათ „ცისფერი ორდენისა“ და არა ერთპიროვნული ლიდერი, ანდა, თუნდაც რიგითი წევრი!

რა თქმა უნდა, გრიგოლ რობაქიძის გარეშე, შეუძლებელია „ცისფერი ორდენის“ სრულყოფილი „ჯგუფური პორტრეტის“ წარმოსახვა.

მას შემდეგ, რაც გრიგოლ რობაქიძის ტაბუდადებული სახელი მეცნიერულ „ბრუნვაში“ მოხვდა, (80-იანი წლების მეორე ნახევრი-დან), ზოგმა კრიტიკოსმა, თავის დროზე სულ ბდლვირი რომ ადინა „ფაშისტ“ რობაქიძეს, ახლა, მედროვეთა წესისამებრ, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის მოთავედ აღიარა იგი. თუმცა, საბუთიანობის გარეშე ამგვარ განცხადებას უფრო დეკლარაციული ელფური დაჰკრავდა და, ამდენად, ნაკლებად ლირსასაცნობი იყო.

საქმე ის გახლავთ, რომ გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერი ორდენის“ ურთიერთმიმართება, თავად რობაქიძემ, 1916 წელსვე ამცნო საზოგადოებას.

ალმანახის პირველ ნომერში (გარდა მანიფესტებისა: პაოლო იაშვილის „პირველთქმა“, ტიციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“) დაბეჭდილი იყო გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ლელი ჯაფარიძის, ივანე ყიფიანის ლექსები. გალაკტიონის, იოსებ გრიმაშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა „საეჭვო მიმართულების“ ალმანახში გამოქვეყნება საზოგადოების ერთმა ნაწილმა მტკიცნეულად აღიქვა; საყვედურიც შეპკადრეს მათ, თუმცა უსაფუძვლოდ: „ცისფერყანწელთა“ რიცხვს ისინი არ მიეკუთვნებოდნენ. საცნაურია, რომ ამ დროისათვის გალაკტიონი ოლია ოკუჯავას წერს: საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილიო.

ახალგაზრდული ეპატაჟითა და, ნებისმიერი ხერხით, „მეხის გავარდნის“ ეფექტის მოხდენის სურვილით, ძირითადად, პაოლო და ტიციანი იყვნენ შეპყრობილნი. სწორედ ამიტომ, ქართული კრიტიკა უპირატესად პაოლოს „პირველთქმის“, მისივე ლექსების („პაოლო იაშვილს მომენტინა ყვითელი დანტე“ და „დარიანული“) და ტიციან

ტაბიძის ვრცელი წერილის წრეგადსული ლანძღვით კმაყოფილდებოდა.

ალმანახის პოეტური განყოფილება გრიგოლ რობაქიძის ლექ-სით „სირენას სიმღერით“ იწყებოდა. დღეს ჩვენს ყურადღებას უფ-რო მიძღვნა — „თ-დ კიტა აბაშიძეს“ და წითელი საღებავით გამოყო-ფილი რითმა იპყრობს, ვიდრე ლექსის ლირსებანი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გრიგოლ რობაქიძეს ამ დროისათვის უდიდესი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული სალექ-ციო მოღვაწეობით და ფილოსოფიურ-ესთეტიკური თუ ლიტერა-ტურულ-კრიტიკული წერილებით (უფრო ნაკლებად — ლექსე-ბით!). „ცისფერყანწელებს“, ცოტა გაუბრალოებით რომ ვთქვათ, სახელოვანი მაესტრო უფრო ესაჭიროებოდათ, ვიდრე პოეტი — თანამოსაგრე.

ტიციან ტაბიძემ ასე წარმოაჩინა გრიგოლ რობაქიძე: „სიმბო-ლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. რობაქიძეზე არ გა-მართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ წოვატორს წინ ელობება გაუგებრობის გალავანი. მას არაფრად დაჯდომია ძველ ლირებუ-ლებათა გადაფასების კადნიერება.“

...გრიგოლ რობაქიძეს უთხრეს თავისი დასტური არჩილ ჯორ-ჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეტიკური კულტურა გრიგოლ რობაქიძემდის“.

მიუხედავად გრიგოლ რობაქიძის ერთგული თანადგომისა და ჭაბუკ „ცისფერყანწელთა“ დიდი თაყვანისცემისა მის მიმართ, მათ შორის გარკვეული დისტანცია სუფევდა.

თბილისის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1916 წ., 1 აპრილი) მივაკვლიერ გრიგოლ რობაქიძის წერილს, რომელშიც სწორედ ეს დისტანცია მონიშნულია: „ამ დღეებში ქუთაისში გაიმართება ჩემი ლექცია „ცისფერი ყანების“ შესახებ. ბევრსა ჰქონია, თითქოს მე მარტო „დამცველის“ როლში გამოვდიოდე. ეს მოქლებულია სიმარ-თლეს. მართალია, მე პირადად „ცისფერი ყანები“ მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩინა ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ ისიც მართა-ლია, რომ ამ ალმანახის შედგენისათვის საერთო რედაქცია არ ყო-ფილა გამართული (ყოველი მათგანი იქ მხოლოდ თავის წანარმოე-ბის პასუხისმგებელია) — და ამისთვის იქ გამოთქმული პრინციპები ჩემთვის სავალდებულო არ არის და არც რომელიმე მხატვრული წანარმოებია იქ მოთავსებული ჩემთვის უთუოდ მოსაწონი: ზოგი პრინციპი მისაღებია, — ზოგი არა; ზოგი წანარმოები მოსაწონია, ზოგი არა. სწორედ ამის გასარკვევად ვაპირებ ლექციის წაკითხვას ქუთაისში, როცა „ცისფერი ყანების“ გარშემო ასეთი საზარი ატ-მოსფერო შეიქნა. მოვალეცა ვარ, როგორც ალმანახის მონაწილე, საჯაროდ ვთქვა ჩემი სიტყვა...“

ქუთაისის თეატრში 6 აპრილს გამართული ლექციის თაობაზე დაწვრილებითი ანგარიშიც გამოქვეყნდა (იხ. გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., 330), საიდანაც ჩანს, რომ ლექტორი ზომიერებასა და წინ-დახედულებას იჩენდა, აღმანახს ობიექტურად და კრიტიკულად წარმოგვიდგენდა. მაგ.: „...პაოლო იაშვილის მანიფესტში გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ ყმანვილურ გატაცების ნაყოფსა ხედავს. დარიანის ლექსებში ნიჭიერ ავტორს ეძებს, ხოლო თვით ლექსების შესახებ აცხადებს, ზომიერების საზღვარგადაჭარბებულად მიმართავთ. ...გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, როდესაც „ცისფერი ყანწები“ თავის მოვალეობას ვეღარ შეასრულებს, ჩვენ თვითონ დავამსხვრევთ მათო...“

რობაქიძე კი არ „განუდგა“ „ცისფერყანწელებს“, განსხვავებული საზოგადოებრივი აზრის საამებლად კი არ „ულალატა“ მათ, არა-მედ, ღია წერილითაც და ლექციითაც მოახდინა ფაქტის კონსტატაცია: მისი როლი „ცისფერ ორდენში“ ერთობ გაზვიადებულად იყო წარმოჩენილი.

თანაც, გრიგოლ რობაქიძე ნამდვილად არ იყო ერთადერთი, ვინც მხარს უჭერდა „ცისფერყანწელებს“ და ცდილობდა იმ სასტიკი არეალის გაქარწყლებას, ჭაბუკი პოეტები რომ მოეცვა.

უზადო პიროვნული თუ ლიტერატურული რეპუტაციის მქონე კიტა აბაშიძემ, ჯერ ქუთაისის კაფე-საჩაიეში გამართული საჯარო გამოსვლისას იხსნა „ცისფერყანწელები“ ობსტრუქციისაგან, შემდგომში კი ცნობილი წერილი „გონს მოლით!“ გამოაქვეყნა.

„დაუძინებელი ჩემი მტრები ყვირიან: კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ მფარველობს და სხვ.

...კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ არ მფარველობს იმიტომ, რომ არ იცის, სად არიან ჩვენში „ფუტურისტება“ ამ აზრის ევროპული მნიშვნელობით. თუ „ცისფერი ყანწების“ მწერლებზე ბრძანებთ, ისინი თავისთავს სიმბოლისტებად თვლიან და არა „ფუტურისტებად“.

...ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, მიმართიან ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკვლად.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მომწონდეს „ცისფერ ყანწებში“! არა, არ მომწონს...

ჩემი მფარველობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებას ვთხოვე იმ საბედისნერო საღამოზე: „ნუ ავიგდებთ ამ მწერლებს აბუჩად, რომელთაც „ცისფერ ყანწებში“ მიუღიათ მონაწილეობა და რომელთაგან ზოგიერთს უკვე საპატიო სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენში-მეთქი. ძველი და ახალი ყოველთვის იბრძვის, ახალი ძნელი შესათვისებელია, მაგრამ ცხოვრება კი მაინც ითვისებს მას; მხო-

ლოდ ყველაფერი კი არ უნდა მოვიწონოთ ახალში, მოვიწონოთ ის, რაც მოსაწონია და დასაგმობი კი დავგმოთ-თქმ“ (გაზ. „ჩვენი მე-გობარი“, 1916 წ., 15).

კიტა აბაშიძე ხუმრობით იმასაც შენიშნავდა, „ფუტურისტი“ არა ვარ თუნდაც იმის გამო, რომ ორმოცდახუთს გადავცილდი.

გრიგოლ რობაქიძე ხომ მრავალი წლის მერე ემიგრაციაში შენიშნავდა, — „ცისფერი ორდენის“ მეთაური არასოდეს ვყოფილ-ვარ, მათი უფროსი მეგობარი ვიყავიო.

ცნობილია ისიც, რომ გრიგოლ რობაქიძე სადაც ყოფაში უფრო გაწონასწორებული, ევროპული ყაიდის კაცი გახლდათ და ჭაბუკ პოეტთა ბოჰემური მისწრაფებაზი და სკანდალური გამოსვლები სრულიადაც არ იზიდავდა.

მათი გულითადი, წრფელ სიყვარულსა და პატივისცემაზე და-ფუძნებული ურთიერთობა გრიგოლ რობაქიძის საზღვარგარეთ წასვლამდე გაგრძელდა. იყო წვრილმანი გაუგებრობებიც, შემოქმედებითი თუ პირადული, იყო „მიმდინარე პოლიტიკური მომენტით“ ანუ ძალადობით განპირობებული საზარელი „საჯარო“ წერილიც, რომელიც „ფაშისტ“ რობაქიძისაგან გამიჯნავდა მის ყოფილ შეგირდებს.

ფაქტობრივად კი, „მოდერნიზმის ქადაგი“ გრიგოლ რობაქიძე „ცისფერყანელთა“ მარადიულ კერპად დარჩა; უცხოეთში გადახვენილი მაესტრო, რომელიც კარგად იცნობდა კომუნისტების ხრიკებს, მუდამ განსაკუთრებული ტკივილით, სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა პაოლოს, ტიციანსა და ვალერიან გაფრინდაშვილს.

„ცისფერმა ორდენმა“ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის უძველესი ჭეშმარიტება, რომ ძალა ერთობაშია. ჯგუფი თითქმის ათიოდე წლის მანძილზე „ჰეგემონი“ იყო (ამას პროლეტარული მწერლებიც კი აღიარებდნენ); მაგრამ 1924 წლიდან ჯგუფი ფაქტობრივად ინერციითა და წარსულის მოგონებებით ცოცხლობდა. ამაზე საჯაროდ არ საუბრობდნენ (არც შეიძლებოდა), მაგრამ უეჭველია, რომ ჯგუფის არსებობამ 1924 წლის ამბოხების უსასტიკესი ჩახშობის შემდეგ მართლაც დაკარგა საყრდენი, ის მართლაც „უნიადაგო“ და ხელმოცარული (გადატანითი მნიშვნელობით) აღმოჩნდა.

ღირსსაცნობი იყო ისიც, რომ სისხლიანმა ტერორმა პაოლო იაშვილის 20 წლის ძმა შეინირა; პაოლოს უმწვავესი შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა. შემდეგში სერგო კლდიაშვილი და შალვა აფხაძე იგონებდნენ, — 1924-25 წლებში პაოლო წინანდებურად აღარ იღვნოდა „ცისფერი ორდენის“ სიმტკიცისათვის, ჯგუფის ფაქტობრივი დამლაც სწორედ ამან განაპირობაო.

30-იანი წლების დასაწყისში ჯგუფი იურიდიულადაც გაუქმდა; შინაგანმა უთანხმოებამ, დაბნეულობამ და ხიფათის მოლოდინმაც იჩინა თავი. „ცისფერი ორდენის“ წევრები ჯერ ჯგუფის სახელწოდების შეცვლასა და, მავანთ საამებლად, ლიტერატურული თუ ორგანიზაციული პრაქტიკის გადასინჯვას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ... ეს უკვე ჯგუფის სრული ლიკვიდაციის დასაწყისი იყო. 1931 წელს აღი არსენიშვილის მიერ დაწერილი დადგენილება „ცისფერი ორდენის“ თვითლიკვიდაციის შესახებ უჩვეულო სტილით გამოიჩია: „გაუქმებულ იქნას „ცისფერ ყანხელების“ ლიტერატურული ჯგუფის არსებობა, რათა სრული საშუალება მიეცეს მის მონაზილებს, მეტი ტემპებით განაგრძონ თავისი ფსიქოდეოლოგიური გარდაქმნა დამკვრელი ეპოქის პროცესში უშუალოდ ჩაბმისთვის“.

თუ როგორ დამთავრდა სამი „ცისფერყანწელისთვის“ „დამკვრელი ეპოქის პროცესში უშუალოდ ჩაბმა“, — ყველას კარგად მოეხსენება: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ნიკოლო მიწიშვილი 1937 წელს ემსხვერპლნენ, „ცისფერი ორდენი“ კი გაქრა ლიტერატურის ისტორიიდან. მისი მოხსენიება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში თუ მოხერხდებოდა.

დღესდღეობით გაცხადებულია „ცისფერი ორდენის“ დადებითი როლი XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარებაში. თავის დროზე სიახლეს მოწყურებული „ცისფერყანწელები“ ცდილობდნენ ქართული პოეზიის კუთვნილებად ექციათ მსოფლიოს ე. წ. „ახალ პოეზიაში“ გაბნეული სახეები; ზოგი მათგანი „გადმოქართულდა“ და ორგანულად შეერწყა ქართულ პოეზიას, ზოგი კი მივიწყებამ მოიცვა. მათი თანამედროვე კრიტიკა (კეთილმოსურნე და ობიექტური, ზოგჯერ კი მტრულად განწყობილიც კი) სათანადოდ აფასებდა ჯგუფის როლს იმდროინდელი „დუღილისა და დაწმენდის“, „ფორმისა და ქაოსის პრძოლის“ პროცესში.

თავიანთი „მოვლენის“ პირველ წლებში „ცისფერყანწელები“ სიმბოლიზმის ერთგულებას ფიცულობდნენ. შემდეგში, როცა მათ უკვე დაიპყრეს ქართულ პოეზიის პარნასი, — საოცარი გულმავინყობა დასჩემდათ: მათ მხატვრულ შემოქმედებაში (იგულისხმება ჯგუფის შემოქმედება მთლიანად და არა ზოგიერთი ცალკეული პოეტისა) უფრო ხშირად უგულებელყოფილია სიმბოლიზმის დოგმატი, ვიდრე დაცული; მათს თეორიულ წერილებში სიმბოლიზმის მეტრები თუმცა დიდი ალფროვანებით იხსენიებიან, თვით ლიტერატურული მიმდინარეობისადმი ერთგულება აღარ ჩანს.

ჯგუფის სკრუპულობზური კვლევა მიგვანიშნებს, რომ „ცისფერი ორდენის“ „ქართულ სიმბოლიზმთან“ გაიგივება არ არის მართებული. მისი ეკლექტიზმი (გადახრა ფუტურიზმისა თუ დადაიზმისა-

კენ), თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ურთიერთგამომრიცხავ, ზოგჯერ სიმბოლიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვე გვაძლევს მტკიცე საფუძველს იმსათვის, რომ „ქართული სიმბოლიზმი“ მხოლოდ პირობით ტერმინად მივიჩნიოთ.

„ქართული სიმბოლიზმის“ პირობით ტერმინად აღიარება ოდნავადაც არ ამცირებს „ცისფერყანწელთა“ ძალუმად გამორჩეულ, მკვიდრად შეკრულ და ძლიერ დაჯგუფებას. ეს იყო პრეცედენტი ქართულ ლიტერატურაში, როცა ახლისმაძიებელმა პოეტურმა ნიჭმა, გაცნობიერებულმა ორიენტაციამ, ინტერესთა თანხვედრამ, შინაურმა ინტიმმა და მეგობრობამ შექმნა ჯგუფი და ასეთ სიმაღლეზე აზიდა კიდეც.

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკურობა, ერთი მხრით, ამ ჯგუფის, როგორც ლიტერატურული სკოლის სისუსტეს მოასწავებდა, მეორე მხრით კი, მისი თავიდათავი მიზნისათვის — ქართული პოეზიის ნოვაციისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა. „ცისფერყანწელებმა“ სიმბოლიზმს მიმართეს, რამეთუ საქართველოში მშობლიური პოეზიის „მსოფლიო რადიუსით გამმართველი“ ძალა არ ეგულებოდათ; ხოლო როცა პოეტური წარმოსახვის განახლებისათვის რუდუნება ვერ მოთავსდა სიმბოლიზმის არტახებში, არც სიმბოლისტური დოგმების რღვევას მორიდებიან.

ასეთი იყო „ცისფერი ორდენი“. წინააღმდეგობრივი, უცხოური მოდური „იზმების“ მიმდევარი, ერთი მხრივ, და, — მშობლიური მწერლობის ნრფელი მოამაგე, მისი წინსვლის მოსურნე, ქართული პოეზიის განახლებისათვის ჯვაროსნული ლაშქრობის მენინავე.

მაინც რა ხიბლი ჰქონდა, ან რა „დაანაშაული“ მიუძღვოდა „ცისფერ ორდენს“, ალმანახის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე უზომო პოპულარობა (პოზიტურიც და ნეგატიურიც) რომ მოიპოვა და დღემდე ლეგენდის საბურველში რომ მოაღწია?

თავის დროზე, მთვლემარე ქუთაისი შეაზანზარა პაოლო იაშვილის „პირველთქმის“ სიტყვებმა: „ვცოცხლობთ სიმთვრალეში და გვწამს ყოველგვარი ორგა... ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას... უარყოფთ წარსულს“...

„პირველთქმის“ ავტორი, ახალგაზრდა მგოსანთა სახელით, ქართველ ხალხს მიმართავდა: ქართულ პოეზიას დაეპატრონენ საცოდავი მომღერლები ავადმყოფი ჩანგებით, ყვითელი მასწავლებლები ლერთის ქადაგების და პატიოსნებისა, საქართველოს უსხივო ხალხმა სითამამის მშვენება დაკარგა და ხელოვნების მეუფებას განუდგა; მაგრამ ოცნებადაკარგულ ხალხს მოევლინენ უკვდავი ძმები, ახალგაზრდა მგოსნები, რომელთაც ბრძოლა გამოუცხადეს უშმინდესი ხელოვნების მტრებს, დავიწყების ზღვაში გადაის-

როლეს წარსულის ოქროს გვირგვინების ძვირფასი მარგალიტები, ცეცხლს მისცეს ყველაფერი, რაც წარსულმა განადიდა; სამაგი-ეროდ კი ქართველ ხალხს აღუთქვეს განახლება, ნათელი მომავალი: „საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივ-მოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისკენ“.

პაოლო იაშვილი პირდაპირ მიუთითებდა „განახლების მგოსანთა“ ძმებზე — ფრანგ პოეტებზე: „საქართველოს შემდეგ უნმინდესი ქვეყანა არის პარიზი... სადაც გიუჟური გატაცებით ჯამპაზობენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რიმბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“.

„პირველთქმაში“ სიმბოლისტურ თეორიათა გამოძახილიც გვხვდება: სიმბოლიზმი შემეცნების ორ გზას აღიარებს: ლოგიკურს, რომელიც გარეგან მოვლენებს აწესრიგებს და ინტუიციურს, რომელიც სამყაროს არსა წვდება. სიმბოლიზმი აღიარებს ინტუიციის პრიმატს ლოგიკაზე და პოეზიას ანუ ინტუიციური შემეცნების ერთ-ერთ სახეობას სამყაროს უმაღლეს, სინთეზურ შემეცნებად მიიჩნევს. ამიტომ ყველამ უნდა აღიაროს პოეზიას, ხელოვნების ქვეშევრდომობა: „პირველთქმა ჩვენი არის შხამური, იგი ადულებული ფოლადივით დასწვავს თქვენს გულს, უნმინდესი ხელოვნების მტერნო, თქვენ, ვისაც არა გრამთ ხელოვნების მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას“. პაოლო იაშვილი იმასაც დასძხნს, რომ განახლების მგოსანთა „პოეზია გამთბარია მახვილი ინტუიციის ალურობით“.

ვერლენმა საპროგრამო ლექსში „პოეტური ხელოვნება“ მოითხოვა „მუსიკალურ“, თუნდაც გაუგებარ სიტყვათა ხმარება პოეზიაში. ამის გამოძახილს ვხვდებით „პირველთქმაშიც“: „ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები...“

უან მორეასის „სიმბოლიზმის მანიფესტში“ ერთგან ვკითხულობთ: „სიმბოლიზმს ესაჭიროება ენა თამამი შემოქმედისა, რომელიც ისევე ზუსტად ისვრის მიზანში სიტყვას, ვითარცა თრაკიელი მშვილდოსნები ფრთოსან ისრებს“. შევადაროთ „პირველთქმის“ ფრაგმენტს: „ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა“.

ცხადია, პაოლო იაშვილი კარგად იცნობდა სიმბოლიზმის თეორიულ წანამძღვრებს, მაგრამ იგი, უნინარეს ყოვლისა, „ცისფერი ორდენის“ უპირველესი „მთავარსარდალი“ იყო, ხოლო „როგორც თეორიული, ისე შემოქმედებითი ბრძოლის უმთავრესი სიმძიმე

ტიციან ტაბიძესა და ვალერიან გაფრინდაშვილს დააწვა მხრებზე“ („მალვა აფხაიძე“).

სწორედ ტიციან ტაბიძის წერილში „ცისფერი ყანწებით“ („ცისფერი ყანწები“, № 1, 2) ვხვდებით ცდას, — გაამართლოს სიმბოლიზმის მოვლენა საქართველოში, სადაც „პატონი შაბლონი დღეს მაღაყიას გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანია, მრავალფეხიანი და კომმარივით ანევს ქართულ სინამდვილეს... თუმცა სიმბოლიზმი... კლასიკურ შკოლად იქცა და ერთი თვალით უყურებს კიდევ თავის საფლავს, ...ჩვენში სიმბოლიზმს ღამეც არ გაუთვევია, მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯვაფება“ (ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ახალგაზრდა ავტორის ეს უკანასკნელი მოსაზრება ეწინააღმდეგება კიტა აბაშიძისა თუ გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისს ქართული სიმბოლიზმის გენეზისის თაობაზე).

სიმბოლიზმის ცნების განსაზღვრისას ტიციან ტაბიძე რემი დე გურმონის სიტყვებს იშველიერდა: „სიმბოლიზმს ახასიათებს: ინდივიდუალიზმი, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმულების უარყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურობისადმიც კი...“

შეიძლება ითქვას, რომ უურნალ „ცისფერ ყანწებს“ ორი მანიფესტი ჰქონდა: „პირველთქმა“ და „ცისფერი ყანწებით“. შემდეგში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ერთობ ლირსსაცნობი ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილები, რომელთაც „ცისფერი ორდენის“ გეზი განსაზღვრეს; მაგრამ ზემოხსენებულ ორ მანიფესტს მაინც სხვა ეფექტი გააჩნდა.

ამ დროისათვის საზოგადოება კარგად იცნობდა რუსი ფუტურისტების შემოქმედებას: 1911 და 1914 წლებში საქართველოში გაიმართა ეგოფუტურისტ იგორ სევერიანინის (ცნობილ სიმბოლისტ თეოდორ სოლოგუბთან ერთად), შემდეგ კი კუბოფუტურისტების მაიაკოვსკის, დავიდ ბურლიუკისა და ვასილი კამენსკის ლიტერატურული სალამოები. 1914 წელს რუსეთში გამოიცა წიგნი „იტალიური ფუტურიზმის მანიფესტები“, რომლის ფრაგმენტები ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა.

ამ მეამბოხე პოეტებს არაფრად უღირდათ „საზოგადოების გემოვნებისათვის სილის გაწნა“. „ცისფერყანწელთა“ გამოსვლებშიც კრიტიკოსებმა, უწინარეს ყოვლისა, ეს ტენდენცია შენიშვნეს და სასწრაფოდ ფუტურიზმის იარღიყით შეამკეს ახალი მიმართულება, თუმცა ტიციან ტაბიძემ წერილში „ცისფერი ყანწებით“ მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოაცხადა ქართული სიმბოლიზმის „მოვლენა“.

კრიტიკოსთა უმეტესი ნაწილის ამგვარ დაბნეულობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ პაოლო იაშვილის „პირველთქმაში“ აღმოჩნდა ბევრი რამ საერთო იტალიური ფუტურიზმის მანიფესტებთან. ერთმა კრიტიკოსმა, არცთუ უსაფუძლოდ, „პირველთქმას“, „სიმბოლისტური მართლწერის მიხედვით შესწორებული მარინეტი“ უწოდა.

აღსანიშვილია ისიც, რომ ტიციან ტაბიძე ზემოხსენებულ წერილში — „ცისფერი ყანწებით“ — სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის დაპირისპირებას არ ახდენდა და ზოგჯერ თავის მოსაზრებათა განსამტკიცებლად ფუტურიზმის ავტორიტეტსაც კი იშველიებდა. მაგ: „ახალი ფუტურისტების ტერმინოლოგიით თანამედროვე კულტურა წარმოადგენს უზარმაზარ ქალაქს...“ ან კიდევ: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტიზმის და ფუტურიზმის“. ამ ფრაზაში ფუტურიზმი გააზრებულია როგორც „მომავლის ხელოვნება“, ე. ი. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და არა როგორც ლიტერატურული მიმართულება, რომელიც მაშინ საქართველოში არ არსებობდა და ახლად ფეხადგმულ სიმბოლიზმს მეტოქედაც არ ესახებოდა.

„პირველთქმისა“ და ზემოხსენებული „იტალიური ფუტურიზმის მანიფესტების“ შეპირისპირებისას მართლაც შეინიშნება თანხვდენილობა, რომელიც შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.

პაოლო იაშვილი, ცხადია, კარგად იცნობდა ფუტურიზმის მანიფესტებს; მარინეტის მანიფესტს, რომელიც 1909 წელს პარიზის გაზეთ „ფიგაროში“ გამოქვეყნდა, ის პარიზშივე გაეცნობოდა. „ცისფერი ორდენის“ მოთავეს პირადი ნაცნობობა ჰქონდა იგორ სევერიანინთან და ვლადიმერ მაიკოვსკისთანაც.

უპირველესი, რაც განასხვავებს „პირველთქმას“ არამცთუ ფუტურიზმის, არამედ სიმბოლისტურ სკოლათა საპროგრამო მანიფესტებისაგან, — ესაა სამშობლოს სიყვარული, საქართველოს განახლებისა და წინსვლის დაუკავებელი სურვილი:

„საქართველოს ფირუზ ხელებს გადავეცით ჩვენით აღსარება, ჩვენი წმინდა პირველთქმა.“

...მოფრინდა სურვილი ოქროს ფრთებით და აიტაცა ჩვენი სიმღერა, რომელიც ამიერიდან იქნება მარადი, ისე როგორც ჩვენი ქვეყანა. საქართველოს ხალხო, დავიწყებულო, მაგრამ დიდებით დაგვირგვინების ღირსო!

...უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე — ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას“...

საპროგრამო ხასიათისაა „ცისფერი ყანწების“ უსათაურო ლექსიც, რომელშიც კლასიკური ხელოვნების უარმყოფი პოეტი საკმაოდ რეალისტურად გადმოგვცემდა „სიმბოლისტური კაბა-დონის“ ერთ-ერთ თეზისა:

პაოლო იაშვილს მომენტინა ყვითელი დანტე,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,
რა ვენა, რომ ჩემთვის ბეთოვენი მხოლოდ ყრუ არი
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი...

პაოლომ ესეც არ იქმარა და, თავისი ეროტიკული ლექსებისათვის მეტი სიმძაფრე რომ მიეცა, ლიტერატურულ მისტიფიკაციას მიმართა: „ელენე დარიანის“ სახელს ამოეფარა. მაშინ ამ არარსებული პიროვნების არსებობაში ეჭვიც კი არავის შეპპარვია. ცხადია, ქუთაისლები თანაბრად აღაშფოთა „პირველთქმაშ“, ზემოხსენებულმა ლექსმა და, განსაკუთრებით, „ქართველი ქალის“ „ურცხვმა“ ლექსებმა. ამიტომ სწორედ პაოლომ იწვინა „ცისფერი ორდენის“ წინააღმდეგ მიმართული შემოტევების მთელი სიმძიმე, ტიციან ტაბიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის საპროგრამო წერილები თუ ლექსები კი შედარებით ჩრდილში აღმოჩნდა.

„ცისფერყანწელებმა“ სანადელს მიაღწიეს: ალმანახმა უმალ მიიჰყორ ქართული პრესის ყურადღება. გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ იუწყებოდა: „ეს ერთი ხანია, ქუთაისში, „შუბებს ამტვრევენ“ „ცისფერი ყანწების“ გარშემო... მოხუცმა თუ ხანში შესულმა, ახალგაზრდამ თუ უსუსურმა, დაკარგეს სულის სიმშვიდე და ქუთაისში ომია, ქუჩაში გამართული ომი...“

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „ცისფერყანწელებს“ უჩვეულო პრესულარობა მოუხვეჭა სწორედ იმდროინდელი პრესის გაუთავებელმა და წრეგადასულმა გამოხდომებმა.

„ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელი ნომრის გამოსვლისას უკვე შერბილდა ის მტრული გარემოცვა, რომელიც სკანდალურ სახელს უხვეჭდა ჯგუფს; ამასთან, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჯგუფის დადებითი როლი ქართული ლექსის განახლებისათვის. ევროპული ორიენტაცია პოეზიაში, შერწყმული მშობლიური მწერლობის წინსვლის დაუოკებელ უინთან — სრულიად მისაღები აღმოჩნდა. „ცისფერყანწელთა“ სხვა პერიოდული ორგანოები წინააღმდეგობას აღარ ანუდებოდნენ; მით უმეტეს, რომ მათი ეპატაური ტონიც მკვეთრად შერბილდა.

„ცისფერი ორდენი“ ის-ის იყო მკვიდრდებოდა, რომ ტიციან ტაბიძემ წერილში — „ცისფერი ყანწებით“ უარყო იდეალიზმის გაფეტიშება: „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის... ფილოსოფიურმა

იდეალიზმია იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ქონდა. ქართველებისათვის ცა და მინა სამუდამოდ არასოდეს არ გაყრილან... გულ-გრილად ვუცქერთ ახლაც მატერიალიზმის და იდეალიზმის დუელს... ჩვენში უკვე შერიგდნენ სული და ხორცი“.

ტიციან ტაბიძემ იდეალიზმს „ჭეშმარიტი ქართული მსოფლმხედველობა“ ანუ იდეალიზმისა და მატერიალიზმის ნაზავი დაუპირისპირა.

ახლადმოვლენილმა ქართველმა სიმბოლისტებმა ფრანგულ სიმბოლიზმს მიაჰყრეს მზერა; მათი მაესტრო გრიგოლ რობაქიძეც ხომ დიდად აფასებდა ახალი ფრანგული პოეზიის კორიფეებს. ტიციან ტაბიძე მოითხოვდა, „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე“ და ბოდლერის „ბოროტყვავილებს“ რგავდა ბესიკის ბალში („ქალდეას ქალაქები“):

გაფიზის ვარდი მე პრუდომის
ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის
ბოროტყვავილებს...

ან კიდევ:

...და მე ხანდახან მეჩვენება,
ვითომ სამყარო,
ბაღია დიდი, დაწყევლილი
და შხამიანი.
მძიმე მხედარნი, შუბლშეკრული
და უაბჯარო
მოჰქრიან: რემბო, ერედია,
ემილ ვერჟარნი...

(„უაბჯარონი“, 1916)

პაოლო იაშვილი, რომელმაც ტრიპტიქი — სამი სონეტი უძლვნა ფრანგ პოეტებს („მალარმე“, „ვერლენ“, „ვერპარნ“) აცხადებდა: „ვერლენი, ბოდლერ და მალარმე, ამ სამებაში მე ყველა მიყვარსო“...

ნიშანდობლივია ვალერიან გაფრინდაშვილის „Interieur — პირველი“ (1916 წ.):

ავანთებ სანთელს ვრუბელის წინ მოთენთილ ხელით,
გადავშლი ბოდლერს, გადვიკითხავ მის „მარტოობას“,
მეტყვიან ლანდნი, უცხო ლანდნი: „ისევ მოგელით,
შემოგვირთდით ახლობელო, გიცხადებთ ძმობას“. ...ავახელ თვალებს და გაპერება ლანდთა ღრუბელი,
ჩემს წინ ბოდლერი, გადაშლილი ვით სახარება;

გიუჟურ თვალებით შემომხედავს ჩემი ვრუბელი,
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება...

„ახლობლობა“, „ძმობა“ — გიორგი ლეონიძესთან კიდევ უფრო
ლრმავდება: „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული,
მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე“ („ავტოპორტრეტი“).

„ცისფერყანწელებს“ პოეზიაში ფრანგული ორიენტაცია მშობ-
ლიური მწერლობის დალატად არ ესახებოდათ: „სიმბოლიზმი
ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არი.
ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა
ბევრი სხვა და სხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოუღია
იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმათვისაც
გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია რუსთაველისათვის შეექმ-
ნა „ვეფხისტყაოსანი“. ...როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას
თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური აპერცეფციის ძალით ერი
ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც
იმასთან ახლობელი კავშირი აქვს“, — წერდა ტიციან ტაბიძე.

შალვა აფხაძის მოსაზრებით, „მართალია, სიმბოლიზმი რო-
გორც შეოლა დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში, მაგრამ მის უმაღლეს
განვითარებისათვის არსად არ არის ნიადაგი მზათ ისე, როგორც
ჩვენში. აქ უკვე გაულენთილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების
ელემენტებით; აღმოსავლეთის თვალუნვდენი მისტიციზმი, ჰაერ-
ში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მე-
ტყველი ხმები“ („მეოცნებე ნიამორები“, 1919 წ.).

ევროპული ორიენტაციის მიღებით „ცისფერყანწელები“ ფიქ-
რობდნენ ბოლო მოეღოთ მშობლიური ლიტერატურის ჩამორჩენი-
ლობისათვის, მოესპორ მისი „შინჩაკეტილობა და საკუთარ წვენში
დუღილი“, მათი ფიქრი „პოეზიის მსოფლიოს არესაკენ“ იყო მი-
მართული. „ცისფერყანწელთა“ პატივმოყვარული, იმავდროულად,
ლრმად ჰატრიოტული სწრაფვა — ქართული პოეზიის მსოფლიო
სარბიელზე გაყვანისა — ქართული კულტურის გამარჯვებასაც
მოასწავებდა უთუოდ: „პოეზია, — აყვანილი ეტნოგრაფიიდან და
ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო
ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც“, — ვკითხუ-
ლობთ „ბარრიკადში“ (1922 წ.).

ისიც უნდა ითქვას, რომ მომავალი „ცისფერყანწელები“ ახალ
პოეზიას უმთავრესად რუსეთში (ვალერიან გაფრინდაშვილი, ტი-
ციან ტაბიძე, შალვა აფხაძე, სანდორ ცირეკიძე...) და საფრანგეთში
(პალო იაშვილი) ეზიარნენ, თუმცა იმ დროისათვის 10-იან წლების
ევროპაში სიმბოლიზმა უკვე დათმო პოზიცია და არის გარკვეული

კანონზომიერება მასში, რომ ქართველ პოეტთა მნიშვნელოვანი ჯგუფი გაიტაცა არა ფუტურიზმა, დადაიზმა ან აკმეიზმა თუ იმაუინიზმა, არამედ სწორედ „დრომოქმულმა“ სიმბოლისტურმა მიმართულებამ.

„ცისფერყანწელთა“ ქედმოხრა დასავლური ახალი პოეზიის მიმართ არ ნიშნავდა „მონურ მიპაძვას“ ყოველივე უცხოურისადმი, მშობლიური ქვეყნის საზიანოდ. პირიქით, — მათი საბოლოო მიზანი იყო ქართული მწერლობის წინსვლა ევროპული პოეზიის სიახლეთა ათვისების გზით, მისი გამართვა „მსოფლიო რადიუსით“.

„აშკარაა წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოეხვევა ახალი იდეები“, — წერდა ტიციან ტაბიძე 1916 წელს („ცისფერი ყანწები“, № 2).

პაოლო იაშვილის აზრით კი, — „უდიდესი მიზანი და ოცნება ქართველი პოეტის უნდა იყოს, რომ მან, სავსემ და დამძიმებულმა ერის ყველა ხმებით და ისტორიის რაინდული ეპოპებით, გააგონოს მთელ ქვეყნიერებას ყურის მგლეჯელი ლრიალი“ („ბახტრიონი“, 1922 წ.) „ცისფერყანწელებმა“ თავისებურად გარდასახეს ნიცშეანური მესიანიზმი: „დღეს ინყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების, ...დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ ბუდეს. რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკვთება ქართული იდეა. ...საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით“ (ტიციან ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, 1916 წ.). მესიანური სულისკვეთებაა გამუდავნებული გიორგი ლეონიძის „ქართულ მესიანიზმშიც“: „ჭანგიანმა კავკასიამ აღარ გაგვიშვა და მიგვაღურსმა ჩახეთქილ ქედებს, მაშინ ჩვენ დავირქვით ამირანი და რევანშისათვის შევქმნით ტიტანური ენერგია“ („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ყველაზე ორთოდოქს სიმბოლისტად სახელდებული ვალერი-ან გაფრინდაშვილი იზიარებდა ნიცშეს ალოგიზმს; ქართულ მწერლობაში ეძიებდა ორ საწყისს — აპოლონურს და დიონისურს და ასკვინიდა: „კოსმოსის ზედაპირი ნათელია და მშვენიერია. არიან პოეტები, როგორც პუშკინი, რუსთაველი, რომელნიც გვიჩვენებენ ამ ზედაპირს, გვაბრმავებენ სხივებით და სიხარულით ათრთოლებენ ჩვენს ცქერას. ეს არის პოეზიის აპოლონური სახე. ...კოსმოსის ჭეშმარიტი საფუძველი, მისი მარადი დასაწყისი არის უსახური და მახინჯი ქაოსი, რომელიც იმალება მსოფლიო ყოფნის სილრმეში. ეს არის პოეზიის დიონისური სახე. — ...დღევანდელი პოეზია არის პო-

ეზია ქაოსის, რადგან ქაოტურია თვით საზოგადოებრივი ცხოვრება... პოეტის დანიშნულება იმაშია, რომ შეადუღოს თავის პიროვნებაში ორი სტიქია. ...თანამედროვე ქართული პოეზია ყანწელების სახით აღრმავებს თავის შინაარსს და ფორმას, ის მიღის ქაოსის წყვდიადში, მაგრამ ზურგი გამაგრებული აქვს რუსთაველით“.

უან მორეასი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა სიტყვას პოეზიაში; იგი „ზუსტ სიტყვას“ მოითხოვდა. რუსი სიმბოლისტები, პოტებნიას კვალობაზე, აღიარებდნენ მჭიდრო კავშირს სიტყვის გარეგან გარსსა და მის მნიშვნელობას შორის და სიტყვის მაგიურობაზეც მიგვანიშნებდნენ.

პაოლო იაშვილის „პირველთქმაში“, „გაუგებარი და საოცარი სიტყვების“ შექმნის მოთხოვნა სწორედ სიტყვის მაგიური ძალის აღიარებას მოასწავებდა. გრიგოლ რობაქიძემ „სიტყვის მაგიას“ ამავე სახელნოდების სტატია მიუძღვნა: „ქურუმები ძველად ორი ენით მეტყველებდნენ: ჩვეულით და უჩვეულოთი. უჩვეულო სიტყვა მხოლოდ შეწირულებმა იცოდნენ. ამ სიტყვას ჰქონდა მაგიური ძალა“ („მეოცნებე ნიამორები“, 1922 წ.).

„ცისფერყანწელები“ დასავლური ურბანიზმის აპოლოგეტებად და ქართულ სინამდვილეში მის ერთ-ერთ პიონერებადაც მოგვევლინენ: „პირველთქმის“ ავტორი მოითხოვდა: „ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქიად, სადაც ცოცხალი ქურების ხმაურობა შესცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“ ...ტიციან ტაბიძეს სიმბოლიზმი „ქალაქის ღვიძლ შვილად“ მიაჩნდა.

„ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში დაიბეჭდა პირველი ურბანისტული ლექსები — პაოლო იაშვილის „ფარშევანგები ქალაქში“ და კოლაუნადირაძის „აგზინანი ქალაქი“.

სიმბოლისტებმა პოეზია ქურუმთა ქმედებას გაუთანაბრეს, მოგვის ქმედების სანაცვლოდ, ისინი გარემოების შესაფერ ნიღბებსაც ირგებდნენ: ფართო გასაქანი მიეცა „ცხოვრების თეატრალიზაციას“.

ამის გამოძახილია ტიციან ტაბიძის „ნიღაბის აპოლოგია“: „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების. ...ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“.

სიმბოლიზმის დოგმატის ერთგულება „ცისფერყანწელებს“ კლასიკურისა საერთოდ, და, კერძოდ, წარსულის ქართული მწერლობის „უარყოფასაც“ ავალებდა. მათ დამოკიდებულებას წინამორბედებისადმი შეიძლება ეპიგრაფად ნარუძლვეს ტიციან ტაბიძის სიტყვები:

ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები...

„ცისფერყანწელთა“ მიერ წინაპართა ღვაწლის უარყოფაში უთუოდ არის არტისტული პოზიორობის, ნიღაბის სიყვარულის მომენტი; თუმცა ნიცშეს „პაროლი“ — „სიკვდილი განახლებაა“ — მათვის მისალები იყო.

გავიხსენოთ გალაკტიონის სიტყვებიც „გალაკტიონ ტაბიძის უურნალის“ მანიფესტიდან: „ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი“ (1922 წ.).

წარსულის მოღვაწეთა უარყოფა პირველად ტიციან ტაბიძის წერილში „ცისფერი ყანწებით“ გამოვლინდა.

60-იანი წლების თაობათა ბრძოლა ტიციან ტაბიძეს წარმოუდგება როგორც „ძველი ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგების“ პაექტობა, როცა „ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად, ...მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად...“ ავტორმა, თუმცა დაგმო ილიასა და აკაკის შეხედულება პოეზიის შესახებ, მახვილის მთელი სიძლიერე მათი ეპიგონებისადმი მიმართა: „აკაკის და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა შკოლამ მიიღო კარიკატურული სახე“.

„საქართველოს პანთეონში ახალი მართალი არშინით უნდა გაიზომოს ყველა პიედესტალი, გადაფასდეს ყველა ღირებულებაო“ — აცხადებდნენ „ცისფერყანწელები“ („ბარრიკადი“, 1924 წ.).

რუსთაველის „ამპარტავანი სახელი“ (ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვებია), რა თქმა უნდა, შეუბლალავი დატოვეს: „რუსთაველმა გაიმარჯვა სამუდამოდ: წარსულში, ანდყოში და მომავალში. რა არის აქ მიზეზი გამარჯვების?... იდეალური ფორმა, ღრმა შინაარსი, პოემის უნივერსალობა და ამავე დროს ეროვნული ხასიათი... ან კიდევ: „პოეტიკა რუსთაველის ...წინ უსწრებს ევროპის იდეას ხელოვნების თვითმიზნობის“ (იხ. „რუბიკონი“, 1923 წ. „ბარ-რიკადი“, 1922 წ.).

სოციალური საკითხით დაინტერესებას „წმინდა ხელოვნების“ მომხრე „ცისფერყანწელები“ „სამოციანელთა“ დიდ „ცოდვად“ თვლიდნენ: „ჭეშმარიტად მესაფლავე იყო მე-19 საუკუნე საქართველოში. პოლიტიკური ნერვების საბედისწერო დაჭიმვამ... ეს-თეტიკური კულტურა გააქრო“, — წერდა სანდორ ცირკეკიძე („ბარ-რიკადი“, 1920 წ.). მათი აზრით, შეცდა ილია, რომელმაც „სამუდამოდ დაწყევლა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“, აკაკი,

რომელმაც „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა“ („ცის-ფერი ყანწები“, 2).

ეპიგონური პოეზიის ძირითადი წყარო აკაკის პოეზია იყო; ალ-ბათ ამიტომაც, „ცისფერყანწელთა“ მეხიც ძირითადად მას დაატყდა: „საიდუმლო ბარათს ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს და აღმართ-აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწერვალამდის ვერ მიაღწია“ („ბახტრიონი“, 1922 წ.); აკაკი ვითომცდა „ზერელე აღმაფ-რენით“ გადიოდა ფონს; „ილიას პოეზიას მაინც აქვს კულტურა, ...როცა აკაკი წერეთელი მოკლებულია ლიტერატურასაც კი“... („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ქედმოხრა აკაკის პოეზიის წინაშე და პროტესტი მისი ეპიგონე-ბის მიმართ აშკარად გამოსჭვივის სანდრო ცირეკიძის სიტყვებში: „მისმა მონაფებმა ვერ გაიგეს მისი „აღმართ-აღმართი“ და „სუ-ლიკო“ და თმაგათეთრებულები დღემდის ლექსავენ მიმდინარე ცხოვრების ფილოსოფიას...“ („მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ.).

„ქართვლის დედას“ ძუძუები დაუშრაო“ — ამ სიტყვების ავ-ტორი პაოლო ილიას პიროვნების მიმართ მონინებასაც ამჟღავნებ-და: „ილიას უშველა დიდმა ჭკუამ და გრანდიოზულმა ნებამ, არა პოეტის სახელმა მისცა მას ნახევარი საუკუნის დიქტატორობა საქართველოში“ („ბახტრიონი“, 1922 წ.). „ჩვენთვის უხერხულია ილია ბრუნდე ლექსებიო“ — წერდა გიორგი ლეონიძე; ილია ასცდაო „ნამდვილი პოეზიის რკალს“ — კვერს უკრავდა ტიციანი.

პარადოქსულია ილიას პოეტობის „უარმყოფი“, „ცისფერყანწე-ლების“ აღტაცება ილიას პროზით: „პროზაში ილიას გააქვს XIX საუ-კუნის საქართველო“ (გიორგი ლეონიძე), „ქართული პროზა შექმნა ილიამ და დღემდის მისი პროზა არაა დაძლეული“ (ტიციან ტაბიძე).

„ცასფერყანწელთა“ მიერ წარსულის მწერლობის უარყოფას, ხელოვნურობისა და ლიტონი პოზის ელფერი რომ დაჰკრაეს, იქი-დანაც ცხადდება, რომ ამ საკითხში ისინი სრულიად არათანმიმ-დევრულნი იყვნენ.

მაგალითად, ტიციანი, რომელიც ილიას და სხვა „სამოციანე-ლებს“ „ჭურში ჯდომას“ უსაყვედურებდა, თვითონვე სავსებით გამორიცხავდა ამ ბრალდებას: „ილია ჭავჭავაძემ თავისი დევის ხელით სრულიად გადატეხა ეს სტილი (იგულისხმება „მოკითხვის წერილების“ სტილი, რომელიც თითქოსდა მანამდე არსებობდა ქართულ ლიტერატურაში — ლ. ა.) და ჩვენ გვაქვს უკვე ანალოგია მწერლობის ეკროპის მასშტაბით. ...ჩვენში რომ გაჩნდნენ დადასისტ-ები, ისინიც ვერ უარყოფენ, ილია ჭავჭავაძის დიდი ფიგურა რომ გამოაკლდეს, მეცხრამეტე საუკუნე მაშინ იქნებოდა სამუდამოდ დაბნელებული“ („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ჯგუფმა მალევე „გადასინჯა“ თავისი დამოკიდებულება XIX საუკუნის მწერლობის მიმართ; ის ხომ მექანიკურად გაემიჯნა ქართული მწერლობის უწყვეტ მთლიანობას: ეს ჰგავდა იმ ტოტის მოტეხვას, რომელზეც თავად იჯდა... ერთადერთი გამონაკლისი ვაჟა-ფშაველა იყო, რომლის გენის დაფასების პრიორიტეტი (იმ-ჟამინდელი კრიტიკისაგან განსხვავებით) გრიგოლ რობაქიძეს და „ცისფერ ორდენს“ ეკუთვნის: „ვაჟა მოცემულია, როგორც მთა, როგორც მზე, როგორც პლანეტა, ...პოეტები მას გრძნობენ, როგორც ადამიანი მზესა და ლმერთს“ — წერდა გაზეთი „ბახტრიონი“, რომელმაც, პაოლო იაშვილის თქმით, „ვაჟას დიდებული კამ-პანია“ წამოიწყო.

20-იანი წლების დასაწყისისათვის „ცისფერყანწელებმა“ ძირითადად უარყვეს მერქებური გამოხდომები ქართული მწერლობის მიმართ. ახალგაზრდული ეპატაჟი, ეფექტური ფრაზებით ჟონგლიორობა წარსულს ბარდებოდა.

„ცისფერყანწელთა“ გულისყური ჯგუფის არსებობის მთელ მანძილზე ნეგატიურად და პოზიტიურადაც მუდამ ქართული მწერლობისკენ იყო მიკყრობილი. დევიზით — „სიკვდილი განახლება“ — მათ მცირე ხნით უარყვეს ქართული მწერლობის მონაპოვარი, რათა ევროპული პოეზის უახლეს მიღწევათა გამოხმაურების შემდეგ, კვლავ მისკენ მიემართათ თვალთახედვა. აკი წამოაძახეს კიდეც ქართველმა ფუტურისტებმა „ცისფერყანწელებს“ ამგვარი „ფერისცვალება“: „ხალხი, მოსული აბსოლუტური ნილილიზმით ლიტერატურაში, თანდათანობით იჩიქებენ ყოველი სახელის წინაშე ჩვენი ძველი მწერლობიდან და დღეს სულხან-საბა ორბელიანის, ილიას და ვაჟას ავტორიტეტს ებლაუჭებიანო“ — წერდა ბესარიონ ჟღენტი (გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ.).

„ცისფერყანწელთა“ დახასიათება არ იქნება სრული, თუ ორი-ოდე სიტყვით არ შევეხეთ მათ ბოკემურ განწყობილებას. ისინი გა-ტაცებული იყვნენ ინგლისური „დენდიზმით“, ფრანგი ე. წ. „დაწყევლილი პოეტების“ ზოგჯერ მართლაც დაწყევლილი ცხოვრებით, რუსი სიმბოლისტების დევიზით — „Творите жизнъ“. იმ დროის სხვადასხვა ეროვნების პოეტთა ერთი საერთო ნიშანთვისებაც — საოცარი, უცნაურობებით აღსავსე მოუწყობელი ცხოვრება, მათი ბოკემური მისწრაფები იყო.

სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა თვითმევლელობის.

არა მსურს ვიყო ვიკტორ ჰიუგო, ან აკაკი,
მე მირჩევნია დავილუპო, როგორც ბოჭემა.

სამარცხევინოა პოეტისთვის სხვა კარიერა გარდა სიგიჟის.
არა მსურს ვიყო ბედნიერი, როგორც გოეტე,
მე მირჩევნია დავიღუპა როგორც როლლინა.
სამარცხევინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა ჭლექისა,
დღეგრძელ მალარმეს მირჩევნია ისევ ლაფორგი,
...მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა:
მისთვის ვინამე სამუდამოთ ეს კარიერა,
სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა!..

— ვკითხულობთ ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოპემის მონოლოგში“ (1922 წ.).

მე მესიზმრება კაფე „Mon Parnasse“ —
სენატი ბებერ პროსტიტუტკების.
შენზე ოცნებას ვერვინ მომპარავს
და დღესაც ლვინით დავითუთქები.
...არ მინდა მოვკედე პატრიარქივით,
მინდა გავექცე საქართველოს მზეს,
სადაც, მშობლებო, დაიმარხენით,
დღეს იქ ჯამბაზის სინა გააბეს...
(ტიციან ტაბიძე, „ოცდასამი აპრილი“, 1923 წ.).

ჰა! კინტოს პროფილი,
საეჭვო ტარნები
და დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში მე — სალახანა,

— წერს ქალაქში დაკარგული „გახელებული“ შვილი დედას (პაოლო იაშვილი, „წერილი დედას“, 1916 წ.).

...გაგიჟდა... შემდეგ გარდაიცვალა პოეტი პაოლო იაშვილი...
პოეზიისთვის ბევრი ინვალი,
მაგრამ არ იყო მისთვის საშველი
(პაოლო იაშვილი, უსათაურო, 1918 წ.).

ეს ის დროა, როცა პოეზია და ლვინო დაახლოვდნენ; როცა ყველაფერი, რაც უცნაურობის, სიახლის მიმზიდველობას იყო მოკლებული, მოძველებულად მიაჩნდათ. დრომოქმულად ითვლებოდა ცხოვრების მოწესრიგებული, ჩვეულებრივი მდინარებაც.

„ცისფერყანწელთა“ ისტორია ეს არისო ისტორია ბოპემის — წერდა ტიციან ტაბიძე „მეოცნებე ნიამორებში“ 1923 წ.

პოეტებისა და ლვინის სიახლოვით საქართველოში აღმართ ვე-
რავის გააკვირვებ, თუმცა თანამედროვეთ მაინც ეჩითირებოდათ
„ცისფერყანწელთა“ „ჯგუფური“ ბოჭემური მისწრაფებანი. ენა-
მწარე კრიტიკოსები პაოლო იაშვილს „ცისფერი ყანწების“ თამადას
უწოდებდნენ (გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ.).

1923 წელს დაიწყო ე. წ. „მინასთან დაბრუნება“; ეს ლოზუნგი
თავად ვალერიან გაფრინდაშვილის განცხადებით და აღიარებუ-
ლი თვალსაზრისითაც, ყველაზე „ორთოდოქს — სიმბოლისტად“
სახელდებულ ავტორს უკავშირდებოდა, თუმცა არანაკლებ მნიშ-
ვნელოვანია გრიგოლ რობაქიძის ვრცელი კრიტიკული წერილი —
„დაბრუნება მინასთან, როგორც კერძო ბარათი...“

„ცისფერი ორდენი“, რომლის აქტიური, ჯგუფური ქმედება,
ფაქტობრივად, 1924 წლიდანვე მინავდდა, — ველარ „დაუბრუნდა
მინას... „მინას დაუბრუნდნენ“ ცალკეული „ცისფერყანწელები“
— ტრადიციული ლექსებით, რომელთა უმრავლესობა ტოლს არ
უდებდა „ძველ ლექსებს“, „ცარცით კი არა, — სისხლით რომ წერდ-
ნენ“ (ტიციან ტაბიძე).

ამაობ ვარაუდი, როგორი იქნებოდა „ცისფერი ორდენი“, რომ
არა სოციალისტური რეალიზმის ადეპტთა გამუდმებული მორ-
ალური თუ ფიზიკური წნევი: ისტორიას ვერ „გადაწერ“. მრავლის-
მეტყველია თავად ის ფაქტი, რომ ცხოველი ინტერესი პირველი
ნოვატორული ლიტერატურული დაჯგუფების მიმართ, დღესაც კი
ბევრ სიახლეს შესძენს ქართველ პოეტთა ახალ თაობას.

დასასრულს, მინდა უფრო დაწვრილებით წარმოვაჩინო ერთი
ინციდენტი, ჯგუფის ეკლექტიკისადმი მოდრეკილებას რომ ეხება:

XX საუკუნის 50-იანი წლების მინურულს ცისფერყანწელთა რე-
აბილიტაცია მათი თხზულებების გამოცემით დასრულდა (რა თქმა
უნდა, მკაფრი ცენზურული კუპიურებით), „ცისფერი ორდენის“
აღიარებული მაესტროსა და უფროსი მეგობრის გრიგოლ რობაქ-
იძის სახელი 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე კვლავ ტაბუდადე-
ბული იყო. ასეთმა ვითარებამ განაპირობა ხარვეზი, რაც ამჟამადაც
საცნაურია. გრიგოლ რობაქიძისა და ცისფერყანწელთა შემოქმე-
დებითი და პიროვნული ურთიერთმიმართების ამომწურავი, საფუძ-
ვლიანი და მრავალმხრივი კვლევა დღემდე არ განხორციელებულა,
თუმცა 10-20-იანი წლების პრესაშიც და ახალ ნაშრომებშიც ბევრი
რამ არის გაბნეული და მოსაძიებელი.

მონოგრაფიული ნარკვევი, რომელიც ცისფერყანწელთა და
გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობის მრავალ ასპექტს წარმოაჩინს,
ასე მესახება: რობაქიძის სალექციო მოლვანეობის მენტალური ზე-
გავლენა ცისფერყანწელებზე, — იმხანად, დამწყებ პოეტებსა და

გიმნაზიელებზე; მისი თანამშრომლობა პაოლო იაშვილის „ოქროს ვერძას“ (1913 წ.) და „ცისფერ ყანებში“ (1916 წ.); რეაქცია ცისფერ-ყანელთა გახმაურებულ, ზოგჯერ სკანდალურ საჯარო გამოს-ვლებზე (1916 წლიდან) და მათ პოეტურ ინოვაციებზე; მიმართება საქართველოს ანექსიასა (1921 წ.) და 1924 წლის შეთქმულებასთან; „ცისფერი ორდენის“ პერიოდიკაში (1916-1924 წწ.) გამოქვეყნებული მხატვრული და თეორიული პროდუქცია; მონანილეობა 1926 წელს ნიკოლო მინიშვილის „ქართულ მწერლობაში“ წამონებულ დისკუსიაში — „ფიქრები საქართველოზე“; ემიგრაციის დასაწყისი და „ფაშისტი“ რობაქიძის ძალაგატანებითი შეჩვენება ჟურნალ „მნა-თობში“ (1935 წ.) ცისფერყანელთა მიერ; ცისფერყანელი პოეტების გახსენება მის ბოლოდროინდელ ნაწერებში (მემუარული, ესე-ისტური, ეპისტოლური მემკვიდრეობის გათვალისწინებით).

ის „თეთრი ლაქა“, რომელიც 10-20-იანი წლების ქართულ მწერლობას დღემდე ამოუვსებელ სიცარიელედ დამჩნევია, მნიშვნელოვანნილად უკავშირდება გრიგოლ რობაქიძის ხელოვნურად მოკვეთას, რასაც სათავე დაედო 1935 წელს, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით. მის გარეშე შეუძლებელია „ცისფერი ორდენის“ სრულყოფილი ჯგუფური პორტრეტის წარმოსახვა; მეორე მხრივ, მაგესტროსადმი მიძღვნილი ცისფერყანელ პოეტთა ლექსები, წერილები თუ ესეები, რომელთაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „გრიგოლ რობაქიძის აპოლოგია“, თუნდაც გაზვიადებულად, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს მის ადგილს XX საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ არეალში.

ახლა მხოლოდ ფრთხილ ვარაუდს თუ გამოვთქვამთ იმის თაობაზე, — როდის დაახლოვდნენ გრიგოლ რობაქიძე და ცისფერყანელები; ცხადია, მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი (1901 წლიდან ქართულ პრესაში აქვეყნებდა არცთუ გამორჩეულ სტატიებსა და ლექსებს) მომავალი ცისფერყანელებისათვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩებოდა თუნდაც იმ უპრალო მიზეზის გამო, რომ პაოლო იაშვილი (დ. 1892 წ.), ტიციან ტაბიძე (დ. 1895 წ.) და ვალერიან გაფრინდაშვილი (დ. 1888 წ.) მაშინ მცირენლოვანნი იყვნენ.

გრიგოლ რობაქიძემ მყისიერი პოპულარობა 1908 და, განსაკუთრებით, 1909-1911 წლებიდან მოიხვეჭა, — ინტენსიური სალექციო მოღვაწეობით. მისი პირველი და ძალზე ეფექტური გამოჩენა ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძეს დაუკავშირდა: 1908 წელს ევროპიდან დროებით დაბრუნებულმა, იმუამად სტუდენტმა რობაქიძემ შეუფარავად განაცხადა, — ილიას ვერაგულმა მკვლელობამ მაიძულა მიმეტოვებინა პარიზი და სამშობლოში დავბრუნებულიყავიო.

ამ წლებში უნდა შემდგარიყო იმხანად ქუთაისელი გიმნაზიელების (რომელნიც, მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, ქანდარაზე მოკალათებულნი, ფარულად ესწრებოდნენ საჯარო საღამოებსა თუ სპექტაკლებს) თუნდაც შორეული ნაცნობობა გრიგოლ რობაქიძესთან.

XX საუკუნის ქართული მწერლობისათვის 10-იანი წლების და-საწყისი ერთგვარი ტიხარი ალმოჩნდა, რომელმაც ერთმანეთისა-გან დააშორიშორა XIX და XX საუკუნე. საუკუნის დამდეგი, ზოგა-დად, პირობითი ცნებაა და მისგან არც უნდა მოველოდეთ მყისიერ თვისებრივ ცვლილებებს ლიტერატურაში; თუმცა ისიც აღსანიშნა-ვია, რომ სიახლის მოლოდინი თითქოს ატმოსფეროში თიმთიმებდა. მთელი მსოფლიოს ხელოვანებმა (და, ღვთის მადლით, ამ მხრივ არც ქართველები იყვნენ გამონაცლისნი), გუმანით „იგზნეს“ დიადი და შემაძრნუნებელი, ჯერ არნახული კატაკლიზმებითა და ტოლუპო-ვარი მიღწევებით დაყურსული საუკუნის დადგომა, რაც შემოქ-მედებით სიახლეთა მძაფრ მოთხოვნილებას ბადებდა.

ყოველივე ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული დასავლური ორიენტაციის ისეთ დიდ მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ კიტა აბაშიძე და არჩილ ჯორჯაძე. სწორედ მათი თანამოსაგრე აღმოჩ-ნდა გრიგოლ რობაქიძე, ამ, ან უკვე დიდებული ტრიადის უმრწემე-სი წევრი. გრიგოლ რობაქიძე რომ უნიკალური მოვლენა გახლდათ ჩვენს სინამდვილეში, ამაზე ჯერ კიდევ 1909 წელს მიუთითა არჩილ ჯორჯაძემ: „...ადამიანი ნიჭით დაჯილდოებული, ... ამასთან იმ-გვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველ საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკური ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგა-დოებისათვის სრულიად ახალ და დღემდე თითქმის უცნობ იდეურ მოვლენად ჩაითვლება“ (ჯორჯაძე 1909).

სწორედ ლექციებში ნარმოჩნდა პირველად მისი თავისთავადი, ღვთით ბოძებული ნიჭიერება, ფართო თვალსაწიერი და განსწავ-ლულობა, იმპროვიზაციის შესაშური უნარი და პოლემისტის ალლო, მჭევრმეტყველება და ნოვატორული სულისევთება.

მისი აუდიტორია, თბილისშიც და ქუთაისშიც, რჩეული ქართუ-ლი საზოგადოება იყო: აკაკი და დავით კლდიაშვილი, კიტა აბაშიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, ტელემაკ გურიელი, დიმიტრი უზნაძე, ივანე გომართელი... ახალგაზრდებს, უპირველესად, „მოდერნიზმის ქადაგება“ ხიბლავდა: „გრიგოლ რობაქიძის აქაფებული სიტყვა, აღ-მაფრენი ფანტაზია, თვალისმომჭრელი სახეები ძვირფასი მოგონე-ბაა ჩვენი ახალგაზრდობისა, პირველად იმან შეგვახედა იოპანანის მოქრილ თავს, პირველად იმან მოგვასმენინა ნიცშეს მწვალებელი

სიტყვა”, — წერდა მოგვიანებით ტიციან ტაბიძე (ტაბიძე 1916: 22). საცნაურია, რომ ლექციას ნიცშეზე ცხელ კვალზე, ანუ 1911 წელსვე აღტაცებით გამოეხმაურა აკაკი წერეთელიც.

ყველა თაობის პოეტს თანაბრად ეფონებოდა გულს გრიგოლ რობაქიძის მცდელობა — განეხილა ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. იმთავითვე გამოიკვეთა მისი განუხრელი, მტკიცე ეროვნული მრნამსიც, რითაც აშკარად გაემიჯნა კოსმოპოლიტიზმსაც და ინტერნაციონალურ რადიკალიზმსაც.

აკაკი ბაქრაძის მართებული მოსაზრებით, მთავარი და არსებითი ის იყო, რომ ახალმა თაობამ იგი ლიტერატურულ რეფორმატორად აღიარა (ბაქრაძე 1999: 39).

არაორდინალური და მიმზიდველი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის მიერ „საკუთარი თავის შექმნის“ მცდელობაც (შდრ. ევროპულ „დენდიზმს“ ან ამერიკულ ფენომენს — „Self made man“). სვირელი ხელმოკლე მედავითნის მრავალშვილიანი ოჯახის შვილმა, მიზანსწრაფულმა და მშრომელმა, უცხოეთში განსწავლის რთული და ნარეკლიანი გზა განვლო; უცხოეთში მრავალწლიანი ყარიბობის მერეც, სამშობლოსა თუ ემიგრაციაში, იგი „არა მარტო თავის მსოფლმხედველობასა და მსოფლხატს აყალიბებდა, არამედ თავის გარეგნობასაც“ (ბაქრაძე 1999: 13).

ერთადერთი, რასაც ვერ უმკლავდებოდა გრიგოლ რობაქიძე, მისი მარტივულობა იყო. ალბათ ამიტომაც აქვს პიროვნული, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა მის მეგობრობას ცისფერყანწელებთან.

თუ ვერწმუნებით გრიგოლ რობაქიძის მარადიული კერპის ნიცშეს სიტყვებს — „საბოლოოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ადამიანი საკუთარი არსიდან ტოვებს, სხვა არა არის რა, თუ არა თავისივე ბიოგრაფია“, — უპრიანი იქნება, საგანგებო ყურადღება მივაქციოთ არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ პიროვნულ ურთიერთმიმართებას (ჰისფერყანწელებთან, პირველ რიგში კი — პაოლო იაშვილთან).

საფიქრებელია, რომ მათი დაახლოება „ოქროს ვერდში“ თანამშრომლობით დაიწყო. უურნალი იმ დროისათვის უდავოდ გამორჩეული იყო. ჯერ კიდევ გიმნაზიელმა, არასრულწლივანმა პაოლომ (იგი ბესარიონ ჯაიანის სახელს ამოეფარა) მოახერხა მონინავე ჟურნალის გამოცემა, გააერთიანა საუკეთესო ავტორები (გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, სერგო კლდიაშვილი და სხვ.).

1913 წელს*, უურნალის მზადების პერიოდში, პაოლო თბილის გაზეთ „თემში“ აქვეყნებს „წერილს რედაქციის მიმართ“ და ქართველ მწერლებს თანამშრომლობას სთხოვს: „რედაქცია მიმართავს მონაწილეობის მისაღებად შემდეგ პირთ: ვაჟა-ფშაველას, კიტა აბაშიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, ი. ევფოშვილს, ია ეკალაძეს, ვ.გუნიას, შალვა დადიანს, კ. მაყაშვილს, ი. გრიშაშვილს, ა. აბაშელს, შიუკაშვილს, ლეო ქიაჩელს, ჭუმბაძეს, ნ. ლორთქიფანიძეს, დ. კას-რაძეს, ბარნოვს, გ. ქუჩიშვილს, თურდოსპირელს, ახოსპირელს, ნ.ჩხიკვაძეს, ი. მჭედლიშვილს, ჯ. ჯორჯიას, გ. და ტ. ტაბიძეებს, კ. აბაშიძისპირელს, დია ჩიანელს და სხვა“ (იაშვილი 1913). უაღრესად მეტყველი დოკუმენტია! ცნობილია აგრეთვე პაოლოს ორი პირადი წერილი ვაჟა-ფშაველასადმი, — უურნალში მონაწილეობის თხოვნით (ამ ნუსხაში თითქმის მთელი იმუამინდელი ქართული მწერლობა თავსდება და ბუნებრვად ჩნდება რიტორიკული კითხვა — რატომ ვერ ვეხვდებით აკაკი წერეთლის სახელს? პასუხი კი, სავარაუდო, ასეთია. პაოლომ ვერ შებედა საქართველის უგვირგვინო მეფეს... ნიშანდობლივია, რომ ნუსხის პირველ სამეულში, ვაჟა-ფშაველასა და კიტა აბაშიძის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძის სახელი ჩნდება, რაც უეჭველად მოასწავებს ახალგაზრდა რედაქტორის განსაკუთრებულ პიეტეტს ამ უკანასკნელისადმი.

„ოქროს ვერძში“ გამოქვეყნებულ გრიგოლ რობაქიძის სტატიაში „ბარათები „ოქროს ვერძს“ ავტორი უურნალ გადაჭარბებულ შეფასებას არ აძლევდა, თუმცადა, ქართული მწერლობის იმუამინდელი სიდუხჭირის პირობებში მანც ლირსსაცნობ მოვლენად მიიჩნევდა. სტატია იმითაც არის საინტერესო, რომ მასში პირველად გაისულერა საქართველოს რენესანსის იდეამ, რამაც შემდეგში საფუძვლიანი განვითარება პოვა ცნობილ წერილში „ქართული რენესანსი“ (რობაქიძე 1917).

თამარ ბარბაქაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართული ვერსიფიკაციის ზოგადად და, კერძოდ, თანამედროვე ლექსინუბის ხელოვნებით გრიგოლ რობაქიძის საგანგებო დაინტერესება პირველად სწორედ ზემოხსენებულ სტატიაში წარმოჩნდა (ბარბაქაძე 2003: 34).

„არც მგონია ასეთი ვერძისათვის იაზონმა მოაცუროს თავისი გემი კოლხეთის ნაპირს, მაგრამ მასში არის ისეთი რაღაც, ხელუხლებელი, გამოუთქმელი, რომელიც სიამოვნებას ჰგვრის ხელოვნების მოყვარულს: ეს არის ყვავილოვანი სიყმანვილე, რომლის ლალად

* პ. იაშვილის კრებულის („საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად“, წიგნი პირველი, თბ., 2004 წ.) „შენიშვნებსა და კომენტარებში“ მითითებულია 1914 წ., რაც უთუოდ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

ნაკვეთ შუბლზე ჯერ კიდევ არ გაურბენია ჭენობის ფიქრის ფრთას“ (რობაძიძე 1913: 35) — პირუთვნელად შენიშნავდა გრიგოლ რობაძიძე.

შეუძლებელია, გაუცნობიერებელი ყოფილიყო „ოქროს ვერძის“ სახელწოდების დამთხვევა მილიონერ რიაბუშინისკის დაფინანსებულ, რუსი სიმბოლისტების მდიდრულ უურნალთან „Золотое Руно“ (1906-1909 წწ.). მიბაძვის უნინარეს, ამაში უფრო კოლხიდის მკვიდრთა მიერ „სამართლიანობის ალდგენის“ თუ რაყიფობის ქვეშეცნეულ სურვილს ვხედავთ. უურნალში მოთავსებული ლეონიდ ანდრეევის, იგორ სევერიანინის, ვილიე დე ლილ ა' დანის თხზულებათა თარგმანები, ცნობები დ'ანუნციოს, ვალერი ბრიუსოვის, კონსტანტინე ბალმონტის, იურგის ბალტრუშაიტისის და ე. ნ. ახალი პოეზიის სხვა წარმომადგენლებზე გვაფიქრებინებს, რომ „ოქროს ვერძი“ სულაც არ იყო პროვინციული თვითშემოქმედების ნიმუში. ცხადია, გრიგოლ რობაძიძე მხოლოდ ერთ-ერთი ავტორი იყო უურნალისა; ნაკლებსავარაუდოა, რომ სარედაქციო საქმიანობაში ჩარეულიყო: პაოლოს ორგანიზატორული ნიჭი ჯერ კიდევ 1911 წლიდან იყო ცნობილი, როცა გიმნაზიის უურნალი „Стрелы Колхиды“ გამოსცა.

შემდეგში გრიგოლ რობაძიძისა და მომავალი ცისფერყანწლების გზები დროებით გაიყარა: გრიგოლ რობაძიძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა, პაოლო იაშვილმა წელიწადნახევარი პარიზში დაჰყო (1913-1914 წწ.) ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში ხატვის შესასწავლად; პეტერბურგსა და მოსკოვში იყვნენ ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე, სანდრო ცირეკიძე... მათი ურთიერთთანამშრომლობის ახალ და უმნიშვნელოვანეს ეტაპს საფუძველი 1916 წელს, „ცისფერი ორდენის“ დაარსებისთანავე ჩაეყარა (ჯგუფის თაობაზე დაწვრილებით იხ. ჩემი წერილი „ცისფერყანწლები“, „ლიტერატურული ძიებანი“, XXV, თბ., 2004 წ.).

„ცისფერი ყანწლების“ პირველი ნომრის გამოსვლისთანავე (1916 წლის 28 თებერვალი), როგორც ჩანს, საზოგადოების ერთმა ნაწილმა მტკიცნეულად აღიქვა გალაკტიონის, ნიკო ლორთქიფანიძის, იოსებ გრიშაშვილისა და გრიგოლ რობაძიძის მონაზილეობა ახალგაზრდული ეპატაჟით შეპყრობილ და „მეხის გავარდნის“ ეფექტის მოსურნე აღმანახში. „ცისფერი ყანწლები“ პაოლო იაშვილის დეკლარაციით, „პირველთქმით“ იწყებოდა, პოეზიის განყოფილება — გრიგოლ რობაძიძის ლექსით „სირენას სიმღერა“. დღეს ჩვენს ყურადღებას უფრო მიძღვნა „თ-დ კიტა აბაშიძეს“ და წითელი საღაბავით გამოყოფილი რითმა იპყრობს, ვიდრე თვით ლექსი. სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ კიტა აბაშიძე რობაძიძის-თვისაც და პაოლოსთვისაც სულით ხორცამდე არისტოკრატი იყო

(ეს შეხედულება რამდენადმე ენინააღმდეგება გვაროვნული და სულიერი არისტოკრატიზმის ოპოზიციურ წყვილად გააზრებას): „Вся эстетическая Грузия в продолжении последних пяти месяцев была обращена взорами к большому Кита Абашидзе, смерть которого вызывала такой глухой болезненый стон в наших сердцах. Это был маркиз, влюблённый в Миоссе и Уайлльда, у которого рядом с обширным томом “теории федерализма” всегда таилась маленькая книжечка Николая Бараташвили. ... Ушёл от нас человек в трёх лицах: князь, эстет и социалист“ (Яшвили 1917).

დიდმნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გრიგოლ რობაქიძეს ამ დროისათვის უდიდესი პოპულარობა ჰქონდა მომოვებული სალექციო და ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობით, უჩვეულო ფილოსოფიური ესთეტიკური ნააზრევით (უფრო ნაკლებად, — ლექსებით); თანაც ის მაინც სხვა თაობის კაცი იყო და ცისფერყანწელებთან უფრო ოსტატ-შეგირდის დამოკიდებულება აკავშირებდა, ვიდრე თანამოსაგრისა.

ტიციან ტაბიძემ ვრცელ წერილში „ცისფერი ყანწებით“ სრულიად არაორაზოვნად გამოაცხადა სიმბოლიზმის „მოვლენა“ საქართველოში და სიმბოლიზმის უპირველეს მესაძირკვლედ გრიგოლ რობაქიძე დასახა: „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. რობაქიძეზე არ გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ეღობება გაუგებრობის გალავანი. მას არაფრად დაჯდომია ძველ ლირებულებათა გადაფასების კადნიერება, ახალ ძიებათა ფეირვერკების გასროლა... საფიქრელი იყო, რადგან სხვაგან ასეთი აღელვება გამოიწვია სიმბოლიზმა, ჩვენშიც მონახავდნენ ფიჩხებს ინკიზიციის ცეცხლის დასანთებად, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს უთხრეს თავის დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით ინურება ქართული ესთეტიკური კულტურა გრიგოლ რობაქიძემდის“... (ტაბიძე 1916)

ტიციანის აშკარად გაზვადებულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ „გაუგებრობის გალავანი“ გრიგოლ რობაქიძის წინაშეც აღიმართა; თუმცა, ცხადია, მომეტებულ გულისწყრომას მისდამი არ ამჟღავნებდნენ, მისი სახელოვანი მოღვაწეობისა და თუნდაც ასაკის გამო. თავის მხრივ, გრიგოლიც აშკარად ერიდებოდა საზოგადოების გალიზიანებას: არ მონაწილეობდა ჯგუფის სკანდალურ საჯარო გამოსვლებში 1916 წლის აპრილსა და მარტში; მან განაზე განდგომა არჩია, თუმცა, რომ მოენადინებინა კიდეც, გაუჭირდებოდა ცისფერყანწელთა „გაფრენების“ მოთოვა.

გრიგოლ რობაქიძეს არავითარი „ზენოლა“ არ მოუხდენია არც პაოლოზე (რომლის „პირველთქმა“ მაესტროსათვის ეგზომ საძულ-

ველი ფუტურიზმის მანიფესტებისაგან დიდად არის დავალებული), არც ტიციანზე (მისი „ცისფერი ყანწებით“ ხომ რობაქიძის აშკარა აპოლოგია); იგი არ ჩარეულა რედაქტორის საქმიანობაშიც. იმ-დროინდელი გაავებული და წრეგადასული კრიტიკის სამიზნე პა-ოლო იაშვილი გახლდათ: „პირველთქმის“, საპროგრამო ლექსის („პაოლო იაშვილს მომენტინა ყვითელი დანტე“...) და დარიანული ლექსების გამო.

ვითარებას ნათელს ჰქონდა პეტერი არი, რომელთაც თბი-ლისისა და ქუთაისის იმდროინდელ პრესაში მივაკვლიე.

უმჯობესი იქნება თვით რობაქიძის იმუამინდელ განცხადებას ვერწმუნოთ: „ამ დღეებში ქუთაისში გაიმართება ჩემი ლექცია „ცის-ფერი ყანწების“ შესახებ. ბევრსა პგონია, თითქოს მე მარტო „დამ-ცველის“ როლში გამოვდიოდე. ეს მოკლებულია სიმართლეს. მარ-თალია, მე პირადად „ცისფერი ყანწები“ მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩრინა ჩვენს ლიტერატურაში, — მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ალმანახის შედგენისათვის საერთო რედაქცია არ ყოფილა გამარ-თული (ყოველი მონაწილე იქ მხოლოდ თავის ნაწარმოების პასუხ-ისმგებელია), — და ამისთვის იქ გამოოქმული პრინციპები ჩემთვის სავალდებულო არ არის და არც რომელიმე მხატვრული ნაწარმო-ებია იქ მოთავსებული ჩემთვის უსათუოდ მოსაწონი. ზოგი პრინ-ციპი მისაღებია, ზოგი არა, — ზოგი ნაწარმოები მოსაწონია, ზოგი — არა. სწორედ ამის გასარკვევად ვაპირებ ლექციის წაკითხვას ქუ-თაისში, საცა „ცისფერი ყანწების“ გარშემო ასეთი საზარი ატმოს-ფერო შეიქნა. მოვალეცა ვარ, როგორც ალმანახის მონაწილე, სა-ჯაროდ ვთქვა ჩემი სიტყვა“ (რობაქიძე 1916).

ლექციის თაობაზე დაიბეჭდა ჯაფარ-ფაშას (ნიკო ჯაფარიძის) საკმაოდ სუსხიანი სტატია „ბატონ გრიგოლ რობაქიძის ლექცია“: „ბ-ნი რობაქიძე ამ ბოლო დროს თავისივე ნებით ანვრილმანებს და ამდაბლებს თავის თავს.

რაში ვხედავთ ჩვენ გრიგოლ რობაქიძის თავის დამცირებას?.. თუნდაც იმაში, რამაც აიძულა იგი წაეკითხა ლექცია „ცისფერი ყან-წების“ შესახებ.

ამ ალმანახის გარშემო ატეხილი უსიამოვნო ატმოსფეროს შე-საშსუბუქებლად გრიგოლ რობაქიძე, როგორც ერთი მონაწილე კრებულისა, იძულებული გახდა საჯარო ლექციით თავდასაცველი სიტყვით მიემართა ქუთაისის საზოგადოებისათვის.

რას მიაღწია თავის ლექციაში გრიგოლ რობაქიძემ? „ცისფერი ყანწების“ ლირებულების შესახებ პოც ბრძანა და არაც.

... სუსტ მხარეს, სამწუხაროდ ბ-ი რობაქიძის ნიჭიერმა ენამე-ტყველებამაც ვერაფერი შესძინა. საზოგადოდ ეს ადგილი ლექცი-

ისა მეტად ძნელი გამოდგა ავტორისათვის და ისე სუსტი, როგორც ამ ადგილზე იყო გრიგოლ რობაქიძე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჯერ იგი არავის ახსოვს.

... პაოლო იაშვილის მანიფესტში გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ ყმანვილურ გატაცების ნაყოფსა ხედავს. დარიანის ლექსებში ნიჭი-ერ ავტორს ეძებს, ხოლო თვით ლექსების შესახებ აცხადებს, ზომ-იერების საზღვარგადაჭარბებულად მიმაჩრიაო.

...ლექტორი წინდახედულად ცდილობდა მსმენელთა შორის უკ-მაყოფილების ტემპერამენტი არ გამოეწვია.

...გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, როდესაც „ცისფერი ყანწები“ თავის მოვალეობას ვეღარ შეასრულებს, ჩვენ თვითონ დავამს-ხვრევთ მათო... (ჯაფარ-ფაშა 1916).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ რობაქიძის ლექციის ანგარი-შიც ზედმინევნით მიესადაგება მისი ზემოხსენებული წერილის სულისკვეთებას.

რობაქიძე კი არ განუდგა ცისფერყანწელებს, თავის გადასარჩე-ნად (ეს მას არ ესაჭიროებოდა) კი არ განირა ისინი, მან საზოგადოე-ბას ამცნო შექმნილი ვითარება, ჩემი აზრით, სიფრთხილით, მაგრამ მიუკერძოებლად. „ცისფერი ორდენის“ წრეგადასული ეპატაჟი და რაგინდარა გზით თავის დამკვიდრება, პირდაპირ უნდა ითქვას, პაოლოს დაუკებელი ტემპერამენტისა და პარიზიდან გამოყოლი-ლი მეამბოხე სულის, როგორც შემდეგში კოლაუ ნადირაძე იტყოდა, „ესთეტ-ბუნტარობის“ გამოვლენა იყო; მას, რა თქმა უნდა, ჭაბუკი ცისფერყანწელებიც ამოუდგნენ მხარში.

გრიგოლ რობაქიძე სრულიადაც არ იზიარებდა წარსულის უარყოფის პათოსს, ზოგჯერ აშკარა მკრეხელობასთან რომ იყო წილნაყარი; იგი, როგორც ჩანს, მაინც სხვა ლიტერატურულ თა-ობას მიეკუთვნებოდა; ცხოვრებაშიც რობაქიძე უფრო განინას-წორებული, თავშეკავებული, ძლიერი ინდივიდუალიზმით აღბეჭ-დილი, თუნდაც „ნარცისული“ პიროვნება გახლდათ. მისი ყაიდისა და ტემპერამენტის კაცს ცისფერყანწელთა სკანდალურ ჯგუფურ გამოსვლებში მონაწილეობა ვერაფერს შესძენდა.

ამიტომაც გადგა განზე ანუ ერთგვარი დისტანცია მონიშნა, თორემ იდეური მრჩევლისა თუ კეთილმოსურნე კრიტიკოსის ფუნ-ქციას ყოველთვის ასრულებდა.

დღევანდელი გაგებით, გრიგოლ რობაქიძე უფრო „საპატიო თავმჯდომარე“ გახლდათ „ცისფერი ორდენისა“ და არა ლიდერი, ან, მით უმეტეს, — რიგითი წევრი.

ზემოთქმულის მიუხედავად, როცა ჯგუფის „საკრალურ“ 13 წევრს შორის რობაქიძეს უპირველეს ადგილს მიუჩენდნენ ხოლმე,

იგი პროტესტს არ გამოხატავდა.

1922 წელს პაოლო იაშვილი „ცისფერი ორდენის“ ათ წევრს ასახელებდა, სია გრიგოლ რობაქიძით იწყებოდა (იაშვილი 1922); ტიციან ტაბიძის თქმით, ჯგუფში 13 წევრი იყო (13 ასურელი მამის ანალოგით), ნუსხას კვლავ რობაქიძე ედგა სათავეში (ტაბიძე 1924).

ცხადია, ცისფერყანელებს ეამაყებოდათ მაესტროს თანადგომა; თავის მხრით, რობაქიძეც ტოლს არ უდებდა მათ მეგობრობასა და სიყვარულში: „ვიყავ ყანწელებთან მხოლოდ როგორც მეგობარი, უფროსი დამხმარე და წამხალისებელიო“, — დაწერს ხანდაზმული მწერალი მოგვიანებით.

ცხადია, გრიგოლ რობაქიძის ფენომენი სხვებზედაც ძალუმად ზემოქმედებდა. ნონა კუპრეიშვილმა მიაკვლია ვახტანგ კოტეტიშვილის წერილის — „1922 წლის ქართული მწერლობის მიმოხილვა“ — დაუბეჭდავ ფრაგმენტს, რომელიც რობაქიძეს ეხება. ღირსსაცნობია მისი კომენტარი: „რობაქიძე ავტორს ქართული კულტურის ახალი სტილის შემქმნელად მიაჩნია ანუ იმგვარ შემოქმედად, რომელსაც ძალუს დანერგოს, განავრცოს და სხვებისათვის გადამდებად გაიაზროს მხატვრული აღქმისა და შემეცნების აქამდე უცნობი ფორმები.

„...პრიუსოვმა ერთ ლექსში ბალმონტს მიმართა: „Мы пророки, ты поэт“, — ვკითხულობთ წერილში, — „ვილაც უნდა არსებოდეს, რომ გრ. რობაქიძეს მიმართოს ბრიუსოვის მსგავსად. იგი მართლაც რომ თავის პოეტურ წრეში წინასწარმეტყველია. იგი იძლევა პაროლებს. იგი აბრუნებს პოეზიის კომპასს“... (კუპრეიშვილი 2003: 64-65). ვახტანგ კოტეტიშვილის წერილი 1923 წლით თარიღდება, ჩვენდათავად შევნიშნავთ, რომ რობაქიძე მარტო თავის პოეტურ წრეში როდი იყო წინასწარმეტყველი, დღემდე თითქმის შეუსწავლილია მისი პროზისა და დრამატურგიის ზეგავლენა 20-იანი წლების ქართულ მწერლობაზე.

„მოდერნიზმის ქადაგი“, „წინასწარმეტყველი“, „მთაწმიდელი“, „უნდინდესი“, „უნეტარესი“ — ამგვარად ამკობლენტ მაესტროს ცისფერყანელები, თუმცა უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის სარწმუნო მოსაზრებით, რობაქიძეს ჯგუფის სახელწოდების შერჩევაშიც კი არ მიუღია მონაწილეობა. გალაკტიონის სიტყვებს (მიუხედავად მისთვის ჩვეული ირონიისა) ნამდვილად დაეჯერება: იგი „ცისფერი ყანწების“ 1 ნომერშიც თანამშრომლობდა, თუმცა მალევე განუდგა მათ; საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი, — წერდა იგი ოლია ოკუჯავას.

„გალაკტიონის და ცისფერყანელთა ურთიერთობას ეხება ბელა ნიფურია წერილში „გალაკტიონი და ცისფერყანელები“ („გალაკტიონოლოგია“, I, თბ., 2002 წ., გვ. 60-78).

გალაკტიონის არქივში გამოვლენილი ეს უნიკალური ფრაგ-მენტი გამოქვეყნდა 1995 წელს: „ეძებდნენ ისეთ სახელს, რომელიც უნდა ყოფილიყო 1) სრულიად ახალი მიმართულების გამომ-ხატველი, 2) ეროვნული კოლორიტის მატარებელი და 3) რომელიც გამოდგებოდა ჯგუფის სახელწოდებისთვისაც. პაოლომ სთქვა „ცისფერი ყანნები“ და გაიტანა კიდეც, ვინაიდან მის მეტს ფული არავის ჰქონდა აღმანახის გამოსაცემად. ამგვარად დაიბადა ჯგუფი „ყანნების“ სახელწოდებით. როგორც მახსოვს, სხვა სახელწოდება არ ყოფილა წამოყენებული. „ცისფერი“ რომანტიულია, „ყანნები“ — ორმაგად. ჯერ როგორც თვით საგანი და ანბანთა რიგით — ყ. ნ. — ეროვნულია, ამბობდნენ“ (ტაბიძე 1995).

ოსტატ-შეგირდთა წესისამებრ, რობაქიძესა და ახალგაზრდა პოეტთა შერის არც წვრილმანი განხეთქილება იყო უცხო. მარ-თლაც, პაოლოსათვის ბევრირამ მხოლოდ „თამაში“ იყო, მას შეეძლო თვეობით არ მიჰკარებოდა საწერ მაგიდას, შეეძლო გადაჰყოლოდა ნაირგვარ მისტიფიკაციებს, გადახვეწილიყო სამოგზაუროდ, სა-ნადიროდ, სანადიმოდ; არტისტული, ემოციური ტიციანისათვის სრულიადაც არ იყო სათაკილო დადაიზმთან თუ ფუტურიზმთან კავშირი.

ყველაზე „ორთოდოქს-სიმბოლისტად“ აღიარებული ვალერიან გაფრინდაშვილის მრნამსი უფრო მისაღები იყო რობაქიძისათვის, სწორედ მას მიმართავდა მაესტრო „სამედიატოროდ“. ამის დას-ტურია მისი უაღრესად საინტერესო, 1919 წლით დათარიღებული კერძო წერილი ქუთაისში მყოფი ვალერიანისადმი; მაგრამ აქ მცირე რეტრო-ექსკურსი დაგვჭირდება: 1917 წლიდან თბილისში რევო-ლუციასა და სამძალაქო ომს განრიდებულმა ბევრმა რუსმა ავან-გარდისტმა მოიყარა თავი. მათ შორის იყო ალექსეი კრუჩიონიში, უსაჩინოესი ფუტურისტი და „ზაუმური“ ენის ფუძემდებელთაგანი. იგი ჯერ „ფუტურისტების სინდიკატში“ შევიდა, ილია ზდანევიჩთან, კოლაუ ჩერნიავსკისთან, ლადო გუდიაშვილთან და კირილე ზდან-ევიჩთან ერთად, ხოლო 1918 წლის თებერვალში ილია ზდანევიჩთან და იგორ ტერენტიევთან ერთად ფუტურიზმის „ახალი“ სახეობა — ჯგუფი „41⁰“-ის — შექმნა.

ქართველი და რუსი ავანგარდისტი პოეტები და მხატვრები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, მონაწილეობდნენ ერთურთის საღამოებსა და ბეჭდვით ორგანოებში, იკრიბებოდნენ ხან „ფან-ტასტიჩესკი კაბაჩოკში“, ხანაც ცისფერყანწელთა კაფე „ქიმერი-ონში“ (ორივე მათგანი რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობდა).

მათ ერთობლივ საღამოს ეხება რობაქიძის წერილი ვალერიან გაფრინდაშვილისადმი:

„ძვირფასო ვალერიან!

ივნისის შვიდს აქ საღამო გაიმართა შესახებ მხატვრობის. ილაპარაკეს: კაკაბაძემ, სუდეივინმა, ტიციანმა, მე. ტიციანის სიტყვა ჩემთვის მოულოდნელი იყო: ჯერ ერთი, თითქოს მას დაასწრეს ფუტურიზმის დეკლარაცია (ასეთი იყო შთაბეჭდილება) – განაცხადა მან: ფუტურიზმის ნამდვილი დეკლარაცია ამ სცენიდან მაღე მოხდება ჩვენი ჯგუფის მიერ. გარდა ამისა, იყო ასეთი ხაზი სახელების: პიკასსო და სკრიაბინი, მალლარმე და კრუჩინიხი... და სხვა...

მე ავლელდი საშინლად: უმთავრესად იმის გამო, რომ თემა ჩემი იყო სასიცოცხლო (— ჩემთვის მაინც), ვილაპარაკე კუბიზმის შესახებ: როგორც თანამედროვე რიტმი კოსმოსის დაშლის ათვისებისა. მივიღე იგი იმდენათ, რამდენათაც იგი გამართლებულია სულის ტრაგედიით და ესთეტიური კათარზისით. გარეშე ამისა: იგი მხოლოდ დემონოლოგია. კრუჩინიხი დავახასიათე როგორც „სკომორი вшивის ბესენი“ და ვამხილე მისი შემოქმედებითი არა-რაობა — (მალლარმეს გვერდით მას რა უნდა?!)... ჩემი სიტყვა ალბათ დაიბეჭდება.

შემდეგ: ტიციანი გამომელაპარაკა:

მან მითხრა: როგორც „ჩვენ“ გვეჩვენება „სიო“ და სხვა ამგვარი ბანალობად, ასე ეჩვენება ალბათ კრუჩინიხის ბანალობად ბალმონ-ტი და სხვაო... და მეც ამას ვგრძნობ სწორად.

მე შევეკითხე: იქნება ოდესმე ქვეყანაზე ისეთი რამ, რომელიც შემდეგ ბანალობად არავის მოეჩვენოს?

მან მომიგო: არა.

მე კიდევ: მაშ მსოფლიოს მიღება შეუძლებელია?

ტიციანი: დიახ, შეუძლებელია...

მე: აქედან დასკვნა?

ტიციანი: თავის მოკვლა...

მან ისიც გადმომცა, რომ თქვენ უარი გითქვამთ სონეტის წერაზე და პაოლოს უტირია, რომ პოეზია უკანასკნელად დაეჭვებია...

მე არ მინდა აქ ყველაფერი ვთქვა...

მე მინდა მხოლოდ თქვენი და პაოლოს აზრი გავიგო.

თქვენ კარგად იცით ჩემი აზრი: პოეზია არარიტმული სიტყვაა და მსოფლიოს მეტაფიზიკური ამონურვა. ეს დასკვნა ბევრს რამეს თხოულობს წინასწარ. მე მნამს, რომ მსოფლიო ლვთის ქმნადია და ხელოვანი მისი თანაშემოქმედი. ეს არ არის ფიგურული თქმა. თუ ეს მიღებული იქნა, მთელი დემონოლოგია ტიციანის უარყოფილ უნდა იქნას...

თქვენ იცით, რომ მე თქვენთან ვარ როგორც ძმა და შემოქმედი. ძალზე ვგრძნობ თქვენი (სამის) სიყვარულს. ხოლო, შესაძლოა თქვენ (პაოლო და თქვენ) ისე ფიქრობდეთ, როგორც ტიციანი და მართლაც გადაწყვეტილი გქონდესთ ახალი „გამოსვლა“.

უნდა იცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში ვერ გამოგყვებით. სიყვარული ნამდვილი — სასტიკია. მე არ შემიძლია თავის თავის ღალატი. თქვენთვისაც უფრო კარგი იქნება: უფრო თავისუფლად იმოქმედებთ.

ნუ გაიკვირვებთ, რომ „ასე“ გწერთ: მიუხედავად ტიციანის „იმპრესიონიზმისა“, მისმა სიტყვებმა დამაფიქრეს.

ეს ბარათი წაუკითხეთ პაოლოს...

ველი პასუხს: ორივესაგან...

თქვენი ერთგული გრ. რობაქიძე.

მისამართი: თბილისი, ცხნეთის ქ. 4, ბინა 1.

P.S. აუცილებელია თქვენი და პაოლოს აქ ჩამოსვლა ერთი კვირით მაინც” (რობაქიძე 1988).

ვერას ვიტყვი იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოჰყვა გრიგოლ რობაქიძის თხოვნას: შეიძლება ვივარაუდო, რომ მაესტროს შეშფოთება უთუოდ ვალერიანსა და პაოლოსაც „გადაედო“ (გრიგოლის განაწყენება მათვის წარმოუდგენელი იყო), მათ სასწრაფოდ აცნობეს ამის თაობაზე ტიციან ტაბიძეს... ასე იყო თუ ისე, არავითარი ერთობლივი „ფუტურისტური დეკლარაცია“, როგორც მოსალოდნელი იყო, ცისფერყანწელებს არ გამოუქვეყნებიათ. ტიციან ტაბიძის მოულოდნელი გამოსვლა ფუტურიზმის დეკლარაციის „მუქარით“ ალბათ უფრო რუს ფუტურისტებთან მეტოქეობის გრძნობით თუ აისწნება. ტიციან ტაბიძე დიდად აფასებდა (ლირსებისამებრ) კრუჩიონის. რუსი პოეტის მიმართ აზრი მას არც 1920 წელს (ანუ კონფლიქტიდან 1 წლის შემდეგ) შეუცვლია, რადგან სანდრო ცირეკიძის უსრნალ „შვილდოსანში“ წერდა: ყველა პოლიტიკურ რევოლუციას წინ უსწრებდა რევოლუციური გარდატეხები პოეზიაში. ამის საუკეთესო მაგალითია კრუჩიონის, რომლის ზაუმურმა თეზისმა „დაყ-ბულ-შვალ“-მა – გაუსწრო რევოლუციას რუსეთში (ტაბიძე 1920).

პარადოქსული აზრებით და წინააღმდეგობებით აღსავსე წერილში „დადაიზმი და „ცისფერი ყანნები“ ტიციან ტაბიძე აღწერდა თბილისის კაფე „იმედში“ გამართულ რუსი ფუტურისტების საღამოს. ჩანს, სწორედ ამ საღამოზე 1919 წლის 7 ივნისს მომხდარმა ინცინდენტმა გააგულისა გრიგოლ რობაქიძე.

„საღამო მოაწყვეს რუსმა ფუტურისტებმა ილია ზდანევიჩმა, ა.კრუჩიონისმა და ტერენტიევმა. ეს საღამო იყო ფუტურისტების

მხატვრობის. უმთავრესად აქ წარმოდგენილი იყო მეორე ზდანე-ვიჩი (იგულისხმება ილიას ძმა კირილე ზდანევიჩი — ლ. ა.) და ლადო გუდიაშვილი. მოხსენებას კითხულობდა „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი“ კრუჩიონიხი. როდესაც ტფილისის აკადემიის წურბელებ-მა იჯერეს გული (მახსოვს იყვნენ მათემატიკის დოქტორი ხარაზოვი და ს. გოროდეცკი), როცა ფუტურისტების ფრონტი მოიხსნა და ა. კრუჩიონიხი ჩხაოდა, როგორც მოგდებული კატა, სიტყვა აიღო გრიგოლ რობაქიძემ. ეს იყო ქარიშხლის მოვარდნა (ალბათ ეს ღამე დაამახსოვრდა ალ. კრუჩიონიხს, როცა გრიგოლ რობაქიძეს დაარ-ქვა „специалист по апокалипсису и безумию“)...

...ამ აპოკალიპსისის ორკესტრიდან რამდენიმე ფრაზა დავიმახ-სოვრე. აქ იყო ლაპარაკი ნიცშეს ინსტინქტების ანარქიაზე, ედგარ პოს მინის ქვესკვნელის გაურულებაზე, გეოლოგიურ კატასტრო-ფებზე... დასკვნა ასეთი იყო: ფუტურისტები გამართლებული არიან ცხოვრებით. თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზო-ბენ: მაგრამ კარგი: თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებუ-ლად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისთვისო.

...იმ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გახსნა თავისი მასკა. ამ ღამეს ის არ იყო მთანმინდელი, ღვანლით შემოსილი, მასში დასძლია პო-ეტის უკიდურესობამ“... (ტაბიძე 1923).

უეჭველია, რომ სამიოდე წლის შემდეგ, ტიციან ტაბიძე სულ სხვაგვარად წარმოგვიჩენს კრუჩიონიხისა და რობაქიძის „დუელს“: უპირატესობას იგი, რა თქმა უნდა, მაესტროს ანიჭებს.

ამ ინციდენტმა, როგორც ჩანს, ვერაფერი დააკლო მათ გუ-ლითად, წრფელ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას... ნინ კიდევ დიდი გზა იყო, მაგრამ „მოდერნიზმის ქადაგი“ გრიგოლ რობაქიძე ცისფერყანწელთა მარადიულ კერპად დარჩა.

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკური წიაღსვლები კი, დღევან-დელი თვალსაწიერიდან, ჯგუფის „სისუსტედ“ სრულიადაც არ აღიქმება.

დამოცვებანი:

ბარბაქაძე 2003: ბარბაქაძე თ. გრიგოლ რობაქიძე და „პოეზიის აკადემია“. // თეთრ სიამაყეს გაქანდაკებ შენი დიდებით. თბ.: 2003.

ბაქრაძე 1999: ბაქრაძე ა. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვან-ლი. თბ.: 1999.

იაშვილი 1913: იაშვილი პ. წერილი რედაქციის მიმართ. გაზ. „თემი“, №170, თბ.: 1913.

იაშვილი 1917: ქაშვილი ი. ლითერატურული კოლექცია 1917 წ. გაზ. „Республика“, № 40, თბ.: 1917.

იაშვილი 1922: იაშვილი პ. ყანელები 1942 წელში. გაზ. „ბარიკადი“, № 5, 1922.

იაშვილი 2004: იაშვილი პ. საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად. წიგნი პირველი. თბ.: 2004.

კუპრეიშვილი 2003: კუპრეიშვილი ნ. ლიტერატურული მედალიონი – გრიგოლ რობაქიძე. // თეთრ სიამაყეს ვაქანდაკებ შენი დიდებით. თბ.: 2003.

რობაქიძე 1913: რობაქიძე გრ. ბარათები „ოქროს ვერძე“ ჟურნ. „ოქროს ვერძე“, № 3, თბ.: 1913.

რობაქიძე 1916: რობაქიძე გრ. აუცილებელი განმარტება. გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 541, თბ.: 1916.

რობაქიძე 1917: რობაქიძე გრ. ქართული რენესანსი. გაზ. „საქართველო“, № 257, თბ.: 1917.

რობაქიძე 1988: რობაქიძე გრ. ორი ბარათი მეგობარს. გაზ. „თბილისი“, № 219, თბ.: 1988.

ტაბიძე 1995: ტაბიძე გ. უსათაურო. გაზ. „პოეზის დღე“, № 15, თბ.: 1995.

ტაბიძე 1916: ტაბიძე ტ. ცისფერი ყანებით. ჟურნ. „ცისფერი ყანები“, № 1-2, თბ.: 1916.

ტაბიძე 1920: ტაბიძე ტ. დაისრული სეპასტიანე. ჟურნ. შვილდოსანი, ქუთაისი, 1920.

ტაბიძე 1923: ტაბიძე ტ. დადაიზმი და ცისფერი ყანები. ჟურნ. მეოცნებე ნია-მორები, ტფილისი.: დეკემბერი, 1923.

ჯაფარ ფაშა 1916: ჯაფარ ფაშა (ნიკო ჯაფარიძე). ბატონ გრიგოლ რობაქიძის ლექცია. გაზ. „სამშობლო“, № 330, 7 აპრილი, თბ.: 1916.

ჯორჯაძე 1909: ჯორჯაძე ა. პოეზიის სამფლობელოში. გ. რობაქიძის ლექციის გამო. გაზ. „დროება“, № 239, თბ.: 1909. განმეორებით დაისტამბა კრებულებში: თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი III, ტფ.: 1911; ნერილები, შემდგენელი აკაკი ბაქრაძე, თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

თამარ ბარბაქაძე

„ცისფერყანწელთა“ მეტრიკა (შალვა კარმელი)

შალვა კარმელის მეტრი, მის რითმასთან შედარებით, ლარიბია; თუმცა იმდენი საინტერესო რიტმული სვლა და ვარიაცია შეიძლება იპოვოს მკვლევარმა ნაადრევად გარდაცვლილი პოეტის ერთად-ერთ კრებულში, რომ 24 წლის ავტორის ორიგინალურ ვერსიფიკა-ციაზე აუცილებელი სათქმელი საგულისხმო აღმოჩნდეს.

შალვა კარმელის ლექსწყობა შევისწავლეთ 1921 წლის გამო-ცემული კრებულის „ბაბილონის“ მიხედვით, რომელიც აღდგენილი სახით 2000 წელს დასტამბა პოეტის ძმისაშვილმა ნუგზარ გოგიაშვილმა. ახალგამოცემული „ბაბილონს“ დართული აქვს მისი კომენტარები და „ცისფერყანწელების“: პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის წერილები შალვა კარმელის შესახებ.

„ცისფერყანწელებმა“ ღირსეულად გააცილეს თავიანთი უმცროსი ძმა და 1923 წლის 4 თებერვალს ახალგარდაცვლილ პოეტს, ახალი მწერლობის კავშირისა და საბჭოს წევრს ხელოვანთა სასახლეში სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის სხდომა მიუძღვნეს; მაშინ საგანგებოდ ითქვა, რომ „მიუხედავად 24 წლის სიცოცხლისა, მან მონახა პოეზიაში საკუთარი ხმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კარმელის სიყვარული რითმის... არ იყო გასაკვირველი, რომ მის პირად მეგობრებზე ადრე პავლე ინგოროვაშ მოითხოვა მისთვის ადგილი პანთეონში. პავლე ინგოროვას სიტყვა პოეტის დასაფლავებაზე, გარდა იმისა, რომ ამხელდა ახალი მწერლობის სიამაყეს, იყო გამართლება კარმელის, როგორც პოეტის“ (კარმელი 2000: 122), — იუწყებოდა გაზ. „რუბიკონი“ 1923 წელს.

შალვა კარმელის ხსოვნის საღამოზე განსაკუთრებით შთამბეჭდავი სიტყვა ნარმოუთევამს გრიგოლ რობაქიძეს და საგანგებოდ აღუნიშნავს: „პოეტს რომ ცოტა დასცლოდა, მასში უთუოდ დადგებოდა კარგი ოსტატი“ (კარმელი 2000: 124).

გრიგოლ რობაქიძის შეფასება შალვა კარმელის ლექსწყობის თაობაზე ეჭვს არ იწვევს და მაინც, უმჯობესია, უფრო თვალსაჩინოდ ნარმოვიდგინოთ „ცისფერყანწელთა“ მეორე თაობის ნარმომადგენლის, უმცროსი თანამოძმის რეპერტუარი.

ცხობილია, რომ „ცისფერყანწელების“ ლექსების უმრავლესობა სიმეტრიული ათმარცვლედითა (5/5) და ბესიკური თოთხმეტმარცვლედით (5/4/5) ინერებოდა; ასე წერდა, ძირითადად, შალვა

კარმელიც: მისი 80 ლექსიდან 32 — 5/4/5-ით არის შესრულებული, მათგან 15 — სონეტია, 3 — ტრიოლეტი, 26 ლექსი, ტრადიციული, სიმეტრიული ათმარცვლედია (5/5), მიუხედავად, ერთი შეხედვით, საზომთა რეპერტუარის სიმწირისა, პოეტის ერთადერთი კრებული რიტმულად მრავალფეროვანი და ორიგინალურია.

ამ კრებულში განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას ძველი ქართული საერო ლექსისათვის ცნობილი 7-მარცვლედის ორივე რიტმული ვარიაცია — 5/2 და 3/4, რომლებიც XX ს. 10-იან წლებში იშვიათად გამოიყენებოდა. ცნობილია, რომ „პირველი ლექსი, თავიდან ბოლომდე ამ წყობით, მე-9 საუკუნის შემდეგ გ. ტაბიძემ დაწერა („ჭიანურები“) (ხინთიძე 2000: 48).

მიდის ოპერა „ლაკმე“,
ბუტაფორიის შეხლა
განა ეს არის საქმე?
მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა.

გალაკტიონის „ჭიანურები“ 1916 წელს არის დაწერლი. 1916 წ. უზის თარიღად შალვა კარმელის ლექსს „ყვითელ თოვაში“, რომელიც თავიდან ბოლომდე 7-მარცვლედის ორივე ვარიაციის შერევით არის შესრულებული: ერთი სტროფის ფარგლებში ერთმანეთს ენაცვლება: 3/4 და 5/2:

ქარიშხალმა მდელოში	3/4
ყვავილები გათელა.	3/4
ზეცით საკანდელოში	2/5
არ კრთის ციცინათელა!	2/5
ო, რა იყო წუხელი:	3/4
გულში ცეცხლის მოქრობა...	3/4
ათასი ხმის წუხილი...	3/4
წყევა და ჯადოქრობა.	3/4
გავა ყვითელ თოვაში.	4/3
ფორიაქით ცვივიან...	4/3
ვედარაფერს მოვაშენ...	3/4
ირგვლივ რა სიცივეა!	3/4
მომენატრა ბალები,	3/4
სულის გადამშვიდება,	2/5
ზეცა და ზამბახები	2/5
და პოეტის დიდება.	4/3

ქარის შეუპოვრობამ	2/5
მძაფრი ვწებით დაჰპერა,	4/3
შემოდგომის ცხოვრებამ	4/3
ყვითლად ჩამომაბერა.	2/5

4/3 და 2/5-ის მონაცვლეობით არის აგებული შალვა კარმელის „ლოცვა ხანჯლებით“ (1919).

საგულისხმოა, რომ სწორედ 5/2-ით არის შესრულებული შალვა კარმელის „ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „სემირამიდის ბაღი“, სადაც კოლაუ ნადირაძის შეფასებით, „ასეთი დაუგინებარი სტრიქონებია“ (კარმელი 2000: 118):

გადმოკიდულა ციდან
სემირამიდის ბაღი,
გულია ერთი ციდა
და მთის ოდენა დალი.

შენს ცრმელს ნუ ეტყვის ნურვის,
არ ვკენეს დაჭრილი გალლი.
მე ვერ მომიკლავს ნყურვილს
სამარიელი ქალი.

მივყვები ფრანსს და ფლობერს:
ომებს, ტირილებს, კვდომას
და კართაგენი მოჰპერს —
სხვა ტრფიალების ნდომას!

მივეც სალამბოს ფიცი,
თაისს ლოცვები ლალის,
მაგრამ შენ გქვია, ვიცი,
ყველა სახელი ქალის.

ვარდებს აქ სხვები კრეფენ...
ჩვენ კი ვართ მტრები თავის:
მე — ბალთაზარი მეფე,
შენ — დედოფალი სავის!

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გალაკტიონის „ჭიანურების“ შემდეგ შალვა კარმელის „სემირამიდის ბაღი“ არის თავიდან ბოლომდე 5/2-ით შესრულებული ლექსი, რომელიც ერთგვარი „L' Art poetique“ არის ავტორისათვის. პოეტი აცხადებს თავის კრედოს, რომელსაც ემორჩილება მისი შთაგონება: ლიტერატურული სახელების ესთეტიზაცია, ანთროპონიმთა სიმბოლიზაცია და ფრან-

გული სიმბოლიზმის აკადემიურობა შალვა კარმელის პოეტიკის საყრდენია, რაც მის პოეზიას „ემოციური მეხსიერების“ სიღრმის ნაცვლად, წიგნებისა და ისტორიის სივრცეში განვითარებს.

შალვა კარმელის ლექსების უმრავლესობა მიძღვნითა, ე.წ. „მედალიონებია“, რომლებიც: პოლ ვერლენს, ბოდლერს, ვერდის, ედვარ პოს, დეზ ესსენტს, სალამბოს, გიორგი სააკაძეს, ნინოს, თამარს და ა.შ. ედლვნება. პოეტები, ისტორიული და ლიტერატურული გმირები, რომლებიც აყალიბებენ ახალგაზრდა შალვა კარმელის ესთეტიკურ გმოვნებას, ორიგინალური სიმბოლისტური სახეებით ცოცხლდებიან; აღსანიშნავია ისიც, რომ შალვა კარმელის პოეზია ერთგვარი „აღმოსავლურ-დასავლური დივანია“. ერთი მხრივ, ევ-როპული სიმბოლიზმის კლასიკოსთა სახელებისა და მხატვრული სახეების მასკარადია და, მეორე მხრივ, მისი ლირიკით აღმოსავლური, არაბული და სპარსული სამყაროს პოეტური ხალიჩა იშლება:

გაგიჟებული ვარ ყაისის გამოცხადებით.

მის სულია ჩემს სხეულში — თითქოს, აზიზი.

საუკუნეებს შევუერთდი ხიდის გადებით

და ლეილასთვის გადავშალე სხვა ოაზისი.

(„ჩვენი გენეალოგია“. კარმელი 2000: 22)

5/2-ით შესრულებულ „ერანის სარკეშიც“ აცხადებს პოეტი:

და ჩემ ნიზამის მღერას
და თვით მშვენიერ გაფიზს
და ხეიამის ერანს
ჰკოცნის ღვთაება ქაფის.

მეტრიკის თვალსაზრისითაც შეიმჩნევა ეს გაორება: ერთი მხრივ, მკაცრად აგებული, კანონიკური სონეტებისა და ტრიოლეტების 5/4/5 და, მეორე მხრივ, მუხამბაზის საზომით 4/4/3 შესრულებული, შეთავსებული და ომონიმური რითმებით გამორჩეული, აღმოსავლური სასიმღერო ინტონაციით სათქმელი ლექსები: „მთაწმინდას“ და „ვარდი შენ და ია მე“:

ნეტავ მომცა ახალ ფრთები **არნივის**, 4/4/3

რომ გავთელო მე უსაზღვრო **მანძილი**,

ჩემი სული მოშაირე **არ წივის**,

სამიჯნურო დროს არ იცავ **მან ძილი**!

ჰე, მიჯნურო, რა დამეა, **რა დამე...**

მოდი, გიცდი სიყვარულის **მონა მე...**

ყველა ხარობს და ვიტანჯო **რაღა მე?**! —
მჭენარი გული ციურ ცრემლით **მონამე.**
ნეტარ მზე ზე არ გსურს **გავითცნებოთ,**
მოზეიმე სული იმით **ძამე...**
ერთი ნება მისთვის **გავითცებო,**
მზისა დარო — ვარდი შენ და **ძა მე!**..

შალვა კარმელი ხშირად ცდილობს, სასიმღერო მელოდიას და-უმორჩილოს თავისი ლექსის მეტრი და ინტონაცია, ამიტომაც ასეთ ლექსებში ზოგჯერ რითმაც მრავალმარცვლიანია და შეთავსებული, ზოგჯერ კი გაურითმავი რჩება სარითმო ცალები. ამ თვალ-საზრისით დავაკვირდით შალვა კარმელის ერთ უცნაურ ლექსს, რომელსაც „დითირამბი ჰეტერას“ ჰქვია. ერთი შეხედვით, ეს ლექსი ვერლიბრს ჰგავს დატეხილი სტრიქონებითა და ალაგ-ალაგ ჰეტეროსილაბური და გაურითმავი სტროფული მონკვეთებით:

ეგ შენი სხეული 3/3
დითირამბს ელოდა, 3/3
როგორც ქალს ავხორცს, ჰაშიში, ჰარემი. 5/6
ვნებით სიცხეული 2/4
ხარ სამეგრელოდან 1/5
მენადებს გასევენ ცის შემოგარენი 33/15

როგორც ვხედავთ, ძნელად, მაგრამ ამ სტროფული მონაკვეთში 6-მარცვლიანი, ასონანსური რითმა იყითხება: დითირამბს ელოდა — ხარ სამეგრელოდან; ჰაშიში, ჰარემი — ცის შემოგარენი, ხოლო ჰეტეროსილაბურ სტროფში ერთმანეთს ეფარდება: 12-მარცვლედი (33/33) და თერთმეტმარცვლედი (24(33)/15). თუ პირველ მონაკვეთში გარითმვის სისტემა ჯვარედინია: abab, მეორე, 7-ტაქპიან მონაკვეთში, სრულიად ორიგინალურია რითმათა სახეობა: axbabxb. მომდევნო კატერენი ჩვეულებრივი, ჯვარედინი რითმით არის დაწერილი, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰეტეროსილაბური (12 : 11) სტროფის თავისუფალი ბერნერით იქცევს ყურადღებას:

ფრენები. ფლეიტა. ფერხული — ვისია?
თაფლია ველური და ღვინო — თქეში...
ევოე... ევოე... ეს დიონისია,
მთვრალი და უსირცხვო ყველაზე თქვენში.

შემდეგ კვლავ ტყდება სტრიქონები:

მღერიან ღმერთები 3/3
ცხრა მზედ და ორ ცად, 3/2

და ჩვენს აემღერდებით 2/4
გადახსნილ ხორცად. 3/2

ბოლო კატრენი მთლიანად ალიტერაციას ეყრდნობა და ალიტერირებული თანხმოვნების ჰარმონიით იბადება მელოდია, რომელიც არათანაბარმარცვლიანი ტაეპების მონაცვლეობით დიონისური და იპოლინური საწყისების ერთიანობას გამოხატავს:

ველები ივლება ვენახად ვაზის,	33/32
შავყელა ყვავილი დავყნოსეთ სხვაფრად,	33/32
შეშლილი ვეშვებით ფირუზა ფაზისს	33/32
და ტანებს ტალღები ტეხავენ მძაფრად.	33/32

კიდევ ერთი უცხო ჰარმონია იქცევს ყურადღებას შალვა კარმელის „ბაბილონში“. მისი ლექსი „სალარნაკო მელოდია“ 1918 წელს არის დაწერილი. პირველივე კატრენში გაიხმიანებს ხუთმარცვლიანი შედგენილი, ეგზოტიკური რითმა:

ქარვის ფოთლები გამხდარა ვნებით,
ტირილით წყდება **ხის კენწეროებს**
ისრულად ცაში, გრძელ ქარავნებით,
გაუკრავთ გეზი **მზისკენ წეროებს.**

გავიხსენოთ გალაკტიონის ცნობილი ლექსი „ყანები“, რომელიც დაწერილია 1925 წელს:

სიმღერა სულით ემშვიდობება
გადამწკრივებულს **ზღვისკენ წეროებს,**
მზე ეხუჭება, როგორც ობობა
ნაზად დაქსელილს **ხის კენწეროებს.**

გალაკტიონის „არტისტული ყვავილების“ მეტრიკის ანარეკლია „ბაბილონის“ რამდენიმე ლექსი, რომელთაგან საუკეთესოა „გოდება გრიგალში“ (1919). იგი, თითქმის, იმეორებს „არტისტული ყვავილების“ | ლექსის „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ რიტმს:

- წავიდეთ! წავიდეთ! — აგრგვინდა გრიგალში უდაბნი დღეები...
 - არ გვინდა, არ გვინდა, არ გვინდა!..
 - პასუხად ქშუიან ხეები.
- („ბაბილონი“)

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს
გადირექს ნოემბრის ბალები.
მხურვალე ვნებები გამივლის
სასახლის ჩაქრება ჭალები.
(„შ.უ.ჩ.მ.ს.“)

8-მარცვლიანი შაირის ორივე ვარიაცია 5/3 და 4/4 გვხვდება „ბაბილონში“ — „ჭიაკოკონა“ 1916 წელს არის შესრულებული:

აგერ, მოფრინავს გოგონა
აელვარებულ თვალებით...
მირეკავს ჭიაკოკონა
მთებში კუდიანს ალებით. (5/3)

„მარტოობა“

მარტოობამ მომცა აზრი,
საოცნებო, როგორც მთვარე,
მარტოობამ შემიყვარა, —
მარტოობა შევიყვარე! (44)

შალვა კარმელის და, საზოგადოდ, „ცისფერყანწელების“ მეტ-რიკაზე, უდავოდ დიდია გალაკტიონის „არტისტული ყვავილების“ საზომების გავლენა, „არტისტული ყვავილების“ მე-5 ლექსი „მარიამ ანტუანეტა“, რომელიც გალაკტიონის ყველა სხვა გამოცემაში სხვა სათაურით არის შესული: „მოვა... მაგრამ როდის!“ იშვიათი, ახალი ჰეტეროსილაბური საზომით არის შესრულებული: 44/42 — რვამარცვლედი — ექვსმარცვლედთან.

შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის.

1917 წელს დაწერილი გალაკტიონის შედევრის რიტმი შალვა კარმელის „ბაბილონში“ მხოლოდ ერთ ლექსში გახმიანდება. ლექსს ჰქვია: „ბრძა ინფანტას თვალები“:

მზეში ფირუზს ქარი ფანტავს —
ეს კრთომაა თქვენი.
გაოცნებებთ ბრძა ინფანტას
ცხელი კართაგენი.

ვფიქრობთ, რომ შალვა კარმელის ამ ლექსის სათაურისა და პირველი სტროფის ალიტერირებული ბერები პოეტური პატიოს-ნებით აირეკლავს მეტრის პირველწყაროს: „მარიამ ანტუანეტას“.

შალვა კარმელის „ბაბილონის“ მეტრული რეპერტუარი კიდევ ერთ სასიამოვნო მოულოდნელობას გვთავაზობს; ეს არის თორმეტ-

მარცვლედის იშვიათი სახეობა 24/24. თორმეტმარცვლედის სიმეტ-რიული ფორმა 42/42, როგორც ცნობილია, აღორძინების პერი-ოდის ქართულ პოეზიაში მკვიდრდება: „აბრაამის ღმერთი, საბა-ოთი ერთი“ (დავით გურამიშვილი). საანალიზო კრებულში შესული ლექსი „კარმელის გზაზე“ თორმეტმარცვლედის ამგვარ ვარიაციას გვთავაზობს“ 24/24:

მაგრამ სიკვდილის წინ თავის ტრფიალებით
ისეთს დავიკიველებ ხმათა მომეტებით, —
რომ ეს დედამინა გადატრიალებით — 24/6
ცეცხლის ბრილიანტად გასკდეს კომეტებით!..

ციტირებულ სტროფთან დაკავშირებით მოკლედ გვინდა ვისა-უბროთ შალვა კარმელის ლექსებში სიკვდილისა და სიყვარულის — თანატოსისა და ეროსის — სიმბოლისტური გააზრების თავისებუ-რებაზე. სიმბოლიზმის მკვლევართა აზრით, არქეტიპული პოლა-რულობის ფონზე სიყვარულისა და სიკვდილის სახეები, მითოლო-გიური ძირებით, ეხმიანებიან ეროსისა და თანატოსის სახეებს; მათი სტატიკური ამბივალენტურობა იქცევა დემონური ანტი-კოსმოსის ფუნდამენტად და მწვერვალად: „უმაღლესი ექსტაზის მდგომარე-ობაში „მეს“ ვნებები ლახავენ საკუთარი ყოფიერების საზღვარს, „წვისას“ ის იქცევა თავისთავად; ის, თითქოსდა, გამოიწვება. იმა-ვე მოტივს ვხვდებით მზის სიმბოლიკაში, სადაც „თვითდაწვა“ ეძღ-ვნება ახალი ცხოვრების გზავნილს, ცნობიერების განახლებულ მდგომარეობას. „მზის ცეცხლი“, რომელშიც მომაკვდინებელი სიყვარული გამოიწვება და დემონური ადამიანის ვნება, მთვარე-ული სამყაროს თვალთახედვით, წარმოადგენს დესტრუქციულ, გამანადგურებელ საწყისს, ამიტომ აქ მზის სიმბოლიკა წევატიურ მიმართულებას იძენს, განსხვავებით სოლარული სიმბოლიკისაგან (ხანზენ-ლევე 1999: 357).

დემონურიდან სიმბოლურისაკენ გადასვლის გზაჯვარედინად მიიჩნევენ ბალმონტის ლექსს „ჰიმნი ცეცხლს“. ცნობილია, რომ „ცისფერყანწელებსა“ და ალექსანდრე აბაშელის პოეზიაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა კ. ბალმონტის მზისა და ცეცხლის პოეზიაშ. პაოლო იაშვილი კარმელს ადარებდა პეტერბურგში დალუპულ ნიკოლაი გუმილიოვს, რომლის რითმა, პაოლოს თქმით, თითქოს ხელოვნურად „ჩაჯენილი თვალია“. პაოლო იაშვილი ასე იგონებდა შალვა კარმელს: „ჩვენ აქამდე არ ვიცოდით მისტიური შიში სიკვდილისა და ამის შემდეგ ყოველთვის იქნება მოგონება ამ გან-ნირული ბავშვის, რომელიც ჩვენ თვალწინ ებრძოდა სიკვდილს და ამ აგონისა დროს მაინც ყველაზე უფრო ფიქრობდა პოეზიაზე“.

პაოლო იაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა შალვა კარმელის ლექსის კულტურას: „კარმელის ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ყრმა იყო, ალბეჭდილია ნიჭით და პოეტური მიღწევებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კარმელი, თუმცა საქართველოს გარეთ არსად ყოფილა, მაინც იცნობდა ლექსის ტექნიკას და, აგრეთვე, თავისი ასაკისათვის იყო მეტად კულტურული“.

შალვა კარმელის ლექსის რიტმი, როგორც ლექსის კონსტრუქციული ფაქტორი, განაპირობებს პოეტის სტროფიკისა და მთლიანად პოეტური თხზულების ერთიანობას, მთლიანობას, როგორც მკაცრად შეკრულ „მოცემულობას“. ალბათ, ამიტომაც აღნიშნავდა ვალერიან გაფრინდაშვილი: „ის ბევრს მუშაობდა ლექსზე. მან თარგმნა ალბერ სამენის „ვერსალი“ და მე შემთხვევით ხელთ ჩამივარდა ოთხი ვარიანტი ამ თარგმანის. პოეზია და ლექსი იყო სტიქია შალვა კარმელის. ის კულტურული იყო ზედმინევნით და იყო ნიშნები, რომ ის გახდებოდა ქართული პოეზიის თეოდორ დე ბანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა...“

პარნასელებთან შალვა კარმელის პოეტურ ნათესაობაზე, რითმის სიყვარულის გარდა, მეტრის მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერებაც მიგვანიშნებს.

10-იანი წლების II ნახევარში ქართული პოეზიის „ეპოპული რადიუსით“ გამართვის ამოცანა „ცისფერყანწელებმა“ იკისრეს, თუმცა 1915 წელს ქართული ლექსის რეფორმა, გალაკტიონმა განახორციელა. გალაკტიონის, XX ს. ქართული ლექსის რეფორმატორის გვერდით, შეიძლება შალვა კარმელის ვერსიფიკაციულ ნოვაციებსაც მოეძებნოს ადგილი.

დამოცვებანი:

კარმელი 2000: კარმელი შ. ბაბილონი. თბ.: „დედაენა“, 2000.

სანზენ-ლევე 2000: ხანვენ-ლევე. *Русский символизм*. Санкт-Петербург: «Академический проект», 1999.

ხინთიბიძე 2000: ხინთიბიძე ა. ქართული ლექსმცოდნეობა. ლექციების შემოკლებული კურსი. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2000.

ქეთევან ბეზარაშვილი თამარ ლომიძე

გრიგოლ ლვითისმეტყველის ციკლი „ბოროტისა მიმართ“
და ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“:
ქართული რომანტიზმის ქრისტიანული წყაროები

ყოველ ეპოქის კულტურის კუთვნილებას წარმოადგენს სხვა,
უკვე გარდასულ ეპოქათა ტექსტებიც, რომლებიც ამ ეპოქის ეპი-
სტემისთვის* დამახასიათებელი აზროვნებისა და მსოფლადქმის
პრიზმაში აღიქმება, ე.ი. ისტორიის ყოველ ეტაპზე კულტურულ
მეხსიერებაში ძველი ტექსტები უცვლელი სახით კი არ ჩაერთვე-
ბიან, არამედ მოდიფიცირდებიან ამ ეტაპისთვის დამახასიათებელი
სპეციფიკური მსოფლადქმისა და აზროვნების წესის შესაბამისად.
ამგვარად, კულტურის მემკვიდრეობითობა და უწყვეტობა არ ნიშ-
ნავს, რომ სხვადასხვა ეპისტემაში ერთი და იგივე კონცეპტები აბ-
სოლუტურად იდენტური შინაარსით გამოიყენება. იმ მნიშვნელო-
ბის გასარკვევად, რომელიც ჰქონდა კულტურის სხვადასხვა ეტაპ-
ზე ამა თუ იმ კონცეპტს, სასარგებლოა შესაბამისი კონკრეტული
კულტურული კონტექსტების გათვალისწინება.

წინამდებარე სტატიაში დაგახსასიათებთ ზოგიერთი კონცეპტის
გააზრების სპეციფიკურ თავისებურებებს, ერთი მხრივ, ქრისტი-
ანულ პოეზიაში და, მეორე მხრივ, რომანტიზმის ლიტერატურაში.

* * *

ბიბლიური და ქრისტიანული პოეზია საყოველთაოდაა მიჩნეუ-
ლი რომანტიკული ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ**.
შესწავლითა ბიბლიურ-ქრისტიანული მწერლობა (განსაკუთრე-
ბით — პოეზია) როგორც XIX საუკუნის ევროპული და ქართული ლი-
ტერატურის წანამდვარი. ზოგჯერ მსგავსებას რომანტიკულ და
ძველ ქრისტიანულ მწერლობას შორის ხსნიან იდეათა პარალელიზ-
მით*** ან საერთო ბიბლიური წყაროდან მომდინარე თემის ერთგვარი

* ეპისტემებს თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნე მიშედ ფუქო უწოდებდა ის ისტორიულად ცვალებად სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრავენ თვალსაზრისების, თეორიებისა და მეცნიერებათა შესაძლებლობისთვის აუცილე-
ბელ პირობებს ყოველ ისტორიულ პერიოდში. ფუქომ გამოყო სამი ასეთი ეპისტემა: რენესანსული (XVI ს.), კლასიკური (XVII-XVIII საუკუნეების რაციონალიზმი) და თანა-
მედროვე (XVIII-XIX საუკუნეთ მიჯნიდან დღემდე). ამის შესახებ დეტალურად იხ.: M. Foucault. Les mots et le choses, Paris: Gallimard, 1966.

** მაგ., იყვლევენ ქრისტიანულ გრძნობას რომანტიკულ პოეზიაში. იხ. E. Dubedout. Le sentiment Chrétien dans la Poésie romantique. Paris. 1901 etc.

*** გ.ქიქოძე. ნ.ბარათაშვილი. ჩრეული თხზულებანი, I, 1963, გვ. 102.

ლიტერატურული ადაპტაციით*. ერთნაირი ბიბლიურ-სიმბოლური მარადიული სახეებით და თვითჩაღრმავებისა და თვითშემეცნების გამომხატველი ქრისტიანული მოდელებით გადმოიცემა სარწმუნოებრივ-სუბიექტური განწყობილებები. ეს იმიტომ, რომ რომანტიკოს პოეტებს ახასიათებთ ბიბლიურ-ქრისტიანული გრძნობების გათავისება, თუმცა, ეს სახეები და განწყობილებები უკვე ახალ — რომანტიკულ — ხასიათს იძენენ. რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ჩამოყალიბებამდე საუკუნეებით ადრე ეს ბიბლიური წარმოდგენები ქართულ ნათარგმნ თუ ორიგინალურ პოეზიაში ტრადიციის ძალით უკვე ცოცხლობდნენ მთლიანი პოეტური სისტემის სახით, საიდანაც ისინი იმემკვიდრა რომანტიზმა. ბიბლიურ-ქრისტიანული მოტივების, ფსალმუნურ-ჰიმნური ლირიკის დიდი ტრადიცია ქართულ მწერლობაში აისახა ქართველი რომანტიკოსების ნაწარმოებებში. ამიტომაა მოსალოდნელი ტიპოლოგიურად მახლობელ სახეთა სისტემის გამოვლენა ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიასა და რომანტიკულ პოეზიაში.

აღიარებულია, რომ ქართული რომანტიკული მწერლობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში „მკვიდრად არის შესული ბიბლიური ნაკადი („ნიგნი იობისა“, „ნიგნი სიბრძნისა სოლომონისი“, „სახარება“)... განსაკუთრებით ხშირად ძველი აღთქმიდან ბარათაშვილი მიმართავს „ფსალმუნს“ („დავით წინასწარმეტყველისა და მეფისა გალობას“) და „ეკლესიასტეს“** ამდენად, ბიბლიური მოტივებისა და სახეების, ქრისტიანული პოეზიის გათვალისწინების გარეშე ვერ იქნება მართებულად აღქმული 6. ბარათაშვილის მედიტაციური ქმნილებები***.

6. ბარათაშვილის ლირიკაში წამყვანია რამდენიმე ბიბლიურ-ჰიმნოგრაფიული მოტივი. ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ერთ-ერთ მათგანზე და გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზიასთან მის მიმართებაზე. ცნობილია, რომ 6. ბარათაშვილი ძველი ქართული მწერლობით იზრდებოდა. გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზიის კრებულების გავრცელების მიხედვით არ შეიძლება გამოირიცხოს უშუალო კონტაქტი 6. ბარათაშვილის პოეზიასა და ძველ მწერლობას შორის.

მიიჩნევთ, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველმა პირველმა ჩაიყარა საფუძველი ქრისტიანულ ელეგიას და შეიტანა მასში მწუხარების განცდა, რომელიც განსხვავდება ანტიკური**** თუ სხვა პოეზიის (მაგალითად, რომანტიკულის) ელეგიათა მელანქოლიისგან. ქრისტია-

* გ. კალანდარიშვილი. ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაცია ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში. მაცნე, ელს, I, 1981, გვ. 15-29.

** გ. ასათიანი. „ვეფხსატყაოსნიდან“ „ბაზტრიონამდე“. თბ., 1974, გვ. 44.

*** რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები. თბ., 1987, გვ. 190.

**** А. Говоров. Григорий Богослов, как христианский поэт. Казань. 1896, с. 213, 237.

ნულ პოეზიაში მწუხარება არ არის გამოწვეული ამქვეყნიური ოცნების წარმავლობით ან თუნდაც ამსოფლიური ცოდნის ამაობებით. ქრისტიანული პოეზიის მელანქოლია წარმავალ ამქვეყნიურ მწუხარებაზე მაღლამდგომია. ქრისტიანისთვის მუდმივია ჭეშმარიტი ღრმა შინაგანი მწუხარება სულისა და ხორცის ბრძოლის გამო, ნათლისა და წყვდიადისკენ მიდრეკილი ორგვარი გონების გამო, როგორც წმ. გრიგოლი უწოდებს მას (PG, 1358-1359; carmen I, 1, 45. vv. 71-76)*. ეს არის ჭეშმარიტების ძიებით, ღვთის შეუცნობლობით გამოწვეული მწუხარება ზეციურ სამშობლოზე და ა.შ. ეს არის მიღმურის, მარადიულის, დაფარულის ჭვრეტით და ვერწვდომით განპირობებული საღვთო მწუხარება, რომელიც საკუთარი ნების ღვთის ნებისადმი დამორჩილებით და გონების მოკრებით მიიღწევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პიროვნება თავისუფლდება ცოდვის მწუხარებისგან უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისას, უზენაესის წვდომისას. მაშასადამე, ბრძენი თავისუფლდება ამსოფლიური მწუხარებისგან საღვთო მწუხარებისთვის. ეს არის სულის მწუხარება, რომელიც სრულყოფილების მატებისას უფრო და უფრო ივსება უკმარისობის გრძნობით, ისევე, როგორც მეტის ცოდნა-შემეცნებით კიდევ უფრო აშკარავდება ჩვენი უცოდინრობა. გრიგოლ ღვთისმეტყველის მთელი პოეზიაც საღვთო ხედვა და საღვთო მწუხარებაა. სწორედ ეს არის ქრისტიანული პოეზიის არსებითი განმასხვავებელი ნიშანი სხვა პოეზიისგან.

ბოროტი სულის გააზრება ქრისტიანულ და რომანტიკულ პოეზიაში (გრიგოლ ღვთისმეტყველი და ნ. ბარათაშვილი)

გრიგოლ ღვთისმეტყველს აქვს ლექსების, პიმნური აღსარებების მთელი ციკლი „ბოროტისა მიმართ“ (ad diabolum), ბოროტან (იმავე დემონთან, სატანასთან, ეშმაკთან) ბრძოლის შესახებ. ამ პიმნებში დიალოგური მეტყველების ფორმით წარმოჩენილია ზნეობრივი სრულყოფილებისა და ამქვეყნიური საყრდენის — ჩნდენის სიმტკიცისათვის მებრძოლი „ლირიკული გმირი“ („წარვედ, შ სულო, ბოროტამცა შეაშთობ...“) — Discede, discede in malam rem, spiritus suffocator. PG37, c.II, 1,64; მევლტე, შ მცეცო, ბოროტო, კაცისმკვ-

* აღნიშნავენ, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის ავტობიოგრაფიულ პოეზიაში, ბერძნული ინტელექტუალური თხრობისგან განსხვავებით, პირველად ჩნდება მიწიერზეცორის ქრისტიანულ ანტიოქომიაზე დაფუძნებული პიროვნული რელიგიური გამოცდლება, სულის ცხოვრების ისტორია, პოეტური მტვრეტელიბა და მეტაფიზიკური სცენულაცია. ასე ყალიბდება აღსარების ლიტერატურული ფორმა (G. Misch, A History of Autobiography in Antiquity, translated into English by E. W. Dickes, vol.II, London, 1950, p. 526-537, 600-624).

ლელო..“ — Fugito, pessima bestia, hominum necatrix. PG37, c.II, 1, 56).

რომანტიკულსთა შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ბიბლიური წარმომავლობის პოეტური სიბოლო — სატანის, ლიუციფერის, ბოროტი სულის პერსონიფიცირებული სახე, რომელსაც რომანტიკოსებმა განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა შესძინეს. ქართული რომანტიკული დემონიზმის თავისებურება ისაა, რომ დემონი, ბოროტი სული აქ არ არის პერსონიფიცირებული. ლუციფერის ან მეფისტოფელის სახელის მქონე პერსონაჟები ქართულ რომანტიკულ პოეზიაში არ გვხვდება. ის ქართველი პოეტი, რომელმაც ყველაზე სრულად გამოხატა რომანტიზმის იდეები — ნ.ბარათაშვილი — შესანიშნავი ქართველი ფილოსოფოსის, ლოგიკოსის, რომანტიზმის ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის — ფიხტეს ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული მთაზროვნის, სოლომონ დოდაშვილის მოსწავლე იყო და, შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ რომანტიკული მსოფლმხედველობა მის ნანარმოებებში საკმარისად განზოგადებული სახითაა გადმოცემული. რაც შეეხება ბოროტი სულის სახეს, ბარათაშვილის პოეზიაში ის წარმოგვიდგება არა როგორც პერსონიფიცირებული, გარკვეული თვისებების მქონე, გარეშე (ლირიკული გმირის მიმართ) პერსონაჟი — მაგალითად, ლიუციფერი, მეფისტოფელი ან სატანა, არამედ — როგორც ლირიკული გმირის შინაგანი სამყაროს კომპონენტი, მისი „მე“-ს ბეჭედი, გამოუცნობი, იდუმალი ნაწილი — შინაგანი „არამე“. სწორედ ამ განსხვავებამ “ბოროტი სულის” სახის ასახვაში განაპირობა ის, რომ ჩვენი სტატიის მიზნად მივიჩნიეთ პიროვნების სხვადასხვაგვარი კონცეფციების ურთიერთშეჯერება იმგვარად, როგორც ის ასახულია ბარათაშვილთან და, მეორე მხრივ, როგორც ის წარმოჩენილია ქრისტიანულ მწერლობაში, და, კერძოდ, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ციკლში „ბოროტისა მიმართ“.

ამგვარად, გვაინტერესებს, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება ჰქონოდა პიროვნების კონცეფციის ლიტერატურის ამ ორ განსხვავებულ სფეროში — რელიგიურ-ქრისტიანულ ლიტერატურაში და რომანტიზმის მწერლობაში და, კერძოდ, როგორ არის მათში ხორციელებული პიროვნების ასახვის ის სპეციფიკური ხერხი, რომელსაც ს.ავერინცევი „პლუტონისტურ ფსიქოლოგიზმს“ უწოდებდა და რომელიც, იმავე ავერინცევის მითოთებით, ახასიათებდა ყველა ეპოქის მხატვრულ აზროვნებას, დაწყებული ანტიკური მითოლოგითა და ლიტერატურით და დამთავრებული თანამედროვე ხელოვნებით. ესაა პიროვნების შინაგანი სამყაროს, როგორც მრავალკომპონენტიანი სტრუქტურის ასახვა. ს.ს.ავერინცევი აღნიშნავს, რომ ადამიანის სულის, როგორც ერთიანი, ჩაკეტილი, თვით-

კმარი და დაუნაწევრებელი „მონადის“ კონცეფცია ძალზე გვიან წარმოიშვა და გამოიყენებოდა ლიტერატურული ფაქტების მარტო-ოდენ ვინრო წრეში. წარსულის დიადი ლიტერატურული ეპოქები სხვა კონცეფციებით სულდგმულობდნენ*, ანუ ლიტერატურული პერსონაჟი, როგორც წესი, არ ხასიათდებოდა ერთიანი, მონოლი-თური „მე“-თი, არამედ აისახებოდა, როგორც „მე“-სა და მისი ორეუ-ლების სისტემა, თუმცა, ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა პერიოდში ასახვის ეს ხერხი გარკვეულ ტრანსფორმაციებს განიც-დიდა. თავისი თვალსაზრისის გასამყარებლად ავერინცევს მოჰყავს სათანადო არგუმენტები ისეთი მასალიდან, როგორებიცაა მითო-ლოგია, ძველი ძერძნული ლიტერატურა, შუა საუკუნეების მნერ-ლობა, XIX ს. რეალისტური ხელოვნება, და, ბოლოს, იმოწმებს მ. მ. ბახტინის დებულებას: „ადამიანი არასოდეს ემთხვევა თავისთავს. მის მიმართ ვერ გამოვიყენებთ იგივეობის ფორმულას: A არის A“**.

რომანტიზმის ეპოქაში პიროვნების კონცეფცია მეტად სპეცი-ფიკურია და აერთიანებს ორივენაირ მიღვომას: პიროვნება ერთია-ნი „მონადაა“ სამყაროსთან მიმართებაში (აქედან გამომდინარე-ობს მისი რომანტიკული „მარტობა“); (ნიშანდობლივია, რომ რო-მანტიზმის ფილოსოფიის ფუძემდებელი ი.- გ. ფიხტე მოუწოდებს მკითხველს: „ჩასწრედი საკუთარ თავს, მოაცილე მზერა ყველაფერს, რაც შენ გარშემოა, და მიმართე ის საკუთარი თავისკენ“***; „მას, ვინც იცნობიერებს საკუთარ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას გა-რემოსგან, ... არ სჭირდება საგნები თავისი „მე“-ს საყრდენად და ვერც ისარგებლებს საგნებით, რადგან ისინი აქარწყლებენ და ძირს უთხრიან ამ დამოუკიდებლობას“****). მეორე მხრივ, სწორედ გარე-მოსგან იზოლირება განაპირობებს პიროვნების მრავალკომპონენ-ტიანი სტრუქტურის წარმოქმნას. წარმოვიდგინოთ ეს პროცესი: პიროვნების უახლოეს „გარემოს“ წარმოადგენს, პირველ ყოვლისა „შენ“. „შენ“-ის ცნება, როგორც ადასტურებს ორიგინალური სემან-ტიკური თეორიის ავტორი — ა. ვეუბიცკა, თანდაყოლილ ცნებებს მიეკუთვნება***** ანუ წარმოდგენა შენ“-ის შესახებ ყოველთვის არსებობს ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ „თავისუფლებისა და და-მოუკიდებლობისკენ“ სწრაფვის პროცესში, ანუ სოციალური გარე-მოსგან განთავისუფლების მცდელობისას, ეს სოციალური გარემო

* იხ.: С.С. Аверинцев. Аналитическая психология К.-Г. Юнга и закономерности творческой фантазии. – О современной буржуазной эстетике. М., 1972, с. 135-136.

** იქვე, с.139.

*** ფიხტე И. Г. Сочинения в 2-х т. т. I, С.-Пб, 1993, с.448.

**** იქვე, с. 460.

***** იხ.: А. Амისძესახებ, მაგ., А. Вежбицкая. Язык. Культура. Познание. М., 1996; А. Вежбицкая. Семантические универсалии и описание языков. М., 1999. Wierzbicka A. Lingua Mentalis: The Semantics of natural language. Sydney, 1980 და ამ მეცნიერის სხვა ნაშრომები.

(„შენ“-ის სახით), გადაინაცვლებს მისი „მე“-ს შიგნით — ხორციელ-დება ამ „შენ“-ის ინტერიორიზაცია, ე.ი. მისი გადაქცევა პიროვნების შინაგანი სტრუქტურის ერთ-ერთ კომპონენტად. წარმოქმნება პიროვნების „მრავალეომპონენტიანი“ სტრუქტურა, მის გარშემო კი — სოციალური ვაკუუმი (რომანტიკული „მარტოობა“). საფიქ-რებელია, რომ სწორედ ამგვარია რომანტიზმში „ორეულების პო-ეტიკის“ დამკვიდრებისა და მარტოობის მოტივის პოპულარობის მიზეზები (სულ ერთია, ჰქონდათ ეს მიზეზები გაცნობიერებული რომანტიკოსებს თუ — არა).*

შევადაროთ გრიგოლ ნაზიანზელის აღსარებითი ჰიმნები და ბარათაშვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი (რომანტიკული მსოფლადების გამოხატვის მხრივ) ლექსი „სულო ბოროტო“. მათ შორის კომპოზიციურად, განწყობილებებით, სახეებით და ფრაზე-ოლოგიურად არსებითი მსგავსება შეინიშნება, თუმცა არაანაკლებ მნიშვნელოვანი განსხვავებებიც იჩენს თავს. ბუნებრივია, რომ წმ. გრიგოლის ბრძოლა დემონთან, ბოროტან, ქრისტიანული შე-ხედულებებით არის ნასაზრდოები. აյ სასულიერო ჰიმნოგრაფიის სინაულისა და შეწყალების თემა ნარმოდგენილი, რაც, ქრისტია-ნული თვალთახედვით, ყველაზე უფრო სრულყოფილი მდგომარეობაა. ბარათაშვილთან კი ბოროტ ძალასთან, ბოროტ ორეულთან ბრძოლა სხვაგვარადა გააზრებული და არ ჩანს პენიტენციალური ლირიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები — თვითგვემა, გოდება, შეცოდებათა ჩამოთვლა, უფლის შიში და იმედი — ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეს ორი ავტორი სხვადასხვაგვარად გაიაზრებს „ბო-როტი სულის“ სემანტიკას.

**გრიგოლ ნაზიანზელის ჰიმნების ციკლის „ბოროტისა მიმართ“
(ad diabolum) და ნ. ბარათაშვილის ლექსის „სულო ბოროტო“
ტექსტუალური პარალელები
(მსგავსებები და განსხვავებები)**

გრიგოლ ღვთისმეტყველი:

მოხვედ, ბოროტო, არამედ დაეყენე.....

.....

ჯუარსა წინ გიყოფ ცხორების ჩემის მცველსა,
სოფლის შემკრველსა და ღმრთისად ძლუნად მიმრთმელსა.
ამას მიჰრიდე, ნუ კუალად გამოჩნდები.
მიწოდს მე მადლი უხრწნელსა წინამდგომსა.

* შდრ. თ. ლომიძე. „მე“-ს კონცეფცია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. „სჯანი“, 6, 2005, გვ. 52-59.

Venisti quidem,...*o pessime*, sed repressus es...

.....

Crucem autem attollo,**quae custos est vitae meae,**
Quae universum mundum, ceu vinculo constringens, Deo offert.
Hanc pertimescence, cede, **nec amplius appareas.**
Vocat me purum gratia astitem.

(PG37,c.II, 1,60.cod.Tbilisi S2568,s.XVIII,f.53v).

ესე შენისა ზაკუვისა უფლისა, **ბოროტო,**
მიმპარავ გულსა მაცთურითა ლიქნითა,
მარწმუნებ ტებილთა გემოთა შეტკბობასა.
ვერ მარწმუნო შენ, ესე ადამ მარწმუნა.
მინად **მიიქეც** და თავდათრგუნვილ იქმენ,
რაითა.....მე განვევლტო ვნებასა.
Et hoc tuae est, *o pessime*, impulsionis.

In mentem irrepis subdolis artibus,
Suadens mollitiem arripere voluptatis:
Verum minime suadebis:hoc Adam suasit mihi.
In terram **revertere**, ut pedibus caput tuum conteratur.

.....

Ut conspiciens noxam vitem.

(PG37,c.II, 1,58.cod.Tbilisi S 2568, f.54r).

რად შემაინრებ და ესოდენ მაჭირვებ?
კუდა ღმერთი ჩემთვის და რამეთუ დაიწყო,
ჰრიდე ნათელსა, ნარვედ, **შ კაცისმელველო,**
რამეთუ პირველ გემოითა ვსცეთ მწარითა.

.....

წარვედ, ნარვედ, ან ვაგრძენ მე ბრძოლა შენი.
დალათუ გაქუნდეს **სული** (= anima) მსგავსი ჩემი,
თანად **გონება**, ყოვლადვე ვერ მარწმუნო.
Quousque malis me premes? quousque?

Mihi mortuus est Deus, sed statim a mortuis sarrexit.
Venere lavacrum, fuge, **homicida.**
Quemadmodum amara me primum decepisti voluptate,

.....

Discede, discede: agresionem enim tuam sensi.
Tamesti corpus meum habeas, mente mea non acquiescam.

(PG37,c.II, 1,60. cod.Tbilisi S 2568, f.54r).

ვქმობ ღმრთისა მიმართ, რად ესე? მსწრაფლ განმევლტე,
მევლტე, ჭ მტეცო, ბოროტო, კაცისმელველო;
რასა მაშტოთებ, არა ვნებული ჩემგან?

ჩემგან შორს იქმენ, ნუსადა გწყლა ჯუარითა,
რომლისა ძალსა უძრნის ეშმაკთა ძალი.
Deum inclamo. Quid hoc? *fugito* mihi celeriter,
Fugito, pessima bestia, hominum necatrix,
quid mihi *molesta es*, nihil a me laesa?

A me autem absineto, ne te cruce feriam,
Quam omnia verentur, ac contremiscunt summo timore.

(PG37,c.II, 1,56. cod.Tbilisi S 2568, f.54r).

ნარვედ, ჭ სულო, ბოროტამცა შეაშთობ.
Discede, discede in malam rem, *spiritus* suffocator.
(PG37,c.II, 1,64. cod.Tbilisi S 2568, f.56r).

6. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?
ამას უქადგი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას.
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი,
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!
მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, რად იმალები?
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?
წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მიგანდობდი ჩემს გულისთქმათა!
მას აქეთ არის, დავუკარგე მშვიდობა სულსა
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკლვენ წყურვილსა!
განვედი ჩემგან, ჰომი მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოპევდეს ხელი შენი მსახვრალი!

განვიხილავთ ორივე პოეტის თხზულებების კომპოზიციას, რათა თვალსაჩინო იყოს პარალელები და განსხვავებები:

1. გრიგოლის ჰიმნური აღსარებების ციკლი „ბოროტის მიმართ“ (ad diabolum) უშუალოდ ბოროტისადმი მიმართვით იწყება („მოხვედ, ბოროტო, არამედ დაეყენე...“ Venisti quidem,...*o pessime*, sed repressus es...; „რად შემაინტებ და ესოდენ მიჭირვებ...“ Quousque malis me premes? quo usque?: „ესე შენისა ზაკუვისა უფლისა, ბოროტო...“ Et hoc tuae est, *o pessime*, impulsionis). ბოროტი სულისადმი პირდაპირი მიმართვით იწყებს 6. ბარათაშვილიც („სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად...“). რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მაც-დური, ბოროტი სული (გრიგოლის ტექსტში) მასთან მებრძოლი პიროვნების შინაგანი ორეულია? ალბათ, იმიტომ, რომ ამ პიროვნების სულიერი სიმტკიცის მიღწევა ხდება სწორედ მავნე სულთან ბრძოლის პროცესში, ანუ **სულის უშფოთველობა და გონების უშფოთველობა**, ე.ო. აზრთა ნაკადის დაქვემდებარება ერთი შესამეცნებელი მიზნისადმი — ღვთისადმი, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, „ბრმად“ — ხორციელდება **რწმენის** მეშვეობით. და ასეთ შემთხვევაში პიროვნება წარმოგვიდგება სწორედ როგორც ერთიანი „მონადა“, განუყოფელი „ატომი“, რომელიც ებრძვის დესტრუქციულ ძალას და ამ ბრძოლაში პიროვნების შინაგანი მთლიანობის შენარჩუნების ან მიღწევის გარანტს წარმოადგენს მისი რწმენა უფლისადმი — ასეთი შინაგანი მდგომარეობის მიღწევა ქრისტიანისთვის უზენაესი იდეალია, რომლისკენ სწრაფვაც მისი მისტიკური მცდელობების საბოლოო მიზანს წარმოადგენს. ახლა დავაკვირდეთ 6. ბარათაშვილის ლექსის დასაწყისს: პოეტი ახასიათებს ბოროტ ძალას, როგორც მისი „**გონების** და სიცოცხლის აღმაშეფოთარს“ და აქვე ამბობს, რომ ბოროტმა სულმა მას „მოუკლა ყმანვილის ბრმა სარწმუნოება“. ამგვარად, ღვთის რწმენა — შინაგანი ერთიანობის გარანტი — უკვე დაკარგულია, ანუ გმირს არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა რწმენის მეშვეობით, ის დაუცველია ყოველგვარი „ბოროტი“ ძალების წინაშე.

მაშასადამე, პიროვნების პლურალიზმის — არა მარტო როგორც ასახვის ხერხის, არამედ, აგრეთვე, როგორც თვითცნობი-ერების ფორმის — პირობა ბარათაშვილთან უკვე არსებობს და ის დასახელებულიცაა.

2. შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ბოროტი სული, რომელიც „ცხოვრების მცველია“ — *quae custos est vitae meae*, გრიგოლის ჰიმნების მიხედვით („წინამძღვარი“ 6. ბარათაშვილთან), სულს უშფოთებს ლირიკულ გმირს („რასა მაშფოთებ?“ *quid mihi molesta es?* — გრიგოლი; „ვინ მოგიხმო ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფო-

თრად“?, „სად ხარ, აღმშფოთო“ — ნ.ბარათაშვილი). იგი მის ცდუნებას ცდილობს „ტკბილთა გემოთა შეტკბობით“ („მიმპარავ გულსა მაცთურითა ლიქნითა“ — In mentem irrepis subdolis artibus, Suadens mollitatem arripere voluptatis — გრიგოლი; „ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი“, „შენთა ალთქმათა ბრმად ვუმსხვერპლებდი, მივანდობდი ჩემს გულისთვიმათა.“, „სად წარმიღე სულის მშვიდობა, ... ჰოვ მაცთურო...“ — ნ.ბარათაშვილი).

3. დასასრულ, ორივე პოეტთან არის (ერთ შემთხვევაში მტკიცე გადაწყვეტილებით, მეორე შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, რიტორიკულ შეკითხვის სახით) თქმული მიმართვა ბოროტისადმი („ნარვედ, მ სულო, ბოროტთამცა შეაშთოდ....“ — Discede, discede in malam rem, spiritus suffocator. „ჩემგან შორს იქმენ..“ — A me autem absineto; „ნუ კუალად გამოჩნდები...“ — nec amplius appareas; „ჰრიდე ნათელსა, წარვედ, მ კაცისმელველო... წარვედ, წარვედ, ან ვიგრძენ მე ბრძოლა შენი... Venere lavacrum, fuge, homicida.... Discede, discede: aggresionem enim tuam sensi; „მევლტე, მ მქეცო, ბოროტო, კაცისმელველო — Fugito, pessima bestia, hominum necatrix — გრიგოლი; „განვედი ჩემგან, ჰოვ მაცდურო სულ ო ბოროტო“ — ბარათაშვილი). ყოველივე ეს წმ. გრიგოლთან ხდება შინაგანი მოთხოვნილებით და ლვთის რწმენით („დალათუ გაქუნდეს სული მსგავსი ჩემი, თანად გონება, ყოვლადვე ვერ მარწმუნო....“ — Tamesti corpus meum habeas, mente mea non acquiescam; „მიწოდს მე მადლი უხრწნელსა წინამდგომსა“ — Vocat me purum gratia astitem და სხვა), ნ. ბარათაშვილთან კი — ცხოვრებისეული მწარე გამოცდილებით მიღებული იმედის გაცრუებით და სულიერი სიცარიელით („რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი..“).

დავაკვირდეთ, ზემომითითებულის გარდა, კიდევ რა განსხვავებაა გრიგოლ ნაზიანზელისა და ბარათაშვილის ტექსტებს შორის და რა განაპირობებს (ჩვენ მიერ ჯერჯერობით მხოლოდ ინტუიციის დონეზე აღქმულ) მისი „მე“-ს ერთიანობას, შინაგანი ძალების ისეთ მობილიზებულობას, რომ მის მიერ ბოროტი ძალის დაძლევა ეჭვს არ იწვევს, მაშინ, როდესაც ბარათაშვილის უძლურება ამ ძალის წინაშე ასევე უეჭველია?

ძალზე ნიშანდობლივია გრიგოლის სიტყვები დემონის მიმართ: „მიმპარავ გულსა მაცთურითა ლიქნითა“ (წმინდანის რწმენის შესარყევად დემონი ემუქრება სწორედ მის გულს და არა გონებას), და ამ რწმენის (გულის) დასაცავად გრიგოლი მიმართავს ჯვარს: „ჯუარსა წინ გიყოფ ცხორების ჩემის მცველსა, სოფლის შემკრველსა და ღმრთისად ძლუნად მიმრთმელსა...ამას მიპრიდე, ნუ

კუალად გამოჩნდები. ჯვარი რწმენის და უფლის, უფრო ზუსტად კი — უფლისადმი რწმენის სიმბოლოა. ამგვარად, **გული, ჯვარი და რწმენა** აქ განუყოფელ კავშირშია ერთმანეთთან, ერთმანეთის სუბსტიტუტებია.

წმ. გრიგოლი თავიდანვე ებრძვის ბოროტს, იცის მისი ზრახვები, გაცნობიერებული აქვს მისი მოქმედების გზები და მნარე შედეგები. ამასთან, მან იცის აგრეთვე დემონთან ბრძოლის ხერხები და საშუალებები, რადგან ქრისტიანობისთვის არსებითია მაცხოვრის, მხსნელის იდეა. წმ. გრიგოლსაც ჰყავს მხსნელი, აქვს ჯვარი, რომელსაც უძრნის ეშმაკთა ძალი, აქვს ლოცვა და ხმობა ღვთისადმი, ნათლისადმი და სხვ. ეს არის უმთავრესი, რაც განასხვავებს რომანტიკულ პოეზიას ქრისტიანულისგან, მიუხედავად მათი გარეგნული მსგავსებისა.

ბარათაშვილთან კი ბოროტი სული „აღაშფოთებს“ ლირიკული გმირის გონებასა და სულს (მაგრამ „**გული**“, **როგორც უყოფმანო**, „**ბრმა**“ **სარწმუნოება**, უკვე „**მოკლულია**“). ბოროტი სული აქ პიროვნების შინაგანი ორეულია, ხოლო შინაგანი გაორება თვითრეფლექსიის აუცილებელი პირობაა (ამიტომ მას დადებითი ფუნქციაც აქვს და, ამ გაგებით, „მომხიბვლელია“, მიმზიდველია ლირიკული გმირისთვის). ეს კი გამორიცხულია გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაში, სადაც ბოროტი სული გაიაზრება მხოლოდ უარყოფითი გაგებით). შესაბამისად, რომანტიკული „მე“ წინასწარვე განწირულია იმისთვის, რომ მარად გაორებული დარჩეს, მარად იყოს მასში ეს „ეჭვი“, რომ მისი შინაგანი ცხოვრება წარმართოს გონებამ, თვითანალიზმა და არა რწმენამ. და თუ გრიგოლ ნაზიანზელთან იგრძნობა ერთიანი, რწმენით შეკრული შინაგანი სამყაროს შენარჩუნების იმედი, ბარათაშვილთან ის არ იგრძნობა. ლირიკული გმირი ვერ უპირისპირებს ბოროტ სულს მტკიცე რწმენას.*

მაშასადამე, ღვთის რწმენა განაპირობებს გრ. ნაზიანზელის ტექსტებში პიროვნების შინაგან ერთიანობას, მონოლითურობას, ხოლო რწმენის უქონლობა განსაზღვრავს ნ.ბარათაშვილის ლექსში ლირიკული გმირის „**ცდუნებას**“ ბოროტი სულის მიერ და, შედეგად, შინაგან გაორებას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „**ბოროტი**“ აქ — ორივე შემთხვევაში — თუმცა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დესტრუქციულ ძალად გვევლინება, მაგრამ გრიგოლთან შესაძლებელია მასთან ბრძოლა, ბარათაშვილთან — **არა**, რადგან მისი ლექსის ლირიკული

* თ. ლომიძე. ნ. ბარათაშვილის პოეტური სტილის პრობლემა //ახალი პარადიგმები, 1998; 1; თ. ლომიძე. მხატვრული აზროვნების თავისებურებანი ქართულ რომანტიზმი/ლიტერატურული ძიებანი, XIX, 1998.

პერსონაჟი არის „ლია“ პიროვნება, რომლის სულიერი ქმნადობის პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტელ დიალოგში თავის „alter ego“-სთან.

ამგვარად, პიროვნების კონცეფცია გრიგოლ ნაზიანზელის ჰიმნურ აღსარებებში და, მეორე მხრივ, ბარათაშვილის პოეტურ ნაწარმოებში განსხვავებულია: თუმცა ორივე შემთხვევაში „ბოროტი სული“ წარმოგვიდგება, როგორც ლირიკული გმირის მიმართ დაპირისპირებული ძალა, მაგრამ პირველ შემთხვევაში ესაა დაპირისპირება ერთიანი, მთლიანი — თავისი რწმენით — პიროვნებისადმი, მეორე შემთხვევაში კი შინაგანი რღვევის პროცესი, განუწყვეტელი შინაგანი დიალოგი მესა და შინაგან არამეს შორის, თვითრეფლექსიის უწყვეტი პროცესი. უეჭველია, ამ ორი ბრწყინვალე პოეტური ტექსტის შეპირისპირებითი ანალიზი საშუალებას იძლევა, უფრო მკაფიოდ და ღრმად წარმოვიდგინოთ განსხვავება პიროვნების იმ კონცეფციებს შორის, რომლებიც ხორცშესხმულია ამ ავტორთა ნაწარმოებებში. საგულისხმოა ისიც, რომ, როგორც ჩანს, ქრისტიანული ლიტერატურა წარმოადგენს ერთ-ერთ გამონაკლისს იმ მრავალრიცხოვან ლიტერატურულ მაგალითებს შორის, რომლებშიც ასახულია პიროვნების „ლია და მრავალწევრიანი სტრუქტურა“ (ს.ს.ავერინცევის ტერმინი).

ლევან ბრეგაძე

ტიციან ტაბიძის დადაისტური მაღრიგალები

დადაიზმი პირველი ავანგარდისტული, ანუ მემარცხენე ესთეტიკის პრინციპებზე დაფუძნებული, ლიტერატურული მიმდინარეობა იყო საქართველოში. ტიციან ტაბიძის სიცყვით, მას ჯერ კიდევ 1918 წელს დავით კაკაბაძისა და სერგეი სუდეიკინის მიერ გამართულ მხატვრობის საღამოზე წაუკითხავს დადაიზმის თავისი დეკლარაცია (ქურდიანი 1980: 217), ხოლო მისივე დადაისტური ლექსები („სეზონის ფალავანი“, „ორპირის ოქროპირი“, „მელიტას“, „უშმური კვირა“) და „დადას მანიფესტი“ 1922-24 წლებშია შექმნილი. ევროპში დადაიზმს ქრონოლოგიურად წინ ფუტურიზმი უძლოდა, მაგრამ პირველი ქართული ფუტურისტული მანიფესტი „საქართველო — ფენიქსი“ მხოლოდ 1922 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ფუტურისტთა უურნალი „ H_2SO_4 “ 1924 წელს გამოვიდა.

წინაპირობები, რამაც ევროპაში დადაიზმის გაჩენას შეუწყობელი, ასეთი იყო: თავზარდამცემი მსოფლიო ომი, სოციალური რევოლუციები და არანაკლებ თავზარდამცემი სამი მეცნიერული აღმოჩენა: ქვეცნობიერის მიკვლევა, კვნიტური მექანიკა, ფარდობითობის თეორია, რამაც რადიკალურად შეცვალა ადრინდელი წარმოდგენა ადამიანსა და სამყაროზე.

საბჭოთა ხანაში დადაიზმი ჩევნში მხოლოდ უარყოფით მოვლენად ითვლებოდა და პირნმინდად იგმობოდა. აი, ამონანერი ლექსიკონიდან „ლიტერატურათმცონეობის ცნებები“:

„დადაიზმის წარმომადგენელნი შეაშინა ომმა; სიკვდილის მოლოდინით დამფრთხალნი ვერ პოულობენ გამოსავალს, ვერ ამჟღავნებენ სოციალურ სინამდვილესთან შეგუების უნარს, ამიტომაც სახელმძღვანელო პრინციპად მიიღეს გაქცევა ცხოვრებიდან, დავინყება სინამდვილისა. ისინი მიიჩნევენ, რომ იდეას, შინაარსს არაფერი კავშირი აქვს ხელოვნებასთან“ (ცნებები 1984: 62).

განვიხილოთ ეს დებულებები ცალ-ცალკე:

1) „დადაიზმის წარმომადგენელნი შეაშინა ომმა“ – ომი, საზოგადოდ, საშიშია და, თუ ის ვინებს არ აშინებს, ეს ვერ ჩაითვლება ბუხებრივ მოვლენად;

2) „სიკვდილის მოლოდინით დამფრთხალნი ვერ პოულობენ გამოსავალს, ვერ ამჟღავნებენ სოციალურ სინამდვილესთან შეგუების უნარს“ – დამფრთხალნი, მით უფრო სიკვდილის მოლოდინით, დადაისტები არ ჩანან. რაც შეეხება იმას, ვერ ამჟღავნებენ სოციალურ სინამდვილესთან შეგუების უნარსო, — ვერ ამჟღავნებენ

კი არა, არ ამჟღავნებენ — ცოცხალი თავით არ სურთ შეეგუონ იმ სოციალურ სინამდვილეს, რომელმაც კაცობრიობა გრანდიოზული მასტების ხოცვა-ულეტამდე მიიყვანა, ვერ ეგუებიან იმ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებასა და მორალს, რომელიც წინ ვერ აღუდგა მიწიერ ჯოჯოხეთს;

3) „სახელმძღვანელო პრინციპად მიიღეს გაქცევა ცხოვრებიდან, დავიწყება სინამდვილისა“ — იმგვარ სინამდვილეს, რომელიც ზემოთ აღვნერეთ, რა დაავიწყებდათ! ხოლო ცხოვრებიდან გაქცევის ნიშანი ის იქნებოდა, პროტესტი რომ არ გამოეცხადებინათ ამგვარი სინამდვილისთვის და, საზოგადოდ, ხელი აელოთ შემოქმედებით მოღვაწეობაზე;

4) „ისინი მიიჩნევენ, რომ იდეას, შინაარსს არაფერი კავშირი აქვს ხელოვნებასთან“ — უშინაარსო, იდეისგან დაცლილი ხელოვნება არ არსებობს, იმიტომ, რომ სახელოვნებო ფორმა, ყველაზე აბსტრაქტულიც კი, ყოველთვის რაღაცას იუწყება. როცა ამბობენ, ესა თუ ის სახელოვნებო ფორმა უშინაარსო, უიდეოაო, ან არ უნდათ თვალი გაუსწორონ ამ ფორმით გადმოცემულ შინაარსს, ან მიხვედრილობა არ ჰქონდათ:

დადაისტური პოეზიის იდეა, შინაარსი, ბურუუაზიული ცხოვრების წესის, ბურუუაზიული კულტურის გამასხრება. თუმცა ჩვენში სხვაგვარად ფიქრობდნენ. 30-იან წლებში გამოქვეყნებულ ერთ წერილში ვკითხულობთ:

„ტ. ტაბიძე თავისი პოეტური შემოქმედების მანძილზე იცვლიდა დატერატურულ სკოლებს, როგორც ხელთათმანებს. ერთ დროს მან უცებდა დადაისტად გამოაცხადა თავი, ცხობილია, რომ დადაიზმი იყო ცინიკური გრიმასები ბურუუაზიული ხელოვნებისა“ (კვერენ-ჩხილაძე 2011: 398-399. ხაზგასმა ჩვენია. — ლ. ბ.).

არ არის ასე. დადაიზმი მემარცხენე, ანტიბურუუაზიული მიმდინარეობაა. გერმანიაში, მაგალითად, იგი კომუნისტური ორიენტაციის იყო და დადაისტებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რევოლუციურ წრეებთან*.

ტიციან ტაბიძეს თავისი დადაისტობა და მემარცხენეობა სავსებით გაცნობიერებული ჰქონდა. იგი ლექსებში ახსენებს „დადას“, „დადაისტებს“ და „მემარცხენეობასაც“:

„მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „**დადა**“ (უსათაურო: „ნუ გიკვირვებ...“. — ტაბიძე 1985: 124), „ამას ქვია ჩოხიანი **დადაისტები**“ („ორპირის ოქროპირი“. — ტაბიძე 1985: 101), „იქნებ ვინმებ

* „დადა ბერლინში, ისევე როგორც [დადაიზმის] სხვა გერმანულ ცენტრებში, კომუნისტური ორიენტაციისა იყო (gab sich... kommunistisch orientiert) და კავშირი ჰქონდა მრავალრიცხვაზე ავანგარდისტულ და რევოლუციურ წრეებთან“ (ინტერნეტი 1).

ჩემზეც დაწეროს დისერტაცია (**მემარცხენეობა** პოეზიაში უსათუოდ დასატაცია)“ („ორპირის ოქროპირი“. ტაბიძე 1985: 101).

ტიციან ტაბიძის დადაისტურ მადრიგალებში დადაიზმის ყველა არსებითი ნიშანი მოიპოვება: (1) კოლაჟურობა, (2) მხატვრული აბსურდის პრინციპით აგებული პასაჟები, (3) ეპატაჟი. სამივე ეს თავისებურება ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ერთმანეთს განაპირობებს.

(1) კოლაჟურობა, რაც დადაისტმა პოეტებმა ფუტურისტი პოეტებისაგან მიიღეს მემკვიდრეობად, ხოლო ფუტურისტმა პოეტებმა ის კუბისტი და ფუტურისტი მხატვრებისაგან გადმოიღეს, ერთმანეთთან უშუალოდ დაუკავშირებელ საგანთა და მოვლენათა ფრაგმენტების მონტაჟით შესრულებულ სურათს გულისხმობს.

გადახედოთ ამ თვალსაზრისით ტიციან ტაბიძის მცირე მოცულობის (19-სტრიქონიან) ლექსს, რომლის სათაურია „მელიტას“ (ამ სახელწოდების ლექსი ტ. ტაბიძეს ორი აქვს, ორივე მელიტა ჩოლოგაშვილს ეძღვნება. ჩვენ იმას ვგულისხმობთ, რომელსაც დაწერის თარიღად 1923 წელი უზის, ხოლო სათაურის ქვეშ ვკითხულობთ: „დადაისტური მადრიგალი“).

ლექსი იწყება ავტორსა (ტიციან ტაბიძესა) და მე-16 საუკუნის გამოჩენილ იტალიელ მხატვარს ტიციანს (ტიციანო ვეჩელის) შორის პარალელის გავლებით. ამას მოსდევს ხსენება გიგო დიასამიძის უურნალიდან ამოხეული მერი შერვაშიძის სურათისა, რომელიც რამდენიმე სტრიქონის შემდეგ კიდევ ერთხელ იხსენიება, ოღონდ ამჯერად სანდრო ყანჩელის უურნალიდან ამოხეული. ამის შემდეგ-და გაისმის იმის სახელი (მელიტა), ვისაც, სათაურის მიხედვით, ეს ლექსი ეძღვნება და რომელიც იმუამად თურმე შესაძლოა „ტიუტჩევის და რომის ცას“ უყურებს. რომის შემდეგ იხსენიება თბილისი, რომელიც „თანდათან ძირს იწევს“, მაგრამ ამის მიუხედავად (?) „მინისძვრა მაინც იგვიანებს“ (ტაბიძე 1986: 102-103).

დასახელებულ რეალიებს შორის, რომლებიც ამ ლიტერატურულ კოლაჟს ქმნიან, ან არავითარი, ან ერთობ შორეული, ბუნდოვანი კავშირია.

აქ უპრიანია გავიხსენოთ ტრისტან ცარას (1896-1963), დადაიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რეცეპტი — როგორ დავწეროთ ლექსი —, სადაც უტრიორებულად, მაგრამ არსებითად სწორად არის წარმოდგენილი დადაისტური ტექსტის შექმნის პროცესი:

„აიღეთ გაზეთი. აიღეთ მაკატელი. შეარჩიეთ ამ გაზეთში იმ სიდიდის სტატია, რა სიდიდისაც გინდათ გამოვიდეს თქვენი ლექსი. მერე გულდასმით ამოქერით სტატიიდან ყოველი სიტყვა და ჩა-ყარეთ ისინი პარკში. მსუბუქად შეარხიეთ. მერე ერთიმეორის მი-

ყოლებით ამოიღეთ ამონაჭრები. პატიოსნად გადაწერეთ [პარკიდან ამოღებული სიტყვები ქალალზე] იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ამოვიდნენ ისინი პარკიდან. ლექსი თქვენივე მსგავსი იქნება. და ამით თქვენ გახდებით არაჩვეულებრივად ორიგინალური მწერალი, მომხიბვლელი, თუმცალა ადამიანთაგან ვერშეცნობილი მგრძნობელობის მქონე“ (ინტერნეტი 2).

(2) ახლა ვნახოთ მხატვრული აბსურდის პრინციპით შესრულებული რამდენიმე პასაჟი ტიციან ტაბიძის ლექსებიდან:

„ეს არ არის მართლა ოქროპირი,
ეს მხოლოდ ორპირის ბაყაყია...
დიდებულად შვენის სამეფო პორფირი,
დიდებულად იცის დოგმატების მალაყია“.
(„ორპირის ოქროპირი“. ტაბიძე 1985: 101)

„მე მეჩვენება ჩემი თავი მეფის პორფირში,
სოველი ჭინკა თავმდაბლობით მეუბნება ზარს“.
(„სეზონის ფალავანი“. ტაბიძე 1985: 99)

„ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია
სპარსელს რომ ჩამოაქვს ენზელიდან
შიგ დაეტევა მთელი აზის სისულელე
და ხარქს არ გადაიხდის საკავშირო რესპუბლიკისთვის“.
(„დადას მანიქესტი“. ქურდაინი 1980: 219)

ზოგჯერ ჰერონიათ, რომ მხატვრული აბსურდი სიცოცხლის, ცხოვრების, სამყაროს აბსურდულობას ქადაგებს და ამდენად დესტრუქციული მოვლენაა. არ არის ასე: მხატვრული აბსურდი ეპროვის ცხოვრებისეულ აბსურდს, ებრძვის შეძლებისდაგვარად. ასეა ეს ობიექტურად. ზიგმუნდ ფროიდს ნაშრომში „ხუმრობა და მისი მიმართება არაცნობიერთან“ ერთი ასეთი ანეკდოტი აქვს გაანალიზებული: ოფიცერი ჯარისკაცს ავარჯიშებს ზარბაზნის სროლაში. შედეგს ვერ აღწევს — ვერაფერი შეასმინა. ბოლოს, დაღლილი, ასეთ რამეს ეუბნება: მოდი, რა, წაიღე სახლში და შინ ივარჯიშეო. ან როგორ უნდა წაიღოს შინ ზარბაზანი, ან, თუ როგორმე ეს მოხერხა, შინ როგორ ივარჯიშებს! რატომ ეუბნება ამას? უშინაარსოა, „უიდეოა“ ეს აბსურდული შეთავაზება? რა ფუნქცია აქვს მას? ამით მიანიშნებს (ანუ ამ ნათქვამის ქვეტექსტი ასეთია): როგორ სისულე-ლესაც მე ახლა გეუბნები, ისეთივე სულელი ხარ შენ!

(3) დადაიზმში კოლაჟურობაც, მხატვრული აბსურდიც ეპატაჟს ემსახურება. („ეპატაჟი — სკანდალური გამოხდომა; საქცი-

ელი, რომელიც არღვევს საერთოდ მიღებულ ნორმებსა და წესებს“.
— ჭაბაშვილი 1989: 156). დადაისტური ტექსტის ყოველი პასაჟი
მეტ-ნაკლებად ეპატაჟურია. განსაკუთრებით ძლიერია იმ პასა-
ჟების ეპატაჟური ეფექტი, სადაც ტრადიციული ლირებულებების
მიმართ მერეხელური დამოკიდებულებაა გამჟღავნებული, ან რომ-
ლებიც მეტისმეტი გულახდილობით გამოირჩევიან:

„შემიძლია დავიჩემო, რომ სიზარმაცის
ნამდვილი ღმერთი ვარ.
და თუ ამას დაემატება,
რომ ლოთობა ჩემი სტიქიაა —
ჩემზე ეროვნული პოეტი
არ ყოფილა საქართველოში“.
(„უშმური კვირა“. ტაბიძე 1985: 105)

„ნეტავ მე ისე მიყვარდეს პოეზია
ან თვითონ საქართველო,
დედაჩემს რომ უყვარს მეწველი ძროხა
(შენ, ვინც ამაზე გაიცინებ,
ვიცი, შვილიც ისე არ გიყვარს)“.
(„ორპირის ოქროპირი“. ტაბიძე 1985: 101)

„მადონა დეზერტირის ბაზარზე
(უსათუოდ ტემაა ახალი),
გულგრილობით ქვეყანა გადავრაზე,
„დასავლეთის დივანს“ დასწერდა ბაყალი“.
(„სეზონის ფალავანი“. ტაბიძე 1985: 98)

ცხადია, ასეთი პოეტური მიმდინარეობა ხანგრძლივი ვერ იქნე-
ბოდა, ისევე როგორც ვერ იქნება ხანგრძლივი კივილი. სულ შვიდი-
ოდე წელი გრძელდებოდა დადაიზმი — 1916-დან 1922 წლამდე. შემ-
დეგ ის ზოგ ქვეყანაში სიურრეალიზმს შეერწყა (მაგ., საფრანგეთში),
ზოგან ექსპრესიონიზმში გადაიზარდა (მაგ., ავსტრიასა და გერმა-
ნიაში), ზოგან კი (მაგ., აშშ-ში) აპსტრაქციონიზმს დაუდო სათავე.

* * *

ამავდროულად ტიციან ტაბიძის დადაისტურ ლექსებში შეინიშ-
ნება ზოგი თავისებურება, რაც არ არის დამახასიათებელი ევრო-
პული დადაიზმისთვის. ერთი მათგანი გახლავთ დეკლარაციულობა.
მხატვრულ ტექსტში იჭრება მანიფესტის ელემენტები, ლექსშივე

ხდება ახალი ესთეტიკის დებულებათა (მოთხოვნილებათა) გაცხა-დება. ასე არ არის ევროპულ დადაიზმში — იქ მანიფესტები ცალკეა და არტეფაქტები — (ცალკე).

ვნახოთ ამონარიდები ტიციან ტაბიძის სამი ლექსიდან. სამივე ფრაგმენტს ესთეტიკური მანიფესტის ხასიათი აქვს:

„ამხანაგებო, პოეტებო, ვისაც გიჭირთ ლექსების წერა,
ვიცი, რომ მით გულზე მოგეშოთ.
იყავით გამბედავი, სთქვით პირდაპირ,
თქვენზე უფრო მასხრობაა თქვენი ლექსები“.
(„ორპირის ოქროპირი“. ტაბიძე 1985: 102)

„ეს სულ ერთია, მაინც გაუგებარია,
შეიძლება წერა იეროგლიფებით“.
(„სეზონის ფალავანი“. ტაბიძე 1985: 98)

„ყველაფერი წინ მიდის, პოეზიის გარდა –
იწყება ლექსის უკუღმა ელექტროფიკაცია“.
(„უუმური კვირა“. ტაბიძე 1985: 106)

მეორე თავისებურება გახლავთ კონკრეტული რეალიების, მეტადრე ნაციონალური რეალიების, სიმრავლე. საქმე ის არის, რომ დადაიზმი მკაცრად კოსმოპოლიტური მოვლენაა და იგი ვერ ჰგუბს კონკრეტულ და მით უფრო ნაციონალურ რეალიებს. დადაისტურ ლექსში ნაციონალური მხოლოდ ენაა. ტიციან ტაბიძესთან კი თვალ-საჩინოა კონკრეტული ცხოვრებისეული რეალიების სიუხვე. ეს მის დადაისტურ ლექსთა ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

„ორპირის ოქროპირში“ იხსენიება: რაფიელ ერისთავი, დანიელა ურია, დედას ლევანა, აკაკი და ილია, გიორგი სააკაძე, „ვეფხისტყა-ოსანი“, ივანე ჯავახიშვილი;

„უუმურ კვირაში“: კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, შალვა დადიანი, უშანგი ჩხეიძე, (ძმები) ტანტების ცირკი, კულა გლდანელი, პაოლო იაშვილი, (ვალერიან) გაფრინდაშვილი, (კოლაუ) ნადირაძე, რუსთაველის პროსპექტი.

ამის გამო არაქართველი მკითხველისთვის ეს ტექსტები დახ-შულია, ვინაიდან, კიდეც რომ განიმარტოს, ვთქვათ, ვინ იყო ვიორ-გი სააკაძე, კულა გლდანელი, რას ნარმოდგენდა ტანტების ცირკი და სხვ., არაქართველ მკითხველს იმას ვერ გააგებინებ, რა კონ-ტაცია, რა აურა ახლავს თან ქართველის წარმოდგენაში ამ კონკრე-

ტულ ფაქტებსა და გვარ-სახელებს. ხომ არ გადის ეს ლექსები ამის გამო დადაიზმის ფარგლებს გარეთ? ამის პასუხი არ მაქვს.

ამ თავისებურების გათვალისწინებით ხომ არ შექმნა ტიციან ტაბიძემ ტერმინი „ჩოხიანი დადაისტები“? დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ „ჩოხიან დადაისტებში“ იგი ქართველ დადაისტებს გულისხმობდა, ანუ იმას გულისხმობდა, რომ ქართული დადაიზმი შინაარსით კოსმოპოლიტური და ფორმით ნაციონალური მოვლენა იყო. მართალია, მიხეილ ქურდიანი წერს, რომ „ქართველი ავან-გარდისტების, ტიციან ტაბიძის თითქმის ავტოირონიული თქმით, „ჩოხიანი დადაისტების“ რიცხვში იყო აგრეთვე გრიგოლ ცეცხ-ლაძე...“ (ქურდიანი 1980: 217), მაგრამ ის პასაჟი ლექსისა, სადაც ეს გამოთქმა გვხვდება, ჩვენი აზრით, ამგვარი ინტერპრეტაციის შესა-ძლებლობას არ იძლევა. გავიხსენოთ:

„ამბობენ, იყო გიორგი სააკაძე,
ჩრია* მზითევეს უმატებდნენ „ვეფხისტყაოსანს“
(ამას ქვია ჩოხიანი დადაისტები).
(„ორპირის ოქროპირი“. ტაბიძე 1985: 101)

ნათელი არ არის, რას გულისხმობს აქ პოეტი. რას ჰქვია „ჩოხი-ანი დადაისტები“? მზითევისთვის „ვეფხისტყაოსანის“ დამატებას, ანუ ქმედებას? ცხადია, არა. მაშინ ასეთი გაება რჩება: „ჩოხიანი დადაისტები“ მზითევისთვის „ვეფხისტყაოსანის“ დამმატებელნი არიან. თუმცა... მეტისმეტ სიცხადეს ხომ არ მოვითხოვთ კოლა-ჟურ-აბსურდული დადაისტური ტექსტისაგან? (გავიხსენოთ „სე-ზონის ფალავანიდან“: „ასე ატირებდა პოეტს მალარია, / ასე გა-უგებრად წერდა ტიციან ტაბიძე“). — ტაბიძე 1985: 99).

და ბოლოს: რა ღირებულება აქვს ამგვარ ლექსებს სადლეისოდ (გნებავთ, სამომავლოდაც)?

ასეთი პოეზია ერთობ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მკითხველზე ადრეულ ასაეში, როცა ადამიანი, ახალგაზრდა ქა-ლი თუ ვაჟი, თვითდამკვიდრების გზას ადგას. იგი მეამბოხეა, ბევრი რამ, რაც მას დახვდა, როცა ქვეყანას მოევლინა, აღიზი-ანებს, ხელის შემშლელად მიაჩნია, სულიერ დისკომფორტს უქ-მნის. ამ დისკომფორტს რამდენადმე შველის ამ ყაიდის პოეზია; იგი, მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, კათარსისს იწვევს, ხოლო ახალგაზრდული უარგონის ენით თუ ვიტყვით — ასწორებს.

* ქეგლ-ის მიხედვით, **ჩრია** იმერულ დიალექტში მჩატეს, მსუბუქს ნიშნავს (ქეგლ 1964: 539). „ჩრია მზითევი“ მსუბუქი ანუ ღარიბული მზითევი იქნება.

დამოცვებანი:

ინტერნეტი 1: <http://www.dadadata.de/definition.htm> (05.04.2012)

ინტერნეტი 2: <http://hausaufgabenweb.de/deutsch/epochen/dadaismus/> (05.04.2012)

კვერცხჩილაძე 2011: კვერცხჩილაძე რ. საბუთები ღალადებურ. მეორე შევსებულ-გადამუშავებული გამოცემა. თბ.: „უნივერსალი“, 2011.

ტაბიძე 1985: ტაბიძე ტ. ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბ.: „მერანი“, 1985.

ქეგლ 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VIII. თბ.: „მეცნიერება“ 1964.

ქურდიანი 1980: ქურდიანი მ. ავანგარდისტული მანიფესტები // პოეზია უპირველეს ყოვლისა. თბ.: „მერანი“, 1980.

ცნებები 1984: ჭილაძა ა., ჭილაძა რ. ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

ჭაბაშვილი 1989: უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა. მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ.: „განათლება“, 1989.

მანანა გელაშვილი

„მშვენიერი თვალები პირბადის მიღმა“
(სიმბოლოს გაგებისათვის სიმბოლისტურ პოეზიაში)

„მშვენიერი თვალები პირბადის მიღმა“ — ვერლენის ეს შთამბეჭდავი სტრიქონი ლექსიდან „პოეტური ხელოვნება“ („Art Poetique“) ერთგვარ პოეტურ მეტაფორას წარმოადგენს სიმბოლისტურ პოეზიის. მშვენიერი თვალები პირბადის მიღმა, მომხიბლავი და მაცდური, მიმზიდველი სწორედ თავისი იდუმალებით, ვერლენის პოეზიაში ქალს კი არ შეეხება, არამედ ლექსს და გასაოცარი სიფაქიზით ამბობს, თუ რაოდენ ძვირფასია ავტორისთვის დაფარულის, იდუმალის ხილვა და გამოსახვა. ოლონდ ისე გამოსახვა, რომ საბურველი კი არ შემოძარცვოს, არამედ საიდუმლო საიდუმლოდ შეინახოს და მისმა მშვენებამ და დიდებულებამ პირბადის მიღმა დაფარული თვალებივით შემოაშუქოს მკითხველს.

ვერლენის, ზოგადად კი სიმბოლისტების აზრით, სიმბოლო სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, იგი კავშირია, ხილია პოეტის მიერ შექმნილ სამყაროსა და ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს შორის გადებული. ასეთი ხილის არსებობა კი აუცილებელია, რადგან ამ ორს შორის საგანთა სამყარო ჩამდგარა, და ადამიანიც მხოლოდ საბურველს ხედავს და მის მიღმა მშვენიერ თვალებს კი — ვერა. ამიტომ, სიმბოლო, იმის მიუხედავად, იგი ცალკეული პოეტური ხატის სახით იქნება წარმოდგენილი, თუ მთელი ლექსი იქნება ერთი გავრცელილი სიმბოლო, კონკრეტულში ზოგადის, აბსტრაქტულისა და მიღმურის გამოსახვას ისახავს მიზნად.

„მხატვრული სახის შექმნა უკვე ნიშნავს სიმბოლიზმას, ამიტომ ხელოვნება par excellence — სიმბოლისტურია“ — წერდა ელისი ცნობილ წიგნში სიმბოლიზმზე. მართლაც, ხელოვნება, თუნდაც რეალისტური, სიმბოლოს გარეშე ძნელი წარმოსადგენია. როგორც სამართლიანად შენიშნავდა ლოსევი, „ყოველგვარი ხელოვნება, თვით მაქსიმალურად რეალისტურიც კი სიმბოლისტური ხატოვანებას გვერდს ვერ აუვლის. ამიტომ, სიმბოლისტები რეალიზმისაგან იმით კი არ განსხვავდება, რომ სიმბოლოებს იყენებს, არამედ იდეოლოგიური თავისებურებებით“ (ლოსევი 1976: 153). აქვე შევნიშნავ, რომ იდეოლოგიურ თავისებურებებში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოს სპეციფიკური გაგებაა, რომელიც, სიმბოლისტებისათვის მხოლოდ მხატვრული სახე არ არის, არამედ საშუალებაა დაფარული, მიღმური ცოდნის, სამყაროს წვდომისა და გამოსახვისა.

ამიტომ სიმბოლისტები სიმბოლოს ეტიმოლოგიაში გამოხატულ „მაკავშირებელ“ თვისებაზე აკეთებენ აქცენტს და ხაზს უსვამენ, რომ სიმბოლო მხოლოდ „ნიშანს“ კი არ წარმოადგენს, არამედ ორი სიტყვის ამალგამაა (ლათ. Sym-bolum, ბერძ. Sym-bolon) და მისი ბერძნული ძირი „ერთად ტყორცნას“ ნიშნავს. სიმბოლო ერთმანეთთან აკავშირებს უხილავ, მიღმურ, ირაციონალურ სამყაროს და რეალურს, ხილულს, რაციონალურს. სწორედ ამ ირაციონალური სამყაროს გამოსახვის ერთადერთი საშუალებაა პოეტის მიერ სიმბოლოებით აზროვნება.

როგორც უამ მორეასი 1886 წელს გამოქვეყნებულ „სიმბოლიზმის მანიფესტში“ წერდა: „სიმბოლისტურ ხელოვნებაში ბუნება, ადამიანთა მოქმედებები, და სხვა ყველაფერი, რაც რეალურ სამყაროში ხდება, თავისითავად კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ როგორც ეზოთერული კავშირი პირველად იდეასთან“ („destinées à représenter leurs affinités ésotériques avec des Idées primordiales“) (მორეასი 1886).

სტეფან მალარმესაც მიაჩნდა, რომ პოეზის მიზანი ტრანსცენდენტური, იდეათა სამყაროს ხედვა და გამოსახვაა: „ვამბობ: ყვავილი! და მუსიკალურად აღმოცენდება იდეა თავისითავად, ... რომელსაც ვერცერთ თაიგულში ვერ ნახავთ“, („Je dis: une fleur! et, ... musicalement se lève, idée même, ... l'absente de tous bouquets“). მალარმესათვის ასეთი ყვავილი არის ის „წმინდა ცნება“, რომელსაც პოეტი უნდა ესწრაფვოდეს.

ვფიქრობ, რომ თავის ერთ-ერთ საპროგრამო სონეტში „მისი წმინდა ფრჩხილები“ („Ses purs ongles“) მალარმე სწორედ ამ პროცესს გამოხატავს: მცდელობას საგანთა სამყაროდან გასვლის და იდეათა სამყაროსთან მიახლოების. სონეტის პირველი 13 სტრიქონი საგნებისგან დაცლილი ოთახს, სიკვდილსა და სიცარიელეს ხატავს. ამ ოთახის პატრონი — ოსტატი — (სავარაუდოდ, ბოდლერი, რომელიც მალარმესათვის ხატი იყო იდეალური სიმბოლისტი პოეტის) სტიქსის ცრემლების მოსაპოვებლად ნასულა.

Car le Maître est allé puiser des pleurs au Styx
Avec ce seul objet dont le Néant s'honore.

თანდათან ნივთების ადგილს სონეტში ანარეკლები იკავებს (სარკე და ანარეკლი მალარმეს საყვარელი ხატია, რადგან საგნის ჩანაცვლება მისი ანარეკლით ამ საგნებს რეალურობას ართმევს). ხოლო სონეტის ბოლო სტრიქონში ეს სივრცე ფანჯრიდან შემოსული შვილი ვარსკვლავის ციმციმს უერთდება და იმ სამყაროს ნაწილი ხდება, რომელსაც დიდი ოსტატის შემოქმედება ესწრაფვოდა. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ მთელი სონეტი ორ რითმას ეყრდნო-

ბა — ix და 10, რომელსთავან პირველი ასო x-ს შეიცავს, რომელიც უცნობის საყოველთაოდ მიღებულ ნიშანს წარმოადგენს, მეორე კი ფრანგულად ოქროს აღნიშნავს, რომელიც სრულყოფილების სიმბოლოა (სხვათა შორის, მალარმე ხშირად ადარებდა თავს ალქიმიკოსებს). ამრიგად, მალარმეს ამ სონეტის ფორმაცა და შინაარსიც მინიშნებებით არის დატვირთული და ფორმაცი ისევეა დაფარული სიმბოლიკით, როგორც შინაარსი.

ანარეკლის სიმბოლიკა არანაკლებ მნიშვნელოვანია ვერლენის პოეზიაშიც. ადრებულ კრებულშიც კი — „კეთილი სიმღერა“ (Le Bonne Chanson, 1872), სადაც ვერლენი ჯერ კიდევ საკუთარ ხმას ეძებს. ამ კრებულში შესულ ლექსებში განმეორებადი ხატი ანარეკლია. ვერლენი ხატავს არა რეალურ საგნებს (მაგ. ჩიტი, ტირიფი), არამედ მათ ანარეკლს წყალში, როთაც ამ საგნებს იდუმალებით მოსავს. იგივე ფუნქციას ასრულებს ნისლი, რომელიც ხან მონაცრისფრო-ლურჯია, ხან მენამული, ხან მოცეკვავე, ხან დალონებული. ვერლენის სამყარო ამ ნისლითა გახვეული და ამიტომ მყაფიო კონტურები წაშლილია, ყველაფერი პასტელის ფერებშია, ხმები კი ნახევარტონებია. ამ მოვლენას ფრანგული სიმბოლიზმის ცნობილი მკვლევარი ობლომიევი „უსაგნობას“, „საგნებისგან დაცლას“ (развешествление) უნიდებს (ობლომიევსკი 1973: 162). შემდეგ კრებულებში „უსიტყვო სიმღერები“ („Romances sans paroles“, 1874) და კიდევ უფრო მეტად კრებულში „სიბრძნე“ („Sagesse“, 1880) ვერლენის პოეზია კიდევ უფრო თავისუფლდება „საგნობრიობისგან“ და ყურადღება იდეალურ სამყაროზე გადააქვს, რომელსაც იგი „მიღმურს“ („des au-delà“) უნიდებს.

ვერლენისათვის, და ზოგადად სიმბოლისტებისათვის ეს „მიღმური“ სამყარო გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე რეალობა. მას პოეტი წარმოსახვით წვდება. აქვე აღვნიშნავ, რომ სიმბოლისტები ერთმანეთისააგან მკვეთრად გამიჯნავენ წარმოსახვას (l'imagination) და ფანტაზიას (la phantasie), რადგან ფანტაზია ადამიანის გონების მიერ ზღაპრულისა და არარსებულის გამოგონებად თვლიან, მაშინ როცა წარმოსახვა დაფარული სამყაროს ხედვის უნარია. როგორც ბოდლერი წერდა სტატიაში „ედგარ პოზე“: „წარმოსახვა კვაზი-ლვიური უნარია, რომელიც მოვლენათა იდუმალ და ინტიმურ მიმართებებს აღიქვამს, მათ შესაბამირობებსა და ანალოგიებს“.

ლექსში „შესატყვისობანი“ („Correspondances“) ბოდლერი სწორედ ამ „ანალოგიებსა და შესაბამისობებს“ ეძიებს. ბუნება, მისთვის ის ტაძარია, სადაც მინიშნებით ისმის სიბრძნე, ხოლო პოტი მასში ეძიებს გამოკრთომას იდეათა სამყაროსი. ამიტომ სიბოლისტები

რეალურ სამყაროს კი არ გაურბიან და უარყოფენ, როგოც ამას ხშირად წერენ, არამედ მასში დაექცებენ მინიშნებას. ბუნების აღქმა, როგორც „სიმბოლოთა ტყის“ (ბოდლერს „შესატყვისობანი“, ვერლენის „ქედმაღლობა“), დამახასიათებელია სიმბოლისტური პოეზიის. აქ ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია და როგორც ბოდლერი ამბობს „ერთმანეთს შეესაბამება“ („se correspondent“) — ფერი, ხმა, სიტყვა, სურნელი — ყველა ერთად კი რაღაცას მიგვანიშნებს. სწორედ ამ შესატყვისობების ძიებას წარმოადგენს სიმბოლისტური პოეზია; ეს არის ძიება ენისა, რომელშიც შენივთებული იქნება ადამიანის შეგრძნებათა მრავალფეროვნება; „თავს ვიწონებდი, რომ შევქმნიდი პოეტურ ენას, რომელიც ადრე თუ გვიან ადამიანის ყველა შეგრძნება აღიქვამდა“. — წერდა რემბო „სიტყვის ალქიმიაში“. იმის რწმენასაც გამოთქვამდა, რომ, „უნივერსალური ენის დრო მოვიდოდა“, რომელიც თავს მოუყრიდა და მოიცავდა ყველაფერს: სურნელს, ფერს, ბერას. ამიტომ ვერლენის „უსიტყვო რომანსებიც“, სადაც, როგორც ცნობილია, ვერლენს სურდა ლექსის მუსიკალობა უფრო ინფორმატიული ყოფილიყო, ვიდრე ვერბალური ნაწილი, ანდრეი ბელის „სიმფონიები პროზად“ და რემბოს „ხმოვნებიც“, სადაც რემბო ბერასა და ფერს შორის ეძიებდა კავშირს, ერთსა და იმავე მოვლენად უნდა აღვიქვათ; კერძოდ, მცდელობად პოეტური ენის გაფართოების და სიტყვის სწრაფვას ისეთი აბსტრაგირებისაკენ, როგორიც ფერი და ბერაა. „ფერი ლაპარაკობს, — წერდა ბოდლერი, — ხმით, რომელიც ჯადოქრობას წააგავს,... სურნელები შესაბამის ფიქრებსა და მოგონებებს წარმოშობს“. იქვე ბოდლერი იმასაც შენიშნავს, რომ რაოდენ რთული და ძნელად გამოსათქმელიც უნდა იყოს სათქმელი, მისი სიტყვად ქმნის პროცესი გარდაუვალია და თეოფილ გოტიეს მაქსიმასაც მოიშველიებს, რომ „გამოუთქმელი არ არსებობს“ („L'inexprimable n'existe pas“).

პოეზიის ხელოვნების სხვა დარგებთან დაახლოებაზე საუბრისას, შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ სიმბოლისტების ცნობილ გამონათქამებს პოეზიისა და მუსიკის სიახლოვეზე (ვერლენის „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“, მალარმეს „პოეზია და მუსიკა ერთი და იგივე“). ჩვეულებრივ, ამ მოვლენაზე მსჯელობისას სიმბოლისტური პოეზიის მუსიკალურობაზე მსჯელობენ. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში უფრო გამართლებულია, არა ლექსის ვერსიფიკაციულ სრულყოფილებაზე მსჯელობა (თუმც, სიმბოლისტური პოეზია მართლაც გარკვეული გარღვევა იყო ამ მიმართულებითაც), არამედ პოეზიის საზღვრების გაფართოების მცდელობაზე. ვერლენიც კი, რომლის ლექსი მართლაც ვირტუოზულად მუსიკალურია, წერს: „რითმა ერთი სუს ღირებულების სათამაშოა“. მკვლევარები წერენ,

რომ ბოდლერის ბევრი თანამედროვე (გოტიე, ჰერედია, ბანვილი), როგორც ვერსიფიკატორი, ალემატებოდა ბოდ-ლერს (მარინონი 1913: 29), და რომ მისი ნანარმოებები მეტრული დარღვევებით ხა-სიათდება. რა თქმა უნდა, რომ სწორედ ეს მისწრაფება მიღებულის დარღვევისა, ნარმოქმნის მისი პოეზიის ინდივიდუალობას, მაგრამ ეს ინდივიდუალობა ლექსის გამოკვეთილ მუსიკალურობას არ ნიშნავს. აქვე შევნიშნავ, რომ ბოდლერიც, რემბოცა და მალარმეც საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ ვერლიბრს, რაც, ვფიქრობ, ასევე მიგვანიშნებს იმაზე, რომ მუსიკისა და პოეზიის იდენტურობა სიმ-ბოლისტებისათვის ლექსის მუსიკალობას კი არ ნიშნავს, არამედ ლექსის სწრაფვას ისეთივე აძსტრაგირებისადმი, როგორიც მუსი-კას აქვს.

როდესაც ვერლენი წერს „მუსიკალური ანარეკლი“ „ხმების კონ-ტურები“ („უსიტყვო რომანსები“), ან „შავი სიჩუმე“ („სატურნალიე-ბი“) — ამგვარი პოეტური ხატი სხვადასხვა აღქმით სიბრტყეში არ-სებულ მოვლენებს აერთიანებს, მასში ენის პრაგმატული ფუნქცია შესუსტებულია და ხატი, ლოგიკურის ნაცვლად, ემოციური ინფორ-მაციის მატარებელია. მალარმე ესეში „მუსიკა და ლიტერატურა“ (1896) მიუთითებდა, რომ ვერლენმა დაუდო სათავე ტრადიციისაგან გადახვევას უკიდურესად ინდივიდუალური გამოხატვის ფორმით.

ამიტომ, სიმბოლისტებისათვის ხელოვნება უფრო მეტია, ვიდრე ხელოვნება: იგი რჩეულთა უნარია ტრანსცენდენტური სიბრძნის წვდომის და გამოხატვის. ამისათვის კი სიმბოლისტი პოეტი მზად არის, ვყელფერის გასწიროს. როგორც ბოდლერი ამბობს, პოეტი ქვესკნელში ჩაეშვება და ზეცაშიც ავა, რათა შეუცნობადის სიღ-რმეში სიახლე იპოვოს:

Plonger au fonde du gouffre, Enfer ou Ciel, qu'importe,
Au fond de l'Inconnue por trouver du nouveau!

სიმბოლისტ პოეტთა შორის ყველაზე რადიკალურად ნოვატორი არტურ რემბო პოეტს ხელდასხმულად მიიჩნევს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, 17 წლისა, იგი თავისი სკოლის მასწავლებლისადმი მი-ნერიოლ წერილში პოეტის დანიშნულებად „ყველა გრძნობათა ისეთ გაღიზიანებას მიიჩნევს, რაც პოეტს ვიზონერად აქცევს“. პოეტი ამ პროცესში, ერთსადამავე დროს მონაწილეცაა და გარედან დამ-კვირვებელიც, რაც რემბოს ცნობილ ფრაზაში „მე ვარ სხვა“ („Je est un autre“) გამოიხატა. ეფიქრობ, ეს ფრაზა იმასაც ნიშნავს, რომ შემოქმედებითი ექსტაზის დროს, რომელიც, სიმბოლისტების აზ-რით, უპირატესად ირაციონალურია, ადამიანის მეორე, სხვა მე —

მისი არაცნობიერი — მძლავრობს და, ფაქტობრივად წარმართავს მთელ პროცესსაც და თავად პოეტსაც.

არტურ რემბოს „გასხივოსნებანი“ („Illuminations“, გამოქვეყნდა 1886 წელს ვერლენის მიერ), რომელიც წლინახევრით ადრე შეიქმნა, სანამ რემბო პოეზიას გამოეთხოვებოდა, ფაქტობრივად მის ხილვებს წარმოადგენს, რომლის ავტორმა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მარადისობას მიაგნო. ეს არის ზღვა შერწყმული მზესთან“. რემბოს უჩვეულო ხატოვანება, მისი ფანტასმაგორიული, ენიგმატური სამყარო იმდენად რთული და მრავალნიშნადია, რომ ძალიან ძნელად ექვემდებარება ლოგიკურ ინტერპრეტაციას. რემბო თავადაც აღნიშნავს „ამ ველური პარადის გასაღები მხოლოდ მე მაქვსო“ („J'ai seul la clé de cette parade sauvage“, „Parade“).

ამიტომ არის ასეთი მნიშვნელოვანი სიმბოლისტების პოეზიაში „სიზმრის“, „ხილვის“, „ზმანების“ („le rêve“) ცნება. სიმბოლისტებისათვის ეს ადამიანის ის მდგომარეობაა, როდესაც მისი შემეცნება ცნობიერისა და არაცნობიერის ზღვარზეა და ამიტომ ყველაზე პროფუქტიულია შემოქმედებისათვის. სიმბოლისტების აზრით, პოეტი არის ნათელმხილველი, ვიზიონერი (voyant), რომელიც თავის ხილვებს ლექსად თარგმნის სიმბოლოების მეოხებით, თარგმნის მინიშნებებითა და ნიუანსებით („არაფერი ნიუანსის გარდა“ („rien que la nuance!“), — წერდა ვერლენი), რადგან სიმბოლისტებისათვის ეს ერთადერთი საშუალებაა ამ რთულ გზაზე.

იდეალური, „ნმინდა პოეზიის“ შექმნის სირთულეებს სიმბოლისტები ცხადად აცნობიერებდნენ. ისინი ადამიანის სულისა და ფსიქიკის იქამდე მიუწვდომელი სილრემების გამოხატვას ცდილობდნენ, რაც, ბუნებრივია, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებას მოითხოვდა. ამ გზაზე კი წარმატებას, იმისი შეგრძნება სჭარბობს, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია, რომ ტრადიცია, ცივილიზაცია, ლოგიკა ის ხუნდებია, რომელთაც ადამიანი ვერასდროს მოიშორებს. ამიტომ გვხვდება ასე ხშირად სიმბოლისტთა პოეზიაში გაქცევის, მოგზაურობის, გზის და ამ გზაზე გამოვლილი შეჭირვების თემატიკა.

მაღარმეს ბოლო ნანარმოები — „მიზანი მოგზაურობაა“ („Au seul souci de voyager“), გზის სირთულესა და რისკს უსვამს ხაზს, რომელიც ახალი ქვეყნების ძიებას სდევს თან. ასეთი ახალი ქვეყნის ძიება სიმბოლისტური პოეზიაც და განწირული გემის სიმბოლოც იმ ქარტეხილთა ხატია, რაც ამ გზაზე პოეტმა განიცადა. ლუზისა და საჭის გარეშე დარჩენილი ხომალდი მთავარი ხატია რემბოს ცნობილ ლექსში „მთვრალი ხომალდი“, რომელიც მის სულიერ მოგზაურობასა და იმ გზის სირთულეზე მოგვითხრობს, რომელიც

მას გადახდა. ამ სირთულეებზე მიგვანიშნებს მალარმეს პოეზიის განმეორებადი ხატი ყინულში გაჭედილი თეთრი გედის, რომელიც გაფრენას ამაოდ ლამობს, ბოდლერის „ალბატროსი“. და ბოლოს მალარმეს 17 წლიანი დუმილი და რემბოს უეცარი გადაწყვეტილება: 20 წლისას საერთოდ უარი ეთქვა ლექსის წერაზე.

ლექსში სხვა არაფერი უნდა იყოს „ნიუანსის გარდაო“ („rien que la nuance!“), — წერდა ვერლენი, მალარმეც ეთანხმებოდა, რომ „საგნის დასახელება იმას ნიშნავს, რომ ლექსში სიხარული ჩაკლა“. ამიტომ სიმბოლისტური ლექსის პოეტიკა იმთავადვე გულისხმობს, რომ ამ სახის ლექსი, ყველა სხვა ლექსთან შედარებით, ნაკლებად ექვემდებარება ლოგიკურ ანალიზს და ყოველგვარ მცდელობას მათი ინტერპრეტირებისა მხოლოდ მექანიკურ შეკვეცამდე მივყართ, რომელიც ლექსში „სიხარულს კლავს“.

XX საუკუნის დასახუისში უილიამ ბატლერ იეიტსი, თავის ესეში „სიმბოლიზმი პოეზიაში“ („The Symbolism of Poetry“) ცდილობს რა სიმბოლისტური პოეზიის არსისა და მშვენების ანალიზს, წერს: „როცა ბერა, ფერი და ფორმა მუსიკალურ კავშირშია ერთმანეთთან, უმცვენიერეს კავშირში, ისინი თითქოს ერთ ბერად, ერთ ფერად, ერთ ფორმად იქცევიან“ (... when sound, and colour, and form are in a musical relation, a beautiful relation to one another, they become, as it were, one sound, one colour, one form“).

იეიტსი, თავადაც დიდი პოეტი, უკიდურესად ფაქიზად და პოეტურად მსჯელობს სიმბოლოსა და სიმბოლიტურ პოეზიაზე, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ პოეზიაზე წერა უმაღური საქმიანობაა და იქვე დასძენს, რომ ლექსი ის „სრულყოფილებაა, რომელიც ანალიზს გაურბის“ (the perfections that escape analysis). ამ ფრაზამ კი ისევ ვერლენის „პირბადის მიღმა“ დაფარულ „მშვენიერთვალებთან“ მივვიყვანა, რითიც დავინცე ეს წერილი. წერილი, რომლის მიზანი მხოლოდ იმ სიხარულის გაზიარებაა მკითხველისათვის, რასაც სიმბოლისტური პოეზია აღძრავს ამ სტატიის ავტორში; იმ სრულყოფილებით აღძრული სიხარულის გაზიარება, რომელიც „ანალიზს გაურბის“.

დამოცვებები:

ლოსევი 1976: ლოსევ ა. ფ. *Проблема символа и реалистическое искусство*. М.: 1976.

მარიონი 1913: Marinoni, A. *The Poetry of Charles Baudelaire*. The Sewanee Review, (Volume 21). <http://archive.org/details/jstor-27532587>

მორეასი 1886: *Manifeste du Symbolisme* [Le Figaro, 18 septembre 1886] <http://www.ieeff.org/manifestesymbolisme.htm>

ობლომიევსკი 1973: Обломеинский Д. Д. *Французский Символизм*. 1973.

ნინო გოგიაშვილი

ერთი ლექსის ანალიზი (შალვა კარმელის „მკვლელობა სონეტში“)

მკვლელობა სონეტში

იქნებ მკვლელობა ამ ხანებში მოხდეს ფარული,
არვის დაედოს ჩემს სიკვდილში მძიმე ბრალდება,
ეს გათოვება მეტად უხვი იანვარული, —
უკვე აშკარად დღეს ეტყობა, თებერვალდება!

თოვლის ქანდაკი ჩემს ეზოში დავდგი მიონად,
შევძელი კერპად შენი ტანის ნაკვთში დაყვანა.
თითქოს გადვიქეც ჩვენებისთვის პიგმალიონად,
სული, ლვთაებას ცივ თეთრებში, კვლავ გეთაყვანა.

ჯერ ჩემთვის ღამეს ასე ძილი არ გადუსხია. .

შენ მაყვედრიდი, გალატეა, შენს პიგმალიონს:
„ჩამაცვი კაბა. . ო, რა მცივა. .

ო, რა სუსხია.

სანამ გიცადო ქმარს უგულოს როგორც ალიონს!”

ვნახე მიონა გათენებას, ხეთა ფარცხებით
სფინქს ამსგავსებდა გადაყრილი ნამქერის ხვავი.
და გადავწყვიტე, სანუგეშოდ ამ დამარცხებით,
ერთ-ერთ სონეტში დაუნდობლად მოვიკლა თავი.

ყველაზე ახალგაზრდა „ცისფერყანწელმა“ — შალვა კარმელმა, მხოლოდ ლექსში „სცადა“ ფარული თვითმკვლელობა, ვიდრე პოეტების სენი — ჭლექი გაისტუმრებდა იმქვეყნად. ლექსი „მკვლელობა სონეტში“ დანერილია 1921 წელს.

პოეტის ფსევდონიმი, შემოქმედება და კონკრეტული ლექსი, არ შეიძლება, რელიგიურ კონტექსტში არ განვიხილოთ. დავიწყოთ შალვა კარმელის ფსევდონიმიდან, რომელიც პალესტინაში მდებარე ბიბლიური მთაგრეხილიდან — კარმელიდან მოდის, სადაც, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, იეზუიტმა ბერებმა „კარმელისტების“ ორდენი დააარსეს და, ფეხშიშველნი და ქრისტესავით უპოვარნი, მხოლოდ ღმერთს ემსახურებოდნენ. პაოლო იაშვილი მას „კარმელი მართალს“ უწოდებს სტატიაში, რომელიც გაზეთ „რუბიკონის“ 1923 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა: „1915 წელს

შემოდგომაზე ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსების და თითქმის ვერაფერი ვერ მითხრა. ის იყო, როგორც წიბლია“. პაოლო იაშვილმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ამ ჩუმი და მუდამ გაფითრებული ყმაწვილის ხველა და „ხშირი სისხლი მის ბავშვურ პირზე“... შალვა კარმელი (გოგიაშვილი) „კარმელისტი“ იეზუიტი ბერივით თავშენირული იყო თავის ღმერთს, რომელსაც პოეზია ერქვა.

იქნებ მკვლელობა ამ ხანებში მოხდეს ფარული,
არვის დაედოს ჩემს სიკვდილში მძიმე ბრალდება,

— წერს პოეტი ლექსში „მკვლელობა სონეტში“. სონეტი „ცისფერყანელთა“ საყვარელი სალექსო ფორმა იყო, მას ხშირად მიმართავდა შალვა კარმელიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსი სონეტი არ არის, ავტორმა მას ასე უწოდა. როგორც ვიცით, სონეტი მყარი სალექსო ფორმაა, რომელიც ორ ნაწილად იყოფა და 14 ტაქბს შეიცავს. თუმცა, ვიდრე ამ დაკანონებულ კომპოზიციურ ნიშნებს შეიძენდა, იწერებოდა 16, 17 და 20 ტაქტოვანი სონეტებიც. ეს ლექსი 16 ტაქტისგან შედგება. შალვა კარმელმა შესანიშნავად იცოდა სონეტის კანონიკა, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ეს „ლიტერატურული მანევრი“ იყო ირიბი მინიშნება: როგორც ეს ლექსი არ არის სონეტი, ასევე, არ შიძლება, მოხდეს სუიციდის პრეცედენტი რეალობაში ავტორის მიერ. შალვა კარმელი მხოლოდ და მხოლოდ ლექსში ახდენს იმ ქვეცნობიერი სურვილის ტრანსფორმაციას, რასაც ირეალური რეალობისაგან თავისა დაღწევა და შობამდელ პირველსაწყისთან დაბრუნება ჰქვია. „კეთილშობილი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი“, როგორც მას პაოლო იაშვილი უწოდებდა, ყოველთვის სიცოცხლის სიყვარულითა და ოპტიმიზმით იყო აღსავსე. მის გასაოცარ ინტელექტს პიროვნული ღირსებები ავსებდა. კეთილშობილება კი მხოლოდ წარმომავლობიდან არ მოდის, შესაძლებელია, ის რომელიმე უბრალო მენაღის ან თერძის შეიღს აღმოაჩნდეს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, შალვა კარმელის (გოგიაშვილის) მთელი პოეზია, მისი ყოველი სტრიქონი, მისი ყოველი სტროფი აღვისილია ამ კეთილშობილი ნიჭის სუნთქვითა და სიდიადით.

შესაძლებელია, როდესაც პოეტი სონეტში თვითმკვლელობას ახსენებს, სულაც არ გულისხმობდეს კონკრეტულ ლექსს. ამ ვერსიაზე დაფიქრების საშუალებას შემდეგი სტრიქონები გვაძლევა:

და გადავწყვიტე. სანუგეშოდ ამ დამარცხებით,
ერთ-ერთ სონეტში დაუნდობლად მოვიკლა თავი...

იმავე ჰიპოთეზას ადასტურებს ლექსის დასაწყისი: „იქნებ მკვლელობა ამ ხანებში მოხდეს ფარული“. აქ არსადაა ნახსენები კონკრეტულად ეს ლექსი, აქ უფრო იგეგმება მომავალში ერთ-ერთ სონეტში ფარული თვითმკვლელობა. ეს ლექსი ალიბივითაა, გამართლებასავით, მიზეზივით. ამ ვერსიის სარწმუნოდ მიღება ლექსის სათაურის მართებულობასაც ამტკიცებს მის ფორმასთან მიმართებაში: რადგან ლექსის არქიტექტონიკა არ ემთხვევა კანონიკური სონეტისას, ეს ფაქტიც ამართლებს მოსაზრებას, რომ კონკრეტულ ლექსში სხვა ლექსზეა საუბარი. „მკვლელობა სონეტში“ ლირიკული გმირის დიალოგია სათაყვანებელ არსებასთან, ღვთაებასთან, თავის გალათეასთან. აქედან გამომდინარე, მიმართვის ობიექტი პოეტის მიერვეა შექმნილი და განსხვეულებული, რადგან ამბობს: „თითქოს გადვიქეც ჩვენებისთვის პიგმალიონად... ფრაზა ალუზიაა რომა-ელი პოეტის — ოვიდიუსის „მეტამორფოზებიდან“, სადაც კვიპროსის მეფე და მოქანდაკე სპილოს ძვლისგან გამოაქანდაკებს ულა-მაზეს ქალს, რომელსაც შეიყვარებს. სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტა კი მას სულს ჩაუდგამს. მეფე პიგმალიონი გალათეას ცოლად ირთავს. ლექსში იკითხება პირველადი და მეორადი წესრი-გის კონტაცია. პირველ შემთხვევაში, პიგმალიონისა და გალათეას სიუჟეტში, შესაძლებელია, ვიგულისხმოთ პოეტი და მისი ქმნილება — ლექსი, პოეზია, და პარადიგმული ჯაჭვი გალათეა-პიგმალიონისა მიმართული იყოს ქმნადობის პროცესებისა და რეზულტატისა-კენ. მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია, მოვიაზროთ ცხოვრები-სეული კონტექსტი, და გალათეა პირდაპირი მნიშვნელობით აღვიქ-ვათ მის რეალურ სატროდ. პირველადი კონტაციის გაებისას, პოეტს ესახება, რომ მისი შემოქმედება მისით გულნაკლულია, გალათეას სცივა, ლექსის ლირიკულ გმირს უგულო ქმრად მოიხ-სენიებს და სთხოვს, რომ კაბით შემოსოს: „სანამ ვიცადო ქმარს უგულოს, როგორც ალიონს!“ ძილგატეხილი და ნაღალატევი ქალის ღალადისივითაა, რომელიც ალიონსა და უგულო თანამეცხედრეს ერთხაირი განცდით ელოდება. ასეთი განცდა თითქოს უკუფენაა პოეტის შინაგანი მდგომარეობისა, — შესაძლებელია, ის არაა ბო-ლომდე კმაყოფილი თავისი შემოქმედებითი ღვანლით და ეს შინა-განი სევდა-პროტესტი ირეკლება მის ლექსში, როგორც სარკეში და უკუმიმართულებას იძენს.

მკვლელობა ლექსში ფარული უნდა იყოს, რათა „მძიმე ბრალ-დება“ არვის დაედოს. ეს მკვლელობა დამარცხების თავისებური რევანშია, უმნეობის ალტერნატივა, განდგომის მწვერვალი. ლექ-სის ლირიკული გმირი, მარცხის სანაცვლოდ, თვითმკვლელობას ამჯობინებს და სამუდამოდ გაურბის უსუსურობის განცდას, —

როცა ალარაფრის შეცვლა შეუძლია და როცა გარდაუვალი უკვე აღსრულებულია. და, თუ ტიციან ტაბიძე ხმამალლა აცხადებს: „ჩვენ თვითმკვლელობაც გვეპატიებაო“, ვალერიან გაფრინდაშვილი პირდაპირ „ავალებს“ პოეტს: „სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა, გარდა თვითმკვლელობის“, შალვა კარმელი ამ აზრს განსაკუთრებული სიფაქიზითა და განუმეორებელი ესთეტიზმით ახმოვანებს. ლირიკული გმირისათვის გარდაუვალია თვითმკვლელობა, — თვითმკვლელობა ლექსში მაინც, რადგან „იანვარული“ უხვი გათოვება აშკარად „თებერვალდება“. „გათოვების“ კარმელისეული კონცეპტი, რომელიც, ალბათ, სიხარულს და სიცოცხლეს უნდა ნიშნავდეს, „თებერვალდება“, ანუ, წყლად იქცევა, დნება... ილევა სიცოცხლის არსი და აზრი ეკარგება ყოფას. „დვთაება ცივ თეთრებში“, რომელსაც გზნებით ეთაყვანება პოეტის სული, კვლავ მიუწვდომელია და სამდურავით ავსებს ლირიკულ გმირს:

ჩამაცვი კაბა... ო, რა მცივა...
ო, რა სუსხია...

თუ შესაძლებელია, ლექსი ფერით აღვწეროთ, „მკვლელობა სონეტში“ თეთრი იქნება. ამის საბაბს გვაძლევს ანტურაჟი, რომელიც პოეტს მოაქვს ლექსში: გათოვება, იანვარი, თებერვალი, თოვლის ქანდაკი, ლვთაება ცივ თეთრებში, ნამქერის ხვავი და ბოლოს, თვითმკვლელობა. ლექსი თეთრია და ცივი — ყინულივით. თოვლის კონცეპტი შალვა კარმელთან განსხვავებულია გალაკტიონისეული თოვლისაგან, რომელიც „იისფერია“ და უკავშირდება „მწუხარე გრძნობას ცივი სისოვლის“. ლექსში ტრანსცენდენტური სამყარო განსხეულდება და უხილავის ხილულად გადაქცევის მონმენი ვხდებით. შალვა კარმელი ორჯერ ახსენებს „მიონას“, რომლის შესატყვისიც ქართულ ლექსიკონში „ქაჯია“. „თოვლის ქანდაკის“ მიონად დადგმა და სათაყვანებელი სუბიექტის ტანის „ნაკვთში დაყვანა“ და გაკერძება ბნელი ძალებისა და ხთონური ქმნილების ასოციაციას იწვევს და ქმნადობის პროცესების პირველსაწყისთან მივყავართ. პოეტი ხომ ჰადესში (ჯოჯონებთში) ჩასული ორფეოსია და იქიდან მარგალიტები — ლექსები — ამოაქვს. ის ტექილხმიანი, შეშლილი გმირია და შემოქმედთა მითოსური წინამორბედი.

ვნახე მიონა გათენებას, ხეთა ფარცხებით
სფინქსა ამსგაესებდა გადაყრილი ნამქერის ხვავი.

გამთენისას პოეტს ეცხადება მიონა, რომელიც სფინქსის სახეცვლილებით მოაქვს ჩვენამდე. „გადაყრილი ნამქერის ხვავი“

გასული, ჩავლილი, წარსულს ჩაბარებული სიცოცხლის სიმბოლო-ნიშანია, სფინქსის კონტატით აღნიშნული სიგნიფიკატი — მიონა კი, ვფიქრობთ, სადუმლობით მოცულზე, დამალულზე, სხვებს-თვის გაუგებარზე უნდა მიანიშნებდეს, და არა, პირდაპირი გაგე-ბით, ეგვიპტური ქვის ფიგურა ანდა ბერძნული მითოლოგიური ფრთიანი არსება წარმოვიდგინოთ. შალვა კარმელის პოეტური სემიოზის უსაზღვრო ინტერპრეტირების საშუალებას გვაძლევს და გარესამყაროსა და ნიშანთა შორის მეტად საინტერესო, განსხ-ვავებულ დამოკიდებულებას გვთავაზობს. სფინქსის აღსანიშნის შემოტანით, შესაძლებელია, პოეტი თავისი ქმნილებების დაცვაზე მიუთითებს, რადგან ამ ქვის ქანდაკებას გიზის დიდი პირამიდის დამცავი ფუნქციაც ეკისრებოდა, შემდგომში კი, მას ტაძრების მახ-ლობლადაც დგამდნენ.

ორ თანაბარმარცვლიან კონვენციურ სტროფს მოსდევს ცალკე გამოყოფილი სტრიქონი: „ჯერ ჩემთვის ღამეს ასე ძილი არ გადუს-ხია“, რომელიც შინაარსობრივად ორგვარდეფინიციას გვთავაზობს. ზმნა „გადასხმა“, შესაძლებელია, იყოს რაიმეს ზევიდან გადასხმა. მაგალითად: თავზე წყალი გადაასხა. იგივე „გადასხმა“, შესაძლე-ბელია, მიგვანიშნებდეს განსხვავებულ კონტატზე. მაგალითად — „სისხლის გადასხმა“. პირველ შემთხვევაში, ღამე ძილს წყალი-ვით ასხამს, რომელიც სპონტანურობის, გამოფხიზლების განც-დას ბადებს, მეორე შემთხვევაში კი, ღამე ძილს უსხამს, როგორც სისხლს, რომელიც თანაზიარობასა და პარმონიაზე მიგვანიშნებს. შესაძლებელია, „სისხლის გადასხმა“ მაცოცხლებელ, გადაუდებელ აქტადაც ჩავთვალოთ, ლირიკული გმირის განწირული და თვით-მკვლელობამდე მისული უსასოობის ფონზე. ეს სტრიქონი, თითქოს, ერთი ხაზით გაჩენილი სიმშვიდეა ლექსში, თითქოს, ერთი ყლუპი სულისმოთქმაა, თითქოს, ერთი გრამით მეტი სისხლია ამ სისხლის-აგან დაცლილი ფერმერთალი პოეტის უსაშველოდ სევდიან ლექ-სში... სწორედ ამიტომაა გამოყოფილი სტრიქონი ცალკე, — ლექსის გრაფიკა ასახავს ლექსის ემოციას, იგი მისი თანხვედრია. ცალკე გამოყოფილი სტრიქონი ერთგვარი აზრობრივი მახვილია ლექსში „მკვლელობა სონეტში“.

ლექსის ფაბულა და სიუჟეტი თანხვედრია. ბოლო ფრაზები-დან გამომდინარე, სათაური უნდა ყოფილიყო „თვითმკვლელობა სონეტში“. ზუსტად ეს არათანხვედრობა სათაურისა და ფინალი-სა, გვაფიქრებინებს, რომ პოეტი გარედან, სხვა განზომილებიდან უყურებს ლექსის ლირიკულ გმირს და სწორედ ამიტომაა ეს „მკვლე-ლობა“ და არა „თვითმკვლელობა“. თითქოს შალვა კარმელი ლექსის პერსონაჟს კლავს. და თუ ტერენტი გრანელი სიკვდილის ავისმო-

მასწავებელ სუნთქვას გრძნობს: „ვგრძნობ სასიკვდილო დუმილს“, შალვა კარმელი დაუნდობლად იკლავს თავს ამ ლექსში, ის მიექანება მიღმიერი სამყაროსაკენ. სიკვდილ-სიცოცხლის დილემის გააზრება სხვადასხვაგვარია ამ პოეტებთან.

შალვა კარმელის პოეტური ესთეტიკა თვითმყოფადი და გამორჩეულია; რამდენადაც მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური და რთულია მისი ლექსების შინაარსობრივი მხარე, იმდენად ზუსტი, აწყობილი და პედანტურად გამართულია მისი ლექსის სტრუქტურა. „შალვა კარმელი ჩუქურთმების ოსტატი იყო პოეზიაში. ყველა მისი ლექსი ამოჭრილი იყო მარმარილოზე თუ სპილენზე. მას, როგორც მთვარეულს, იტაცებდა რითმა, და ლექსის გამართულობაზე, რითმაზე ფიქრობდა ისე, როგორც თავის ტუბერკულოზზე. მისი ლექსი ხშირად გაუგებარი იყო, მაგრამ არასოდეს არ იყო გაუგებარი მისი რითმა“, — წერდა პაოლო იაშვილი. ვალერიან გაფრინდაშვილი ამბობდა, რომ ის აუცილებლად გახდებოდა ქართული პოეზიის ტეოდორ დე ბანვილი, რომელსაც მეტად უყვარდა რითმა. „შალვა კარმელი, უპირველეს ყოვლისა, რითმის კავალერი იყო“, — წერს ვალერიან გაფრინდაშვილი. ასეთი შეფასებების დასადასტურებლად ამ კონკრეტული ლექსიდანაც უამრავი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია. ლექსის პირველ და მეორე თოთხმეტმარცვლოვან ჯვარედინრითმიან სტროფებში შემდეგი რითმებია: ფარული — იანვარული, ბრალდება — თებერვალდება; მიონად — პიგმალიონად, დაყვანა — გეთაყვანა. ასონანსი აქ არ შეინიშნება. პროსოდია მწყობრია და თანაბარი. მესამე სტროფი გრაფიკულად განსხვავებული სახითაა ჩანერილი, კერძოდ, პირველი სტრიქონი გამოყოფილია ცალკე, შემდეგი სამი სტრიქონი კი ცალკეა. ეს მესამე — გრაფიკული თვალსაზრისით განსხვავებული სტროფი, მარცვალთა რაოდენობით, რითმებითა და პროსოდიით მაინც ერთ მთლიანად იკითხება. რითმები ისევ ჯვარედინია, მარცვალთა რაოდენობა — 14: გადუსხია — სუსხია, პიგმალიონს-ალიონს. მეოთხე — ფინალური სტროფი ზუსტად იმეორებს პირველი ორი სტროფის გრაფიკასა და არქიტექტონიკას. მასში შემდეგ რითმებს ვკითხულობთ: ფარცხებით — დამარცხებით, ხვავი — თავი. როგორც ვხედავთ, ლექსი მთლიანად გაწყობილია დაქტილური რითმებით, მხოლოდ ერთად-ერთი ორმარცვლიანი რითმაა (ხვავი — თავი), რომლის შედარებით სიმარტივეს ემოციური ფონი ამდიდრებს და შეუმჩნეველს ხდის. კულიმინაციის იდეური აფეთქება ფინალში რითმულ ბანალობას არეგულირებს და მთლიანობაში ეხმარება კიდეც მკითხელს, ლექსის ფორმალისტური მხარის ოსტატობიდან შინაარსობრივ და ემო-

ციურ ფეირვერკზე გადაიტანოს აქცენტი. ლექსი კომპოზიციურად შეკრულია და მთლიანი.

შალვა კარმელს აქვს ლექსები, მაგალითად: „სონეტი ნინოს“, „სონეტი გიორგი სააკაძეს“, რომლებიც, როგორც „მკვლელობა სონეტში“, არ არის სონეტის ფორმის, თუმცა, პოეტი ასე უწოდებს მათ. ნუგზარ გოგიაშვილი, რომელსაც ეკუთვნის სადოქტორო ნაშრომი „შალვა კარმელის ცხოვრება და შემოქმედება“, ლორდ ჰენრის პარადოქსს ადარებს ამ ფაქტს. შალვა კარმელს „ლამაზ ქალივით შეუყვარდა სონეტის ფორმა“, და, ვფიქრობთ, არა მარტო ფორმა, არამედ — სახელიც.

ქეთევან ელაშვილი

ცისა ფერის მხატვრული დიაპაზონი „ცისფერყანწელებთან“

(ვალერიან გაფრინდაშვილი)

ფერი თვალსაწიერის შეუცნობელი ემოციაა, — მძაფრად მომნუსხავი და იმპულსური, სრულიად მოუხელთებელი და დაუმორჩილებელი; ფერი ერთგვარი ბერვის ხიდია წუთისოფლის ვნებათჭიდილში რომ არ წაიშალო და შინაგანი მეტყველება რომ შეინარჩუნო. ფერთა ამოთემით ხომ სული იხსნება და არა მარტოოდენ თვალი. თვალი ოდენ მყისიერად ამოაფრქვევს საწუთროს ფერებს. „სულის თვალით“ კი დაუსრულებლად მეტყველი ხდება „ფერთა გრძეულება“ თუ „ფერთა იდუმალება“... ესაა სწორედ ფერთამეტყველება, — ფერის სიმბოლოდ ქმნადობის მისტიკა.

კაცობრიობის სულიერი ისტორიაც ხომ ფერთა თვალმიდევნებით იწყება; იქნება ეს სამყაროს შეცნობის ერთობ პრიმიტიული (მაგრამ ჭეშმარიტი) ფერადოვანი სქემები, თუ უკვე რელიგიური სახისმეტყველებით შეცნობლი ფერთა კანონიკა. მაგრამ ფერი ყველაზე იდუმალი და ამოუცნობი მაინც პოეტურ ლაბირინთშია, რომელიც თავად შემოქმედის სულის მოძრაობისა თუ სიტყვის შინაგანი ბუნების ერთობ უჩვეულო ილუსტრაციაა... თუმცადა ფერთამეტყველებამ თავის უნივერსალურ თავისუფლებას (ისტორიული წინაპირობის მიუხედავად...) კონკრეტული ლიტერატურულ მიმდინარეობათა ფარგლებში მიაღწია. ამ პროცესის საწყისი ეტაპი კი რომანტიზმია, რადგან სწორედ „რომანტიზმითვე იწყება ტრადიციული საკრალური სიმბოლოების ლიტერატურულ სიმბოლოებად ტრანსფორმაცია — პოეტური გამძაფრების ხარისხს მხატვრული გამომსახველობის სხვა რეგისტრში გადაჰყავს ბიბლიური არქეტიპები“ (ელაშვილი 2012: 229). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფერის მხატვრული ფუნქცია გამომსახველობის მთელი სიმძაფრითა თუ ეზოთერიკული წვდომის მისტიკური ელფერით მაინც სიმბოლიზმშია გაცხადებული. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქართველ სიმბოლისტთა დაჯგუფება წარმოადგენს — შეფერილივე სახელდებით — „ცისფერყანწელები“.

„ცისფერი ორდენი“ 1915-1916 წლების მიჯნაზე ქუთაისში შეიქმნა. ჯგუფის სახელწოდება მათ პირველ ორგანოს აღმანახ „ცისფერ ყანწებს“ უკავშირდებოდა (I ნომერი გამოიცა ქუთაისში, 1916 წლის 28 თებერვალს, II — იქვე, ამავე წლის დეკემბერში, რედაქტო-

რი — პაოლო იაშვილი)... „ცისფერი ორდენი“ ის-ის იყო მკვიდრდებოდა, როცა ტიციან ტაბიძემ წერილში — „ცისფერი ყანებით“ („ცისფერი ყანები“, № 1, 2) უარყო იდეალიზმის გაფეტიშება. „ცისფერი ფერია რომანტიზმის ... ფილოსოფიურმა იდეალიზმა იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ დერო წითელი ქონდა. ქართველებისათვის ცა და მინა არასოდეს არ გაყრილან“ (ავალიანი 2004: 309-314). მაგრამ მაინც „ლიტერატურული ცის გახსნა“ ანუ ლურჯი ფერის ლაჟვარდოვნების ქრესტომათიული ფენომენი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ცისა ფერის“ რომანტიკულ თვალსაწიერშია გაცხადებული. „ლურჯი ფერის მხატვრული დიაპაზონიდან გამომდინარე, ნოვალისის თარგმანისას ერთგვარი უზუსტობაა, როცა ლურჯი ცისფერადიქნა გააზრებული (ნ. გოგოლაშვილი, ნ. გელაშვილი...), ხოლო კ. ბრეგაძესთან (ბრეგაძე 2009: 13) კი უკვე ლურჯია. ამავე ინერციით, სწორედ ჩვენს ცნობიერებაში რომანტიკულ ფერად ცისფერი იქნა მიჩნეული და არა კლასიკური ზეცის ფერი — ლაჟვარდოვანი ლურჯი (ელაშვილი 2012: 240).

„გოეთემ იმვიათი ლაკონურობით მონათლა ლურჯი ფერი: „მომხიბლავი არა — არსი“. უფრო ზედმინევნითი დახასიათება ამ რომანტიკული ფერისა ეკუთვნის აბსტრაქტული ფერწერის ერთ-ერთ ფუძემდებელს ვასილ კანდინსკის: „რაც უფრო უძიროა ლურჯი ფერი, მით უფრო უხმობს ის ადამიანს უსასრულობისაკენ, აღვიძებს მასში სიწმინდისადმი, დაბოლოს ზეგრძნობიერებისადმი სწრაფვას“.

ლურჯი — ტიპიური ზეციური ფერია. რაც უფრო იმსჭვალება ადამიანი ამ ფერით, მით უფრო მეტი სიმშვიდე ეუფლება მას... ლურჯი ფერის ძირითადი სიმბოლიკა: უსასრულობა, მარადიულობა, ჭეშმარიტება, ერთგულება, რწმენა, უმანკოება, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრებაა“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 82). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი საგულდაგულოდ განმარტავს ამ ფერის არსს ლექსში „ცისა ფერს“:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყმიდგან ვეტრფოდი“.

ხოლო მეტცლერის ლიტერატურულ სიმბოლოთა ლექსიკონში საგანგებოდ ხაზგასმულია ლურჯი ფერის ლიტერატურული ბიოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ნოვალისის პოეზიის რაკურსით: „Blau — ლურჯი (კლასიკური) მელანქოლიის, სიკვდილის,

იდუმალების, ექსტაზის, ღვთაებრიობის, ტრანსცენდენტურობის, პოეზიის, საკუთრივ სულის (Seele — სამშვინველი) სიმბოლო: ა) ლურჯი ფერის სიახლოვე შავ ფერთან (იგულისხმება მუქი ლურჯი) სიკვდილის ასოციაციას ბადებს; ბ) ხოლო ლურჯი ფერის უსასრულობა ზეცისა და ზღვის ფერთამეტყველებით იხსნება. ლურჯი ყვავილი — უსასრულობაა, იდუმალება“. ამ თვალსაზრისით, ნოვალისის „ლურჯი ყვავილი“ მკვიდრდება, როგორც „რომანტიკული პოეზიის “სიმბოლო“ (მეტცლერი 2008: 47-48).

ბარათაშვილისეული „სახისმეტყველებითი ინერციითა“ თუ ერთგვარი „ორთოგრაფიული დაუდევრობით“ — „ცისა ფერი“, რატომძაც „ცისფრად“ იქნა მიჩნეული. არადა, კლასიკური ცისფერი ტონალობა სრულიად დაცლილია ლურჯი ფერის შეუცნობელი, მარადიდუმალი, მომნუსხველი უსასრულიბისგან და მარტოოდენ უტყვი სიცივე მოედინება მისგან. ჩვენში (იგულისხმება ქართული წარმოსახვითი აზროვნება) — ცისფერმა სრულიად გადაფარა ლურჯი ფერის სიმბოლური თვალსაწიერი, რაც ფაქტიურად, კი-დევ უფრო კანონიკური გახადეს „ცისფერყანწელებმა“...

და კიდევ ერთი, — ნოვალისის რომანტიკული ყვავილი დიმიტ-რიუზნაძესაც ორიგინალის შესატყვისის ფერითი გამომსახველობით აქვს სახელდებული — ლურჯი ყვავილი. ნაშრომში — „ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“ ლურჯი ყვავილი ბარათაშვილისეული ცისა ფერის მხატვრული დიაპაზონით აქვს შეცნობილი და არგუმენტირებულია ამ ფერის „ფსიქოლოგიური კოდით“ (ეს ნაშრომი წინათქმის სახით დართული ჰქონდა ბარათაშვილის 1922 წლის გამოცემას) (უზნაძე 1984: 357-360). თუმცადა, მიუხედავად ამისა, ლურჯი ფერი რატომძაც ისევ დაჩრდილა ცისფერმა და სრულიად მიითვისა ქართული რომანტიკული თვალსაწიერი (ელაშვილი 2012: 242).

ქართულ მხატვრულ აზროვნებაში ცისფერის ლურჯი ფერის გამომსახველობით დამკვიდრებამ განაპირობა ამგვარი კვლევაც, — „ცისფერყანწელთა“ თვალსაწიერში ინტეგრირებული ცისა ფერის გამომსახველობის შესწავლა; რის საილუსტრაციოდაც ამ-ჯერად ვალერიან გაფრინდაშვილის წარმოსახვითი სამყაროა საინტერესო. „თავად „ცისფერყანწელთათვის“, ისევე როგორც ლიტერატურის ისტორიაში არსებული ყოველი დაჯგუფების წევრებისათვის, ერთობა შიგნით მოქცევა არ უდრიდა ინდივიდუალობის დაკარგვას, რადგან ეს ერთობა ალქმული იყო, როგორც სულიერი და შემოქმედებითი მთლიანობა (წიფურია 2002: 63). შეიძლება ითქვას, რომ ამ ორდენის ცამეტყაციანი დაჯგუფება მეტ-ნაკლებად მსგავსი პოეტური პათოსითაა წარმოდგენილი (ზოგიერთი წევრი

განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენდა „ცისფერყანწელთა“ ეზოთერიკულ სულისკვეთებას), რისი ყველაზე სრულყოფილი მინიშნება, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ლურჯი ფერის მისტიკური უსასრულობითაა განდობილი...

სწორედ ამიტომაც ამ ფერით ერთობ ვირტუოზულ სიმბოლურ თავსატეხსა თუ საკუთარი ლიტერატურული გემოვნების დემონ-სტრიტებას ახდენს ვალერიან გაფრინდაშვილი,* რომელიც თანა-ზიარ შემოქმედად მიაჩინდა ქართული სიმბოლისტური სკოლის სულისჩამდგმელს გრიგოლ რობაქიძეს. ეს იკვეთება კიდეც რობა-ქიძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში (ეს წერილი დაწერილია 1919 წლის 19 ივნისს — ადრესატი ვალერიან გაფრინდაშვილი) (რობაქიძე 2012: 390).

ეგებ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ „ვალერიან გაფრინდაშვილს მისი თაობის პოეტებმა „შეუცდომელი“ უწოდეს...“ ამავე წერილში გურამ ასათიანი ასევე აღნიშნავდა, რომ „მისი ლირიკა სავსეა პო-ეტური სახეებით, რომლებსაც გარდა უშუალო საგნობრივი მნიშ-ვნელობისა აქვთ მეორე სიმბოლური განზომილებაც“ (ასათიანი 1983: 168-174). არადა, არათუ მეორე განზომილებად უნდა მივიჩ-ნიოთ ვალერიან გაფრინდაშვილთან სახისმეტყველებითი ცნო-ბიერება, არამედ სწორედ თავად სიმბოლოს წარმოსახვით-ასოცი-აციური ველი ანიჭებს მის პოეზიას დამუხტულ მგრძნობელობასა თუ აზრთა დინამიკას, რაც ფერის სიმბოლური არსიდან გამომდი-ნარე, გაცილებით თვალშისაცემია...

ვალერიან გაფრინდაშვილი იმ პოეტთაგანია („ცისფერყან-წელობის“ მიუხედავად), რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ლურჯი ფერის შინაგან მეტყველებას ანიჭებს უჩვეულო გამომ-სახველობას, ვიდრე ცისფერს — ლურჯი ფერის ყოვლისმომცველი კეთილშობილური ზნის გამო; რადგან სიმბოლისტი პოეტისათვის ეს „წარმოსახვათა არაარსში“ ჩასაკარგად უპირველესი, სწორედ ლაჟვარდოვანი უკიდეგანობაა („ყრუ სონეტი“: 37). აქ მისტიკური დრამა უნდა დაიხყოს „თვალთა ლურჯი ისრებით“ და სიკვდილ-სი-ცოცხლის ბერვის ხიდზე უნდა გაიაროს თავად პოეტმაც, რის გამოც უხმო უნდა გახადოს თავისი განსაცდელი... არადა, განსაცდელი ხომ შემოქმედი სულის მარადიული თანმდევია — „სულის დამნის-ლავია“ და „ლურჯ საღამოდან“ ამოზრდილი „ნაქანდაკები სახრჩო-ბელაა“, რომელიც თანდათანობით ჩამოაცმევს მარყუჟს და მოაშ-თობს შემოქმედ სულს. ეგებ ამ ემოციით იხმობს ვალერიან გაფრინ-დაშვილი მსოფლიო სევდისა თუ მიუსაფრობის რომანტიკულ ნილ-

* გ. ბენაშვილი, საკანდიდატო დისერტაცია „ვალერიან გაფრინდაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, 1973 წ.

ბებს („საღამოს მასკები“: 44) — ჰამლეტსა თუ ოფელიას. ოფელია ხომ მისთვის სათუთი ტყივილია — „ნისლიანი ლურჯი ვარსკვლავია“ („გედი პოეზიაში“: 695) და „ამოუცნობი სასწაული“, როგორც საღამოს ნაზი დაბინდება. ამიტომაც ვალერიან გაფრინდაშვილი ოფელიას ერთი ფერით არ გამოსახავს მარტოოდენ — „ჰაეროვანი სითეთრით“, რადგან ოფელიას შეგრძნება გაცილებით ღრმაა თავად პოეტისათვის („როიალთან“: 82) და მისი ფერითი ილუსტრაციაც ერთგვარ ემოციურ სახეცვლილებას განცდის — „ვარსკვლავებით დაფარჩული ცის ლურჯი კალთით“ (მცირედ ინტერპრეტირებული — ქ.ქ.); ალბათ ამიტომაც, ვალერიან გაფრინდაშვილი ერთგვარად ამძაფრებს თუ ახმობს ოფელიას აღქმის დიაპაზონს. ის იმდენად ზედმინენით შეიგრძნობს ლურჯი ფერის მისტიკურ უსასრულობას, რომ საკუთარ ორეულთან დუღლის საბედისნერო ემოციაც ამ ფერში აქვს გარდატეხილი („დუღლი ორეულთან“: 66) და ეს შეგრძნებაც ისე უშეღავათოდ მძაფრდება, როგორც „ლურჯი გედის ტრფიალი“...

ლურჯი ფერის სილაჟვარდეს კი მანიც ყველაზე მეტყველს თვალები ხდიან. მხოლოდ უძირო „ლურჯი თვალი“ კითხულობს წუთისოფლის „სავსე ზღაპარს“ („ტიციან ტაპიძე“: 53) და მით უფრო სიღრმისეული წვდომით, თუ ეს თავად სიმბოლისტი პოეტის „ლურჯ თვალთა“ მეტყველებაა.

ისიც სავსებით ბუნებრივია, რომ ლურჯზე უფრო ლურჯი და სავსებით იდუმალი უნდა იყოს „ცისფერყანწელთა“ კაფე „ლანდური — ცის უფსკრულიდან ალენილი“ („დაისი მესამე“: 61)... ლურჯ თუ ცისფერ თვალთა შეუცნობელი მღელვარება საცნაური რომ გახსადოს, ანდა თუნდაც — ზამთრის შორი და პირქუში დღეები რიტუალურად რომ გაასვენოს („ზამთრის დღეების გასვენება“: 83), რათა გახცდა არ გახდეს საბედისწეროდ გაუსაძლისი და არ წაილეკოს მიმობნეულ ლურჯ ზამბახთა ტყივილით.

სიმბოლისტი პოეტისათვის არათუ ყვავილის უჩველო სინატიფე გარდატყდება წარმოსახვათა შეუცნობელ ლაბირინთში, არამედ თუნდაც „წინ დასვენებული საფერფლე“ („საფერფლე“: 93) წინარე ფიქრთა „მისტიკური არარსიდანაა“ ამოზრდილი და „უმშვენიერესი ცისფერი ვასაკის“ სიმბოლური ილუსტრაციაა, — გრიგოლ რობაქიძის ლანდური გაელვებით. ფერთამეტყველებისავე თვალსაწიერიდან შექმნა მან სიმბოლისტური ესთეტიკის ერთგვარი მეტრის მაღარმეს ფრიად უჩვეულო პორტრეტიც, — „მაღარმე ცისფერი ნაბდით“ წარმოდგენილი; ერთია პოეტური („მაღარმე ნაბდით“: 309), მეორე კი ესსეისტური („სტეფან მაღარმე“: 472-479).

სიმბოლისტი პოეტი წარმოსახვითი შეუზღუდველობით ქმნის რეპრესიების კატაკლიზმებისგან თავისგადასარჩენად „ძი-

ების“ სრულიად განსხვავებულ ფენომენს — ესაა ლურჯი ფერის საკრალურობის ერთგვარი პროფანაცია. ამიტომაც „ცის ლურჯი კარი“ რევოლუციის სისხლიანი ფურცლებით გაირღვა და ამაღლების იღუზიამ ცოცხლადყოფნის პოეტური ხარკიც მოითხოვა მისგან, რომლის წინარე ისტორია „პოეტების ლომბარდით“ (1925 წ., 149) იწყება. ისიც სავსებით ბუნებრივია, რომ პოეტთა ახლადმოვლენილი ბიოგრაფიები ცისფერი ფერის გამჭვირვალებით ერთგვარად უნდა დაიბინძოს. ეგებ ამიტომაც — „ცისფერ სასწორზე ქალწულები ლექსებს სწონიან“... თუმცალა, იმავ ვალერიან გაფრინაშვილისთვის „წმინდა ლურჯი“ (თუ რომანტიკოსებს დავესეს-ხებით — ქ.ე.) ანუ ცისა ფერი იგივ ლაუვარდისფერია, — პოეტური გზნების მისტიკური უსასრულობა...

მაგრამ მაინც, ქართული ეთნოკულტურასა თუ ეთნოფსიქოლოგიაში ლურჯი ფერის მხატვრული დიაპაზონი ერთგვარად მიტაცებული აქვს ცისფერს, რომელიც ლურჯი ფერისგან განსხვავებით დაცლილია ყოველგვარი მისტიკურობისა, იდუმალებისგან, უსასრულობისგან, და, რაც მთავარია, — „მომხიბლავი არაარსის“ განცდისგან. ეს ფერთა მეტყველების ერთგვარი ცდომილება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში მკვეთრად იკვეთება, — სიმბოლური თვალსაწიერის გამძაფრების გამო.

დამოცვებანი:

აპზიანიძე, ელაშვილი 2012: აპზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია (ხელახალი გამოცემა). ტ. II. თბ.: „ბაკომი“, 2012

ავალიანი 2004: ავალიანი ლ. „ცისფერყანწელები“. // ლიტერატურული ძიგბანი, XXV, თბ.: 2004.

ასათიანი 1983: ასათიანი გ. თანმდევი სულები. თბ.: „მერანი“, 1983.

ბრეგაძე 2009: ბრეგაძე კ. ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები. თბ.: „მერიდიანი“, 2009.

გაფრინდაშვილი 1990: გაფრინდაშვილი ვ. ლექსები, პოემა, თარგმანები, ეს-სები // წერილები მნერლის არქივიდან. თბ.: „მერანი“, 1990.

ელაშვილი 2012: ელაშვილი ქ. სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში. // ქართული რომანტიზმი. ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები. თბ.: „საარი“, 2012.

მეტცლერი 2008: Metzler. *Lexikon literarischer Symbole*. Stuttgart: Metzler Verlag, 2008.

რობაქიძე 2012: რობაქიძე გ. ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მეტკვიდრეობა. თბ.: ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 2012.

უზნეძე 1984: უზნეძე დ. ნ. ბართაშვილის შემოქმედების განვითარება. — ფილოსოფიური მრომები. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

წიფურია 2002: წიფურია ბ. გალაკტიონი და „ცისფერყანწელები“. // გალაკტიონოლოგია. თბ.: 2002.

ქეთევან ენუქიძე

პაოლო იაშვილის თარგმანები

პაოლო იაშვილი, როგორც ცნობილია, საკმაოდ ნაყოფიერ მთარგმნებლის მოღვაწეობას ეწეოდა. მას უთარგმნია ალ. პუშკინის 57 ლექსი, ასევე, „პატარა ტრაგედიები“ („ძუნნი რაინდი“, „ქვის სტუმარი“, „ლხინი უამიანობის დროს“, „მოცარტი და სალიერი“) და „ნასროლი“ „ივან პეტროვიჩ ბელკინის მოთხრობებიდან“; მაიაკოვსკის 7 ლექსი; ბალმონტის 16 ლექსი; სევერიანინის და სოსიურას თითო ლექსი; ვაგიფის ორი ლექსი; ბოდლერის „მთვრალი ხომალდი“, რემბოს და ვერჰარნის 2-2 ლექსი და უაილდის „სალომეა“. ეს ნაშრომები მასშტაბებით თითქმის უახლოვდება პაოლო იაშვილის ორიგინალურ შემოქმედებას და, შესაბამისად, ნამდვილად იმსახურებს სათანადო ყურადღებას. პუშკინის შემოქმედება, როგორც ჩანს, პაოლო იაშვილსითვის ერთობ საინტერესო და მიზიდველი აღმოჩნდა. საყურადღებოა, რომ თარგმანისა და ორიგინალის სტრუქტურათა შედარებისას მნიშვნელოვანი სურათი გამოიკვეთა.

ლექსში „ანჩარი“ ჯვარედინი რითმაა. პირველი და მესამე ტაქები 8-მარცვლიანია, ხოლო მეორე და მეოთხე — 9-მარცვლიანი. მეტრული სქემაა:

ამფიბრაქი + დაქტილი + ამფიბრაქის კატალექტიკა
ამფიბრაქი + დაქტილი + ამფიბრაქი.

В пустыне чахлой и скупой,
На почве, зноем раскаленной,
Анчар, как грозный часовой,
Стоит — один во всей вселенной.

(АНЧАР)

იქ, სადაც არი უდაბნო ველი,
მარად მხურვალე მინა ქვიშური,
ანჩარი, როგორც მრისხანე მცველი,
სდგას მსოფლიოში გამოთიშული.

(ანჩარი)

თითოეულ ტაქებში სამი მახვილია. ეს ფაქტორი განაპირობებს რიტმის უცვლელობას, მიუხედავად მარცვალთა არათანაბარი რაოდენობისა. კენტი ტაქები კატალექტიკურია, რაც იწვევს ამფიბრაქის შეკვეცას. პაოლო იაშვილის „ანჩარი“ კი 10-მარცვლიანი ლოგარედებით არის დანერილი და ცხრავე კატრენია. მეტრული თვალსაზრისით, არაფერი აქვს საერთო ორიგინალთან, შესაბამისად, ყურადღება მეტნილად გამახვილებულია ლექსის შინაარსზე. რითმა ჯვარედინია.

პუშკინის „ელევან“ 14 ტაქებისგან შედგება. 2 თერთმეტმარცვლედია, 2 — ათმარცვლედი. კატრენებში ამ თანმიმდევრობას ასრულებს ორი 11-მარცვლედი. რითმა მოსაზღვრეა. 11-მარცვლედები

ოთხ იამბურ ტერფს მოჰყვება ამფიბრაქი, ხოლო ათმარცვლედებში
ხუთი იამბური ტერფია. კატრენის მეტრული სქემაა:

U – U –	U – U U	U – U
U – U –	U – U U	U – U
U – U –	U – U U	U –
U – U –	U – U U	U –

Безумных лет угасшее веселье
Мне тяжело, как смутное похмелье.
Но, как вино _ печаль минувших дней
В моей душе чем старе, тем сильней.
Мой путь уныл. Сулит мне труд и горе
Грядущего волнуемое море.

Но не хочу, о други, умирать;
Я жить хочу, чтоб мыслить и страдать;
И ведаю, мне будут наслажденья
Меж горестей, забот и треволненья:
Порой опять гармонией упьюсь,
Над вымыслом слезами обольюсь,
И может быть _ на мой закат печальный
Блеснёт любовь улыбкою прощальной

პაოლო იაშვილის თარგმანი კი სრულიად განსხვავებულია.
იდენტურია მხილოდ რითმის სახეობა. გამოყენებული აქვს 14-მარ-
ცვლედი, მეტრული სქემით 5/4/5:

გიური წლების გადასული დროს გატარება,
როგორც სიმთვრალის მძიმე დაღი მომეკარება,
ნარსულ დღეების ნაღველი კი ძველ ღვინის წესად,
რაც უფრო ძველი-მაგარია მით უმეტესად.
გზა მწუხარე... . დიდი გლოვის, მძიმე ვალისე
ჩემთვის მომტანი იქნება ზღვა მომავალისა.

მაგრამ არ მინდა მეგობრებო სიკვდილი ჯერაც;
აზროვნებისთვის, ნამებისთვის ცხოვრება მჯერა,
სიტკბოებაში შევიქნები მე ბედის სწორი,
ამ მღელვარების, მწუხარების და ზრუნვის შორის.

ხანდახან ისევ ჰარმონიას დავეწაფები,
გადაველვრები ჩემ ოცნებას ცრემლის ღვაფებით,
იქნება ჩემი დასასრულის დღეები მკრთალი,
ისევ აანთოს სიყვარულმა ღიმილის ძალით.

საინტერესოა პუშკინის „სონეტი“. სარითმო სქემაა abab abab ccd ede. მარცვალთა რაოდენობა ტაეპებში 11/10-ზეა. მიმართავს იამბურ საზომს. 10-მარცვლედებში ხუთი იამბური ტერფია. პაოლო იაშვილთან კი „სონეტი“ ქართულ პოეზიაში დამკვიდრებული 14-მარცვლიანი (5/4/5) საზომით არის არის დაწერილი. სარითმო სქემა იდენტურია: abab abab ccd ede.

СОНЕТ

Scorn not the sonnet, critic.

Wordsworth.*

Суровый Данте не презирал сонета;
В нем жар любви Петрарка изливал;
Игру его любил творец Макбета;
Им скорбну мысль Камоэнса облекал.

U – U -- U U U – U -- U
U – U -- U U U – U --
U – U -- U U U – U -- U
U – U -- U U U – U --

И в наши дни пленяет он поэта:
Вордсворт его орудием избрал,
Когда вдали от суетного света
Природы он рисует идеал.

U – U -- U U U – U -- U
U – U -- U U U – U --
U – U -- U U U – U -- U
U – U -- U U U – U --

Под сенью гор Тавриды отдаленной
Певец Литвы в размер его стесненный
Свои мечты мгновенно заключал.

U – U -- U U U – U -- U
U – U -- U U U – U --
U – U -- U U U – U --

У нас еще его не знали девы,
Как для него уж Дельвиг забывал
Гекзаметра священные напевы

U – U -- U U U – U -- U
U – U -- U U U – U --
U – U -- U U U – U -- U

სონეტი

მრისხანე დანტემ არ უარჲყო სონეტის ჭედა,
პეტრარკამ აქვე სიყვარულის დაანთო ალი,
მაკბეტის ოსტატს მისი წყება უყვარდა მეტად,
და კამოენსმა მწუხარებას აქ მისცა ძალი.

იგი ჩვენს დროში პოეტისთვის გამხდარა სვეტად,
ვოდვარტმაც სონეტს დააკისრა მაღალი ვალი.
ოდეს მდაბიო ცხოვრებიდან გასულმა კენტად,
დიდი ბუნების დაგვისახა ჩვენ იდეალი.

მთების ჩეროში შეხიზნულმა ლიტვის მგოსანმა
თავის სამშობლოს უკვდავების ხმით შემმოსავმა,
მრავალ ოცნებას შემოავლო სონეტის რკალი.

ჯერ მისი ბგერა არ სმენია ჩვენებურ ქალებს
როცა დელვიგმა გამოჰკვეთა იგი ვით ხმალი
და ჰეგზამეტრსაც უხუჭავდა ღვთაებრივ თვალებს.

10-მარცვლიანი სტრიქონები ემთხვევა ტაეპებს, რომლებიც
სარითმო სქემაში გამოსახულია ბ და ბ ბერებით.

ბალადა „ბუდრისი და მისი ვაჟები“, 12-სტროფიანი ლექსია,
დაწერილი ინტერვალიანი რითმით. კენტი ტაეპები 14-მარცვლი-
ანია, ხოლო ლუწი — 10-მარცვლიანი. მაგალითად მოგვყავს ორი
სტროფის მეტრული სქემა:

— U – U U – U / -- U -- U U – U
— U – U U – U / -- U --
— U – U U – U / -- U -- U U – U
— U – U U – U / -- U --

— U – U U – U / -- U -- U U – U
— U – U U – U / -- U --
— U – U U – U / -- U -- U U – U
— U – U U – U / -- U --

114-მარცვლიან ტაეპებში გვხვდება: 5/4/5;

10-მარცვლიანებში კი — 5/5.

ასეთი სურათია თორმეტივე სტროფში. პაოლო იაშვილის ლექ-
ში კი სულ სხვა სტრუქტურას ვხედავთ:

- | | |
|----------------------------------|---|
| (6) სამი ვაჟი ჰყავდა ბუდრისს, | a |
| სამივ მკლავში მამას უდრის, | a |
| ყველა მამის კვალად ლიტოველია. | b |
| უთხრა შვილებს — აბა ადეთ | c |
| და ცხენები გაამზადეთ, | c |
| ჩქარა ლესეთ ხმალი — ომში გელიან. | b |

- | | |
|---------------------------------|---|
| სამი შვილი გაიმეტა, | a |
| სამს უბრძანა მუსვრა მტერთა — | a |
| ვილნოს სამი გალაშქრება სწყურია, | b |
| პაზი დაჰკრავს პოლონელებს | c |

ოლგერდი კი პრუსიელებს	c
რუსთან იმში კესტუტ მეთაურია.	B
ახალგაზრდა თავმომწონე	a
ხართ სამთავე გერჩით ღონე;	a
(ლიტვის ღმერთი იყოს თქვენი მფარველი);	b
გამარჯვების იმში გვზავნით,	c
დაილოცოს თქვენი გზანი,	c
სამს სამი გზა გექნებათ გასავლელი.	b

თორმეტივე სტროფი ექვსტაუპიანია. მარცვლთა რაოდენობაც ერთგვაროვანია:

- 1 ---- 8
- 2 ---- 8
- 3 ---- 11
- 4 ---- 8
- 5 ---- 8
- 6 -----11

რვამარცვლიანი ტაეპები, ძირითადად, 4-მარცვლიანი და 2-მარცვლიანი სიტყვებისგან შედგება. არის რამდენიმე გამონაკლისი: „და ცხენები“, „სამს უბრძანა“, „ხართ სამთავე“, „იმ წყეულებს და ქოფაკებს“, „და შეტევას“, „და გამშორდა“, „ეს ნამდვილად“, „მაგ ნაბადში“, „და მესამეც“ (48-დან 9). რვამარცვლედებში მერტული სქემაა 4/4, ხოლო თერთმეტმარცვლედებში – 4/4/3.

ყველა მამის კვალად ლიტოველია
ჩეარა ლესეთ ხმალი – იმში გელიან
ვილნოს სამი გალაშქრება სწყურია
რუსთან იმში კესტუტ მეთაურია
(ლიტვის ღმერთი იყოს თქვენი მფარველი);
სამს სამი გზა გექნებათ გასავლელი.

ტაეპების დასაწყისში, ორ- და ერთმარცვლიანი (რამდენიმე შემთხვევაში) სიტყვების ბუნებრივი მახვილი ადგილს იცვლის. რომ არა ერთმარცვლიანი სიტყვები, შესაძლოა, ოთხმარცვლიან ტერფებში, ერთი მახვილის ნაცვლად, ორი გვერდისას, მაგრამ რამდენიმე ერთმარცვლიანი სიტყვით ტაეპის დაწყების გამო ლექსის რიტმი დაირღვეოდა. როგორც ვხედავთ, თერთმეტმარცვლედების რიტმული სქემა ერთგვაროვანი არ არის. ძნელი სათქმელია, რატომ აირჩია პოეტმა ასეთი სტრუქტურა. შესაძლოა, ეს განპირობებული იყო საკუთარი ფორმის ძიებით და ძირეული განსხვავებით სილაბურ და სილაბოტონურ ლექსთნყობებს შორის. აუცილებლად უნდა

ალინიშნოს, რომ ეს ორი მეტრული სქემა 4/4/3 11-მარცვლედებში და 4/4 8-მარცვლედებში, პაოლო იამვილის შემოქმედებაში უიშვიათესი მოვლენა.

ლექსი „ხანჯალი“ პუმკინისეულ ორიგინალში აბსოლუტური ტონიზმით გამოირჩევა:

КИНЖАЛ

Лемносский бог тебя сковал 8

Для рук бессмертной Немезиды, 9

Свободы тайный страж, карающий кинжал, 12

Последний судия Позора и Обиды. 13

a b a b

Где Зевса гром молчит, где дремлет меч Закона, 13

Свершитель ты проклятий и надежд, 10

Ты кроешься под сенью трона, 9

Под блеском праздничных одежд. 8

a b a b

Как адский луч, как молния богов, 10

Немое лезвие злодею в очи блещет, 13

И, озираясь, он трепещет, 9

Среди своих пиров. 6

a b b a

Везде его найдет удар нежданный твой: 12

На суще, на морях, во храме, под шатрами, 13

За потаенными замками, 9

На ложе сна, в семье родной. 8

a b b a

Шумит под Кесарем заветный Рубикон, 12

Державный Рим упал, главой поник Закон; 13

Но Брут восстал вольнолюбивый: 9

Ты Кесаря сразил - и, мертв, объемлет он 12

Помпея мрамор горделивый. 9

a a b a b

Искадье мятежей подъемлет злобный крик:	12
Презренный, мрачный и кровавый,	9
Над трупом Вольности безглавой	9
Палаch уродливый возник	8

a b b a

Апостол гибели, усталому Аиду	13
Перстом он жертвы назначал,	8
Но вышний суд ему послал	8
Тебя и деву Эвмениду.	9

a b b a

О юный праведник, избранник роковой,	12
О Занд, твой век угас на плахе;	9
Но добродетели святой	8
Остался глас в казненном прахе.	9

a b a b

В твоей Германии ты вечной тенью стал,	12
Грозя бедой преступной силе -	9
И на торжественной могиле	9
Горит без надписи кинжал.	8

a b b a

ლექსის მეტრული სქემა:

U – U – U – U –
 U – U – U – U – U
 U – U – U – U – U U U –
 U – U – U U U – U U U – U

 U – U – U – U – U U U – U
 U – U – U – U U U U –
 U – U U U – U – U
 U – U – U – U –

 U – U – U – U U U –
 U – U – U U U – U – U – U
 U U U – U – U – U
 U – U – U –

U – U – U – U – U –
U – U U U – U – U U U – U
U U U – U U U – U
U – U – U – U –

U – U – U U U – U U U –
U – U – U – U – U – U –
U – U – U U U – U
U – U U U – U – U –

U – U – U U U – U
U – U U U – U – U – U –
U – U – U U U – U
U – U – U U U – U
U – U – U U U –

U – U – U U U – U U U – U
U – U – U U U –
U – U – U – U –
U – U – U – U – U

U – U – U U U – U U U –
U – U – U – U – U
U U U – U U U –
U – U – U – U – U

U – U – U U U – U --U – U – U – U – U – U
U U U – U U U –
U – U – U U U –

როგორც ვხედავთ, პოეტი იამშურ მეტრს მიმართავს. მასვილი გვხვდება მხოლოდ ლუწ ხმოვნებზე. მიუხედავად იმისა, რომ სტრო-ფები სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სარითმო სქემებით, მარცვალთა და სამახვილო ხმოვანთა რაოდენობით, რიტმი აბსოლუტურად შენარჩუნებულია, რაც სწორედ ერთგვაროვანი მეტრული სქემით არის განპირობებული. ამასთან, ყველა სტროფში გვხვდება ორი ვაჟური და ორი ქალური დაბოლოება (ხუთმარცვლიანში ასეთი სამი ვაჟური დაბოლოებაა). როგორი პრინციპით არის შესრულებული თარგმანი?

ხანჯალი

1. ლემნოსის ღმერთმა შენ გაგაბრნყინა
და ნემეზიდას ჩააბარა სიმკაცრე შენი,
თავისუფლების ჩემო მცველო, დამსჯელო რკინა,
უკანასკნელო მოსამართლე მარცხის და წყენის.
2. სად ზევსის მეხი სდუმს, სადაც სთვლემს კანონის ხმალი,
ხარ განაჩენი დაწყევლის და იმედის ცივი;
დღესასწაულის აბჯართა სხივით
შენ ტახტის ქვეშ ხარ გადანაშალი.
3. ვით ჯოვანხეთის შუქი, როგორც ღმერთების მეხი,
უხმო ფოლადი შეანათებს ავაზაკს თვალში
შენ მის ლხინს დაშლი,
ის ცახცახებს შიშით და გრეხით.
4. მას ყველგან ნახავს საიმედო შენი კვეთება
ხმელეთზე, ზღვაში, საყდარში და კარვის ჩეროში.
ბერე ურდულაან სამფლობელოში
ძილში – ოჯახშიც შეეფეთება.
5. კეისრის წინ სანატრელი ჰქუებს რუპიკონი,
რომი დაეცა, ძირსა ჰგდია მისი კანონი,
მაგრამ ბრუტოსი აღსდგა – იმას სულთ ეხუთება...
ხანჯალო დაჲკარ – კაცი კვდება, დაჲკარგა გონი
და პომპეუსის მარმარილოს მიეხუტება.

შენარჩუნებულია 8 კატრენი და 1 ხუთტაეპედი. ორი კატრენის გარდა (II IX), დაცულია სარითმო სქემა, რომელიც მონაცვლეობს ჯვარედინსა და რკალურს შორის. თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ ტაეპებს შორის განსხვავება დაფიქსირებულია მარცვალთა რაოდენობის უმნიშვნელო ცვლილებით. მეტნილად გვხვდება 14-მარცვლედი (5/4/5), ასევე, 10-მარცვლედი (5/5). მე-სამე კატრენის III-IV ტაეპებში მოცემულია 5+9, რაც, თავისთავად, 14-მარცვლედია. პაოლო იაშვილის ისევ იმ საზომს მიმართავს, რომელიც ერთობ მოსახერხებელია სილაბური ლექსნიკობისათვის. ლექსში საერთოდ არ არის მინიშნება მახვილის ფუნქციაზე. საინტერესოა მეორე კატრენის პირველი ტაეპი:

„სად ზევსის მეხი სდუმს, სადაც სთვლემს კანონის ხმალი“

ტაეპი შედგება სამი 1-მარცვლიანი, სამი 2-მარცვლიანი და ერთი 3-მარცვლიანი სიტყვისგან. 4-მარცვლიანი ტერფი სამ სიტყვას მოიცავს.

კონსტანტინ ბალმონტის ლექსებიდან საყურადღებოა „ვით ესპანელი“. ლექსი 16-მარცვლიანია. მისი მეტრული სქემაა 4/4/4/4 პირველ და მეორე ტაეპებში, ხოლო მესამე-მეოთხებში – 4/4/4/3.

პოეტი მიმართავს ქორეულ მეტრს და ეს ერთი შეხედვითვე აშკარად ჩანს, რადგან ტაეპები 1- და 2-მარცვლიანი სიტყვებით იწყება, რაც პირველსავე ხმოვანზე მახვილის დაცემის ალბათობას ზრდის. III-IV ტაეპები კატალექტიკურია.

პალლო იაშვილის თარგმანი კი თავიდან ბოლომდე 16-მარცვლედით არის დაწერილი, მეტრული სქემით — 4/4/4/4.

Как Испанец, ослепленный верой в Бога и любовью,
И своею опьяненный и чужою красной кровью,
Я хочу быть первым в мире, на земле и на воде,
Я хочу цветов багряных, мною созданных везде;

ვით ესპანელს ბრმასა ტრფობით, ღმერთის გიჟურ სიყვარულით,
მე მსურს, პირველს, ქვეყნაზე მეკუთვნიდეს მინა-ნყალი,
თავს სისხლით მარად მთვრალსა, და სხვის სისხლით დანთხეულით,
მე მსურს ჩემი ყვავილები, შეღებილნი როგორც ლალი!

„ყოფნის ანდერი“ სამი კატრენისაგან შედგება. რითმული სქემა abab — სამივე კატრენში.

Я спросил у свободного ветра,
Что мне сделать, чтоб быть молодым.
Мне ответил играющий ветер:
«Будь воздушным, как ветер, как дым!»

Я спросил у могучего моря,
В чем великий завет бытия.
Мне ответило звучное море:
«Будь всегда полнозвучным, как я!»

Я спросил у высокого солнца,
Как мне вспыхнуть светлее зари.
Ничего не ответило солнце,
Но душа услыхала: «Гори!»

ლუწი ტაეპები 10-მარცვლიანია: ქორე+დაქტილი+დაქტილი+ქორე; 9-მარცვლიანი ტაეპები კატალექტიკურია: ქორე + დაქტილი + დაქტილი + შეკვეცილი ქორე:

– U – U U – U U – U
– U – U U – U U – U
– U – U U – U U –
– U – U U – U U –

თარგმანში ეს სისტემა აბსოლუტურად იგნორირებულია. საშივე სტროფი შედგება ხუთი ტაეპისაგან. აქედან ოთხი ათმარცვლიანია, ხოლო მეხუთე – ხუთმარცვლიანი.

მე შევეკითხე თავისუფალ ქარს:
რა ვქნა, რომ ვიყო ჭაბუკა მარად.
პასუხი მომჰა ტამაშით ქარმა:
„იყავ ვით კვამლი ჰაეროვანი,
გადიქეც ქარად“!

ძლიაე ძლვას ვკითხე: რაში არსებობს
ყოფნის ანდერძი – ის დიდებული?
პასუხი იყო ხმიერი ზღვისა:
„როგორც მე, ისე შეუჩერებლად
გიმღერდეს გული“.

მაღალ მზეს ვკითხე: როგორ გადვიქცე
რიურაუზე უფრო ნათლიერ ძალად?
არ მიპასუხა მზემ არაფერი,
მაგრამ გულმა კი ეს გაიგონა:
„გადიქეც ალად“.
(ყოფნის ანდერძი)

პირველ ტაეპში სიტყვის ბუნებრივი მახვილი გადაადგილებულია: „მე შევეკითხე თავისუფალ ქარს“. ორიგინალისგან განასხვავებს რითმაც. თუ ბალმონტს გამოყენებული ჰქონდა ჯვარედინი რითმა, პაოლო იაშვილთან ეს განსხვავება განპირობებულია სტროფის ხუთტაეპიანბით:

X A A X A
X A X X A
X A X X A

რითმის გარდა, ბალმონტთან საყურადღებოა კენტ ტაეპებში გარითმული ერთი და იგივე სიტყვა – სხვადასხვა ფორმით ვეტრა – ვეტერ; მორა – მორე; სოლიცა – სოლიცე. პირველ სტროფში ჩანს ორიგინალის ამ ღირსების დაფიქსირების სურვილი, რადგან სტროფის კენტ ტაეპებში გვხვდება სიტყვა „ქარი“ — სამ სხვადასხვა ბრუნვაში: ქარს — ქარმა — ქარად.

ვლადიმერ მაიკოვსკის შემოქმედების პაოლო იაშვილისეული თარგმანები განსაკუთრებით საინტერესოა. პაოლო იაშვილს უთარგმნია მისი რამდენიმე ლექსი.

მაიკოვსკი აქცენტური, ტონური ლექსის უდიდესი ოსტატია. ლექსთნებობის ამ სისტემისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია მარცვლათა რაოდენობის სიმწყობრის იგნორირება, არამდგრადი მეტრული წყობა და მახვილთა თანაზომიერი განლაგების აქცენტირება, რაც სპეციფიკურ რიტმს ქმნის. მაიკოვსკი თავის თეორიულ ნაშრომში „როგორ იქმნება ლექსი“ წერს, რომ, იამბი და ქორე კი არა, დროისა და სივრცის შექმნის უნარი წარმოადგენს თანამედროვე პოეტური სახელმძღვანელოს ძირითად წესს. სამახვილო ხმოვნების ინტონაციურ სიმკვეთრეს, ჟღერადობას ის უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე თავად მახვილის, როგორც ტერფის შემქნელი ელემენტის სიმაღლეს. თუმცა, ფაქტია, რომ ინტონაციური და სილაბოტონური მეტრიკები ერთგვაროვანი წარმოშობისაა, რადგან ინტონაციური ერთეულები მაინც რიტმული სიტყვებია — უბრალოდ, უფრო მკვეთრად წარმოთქმული. რიტმულ სიტყვებს შორის საზღლვრებს წარმოადგენს სიტყვასა და სიტყვას შორის ბუნებრივი პაუზა, ხოლო ინტონაციური ერთეულებისას — სასვენი ნიშნები. თუმცა, თუ ყურადღებას გავამახვილებთ არა გრაფიკულ სტრუქტურაზე; არა წარმოთქმის დროს გაძლიერებულ მახვილებზე, არამედ ბუნებრივად განლაგებულ მახვილებზე, რომლებიც, ძირითადად, ერთგვაროვანია ლექსებში, მაინც ერთ სურათს მივიღებთ. საინტერესოა, როგორ იქნა გათვალისწინებული ეს ელემენტები პაოლო იაშვილის თარგმანებში?

მაიკოვსკის ლექსში „არაჩვეულებრივი ამბავი, რომელიც შეემთხვა ვლადიმერ მაიკოვსკის აგარაკზე ზაფხულში“, პაოლო იაშვილს შენარჩუნებული აქვს შინაარსი, ასევე, სტროფებში გადმოცემული აზრი, მაგრამ ტაეპები არ არის ზუსტად წათარგმნი. როგორც ჩანს, პოეტი ცდილობდა მაიკოვსკის რიტმის შენარჩუნებას და აქცენტს სწორედ სტრუქტურაზე აკეთებდა, თუმცა, როგორ?

/	/	/	/	
В сто сорок солнц закат пыпал,	8			
/	/	/		
в июль катилось лето,	7			
/	/			
была жара,	4			
/	/			
жара плыла —	4			
/	/	/		
на даче было это.	7			

ეს ხუთი ტაეპი პაოლოს გადმოცემული აქვს ექვს ტაეპად:

/	/			
ას ორმოცი მზით იწვის დაისი,	10			
/				
ივლისს ზაფხული	5			
/				
გულმკერდში მოხვდა...	5			
სდულს და	2			
/	/			
იწვის მზე უნაზესი —	7			
/	/			
ეს აგარაკზე, ზაფხულში მოხდა.	10			

არ არის თანხვედრა მეტრში და მარცვალთა რაოდენობაში. პირ-ველ ტაეპში ორი ლოგაედია, მეორეში – ერთი, მესამეში – ერთი, მეოთხე-მეხუთე ტაეპები 2+7 მარცვლიანი, რომლებმიც მოცემულია 4- და 5-მარცვლიანი ტერფები. მაიაკოვსკის ლექსის ნაწყვეტში მეტრი უფრო მონესრიგებულია. პირველი (8) და მესამე-მეოთხე (4+4) ტაეპებში ოთხი იამბია, ხოლო მეორეში (7) და მეხუთეში (7) ამფიბრაქი და ორი ქორე. დავაკვირდეთ მაგალითს:

/				
А за деревнею —	6			
/				
дыра,	2			
/	/			
и в ту дыру, наверно,	7			
/	/	/	/	
спускалось солнце каждый раз,	8			
/	/			
медленно и верно.	6			

	/	
А завтра		3
	/	
Снова		2
	/ /	
мир залить		3
	/ / /	
вставало солнце ало.		7
	/ /	
И день за днем		4
	/ /	
ужасно злить		4
	/	
меня		2
	/	
вот это		3
	/	
стало.		2
	/	
სოფლის ბოლოში		5
	/ /	
მოსჩანდა მღვიმე.		5
	/ /	
და იმ მღვიმეში მზე ჩადიოდა		10
	/	
ყოველთვის		3
	/	
მძიმედ...		2
	/	
და ყოველ დილით		5
	/	
ქვეყნის სარწყავათ		5
	/	
ამოდიოდა		5
	/	
მზე ოქროს სვეტათ,		5
	/	
უკვე შემძულდა		5
	/	
დასანახავათ		5
	/	
და მაბრაზებდა		5
	/	
მზე მეტის მეტად.		5

აქ ცდომილებაა ტაეპების რაოდენობაში — 14/13. განსაკუთრებით საინტერესოა მარცვალთა რაოდენობა. ფაქტობრივად, პაოლო იაშვილს გამოყენებული აქვს ლოგარედები. ლექსი, რომელიც მოიცავს 134 ტაეპს, პოეტს უცვლელად, ლოგარედებით აქვს შესრულებული. „ბრძანება ხელოვნების ლაშქარს“ ასეთივე პრინციპით არის ნათარგმნი. შინაარსი გადატანილია არა ზუსტი თანმიმდევრობით, არამედ მონაკვეთის მასშტაბით. სტრუქტურა მხოლოდ გრაფიკული გამოსახვის საშუალებით არის მსგავსი. მარცვალთა რაოდენობა ტაეპებში და მეტრი სრულიად განსხვავებულია.

/ / /	
Канительят стариков бригады	10
/ / /	
канитель одну и ту ж.	7
/	
Товарищи!	4
/ /	
На баррикады!—	5
/ / /	
баррикады сердец и душ.	8
/ / /	
Только тот коммунист истый,	8
/ / /	
кто мосты к отступлению сжег.	9
/ / /	
Довольно шагать, футуристы,	9
/ /	
в будущее прыжок!	6

/ / /	
ისევ ლაყბობენ ძველებურად	9
/	
გულის ნადებზე.	5
/	
მუდამ რომ მძულდა.	5
/ /	
ამხანაგებო ბარიკადებზე,	10
/	
ბარიკადებზე	5
/ /	
გულის და სულთა	5

მხოლოდ ის არის	5
/	
კომუნისტი	5
/	
სწორუპოვარი	5
/	
ვინც ააფეთქა დასახევად	9
/	
ყველა ხიდები.	5
/	
კმარა თრიალი. ფუტურისტებო;	10
/	
მომავლისაკენ	5
/	
ნახტომი გვინდა.	5

ამ სქემიდან კარგად ჩანს, რომ პაოლო იაშვილი კვლავ ლოგა-ედებს და ორ შემთხვევაში 14-მარცვლიან (5/4/5) საზომს მიმართავს. ყველა ხმოვანს შენარჩუნებული აქვს ბუნებრივი მახვილი, თუმცა ზოგიერთ სიტყვაში ეს მახვილი მკაფიოდ არ ისმის. საინტერესოა, როგორი უღერადობა ექნებოდა ამ ტაეპებს და მახვილებს ხმამაღლა წარმოთქმის შემთხვევაში, რადგან, რაკი მაიაკოვსკის აქცენტურ პოეზიას თარგმნიდა, თავისთვად, პაოლო იაშვილს ეს საკითხი მნიშვნელოვნად უნდა მიეჩინა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ გაგვიანალიზებია თარგმანთა ლექსიკა და მხატვრული ფიგურები; შემოვიფარგლეთ მხოლოდ მეტრული საზომებით, შესაბამისად, შეგვიძლია ვიმ-სჯელოთ მხოლოდ კონკრეტული მიმართებით.

ამ ზედაპირული ანალიზის საფუძველზე საშუალება გვაქვს, გარკვეული დასკვნა ჩამოვაყალიბოთ: პაოლო იაშვილი თარგმანებში, ისევე, როგორც ორიგინალურ ლირიკაში, ძირითადად, მიმართავს 10- (5/5) და 14-მარცვლიან (5/4/5) საზომებს. მისთვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია ტექსტის შინაარსის, ემოციის, პოეტის განწყობის დაფიქსირება. პუშკინის სილაბომეტრული პოეზიის თარგმნისას პოეტი ავლენს უფრო მეტ თავისუფლებას, ვიდრე მაიაკოვსკის ლირიკის თარგმნისას, რადგან ამ შემთხვევაში პოეტი ცდილობს, გრაფიკულად მაინც დაუკავშიროს თავისი თარგმანი ორიგინალს, რადგან ქართული ენის ბუნება მეტრული სტრუქტურის ორიგინალთან მიახლოების საშუალებას არ აძლევს.

დამოცვებანი:

იაშვილი 2004: იაშვილი პ. თარგმანები, მოგონებები პაოლო იაშვილზე. წიგნი
გეორგ. თბ.: 2004.

მაიაკოვსკი 1978: Маяковский В. *Собрание сочинений в 12 томах.* тт. 1-2. «Правда», 1978.

პუშკინი 1985: Пушкин А. С. *Сочинения в трех томах.* т. I. М.: «Художественная литература», 1985.

რუსული პოეზია 1980: *Русская поэзия конца XIX - начала XX века.* М.: Издательство Московского университета, 1980.

მურად მთვარელიძე

ნაზონის სევდის ანარეკლი ტიციან ტაბიძის პოეზიაში

1925 წლის აგვისტოში ტიციან ტაბიძე ცისფერყანწელ პოეტ შალვა აფხაზებთან ერთად დასასვენებლად ანაპაში ჩავიდა.

ეს წელი ტიციანისათვის, და არა მარტო მისთვის, განსაკუთრებით მძიმე გამოდგა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ ის ძალები, რომლებიც ცისფერყანწელ პოეტებში ხალხის მტერსა და მოღალატეს ხედავდნენ, ეს ისრები კი, უფრო მეტად, პალონსა და ტიციანისკენ იყო მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ 1925 წლის ივნის-ივლისი ტიციანისათვის იყო ერთგვარი პოეტური აღმაფრენის პერიოდი, რაც განაპირობა თბილისის ქუჩებში ტიციანის ლვთაებრივი მუზის — თამუნია წერეთლის გამოჩენამ, შემდგომი პერიოდი მისთვის მძიმედ წარიმართა.

აგვისტოს თვე ტიციანისათვის ფსიქოლოგიურად ძნელად გადასატანი აღმოჩნდა და ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

პოეტის მძიმე სულიერი მდგომარეობა კარგად აისახა სწორედ ანაპაში დაწერილ ლექსში „ილაიალი“, რომელიც ტიციანმა მეგობარ პოეტს ალი არსენიშვილს მიუძღვნა, ეს ლექსი იტევს ტიციანის დიდ ნაღველს.

მალე თბილისში როგორც წინათ
ვაჟა-ფშაველა,
მე ხურჯინებით ჩამოვიტან
დაწერილ ლექსებს,
მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს
მაინც ნაღველი,
ასე უჩემოდ სასიკვდილოდ
რომ გამიღესეს.

ციტირებულ სტროფში განსაკუთრებით დამაფიქრებელია ბოლო ორი ტაქპი. ამ სტრიქონებთან დაკავშირებით შალვა აფხაზებთან შენიშნავდა: ტიციანს „როგორც მახსოვს, მხედველობაში ჰყავდა ჩვენი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით პალონსა და ტიციანს სამშობლოს მოღალატეებს უწოდებდა“.

ტიციანის არსებაში ისადგურებს სკეპსიზი. ახალი დრო მას ავალდებულებს, უარყოს თავისი პოეტური ბიოგრაფია და იმ შემოქ-

მედთა გვერდით დადგეს, ვისაც შეუძლია დროს აჰყვეს, დითირამბები უძღვნას ახალ ეპოქას.

პოეტის არსებაში კი სულ სხვა ქარიშხალი ბობოქრობს. ერთმანეთს ებრძვის გული და გრძნობა, რეალობა და სულის ქიმერებში გამოტარებული წარსული.

ამ შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად, რაც განაპირობა პოეტის პიროვნებაზე საზოგადოების მმართველ წრეებში მასზე ჩამოყალიბებულმა ახალმა აზრმა, ტიციანის არსებაში შეიჭრა სევდა, რომელიც კიდევ უფრო გამოიკვეთა შემდგომ წლებში შექმნილ ნაწარმოებებში.

სწორედ ამ ფსიქოლოგიური ჭიდილისა და შავი ზღვის პეიზაჟის ფონზე ტიციანი იხსენებს ტრაგიული ბედის შემოქმედს, დიდ რომაელ პოეტს პუბლიუს ოვიდიუს ნაზონს.

შალვა აფხაიძემ თავისებურად გასცა პასუხი კითხვას, თუ რატომ ახსენდებოდათ ანაპაში ჩასულ პოეტებს დიდი რომაელი შემოქმედი.

საინტერესოა, რომ შავ ზღვას შ. აფხაიძე მოიხსენიებს როგორც „ნაზონის ზღვას“. ამავე სახელწოდების ლექსში პოეტი წერს:

ეს ზღვა ხიბლავდა ნაზონის თვალებს,
ღელავდა ვნება მის გულშიც ასე,
ამიტომ არის, ახლაც გვაწვალებს
მისი ლექსის ჩვენ სიძვირფასე.

და მაინც, ისმის კითხვა: რა ეპოქალური ნიშნებით იყო დალდასმული ეს ორი სხვადასხვა ეპოქის შემოქმედი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკითხის განხილვა აღნიშნულ ეპოქათა მიმოხილვით უნდა დავიწყოთ.

პირველი და ძალზე მნიშვნელოვანი ნიშანი ოვიდიუსის დროინდელი საზოგადოებისა, რომელმაც ამ პერიოდის მთელ შემოქმედებით ტრადიციას საკუთარი დალი დაასვა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, არის ეპოქალური მნიშვნელობის მქონე გარდატეხა რომის იმპერიაში, როდესაც არისტოკრატთა მიერ მართულ რესპუბლიკას მონარქიული წყობილება ცვლის და რომაელთა რესპუბლიკა რომის იმპერიად იქცევა.

აღნიშნულ ცვლილებას თან სდევს ერთპიროვნული ტირანიის აღზევება. პოლიტიკური თავისუფლებისა და პოეტური სიტყვის თავისუფლების სრული დათრგუნვის ხანა,

მეორე. ამ პირობებში რომის იმპერატორი ავგუსტუსი ცდობს გარემოცვა ცნობილი მნერლებით, პოეტებითა და ხუროთ-

მოძღვრებით შემოფარგლოს. ამით საკუთარი პოლიტიკა, ერთი მხრივ, საზოგადოების ელიტარული ნაწილის მხარდაჭერითა და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილის მიერ აქტიური ლიტერატურული, შემოქმედებითი პოპულარიზაციის საშუალებით გაამყაროს, საამისოდ იმპერატორი და მისი

მხარდამჭერნი, ხელოვანთა გადასაბირებლად, ყველაზე ხშირად სწორედ გულისმოგებისა და მოსყიდვის ხერხებს მიმართავენ.

მესამე. აღნიშნული ეპოქა, განსაკუთრებით კი პრინციპატის ხანა ნამდვილად გამოირჩევა როგორც ლიტერატურის, ისე ხელოვნების დარგების აღმავლობით, რაც, უპირველეს ყოვლისა, ბერძნული გავლენის დარღვევისა და ახალ, ორიგინალურ სტილთა შექმნაში გამოვლინდა.

მეთხე. ავგუსტუსის ეპოქის მწერლების მთავარი მახასიათებელი იმპერატორის პიროვნებისა და მისი პოლიტიკის პროპაგანდა, რომელსაც იმ პერიოდში ვერცერთმა ხელოვანმა თავი ვერ დააღნია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედები შეკვეთილი მწერლობისა და ხელოვნების უალტერნატივობის პირობებში მოღვაწეობდნენ, სწორედ ამ პერიოდში იქმნება რომაული ლიტერატურის არაერთი შედევრი და მათ შორის — რომაული პოეზიის მწვერვალი ვერგილიუსის „ენეიდა“, რომელიც ასევე შეკვეთით შეიქმნა.

მეხუთე. მიუხედავად პროპაგანდისტული ლიტერატურის აშკარა ჰეგემონისა, ავგუსტუსის მმართველობის დროს ჩინდება ეგრეთ წოდებული ოპოზიციური ლიტერატურაც, რომელიც დაკარგულ თავისუფლებასა და, ფაქტობრივად, დასამარებულ ძველ რესპუბლიკურ წყობას მისტირისა და შეფარვით, ზოგჯერ ცხადადაც, ახალ რეჟიმს უპირისპირდება,

თუ აღნიშნულ მახასიათებლებს სტალინის ეპოქას მივუსადაგებთ, შევძლებთ ამ ორი — სივრცობრივად და ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდს შორის სრულიად ლოგიკური პარალელების გავლებას. უფრო მეტიც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტალინის ეპოქა ზემოთჩამოთვლილი ყველა ნიშნის მატარებელი და განმავრცობელია.

შესაბამისად, ჩინდება საფუძველი საიმისოდ, რომ ოვიდიუსიც და ტიციანიც, მათი პიროვნება და შემოქმედება განვიხილოთ როგორც სხვადასხვა კულტურული და ქრონოლოგიური სივრცის წარმომადგენელი ორი შემოქმედის მოღვაწეობა, რომლებსაც ერთი და იმავე ტიპილოგიური ნიშნით დაღდასმულ საზოგადოებაში უწევთ ცხოვრება.

ტიციან ტაბიძე, მმართველი წრეებისა და მათი მეხოტბე ინტელიგენციის თვალში, ბოლომდე ინარჩუნებდა ახალი ხელისუფლების მტრის სტატუსს, თუმცა მან, თავის გადარჩენის მიზნით, თავისი შემოქმედება, განსაკუთრებით ოციანი წლების ბოლოდან, შეავსო ახალი ეპოქისადმი მიძღვნილი სახოტბო ხასიათის ნაწარმოებებით („ნუ გაიკირვებ“ — 1928 წ. „ქვათა ლალადი“ — 1932 წ. „და ავტოდორი დიდ უდაბნოთა“ — 1932 წ. „სამშობლო“ — 1935 წ. „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსას“ — 1936 წ. „დალესტნის გაზაფხული“ — 1937 წ. და სხვა), თუმცა ამ ნაბიჯმა სრულიადაც ვერ გააქარნყლა შეხედულება მისი, როგორც პოლიტიკური მტრის შესახებ.

დავუბრუნდეთ 1925 წელს. ტიციანი თავისსავე სამშობლოში თავს ხელისუფლებისაგან გარიყულად გრძნობს, რადგან ძველი შეხედულებების უარყოფა და ახალი იდეოლოგიის გათავისება მისთვის ძალზე რთული აღმოჩნდა; ამიტომაც პოეტის არსებაში ისადგურებს სევდა. ამ მდგომარეობაში კი მისთვის განსაკუთრებით ახლობელი ხდება დიდი რომაელი პოეტის ცხოვრება და მოღვაწეობა და, რაც მთავარია, მისი მძიმე ხვედრით გამოწვეული ნაღველი.

ნაზონი თავისი ოპოზიციური განწყობილებების გამო იმპერატორმა სამშობლოდან შორს, დღევანდელი რუმინეთის ტერიტორიაზე გადაასახლა, სადაც მან თავისი ცხოვრების ბოლო, სევდით სავსე წლები გაატარა, მისი ასეთი ხვედრის მთავარ განმაპირობებლად კი შეგვიძლია შემდეგი გამოვყოთ:

1. პიროვნული შეუვალობა და შეურიგებლობა არსებული რეალობისადმი;

2. სამშობლოს ძველი დიდების მუდმივი ხსოვნა და ჩივილი ან-მყოს გამო;

3. სამშობლოსაგან განშორებით (შესაძლებელია ტიციანთან ამ განცდის იდენტური იყოს სამსობლოსაგან სულიერი დაშორება) გამოწვეული ჩივილი.

ანაპაში ჩასული ტიციანისათვის ნაზონი იქცა პიროვნული იდენტობის საუკეთესო ნიმუშად, ამიტომ ხსენებულ ლექსში ბუნებრივად იკითხება მისი სტრიქონები:

და გეფიცები მე ოვიდის
დამწუხრებულ ლანდს,
რომ ძველებურად კიდევ უფრო
შენთან ვარ ახლო,
ვოცნებობ შენთან რუსთაველზე
ტირილით გავლას,
დავიწყებული სტრიქონები
რომ განვაახლო.

ნაზონისეული სევდა კიდევ უფრო მკვეთრად გამოიხატა ლექ-
სში „სკვითური ელეგია“:

მაშინ ოვიდი სტიროდა აქ რომს
და იქ დარჩენილ შვილების ალერსს,
ფოლადის ნაჭედს დრო ვეღარ აქრობს,
რომიც ვერ უძლებულ ლექსს.

ამ ნაწარმოებში მინიშნება კეთდება იმ გარემოებაზე, რომ ხე-
ლისუფალნი მოდიან და მიდიან, ხოლო პოეტის სიტყვა რჩება, თუმ-
ცა ტიციანისათვის გაყუგებარია, რატომ „ააფეთქეს მისი გული
სევდიანი ლექსებით“, ან რატომ „სცემენ შუბლსა და საფეთქელზე
მომაკვდავ გედს“ და იქვე პოეტი აკეთებს დასკვნას:

მაგრამ გადავა კიდევ სხვა ტომი,
იქნებ ევქსინის პონტიც ამოშრეს,
მხოლოდ იცოცხლებს ლექსის ატომი,
რაც პოეტის გულს დაღად ამოჭრეს.

საყურადღებოა, რომ ლექსი იწყება და მთავრდება ნაზონის
თემით, მის სევდასა და ხვედრზე მინიშნებით, რომელიც რაღაცა
ფორმით ტიციანის არსებასა და შემოქმედებაში აგრძელებს
არსებობას.

მაშინ ოვიდი სტიროდა აქ რომს
და იქ დარჩენილ შვილების ალერსს,
ფოლადის ნაჭედეს დრო ვეღარ აქრობს
და მეც ვაგრძელებ გაუწყვეტავ ლექსს.

როგორც ვთქვით, ამ ნაწარმოებში ტიციანი ყურადღებას ამახ-
ვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხელისუფალნი და ეპოქები ცვლიან
ერთმანეთს, ხოლო პოეზია და პოეტი რჩება როგორც მარადიულად
ფასეული კატეგორია.

ეს თვალსაზრისი თავისებურად აისახა მსოფლიოს არაერთი
შემოქმედის ნააზრევში. მათ შორის საინტერესოა ნაზონის შესა-
ბამისი შეხედულებანი, რომელთაგან გამოვყოფთ შემდეგს:

გატყდება ოქრო და გემმა, სამოსიც გაცვდება ბოლოს,
ლექსი იცოცხლებს მუდამ და შენც უკვდავგყოფს ლექსი.

ნაზონის თემას პოეტი კვლავ უბრუნდება 1926 წელს დაწერილ
ლექსში „ახალი მცხეთა“. ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით უნდა
შევნიშნოთ, რომ მასში კარგად ისახება ტიციანის არა მარტო იმ-

დროინდელი მდგომარეობა, არამედ მისი გაორებული ბუნება. აქვე ყურადღების გარეშე არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ლექსში შემოდის მეორე სევდა, რაც სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვას უკავშირდება.

ვფიქრობ, ამიტომ შემოაქვს ტიციანს ამ ნაწარმოებში, ერთი მხრივ, ნაზონის წუხილი, რომლის პირდაპირ გაგრძელებად მიგვაჩინია შემდგომ მის პოეზიაში არაერთგზის გამოხატული ალექსანდრე ბატონიშვილის სევდა, ხოლო ლექსის ფინალი, რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს, დატვირთულია პროლეტარიატის თემით.

რუსის ისპრავნიკს კაპასი ცოლი
მშვიდად უშლიდა წინ აქ პასიანს
და აზიაში შეჭრილი სოლი
იმპერატორი ვესპასიანი
ნადავლს ყნოსავდა, როგორც აფთარი,
ნაზონის ლექსებს ისმენდა მტკვარი.

„ოი, არაგვო, არაგვიანო“
მტკვარო, ფეხმარდო, მუდამ მქუხარე,
ვარ მოგონების ცეცხლით მწუხარე
უტახტო, როგორც ის ალექსანდრე,
რომელის სევდაც ამ დიდ ხეობას
ჯერ აქამდისაც ვერ აუღობავს.

ვინ დახრის დროშას მაღალტარიანს,
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს.

ამ დროიდან, ნაზონის სევდის პარალელურად და, ვფიქრობთ, მის ერთგვარ გაგრძელებადაც, ტიციანი კიდევ რამდენიმე ლექსში შემოიტანს ალექსანდრე ბატონიშვილის სევდას. ესენია: „პოემა — ჩალატარ“ (1926 წ.), „ჩააქრეთ სულში სიონის ზარი“ (1926წ.), „რომ იყოს თერგიორი ამდენი“ (1932 წ.).

ამ ლექსებში მკაფიოდ ისახება ტიციანის არსებაში შეჭრილი ერთგვარი ჭიდილი: ერთი მხრივ, რეალური ყოფის ასახვის აუცილებლობა და, მეორე მხრივ, ეროვნული ცნობიერებით შთაგონებული შემოქმედის უმწეობა სათქმელის პირდაპირ ვერთქმის გამო, თუმცა იმდროინდელ ლექსებში ტიციანი მაინც ახერხებს, არ დაივიწყოს ალექსანდრე ბატონიშვილის ნაღველის უმთავრესი არსი.

რაც შეეხება პოეტის სახელს,
გმირის სახელი უფრო მეტია,

მიყვარს ქართული მინა მართალი,
 რომ ვაჟკაცობით მონახვეტია...
 ამ საშინელ და უილბლო ღამეს
 მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი:
 რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი
 ბატონიშვილის ალექსანდრესი.
 და როგორც ერთი ურჩი მიურიდი
 ვფიცავ საყვარელ ვაჟკაცთა წვერებს
 შამილის ფაფარს და თეთრ ჭაღარას
 ალექსანდრეს წვერს დროშით ნაფერებს,
 რომ მე დავტოვებ პოეტის სახელს,
 თუ ვაჟკაცობას შენთვის ვერ ვამხელ.
 („პოემა — ჩაღატარ“)

როგორ შინაგან ჭიდილს, ბრძოლას, ბრაზს და უმწეობით გამო-
 წვეულ ნაღველს იტევს ლექსის ბოლო სტრიქონები...
 1926 წლის აგვისტოში, შეთქმულების ორი წლისთავზე, ტი-
 ციანი წერს ლექსს „ჩაჟრეთ სულში სიონის ზარი“, სადაც პირდა-
 პირ აცხადებს მიზეზს იმისა, თუ რატომ უჭირს მას, მხარი აუბას
 თანამედროვეობას, რატომ ვერ დებულობს ასე იოლად ახალ ესთე-
 ტიკას, როგორ ვერ ეთანხმება ერთმანეთს პოეტის არსებაში ახალი
 ცხოვრების მესიტყვეობა და მამულის გარდასული დიდების მონატ-
 რებით გამოწვეული ნაღველის შეგრძნება.

რომ არ მესმოდეს არაგვზე ოხვრა
 ბატონიშვილის ალექსანდრესი,
 რომ ნინამურზე ძვლების მაგიერ
 არ იყოს ძვლები სისხლით ნალესი.
 ვინ გააჩირებს ამ ხმების გრიგალს?
 ამდენი ძვლები რად დამიგროვეთ?
 მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს,
 მე თუ გინდოდით თანამედროვედ?

პოეტს უჭირს ახალი რეალობის მიღება, მისი გათავისება. მის-
 თვის უცხოა თვალთმაქცობა. არადა, ხედავს, რომ არსებული რე-
 ალობა შემოქმედისაგან შესაფერის სიტყვას ითხოვს.

ტიციანმა ისიც იცის, რომ ხელისუფალთ ძალიან ახარებთ ხე-
 ლოვანთა სამსახური, მოსწონთ პრინცეპსებს სამსახური პოეტე-
 ბისა“ (ნაზონი), ამას კი მხოლოდ მედროვენი ახერხებენ, რაც თავის
 დროზე ტიციანმა მოხდენილად შენიშნა კიდეც: „ლექსს დღეს
 თან ახლავს სიმამაძალლე, მე ძველი დამრჩა გულის ფრიალი“
 („ორპირი“).

ჭიდილი პოეტის პიროვნებასა და არსებულ რეალობას შორის კარგად გამოიხატა ტიციანის მთელ რიგ ლექსებში, ხოლო ნაზონი-სეული სევდა კვლავ იელვებს 1933 წელს დაწერილ ლექსში „ქართლის ცხოვრება“, რითაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ნაზონის სევდის ადექვატურია პოეტის შემოქმედებაში ხშირად გაჟღე-რებული სევდა ალექსანდრე ბატონიშვილისა.

პოეტი გემით „ილიჩი“ უახლოვდება სამშობლოს. ტიციანი ამ გემში ხედავს ახალ „არგოს“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრესულ ქართულ ცნობიერებაში „არგო“ ძალადობის ერთგვარ სიმბოლოდ აღიქმება, მაშინ ლექსის მიზანდასხულობა აშკარა გახდება. გემი „ილიჩი“ იმ მოძალადის სახე-სიმბოლოა, რომელშიც პოეტი ცხოვრების უკულმართობამ ჩასვა.

როგორც ბავშვისთვის დილის ალერსი,
ისე ტკბილია ევქსინის პონტი,
ნაღველმა გული რომ გადალესა,
ჩემო სამშობლოვ, შენ მომაგონდი.
ვუახლოვდები შენს ჩრდილო საზღვარს,
ლომკაცს კახაბერს მომაქვს ლექსები
და თუ რეინისას ვერ ვარჭობ პალოს,
შენი მინის ხომ ვწოვე ფესვები.
და გადავწყვიტე ასე უეცრად
დაეწერო შენი სისხლის პოემა,
თავს არ დავზოგავ, მექეც მეწყერად,
ჩაგატან, რაც გულს მოეპოვება.

სამშობლოსადმი ამ ერთგვარი ფიცისა და ეროვნულ ძირებთან მიახლოების ფონზე ლექსში პოეტს შემოაქვს ნაზონის თემა, მისი სევდა:

ტიროდა ამ ზღვით ოვიდი ნაზონ
უფრო კი რომსა და საკუთარ თავს,
რაც უნდა ენა გადამირაზონ
მე ვიტყვი ჩვენი გზების დაბურღვას,

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ სტრიქონებს მოს-დევს პოეტის ერთგვარი განზედგომის განწყობილება.

გვიცვლიან ჩვენ გზებს... ოფლში გაწურულს
რომ შეუცვლიან სიცხის სასთუმალს.

პოეტი მიანიშნებს, რომ სამშობლო ჰგავს სიცხიან ავადმყოფს, რომელსაც უცვლიან გზებს და მიმართულებებს, ხოლო ჭეშმარიტ მამულიშვილებს „ენას ურაზავენ“.

ამ საერთო აგონის ფონზე ჩნდება ერთგვარი იმედიც, რომ უფალი არ მიატოვებს საქართველოს.

გამწევი არის ეს აგონია
აღარ მთავრდება ცეცხლი საკირე
და ამაღამაც, ასე მგონია,
რომ მოადგება ქრისტე ნაპირებს.

სამშობლოს ამ სახეცვლის შემყურე პოეტის გულში შემოდის ნაზონის სევდა. ისევე როგორც რომაელ პოეტს არ ტოვებს თავის ქვეყანაში გაბატონებული უსამართლობით გამოწვეული სინანული და სევდა, ტიციანსაც არ ტოვებს იმპერიის მარწუხებში მოქცეული ერის, მამულის, გარდასული დიდებისა და სისხლიანი აწმყოს შეგრძნება და ლექსის ფინალიც ამიტომ არის დამაფიქრებელი და მრავლისმთქმელი:

და თეთრი, როგორც იალბუზია,
დამესიზმრება ერის სიზმარი.

ქართლის ცხოვრების გახსენებით პოეტი კიდევ ერთხელ უბრუნდება იმ თემას, რის ჩახშობასაც კომუნისტური რეჟიმი ქართველი ერის ცნობიერებაში არაერთგზის შეეცადა, ხოლო ოვიდიუსის სევდის წარმოჩენით ტიციანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი არა მარტო საკუთარ განწყობილებებს, არამედ იმასაც, თუ რა მძიმეა სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული ადამიანის ხვედრი ნებისმიერი დროის ტირანულ სახელმწიფოში.

დამოცვებანი:

აფხაზე 1988: აფხაზე შ. მახსოვეს მარადის. თბ.: 1988.

გაგუა 2007: გაგუა ი. ამბივალენტიზმი ავგუსტუსის პოლიტიკასა და ოვიდიუსის შემოქმედებაში. თბ.: 2007.

სოფიო მუჯირი

გერმანული „ანტისასიყვარულო ლექსის“ ენობრივი და პოეტიკური მახასიათებლები

თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც, ერთი მხრივ, ორი-ენტირებულია კონკურენციასა და წარმატებაზე, მულტიმედიური ინფორმაციის სიჭარებესა და „ძლიერ“ და „სუსტ“ სქესთა ტრადი-ციული და პროფესიული როლების გაცვლაზე, მეორე მხრივ კი — რუტინული ყოფითი პრობლემებისა და ურთიერთობების მოგვარე-ბაზე, იშვიათი გახდა მყარი და იდეალური სასიყვარულო კავშირი. კლონირებისა და კიბერ-სექსის ეპოქაში შეიცვალა ტრადიციული წარმოდგენები სიყვარულსა და სამიჯნურო პოეზიის ობიექტზე, რაც აისახა სატრიფიალო ლირიკის ენასა და თემატიკაში.

გერმანულ ლიტერატურაში სიყვარულის ფენომენის დაწინება ომის შემდგომ ათნალულში დაიწყო. სატრფიალო ლირიკისა-თვის ჩვეული სასიყვარულო გრძნობებისა და და ვნებების აღწერა ჩაანაცვლა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის შეგრძენე-ბის გადმოცემამ. მძიმე ისტორიულმა მეხსიერებამ სიყვარულზე წერის განწყობა გაუფუჭა პოეტებს, რაც გოტფრიდ ბერნმა შემდეგი სიტყვებით გვაუწყა: „ჩვენ აღარ ვაპირებთ სიყვარულის მოტივზე წერას, რადგან ჩვენს კულტურულ არეალში ეს თემა მრავალგზის გადაღეჭილი გახლავთ“ (ბენი 1993: 249). ომის შემდგომ პოეზიაში თანდათან დამკვიდრდა ე. ნ. „ანტისასიყვარულო ლექსის“ ცივი, თავშეკავებული ტონალობა, ნაკლებად სენტიმენტალური და ლა-კონიურად გამოხატული გრძნობები. დომინანტური გახდა პესიმიზ-მის, განშორების, მარტინსულობის და „სიყვარულის ამაოების“ თემები.

მარი ლუიზე კაშნიცი 1963 წელს წერდა: „როცა ადამიანი შეუც-ნობელი ძალების ხელში სათამაშო ბურთად იქცევა, სიყვარული კარგავს თავის ჯადოსნურ ძალას“. „მე“ და „შენ“ მარტოობის ბეჭ-დით ვართ დაღდასმული და ერთმანეთისაკენ იმიტომ მივიღეთვით, რომ თავშესაფარი ვპოვოთ კითხვის ნიშნისა და ეჭვის ქვეშ დაყე-ნებულ კავშირში“ (კაშნიცი 1963: 1271). ინგებორგ ბახმანი, რომე-ლიც თავისი ორმოცდაათიანი წლების პოეზიის კრებულებში (die gestundene Zeit, 1953; Anrufung des großen Bären, 1956) ხოტბას ასხ-ამდა სიყვარულის მარადიულობას, სამოციან წლებში უკვე თავს არიდებს სამიჯნურო თემაზე წერას: „ეხლა ცოტა ხანს დავადუმოთ ყველა გრძნობა და გულის კუნთი სულ სხვაგვარად გავავარჯიშოთ“ (ბახმანი 1978: 172).

სამოცდაათიან წლებში სატრფიალო ლირიკა თანდათან იბრუნებს ადრინდელ პოპულარობას. როლფ დიტერ ბრინჯმანი თხზულებაში „ლირიკისა და სექსუალობის შესახებ“ აღნიშნავს, რომ „გერმანულენოვან სივრცეში სატრფიალო ლირიკამ ჩამოიხსნა ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ლიტერატურული ჟანრის იარლიყი“ (ბრინჯმანი 1969: 65). პოეზიაში, ახალი ლიტერატურული მიმდინარების, „ახალი სუბიექტივიზმის“ კვალდაკვალ, აღწერის ობიექტად გახდა ყოველდღიური ცხოვრების ქაოსში სიყვარულით გამოწვეული პატარა წყენისა თუ სიხარულის გამოხატვა, რამაც სიყვარულზე დაწერილ ლექსებს ახალი, განსხვავებული ლექსიკა შესძინა.

1958 წელს ჩატარებული გამოკითხვის დროს, **პაულ ცელანს** დაუსვეს კითხვა: „შეუძლია თუ არა გერმანულ ლირიკას საუბარი სიყვარულის იმ ძველ ენზე, რომელსაც მკითხველი, როგორც ჩანს, კვლავ მოელის მისგან“. პ. ცელანმა, მის შემდგომი ლირიკის სიყვარულის თემიდან დისტანცირების მიზეზად დაასახელა „მძიმე მოგონობები და გაურკვევლობა ჩვენ გარშემო“ და დასმულ შეკითხვას ასეთი პასუხი გასცა: „ლირიკის ენა ახლა უფრო ფხიზელი და რეალისტური გახდა. იგი ცდილობს, იყოს სინამდვილის აღმნერი და არა სილამაზის მეხოტებე“ (ცელანი 2001: 3,167). ცელანი, ისევე როგორც მისი თანამედროვე პოეტების უმრავლესობა, უარს ამბობს, სიყვარულზე საუბრის დროს გამოიყენოს დრომოჭმული გამომსახველობითი საშუალებები: ბანალური მოტივები, გაცვეთილი რითმები, არქაული ფორმულირებები და ფუჭი ცნებები.

DIE LIEBE, zwangsjackenschön,
hält auf das Kranichpaar zu.

Wen, da er durch Nichts fährt,
holt das Veratmete hier
in eine der Welten herüber?

(Celan, 2001, 2, 165)

სიყვარული, გიუსის პერანგივით მშვენიერი,
ბინას იდებს წეროთა წყვილთან.
ვინ არის ის, არარსებულში მოვზაური,
რომელსაც ეს სულმოუთქმელი
გადმოიყვანს აქ, ერთ რომელიმე
სამყაროში.

ეს ლექსი ცელანმა 1967 წლის მარტში დაწერა („Fadensonnen“, 1968), მისი ცხოვრების ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში, როდესაც თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ოჯახური არეულობა და ხანგრძლივი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამ ლექსის დაწერის წინაპირობა იყო. გასაკვირი არაა, რომ ცელანს სურვილი გასჩენოდა, ახლებურად ეთქვა თავისი სათქმელი და პოეტური ენაც სხვაგვარად გამოეყენებინა სიყვარულზე საუბრისას. ლექსში მოცემული ახალი ენის კონტურები უპირისპირდება წარსულის ტრადიციას, თუმცა ში-

ნაარსობრივად მასთან მჭიდრო კავშირშია: წეროების წყვილი შეყვარებულთა არამყარი და ნარმავალი კავშირის კლასიკური სიმბოლოა. დანტეს „ჯოჯონხეთში“ წეროების წყვილი პაოლოსა და ფრანჩესკას დანაშაულებრივი ტრფობის მფარველია. ქალ-ვაჟი ერთმანეთს ბედისნერამ შეჰვარა, რომელიც მათ საწინააღმდეგოდვე მოქმედებს, რის გამოც ისინი „ამ სამყაროდან სხვა სამყაროში მიფრინავენ“, მიწიერი ცხოვრებიდან — ჯოჯონხეთში, სადაც ისინი ერთმანეთს სამარადისოდ არიან გადაჯაჭვული სიყვარულითა და სასჯელით. ბ. ბრეხტი ამ დანტესეულ სცენას იყენებს „მაჰაგონიოპერას“ ერთ-ერთ სასიყვარულო ზონგში. აქაც ხანმოკლეა შეყვარებულთა თავდავინყებული სიყვარული, რომელიც მათ ერთად-ერთ ნავსაყუდელად ესახებათ, რადგან ამქვეყნად სიყვარულის გარდა სხვა მყარი საყრდენი არ ეგულებათ (ბრეხტი 1997, IV: 143). ის, რაც ბრეხტის შეყვარებულებს საყრდენსა და წონასწორობას სძენს, ცელანთან, პირიქით, წარმოადგენს ინტიმის ეფემერულ ბედნიერებას, იანუსისთავიან, ორსახოვან, „გიუსის პერანგივით მშვენიერ სიყვარულს“. სათქმელის პოეტური გამოხატვისათვის ცელანი უბრუნდება წარსულს, წეროების წყვილს, რათა „სული მოითქვას და საბოლოოდ გაარკვიოს, თუ რა გამოადგება „აქ“, „ახლა“, „მთელი იმ ტრადიციული ლექსიკური სასიყვარულო არსენალიდან, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო. ცელანის ლექსი კითხვის ნიშანს უსვამს სამიჯნურო ლირიკის სანიმუშო მოდელების ლეგიტიმურობას და ლაკონიური, რედუცირებული ფორმით გვაწვდის „თავდაყირა დაყენებული“ სიყვარულის ფსიქოგრამას.

როდესაც პოეტი პირველ სიყვარულზე გვესაუბრება, როგორც წესი, წინა პლანზე დგება გაზაფხულის, აყვავებული ბუნების პოეტური სურათების აღნერა. **ჰილდე დომინისათვის** სიყვარულის დასაწყისი თრი ადამიანის მზერათა შეყრას და ლექსის დაბადებას ნიშავს, რომელშიც მკრთალად მბრნეინავი ყვავილი — ოქსიმორნი — სიყვარულის გამოუთქმელ ხასიათს განასახიერებს:

Im Tor schon hobst du den Blick.	შენ კარის ზღურბლთან მომაპყარ მზერა.
Wir sahen uns an.	ჩვენი თვალები შესვდა ერთმანეთს
Eine große Blüte stieg leuchtend blaß aus meinem Herzen	და ჩემი გულის წიაღიდან ამოიზარდა მერთალად ბრნეინავი დიდი ყვავილი.
(Domin, 1987/88, 55)	

ჰანს ულრიხ ტრაიპელი კი გაუზიარებელ პირველ სიყვარულს ასეთ მინიატურას უძღვნის:

ERSTE LIEBE

Ein Mund der mich streifte
Der mich in die Dornbüsche trieb
Hier köpfte ich Fliegen und Falter
Vergrub unterm Unkraut drei eiskalte
Wünsche die kenne nur ich.

(Treichel, 1994, 38)

პირველი სიყვარული

მისი ტუჩები ნაზად შემეხხო
და გამიყოლა ეკალ-ბარდებში,
აქ შევერკინე ბუზებს და პეპლებს
და ღრმად ჩავმარხე სარეველებში
სამი სურვილი
ყინულივით ცივი, იდუმალი,
ყველასგან დამალული.

ეს სტრიქონები გვამცნობენ, თუ როგორ დაკარგა ლექსის ლირიკულმა გმირმა ნდობა ორმხრივად განცდილი სიყვარულის მიმართ. ის მხოლოდ წამიერად ეზიარა სიყვარულის ხიბლს, შემდეგ კი საგულდაგულოდ დამარხა თავისი სრუვილები, რომლებიც, როგორც სავარაუდოა, არც სითბოს და არც ბედნიერებას არ შეიცავდნენ.

ქრისტოფ მეელი — სიყვარულის თანამედროვე ტრუბადური — პირველი სიყვარულის ძვირფასი შეგრძნებების გადმოსაცემად შემდეგ სურათ-ხატებს პოლობს:

EINZIG

Dieser eine Nachmittag, dieses eine
Akazienblatt, endlos fallend,
durch diesen Augenblick aus Ruh, dieses
eine Streichholz in ihrer Hand, diese eine
Zigarette, während der Motor lief, diese eine
endlose Sprachlosigkeit und dieses eine
Zittern auf ihrem Mund, dieser eine
Atem in diesem einen und einzelnen Kuß
einzig und einmal in soviel vergeudeten Tagen.

(Meckel, 1975, 29)

ერთადერთი

ის ერთი ნაშუადლევი,
ის ერთი აკაციის ფოთოლი, უსასრულო ვარდნაში მოფარფატე,
სიმშვიდის ის ერთი წამი, ის ერთი
ასანთი მის ხელში, ის ერთი
სიგარეტი ჩართული ძრავის ხმაურში, ის ერთი
უსასრულო დუმილი და ის ერთი
თრთოლვა მის ტუჩებზე, ის ერთი
ამოსუნთქვა იმ ერთადერთ და ობოლ ამბორში,
ერთადერთსა და სწორუპოვარში მრავალ გაფლანგულ დღეთა შორის.

1975 წელს, „ახალი სუბიექტივიზმის“ აყვავების ხანაში, ქ. მეკელის მიერ გამოქვეყნებული ეს ლექსი იწვევს სიყვარულისა და ბეჭნიერების ყოვლისმომცველ განცდას.

ჭეშმარიტი გრძნობის დაუკინყარი წამების უკვდავსაყოფად ავტორი ლექსს აგებს კინემატოგრაფიული პრინციპით. მკითხველს თითქოს თვალწინ ეშლება ფოტოების უსასრულო რიგი. სახეზეა კინოს არსენალიდან ნასესხები ხერხი, რომელიც, თითქოსდა კამერის მოძრაობისა და მონტაჟის ტექნიკის ასოციაციებს იწვევს. მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ერთადერთ, „არაგაფლანგულ“ დღეს, დროის დინება წყდება და რჩება მხოლოდ სუბიექტის „შინაგანი დრო“, რომელიც სხვა კანონებს ემორჩილება, ისევე როგორც ლექსის გრამატიკული და მეტრული წყობა. ლექსი გარეგნული ფორმით არ გამოიჩინა. ის ურითმოა, არ არის დაყოფილი სტრუქტურად. სტრიქონები თითქმის ერთი ზომისაა, თუმცა ხასიათდება რითმული მოქნილობით, პარატაქსული წყობით, პრედიკატული ზმნების დეფიციტით და არსებითი სახელების თანმიმდევრული რიგით. ყოველივე ეს ემსახურება სიყვარულით გაჯერებული წამების ასახვას, რასაც აძლიერებს სტილისტური პარალელიზმების უხვი გამოყენება, პოზიციებისა და სტრიქონების შვიდგზის ცვლა, ვიდრე ის არ მიაღწევს კულმინაციას „ერთადერთდა განუმეორებელ ამბორში“. აქ თითქოს უჩვეულო არაფერია, მაგრამ უშფოთველი ბუნებისა და მდუმარე შეყვარებულების მოჩვენებით პარმონიაში იგრძნობა დისპარმონია, რომელიც გამოვცეულია მათი დაძაბულობით, მოლოდინით და ნერვიულობით. ეს კი არ უთანაბრდება გოეთესეული პირველი სიყვარულის, როგორც მარადიულისა და უსასრულოდ ცხოველი გრძნობის აღნერას. ქრისტოფ მეკელთან სიყვარულის ღვთაებრივი გამოვლენა ცალკეულ ფრაგმენტებად იშლება და როგორც ჩანს, ეს ლექსი მისი პირველი სიყვარულით მონიჭებულ ბეჭნიერებასთან გამოსათხოვარი აკორდია.

სიყვარულისა და ლალატის თემაზე თავისუფალი და თამამი ტონალობით გეესაუბრება პოეტი ქალი ულა პანი. ის „ახალი სუბიექტივიზმის“ პრინციპების მომხრე, შემდგომში კი მისი პრინციპების უარმყოფელია. თუმცა, თავისი პაროდიული მიზნებისათვის წარმატებით იყენებს ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ სენტიმენტალურ ლექსიკას, სიტყვათა თამაშს და თვითირონიით დაბალანსებულ გამოხატვის საშუალებებს. ულა პანის პირველი ლირიკული კრებულია „გული თავის ზემოთ“ (Herz über Kopf, 1981). ეს სათაური მინიშნებაა მისი სახელგანთქმული წინამორბედის, ერიხ კესტნერის კრებულზე „გული წელს ქვემოთ“ (Herz auf Taille, 1928), რომლის გახმაურებულ „საქმიან რომანებში“ ავტორი ზომიერი

უხამსობის საზღვრებში ისე გვიყვება დაკარგული სიყვარულის შესახებ, თითქოს „ხელჯონი ან ქუდი დაეკარგოს“. ულა ჰანი მის მსგავსად ემშვიდობება „მაღალ ეტიკეტების“ ხანას.

BILDLICH GESPROCHEN

Wär ich ein Baum ich wüchse
dir in die hohle Hand
und wärst du das Meer ich baute
dir weiße Burgen aus Sand.

Wärst du eine Blume ich grübe
dich mit allen Wurzeln aus
wär ich ein Feuer ich legte
in sanfte Asche dein Haus.

Wär ich eine Nixe ich saugte
dich auf den Grund hinab
und wärst du ein Stern ich knallte
dich vom Himmel ab.

(Ula Hahn1981,)

ხატოვნად ნათქვამი

მე რომ ხე ვიყო გავიზრდებოდი შენს
შიშველ პეშვზე

შენ ზღვა რომ იყო ქვიშის თეთრ
კოშკებს აგიშენებდი სანაპიროზე

ყვავილად ქცეულს მიწის სიღრმიდან
ძირფესვიანად ამოგილებდი

ხანძრად ქცეული შენი სახლის მტვერს
მთელ ქვეყნაზე მიმოვაბნებდი

ქალთევზა ვიყო ჩაგიტყუებდი ზღვის
ფსევრის შლამში

ვარსკვლავად ქცეულს კაშკაშა ციდან
ჩამოგტყორცნიდი ტყვიით ერთ წამში.

ტექსტის სტრუქტურა დეტერმინირებულია განმეორებებითა და პარალელიზმებით. საკმაოდ მარტივი წყობის მქონე სამი სტროფი მოიცავს სამ წინადადებას 4-4 სტრიქონით, ნახევრად ჯვარედინი რითმებითა და ცვალებადი კადენციებით. როლები „მე“ და „შენ“ შორის, ერთი შეხედვით, თანაბრად არის გადანაწილებული. ნაცვალ-სახელთა ეს წყვილი თითოეულ სტროფში ერთხელ გვხვდბა. ზმინის კავშირებითი ფორმები „მე რომ ვიყო“, „შენ რომ იყო“ ოსტატურად ენაცვლება ერთმანეთს, თუმცა ლექსში წამყვანია არა „შენ“ ანუ პარტიორი, არამედ „მე“, რომლის აქტიურობას ხაზს უსვამს ზმინის პოზიცია სტრიქონის ბოლოში. „შენ“-ს კი მეორეხარისხოვან წინა-დადებაში აქვს მიჩენილი გრამატიკულად მარგინალიზებული ადგილი, ან იგი უბრალო დამატების (ობიექტის) სტატუსით გვევლინება, რასაც თხრობა მონოლოგის რეზიმში გადაჰყავს. მკითხველისათვის გასაგები ხდება პირველ პირში მეტყველი პირის შინაგანი ხედვა. ლექსის კარგად გათვლილ ფორმასა და ემოციურ გამონათქვამთა ერთობლიობა ერთგვარ დაძაბულობას წარმოქმნის. მზარდი დის-ჰარმონია „მე“ და „შენ“-ს შორის ბუნების სურათ-ხატებშია ასახული. თუ ლექსის პირველ სტროფში წამყვანია ერთიანობისა და ურთიერთშერწყმის მეტაფორიკა, მომდევნო სტრიქონებში იკვეთება ერთის მიერ მეორის დასაკუთრების წყურვილი. ყვავილის ძირფესვიანად ამოღების სურვილი უფრო ძალადობას წააგავს, ვიდრე იდეალური ურთიერთობის ფრაგმენტს. თუ გავიხსენებთ

გოეთეს ლექსსა: „ნაპოვნი“ („Gefunden“) რომელიც მან მეუღლის, ქრისტიანე ვუღბიუსის გაცნობიდან 25 წლის შემდეგ დაწერა და მას მიუძღვნა, დავინახავთ თუ რა სათუთად ეპყრობა გოეთესული გმირი „ფესვებიანად ამოღებულ ყვავილს, რომელიც მის სახლში მყისვე აყვავდება“. ულა ჰანთან კი თავდაპირველი ურთიერთნდობით დაწყებული სიყვარული გამანადგურებელი ნატვრით მთავრდება: „ვარსკვლავად ქცეულს კაშკაშა ციდან ჩამოგტყორცნიდი ტყვიით ერთ წამში“. ულა ჰანის პოზიაში თავს იჩენს თანამედროვე სატრაფიალო ლირიკას ძირითად ტენდენციები: თხრობა მონოლოგის ფორმატში, ინტიმური ურთიერთობა, რომელიც ასახულია როგორც ერთგვარი ფსიქოსტრესი და შენილბული აგრესის გამოვლინება. ლექსის სტრიქონებში გამოყენებულია სასიყვარულო პოზიისათვის ტრადიციული ფორმა და გამომსახველობითი საშუალებები, რომლებიც მისი პოზიტიური თუ ნეგატიური სიმბოლოების დეკონსტრუქციის იარაღს წარმოადგენს.

რობერტ გერნჰარდტის ლექსი „კერკეტა“ კიდევ ერთი ვარიაცია გახლავთ სიყვარულის თემაზე. ეს ლექსი შესულია გერნჰარდტის პირველ ლირიკულ კრებულში „სხეულები კაფეებში“ (Körper in Cafes, 1987), რომელმაც გერმანულ პოზიაში ავტორს ირონიის ოსტატის სახელი დაუმკვიდრა.

Der Zähe

Wo du auch hingehst -
Ich bin schon da.
Wie weit du auch wegläufst _
Ich bin dir nah.
Wo du auch reinfällst -
Ich hol dich raus.
Nenn du mich nur Ratte -
Ich nenn dich Maus
(Gernhardt, 1987, 121)

კერკეტა

სადაც უნდა მიდიოდე-
მეც იქავე დაგხვდები.
რაც არ უნდა შორს წახვიდე-
შენთან ახლოს გავჩნდები.
რაც არ უნდა დაგემართოს-
მე გიშველი, იცოდე!
შენ თუ ვირთხას დამიძახებ-
„თაგუნიას“ გინოდებ.

პარალელური წყობით აგებული 4 სტროფი გვიყვება შეყვარებული კაცის ურყევი ოპტიმიზმის შესახებ, რომელიც თავისი ტრაფობის ობიექტის მიღმა ვეღარაფერს ამჩნევს და არც არაფრის დანახვა და გაგება არ სურს, რადგან ყველა და ყველაფერი ყოვლისშთანმთემელ „შენ“-შია გაერთიანებული. თუმცა, ამავე დროს ავტორი გამომსახველობის პაროდისტულ მეთოდსაც მიმართავს. ლექსის პირველი ორი სტრიქონი წარმოადგენს ძველი ალთქმიდან რუთის ფიცის ციტირებას: „სადაც შენ (წახვალ), იქაც მე (დაგხვდები).“ ამავე დროს, ეს სტრიქონები ეხმიანება ცნობილი ზღაპრის „ზღარბის

და მისი ცოლი“ (“Der Igel und seine Frau”) პერსონაჟის — თვალთმაქ-ცი დედალი ზღარბის სიტყვებს, რომელსაც იგი სირბილში ყოველი შეჯიბრის ბოლოს კურდღელს გასძახის ფინიშის ხაზიდან: „მე უკვე აქ ვარო“ . ინტერტექსტუალური თამაშის წყალობით, კერკეტას ფიცი „მეც იქ დაგხვდებიო“ კომიკურ ეფექტს იძენს. ლექსის მომ-დევნო სტრიქონებში კერკეტას აჩემება მომაბეზრებელიც კი ხდება, რომ არა მისი თავდადება სატრფოს გადარჩენისათვის, რითაც იგი მკითხველის თანაგრძნობას იწვევს. ლექსში კომიზმის შექმნას ემსახურება აგრეთვე აზრობრივი პაუზები კენტი სტრიქონების ბოლოში. ამ სტრიქონებში ადრესატია „შენ“ და ის ყოველთვის და-მოკიდებულ წინადადებაშია განთავსებული, ანუ დაქვემდებარე-ბულ პოზიციაში იმყოფება. ამ სტრიქონებს ყოველთვის „ქალური“ ტონალობა ახლავს. რაც შეეხება „მე“-ს ანაფორულ სტრიქონებს, ის ყოველთვის მამაკაცური კადენცით და სადა, რედუცირებული რითმებითაა რეალიზებული. ბოლო სტროფში სალანძღავ სიტყვა „ვირთხა“-ს და მოფერებით მეტსახელ „თაგუნია“-ს დაპირისპი-რებას გროტესკული ელფერი დაჰკრავს. სატრფოს გულისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად „კერკეტა“ სიზიფის შრომას და შეუპოვარ ბრძოლას ენევა, რაც მას პაროდისტულ პერსონაჟად გადააქცევს.

სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების გერმანულენოვან ლირიკაში „სიყვარულის ერთ-ერთი თავგამოდებული მეხოტბეა წარ-მატებული პოეტი ერიხ ფრიდი. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე შექმნილი ლექსი „რაცაა ისაა“ (Was es ist, 1983) იმდენად პოპულარული გახდა, რომ ის ხალხმა მაისურებსა და ტილოს ჩან-თებზეც წააწერა. ეს ლექსი ავტორის ერთგვარი კრედოა; ლექსების თხზვა მისთვის არა მხოლოდ ლიტერატული საქმიანობაა, არამედ მისი მსოფლალების გამოხატულებაცაა:

Was es ist

- Es ist Unsinn
sagt die Vernunft
- Es ist was es ist
sagt die Liebe
- Es ist Unglück
sagt die Berechnung
- Es ist nichts als Schmerz
sagt die Angst
- Es ist aussichtslos
sagt die Einsicht

რაცაა, ისაა

- ეს უაზრობაა
ამბობს გონება
- რაცაა, ისაა
ამბობს სიყვარული
- ეს უბედურებაა
ამბობს გაქრიახობა
- ეს მხოლოდ ტკივილია
ამბობს შიში
- ეს უპერსპექტივოა
ამბობს შეგნება

Es ist was es ist	რაცაა, ისაა
sagt die Liebe	ამბობს სიყვარული
Es ist lächerlich	ეს სასაცილოა
sagt der Stolz	ამბობს სიამაყე
Es ist leichtsinnig	ეს ფუქსავატობაა
sagt die Vorsicht	ამბობს სიფრთხილე
Es ist unmöglich	ეს შეუძლებელია
sagt die Erfahrung	ამბობს გამოცდილება
Es ist was es ist	რაცაა ისაა
sagt die Liebe.	ამბობს სიყვარული

(Fried, 1990, 35)

ლექსისწყობამარტივია: სამიარათანაბარიმონაკვეთიდისკუსია — დიალოგის ფორმატშია მოცემული. დიალოგი წააგავს ბაროკოს ხანის ალეგორიულ პაექრობებს სიყვარულსა და კეთილგონიერებას შორის. მათ შორის დაპირისპირება გამოკვეთილია რედუქციისა და ლაკონიზმის, პარალელიზმისა და ანტითეზის რიტორიკული საშუალებებით. სიყვარულის მოწინააღმდეგე „გონებაა“, რომელსაც თანმხელები სათნოებები: „ვამჭრიახობა, გამოცდილება, შეგნება, სიფრთხილე“ უმაგრებენ ზურგს: „შიში“ და „სიამაყე“ ასევე წარმოადგენენ თავის არგუმენტებს, მაგრამ სიყვარული, მიუხედავად მისი წამგებიანი პოზიციისა, ყველა მათგანს უკუაგდებს და პრედიკატიული ფრაზით „ისაა, რაცაა“ პირადულ ელფერს სძენს მთელ ამ დისპუტს სიყვარულის შესახებ.

შემაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სატრიიალო ლირიკა უაღრესად ფრთხილად და მოზომილად იყენებს პოეზიის უმთავრეს იარაღს — სიტყვას. ბანალური, სენტიმენტალური სამიჯნურო ლექსიკისაგან განთავისუფლება, პოეტური სურათ-ხატების სიუხვე, გამოხატვის საშუალებათა სიმწირე, ხშირ შემთხვევაში გაწყვეტილი და გადატანილი სტრიქონების გამოყენება და სხვ. ემსახურება ახალი ორიენტაციების შექმნას და მიუთითებს იმაზე, რომ პოეზია მზადაა შეცვალოს თავისი პოზიციები. ლუმანის თანახმად სიყვარული ისტორიულ რაკურსში ასეთი სქემით შეიცვალა: „იდეალი — პარადოქსი — პრობლემა“ (ლუმანი 1994: 197), რაც იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე გერმანული სასიყვარულო ლექსები უმთავრესად კონცენტრირებულია თავისუფალი სასიყვარულო კავშირებისა და კონფლიქტების აღნერაზე. ამიტომ, ეს ლექსები ხშირად გრძნობათა წარმავალობაზე, განშორების ტკივილებზე და სულიერი მარტობის იარებზე გვიყვებიან: „შეაგროვე ტკივილი და ოხვრა/ რადგან კიდევ არსებობენ წყვილები, / სიზმარში რომ აგრძელებენ ცხოვრებას / თითქოს

ტრაფობას ზღვარს ვერავინ უწესებს“. — მოგვიწოდებს ელიზაბეტ ბორხერსი (ბორხერსი 2002: 65, 16). გერმანულენოვანი რუმინელი მწერალი ვერნერ ზიოლნერი კი თავის სონეტში: „შეყვარებულები“ ასეთ რეზიუმეს იძლევა: „ორ მარტოსულს სიყვარული აერთიანებს“ (“Allein zu zweit, sind sie im Einen“. ზიოლნერი 1988: 81).

დამოცვებანი:

- ბახმანი 1978:** Bachmann I. *Sämtliche Gedichte*. München-Zürich : Piper, 1978.
- ბენი 1993:** Benn, G. *Gesammelte Werke*. Bd. III Gedichte. Hg. Dieter Wellershoff Stuttgart: Klett-Cotta, 1993.
- ბორხერსი 2002:** Borchers, E. *Eine Geschichte auf Erden*. Gedichte. Frankfrut am Main: Suhrkamp, 2002.
- ბრეხტი, IV, 1997:** Brecht, B. *Ausgewählte Werke in sechs Bänden*. Jubiläumsausgabe zum 100. Geburtstag. Frankfrut am Main: Suhrkamp. 1997.
- ბრინკმანი 1969:** Brinkmann, R. D. *Über Lyrik und Sexualität*. Streit-Zeitschrift 7. H1. 65-70, 1969.
- გერჰარდტი 1987:** Gernhardt, R. *Körper in Cafes*. Gedichte. Zürich: Haffmanns. 1987.
- დომინი 1987:** Domin, H. *Gesammelte Gedichte*. Frankfrut am Main: Fischer. 1987.
- ზიოლნერი 1988:** Söllner W. Kopfland. Passagen.Gedichte. Frankfirt am Main: Suhrkamp. 1988.
- კაშნიცი 1963:** Kaschnitz, M.L. *Liebeslyrik heute*. Universitas 18, 1963, 1271-82.
- ლუმანი 1994:** Luhmann, N. *Liebe als Passion*. Zur Codierung von Intimität. Frankfirt am Main: Suhrkamp. 1994.
- მექელი 1975:** Meckel, C. *Nachtessen*. Gedichte. Berlin:Literarisches Colloquium. 1975.
- ტრიხიშელი 1994:** Treichel, H. U. *Der einzige Gast*. Gedichte. Frankfirt am Main: Suhrkamp. 1994.
- ფრიდი 1990:** Fried, E. *Als ich mich nach dir verzehrte*. Gedichte von der Liebe. Berlin:Wagenbach, 1990.
- ცელანი 2001:** Celan, P. *Gesammelte Werke in sechs Bänden*. Hg. Beda Allemann und Stefan Reichert unter Mitwirkung von Rolf Bücher. Frankfrut am Main: Suhrkamp, 2001.
- ჰანი 1981:** Hahn U. *Herz über Kopf*. Gedichte Stuttgart: DVA. 1981.

ზეინაბ სარია

ვერლიბრი „ცისფერყანწელებთან“

ჩვენი ეროვნული პოეზია მკვეთად ქართულ, მაგრამ, ამავე დროს, მუდამ განახლებულ სახეს სწორედ რეფორმატორთა წყალობით ინარჩუნებს. ქართული ლექსის განვითარების გზას რეტროსპექტული თვალთახედვით რომ გადავხედოთ, შთამბეჭდავ სიმაღლედ შემოეგებება მზერას რუსთველი. მის მიმბაძველთა მოჯადოებული წრე ვინც გაარღვია, ეს იყო გურამიშვილი. შემდეგ ემოციურ ხარისხში აყვანილი მედიტაცია და ფერადი სამკაულებისგან განტვირთული ლექსი დაკანონა ბარათაშვილმა. ლიტერატურის-მცოდნენი თვლიან, რომ აკაკიმ თავისებურად განაგრძო გურამიშვილის გზა, ილიამ — ბარათაშვილისა. საკუთარი ენა, სტილი მოიტანა ვაჟამ. ასეთია ზოგადი რეტროსპექტული სურათი ქართული ლექსის განვითარებისა მეოცე ასწლეულამდე.

მეოცე საუკუნის დასახუისში საინტერესო მოვლენების მოწმენი ვხდებით. მოვიდა დიდი პოეტი და ქართული ლექსის უახლესი რეფორმაცია მის სახელს დაუკავშირდა (თანაც — ორგზისი), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სადაც ჩაულრმავდებიან გალაკტიონის ნოვაციებს, იქვე იელვებს „ცისფერყანწელთა“ სახელიც. ეს კოლორიტული ჯგუფი თავისი არტისტიზმით სავსე ეპატაჟებით ლამაზიად ჩაიწერა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში; ლამაზად იმიტომ, რომ გალაკტიონის კვალდაკვალ მათაც იგრძნეს სიახლის საჭიროება და ქართული ლექსის სივრცეში შთამბეჭდავად დაამკვიდრეს ის, რაც ევროპაში უკვე საცნაური იყო და იქნებ სიახლეს მიყურადებულ ევროპელებს მობეზრებულიც ჰქონდათ. ყანწელებმა გაბედულად უსწორეს მხარი უფროს მეგობრად და მენტორად სახელდებულ გრიგოლ რობაქიძეს, ვისი ლექციებითა და ესეებით იწყება ქართული მოდერნიზმის იდეოლოგია (სიგუა 2008: 56), დაფუძნდნენ 1915 წელს ქ. ქუთაისში, ხოლო 1918 წლიდან თბილისში განაგრძეს მოღვაწეობა. ოფიციალურად გაფორმდნენ 1916 წლიდან, როცა თავიანთი უურნალი გამოსცეს. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, სახელწოდება მიიღეს სწორედ უურნალ „ცისფერი ყანწების“ მიხედვით. მათი სახელი იმთავითვე სიმბოლური ელფერით გამოირჩა. როგორც თვლიან, ცისფერი შორეულის, მიუწვდომლის, ე.ი. უკვე მძაფრი პოეტური იმპულსის მატარებელი ფერია, ხოლო ყანწი — შემოქმედებითი ექსტაზისა და ბოჭემური ყოფის სიმბოლო. მათი უურნალის სახელი მათივე ესთეტიკური კონცეპციის ორსიტყვიანი გადმოცემაა. მართებულად თვლის ქ. ნინიძე, რომ ეს

სახელი „სრულყოფილად გადმოსცემს უურნალის პროგრამულ სა-ფუძველს, მასში იმპლიცირებულ რამდენიმე ძირითად კონტექსტს, ამდენად, იგი მეტაფორული სახელია“ (ნინიძე 2009: 151). ცნობილია, რომ ჯვეფის წევრები ატარებდნენ პაოლოს მიერ არგვეთი-დან ჩამოტანილ და გრავიორთან სამკერდე ნიშნებად გაკეთებულ მამლის დეზებს, რაც სწორედ რომ ჰავას მინიატურულ ყანხებს. ვინ არიან ესენი? პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინ-დაშვილი, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, კოლაუ ნადირაძე, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა აფხაძე, სერგო კლდიაშვილი, რაუდენ გვეტაძე, ივანე ყიფიანი, გიორგი საგანელი, ლელი ჯაფარიძე, შალვა კარმელი.

გალაკტიონთან ერთად ცისფერყანნელთა სახელებს უკავშირდება პირველი ვერლიბრის გამოჩენა ქართულ პოეზიაში. გალაკტიონის მეორე კრებულში (არ იქნება ზედმეტი ამის გახსენება) უკვე ექვსა ლექსია ამ ფორმით დაწერილი: „სამრეკლო უდაბნოში“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ვინ არის ეს ქალი?“ „ფარდების შრიალი“, „ჩვენი საუკუნე“, „შიში“. გ. ტაბიძემ იგრძნო, რომ ახალი სუნთქვა უნდა გახსნოდა ქართულ ლექსსაც, არ უნდა ჩამორჩენოდა ევროპულ მოვლენებს და ამიტომაც წერდა: „თავისუფალი ლექსის დაფუძნებისთვის დაწერილია ჩემ მიერ მთელი რიგი ნაწარმოებები: „ჯონ რიდი“, ადგილები „პაციფიზმში“, „რევოლუციონურ საქართველოში“ და „ეპოქაში“ (ტაბიძე 1975: 178).

მსგავსი რამ იგრძნეს „ცისფერყანნელებმაც“. მართალია, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ჰქონდა ვერლიბრს საინტერესო წინაპარი ფორმები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ვერლიბრი მოდერნის ფორმაა, მოდერნიზმის ეპოქის ნარმონაქმნია. მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონიც დაინტერესდა ვერლიბრით და ცისფერყანნელებიც მოჰყვებიან მას მხარდამხარ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალი ფორმის ფესვები ქართული ტრადიციული პოეზიის წიაღმიშება ვიპოვოთ, კონვენციური ლექსი ისე დიდხანს იყო გაბატონებული, თავისუფალი ლექსის პირველი ნიმუშები აღიქმებოდა, როგორც უცხოური ნარმონაქმნი, არაქართული მოვლენა და მკითხველს უჭირდა კეთილმოსურნედ დახვედროდა ამ სიახლეს. ფაქტია, რომ ვერლიბრის დამკვიდრების მძიმე ტვირთი გალაკტიონის კვალდაკვალ ყანხელებმაც მოსინჯეს, მკითხველის ყური მათ შეაჩვიეს ამგვარ ლექსს, დააკვირვეს სინტაქსურ საშუალებებს, რაც აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; აზრობრივი თუ ემოციური ხასიათის გამეორებებს, სინტაქსურ მონაკვეთებში თითქოს „ზომის აქცენტების“ იმიტირებას და სხვა ხერხებს, რითაც ვერლიბრი იქცევს ყურადღებას.

„მძიმე ტვირთიო“, ვთქვი და ის ვიგულისხმე, რომ ყოველი სიახლის აღქმას თან ახლავს სირთულე. სხვაგვარი მზაობა სჭირდება ბახის „ტოკატა და ფუგა“ (რე მინორი) ან მოცარტის „რეკვიემი“ რომ მოისმინო, მაგრამ არსებობს ატონალური მუსიკაც, რომელიც, რასაკვირველია, ტრადიციული ეფექტების მოლოდინს გაგიცრუებს. ამიტომაც (როგორც ლ. სტურუას უყვარს თქმა (განსხვავებული განწყობით სჭირდება მოსმენა არნოლდ შონბერგის „გასხივოსნებულ ლამეს“ ან იგორ სტრავინსკის „წმინდა გაზაფხულს“. თუ კლასიკური ლექსის მხატვრულ არსენალს ელოდები ვერლიბრში, ბუნებრივია, სასტიკად იმედგაცრუებული დარჩები. აი, რას უნდა დაფიქრება. თუ ერთი სახის ლექსის მეორე სახის ნაწარმოების მზაობით მიუახლოვდები, გადაიკეტება ტექსტის კარიბჭე და არ გაგეხს-ნება, ვერ იმოძრავებ ავტორის იდენტობაში. ხოლო თუ სათანადო განწყობით მიეახლები ტექსტს, იგი კარს გაგიხსნის და ავტორის სულის რელიეფსაც უზადოდ დაგანახებს.

თუ კი პოეზია სულის უჩვეულო ვითარებაა და ადამიანი ამ მდგომარეობას გარკვეულ პოეტურ ფორმაში ისე მოაქცევს, რომ სული ულიმღამოდ კი არ ჩაღონდეს, არამედ საკუთარი განუმეორებელი რაობით ფორიაქობდეს, ადიჩადიოდეს ავტორის თვალჩაუწვდენელი წიაღიდან ზედაპირისაკენ და პირიქით, რა მნიშვნელობა აქვს, ეს ვერლიბრი იქნება, ვერბლანი თუ კონვენციური ლექსი?!.

მაგრამ ამის თქმა იოლია დღეს, როდესაც შეგვიძლია მოვლენები კინოფირივით გადავახვიოთ და დღევანდელობაში გადმოვიდეთ; თან თუ მეოცე საუკუნის 60-იან წლებსაც გამოვივლით, რომელი პერიოდიდანაც ვერლიბრი ისეთ სასიცოცხლო ძალას იკრებს, თითქმის ყველა ევროპულენოვანი პოეზიის ლამის ერთადერთ ფორმად მკვიდრდება. ცხადია, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ეს ფორმა. მართალია, საბჭოთა იდეოლოგიამ და მასზე დაფუძნებულმა ლიტერატურულმა ცენზურამ მოდერნისტული ძიებები შებოჭა, შეაფერხა, მაგრამ ქართული ვერლიბრი 60-70-იანი წლებიდან კვლავ განახლდა, ახალი სული ჩაიდგა. თავიანთი ხმები გვასმინეს: ლია სტურუამ, ბესიკ ხარანაულმა, მამუკა წიკლაურმა, ჯარჯი ფხოველმა, გივი ალხაზიშვილმა... ვერლიბრი გაძლიერდა, ფერხორცით შეივსო, სასიცოცხლო ძალა გვიჩვენა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ქართული ვერლიბრის საწყის დროს, როდესაც ლექსი „ევროპული რადიუსით“ გაიმართა. მართებულია ზ. შათორიშვილის მოსაზრება, რომ ის აბსოლუტურად ახალი რაობა, რადიკალური გადახალისებაა ტრადიციული პოეტიკისა, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ ძირებს ბიბლიასა და ბიბლიის ე. წ. „პოეტურ წიგნებში“ (ფსალმუნები, იობის წიგნი და ა. შ.) პოულობს.

რა რჩება ლექსის, როდესაც საკუთარი ნებით იხსნის ყველაზე ტრადიციულ, ყველაზე აღიარებულ სამკაულებს? რითმა ყურის ხიბლია, რიტმიც ყურის საცთურია. რითმა და მკვეთრად გამოხატული რიტმი რომ დათმოს ლექსმა, ამით უარი ეთქმის აკუსტიკურ ეფექტებს.

რას იძენს ლექსი ყოვლივე ამის სანაცვლოდ?

იმას, რაც გულით საგრძნობია და გონით მისახვედრი. გულითა და ცნობიერებით წვდომა ღრმავდება. ტექსტი სხვა პლასტებში იხსნება. ღრმავდება ინტროსპექცია (ამაოდ როდი კამათობდნენ ტრადიციული ლექსისა და ვერლიბრის თემაზე შოთა ნიშნიანიძე, მამუკა ნიკლაური, გურამ ასათიანი, ჯანსულ ლვინჯილია, აკაკი ბაქრაძე...).

სავსებით მისაღებია თ. ბარბაქაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ვერსიფიკაციაში მკვეთრად გამიჯნული დიონისური და აპოლონური საწყისებიდან „ტექნეს“ (ანუ დიონისურის) დაწინაურებამ შეუწყო ხელი თავისუფალი ლექსის განვითარებას (ბარბაქაძე 2009: 64).

რითმებს დაუმორჩილებელი სიმძაფრე, მუხტებჩაგროვილი სიტყვები აქვს გრიგოლ რობაქიძეს, მზის ალხი და „თავწაჭრილი გრიგალი“ ბინადრობს მის ვერლიბრში „მზის ნარქენი“:

ქალი მოვიტაცე,
ცხენზე შემოვიგდე დედალი ავაზა.
ტანი დაყურსული გავშეგართე უნაგირზე.
თეთრი თემოების ვიხილე გახელება.
ხტოდენ ატეხილი ავხორცი მუხლები.
და თვითონ ნადირი გავხდი მე ნადირი.
კოცნა კბენა იყო.
ალერსი — დანა.

აი, როგორი ენერგიით გაჯერებული ლექსიკური ერთეულები აქვს ავტორს. ვერლიბრში განცდის საწყისი იმპულსები თითქოს უფრო გზახსნილად გადმოდის, შენარჩუნებული აქვს სიცინცხალე. ავტორი იმთავითვე გრძნობს, რომ ვერლიბრი პოეტური მუხტის განელება კი არ არის, პირიქით, სულ სხვა ენერგეტიკით ავსებაა, დიონისური თრობაა, რითმებში რომ ვერ გადაითვლება და მოკლე ტაქტებში ჩამნყვდეული მონოტონური რიტმი რომ არ ჰყოფნის სასუნთქად.

არანაკლებ საინტერესოა ვერლიბრი „ირრუბაქიძე“.

საკუთარი ფესვები მოისინჯა პოეტმა გრიგოლ რობაქიძემ შემდეგ ხილვაში:

მე მაშინ ხავშვი ვიყავ.
ველზე მიმეძინა.
იყო დიდი მუხა და ტიტველი შუა დღე.
იყო მწვანე ხავსი და ყვითელი კალო.
როცა გამეღვიძა —
სახელოებში ხვლიკები დავინახე.
მე არ მიკივლია:
ეს იყო მზის ნიშანი.

სამყაროსთან ჰარმონიაში მყოფი პატარა ხალიბის სახით იხილა საკუთარი ბავშვობა, შემდეგ კი ასევე შორი მითოლოგიური ხილვები აუცურდა თვალწინ: ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი არმია და თავლაში ეგვიპტის ზღვაში მდებარე კუნძულ პატმოსიდან ჩამოყანილი დაურვებული ცხენი, რომელსაც ქვესკნელის გუგუნი ესმის და გრძნობს მინისძვრებს; „კარდუსთან“ მონოლოთურ ერთიანობაში გასააზრებელი „რისხვარი მარტორქა“, რომელსაც სიახლოვეს ვერავინ ეკარება, გარდა ლირიკული გმირისა, ის კი უახლოვდება ნინოს ნაწილებით ხელში... ამგვარ მითოლოგიურ შორეთში ხედავს საკუთარ თავს თუ თავის ნინაპარს რობაქიძე. კარდუს მარტორქას ავი სუნთქვა აქვს, ზვავების ქარბორბალად ატორტმანებს მთელ ევროპას. ლექსი თავდება ასე:

სიტყვაც ხომ მაგარია:
ირრუბაქიძე...

მოკლე ექსპრესიულ ტაეპებს ისეთი დინამიკა შემოაქვს, აქამდე რომ არ განეცადა ქართველ მკითხველს. არც რითმაა სადმე და არც დროის მოკლე დისტანციაზე დასაფიქსირებელი მონოტონური რიტმი. მიუხედავად ამისა, ლექსს ჩამორევი ხიბლი აქვს ამ ტრადიციული ატრიბუტების გარეშეც.

პაოლო იაშვილი, სიახლის წყურვილით ატანილი, 1913 წელს სასწავლებლად მიემართება პარიზში და ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში შედის. ახალი ფორმების ძიებამ იგი ფასეულობათა გადაფასებამდე მიიყვანა. პაოლო გაიტაცა მხატვრობამ. ამასთან ერთად სწავლობდა ფრანგულ პოეზიას. დაუახლოვდა პიკასოს, აპოლინერს, მოდილიანის, მაგრამ მხატვრობას არ გაჰყოლია. დაინტერესდა სიმბოლისტების შემოქმედებით, მათი ესთეტიკით. მან სულის საზრდო იპოვა მათთან. 1915 წელს ბრუნდებაქუთაიში, აქტიურად ერთვება ლიტერატურულ ცხოვრებაში და რედაქტორობს უურნალებს: „ოქროს ვერძი“ და „ცისფერი ყანწები“. პოეტი, როგორც თავად ამბობს ლექსში „ევროპა“, გამოექცა მსოფ-

ლიო ომის ცეცხლსა და „ევროპის ქაოსს“. ავთანდილ ნიკოლეიშვილი თვლის, რომ „ლექსი „ევროპა“ ქართულ პოეზიაში ვერლიბრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია“ (ნიკოლეიშვილი 1994: 491).

პაოლომ მსოფლიო ომის აბობოქრება პარიზში ნახა და განიცადა, ამიტომ მისმა ცნობიერებამ შემოინახა საბრძოლო ბატალიები. პოეტი ლექსში აღადგენს იმ განწყობილებას. შექმნილმა მძიმე ვითარებამ იძულებული გახადა მიეტოვებინა პარიზი. მას ახსოვს ის სისხლიანი დღეები, რომლებიც ასეთ კადრებად ლაგდება ლექსში:

გამოვექცი ევროპის ქაოსს,
სისხლს,
დანგრეულ რეიმსის ტაძარს,
უზარმაზარ ტანკების ქშენას,
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.

ავტორის სულსა და არსებაში აღიბეჭდა პარიზში, პერ ლაშეზის სასაფლაოზე უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ლეგიონერის – ბუჭუტა აბაშიძის საფლავი:

პარიზში დამრჩა ერთი საფლავი,
ლეგიონის ორდენის წევრი,
აღმოსავლეთში განთქმული გმირი
და ქუთაისში გადამტანი რევოლუციის
(1905)
მკვდარი მარნასთან,
პერ ლაშეზე გასვენებული:
ბუჭუტა აბაშიძე.

საყველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, ვერლიბრი ურითმო ლექსია (თუმცა იგი შეიძლება სპორადულად გაჩნდეს ტაეპში), რომლის პნეარები არათანაზომიერია. ვერლიბრში მარცვალთა რაოდენობა თავისუფალია და ასევეა სტროფული კომპოზიციაც. ვერლიბრში სტროფს ენაცვლება სინტაქსური მონაკვეთები. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ტექსტის ტაეპებად განლაგება და რიტმულ-ინტონაციური შეთანაბრება.

სწორედ ასეა დაწერილი პ. იაშვილის ლექსი „წერილი დედას“, რომელშიც სოფლის გახსენება ამძაფრებს ქალაქის აუტანელ სინამდვილეს. ზემო იმერეთის სოფ. არგვეთში დაიბადა პოეტი და 8 წლამდე იქ იზრდებოდა. შემდეგ ცხოვრება უხდებოდა ქალაქებში: ქუთაისში, თბილისში, პარიზში... ქალაქურ გარემოს ვერ ეგუება ლირიკული გმირი. იგი დედას სთხოვს, ილოცოს მასზე, ხოლო

ღმერთს იმას ევედრება, დედას ჩემზე ლოცვა აპატიეო. დედის ხილვა ქაოტურ სამყაროში ნათელმოსილი რაობაა პოეტისათვის. სოფლის სურათები დინამიურად ჩნდება: ეს ის ადგილია, რომელშიაც ლირიკული გმირი ამჟამად არ არის („დავტოვე სოფელი“). მას იგი იხსენებს, როგორც „მყუდრო სამყოფელს“. ქვიტკირის მარნები, კატის კნუტები, სიმინდის ყანა — ეს სოფლის ატრიბუტებია. ქალაქი კინტოს პროფილის შემოდის ლექსში. ქუჩებში უცხოდ გრძნობს თავს ლირიკული გმირი:

და დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა.

სოფლის სურათებს ახლავს ტირილის ხმები, რაც მინიშნებაა სიდუხჭირეზე, უბედურებაზე, მაგრამ ამასთან ერთად სოფელი ალალია, მაღალზნეობრივი. ქალაქის სიმბოლოდ ყელსახვევი და ხელთათმანი — ოფიციალური ყოფის ატრიბუტები სახელდება. „იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ“, ეს სიტყვები იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოეტს ქალაქში უჭირს გაძლება. ლექსში ერთადერთი ტროპია, შედარება: პოეტი სიცივეში ჩალურჯებულ თვალის ფერს ვაზის ფოთოლზე დარჩენილი შაბიამნის ელფერს ადარებს. ეს პოეტური ხერხი აერთიანებს ქალაქისა და სოფლის ხილვას. ქალაქი სიცივეს ტოვებს სულში, სოფელი — სითბოს.

ლექსი დაწერილია ვერლიბრის პრინციპით, თუმცა აქ ჯერაც ჩანს ტრადიციული რიტმის კვალი და რითმაც აქვეა. ეს არის შუალედური რაობა ვერლიბრსა და ტრადიციულ ლექსს შორის.

„ფარშავანგები ქალაქში“ 1916 წლით არის დათარიღებული. აქ რიტმი ვერლიბრისაა, მაგრამ ტაეპები ბოლორითმოვანია. თითქოს ვერლიბრი და კონვენციური ლექსი შეაჯვარეს. ასეთივე განცდას ბადებს „ნითელი ხარი“. პაოლო იაშვილი ვერ ელევა რითმას ვერლიბრშიც. ვერ ვიტყვით, რომ აქ რითმას სპორადული, შემთხვევითი ხასიათი აქვს.

სამყაროს პოეტური ათვისების ახალი ფორმა — ვერლიბრი არანაკლებ აინტერესებდა ტიციან ტაბიძეს. ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან ინტერესდება იგი ფრანგი და რუსი სიმბოლისტებით. წერილში „ცისფერი ყანებით“ ტიციანი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ბატონ შაბლონს. ვნახოთ, როგორ გამოვლინდა ეს ვერლიბრის სფეროში. დავაკვირდეთ ლექსს „ცხენი ანგელოსით“. უურნალ „ლომისის“ „ირგვლივ შემოკრებილმა მწერლებმა პოეზიის მეფის ტიციულის მისაღებად როდესაც გამოაცხადეს კონკურსი, ტიციანს წარუდგენია „ცხენი ანგელოსით“. ამ ლექსში ეროვნული ყოფის მწვავე პრობლემებია. შინაარ-

სით იგი მრავალპლანიანია. საუკუნეთა წიაღში ჩაკარგულ ეროვნული ისტორიის სათავეებზე ფიქრობს პოეტი; იხსენებს ქიმერიისა და ქალდეას ტომებს. ამას მოჰყვება ორპირის პეიზაჟის აღწერა, რომლის ატრიბუტებიცაა: მალარია, ჭაობი, ყანჩა. ძირითად ნაწილში ავტორი მოგვინოდებს ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისაკენ („სიონში მღერიან „არშინ მალალანს““).

სიონი ქართული კულტურის კრებითი სახეა. მრავალუამიერი რომ „არშინ მალალანმა“ შეცვალა, ეს ფაქტი ეროვნული სახის დაკარგვაზე მივვანიშნებს.

ტიციანის ეს ლექსი ტიპური ვერლიბრია. ფიქსირდება თავისებურება: მონაკვეთები რეფრენით ბოლოვდება:

აპოკალიპსის თეთრი იმედი,
ცხენი ანგელოსით...

(რომ გადმოვირბინოთ XX ასწლეულის დასაწყისიდან ჩვენს თანამედროვეობაში, ამგვარი ხასიათის რეფრენს დავაფიქსირებთ პაატა შამუგიას ვერლიბრში).

„ორპირის ოქროპირი“ — აქ ამეტყველებულია ბაყაყი, რომელიც ამბობს, რომ რომანტიზმის დროება წასულია:

საქართველოში ყოველ ჭორფლიან ქალს
თავის საკუთარი ჰყავდ პოეტი.
დღეს ღვთისმშობელი ძირს რომ ჩამოვიდეს,
მითხარით, მართლა ვინ ეტყვის ლექს?

პოეტმა გამოხატა ირონიული დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მისამართით, რაკი იგი სულიერი ლირებულებების გაუფასურების ფონზე მიმდინარეობდა.

რაც შეეხება გამეორების ვარიაციულ სახესხვაობას, იგი მიიპყრობს ყურადღებას სანდრო ცირკების ვერლიბრში „სპლინი“. აქ სინტაქსურ მონაკვეთებს ინყებს სიტყვათშეხამება „მთვარეა და ქარი“, რაც ერთ მთლიანობად კრავს ნაწარმოებს. სანდრო ცირკები გაბედულად წერს თავის ტექსტებს პროზისა და პოეზის ზღვარზე.

ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოჰემის მონოლოგი“ მოხიბლავს მკითხველს განცდის სიმძაფრით. შეიძლება, აქ დავინახოთ ეპატა-ჟური სითამამეც. თვითმევლელობისკენ სწრაფვა შეიძლება პოეზიისთვის თვითშეწირვად ჩავუთვალოთ ავტორს. ასევე ბოჰემაც შეიძლება თავისუფლების სიმბოლოდ მივიჩნიოთ, ხოლო სიგიუ

— ერთგვარ ესთეტიკურ ნიღბად, რომელიც საშუალებას გაძლევს, იყო მართალი:

სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა თვითმკვლელობის.

არა მსურს ვიყო ვიკტორ ჰიუგო ან აკაკი,
მე მირჩევნია დავილუპო, როგორც ბოჭემა.
სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა სიგიჟის.

ზოგადი სურათი გამოიკვეთა.

როგორც ვხედავთ, ცისფერანწელებმა იგრძნეს სამყაროში დარღვეული ჰარმონია, ანაქრონიზმად ჩათვალეს თვითგამოხატვის სტანდარტული საშუალებები, იწყეს ქებნა ახალი ვერსიფიკაციული ხერხებისა. მათი ხედვა გახდა ინტროსპექტული, შემოიქრა მედიტაციური ნაკადი, მოქარბდა ყოფითი დეტალები, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭა. ჰაერივით აუცილებელი გახდა ახალი პოეტური სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ვერ არის უცებ აღქმადი, ეს მომგებიანად ჩათვალეს ყანწელებმა. მათი თვალთახედვით, პოეზია ბუნებით არის სტრუქტულია. შემოქმედი საიდუმლოების კარიბჭეს ხსნის. პოეტი „იდუმალ კოსმიურ სამყაროსთან ორგანულად ნილნაყარია“ (ჯალიაშვილი 2007: 3), კარგ პოეტებს ერთეულები კითხულობენ. პოეზია სიმაღლეა, რომლის დალაშქვრა ყველას არ შეუძლია.

თუ ლექსიდან კრეატიული ენერგია მოდის და დამამაგნიტებელი ძალა, რაც ერთდროულად იმოქმედებს გულსა და გონებაზე, რა მნიშვნელობა აქვს ფორმას?! . ამგვარი რამ შეიძლება გადმოგეცეს კონვენციური ლექსიდანაც, ვერტლანიდანაც და ვერლიბრიდანაც.

ვთქვი, რა მნიშვნელობა აქვს ფორმას-მეთქი, არადა მაშინ მნიშვნელობა დიდი ჰქონდა: ფორმათა სხვადასხვაობა გაჩნდა, რამაც გადახალისების, განახლების იმპულსები მოყოლა თან, სიახლის მოლოდინი მოიტანა.

როცა პირველი ლექსები დაიწერა ვერლიბრის ფორმით, მაშინვე გაჩნდა თეორიული ხასიათის წერილებიც თავისუფალ ლექსზე. ეს საკითხი გახდა თ. ბარბაქძის მეცნიერული ინტერესის საგანი და სათანადო სიღრმით აისახა ნაშრომში „ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარნი“ (Lib. ge). ს. ცირკევიძის „ორსახა იანუსში“ გამოთქმულია სადაცო აზრი, რომ ვერლიბრის ფორმაში იმსება ზღვარი ლექსსა და პროზას შორის; შალვა აფხაძის „თავისუფალ ლექსში“ მოცემულია ბევრი საყურადღებო დაკვირვება, მაგრამ აქ ნათქვამია, რომ ვერლიბრი პოეზიისა და პროზის შეხვედრის

წერტილია. ამ აზრს მკვლევარი თამარ ბარბაქაძე არ ეთანხმება, რადგანაც „თავისუფალ ლექსში რიტმული უნესრიგობა კანონზომი-ერებისადმი მიღრეკილების სახით ვლინდება.“ მეც ამ მოსაზრებას მივემხრობი. ვერლიბრში ყოველთვის საგრძნობია, რომ პოეზიის სფეროში ხარ. პოეტი გრ. ცეცხლაძეც იკვლევდა ვერლიბრის ბუნებას. იგი მართებულად აფიქსირებს, რომ მას ახასიათებს სინტაქ-სური მონესრიგებულობა. ხშირია სინტაქსურ ერთეულთა გამეორება.

როგორც ვხედავთ, ლიტერატურული ნაწარმოებების კვალდაკ-ვალ იმთავითვე გაჩნდა თეორიული დაკვირვებებიც ლექსის ამ ფორმაზე. მათი ავტორები მოქმედი მხერლები არიან, პრაქტიკუ-ლადაც რომ „იგმენს“ ვერლიბრის ფერი და სურნელი. ეს ნერილები ქართული ვერსიფიკაციის შესწავლის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია.

თანამედროვე ქართულ ვერლიბრში ორ მაგისტრალს ხედავენ: ბესიკ ხარანულის პროზისკენ გადახრილი ინტონაციურ-სამეტყ-ველო ხაზს, რომელიც ადრინდელ ნაწერებშიც გამოვლინდა („კარ-ტოფილის ამოღება“) და დღემდე საცნაურია; მეორე განშტოებაა ლია სტურუას ხაზი — ლექსი, დახუნძლული არამოტივირებული მეტაფორებით. ამ ხაზს აგრძელებს ახალგაზრდა პოეტი კატო ჯა-ვახიშვილი. მის პოეზიაში სახეები სტიქიასავით მოდის. ეს არის ქვეცნობიერის სახილველ რაობად გადაქცევა. მკითხველი თითქოს აზრის წინარეგანცდის გამოცდილებას იძენს, აღმოჩნდება იმ სამ-ყაროში, როდესაც სათქმელი ინტუიციურად მოირგებს სიტყვიერ სამოსს და იგი სულ მეტაფორებითა მოქსოვილი.

გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტი გიორგი კეკელიძე. ლიტერატუ-რის მცოდნენი ალაპარაკდნენ ვერლიბრის ახალ გზაზე. კეკელიძემ ვერლიბრი ფოლკლორს შეუზავა. მისი პოეტური სინტაქსი ფოლ-კლორის ხაზით მოდის. პოეტი გულდადინჯებით მუშაობს ფრაზე-ოლოგიზმებზე. ენის გაქვავებულ ფორმებს უახლოვდება მისი სი-ტყვათშეხამებები. ფოლკლორთან შინაგანი კავშირი აერთიანებს პოეტს და ეს ორიგინალურად ვლინდება მის ნაწარმოებებში.

ცალკე გაჭრა საკუთარი გზა პაატა შამუგიამ, პოეტმა, რომე-ლიც დაუნდობლად ცხრილავს საკუთარ ტექსტებს და გამოსცემს მოცულობით მოკრძალებულ კრებულებს. ლიტერატურის მცოდ-ნენი იმიჯების მრავალფეროვნებაზე საუბრობენ მის პოეზიაში; თვლიან, რომ აქ ერთმანეთს ენაცვლება პოეტი-ექსპერტი, პოეტი-ტრიბუნი, პოეტი-ლირიკოსი... ავტორი არ უფრთხის სახიფათო პოლიტიკურ მოტივებს. შეუძლია საკუთარი შინაგანი ამბოხი რე-ლიგიური ჰიმნის ფორმითაც მიანოდოს მკითხველს. პ. შამუგია — ეს გახლავთ პოეტი, რომელიც თვლის, რომ უნდა იყოს ხალხის ფა-რული სურვილების მესაიდუმლე, მის სუნთქვას მიყურადებული,

მისივე სიზმრების ნათელმხილველი; ავტორი, რომლისთვისაც ლექსი ორმაგი ჯაშუშია — გარემომცველი სინამდვილის კამერტონია, მაგრამ ავტორის შინაგანი იდუმალებანიც გამოაქვს საქვეყნოდ.

ყველაფერი ეს მღვრიე მაჭარივით წამოიყოლა თან ვერლიბრმა დასაწყისიდანვე. შემდეგ დაინმინდა, ამა თუ იმ შემოქმედთან სპეციფიკური სახე მიიღო. თუ თითოეულ თავისებურებას საწყის ეტაპზე დაწერილ ლექსებში დაგუშებებთ ძებნას, ვიპოვით კიდევაც.

ასე რომ, ვერლიბრის დამკვიდრება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ქართული პოეზიისთვის, რაც ისტორიული მნიშვნელობის დამსახურებად ჩაეთვლებათ გალაკტიონთან ერთად „ცისფერყანწელებსაც“.

დამოცხვანი:

ბარბაქაძე 2009: ბარბაქაძე თ. ქართული კომპინატორული ლიტერატურა — ტრადიციისა და პოსტმოდერნიზმის ფონზე. // ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. ნანილი I. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

ნიკოლეიშვილი 1994: ნიკოლეიშვილი ა. ქუთაისა: „მოწამეთა“, 1994.

ნინიძე 2009: ნინიძე ქ. მეორე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული პერიოდიკის დასახელებები და ლიტერატურის პოლიტიკის საკითხები. // ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. ნანილი II. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

სიგუა 2008: სიგუა ს. მოდერნიზმი. თბ.: „მწერლის გაზეთი“, 2008.

ტაბიძე 1975: ტაბიძე გ. ოთორმეტტომეტული. ტ. 12. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

ჯალიაშვილი 2007: ჯალიაშვილი მ. ნინასიტყვაობა „წმინდა პოეზიის ორენის რაინდები“ // ცისფერყანწელები, 100 ლექსი. თბ.: „ინტელექტი“, 2007.

შორენა ქურთიშვილი

„ცისფერყანწელთა“ მეტრიკა ქართული პოეზიის რეფორმაციის ხანაში (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი)

განსაკუთრებული ინტერესი ლექსწყობის სახეობრივი მრავალ-ფეროვნებისადმი ქართულ პოეზიაში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გასული საუკუნის 10-იან წლებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იმ დროისათვის განახლებული პოეტური ენისა და აზროვნების პრინციპი განსაკუთრებულ მოთხოვნას უყენებდა წყობილისტყვაობას — აემაღლებინა სალექსო რიტმი მხატვრული ფენომენის დონეზე. ცნობილია, რომ ყველაზე მასშტაბური ძიებები მეტრიკის სფეროში დაკავშირებულია მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე მდგარ პოეტურ თაობასთან, რომელიც უშუალო გამგრძელებელი და გადამფასებელი აღმოჩნდა 900-იანი წლების ძალადაწრეტილი პოეტიკური ტრადიციისა (ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი, გ. ტაბიძე). შედარებით სხვაგვარად გადაიაზრეს სალექსო კულტურისადმი წაყენებული მოთხოვნები ცისფერყანწელებმა. მათ ლექსწყობა დაუქვემდებარეს არა უშუალოდ მეტრულ არჩევანს, არამედ მხატვრული აზროვნების ტრანსფორმირებულ მოდელს. ისინი ესწრაფვოდნენ ქართულ პოეზიაში ეროვნული ცნობიერების ევროპულ მოდერნიზებას. თუმცა, არაერთი ექსპერიმენტი მათი ვერსიფიკაციისა, გაბეჭულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს ლექსის მეტრულ-რიტმული ფენომენიზაციის თვალსაზრისით.

საგულისხმოა, რომ ცისფერყანწელებმა შესძინეს ქართულ ლიტერატურას ერთ-ერთი პირველი მყარი სალექსო ფორმები: ტრიოლეტები და სონეტები.

პ. იაშვილის „ქორნიოლში“ (1915) „ტრიოლეტის ფორმა, რომელიც ზუსტადა დაცული, საუკეთესოდ ეგუება ლექსში დახატულ ეგზოტიკურ სამუაროს“, — წერს ლალი ავალიანი პოეტისადმი მიძღვნილ წიგნში და იქვე მიუთითებს იმაზეც, რომ პაოლო იაშვილმა, რომელიც სონეტის ფორმით შემოქმედების ადრეულ წლებშივე დაინტერესდა, დაძლია მისი რთული ფორმა (ავალიანი 1977: 187).

პოეტის გატაცებას სონეტის ფორმით ამ პერიოდში მის მიერვე შექმნილი ნიმუშებიც მონაბეჭდის: „სონეტი ელლის“, „ვალერიან გაფრინდაშვილს“, „მალარმე. ვერლენ. ვერპარნ“, „ავტოპორტრეტი“, „სონეტი“, „ტიციან ტაბიძეს“, „ფერადი სონეტი“ და სხვ.). ის გარე-

მოება, რომ სონეტის თავისებურება და სიმყარე იყო თვით ნიშანი და სიმბოლო ფრანგი და ქართველი პოეტებისათვის, კარგადაა განხილული თამარ ბარბაქაძის ერთ-ერთ გამოკვლევაში (ბარბაქაძე 1999: 47). მას მხოლოდ ჩვენეულ ვარაუდს დავუმატებდით: შესაძლოა, სწორედ ეს ფაქტი, — სონეტის სტრუქტურულ-ინტონაციური გათავისებურება იყოს მიზეზი იმისა, რომ პაოლო იაშვილის სიმბოლისტური შემოქმედების უდიდესი ნაწილი ამ წყობით, ქართული პოეზიისათვის ესოდენ ბუნებრივი სალექსო საზომით (5/4/5) შესრულებული („მომენტურა ყვითელი დანტე“, „სევდიანი ზურმუხტი“, „ლანდი სიცივეში“ და სხვ.).

სამსაზომიანი სტროფიკა აქვს დარიანული ციკლის პირველ-სავე ლექსი „ძახილი“, სადაც 5/4-ის, 5/5-ისა და ხუთმარცვლედების მონაცვლეობას აქვს ადგილი:

მარგალიტები მოვიხეი ყელზე სამწყება,	5/4/5
მარგალიტები, იაგუნდები,	5/5
არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება,	5/4/5
არ დაბრუნდები?	5

კანონიკური ჰეტეროსილაბური წყობით არის შესრულებული ლექსი „ლილი მეუნარგიას“, სადაც 5/5-ისა და 5/4/5-ის მონაცვლეობას აშკარად კანონზომიერი ხასიათი აქვს:

პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,	5/5
პატარა ფილტვებს შეეპარა ჭლექი და ხველა	5/4/5 და ა.შ.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში შენიშნულია ფაქტი ცის-ფერყანწელთა ერთგვარი გატაცების შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ ლექსწყობაში მათ უპირატესობა მიანიჭეს 5/5-ისა და 5/4/5-ის მეტრულ სახეობებს. მიუხედავად ამისა, ისინი საკმაოდ შთამბეჭდავად იყენებდნენ 10-იანი წლებისათვის ნოვაციურ, ორიგინალურ სალექსო საზომებსაც, ხოლო თავად ტრადიციული, ნაცადი სქემების შიგნით ბევრი საინტერესო ცვლილება შეჰქმნდათ, — ვარიაციებითა და სქემებით უზრუნველოდ ზრდიდნენ და ამდიდრებდნენ აღნიშნულ წყობათა ვერსიფიკაციულ-რიტმულ შესაძლებლობებს.

პაოლო იაშვილის მიერ გამოყენებული მეტრული სახეობები 10-იანი წლების პოეტიკურ რეპერტუარში ასეთ შეფარდებას ქმნის:

№	სქემები	გამოყენების სიხშირე
1	5/4/5	16
2	5/5	5
3	33/33	2
4	4/4	1
5	4/4/3	1
6	ჰეტეროსილაბური წყობა	3
7	ვერლიბრი	4
8	შერეული საზომი	1

„დარიანული“ ციკლის რიტმულ სამყაროში, რომელსაც 5/4/5-ის წყობა გასდევს ძირითად ნიშნად, დროდადრო იქრება განსხვავებული ინტონაცია და თავისთავად, ერთგვარი ნიუანსიც ჩნდება. რომანტიკული განცდების გვერდით ექსპრესიულად შემოდის მოლოდინის გრძნობა, ხოლო სიტყვიერი ქსოვილი სამმარცვლიანი მუხლებით შედგენილი სტრქონებით წარმოგვიდგება:

ხშირია სიჩუმე ოთახის სტუმარი	33/33
წვიმის დროს მოვა და დილამდის დარჩება,	33/33
ბუხართან კატა ყოველთვის მდუშარი,	33/33
ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება.	33/33
(„...ხშირია სიჩუმე ოთახის სტუმარი“)	

იგივე საზომი მეორდება „ასო ლასის“ სალექსო წყობაშიც, რომლის ლირიკული გმირის, ლეილას, სახელდებაში გახმოვანებული სილბო-სინატიფე შეხამებულია დედოფლისეულ სინაზე-მშვენებასთან.

სიყვარულისა და მეობპრობის გამოხატვის ფუნქცია აქვთ დაკისრებული პოეტისათვის უჩვეულო, თერთმეტმარცვლიან (4 4 3) მეტრს, რომლის საშუალებითაც გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსი ომახიან მიმართვად ყალიბდება:

შენი ლექსი წითელი ძროხის ჯოგია,	4 4 3
შენი გული ყვითელი ოქროს მორგვია...	4 4 3

რიტმულ გრადაციას იწვევს „...გათავდა ნადიმის“ არათანაბარ-მარცვლოვანი წყობა, სადაც კანონზომიერად ენაცვლება ერთმანეთს თორმეტ და თერთმეტმარცვლიანი სტრიქონები:

გათავდა ნადიმი, სად არის მხლებელი!..	33/33
ცხენები მზად არის? — თავადო, გელით.	33/32
ძვირფასი ყვავილი, ჯერ ხელუხლებელი	33/33
თავადმა გადმომცა მთრთოლვარე ხელით.	33/32
„დარიანული“ ციკლის კიდევ ერთი შთამბეჭდავი ლექსია „პი-რამიდებში“, სადაც სიყვარულისა და სილამაზის ეგზოტიკური გარემო დაფუძნებულია არაორდინარულ მეტრულ სტრუქტურაზე; თოთხმეტმარცვლიანი (5/4/5) საზომის ფონზე პირველსავე სტრიქონებში მეტრის შეგნებულ რღვევას აქვს ადგილი:	

იქ, სადაც სდუმან პირამიდები,	5/5
მზის ქორწილის დროს მე დავწვები მზისფერ სილაზე, 5/4/5	
იქ, სადაც სდუმან პირამიდები,	5/4/5
შენ მომინდები...	5

ნაჩვენები მეტრული რღვევა გრძნობათა მიმოქცევებისა და ვნებათლების უსაზღვროების გამოხატულებისათვის სჭირდება პოეტის. ლექსის დასკვნითი აკორდი კი, რომელიც საზომის ჩარჩოებში „დინჯდება“ და თავის ნამდვილ ფორმას უბრუნდება, იმ გამოფხილებას ნააგავს, ლირიკული გმირის რაშაც რომ გადასდებია:

გამოფხილდება შენი რაში სფინქსის ყურებით,	5/4/5
დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვარულს.	5/4/5

ჰეტეროსილაბურობისა და თავისუფალი წყობის ნაერთს წარმოადგენს პაოლო იაშვილის ნოსტალგიით გაუღენთილი ლექსი „წერილი დედას“; პირველი ორი სტროფი ამ ლექსისა ბოლო განსხვავებული ზომის სტრიქონითა შედგენილი: 3/3, 3/3, 3/3, 3/3, 5; ასევე: 3/3, 3/3, 3/3, 3/3, 5/6. მესამე სტროფი არათანაბარმარცვლიანი წყობის იმგვარ ქვეჯგუფს წარმოგვიდგენს, სადაც ერთმანეთს ენაცვლება შემდეგი ზომის სტრიქონები (6/5, 6/5, 33/33, 24/24). ლექსის მეოთხე და მეხუთე სტროფები კი თავისუფალი ლექსის ნიმუშია. პაოლო იაშვილის სხვა თავისუფალ ლექსებთან ერთად („წითელი ხარი“, „ფარშავანგები ქალაქში“), მეტრული სისტემის რღვევა ზემოხსენებულ ლექსში შეგნებული ხასიათის მანევრი და პოეტის ვერლიბრით დაინტერესების მაჩვენებელია. ეს ფორმა ლექსის ტექნიკური ათვისებისა და მისივე შესაძლებლობების საზღვრების გაფართოებისათვის სჭირდებოდა პოეტს.

„ცისფერი ორდენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ძმობის აქტიური თავგაცი ტიციან ტაბიე არა მხოლოდ მაღალპოეტური ნიჭით, არამედ ორატორული გამოსვლებითა და თეორიული მოსაზ-

რებებითაც ასაბუთებდა ახალი მიმდინარეობის დამკვიდრების აუცილებლობას ქართულ პოეზიაში.

10-იანი წლების დასაწყისი ტიციან ტაბიძისათვის შემოქმედებითი შეგირდობის ხანა იყო. მისი მეტრიკა ტრადიციული საზომებით შემოიფარგლებოდა, ხოლო ძირითადი სქემების გვერდით აქა-იქ გამკრთალი არათანაბარმაცვლიანი სტრიქონები არ წარმოადგენს ამ წყობის სრულფასოვან ნიმუშებს.

სიახლეების მომტანი აღმოჩნდა პოეტისათვის 1915 წელი. შეიცვალა მისი მსოფლებელვაცა და ხელწერაც. ახალი ესთეტიკური მრნამსით შეიარაღებული ტიციან ტაბიძე ესწრაფვის სიმბოლიზმის ფილოსოფიური და ლიტერატურული კონცეფციების რეალიზებას საკუთარ შემოქმედებაში.

მართალია, 1915-1919 წლები პოეტის ვარსიფიკაცია არ გამოიჩივა განსაკუთრებული მეტრული ძებებით, მაგრამ საერთო რეფორმისტული სულისკვეთება მაინც შეეხო მის ლექსინგობას. ახალმა მხატვრულმა ენამ არნახულად გააფართოვა ლექსის რიტმული და მელოდიური შესაძლებლობანი.

ვერსიფიკაციულმა მიმოხილვამ ცხადყო, რომ ტიციანს XX საუკუნის 10-იანი წლებისათვის გამოყენებული აქვს სულ რამდენიმე სალექსო საზომი:

№	საზომები	გამოყენების სიხშირე
1	5/4/5	9
2	5/5	9
3	33/33	1
4	ჰეტეროსილაბური წყობა	4

როგორც ვხედავთ, არც ტიციან ტაბიძე ლალატობს ცისფერყანწელთათვის ესოდენ ნაცად, 5/4/5-ის ბესიკურ წყობას და, პაოლო იაშვილის მსგავსად, — სონეტის სქემადაც იყენებს („ფატმან-ხათუნი“, „ჰეტერობურგი“, „ვალერიან გაფრინდაშვილს“).

პოეტის სონეტებისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში თამარ ბარბაქაძე მიუთითებს, რომ „ტიციანის ნამდვილი, სწორი სონეტები „ცისფერყანწელთა“ ორდენის არსებობის დროს იწერება და მათში აღსეჭდილია სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ხილვები და მსოფლგანცდა (ბარბაქაძე 1999: 2). იქვეა ხაზგასმული ის გარემოებაც, რომ ამ სალექსო ფორმით წარმოდგენილი ნიმუშები დატვირთულია შესაბამისი მხატვრული ფუნქციითაც: „ტ. ტაბიძის შემოქმედებაში სონეტები თავისებურ, ორიგინალურ და მიმზიდველ მხატვრულ სახეებს ქმნის და გვეხმარება მისი პოეტური მემკვიდრეობის სწორ შეფასებაში“ (ბარბაქაძე 1999: 2).

ლექსებში: „ყვავილები“, „ბალაგანის მეფე“, „ვანქის ტაძარი“, „ბირგამის ტყე“ და სხვ., პოეტს გამოყენებული აქვს ცეზურით შუა გაკვეთილი ათმარცვლიანი საზომი (5/5). „ავტოპორტრეტი“ შესრულებულია დაქტილური თორმეტმარცვლედით, თუმცა ზოგჯერ სქემა ირღვევა და საზომი იცვლება:

უალდის პროფილი... ცისფერი თვალები,	33/33
სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა,	34/33
ილლის დაკონით მალე ვილალები,	33/24
მწვავენ ტალღები, თმებმა რომ დაფანტა.	23/33

იქნება შთაბეჭდილება, რომ კლასიკური იზოსილაბური წყობის წიაღში მიმდინარე რღვევის პროცესი ანალოგიურია პოეტის ცნობიერებაში მომზდარი ცვლილებებისა, რაც ტრადიციული ღირებულებების გადაფასებას უკავშირდება. საერთო განწყობილების-და მიხედვით, პოეტი წარმოგვიდგება ცხოვრებამობეზრებულ ეს-თეტად („აზიურ ხალათში, ვით ფაშა ეფენდი, ვოცნებობ ბაღდადზე მოღლოლი დენდი“). „სწობისტური ზიზლით და სიჯიუტით ცდილობს იგი გაემიჯნოს, „ნაცრისფერ სინამდვილეს და ჩვეულებრივ ადამიანურ მისწრაფებებს, რათა თავისი დახვეწილი განცდებით ვაწრო სამყაროში აღმოჩნდეს მარტოდმარტო“ (ასათიანი 1983: 155).

ვერსიფიკაციული ძიების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ტიციან ტაბიძის ლექსების ციკლი, სადაც გაერთიანებულია: „უაბჯარონი“, „მაგი წინაპარი“, „ქალდეას მზე“, „წიგნიდან ქალდეას ქალაქები“. ყველა ამ ნიმუშში გამოყენებულია ერთი და იგივე სალექსო საზომი — 9/5. ლექსწყობაში ცნობილია 5/4/5-ის სახესხვაობა, ანუ მისი დატეხილი ფორმა, სადაც 9-მარცვლიან სტრიქონს მისდევს ხუთმარცვლედი, რომლის დროსაც, ნაცვლად ბესიკური წყობისა, ვლებულობთ არათანაბარმაცვლედს. საქმე ისაა, რომ ამგვარი მანევრი რიტმისა და ინტონაციის განსხვავებული ვარირების შესაძლებლობას იძლევა და პოეტები შეგნებულად მიმართავენ ხოლმე მას:

გაფიზის ვარდი მე პრუდონის	5/4
ჩავდე ვაზაში,	5
ბესიკას ბაღში ვრგავ ბოდლერის	5/4
ბოროტ ყვავილებს...	5
(„წიგნიდან ქალდეას ქალაქები“)	
ანდა: გრძელია უამი, ღვდელმსახურობს	5/4
რაც ჩემი გვარი,	5
ვინ დათვლის, წირვას რაოდენი	5/4
გამოიყანეს...	5 და ა.შ.
(„მაგი წინაპარი“)	

დატეხილი ბესიკური წყობა რომ შემთხვევითი მეტრი არ არის პოეტისათვის და ის, რომ ამგვარი რიტმი სასურველი და საინტერესოა, ის ფაქტიც მოწმობს, რომ ტიციანი მოგვანებით, 20-იანი წლების ბოლოს, 1925 წელს გამოიყენებს აღნიშნულ საზომს ლექსში „ილაიალი“, 1927 წელს კი, — ცნობილ ბოჰემურ ლექსში „მეარღნები და პოეტები“:

და ალიონზე, თეთრ დუქანთან	5/4
სტირის არღანი...	5

უნდა ვიგულისხმოთ, რომ 9/5 პოეტის ერთ-ერთი საყვარელი სალექსო საზომია, რომელსაც მიანდო მან თავისი ვნებათაღელვის გამოხატვის ფუნქცია და მისი გამოყენების შემთხვევაში მიიღო სასურველი ინტონაცია.

ცნობილია, რომ ქართული სიმბოლისტური პოეზიის თეორეტიკოსი და თავადაც ორთოდოქსი სიმბოლისტი ვალერიან გაფრინდაშვილი თავის ლიტერატურულ წერილებსა და ესეებში ცდილობდა აქსენტის, თუ რას ნიშნავდა სიმბოლო პოეზიაში და რითი იყო იგი შთამბეჭდავი პოეტური აზროვნებისათვის?.. გარდა ამისა, პოეტი საკუთარ შემოქმედებაშიც ახერხებდა იმას, რომ მისტიკური ელფერით შეემოსა მითოლოგიური და ლეგენდარული წარმოშობის ზოგადეკაცობრიული ლიტერატურული სახეები. მაგრამ მაინც, თავისი პოეზიისათვის ნიშნეული სიმბოლისტური ესთეტიკის მიუხედავად, ვალერიან გაფრინდაშვილი არ აწარმოებდა საგანგებო მეტრულ ძიებებს. მისი ლექსების უდიდესი ნაწილიც 5/4/5-ითა და 5/5-ითაა შესრულებული:

№	საზომები	გამოყენების სინშირე
1	5/4/5	70
2	5/5	10
3	33/33	2
4	შერეული ტიპის	1

როგორც ვხედავთ, 5/4/5 (ბესიკური წყობა) შეუცვლელი აღმოჩნდა სონეტის ფორმისათვის XX საუკუნის 10-იან წლებში. „მას შემდეგ რაც ქართული სონეტი გრიგოლ რობაქიძის მიერ მისადაგებული ბესიკური საზომით გაიმართა, სხვა მეტრით იშვიათად წერდნენ სონეტს“ (ხინთიბიძე 1999: 34). თავად ვალერიან გაფრინდაშვილი კი სონეტს უწოდებდა „არისტოკრატიულ ფორმას“ და იქვე მიუთითებდა მისგან მოგვრილ სასწაულებრივ შთაბეჭდილებებზე (გაფრინდაშვილი 1990: 481).

შეიძლება ითქვას, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის მეტრული თავისებურება გამომდინარეობს სონეტის ფორმისადმი გაძლიერებული ინტერესიდან. მან ამ სალექსო საზომის არაერთი ნიმუში შექმნა: „ოცნება წვიმაში“, „თეატრში“, „შემოდგომის ქანდაკება“, „მე — სარკეში“, „დაისი“, „ყრუ სონეტი“ და მრავალი სხვ. პოეტს სწავლა, რომ სონეტი იყო შემოქმედების უნივერსალური ფორმა და იგი მაღლდებოდა სიმბოლოს დონემდე (გაფრინდაშვილი 1990: 481). ეს კი, თავად სიმბოლიზმის თეორიული პრინციპების თანახმად, პოეზიის უმაღლესი დანიშნულება იყო. ამიტომაც ესწრაფვოდა პოეტი ამ აზრის რეალიზებას საკუთარ შემოქმედებაში, რომლის უდიდესი ნაწილი (ვგულისხმობ ათიან წლებს), სონეტის ფორმითაა წარმოდგენილი.

სონეტის გარდა, ვალერიან გაფრინდაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ტრიოლეტის დამკვიდრებაც ქართულ პოეზიაში: „ტრიოლეტები“, „სანტიმენტალური ტრიოლეტი“, „სატურნირო ტრიოლეტი“ და სხვ. თავისი სპეციფიკით, ეს ფორმაც პოეტის ლექსწყობის თავისებურებაზე მიუთითებს, კერძოდ იმაზე, რომ მისი განმსაზღვრელიც ბესიკური წყობის თორმეტმარცვლიანი საზომია.

ამგვარად, „ცისფერყყანნელთა“ პოეტიკური ინტერესი უფრო მეტად მიმართული იყო მხატვრული აზროვნების ორიგინალური მანერისა და ესთეტიკური პრინციპების გატარებისაკენ და უფრო ნაკლებ, — მეტრული სახეობების ძიება-შერჩევისაკენ; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი სიმბოლისტების მსოფლმხედველობრივი მოდერნიზაცია მხატვრულ აზროვნებაში — ლექსწყობაზეც ახდენდა გავლენას, რამეთუ რიტმულ-ინტონაციური ძიებები ასევე ნაწილი იყო მოდერნისტულ-სიმბოლისტური ესთეტიკისა.

დამომხმარებელი:

ავალიანი 1977: ავალიანი ლ. პაოლო იაშვილი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1977.

ასათიანი 1983: ასათიანი გ. თანამდევი სულები. თბ.: „მერანი“, 1983.

ბარბაქაძე 1993: ბარბაქაძე თ. 10 ნერილი ქართულ ლექსზე. თბ.: „რუბიკონი“, 1993.

ბარბაქაძე 1999: ბარბაქაძე თ. შენს სონეტებში გადარევა შეკრული როკავს. // გრიგოლ რობაქიძე. 13 სონეტი. თბ.: „საარო“, 1999.

გაფრინდაშვილი 1990: გაფრინდაშვილი ვ. ლექსები, პოემა, თარგმანები, ესები, წერილები, მწერლის არქივიდან. თბ.: „მერანი“, 1990.

ხინთიბიძე 1999: ხინთიბიძე ა. გრ. რობაქაძის სონეტები. // გრიგოლ რობაქიძე. 13 სონეტი. თბ.: „რუბიკონი“, 1999.

ტიციან ტაბიძის მხატვრული აზროვნების ზოგიერთი თავისებურება

ტიციან ტაბიძის ლირიკას, მრავალ პოეტურ ლირსებასთან ერთად, გამოარჩევს ორიგინალური სახოვანი აზროვნება როგორც მთელ თავის შემოქმედებით სივრცეში, ასევე, კონკრეტულად — „სიმბოლისტური ცდების“ (თ. ვასაძე) პერიოდში. ბევრი ითქვა და დღეს არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს „ცდები“ წარმატებული გამოდგა ქართული ლექსის განახლების საქმეში. ამჯერად ჩვენ ამ პერიოდით შემოვიფარგლებით.

ცისფერყანწელები, ახალგაზრდა პოეტები, ნოვატორული ძიებების სურვილით, მკვეთრად გამოხატული ამბიციებით დაუპირისპირდნენ ახლო წარსულს, წინაპარ კლასიკოსებს. „ახალგაზრდობა — დაუნდობელი სურვილი ლომის“, — როგორც გალაკტიონი იტყოდა, ზოგადად, ახალგაზრდობის მიზანს მომატებულობაზე, ამჯერად, ძველის ნგრევისა და ახლის შენების მისიას იჩემებდა: „აკაკის და ილიას ის უპირატესობა ქონდათ, — წერს ტ. ტაბიძე, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში სანდისხან ხახულობდნენ ნამდვილ პოეზიას. შემდეგ მათმა შკოლამ მიიღო კარიკატურული სახე და დღეს უიმედოდ გაჰკივის მოქალაქეობრივი არღანი კაკოფონიას. ყველა უნიჭო, უსახო, ენაბლუ, ვისაც ხელი არ ელლება, სტანჯავს დღეს ქართულ პოეზიას...“ მისივე სიტყვებით: „სამოციანელებმა ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად... მწერლობა გახადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად“ (1916). ამიერიდან, მათი აზრით, ქართული პოეზიის ვექტორი ევროპულისკენ უნდა მიმართულიყო, რაც ასე გაცხადდა ტიციანის ლექსში: „ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“... და მაინც — ბესიკის ბალში... ანუ ნაციონალური პოეზიის ფესვებზე.

კიდევ ერთი საგულისხმო ფრაგმენტი ტიციან ტაბიძის წერილი-დან (1924) ანუ — დამოკიდებულება არჩეული პრინციპებისადმი არ შეცვლილა: „ძველის დანგრევა და უარყოფა არ არის დანაშაული, — ეროვნული აღორძინება სწორედ ამაზეა დამოკიდებული და არა ყბადალებული ჩინეთის ქვითკირზე. ქართველი ერი იმით არის გამარჯვებული, რომ ყოველთვის განახლების გზას ადგას, თორემ ისე-დაც გრძელი ისტორია ნაცრად აქცევდა. კარგი ტრადიცია თვითონ შეინახავს თავის თავს და ატავისტურად გადავა შთამომავლობაში. უნიჭობას ვერ გაამარჯვებინებს ობსკურანტიზმი: პატრიოტობა და ქართველობა ნუ იქნება ღონებიხდილთა მონოპოლია. ერთხელ

გრიგოლ ორბელიანს ევონა, რომ ილია ჭავჭავაძე ანგრევდა საქართველოს, მაგრამ ის ნოვატორი დარჩა ქართველობის დაუჩრდილველ კოლოსად (ტაბიძე 1966: 306). „ტრადიცია... ატავისტურად გადავა შთამომავლობაში“, — ამ სიტყვებს ტიციანი თავის პირველსავე ლექსებში ამართლებს. „თეთრი სიზმარი“ (1914) ამის ნიმუშია. მისი განაცხადი „ღვრია ლექსებზე“ (ანუ არამწყობრ, ამლრვეულ ლექსებზე) მოგვიანებითაა გამჟღავნებული, მაგრამ „თეთრი სიზმარი“ უკვე ამ ნიშნით გამოიკვეთა:

საქართველოთი ვინ არ დამწვარა,
ან ვინ არ სტირის საქართველოზე,
უძილო ღამემ ცრემლით დაღვარა
წარსულ დიდების დაღვრემილი მზე.

პირველი და მეორე სტრიქნი, რიტორიკული კითხვებით გადმოცემული, თითქოს ჩვეულებრივია, ტრადიციული აზრობრივ-სტილური წყობით, მესამე და მეოთხე ორიგინალური მეტაფორაა, ახლებური და მოულოდნელი ეფექტით: უძილო ღამე ლირიკული გმირის სულიერი ტანჯვის გამოხატვაა, სამშობლოს წარსულის გამოტირებაა. ცრემლად დაღვრილი მზე — წარსული დიდების ხატია, ტირილის, მწუხარების უჩვეულო სახეა, რადგან მზე თავად კი არ დაიღვარა, უძილო ღამემ დაღვარა. ემოციურ განწყობას ამძაფრებს ორჯერ განმეორებული სიტყვა „საქართველო“, სამშობლოს ბედით მწუხარე სულთა ტანჯვის გამომხატველი მეტაფორა: „სულს ჩვენვე ვაცმევთ მწუხრისა ძაძებს“... გაუთავებელი უბედურების გადმოსაცემად: „დღესაც საკუთარს მივსდევთ ჩვენ კუბოს, სასაფლაოს გზა რად არ ილევა!..“ სახები: „თეთრი აჩრდილი“, „თეთრი სიზმრის“ თანამდევი — „თეთრი მადონა“ ვერაფერს ცვლიან. ჩამავალი, „მენამული მზე“, რომელსაც „საცაა ზღვა დაინონის“, ვიზუალურ ეფექტს ქმნის მწუხარებისათვის; „ღამე“, „ზარნაშოს ტირილი“, „აფთრის კივილი“, „შავი ნალველი“, / „შავი ქარი“ ტრაგიკული განწყობის წარმოსახვით სურათებს ქმნიან. დასასრულს, თითქოს ამ ხილვებიდან, ამ სიზმრებიდან გამოსული, ღვთისმშობელს სთხოვს არა შველას (რაც მოსალოდნელი იყო ლოგიკურად), არამედ იმას: „სად დავისვენებთ, / სად დავაწყობთ ძვლებს, / გემუდარებით — გვითხარი, დედა!“ (1914). ავტორი ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ სვამდეს კითხვას: „სად დავაწყობთ ძვლებს...“ (თუმცა, ზოგადად პოეზიისთვის, ეს უცხო არ არის). ტ. ტაბიძისთვის მთელი შემოქმედების მანძილზე დამახასიათებელია წინათგრძნობის მომცველი ლექსები. ამას თითქმის ყველა მისი მკვლევარი მიუთითებს. ლირიკულ პოეზიაზე მსჯელობისას, წერილში „ამერიკული ახალი

კრიტიკა”, ლიტერატურის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ ლი-რიკულ პოეზიაში, სადაც პოეტი პირველ პირში გვესაუბრება, პო-ეტის „მე“ მაინც გამოგონებულია, დრამატული „მე“-ა (ქრესტომა-თია 2010: 278); იქნებ, ტ. ტაბიძის სიცოცხლეში, პოეტის ფანტაზიის ნაყოფად, გამოგონილად, ერთგვარ პოზად, მოდერნისტების მანე-რად მიიჩნეოდა ყოველივე ის, რაც მერე პროვიდენციულ ხილვებად აღიქმება მკვლევრებისაგან, მკითხველებისაგან:

კიდევ ამოვა წინამურზე ორქიდეა,
მტკვარი ამოიტანს მაჩიბლის გვამს.
თუ საქართველო ბერვის ხიდია,
ბევრ სხვა გენიას ის ცეცხლით დაწვავს.

.....

(1921)

მრავალწერტილი სტრიქონის დასასრულს, მრავალწერტილე-ბის ორი „სტრიქონი“ მომდევნო ტაეპამდე, საშუალებას გვაძლევს პოეტის დაუწერელი, ქვეცნობიერით ნაგრძნობი, მისტიკადაც კი აღვიქვათ. „როცა ორპირის ცეცხლი მოგედებათ, მაშინ გაიხსენეთ ეს ჩემი ტრაქტატი“: „ორპირის ცეცხლის მოდება“ მისი მკითხვე-ლისთვის, თანასაზოგადოებისთვის იქნებ ის ტკივილია, რომე-ლიც ტ. ტაბიძისთვის გამოტანილმა სასტიკმა განაჩენმა გამოიწვია საქართველოში და არა მხოლოდ ქართველებში.

მარტონა, მიუსაფრობა, მწირობა ძვირფასი საფლავებისაკენ მიმსწრაფი სულის ქროლვა დინამიკურ ხატებს ქმნიან „ქალდეას მზეში“ (1916). აქაც ხილვები — უსაფლავობისა, სადღაც გაურკვე-ველ სივრცეში გადაკარგვისა, რომელსაც უმზადებდა ცხოვრება თუ ბედისწერა:

მარტო ვიქები, მარტონბას
წინასწარ ვსტირი,
მაგრამ ამასაც აღარ უფრთხის
გვიანი მწირი.
მესმის, მეძახის, ვხედავ, მხედავს,
ვიჩქარი, მივქრი.
ძვირფას საფლავებს, როგორც ქორი,
დაფრინავს ფიქრი.
გრძელი, შორი გზა და ოცნება
უსაზღვრო გზებზე,
ჩემი საფლავი ძველ ქალდეას
იქნება მზეზე.

1936 წელს ტიციან ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც წამდლვარებული აქვს 1960 წელს გამოცემულ ლექსების რჩეულს, წერს, რომ ქართული სიმბოლისტური სკოლის წამომადგენელი ახალგაზრდა პოეტები, უცნაური სახელწოდებით „ცისფერი ყან-ნები“ (ეპითეტი „უცნაური“ აშკარად კონიუნქტურის გავლენაა), მოწყვეტილნი იყვნენ სინამდვილეს და უუნარონი აღმოჩნდნენ სოციალ-პოლიტიკური ამბების სწორად გარკვევაში. ამასთან, იგი მართებულად აღნიშნავს იმ დამსახურებას, რაც მათ მიუძლოდათ ქართული ლექსის განახლების საქმეში: „მაშინდელი გალარიბებული ქართულის ფონზე პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შევიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო, ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაიწერა წამდვილი სონეტები, ტერციინები, ტრიოლეტები. რითმას ახალი გასაქანი მიეცა. ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებსა და ასონანსებს. ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგის და სხვა ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემისა და სახეების არე. ქართულმა ლექსმა ახლებური ჟღერადობა შეიძინა... აქვე პოეტი აგრძელებს, უკვე თვითკრიტიკის სახით: „მა-გრამ, თუ თვალს გადავავლებთ განვლილ გზას, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ჯგუფი „ცისფერი ყანები“ წარმოადგენდა ტიპიურ ესთეტიკურ, შეზღუდულ მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ახალგაზრდა ქართველი პოეტები, მეტისმეტად დიდ ხარკს ვუხდიდით არაჯანსაღ ბოჰემურ არტისტიზმს, ვქადაგებდით „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ (ტაბიძე 1960: 24). ეს „აღიარება“ იყო შედეგი ტოტალიტარული სისტემის ძალადორბივი ქმედებისა, იდეოლოგიურმა დიქტატურამ განსაკუთრებული ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოდერნისტულ ტენდენციებს. ილუზორული აღმოჩნდა შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის (მათ შორის — ცისფერყანწელების) ფიქრი იმაზე, რომ ახალ ხელისუფლებასთან შეძლებდნენ თანამშრომლობას. ამაოდ დაიწერა ტიციანის „რიონი პორტიც“ და ამაოდ მზადდებოდა მისი ახალი წიგნი დიდ საბჭოთა კავშირზე „სამშობლო“, 1936 წელს... 1937 წელს ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა... დასრულდა ისე, როგორც სერგეი ესენინისადმი მიძღვნილ ლექსი ითქვა: „არ გამოცვლილა ხომ პოეზია, მუზები ცისკრის კარებს აღებენ, მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენ აღბათ სადმე ჩაგვაძალებენ“, — ეს სტროფი ამოღებულია 1960 წელს გამოცემულ ტ. ტაბიძის რჩეული ლექსების კრებულიდან. წიგნის რედაქტორ-შემდგენელები, ჩანს, მაინც მოერიდნენ ცენზურის ჯერ კიდევ მახვილ თვალს (ლექსი სრული სახით შესულია 1966 წელს გამოცემულ ტიციან ტაბიძის სამტომეულის პირველ წიგნში, კრებულის შემდგენელია შალვა დემეტრაძე).

ესენინის ტრაგიკული დაღუპვა (თვითმკველელობა თუ მკვლელობა...) მისთვის ორგვარად შემზარავი იყო. ერთი მხრივ, ეს იყო მეგობრის დაკარგვა, მეორე მხრივ — საკუთარი მომავლის გაცნობიერებაც. გაცნობიერება იმისა, რომ სიცოცხლე ასეთ ვითარებაში სირცხვილიც კი იყო. ამ შემთხვევაში თავის თავს გულისხმობს. სულმა სული იცნო („სული სულს როგორ დაემალება?!“):

განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია?

კიდევ ერთი და საგულსხმო პროვიდენციული, უფრო სწორად — ლოგიკურად განჭვრეტილი დასკვნა, პოეტური ანდერძი:

ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს.

ასევე, მომავლის შეგრძნებაა ლექსი „დასაბამიდან“ (1927):

ბარათაშვილი არაგვზე სვამდა,
მე კი დღეს მახრჩობს „ქიმერიონი“,
მტრედიც გადიქცა ეხლა სვავადა,
სხვა ქარიშხლების მოღიან დრონი.
რა საჭიროა სატრფოს ცრემლები,
არც ქარს ვაწუხებ საფლავის თხრისთვის.
მოისვენებენ ისედაც ძვლები,
თუ კრემატორი ალირსეს თბილისს.

„2 აპრილი“ (1918) — (ლექსის სათაური), პოეტის დაბადების დღე, ბედნიერი თარიღის მნიშვნელობას კარგავს... მიზეზი: „**პათომი მისცეს და ორპირზე მოღის თათარი, / ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი. / ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარი, / პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა**“. „საქართველოს კუზად დახრილი პოეტის სული“ იმ ტრაგედიის მეტაფორაა, რომელ-საც ავტორი, ლირიკული გმირი განიცდის. ლექსი თოთხმეტმარცვლანია, რაც თხრობის საუკეთესო საშუალებას აძლევს პოეტს. იგრძნობა განსაკუთრებით ზრუნვა რითმაზე და რიტმულობაზე. მიმართავს ალი-ტერაციას, რომელიც მისთვის და, საერთოდ, სიმბოლისტებისათვის ერთ-ერთი საყვარელი პოეტური საშუალებაა ლექსის უღერადობისათვის.

უახლოვდება საუკუნის მას მეოთხედი,
ჰემინია, თითქო საქართველოს წინ დაიბადა.
საპედისწერო წუთს ელოდი, წუთო მოხედი,
პიერო წუთით წითელ ქუდში გაგარიბალდდა.

თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი,
ვანქის ტაძართან სალოცავად მივედი მარტო,
მაშინ ტფილისმა კოშმარების გამიძვა მელავი,
განვლილ ცხოვრებას ეშაფოტი რომ აღვუმართო.

იკვეთება „ნ“ და „ტ“ ბეგერების სიმრავლე; სტრიქონში „თავზე
დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი“ შეინიშნება სინტაქ-
სისადმი დაუმორჩილებლობა, ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. ტი-
ციანის ლირიკაში ამის არაერთი მაგალითია, რაც ქმნის ძალზე
დამახასიათებელ, სხვებისგან გამოსარჩევ, შთამბეჭდავ სმეხით
ეფექტებს. გავიხსენოთ აქვე სხვა შემთხვევებიც: „სიყვარულისგან
მეტ მოთმენის არა მაქვს ლონე“ ... „ჩააქრეთ სულში სიონის ზარი და
ალავერდის წმინდა სანთელა, ოში მიმავალ სამას ხევსურის დიდ
საყვირების კორიანტელი“ ... „დიდ სიმღერისთვის ჩემი გული უკვე
მზად არი“ ... ალიტერაციებით და დარღვეული სინტაქსური დე-
ტალებით გამოიჩინა „ავტოპორტრეტი“, „პიერო“, „ნოემბერი“,
„ქალდეას ქალაქების“ ციკლი და სხვ.

მასსენეს ელოდნენ დაღლილი თითები,
ჯირითს რომ ელიან ფეხმარდი ცხენები,
სხვანაირ მუსიკის დღეს მბანენ ზვირთები,
ძვირფასად ვინთები ლექსების ხსენებით.
(„ავტოპორტრეტი“)

ეს ლექსი შთამბეჭდავია აგრეთვე ვიზუალური სიზუსტით:

უალდის პროფილი. ცისფერი თვალები,
სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა...
ილლის დაკოცნით მალე ვიღალები,
მწვავენ ტალღები, თმებმა რომ დაფარეს.

მესამე სტროფი (სამტსრიქონიანი) კრავს პოეტის გარეგნულ
და სულიერ პორტრეტს, აზიური და ევროპული კულტურის პირმ-
შოს, მალარმეს თანამოაზრის, მშობლიურ ბალდათზე მეოცნებე
დალლილი დენდის მთლიან ხატს:

აზიურ ხალათში, ვით ფაშა ეფენდი,
ვოცნებობ ბალდათზე მოღლილი დენდი,
ვფურცლავ მალარმეს „Duragations“-ს.

(1916)

შეიძლება ითქვას, ეს პოეტის საპროგრამო ლექსია, რომელშიც გამოიკვეთა მომავლის შტრიხები, ცხოვრებისადმი განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება, რაც მისი შინაგანი ბუნების განუყოფელი ნაწილი იყო. „ცხოვრება, ხელში მაქს მე შენი სადაცე, რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ ვაქციო“.

მკვლევარი თამარ ბარბაქაძე ტ. ტაბიძის მემკვიდრეობის სწორი შეფასებისათვის გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტის პირველ სონეტებს, რომლებშიც დაცული არ არის მარცვალთა რაოდენობა. ამის შესახებ ტიციან ტაბიძე მოგვიანებით წერდა: „მე თვითონ მქონდა საკუთარი და თარგმანი არა სწორი სონეტები და ჩემს ბავშვურ შეცდომებს სიყვარულით ვიგონებ“.

„ტიციანის ნამდვილი, სწორი სონეტები „ცისფერყანწელთა“ ორდენის არსებობის დროს იწერება და მათში აღბეჭდილია სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ხილვები და მსოფლგანცდა“, — აღნიშნავს თამარ ბარბაქაძე და ხაზს უსვამს უმთავრესს, რომ „მიუხედავად სიმბოლიზმისათვის ნიშანდობლივ, მყარ თემათა და სახეთა ერთიანობისა, მათს სონეტებში ყოველთვის იგრძნობო-და ეროვნული ტკიფილი თუ სიხარული“ (ბარბაქაძე 2008: 206). ამის უტყუარ ნიმუშად სახელდება „ქალდეას ბალაგანი“ ციკლიდან „ქალდეას ქალაქები“ („ქალდეას მზე“, „მაგი ნინაპარი“, „უაბჯრონი“). მაგრამ ვიდრე „ქალდეას ბალაგანს“ შევეხებოდეთ, გავისენოთ „ქალდეას ქალაქების“ პირველი — შესავლის სახით მოცემული ლექსი "Lart Poeti-que", რომელშიც განაცხადა, რომ ბესიკის ბალში რგავს ბოდლერის ბოროტ ყვავილებს... „და რაც შემხვდება, შემაჩირეობს შორეულ გზაში, ჩემ ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს“... ამ ტექსტს მრავალი მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე შეხებია და ახალს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მაინც ლირს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, თუ რა ანდამატით, რა მონიშებით, რა სიყვარულით იყო ეს თაობა ფესვებთან, წარსულთან განუყოფელი... ეს ხომ, მათი მცდელობით, ლირებულებათა გადაფასების დრო იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, „გადაფასების“ ისეთი სტილი აღმოაჩნდათ (ნებით თუ უნებლიერ), ფასეულს მაინც ლირსება რომ არ შებლალვია, „ძველ სიტყვებს“ ანდამატური ძალა არ დაკარგვიათ და „ქართული ბალიც“ „უხმი ბულბულთა“ გამორჩეულ სივრცედ მიიჩნეოდა.

დავინყებული ძველ სიტყვების
ვგრძნობ ანდამატებს.

და თუ არ აშევა ხმა სიმღერად,

გაშლილი, ლალი,

უხმო ბულბულსაც დამაფასებს

ქართული ბალი.

„უხმო ბულბულად“ თავის თავს და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლვრია ოლექსების“ ავტორ თანამოკალმეებს, ცისფერ-ყანწელებს მოიაზრებს პოეტი, ხოლო ქართული ბალი, ქართული პოეზიის მთლიანი სამყაროა. „ქალდეას ბალაგანს“ (სონეტები, 1918), — ტ. ტაბიძის წარსულთან დამოკიდებულების შესანიშნავი ნიმუში.

ჩემი სამშობლო, საქართველო, სხვა თეატრია,
ბევრი მინახავს ხეტიალმი მე თეატრები.
გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია,
მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხათრება.

ვხედავ მოდიან ზღვა კანდებით ბძენი მაგები,
მიმი, ჟონგლერი და დროგები აქტიორებით.
არ მეშინა ძვირფას ძმებთან სულის წაგება
და ძველ პიესას მე ვთამაშობ განმეორებით.

იყო თამარი და ძვირფასი მისი სამება,
ამაზე იტყვის საქართველო მატიანებით.
მხოლოდ შენ ტანჯვას, კოლომბინა, და შენ წამებას
პიეროს მეტი ვერ იტირებს სხვა დანანებით.

ვერ ნახავ რაინდს ჩემზე უფრო, რომ უერთვულოს
შენ წამებულ სულს, კოლომბინა, შენ ტუბერკულოზს.

სამშობლო — საქართველო შედარებულია თეატრთან, რომლის სცენები იცვლებოდა ისტორიის მანძილზე, ხუნდებოდა, მაგრამ მზე, მარადიული ნათლის სიმბოლო, „არ ეხათრება“ ანუ არ ერიდება. სონეტის ლირიკული გმირები, უცხო სახეები — სიყვარულის ერთგული პიერო და ტანჯული კოლომბინა საქართველოს და მის ერთგულ მცველს ასახიერებენ... პიერო, რომლის მსგავსად სხვა ვერავინ იტირებს თავის კოლომბინაზე, პოეტია, მუდამ მზადმყოფი, თავი დადოს კოლომბინისათვის, თავად უშველოს მის წამებულ სულს, მის ტუბერკულოზს. „ტუბერკულოზი“ — უკურნებელი სენი, სასონარკვეთის, სიკვდილის სიმბოლოდ აღიქმებოდა და, შეიძლება ითქვას, ორგანული ნაწილი იყო სიმბოლისტური ლექსიკისა, რომელსაც ხატოვანი გამოთქმის დონეზე უნდა შეექმნა სულიერი სიმძიმის ეფექტი პოეზიაში.

„ქალდეას მზე“ (1916) უმთავრესად იმასვე გამოხატავს, რასაც „ქალდეას ბალაგანი“: „ჩემში ტირიან წინაპარი ძველი მოგვები, დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ, უკან მოვყვები“... ლექსში სმენით ეფექტებს ქმნის ალიტერაცია, ნაცადი საშუალება პოეტისთვის. აშკარაან, ქ, ც ბეგერების მონაცვლეობა, რომელიც განსაკუთრებულ უღერადობას ანიჭებს სათქმელს:

ძველი სიტყვები დაფიცების,
დავიწყებული
ძველი ქალაქი, დღეს ნაცარი,
უწინ ქებული,
ძველი ქალდეა სწავს ოცნებას
და ეძახის სულს,
ოქროს ლექსებში მე ვუმდერებ
დიდებულ ნარსულს“ (1916).

ალიტერაციული წყობით გამოიჩინევა მოგვიანებით (1926) და-
წერილი ლექსი „სკვითური ელეგია“:

მაგრამ გადავა კიდევ სხვა ტომი,
იქნებ ევქსინის პონტიც ამოშრეს,
მხოლოდ იცოცხლებს ლექსის ატომით,
რაც პოეტის გულს დაღად ამოჭრეს...

ერთ-ერთი ნიშანდობლივი, გამოსარჩევი პოეტური მანერა ტ. ტაბიძის და, ზოგადად, სიმბოლისტების პოეზიაში არის ერთ-მანეთისადმი მიძღვნილ ტექსტებში პოეტის, ადრესატის მითო-ლოგიზება, რაზედაც თ. ბარბაქაძე აღნიშნავს წიგნში, „სონეტები საქართველოში“: „ქართველი სიმბოლისტები, ფრანგ და რუს სიმბოლისტთა მსგავსად, ცდილობენ ახალი მითის — პოეტის სახელზე შექმნილი მითის — შემოტანას პოეზიაში“ (ბარბაქაძე 2008: 210). „ამ ახალი მითოლოგიის მასკარადში „ყანწელებს დიდი გაბედულებით შეჰქანიანდება ერთმანეთი“, — წერდა ვ. გაფრინდაშვილი (გაფრინდაშვილი 1922). ტ. ტაბიძის სონეტში „ვალერიან გაფრინდაშვილს“ შთამბეჭდავად იყვეთება პოეტის შინა სამყარო, ინტერესები, რი-თაც იგი (ვ. გაფრინდაშვილი) თავის ინდივიდუალურ სახეს ქმნიდა, როგორც შემოქმედი.

შენი ოცნება მოიხარშა გოიას ქვაბში,
აღარ სცილდება დაბნელებულ ძველ ესკურიალს.
მნარეთ განამებს ბალახვანი, როგორც გურიელს,
დამის მხედარი, ანთებულო ღამეთა წვაში.
შენ შეიყვარე ოფელია, აღარ სცვლი სხვაში,
ვიცი, რომ უფრთხი გაგიუებას სხვა ქარის ტრიალს,
მაგრამ სადაცე შენი ლექსის დახრის დარიალს,
ახლოა მოსე, პოეზის მენამულ ზღვაში.

დუელში მოკლულ ორეულთა დადევი გორი,
ლოტრეამონის მაინც გებრძვის შენ მალდარორი,
მეც შენთანა ვარ ამ ბრძოლებში, ვინ დამაკავებს?

უკანასკნელი დაისების ცეცხლში აღდები,
მეც თავს დამნათის ჩემ ქალდეას ცეცხლის კალთები,
მაგრამ სახელი პოეტების უფრო გვაძრმავებს.
(1918 წ. ორპირი)

მხატვრულ ეფექტს ქმნიან კონკრეტული სახელები („მაგიური სახელები“ — თ.ბ.) გოია, ესკურიალი, ბალახვანი, გურიელი. ეს ის სახელებია, რომლებიც უკავშირდება ვ. გაფრინდაშვილის პოეზიას ანუ გამოძახილია მისი ლირიკიდან, რაც ტ. ტაბიძეს საბაბსაც აძლევს და საშუალებასაც, შექმნას მეგობარი პოეტის სახე — მითი. იგი იყენებს მიმართვის ფორმას, რითაც მწყობრად აყალიბებს ვ. გაფრინდაშვილის პოეტურ ნატურას. სონეტის დასასრულს თავადაც ერთვება ამ სამყაროში — „მეც შენთანა ვარ“ ... „მეც თავს დამნათის ჩემ ქალდეას ცეცხლის კალთები“.

სონეტში „პაოლო იაშვილს“ ტ. ტაბიძე მთლიანად ჩვენობითი ფორმით მიმართავს მეგობარს, თანამოკალმეს, რომელთან ერთადაც მოიაზრებს სიცოცხლეს და სიკვდილსაც:

საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღდუპებით.

სიამის ტყუპებივით ერთ სულ და ერთ ხორც ერთად უნდა ემსახურონ ქართულ პოეზიას. თავიანთი სიმტკიცის, პრინციპულობის გამოსახატავად ნათქვამია: „ვიცი გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით“ ... მომდევნო ორი სტრიქონი კიდევ ერთხელ და საგრძნობლად გამოკვეთს მათს მისიას და, მიუხედავად ყველაფრისა, ძველისადმი პატივსა და სიყვარულს:

ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალთა უპენი.
(1921)

ამ პერიოდის ლექსებიდან განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა ლექსები „ლვდელი და მალარია კუბოში“ და „ლვდელი და მალარია“. მათში ღრმად სუბიექტური ტკივილებით, მაგრამ მაინც „შინაგანი აუდერების“ (დ. უზნაძე) რიტმით იქმნება სახეობრივი ხატები, ცალკეულ სიტყვებში იკითხება ის სურათები, რობლებიც აწუხებს, აფორიაქებს: „ორპირი“, (მისი სულიერი სამკვიდრო); „ხაშმიანი მთვარე“ (მძიმე სულიერი ყოფის მეტაფორა); „მამის ოლარზე ობობების ქსელი“ (სიკვდილის მეტაფორა); „ატირდნენ ერთად ბაყაყები დამშრალ ფშანებში“ (ტრაგიზმის ხაზგასმა); ლექსში ოთხჯერ მეორდება სტრიქონები: „ძველი თემაა. გიუ ლვდელი

/ და მალარია“, მას რექვიემის დანიშნულება აქვს მთელ ტექსტში, შუალედურ ფორსაც ქმნის და ფინალსაც აგვირგვინებს:

ბედის ვარსკვლავი ქალდეასთვის
მართლა მკვდარია,
რექვიემივით ისმის ეხლა
ყველა არია.
ძველია თემა: გიურ ღვდელი
და მალარია.

მწუხარე ღამის ფონზე „ხაშმიანი მთვარე“ (1919) სახეს იცვლის და იქმნება მთვარის (უთუოდ სავსე მთვარის) სრულიად ახალი სურათი: „მიბორგავს მთვარე, ყვითელ საბანს მიასრიალებს“.

მეორე ლექსისაც „ღვდელი და მალარია კუბოში“ (1920) ძირითადად მწუხარების განცდა წარმართავს.

გავა წლისთავი... ნოემბერი
ბელ ოლარებით,
ჩემში ატირებს, მამაჩემის
შავ ანაფორას,
უკანასკნელი ლექსი ჩავდე
მე მონანებით,
როდესაც გულზე უცხო ღვდლები
ადგამდნენ გორას.
მის საფლავშიაც ატირებდა
ძველი არია,
ძვირფასი მამა — გიურ ღვდელი
და მალარია...

ორიგინალური სახით არის შექმნილი ტირილის, გლოვის ეფექტი: დრო მის სულში მამის ანაფორას ატარებს, ამით მინიშნებულია, თუ რა ძვირფასია ის მამისეული შავი ანაფორა, ნამკვდრევი, მაგრამ საყვარელი. მეორდება სიტყვები, სალექსი სტრუქტურა, რიტმულობა და დინამიკა, მაგრამ განცდაა კიდევ უფრო მძიმე, რადგან შვილი დარჩა მამის „წამების ერთი მოწამე“... დრო არ ეყო ტკივილებს გასანელებლად, წასაშლელად (სიტყვა „ღვდელი“ „მ“ ბერის გარეშე, — ხომ არ იყო მამის ლექსიკიდან, მეტი სიყვარულისათვის?...).

ყველა ცეცხლების ატრიალდა
ჩემში გრიგალი.
როგორც ყოველთვის, თვით სიკვდილსაც
შევებით ორი

და ჩემთან იბრძვის შენი ლანდი,
სხვისთვის მიმქრალი.
დაატრიალებს ამ ქვეყანას
ჩემი არია,
ძვირფასი მამა — გიურ ღვდელი
და მალარია.

ბოლო ორი სტრიქონი ხუთჯერ მეორდება, რაც ტკივილის
გამძაფრების მინიშნებაა. ამის მიზეზი კი არა მხოლოდ მშობლის
სიკვდილია, არამედ „ამ ცხოვრების მიეთმოეთიც“:

გახსოვდეს, ქვეყნად რომ დატოვე
შვილი პოეტი.
და მეასეჯერ გადიხადე
იქ პანაშვიდი,
რომ დამიწყნარდეს
მე ცხოვრება მიეთმოეთი. (1920)

მომდევნო (1921) წელს იწერება „სეზონის ფალავანი“, რომელ-
შიც კვლავ გახმიანდება მამის სახელი, რომელსაც ახალი სატკივარი
და საფიქრალი ემატება, სინანულით ნათქვამი საკუთარ, ნინასწარ-
განჭვრეტილ მომავალზე, რომელიც, სამწუხაროდ, სავსებით მარ-
თალი გამოდგა.

მე თვითონ მივდევ ყოველ წარსულ დღეს,
მზად ვარ, ვიტირო ბავშვზე უმწარეს.
თორმეტმა ღვდელმა მამა გასუდრეს,
მე ერთი ღვდედიც არ ამიგებს წესს.
(„სეზონის ფალავანი“, 1921)

ეფექტურია ტიციანისეული ხელწერის ნიმუშებიდან მხატვრუ-
ლი სახეები, რომელებსაც განსაკუთრებული ინტიმი შეაქვს მის პო-
ეზიაში, სულიერი მდგომარეობის, ხასიათის გასახსნელად. ესენია:
ვაშლის ყვავილები, ორპირი, აპრილის თვე, მალარია, ჭაობი, გომ-
ბეშო... თითოეული თითქოს პრივატულია მისთვის. ისინი ეზიდებიან
ყოველთვის უკან, ტკბილი ბავშვობისაკენ, სევდიანი ლირიკისაკენ,
ყვითელ, უჟმურისფერ მშობლიურისაკენ, „ბაყაყების ორკესტრით“
ახმაურებულ ჭაობიან ორპირის სანახებისაკენ, რომელიც ღრმად
აღიძეჭდა და სამუდამოდ ჩარჩა მასში, როგორც ხსოვნა, იქნებ,
ბედნიერი ტკივილისაც...

დამოცვებანი:

ბარბაქაძე 2008: ბარბაქაძე თ. ტიციან ტაბიძის სონეტები // სონეტი საქართველოში. თბ.: „უნივერსალი“, 2008.

გაფრინდაშვილი 1922: გაფრინდაშვილი ვ. დეკლარაცია („ახალი მითოლოგია“). დ. „მეოცნებე ნიამორები“, 7, 1922.

ტაბიძე 1960: ტაბიძე ტ. რჩეული ლექსები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1960.

ტაბიძე 1966: ტაბიძე ტ. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ტ. III. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.

ქრესტომათია 2010: ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. II. თბ.: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010.

ბელა ნიფურია

„ცისფერი ყანწები“ და ავანგარდი

ლიტერატურული დაჯგუფება „ცისფერი ყანწები“ დაფუძნებისთანავე ახდენდა თვითიდენტიფიკაციას სიმბოლიზმის ლიტერატურულ მიმდინარეობასთან. თუმცა, ჯგუფს საქმიანობა მოუწია იმ ათწლეულებში, მეოცე საუკუნის ათიან და ოციან წლებში, როცა ერთიან დასავლურ მოდერნისტულ კულტურულ სივრცეში ესთეტიკური სიახლეები უკვე ავანგარდიზმთან იყო დაკავშირებული. ამ ერთიანი სივრცის ნაწილი საქართველო, უნინარესად, სწორედ ცისფერყანწელების საქმიანობის შედეგად გახდა. ნიშანდობლივია, რომ სულ ორიოდ წელიწადში მათვე შექმნეს კულტურული ფონი თბილისის ავანგარდისტულ ცენტრად ქცევისთვის, და თავადაც გახდნენ ამ მულტიკულტურული ავანგარდული სიტუაციის აქტიური წევრები.

„ცისფერი ყანწების“, როგორც სიმბოლისტური ჯგუფის მიმართება ავანგარდიზმთან რამდენიმე პრინციპს ეფუძნება*:

• ჯგუფი გამიზნულად ირჩევს სიმბოლიზმს თავისი მოღვწეობის ჩარჩოდ.

• ის აღიარებს, რომ სიმბოლიზმი, მეოცე საუკუნის 10-იანი წლებისთვის აღარ არის უახლესი მიმდინარეობა, თუმცა, როგორც ცხადი ხდება მათი არჩევანი კონკრეტულ არგუმენტს ეყრდნობა: ისინი მიიჩნევენ, რომ ქართული ლიტერატურა საჭიროებს საფუძვლიან განახლებას, მოდერნიზაციას — ანუ მოდერნისტულ კონტექსტში ჩართვას. შესაბამისად, განახლება უნდა დაიწყოს მოდერნიზმის პირველი, საფუძვლის დამდები მიმდინარეობის, სიმბოლიზმის ათვისებით.

• ამავე დროს ჯგუფი აღაირებს, რომ კულტურული განახლების და ესთეტიკური სიახლის ტენდენციას უკვე ავანგარდიზმი

ატარებს. ეს აღიარება ჩანს მათი პირველივე მანიფესტიდან და საპროგრამო თეორიული ტექსტებიდან.

* სიმბოლიზმის, ფუტურიზმის, მოდერნიზმის და ავანგარდიზმის ტერმინების მოშველიებისას ვებრდნობით როგორც თავად ცისფერყანწელების ტექსტებში მოცმულ მიდგომებს, ასევე დასავლურ ლიტერატურისმცოდნებაში გავრცელებულ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც: მოდერნიზმი გაიაზრება როგორც ევროპის გლობალური კულტურულ სტილი მე-19 საუკუნის შემორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, რომელიც აერთიანებს არაერთ მიმდინარეობას; სიმბოლიზმი ცხადდება ერთ-ერთ პირველ მოდერნისტულ მიმდინარეობად (და არა წინამორბედად); ფუტურიზმი ცხადდება ერთ-ერთ პირველ ავანგარდისტულ მიმდინარეობად; ავანგარდიზმი ცხადდება გლობალურ ესთეტიკურ ტენდენციად მოდერნიზმის ფარგლებში (იხ. მაგ. Modernism: A Guide to European Literature 1890-1930, Eds. Malcolm Bradbury, James McFarlane, Penguin Books, London, 1978).

• ჯგუფი მხარს უჭერს საქართველოში რუსეთის ყოფილი იმპერიიდან ემიგრირებულ ავაგრადისტ ხელოვანებს, თანამშრომლობს მათთან და მონაწილეობას ერთობლიურ აქტივობებში, თუმცა მათი პოეტური და ესსეისტური პრუდუქცია კვლავაც სიმბოლისტური ესთეტიკით იქმნება.

• მაშინაც კი, როცა ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს უჩნდება მკეთრი ინტერესი დადაიზმისადმი, ეს ხდება მათივე გამოცემების ფურცლებზე, და ის საქმიანობს ჯგუფის ფარგლებში.

• ჯგუფი ემიჯნება პირველ ქართულ ავანგარდისტულ დაჯგუფებას და არ თახამშობლობს მათთან.

• საბჭოური/სტალინური კულტურული პოლიტიკის და იდეოლოგიის დამკავიდრების შედეგად „ცისფერი ყანწები“ უარს ამბობს ზოგადად მოდერნიზმზე, კონკრეტულად — სიმბოლიზმზეც და ავანგარდისადმი ინტერესებზე და ახალ ესთეტიკურ არჩევანს უკავშირებს რეალიზმს (ნაცვლად საბჭოთა ძალის მიერ თავსმოხვეული სოციალისტური რეალიზმისა).

სიმბოლიზმისადმი კონკრეტული ინტერესების საფუძველზე გაერთიანებული შემოქმედთა დაჯგუფება 1915 წლიდან არსებობს, თუმცა 1916 წლის დაასაწყისში ურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლით გაცხადებულ და დეკლარირებულ სახეს იძენს მათი ესთეტიკური პოზიცია, ევროპული და ქართული სალიტერატურო კონტექსტებისადმი მიმართება და, შესაბამისად, ფორმდება ჯგუფი როგორც ასეთი. ამავე გამოცემაში, საპროგრამო ტექსტებში, ჩანს ავანგარდისადმი მათი დამოკიდებულებაც:

პაოლო იაშვილის „პირველთქმაში“, ცისფერყანწელების პირველივე მანიფესტში (ჟ. „ცისფერი ყანწები“, 1916, № 1), მკვლევარები ხედავენ ავანგარდიზმის ნიშნებს. ლუიჯი მაგაროტოს მიხედვით ეს ნიშნებია: ექსცენტრიზმი, დენდიზმი, ნონკონფორმიზმი, ანტაგონიზმი, სკანდალიზმი, ანტი-ტრადიციონალიზმი, მანქანის განდიდება, თვითრეკლამა, დემაგოგია, აგრესია.* მართლაც, თუკი, პაოლო იაშვილის მანიფესტის შევუდარებთ, ერთი მხრივ, ფრანგული სიმბოლიზმის (მორეასი 1886, გაზ. „ფიგარო“) და, მეორე მხრივ, იტალიური ფუტურიზმის (მარინეტი 1909, გაზ. „ფიგარო“) მანიფესტებს, თავისი სულისკვეთებით, ემოციური ტონალობით ის

* Magarotto: “Storia e teoria dell'avanguardia georgiana (1915-1924)”, p. 56: “Il manifesto di Paolo Iashvili, pubblicato sul primo numero delle rivista con il titolo P'irveltkma (La prima parola), e di cui si dà qui la traduzione integrale, rivela ampiamente le caratteristiche fondamentali del gruppo, quell'eccentrismo, il dandysmo, l'esibizionismo (il non-conformismo), l'antagonismo, lo scandalismo, l'antipassatismo, l'idolatria per la macchina-veicolo, l'auto-reclame, la demagogia, la violenza ecc. che lo situano con evidenza nel grande filone della ‘tradizione’ avanguardistica europea.”

უფრო მარინეტის უახლოვდება. სიმბოლისტურ მანიფესტში მორე-ასი სიმბოლიზმის როგორც შემდგარი პოეტური მიმდინარეობის შესახებ საუბრობს და ანალიტიკური პოზიციიდან მიმოიხილავს, ზოგადად, ლიტერატურულ-ესთეტიკური პროცესების მონაცვლეობას; სიმბოლიზმის გენეალოგიას რომანტიზმს უკავშირებს და რეალიზმთან/ნატურალიზმთან სიმბოლიზმის კონტრასტს წარმოაჩენს; ახალი სკოლის პირველ წარმომადგენლებად ბოდლერს, მალარმესა და რემბოს ასახელებს. მარინეტის მანიფესტი კი, ნაცვლად მიმოხილვითი, განსჯითი ტონისა, მთლად მოწოდებებისგან შედგება, იმპულსურია, აგრესიული წარმოსახვითი მტრისადმი — მათი ხელოვნების მოწინააღმდეგისადმი. მართალია, პაოლო იაშვილი თავის მანიფესტში „ცისფერი ყანების“ სახელით ესთეტიკურ მიმართებას სწორედ ფრანგ სიმბოლისტ პოეტებთან ამყარებს: „ადიდე ხალხო ეს მრისხანე ქალაქი, სადაც გიშური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“ (იაშვილი 1916: 5). მეორე მხრივ, „პირველთქმაში“ არ სახელდება არც მარინეტი და არც ავანგარდისტული ხელოვნება, თუმცა გაცილებით მეტი პარალელის გავლება სწორედ მარინეტის მანიფესტთან, შეიძლება. იაშვილთანაც ერთად შეკრებილი ძმები იღებენ განახლების გადაწყვეტილებას, ისინიც უპირისპირდებიან „უსხივო“ ბრძოს, „არულით“ განდევნიან „საცო-დაც საჭურისებს და ხმა დაკარგულ მომღერლებს“ (იაშვილი 1916: 5), პ. იაშვილიც მიიჩნევს, რომ ცისფერყანელებმა თავიანთი ენერგიით, სიმამაცით და ამბოხითა და უშიშრობით უძრაობისა და მიძინების მდგომრეობიდან უნდა გამოიყვანონ თანამედროვე ხელოვნება (მარინეტი 1909). მარინეტის მსგავსად პაოლო იაშვილის მოუწოდებს ყველას, შეითვისონ „უარყოფის სიღამაზე, გმირული სიჩქარე, [...] დამსხვრევის იდუმალება, [...] ცეცხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა გაადიდა“ (იაშვილი 1916: 5).

„პირველთქმა“ თავისი სულისკვეთებით, მოწოდებებით, ლექსიკით მართლაც ავლენს კავშირს უშუალოდ სინქრონულ კულტურულ კონტექსტთან, ავანგარდიზმთან,* თუმცა ნიშანდობლივია, რომ ეს კავშირი აღარ გამოვლენილა არც უშუალოდ პაოლო იაშვილის, არც ჯგუფის პოეტურ, პროზაულ თუ ესეებისტურ შემოქმედებაში. მათ გამოცემების ფურცლებზე აქა იქ ჩნდება ტექსტები, რომელთა

* ამავე სულისკვეთებით არის დაწერილი პაოლო იაშვილის „ყვითელ მტრებს“ — „პირველთქმის“ ერთგვარი გაგრძელება და პასუხი, რომლითაც ამჯერად „ცისფერი ყანების“ მეორე ნომერი იხსნება და რომლითაც პოეტი შურნალის პირველი ნომრის კრიტიკოსებს ეპასესხება (ჟ. „ცისფერი ყანები“, 1916, № 2. ქუთაისი, გვ. 3-4).

იდენტიფიცირება შესაძლებელია ავანგარდული ესთეტიკის ფარგლებში.* მართალია, ეს ტექსტები არ ეკუთვნით ჯგუფის ძირითად და ყველაზე აქტიურ წევრებს, მაგრამ მათი გამოჩენა ცისფერყან-ნელთა გამოცემებში თავისთავად ნიშანდობლივი ფაქტია. თუმცა თავად ცისფერყანნელები თავიანთ პოეტურ და თეორიულ ტექსტებში, დაჯგუფების აქტივობის მთელ პერიოდში, თანმიმდევრულად მუშაობები სწორედ სიმბოლიზმის კულტურულ-ესთეტიკურ კონტექსტში (ჭილაძა 1986).

ტიცინ ტაბიძის საპროგრამო წერილი „ცისფერი ყანნებით“ ცისფერყანნელთა კულტურულ-ესთეტიკური ინტერესებისა და ამოცანების გასაზრებლად, ისევე როგორც საკუთრივ სიმბოლიზმისა და ავანგარდიზმის შორის მათი არჩევანის არგუმენტების დასაწახად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ტექსტი იხსნება ურბანიზმის თემაზე საუბრით და იქვე, დასაწყისშივე, ავტორი ახსენებს ფუტურისტებს. „ახალი ფუტურისტების ტერმინოლოგიით თანამედროვე კულტურა წარმოადგენს უზარმაზარ ქალაქს...“ (ტაბიძე 1916: 24): მართალია, პოეტები, რომელთაც ტიციან ტაბიძე ურბანიზმთან კავშირში ასახელებს, სწორედ სიმბოლისტები არიან (ვერ-ჰარნი, ვერლენი, მალარმე, ბლოკი), მაგრამ ფუტურიზმის ის გვერდს არ უვლის. ნათელია, რომ ტიციან ტაბიძეს ამ შემთხვევაში ორი მომენტის ხაზგასმა სურს: ფუტურიზმი როგორც უახლესი მიმდინარეობა — მისი პრობლემატიკა, მსოფლხედვა, ესთეტიკა — სათავეს სწორედ სიმბოლიზმიდან იღებს, ის ხელახლა, უფრო რადიკალიზებული ფორმით ამუშავებს იმ თემებს, რაც სიმბოლიზმმა შემოიტანა ევროპულ ლიტერატურაში; ცისფერყანნელები იცნობენ ავანგარდიზმის/ფუტურიზმის უახლეს ტენდენციებს, თუმცა ამჯობინებენ მათი პირველადი, ავთენტური სახეს ეძიონ სიმბოლიზმში. ეს ორი პრინციპი კიდევ არაერთხელ არის ხაზგასმული ტიციან ტაბიძის წერილში და თანმიმდევრულად არის დაცული ჯგუფის საქმიანობაში.

წერილის პირველი ნაწილი, რომელიც „ცისფერი ყანნების“ პირველ ნომერში დაიბეჭდა, ტიციან ტაბიძე სიმბოლიზმის თეორიული საფუძვლების და საქართველოში სიმბოლიზმის შემოტანის საჭიროების შესახებ საუბრობს. ავანგარდიზმთან / ფუტურიზმთან

* მაგალითად, არისტოკრატული კავშირის ლექსს „ჰაეროპლანზე“ (ჟ. „ცისფერი ყანნები“, 1916, № 2, გვ. 18-20) მკვეთრად გამოხატული კავშირი აქვს ავანგარდისტულ, სუეტორივ ფუტურისტულ კონტექსტთან — როგორც თემატიკის, ასევე ენობრივი ქსოვილის მნიშვნელობისათვის. ტექსტი ვერლიბრია, მათივრი რიტმულობით და დინამიზმით ხასიათდება. სისწრავის, თავისუფლების, კოსმიურ რობოტაზე გაჭრის, მანქური ძალის განვითარების მოტივებით ლექსი ფუტურიზმის მსოფლმხედვასთან სრულ თანმხმობაშია: „საჭედახრილი, აფრააშლილი, /მიჰერის მანქანა უწყებელი რკალით. / ანცი ლიცლიცით, ნაბჟღალივით კრთიან პლანეტში ჩევნ ფერხთა ქვეშე...“ (იქვე გვ. 20).

კავშირს ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობა, თუმცა უურნალის მეორე ნომერში, წერილის მეორე ნაწილში ტი-ციან ტაბიძე სწორედ სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის ურთიერთ-მიმართებაზე იწყებს მსჯელობს, რაც იმის მანიშნებელიც არის, რომ უურნალის პირველი ნომრის შემდეგ ამ მიმართებასთან დაკავ-შირებით კითხვები გაჩნდა. „სიბრიყვემ მოკიდა ხელი და გაუშვა ჩვენ წინააღმდეგ ფრთიანი სიტყვა „ფუტურისტობა“, ამ სიტყვას კი ისე ჰქონდა გაძრაული სახელი, რომ იქცა იმ ქვად, რომელიც ლამობდა ჩვენ წაქცევას“ (ტაბიძე 1916: 20) — ტიციანის ამ სიტყ-ვებიდან ჩანს ერთი შეხდვით მოულოდნელი ფაქტი, რომ ქუთაისის სოციალურ სივრცეში „ფუტურისტი“ საღანძღავ სიტყვად უკვე იყო დამკვიდრებული, რაც რუსული სოციოკულტურული სივრცის გავლენით უნდა მომხდარიყო, რადგან საქართველოში ამ დროისა-თვის ქართველი ფუტურისტები არ მოღვაწეობდნენ და ჯერ არც რუსეთიდან ემიგრირებულ ავანგარდისტებს იცნობდნენ. ამის სა-პასუხოდ, ტიციან ტაბიძე საჭიროდ თვლის განმარტოს „ცისფერი ყანწების“ პოზიცია ამ ორი მიმდინარეობის თაობაზე: ის ნათლად ამბობს, რომ ის, რაც სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის ერთამნეთი-საგან აშორებს, არის დროში სხვაობა,* ხოლო ის, რაც აახლოებს, არის ფუტურიზმი სიმბოლიზმის პრინციპების მემკვიდრეობითო-ბა — იმ ფონზე, რომ ფუტურიზმი არ აღიარებს ამ მემკვიდრეობას, თუმცა ესთეტიკური აგრესიულობით ახდენს სიმბოლიზმის მიერ მოტანილი ახალი მსოფლმხედველობრივი და გამომსახველობითი პრინციპების გამოყენებას. ტიციან ტაბიძისა აზრით კი ეს მემკვიდ-რეობითობა სრულიად აშკარაა, „ევროპის ფუტურიზმი განაგრძობს მალარმეს. იქნება ეს გაღრმავება სიმვოლიზმის თუ დაწყება ფუ-ტურზმის სულ ერთია, აქ კომენტატორი ლირს ნოვატორად. ერთი კი ყოველთვის უთუოა: ფუტურიზმი ვერასოდეს ეტყვის უარს იმ კულ-ტურულ და ესტეტიურ მიღწევათ, რითაც გაამდიდრა სიმვოლიზმა აზროვნება“ (ტაბიძე 1916: 20).

ტიციან ტაბიძის ეს არგუმენტი ნათელს ხდის „ცისფერი ყანწე-ბის“ პოზიციას, რომლის თანახმადაც საქართველოში ლიტერატუ-რის მოდერნიზაციის პროცესს სწორედ სიმბოლიზმით იწყებენ. ავთენტურ პოეტურ მიღწევებს უშუალოდ სიმბოლისტებთან ხე-დავენ („რა ანქრონიზმი ჰქონის იმიდან, რომ რომ ვერლენის, ბოდ-

* სიმბოლიზმის ათვლის წერტილიდან, 1857 წელს შარლ ბოდლერის „პორტე-ბის ყანწების“ გამოსვლიდან ფილოპო ტომაზი მარინეტის მიერ ფუტურიზმის პრეველი მანიფესტის გამოქვეყნებამდე, 1909 წლამდე ნახევარი საუკუნეა გასული, თუმცა ეს დრო მცირდება იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთში სიმბოლიზმის როგორც მიმდინარეობის რეალური კულტურული პიკი 1870-1880-იან წლებში მოდის.

ლერის და სტეფან მალარმეს სახელებს კიდევ სჭირია დაცვა!... [საქართველოში] (ტაბიძე 1916: 20). ტიციან ტაბიძე იტალიურ ფუტურიზმს აღიარებს როგორც ესთეტიკურ ინვაციას („ის იმდენად ელასტიურია, რომ არ დაგაეჭვებთ ახალ ღირებულებათა შექმნაში“), თუმცა რუსული ფუტურიზმის მიმართ ის ამ წერილში მკაცრია და თვლის, რომ „ისინი მოკლებული არიან ორიგინალობას“ (ტაბიძე 1916: 20).

ამ ფოზზე, ცისფერყანწელთა შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი პოზიციის ფორმირებისას მთავარ ავტორიტეტებად, პირველ რიგში, ბოდლერი, რებო, მალარმე და ვერლენი ჩანან; და, ასევე, სხვა ფრანგი და რუსი სიმბოლისტები: ლაფორგი, ლოტრეამობი, ბლოკი, ბალმონტი, ბელი, სოლომუბი და სხვა. მათი სახელების და ტექსტების მოხსენიებით, მათდამი ლექსების და ესეების მიძღვნით, მათი ტექსტების თარგმნით ცისფერყანწელები ქმნიან ხაზგასმულ, კარგად გამოკვეთილ კულტურულ კავშირებს, ცხადად განსაზღვრავენ საკუთარი შემოქმედების კულტურულ არეალს, ლოკალური კონტექსტიდან საკუთარი დაჯგუფება და, რეალურად, ქართული ლიტერატურა გადააქვთ ერთიან ევროპულ, მოდერნისტულ კულტურულ კონტექსტში. ამ ამოცანას ისინი ახორციელებენ სწორედ სიმბოლიზმთან, ანუ მაღალ მოდერნიზმთან და არა ავანგარდიზმთან კავშირში.

კიდევ ერთი ამოცანა, რომელიც ცისფერყანწელებმა, პირველივე ტექსტების თანახმად, დაისახეს და მალევე მართლაც განახორციელეს, იყო საქართველოს როგორც მოდერნიზმის კულტურული ცენტრის პოზიციონირება. ამით ცხადია, ისინი უარს აცხადებდნენ მიეღოთ საქართველოს, როგორც პერიფერიის (რუსულ იმპერიულ ცენტრთან მიმართებით) მოდელი, რაც ცხადია, საუკუნეზე მეტხანს კოლონიზებულ ქვეყანაში მოქმედი მოდელი იყო. პაოლო იაშვილის „პირველთქმაშივე“ გაისმის განაცხადი, „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი“ (იაშვილი 1916: 4), რაც ნიშნავს, რომ, იმპერიული მოდელის საწინააღმდეგოდ, კულტურულ ცენტრად არ აღიარებენ სანკტ-პეტერბურგს ან მოსკოვს, ასეთად აღიარებენ ევროპულ ცენტრს, პარიზს და ამით იცვლიან კულტურულ კონტექსტს და კოლონიალურ სტატუსს. თუმცა „უწმინდეს ქვეყანად“ სწორედ საქართველო ცხადდება — პოეზიის საკრალურ ადგილად. პაოლო იაშვილი აქ ქმნის საკუთარი ქვეყნის პოეტიზაციის, პეოტური ეზოთერიზმის ერთგვარ მაგალითს: რელიგიური ლექსიკით — ტაძარი, ლოცვა, აღსარება, ერთად შეკრებილი ძმები — აღნერს, რეალურად, პოეტთა ერთიანობას პოეტური შემოქმედებითი იმპულსის საფუძველზე. ნიშანდობლივია, რომ

ამ პასაჟში „პირველთქმა“ უახლოვდება უშუალოდ სიმბოლიზმის მსოფლმხედველობას და არა ავანგარდიზმისა.

1916 საქართველოს კულტურულ/პოეტურ ცენტრად გამოცხადების პროცესში „ცისფერი ყანწების“ მიზანდასახულება სიმბოლისტურ (და არა ავანგარდისტულ) მიმდინარეობას ეფუძნებოდა და მაღალი მოდერნიზმის კულტურულ კონტექსტში ჩართვას გულისხმობდა. ახალგაზრდა პოეტების ეს განცხადება იმ ნელს, ალბათ, პოეტური რადიკალიზმის შთაბეჭდილებას ახდენა, თუმცა ისე მოხდა, რომ ერთი მხრივ ისტორიული ცვლილებების, მეორე მხრივ კი თავად ცისფერყანწელების აქტივობის წყალობით სულ ორიოდ წელინადში მათ კულტურულ ამბიციებს რელიზება ეწერა. „თბილისი გახდა პოეტების ქალაქი“ (რობაქიძე 1988) — გრიგოლ რობაქიძის მიერ დაუმთავრებელ რომანში, „ფალესტირაში“ მოცემული ეს ფორმულირება მართლაც თითქოს ხორცმესხმაა „პირველთქმაში“ აღნერილი პაოლო იაშვილისეული ოცნებისა. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც „პირველთქმა“ წარმოადგენდა სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის ნაზავს და, ზოგადად, როგორ სინთეზურადაც აღიქვამდნენ ცისფერყანწელები სიმბოლიზმსა და ავანგარდიზმს, ასეთივე სინთეზური სიმბოლისტურ-ფუტურისტული გარემო შეიქმნა თბილისში და თბილისი მართლაც გახდა ახალი კულტურული ცენტრი — ერთი მხრივ, ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში დაძლია კულტურული პერიფერიის ყოფილი სტატუსი და შეიფარა ბოლშევიკურ რევოლუციას და სამოქალაქო ომის გამოქცეული რუსი ხელოვანები; მეორე მხრივ კი, ზოგადად დასავლური კულტურის კონტექსტში შექმნა უაღრესად საინტერესო პრეცედენტი აქტიური, მულტიკულტურული, მულტიეთნიკური მოდერნისტულ-ავანგარდისტული კულტურული სიტუაციისა.

კულტურული ატმოსფერო, რომელიც ყოფილი რუსეთი იმპერიის კულტურული ცენტრებიდან — სანკტ-პეტერბურგიდან და მოსკოვიდან დევნილ ხელოვანებს ხვდებოდათ საქართველოში, მთავარი ფაქტორი იყო იმისა, რომ აქ ისინი პოულობდნენ არა მხოლოდ თაშესაფარს, არამედ ნიადაგს ავაგრადისტული შემოქმედებითი საქმიანობისთვის*. ამ კულტურულ ატმოსფეროს კი, პირველ რიგში,

* რუსული ფუტურიზმის/ავანგარდიზმის ისტორიაში თბილისური პერიოდი მკვლევართა მეტ აღიარებულია განსაკუთრებით საინტერესო და ნაყოფერი ეტაპად. იხ: Janacek, Gerald: "Zaum in Tiflis, 1917-1921." G. Janecek: Zaum: The Transnational Poetry of Russian Futurism. San Diego/CA: San Diego University Press, 1996. 223-289; Markov, Vladimir: Russian Futurism: A History. Berkeley and Los Angeles/CA: University of California Press, 1968; Ram, Harsha: "Modernism on the Periphery: Literary Life in Postrevolutionary Tbilisi." Kritika: Explorations in Russian and Eurasian History 5:2 (Spring 2004): 367-382. Никольская, Татьяна. Авангард и окрестности. Санкт-Петербург. ИД Ивана Лимбаха, 2002; --: «Фантастический город»: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917—1921. — М.: Пятая страна, 2000.

ქმნიდნენ სწორედ ცისფერყანწელები, რომლებიც არა მხოლოდ მეგ-ობრულ დახმარებას უნდღნენ ჩამოსულებს, არამედ საჯარო ლი-ტერატურულ აქტივობებში (რომლებიც კაფეებსა* თუ სხვადასხვა დარბაზებში** იმართებოდა) და საგამომცემლო პროექტებში*** ებ-მებოდნენ მათთან ერთად და ერთობლივად იქმნებოდა თბილისის მულტიკულტურული ავანგარდის კულტურული სიტუაცია.

ამ შემთხვევაში ცისფერყანწელების ავგარდიზმთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ავანგარდისტული პოეზიის საღამოებსა და გამოცემებში ისინი მონანილეობენ სიმბოლისტური ესთეტიკით შექმნილი ტექსტებით და ქმნიან დიალოგურ კულტურას არა მხოლო ენობრივი და ნაციონალური თვალსაზრისით (ნარმოადგენენ ახალ ქართულ პოეზიას რუსული პოეტური დაჯგუფების აქტივობის სივრცეში) არამედ, ასევე, ქმნიან სიმბოლისტურ და ავანგარდისტულ ესთეტიკათა დიალოგის პრეცედენტ-საც მაშინ, როცა სხვა კულტურულ ცენტრებში, ჩვეულებრივ, ამ მიმდინარეობათა შორის ესთეტიკური ანტაგონიზმი იჩენს თავს. მაგალითად, სოფია მელნიკოვასადმი მიძღვნილი კრებული თვალსაჩინოდ აჩვენებს დიალოგის შესაძლებლობას: ერთი მხრივ, ეს

* „ამგვარმა ერთობლივმა ლიტერატურულმა აქტივობებმა თბილისში მოდერნისტული კაფეების განსაკუთრებული სავრცელები განვითარა („ქმიერიონ“, „ფანტასტიკური დუქანი“ და სხვა) რითაც თბილისში ვეროპული მოდერნისტული კულტურული ცენტრების ცხოვრების სტილის გაზიარება დაიწყო“. Tabatadze, Tea: “For the Definition of Certain Features of Modernist Artistic Cafes: On Ideological Conceptual Language of ‘Qimerioni’ Paintings.” Peter Skinner, Dimitri Tumanishvili, and Anna Shanshiashvili, eds.: Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. Proceedings of the Vakhtand Beridze First International Symposium of Georgian Culture, Tbilisi, June 21-29, 2008. Tbilisi: Georgian Arts and Culture Center, 2009. 302-309. თბილისის კაფეების ატმოსფერო აღნერილი აქტების გრიგოლ რობაქიძეს დაუმთავრებელ რომანში „ფალესტრა“.

** თბილისში გამომავალი რუსული ავანგარდისტული ლიტერატურული ჟურნალების ქრონიკებში, სადაც შეხვდებით ცხონებებს რუსი ვანგარდისტებს ლიტერატურულ საღამოებზე, მათში ცისფერყანწელების მონანილეობაც საზღასმულია. მაგ. ტატიანა ვერიორეა მიმოიხილავს 1918 წლის 23 ოქტომბერს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში გამართულ რუსული ავანგარდისტული ჯგუფის, პოეტების ცენტრობრუნველის „საღამოს“, რომელზეც ქართულ პოეზიას ნარმოადგენდნენ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცისფერყანწელები, საკუთრივ: ტიციან ტაბიძე და ლელი ჯაფარიძე: ქართული კურანტი.

*** მაგ. თბილისში სერვე ვოროდეცკას რედაქტორობის გამომავალი რუსულენოვანი ჟურნალის, „Ars“ პირველ ნომერში გრიგოლ რობაქიძის სტატია „ქართული მოდერნიზმი ქვეყნდება“, მეორე ნომერში — ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის ლექსები, მესემბრი — ვ. გაფრინდაშვილის, პ. იაშვილის, გრ. რობაქიძის, ტ. ტაბიძის ლექსები, გრ. რობაქიძის ესეები: „Ars“, ექიმეაზა ისტორია და ლიტერატურა . . 1918, №1; 1919, №1, № 2 განსაკუთრების საინტერესოა მულტიკულტურული ავანგარდისტული კრებული, სადაც კ. კრუზინიხის, ყარა-დარგაშვილის, ი. ზდანეგვარის და სხვათა ავანგარდისტულ ლექსებით, ს. ვალიძევსკის, ი. ზდანეგვარის, კ. ზდანეგვარის, ლ. გუდიაშვილის, ვანგაგარდისტულ გრაფიკულ ნამუშევრებთან ერთად გრ. რობაქიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის ლექსები ქვეყნება. Софии Георгиевне Мельниковой. Фантастический Кабачек. Тифлис, 1917, 1918, 1919.

არის ეთნიკური (კრებულში რუსი, ქართველი, პოლონელი, სომეხი ავტორებია შესული) და ლინგვისტური დიალოგი (კრებული სამენოვანია, რუსი პოეტების ლექსები რუსულად, ყარა-დარვიშის ლექსი სომხურად, ხოლო ცისფრეყანელების ლექსები ქართულად არის შეტანილი), მეორე მხრივ კი — ესთეტიკური: ავანგარდისტების მკვეთრად გამოხატულ გრაფიკულ, ლინგვისტურ და ვიზუალურ ექსპერიმენტაციას, ჯგუფ „41“-ის ფუტურისტულ-დადაისტურ ტექსტებს ენაცვლება ცისფრეყანელების ლექსები: გრიგოლ რობაქიძის „სპლინი“, ტიციან ტაბიძის „ეფემერი მასკარადი. ფატმანი“, პაოლო იაშვილის „ასო ლასი როილაზე“ (შელინკოვა 1917: 123, 127, 173) — ლექსები, რომელთა კუთვნილება სიმბოლისტურ კონტექსტან აშკარაა. გრ. რობაქიძის „სპლინი“ ბოდლერის „ბოროტების ყვავილებთან“ ამყარებს თემატურ და მსოფლმებდველობრივ კავშირს; ტ. ტაბიძე სიმბოლიზმის ხაზგასმულ თემებზე — ეროტიზმზე, ვნებაზე, ოცნებაზე აკეთებს აქცენტს; ხოლო პ. იაშვილი ამავე თემებს მაღარმესეული ლექსის მუსიკალობის და ფონეტიზმის პრინციპით გამოხატავს. სიმბოლიზმისადმი ესთეტიკური კუთვნილების ხაზგასმით და, მეორე მხრივ, ავანგარდისტულ აქტივობებში მონაწილეობით ცისფრეყანელები თავიანთი კულტურულ და მოქალაქეობრივ პოზიციას თანმიმდევრულად გამოხატავენ. საყურადღებოა, რომ იმ წლებში ავანგარდიზმი როგორც სტილი არ იჭრება მათი დაჯგუფების ერთიან პოეტურ-თეორიულ პრაქტიკაში (ტ. ტაბიძე დადაიზმისადმი ინტერესს რამდენიმე წელიწადში, შეცვლილ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში გამოხატავს); ნიშანდობლივია ისიც, რომ მაშინ როცა ცისფრეყანელები საკუთარ ტექსტებსა და ესსებში ერთმანეთის შემოქმედებისა და პოეტური ფიგურებისადმი რეფერირებას დიდ ყურადღებას უთმობენ, უძლვნან ერთმანეთს ლექსებს, ესსებს და იცავენ ჯგუფის როგორ თანამოაზრების ერთიან პოზიციას, მათ არ შემოჰყავთ პოეტურ და ანალიტიკურ ტექსტებში თბილისში მოღვაწე ავანგარდისტები — თუ არ ჩავთვლით გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრას“, მათ ტექსტებში თითქმის არ აისახება მათთან თანამშრომლობის პრეცედენტები და არც თბილისის მულტიეთნიკური ავანგარდის ანალიზი არ გამოიკვეთება.

თბილისის მულტიკულტურული ავანგარდის აქტივირი და მრავალფეროვანიპერიოდიმხოლოდრამდენიმენტელინადს გაგრძელდა, მისი არსებობა ნათლად გვიჩვენებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ხელმშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს კულტურული გარემოსთვის პოლიტიკური გარემოს თავისუფლება. თბილისური მოდერნი/ავანგარდი დაინყო საქართველოს თავისუფალი განვითარების პერსეპქტივის გაჩენასთან ერთად და შენყდა საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის შეწყვეტასთან ერთად. 1921 წელს, გასაბჭოებისთანავე, საქართველო კულტურულად და პოლიტიკურად დახშულ გარემოდ იქცა. ქვეყნიდან გაემგზავრნენ უცხოელები, ხოლო ქართული ლიტერატურის და, ზოგადად, კულტურის წინაშე ახალი ამოცანები დადგა. კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ ლიტერატურაში, მხატვრობაში, თეატრსა და, ასევე, კინოში ნარჩუნდება მოდერნისტულ-ავანგარდისტული ტენდენცია, გრძელდება მოდერნისტული ტექსტების შექმნა, თუმცა ეს ტენდენცია აღარ არის მიმართული დასავლური კონტექსტისაკენ — არც კულტურული კონტაქტების და არც ესთეტიკურ-თემატიკური პარალელების თვალსაზრისით. ამ წლებში, კომუნიკაციის თვალსაზრისით, ქართული მოდერნიზი დასავლეთისაგან კულტურულ იზოლაციაში მოექცა; გრძელდება ცისფერყანწელების პიროვნული კონტაქტები რუს მოდერნისტებთან (ს. ესენინი, ბ. პასტერნაკი), თუმცა ეს კონტაქტები ამჯერად სუბიექტურ სივრცეში ჰუმანისტური და ესთეტიკური ღირებულებების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული და არა კულტურული გარემოს მოდერნიზაციაზე.

1923 წელს იქმნება ქართული ფუტურისტული დაჯგუფებაც, „H2SO4“, რომლის შექმნაც კულტურულად განპირობებულია ევროპული მაღალი მოდერნიზმის შემდეგ ავანგარდიზმის განვითარების ზოგადი ლოგიკით, საქართველოში რუსული ავანგარდისტული აქტივობების გავლენით, იმ ფაქტით, რომ რუსულ ცენტრშივე ჯერ არის აკრძალული ავანგარდიზმი და რუსული ავანგარდული დაჯგუფებები იზიარებენ ბოლშევიკური რევოლუციის პათოსს. მაგრამ, ყველა ამ ფაქტორთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოში ფუტურისტული დაჯგუფების წინამორბედი სიმბოლისტური დაჯგუფების, „ცისფერი ყანწების“ არსებობა. სწორედ ამ წინამორბედის ქართულ კულტურულ არეალში ამ მიმდინარეობათა მონაცემების მიერკებს მაღალი მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის ერთსა და იმავე კულტურულ გარემოში გამოვლენის ტედნენციას — შემთხვევითი არ არის, რომ იტალიური ფუტურიზმიც პარიზში გამოდის ასზპარეზზე, რომ რუსეთშიც ძლიერმა ფუტურისტულმა ჯგუფებმა სწორედ რუსული სიმბოლიზმი ჩაანაცვლა. ფუტურიზმისთვის სიმბოლიზმი არის უარყოფის წერტილი და, ამავე დროს, ეს არის ათვლის წერტილით. ფუტურიზმი რადიკალური ფორმით აგრძელებს სიმბოლიზმის მიერ პოეზიაში შემოტანილი მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური პრობლემების რეპრეზენტაციას, თუმცა ასევე რადიკალურად უარყოფს რაიმე სახის მემკვიდრეობითობას.

სწორედ ასე მოხდა საქართველოშიც: ჯგუფი „H₂SO₄“ ამავე სახელნოდების პირველი პერიოდული გამოცემის ფურცლებიდანვე ყველაზე აგრესიულად უპირისპირდება სწორედ სიმბოლიზმს როგორც მიმდინარეობას, „ცისფერ ყანნებს“ როგორც გაერთიანებას და ცისფერყანნელებს როგორც კულტურულ ფიგურებს.

თუმცა სულ რამდენიმე წელიწადში, 1920-იანი წლების ბოლოსთვის, განსაკუთრებით მკვეთრად კი 1930-იანი წლების დასაწყისიდან რუსულ ცენტრში და, შესაბამისად, საქართველოშიც, ახალი კულტურული სიტუაცია დამკვიდრდება. მსოფლიო კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტოტალიზმებული, იდეოლოგიზმებული, ცენტრალიზმებული კულტურული პოლიტიკის გატარებით საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ შეზღუდა, მერე კი საბოლოოდ აკრძალა მოდერნისტულ/ავანგარდისტული დაჯგუფებების არსებობა და შესაბამისი ესთეტიკის გამოვლენა ხელოვნებაში. შეცვლილ სიტუაციაში ქართველმა სიმბოლისტებმაც და ფუტურისტული ჯგუფის წევრებმაც, ცალკეული კომპრომისული ტექსტების ფასადის მიღმა, ახალი ამოცანები რეალისტურ ესთეტიკაზე დაყრდნობით ქართული პატრიოტული თემატიკის გაძლიერებას დაუკავშირეს.

დამოცვებანი:

- არსი 1918:** Ars. Ежемесячник искусства и литературы. 1918, № 1; 1919, № 1, № 2.
- იაშვილი 1916:** იაშვილი პ. „პირველთქმა“. ცისფერი ყანნები, 1, (1916): 3-5.
- იაშვილი 1916:** იაშვილი პ. „უვითელ მტრებს“. ცისფერი ყანნები, 2, (1916): 3..
- კურანტი 1918:** Куранты. Ежемесячник литературы и искусства. № 1. Декабрь, 1918.
- მაგაროტ 1982:** Magarotto L. "Storia e teoria dell'avanguardia georgiana (1915-1924)." Luigi Magarotto, Marzio Marzaduri, and Giovanna Pagani, Cesa, eds.: L'avanguardia a Tiflis: Studi, ricerche, cronache, testimonianze, documenti. Venezia: Università degli Studi di Venezia, 1982. 45-99.
- მარინეტი 1909:** Marinetti. Filippo Tommaso. "The Futurist Manifesto". <http://www.391.org/manifestos/19090220marinetti.htm>
- მორეასი 1886:** Moréas J. "Symbolist Manifesto". <http://www.mutablesound.com/home/?p=2165>
- მარკოვი 1968:** Markov V. Russian Futurism: A History. Berkeley and Los Angeles/CA: University of California Press, 1968.
- მელნიკოვა 1917:** Софии Георгиевне Мельниковой. Фантастический Кабачек. Тифлис, 1917, 1918, 1919.
- მოდერნიზმი 1978:** Modernism: A Guide to European Literature 1890-1930. Eds. Malcolm Bradbury, James McFarlane, Penguin Books, London: 1978.

- ნიკოლაევა 2000:** Никольская Т. «Фантастический город»: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917-1921. М.: Пятая страна, 2000.
- ნიკოლაევა 2002:** Никольская Т. Авангард и окрестности. Санкт-Петербург: ИД Ивана Лимбаха, 2002.
- რამი 2004:** Ram H. *Modernism on the Periphery: Literary Life in Postrevolutionary Tbilisi*. Kritika: Explorations in Russian and Eurasian History. 5:2 (Spring 2004): 367-382.
- რობაქიძე 1988:** რობაქიძე გრ. „გველის პერანგი, ფალესტრა“ . თბ.: „მერანი“, 1988.
- სიგუა 2013:** სიგუა ს. "H₂SO₄"-დან „მემარცხენეობამდე“. // კულტუროლოგიის საფუძვლები. III. თბ.: „მწერლის გაზეთი“, 2013.
- ტაბათაძე 2009:** Tabatadze T: For the Definition of Certain Features of Modernist Artistic Cafes: On Ideological Conceptual Language of ‘Qimerioni’ Paintings.” // Peter Skinner, Dimitri Tumanishvili, and Anna Shanshiashvili, eds.: *Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. Proceedings of the Vakhtand Beridze First International Symposium of Georgian Culture*. Tbilisi, June 21-29, 2008. Tbilisi: Georgian Arts and Culture Center, 2009. 302-309.
- ტაბიძე 1916:** ტაბიძე ტ. „ცისფერი ყანწებით“. ცისფერი ყანწები, № 1 (1916): 21-26; № 2 (1916): 20-26.
- ჭილაძა 1986:** ჭილაძა ს. ოცნეული (1921-1941) ნლები და პრობლემები. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986.
- ჭუმბაძე 1916:** ჭუმბაძე ა. „პაეროპლანზე“. ცისფერი ყანწები, № 2 (1916), 18-20.
- ჯანასევი 1996:** Janacek G. *Zaum in Tiflis, 1917-1921*. G. Janacek: Zaum: The Transnational Poetry of Russian Futurism. San Diego/CA: San Diego University Press, 1996.

თამარელა წონორია

სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმული ნიკოლო მიწიშვილი

„ყველაზე სავალდებულო პოეტისათვის შეიძლება ბიოგრაფია იყოს, რომელიც არასდროს დაიწერება და არითქმება. ყოველშემთხვევაში, გაკეთება ბიოგრაფიისა ისეთივე ძნელია, როგორც აშენება პირამიდის. პოეზია იწყება იქ, სადაც პოეტი სძლევს ბიოგრაფიას და ბიოგრაფია ამის შემდეგ ხდება ისეთივე წარბმაღალი, როგორც პოეზია... რა დამრჩება მე, პოეზია თუ ბიოგრაფია. დარჩება ორივე, თუ არც ერთი არ იქნება გამართლებული?“ — წერდა ნიკოლო მიწიშვილი ერთ-ერთ წერილში. დრომ უპასუხა პოეტის იჭვნეულ შეკითხვას — დარჩა ორივე, პოეზიაც და ბიოგრაფიაც. ბიოგრაფია — სავსე პოეზიით და პოეზია — პოეტის ჭეშმარიტი ბიოგრაფია. ისინი ავსებენ და ამთლიანებენ ერთმანეთს. ნიკოლო მიწიშვილი ტრაგიული ბიოგრაფიითა და შემოქმედებითი მრავალმხრივობით გამორჩეულია: პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, რომლის შესახებ მიხეილ ჯავახიშვილი ერთგან წერდა: „საიდან აქვს ამ ტანმორჩილ კაცს ამდენი ენერგია, გამოცდილება და ცოდნა, ჩემთვის დღესაც გამოუცნობია.“

ნიკოლო მიწიშვილი (ნიკოლოზ სირბილაძე) დაიბადა 1896 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ჯვარისაში (ტყიბულის რაიონი), ანასტასია და იოსებ სირბილაძების ოჯახში. მისი გვარი, როგორც თვითონ წერს, „იყო მჭედელი შვიდასი წლის მანძილზე, ვიდრე დღემდე. ამ საუკუნეთა ძირში ზურგს მიმაგრებდნენ ჩემი წინაპრები შუამდინარეთიდან. ჩვენს გვარს მოსდგამს ძველთაგან დამწვარი, გადამდნარი სპილენძის სახე. ჩვენ გვესმოდა ამღერება ცეცხლისა“, — წერდა იგი. ნიკოლო მიწიშვილი სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ყმაზვილი იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. მის სულიერ და ფიზიკურ განვითარებას დიდად უწყობს ხელს ყაუხჩიშვილების უაღრესად ინტელიგენტური და განათლებული ოჯახი, რომლებთანაც დაბინავდა ქუთაისში სასწავლებლად ჩამოსული მოზარდი. იგი მაღელიტერატურული ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა და წარმატებასაც მიაღწია. 16 წლის ჭაბუკი აქვეყნებს ლექსებსა და მიწიატურებს, 21 წლისა კი რედაქტორობს ქუთაისში გამომავალ გაზეთებს. 1918 წელს ნიკოლო მიწიშვილი უერთება „ცისფერყანწელთა“ პოეტურ ორდენს, სისტემატურად თანამშრომლობს ქართველ სიმბოლისტთა ბეჭდვით ორგანოებთან: „მეოცნებე ნიამორები, „პოეზიის დღე“, „ბახტრიონი“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“.

მიწა და ცეცხლი — ეს ორი სტიქია, განსაკუთრებულად იგრძნობა ნიკოლო მინიშვილის შემოქმედებაში. ჯერ კიდევ ადრეულ მინიატურებში გვიჩვენა მან მშობლიური მიწის ძალა და მაგიური გავლენა ადამიანზე. უცხოეთში ყოფნისას მშობლიურ გარემოს ხშირად იხსენებდა და გრძნობდა, რაოდენ ძლიერი ფესვებით იყო მასზე მიჯაჭვული: „დაუინებით მევლინება მამაჩემის გამინული სახე... და დღეს მხოლოდ ეს ძახილი სოფლიდან, ძახილი მიწის, მაღვიძებს მე... და თუ კიდევ ვსწერ, თუ საბედისწერო წისქვილი კიდევ ფქვავს ჩემი ფიქრების ყავასავით შავ მარცვლებს — ამის მიზეზია ეს მოგონება და ეს ძახილი პარიზში იმერეთიდან“, — დაუნერია 1923 წელს. უცხოეთში გამგზავრების წინა დღეს კი ასეთ რამეს ჩანერს პოეტი: „და ალბათ ამიტომ წამდლია გრძნობამ, რომ ეზოს ბოლოში, ჩუმად ავუსვი ხელი ვენახის ძირში ერთ მუჭა მინას, ჩუმად შევახვიე ცხვირსახოცში და ჩავიდე ჯიბები. ხშირად ვფიქრობდი შემდეგ: „ეს მიწა მშვიდობით მიმაბრუნებს მე თავის დედასთან-თქო.“ შემთხვევით არც ის იყო, რომ მან თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად „მიწიშვილი“ აირჩია.

ნიკოლო მიწიშვილის პირველ ლექსები გამოქვეყნდა 1915 წელს უურნალში „თეატრი და ცხოვრება.“ აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისში სასწავლებლად ჩასული ყმანვილის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები დაემთხვა ქართული სიმბოლისტური ჯგუფის „ცისფერყანწელების“ ჩამოყალიბების პერიოდს. 1916 წელს, უურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლის შემდეგ, ეს ჯგუფი „ცისფერყანწელების“ სახლით გათორმდა. ქართული სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, მაშინ ჩამოყალიბდა, როცა იგი ევროპასა და რუსეთშიც კრიზისს განიცდიდა და გავლილი ეტაპი იყო. მსთვის დამახასიათებელი იყო სწრაფვა ფორმის სრულყოფისაკენ; სიმბოლისტები თვლიდნენ, რომ სიტყვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ამიტო ისინი სიტყვას იყენებდნენ მრავალი განზომილებით: არღვევდნენ სინტაქსს, ხშირია ინვერსიული წყობა, წერტილები, წინ სწევდნენ მის მუსიკალურ მხარეს, ამ ფორმალისტურ ხერხებსა და ძიებებს სიმბოლისტები იყენებდნენ ნაწარმოების ემოციურობის გამოსავლენად. ქართველი სიმბოლისტები, დასავლეთ ევროპელებისაგან განსხვავებით, აქტიურ პოლიტიკურ და ცხოვრებისეულ პოზიციებზე იდგნენ.

„ცისფერი ყანწები“ როგორც შკოლა, თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად, — წერდა ტიციან ტაბიძე. ისინი იღაშქრებდნენ ეპიგონური პოეზიის ბრძა მიმბაძეველობის წინააღმდეგ; სურდათ ქართული ლექსი გაემართათ „მსოფლიო მასშტაბებით“, ჩამო-

ეშორებინათ „თექა პროვინციალური“ (ი. გრიშაშვილი). მოგვიანებით კოლაუნადი ნადირაძე წერდა: „აკაკი წერეთლის მიერ სავსებით ამონურული ლექსის აკაკისებური წყობა, გადაიქცა შტამპად, შაბლონად... აკაკის ეპიგონებმა დაუკარგეს ქართულ ლექსს სილამაზე და უღერადობა, გააუბრალოეს, დააყრუეს იგი. ქართული ლექსი გახდა გემოვნების დაცემისა და საოცარი ჩამორჩენილობის მაჩვენებელი... ცალკულ გამოჩენილ პოეტთა ხმა... იკარგებოდა ამ უგემოვნობის ზღვაში“.

ქართველი სიმბოლისტების პირველმა მანიფესტებმა და უურნალბა „ცისფერი ყანები“, წარმოუდგენებლი მღელვარება და მითება-მოთქმა გამოიწვია. ისინი ხელალებით უარყოფდნენ წარსულს. გაისმოდა მონოდება ბოჰემის კულტისაკენ, მოდური გახდა კლასიკური მემკვიდრეობისადმი ნიშილისტური დამოკიდებულება. ლიტერატურულ ტრადიციებზე ორიენტირებული საზოგადოებისათვის მოულოდნენ აღმოჩნდა ამგვარი დამოკიდებულება ტრადიციული კულტურისადმი, თავისუფალი სიყვარულის, სიმახინჯისა და ლოთობის ქადაგება. „ჩვენი ლიტერატურული დებიუტი... ეს იყო საქართველოს „ოთხი კუთხით“ ცეცხლის მოდება და ბანალური ლიტერატურის აუტოდაფე“, — აღნიშნავდა შალვა კარმელი.

ნიკოლო მინიშვილი 1920 წელს გაზით „ბარიკადის“ ფურცლებზე წერდა: „...ჩვენ, რომელნიც შევეჯახეთ ამ პოეზიას და ავაფეთქეთ უკან დასახევი ხიდები — ვდგევართ დღეს ჭეშმარიტი პოეზიის წითელ ბარრიკადაზე... რაც უნდა მოხდეს, როგორი შემოტევაც არ უნდა დაგვენახოს, ერთი რამ აშკარაა, ჩვენ არ დავმარცხდებით... ქართული ლიტერატურის ყბამაგარი თავი დღეს მესჩანობის მედალიონშია ჩამჯდარი. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ გვიყვარს საქართველო და ქართული პოეზიის იალბუზზე მიჯაჭვულნი, მაინც საქართველოში ვიწვით... ბარრიკადაზე ჩვენ, ბარრიკადს გადაღმა კი სხვა ყველანი. ასე დგას დღეს საკითხი ჩვენს პოეზიაში. ეს გვაახლოებს ჩვენ, ეს მოგვცემს ჩვენ მსოფლიო გამარჯვებას.“

რა თქმა უნდა, დრომაც დაამტკიცა, რომ ქართულ სიმბოლისტურ სკოლას, ადრეულ პერიოდში ჰქონდა სერიოზული შეცდომები. სიმბოლისტურმა პრინციპებმა მათი შემოქმედებიდან განდევნა იმდროინდელი ქართული ტკივილები, სიტყვის პრიმატის აღიარებამ ყანენელები მიიყვანა შინაარსის იგნორირებამდე, ლექსის დასაწერად ზოგჯერ საკმარისი ხდებოდა ერთი სიტყვა, უცხო ფრაზა, უცნობი სახელი, რომელსაც მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუმცა მათ მიაჩნდათ, რომ უმაღლესი ლიტერატურული პრინციპებისა და გემოვნების გამომხატველები იყვნენ.

ნიკოლო მიწიშვილის, როგორც აქტიური ყანწელის შემოქმედებაც, წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ისტორიისა თუ ევოლუციის გათვალისწინებით. მან საკმაოდ ძლიერად განიცადა სიმბოლისტური რეალობა, „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმული“ პოეტის შემოქმედებაში ამ სკოლისათვის ნიშანდობლივი განწყობილებებითითქმის ოცდაათიან წლებამდე გაგრძელდა. თვითონ ასე წერდა: „ამ გზაზე არ იყო არც დრო და არც ადგილი დასვენებისა და რაც ჩემთვის მთავარია, არ იყო სიყალბე და კომპრომისი. პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს“, — და სინამდვილეშიც ის არასდროს მოწყვეტია ტრადიციებსა და ეროვნულ ნიადაგს.

ნიკოლო მიწიშვილის ლექსების პირველი კრებული „წმინდანიანი“ 1922 წელს გამოქვეყნდა. მასში პოეტის 18 ლექსი იყო თავმოყრილი. თვით ავტორი, ორი წლის შემდეგ „წმინდანიანის“ შესახებ წერდა: „ეხლა, მივჩერებივარ ჩემს წიგნს... სისხლით რომ დავსტამბე სათაურო. მე მაშინებს ეს წიგნი ახლაც. აქ ყოველი სტრიქონი არის ლახვარი, დანასობი გულზე“. წიგნმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გალაკტიონ ტაბიძე მას ერთ-ერთი პირველი გამოხმაურა. მართალია, მან მაღალი შეფასება არ მისცა კრებულს, მაგრამ მისი გამოცემა, როგორც სიმბოლისტების ერთ-ერთი პირველი წიგნისა, დადებითად მიიჩნია. „პოეტის პორტრეტის დანახვა შეიძლება მხოლოდ წიგნით... საერთოდ, „ყანწელებს“ არ სჩვევიათ წიგნების გამოცემა... ნიკოლო მიწიშვილის წიგნის გამოსვლას ამ მხრივ, უთუოდ ჰქონდა აზრი“ (1922 წელი. გაზ. „ლომისი“).

სიმბოლური იყო პოეტური კრებულის სათაური. ავტორის განმარტებით, „წმინდანიანი“ არის ლეგენდარული ფრინველი, რომელიც საუკუნეში ერთხელ მოევლინება ქვეყანას და ცეცხლს ჰყრის ანთებული ფრთხებით ჩამოწოლილ ბინდში“. მომდევნო წიგნში, „შავი ვარსკვლავი“, მან „წმინდანიანის“ განსხვავებული განმარტება მოგვცა: „წმინდანიანი“, წყეული ფრინველი, ეშმაკეული, სიმბოლო უბდურებისა. ნიკოლოზ ბარათაძვილი და ედგარ პო. ორი თემა „ყორანის“, რომელიც მეჩვენება მე წმინდანიანად. “ლეგენდარული ფრინველის სახელი ამ შემთხვევაში გაიგივებულია ბედისწერის სიმბოლოსთან. „შავი ყორანის“ ნაცვლად, „წმინდანიანი“ არჩია.

თვით „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაშიც კი ძნელი წარმოსადგენია უფრო კოშმარული სახეები, ისეთი აპოლოგია სიმასინჯისა, როგორც ამ ლექსებშია. „ავტოპორტრეტი კუბოში“, „ჩემი მწევრები“, „ბალლადა მოგონილი“, „სამგლოვიარო მარში“, „წმინდანიანი“, „ნითელი გველი“ პირველი კრებულის ლექსებია და აქ ერთმანეთს ენაცვლება „გათეთრებული ტვინის სკივრი“, „ყებები და კბილები რღვევისგან დაშლილი“, „გაცვეთილი ქალა“, „დამბალი

ტვინი“, „გარდახსნილი თავები“ ამ ლექსებში სიმბოლიზმისათვის გაღებულია ხარკი, უარყოფილია მშვენიერება და უპირატესყოფილია სიმახინჯის სირთულე და გემოვნება. „სიმახინჯე ქმნის ახალ სილამაზეს, სიმახინჯე გადაიქცა ახალი პოეზის მთავარ თემად“, — წერდა სანდრო ცირეკიძე, კიდევ ერთი ცისფერყანწელი

გამოიჩინიან რეალისტური განწყობილების ლექსები: „ერთადერთი სონეტი“, „წაგებული ბიოგრაფია“, „ჩიბის“, „ავი თვალი“, „მეტად უნუგმო პეიზაჟი“, რომლებიც იქცევენ ყურადღებას სინამდვილის აქცენტით და ბუნებრიობით, შინაგანი სითბოთი და ინტიმით. ლექსი „ჩემი ვინაობა“, თოთხმეტმარცვლიანია 5/4/5, abba რითმით. იგი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და კიდევ ერთხელ შეგვასხესნებს პოეტის გვარის უძველეს ტრადიციებს და ხსნის პიროვნული ტრაგედიის რეალისტურ მიზეზებს, რომ ვერ გააგრძელა „წელმაგარი გლეხების გვარი“ და „მამათა სისხლი გადალესა შხამიან ძმარში“. პოეტი არამარტო პიროვნულ ტრაგედიას, „ყანწელთა“ კრიზისსაც მშობლიურის მოწყვეტით ხსნის. „ამას ვუწოდე მე ჩვენი კრიზისი და არა თავის გასამართლებლად ვახსენე მე საქართველო“. ლექსში „გამოთხოვება“ ასეთი სტრიქონებია: „მე ბევრი მომაქვს უცნობი და გაუგებარი“. „უცხო და გაუგებარი“ სიტყვების შექმნა სიმბოლისტების ერთ-ერთი მთავარი დებულება იყო. „ცისფერყანწელთა“ მრავალპლასტიანი ლექსების სახე-სიმბოლოებს მან შეჰმატა „ხატი ძალთაპირი“, „წმინდანიანი“, „ურია აზეფი“, „გული — თუთიყუში“; გვხვდება აგრეთვე ჰამლეტი, ოფელია, ნოვალისი, ბეატრიჩე, ლაურა, ვალტასარი და სხვა პერსონაჟთა სახელები. ლექსი „გამოთხოვება“, თოთხმეტმარცვლიანია, abab რითმით. რიტმი თანაბარი და მწყობრია.

„მოკვდები ჩუმად ჩემს კუთხეში საწყალი მჯზავრი,
სულს გამიციებს ქალაქური თუჯის სახლები,
მე ნავალ ისე მოკრძალებით, უცნობი ჯაჭრით,
რომ სიბრალულით დამკუცნიან ქუჩის ძალები“.

საინტერესოა ლექსი „გული — თუთიყუში“, რომელიც პოეტმა გულის გაუცხოების, უაზრობისა და ხმაურის სიმბოლოდ დასახა. საკუთარ თავს ადარებს ფრინველს, რომელიც „მშობლიური წაბლნარის ბუ“ იყო, მაგრამ დრომ გააუცხოვა, გადააგვარა და მოწყვიტა რა მშობლიურ გარემოსა და ჩვეულ სიმშვიდეს, განმარტოებასა და აურზაურს აზიარა. რითმა (კუბოში-უბეში, ბედისწერა-ალმაცერა, ბიოგრაფია-ქაფია) ჯვარედინია — abab, საზომი ჰეტეროსილაბურია და პროსოდიაც არათანაბარია. არაერთგვაროვანია რიტმიკა, ინტონაცია და ლექსის გრაფიკაც.

მოხდა ასეთი სეირი,
ძარღვები დამიშხამეს და
ჭრელი თუთიყუში ჩამიდეს გულად!
მეც ხომ თოფნაკრავი ბუ ვარ ჩვენი წაბლნარისა
ეს არის ჩემი ბიოგრაფია.

სონეტის სალექსო ფორმით, რომელიც XX საუკუნის დასაწყის-ში დამკვიდრდა, გატაცებულნი იყვნენ „ცისწფერყანწელებიც“. ოციანი წლების ბოლოს გრიგოლ რობაქიძესა და იოსებ გრიშაშვილს შორის გაიმართა პოლემიკა სონეტის ირგვლივ. იგი შეეხებოდა გარითმის წესს, შიდა ფორმას და საზომს. ადრე ქართული ავტორები სონეტს ათმარცვლიანი საზომით 5/5 წერდნენ. გრიგოლ რობაქიძემ სონეტს მოარგო თოთხმეტმარცვლიანი საზომი, რაც შემდეგ დამკვიდრდა. თუმცა, „ამორძალ ლონდაში“ ეს ფორმა თვითონ დაარღვია და ზოგ სონეტს თვრამეტი-ცხრამეტი მარცვალი აქვს. ნიკოლო მინიშვილს ათმარცვლიანი საზომით აქვს დაწერილი სონეტი „შავი ვარსკვლავი“, რომელიც მიძღვნილია ნინო ტაბიძისადმი. მისი რითმა ასეთია abab (aabab) – abab – aa.

„ნმინდანიანი“ და „ძალთაპირი“ პოეტის მიერ შექმნილი ახალი სახეებია; „ნმინდანიანი“ ნგრევისა და უბედურების, ავი ბედისწერის სიმბოლოა, ლეგენდის ფრინველია. ხოლო — ხატი „ძალთაპირის“ შესახებ წერს, რომ მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში მას უნახავს ძალის სახე ხატად. ავტორი საკუთარ ბედსაც ამ ნიშნით მოიაზრებს: „მე მინდა გავხდე ძალთაპირი, მინდა საყდარში მეც დავიყეფო“. თუმცა იქვე ასკვნის, რომ „მკრეხელობაა ჯვარზე გაკრული ძალი“:

ვის გაუგია ძალი ჯვარცმული,
ან ძალის სახე — სახარებაში.
მე ჩემი თავიც ვერ დავირწმუნე
ასეთი სახის გადარებაში.

ლექსი ათმარცვლიანი საზომითა დაწერილი; რითმა ჯვარედინია abab. სათაური სიტყვა კუთხური მეტყველებისთვის დამასასიათებელი სასაუბრო ლექსიკიდანაა. პოეტის „ძალთაპირი“ ასოციაციურად უკავშირდება მიხეილ ბულგაკოვის ნოველა „ძალის გულის“ მთავარ პერსონაჟს.

ლექსს „ატორტმანებული სიზმარი“ იგივე მარტოობის განცდა, მისტიკიზმი, წარმავლობაზე ფიქრი მსჭვალავს. თუმცა მის ფინალში ავტორი ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირსა და სიახლოვეზე მიუთითებს. ლექსი 14-მარცვლიანია, მეოთხე სტრიქონი დატეხილია და მეხუთე სტრიქონს ქმნის 4/5 მარცვალი. იგივე არქიტექტონიკა მე-

ორდება მეოთხე ტაეპში და რითმიანი ტაეპის არსებობა გრაფიკულად უჩვეულო ხდება. რითმა ჯვარედინია — abab; არის სხვადასხვამარცვლიანი რითმები. ორმარცვლიანი: ისრებს-კისრებს; ოთხი მარცვალი ერითმება სამმარცვალს: მყუდროება-დროება; სამი-ხუთს: ცხოვრება-გამაცხოვრება.

და სიზმარეთში შელანდება ძველი ცხოვრება,
მომაგონდება — დავიბადე დიდი ხნის წინეთ,
მე განვიცადე გოლგოთა და გამაცხოვრება,
მკვდრეთით აღვსდექი, კელავაც მოვკვდი და ჩავიძინე.

ლექსი „მარად უნუგეშო პეიზაჟი“ 1920 წელს დაიწერა, მას თხრობითი კილო აქვს და ამ ფორმის ერთადერთი ნიმუშია კრებულში. თუმცა იგი საკმაოდ ხშირად გვხდება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში. ტიციან ტაბინის „ორპირის ოქროპირი“, „სეზონის ფალავანი“, „უშმური კვირა“, პაოლო იაშვილის „წერილი დედას“. „ცისფერყანწელები“ მას ლექსის მელოდიისა და ინტონაციის ასამაღლებლად იყენებენ.

საყდრის გალავანში წაიქცა ცაცხვები, ა
აღარც მოსავალია და აღარც სიხარული, ბ
მჭადიც არავის აქვს გამოსაცხობი, ა
ყველა გაღარიბდა, არული, არული, ბ
დაყრუებულია პატარა ეზოები.
ყანებში დაიბნა ქარისგან ზვინები.

ლექსის გრაფიკა ასეთია — 10/9/9/10, რადგან სხვადასხვა საზომითა შესრულებული, რამე კანონზომიერების დადგენა ჭირს.

ლირიკული სითბოთი გამოიჩინა „ჩიბისისამდი“ მიძღვნილი ლექსები. კოლაუნადირაძეიხსენებს, რომ ჩიბისი იყონიკოლომიწვილის მეტად გონიერი ძალი და მისი ტრაგიკული ბედი (მანქანამ გასრისა), ყანებულების ლექსის თემად იქცა. ჩიბისისადმია მიძღვნილი ვალერიან გაფრინდამვილის შესანიშნავი ლექსები „საფირონი და კორდელია“ და „ჩიბისი,“ რომლებშიც ავტორი ჩიბისს ადარებს „იდუმალებით სავსე“ ქალწულს და ჩივის მისი ტრაგიკული ბედის გამო („და ყანებულები გლოვობენ ჩიბისს“). თვითონ ნიკოლომ მიწიშვილიც ლექსებში „ჩიბის“ და „წაგებული ბიოგრაფია“, იგი ძალის თავისი ახალგაზრდული წლების ერთგულ მეგობრად თვლის („გამაჩნდა მარტო ძალი ჩიბისი და მახარებდა მასთან სირბილი“). პოეტი ერთმანეთს ადარებს თრევისაგან გამოქლიბული პოეტისა და გასრესილი ჩიბისის გულს:

ჩემს დაღუპვაზე მარტო შენ თუ ატირდებოდი,
ახლა არ ვიცი ჩემს სიკვდილზე ვინ ატირდება.

ლექსი 14 მარცვლიანია, ჯვარედინი რითმით abab. ჩიბისს მი-
მართავს როგორც ფიქრების თანაზიარს „ერთად ვიყავით ერთი
ფიქრის მცველი ძალლები“.

„ნმინდანიანში“ შეტანილია 1918-22 წლებში დაწერილი ლექსე-
ბი. თემატიკით რამდენადმე განსხვავებულია ლექსი „ერთადერთი
სონეტი;“ იგი თამარ ვაჩინაძისადმია მიძღვნილი, სავარაუდოდ, იგი
უცხოეთში ყოვნის დროს არის დაწერილი. ამის საბაბს ლექსის
თემატიკა იძლევა. ლექსი კლასიკური სონეტის ფორმითაა დაწერი-
ლი, რომლის დასასრულს ავტორი იგონებს და უხმობს სამშობლოს
და საყვარელ ქალს.

ალარ მოისმის საპასუხო ხმის გაგონება,
მაგრამ ინათებს ერთი სახე წასულ პოეტში,
ატირებაში, წამებაში და უცხოეთში.

კლასიკური სონეტის თოთხმეტი სტრიქონი დაყოფილია ორ
კატრენად და ორ ტერცეტად 4/4/3/3. გარითმვის სქემა ასეთია:
კატრენებში abba; abba ტერცეტებში კი — cdc; cdc. სულ ხუთი რით-
მა უნდა იყოს, ორი კატრენებში და სამი ტერცეტებში.

სამშობლოდან დაშორების მძიმე სევდა ძალიან მსჭვალავს
მეორე კრებულს „შავი ვარსკვლავი.“ „შავი ვარსკვლავის“ ლექსში
სონეტის 14 მარცვალი ასე ნაწილდება 4/4/4/2; ეს ტრადიციული ინ-
გლისური სონეტისთვის დამახასიათებელი წყობაა. გარდა სტრუქ-
ტურული კომპოზიციისა (გარე ფორმა), სონეტს შიდა ფორმაც
აქვს, რაც თემის ეტაპობრივ განვითარებას გულისხმობს. პირველ
კატრენში წარმოჩენილი ფორმა მეორე კატრენში კონკრეტდება;
ტერცეტებში გარდატეხა იწყება და თემის საბოლოო გადაწყვეტა
ხდება.

ინგლისური სონეტით არის დაწერილი უსათაურო სონეტი abba;
abba; abba; aa.

მე ავაშენე სიყვარულის უცხო ტაძარი,
მაგრამ ტაძარში არ ისევნებს წმინდა სამება,
იქ წიფლის ჯვარზე გარჩენილა ქრისტეს წამება
იქ სიცივეა და ტირილი გულშესაზარი.

ბიბლიურ ტექსტში არ არის საუბარი თუ რომელი ხისგან იყო
ჯვარი, მაგრამ სხვა თეორიების მიხედვით, ჯვარი იყო მუხისგან,
ან ფიჭვისგან და ან ზეთისხილისგან. ეკლის გვირგვინი კი ინახება

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, რომლის მულაჟიც იერუსალი-მის ჯვრის მონასტერში გვინახავს.

ნიკოლო მინიშვილის პოეზიის დახასიათებისას შალვა აფხაიძე წერდა; „მის პოეზიაში არის გულწრფელიბა და შინაგანი სიმარ-თლე... ლექსები გამართული და ძლიერია, როგორც კომპოზიციით, ისე დეკორატიული მორთულობით.“ 1926 წელს, „ნმინდანიანის“ მე-ორე გამოცემასთან დაკავშირებით ვინმე მელი წერდა „ქართულმა ლიტერატურამ არ იცის მეორე ასეთი მკვეთრი პესიმიზმით... ნა-ნარმოები, პოეტური, ტექნიკის საუცხოო ცოდნით.“

1922-25 წლებში ნიკოლო მინიშვილი საზღვარგარეთ იმყოფე-ბოდა. თუ ადრე უცხოეთში იწერებოდა უსაგნო — უიდეო და ღრმა სევდიანი ლექსები, უკვე გაჩნდა გამოკვეთილი რეალისტური ტენ-დენციები. 1922 წელს პოეტმა სტამბულში გამოსცა „შავი ვარსკვ-ლავი.“ ამის შესახებ ნიკოლო მინიშვილი „ეპოპეაში“ წერდა: „და-იბეჭდა „შავი ვარსკვლავი“... ისიდორე ქარსელაძემ ამინყო, და-მიბეჭდა ქართული მონასტრის სტამბამ, ამიკინძა ვინმე ებრაელმა და ლელი ჯაფარიძემ მიმოვნა ქაღალდი ნისიად, ბერძენი ვაჭრის-გან. ეს გრძელდებოდა მთელი თვე, მაგრამ წიგნი მაინც დაიბეჭდა. ესაა პირველი წიგნი ქართველი პოეტისა, რომელიც დაბეჭდილია სტამბოლში — მისი ტირაჟი 1000 ცალი იყო.“ პოეტის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „შავი ვარსკვლავი“ მცირეოდენი შემოკლებით დაიბეჭდა უურნალ „მნათობში“, ხოლო ცალკე წიგნად გამოიცა 1926 წ. (1958 და 1978 წლებში). პოემის სათაური, „შავი ვარსკვლავი“ მინიშვილისათვის გლოვისა და მწუხარების სიმბოლოა; იგი სინაუ-ლია სამშობლოს დატოვების გამო. „შავი ვარსკვლავი“ საქართვე-ლოს ეძღვნება.

რაც შეეხება პოეტურ ოსტატობას, ლექსის მხატვრულობასა და უღერადობას, მის გარეგნულ მხარეს, „შავი ვარსკვლავი“ ამ მხრი-ვაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. შალვა აფხაიძე წერდა: „გაცი-ლებით მეტი სიწმინდე, გამჭვირვალება და დაუფლებაა ლექსის როგორც ტექნიკის, ისე შინაგანი ძარღვის მხრივ პოეტის მეორე წიგნში „შავი ვარსკვლავი“ ...ეს არის მოთქმა საკუთარ მინას, ცას და ჰაერს მოწყვეტილი ადამიანისა... მეგობრებისა და დატოვე-ბული სიყვარულის ფონზე წამოიჭრება პრობლემა სამშობლო — საქართველოსი. პოემის ცალკეული თავები დამოუკიდებელი ლი-რიული ლექსებია, მაღალი მხატვრული ოსტატობით, საინტერესო მეტაფორებითა და მიგნებული პოეტური სახეებით. მისთვის არსად არის ნუგეში, შენდობა და ნავსაყუდელი. პირველივე სტრიქონები: „გქონდა სამშობლო საყვარელი და მიატოვე, რად გენანება დახლე-ჩილი შენი თვალები“, — გასაღებია მთელი პოემის. პოეტის აზრით,

„ვინც იღბალი გააბრაზა სამშობლოში“, იგი სევდას იმკის. სევდა სამშობლოზე — ასე ყალიბდება სათქმელი: „საქართველოსკენ ოცნებაში ყველანი მივქრით და ყველას გული სამშობლოთი მოფონილია“. ან: „საქართველოს მზიან სერებზე, ცრემლიან თვალებს გადავაგორებ“. მსგავსი განწყობილება მთელ პოემას გასდევს. ხშირია ბავშვობის ადგილების მონატრებაც: „სოფლის საყდარზე მიატოვე შენი მერცხალი... ახლა კი ნანობ, რომ ჩაგიდგა თვალებში წყალი“.

სამშობლოს სიშორებ პოეტში წარმოშვა ერთგვარი ნიჰილიზმი: პუბლიცისტურ წერილში „ფიქრები საქართველოზე“ პოეტი ეჭვით კითხულობს: „რა არის საქართველო თქვენის ფიქრით — სინამდვილეა, თუ ტყუილი მოგონილია. რადა საქართველო მარტო გესლი და მარტო ხიდი... საქართველო ნისლია და ბურუსი... ეროვნული სიტყვაა დალატი“ ან კიდევ: „მე საქართველო ბევრი ვეძიე და ვნახე მხოლოდ ბუნდოვანება“. ლექსი თოთხმეტმარცვლიანია 5/4/5. განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე რითმის თანაცალი :

წინაშე — პალესტინაში
მტევნები — დავედევნები

გამომცემლობა „ინტელექტის“ 100 ლექსის სერიაში იგი წარმოდგენილია პოემის სახით, ჩვენც ასე ვუწოდებთ (თ. ნ.). განსაკუთრებით საინტერესოა პოემის XVI თავი, რომელიც რუსთაველს ეძღვნება და სათაურიც ასეა. პოეტი აიგივებს რუსთაველსა და საქართველოს „საქართველოში არ ყოფილა არცერთი მეფე და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე“. „ვეფხისტყაოსნის“ წვლილად მიაჩნია ქართველი ერის ფიზიკურად გადარჩენა.

საქართველოს ბედს შოთა-ლმერთი
მარტო განაგებს;
მარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.

ფორმის მხრივ საინტერესოა პოემის III-IV თავები, სადაც აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების წინა დღეები: დარბეული ქუჩები, სიცივე, ვაება, საყოველთაო დაძაბულობა, მოლოდინი და მღელვარება. ასეთივეა ლექსის პულსაცია — დინამიური, აჩქარებული, ფრაგმენტული: „ქარია. სიცივეა. ისეთი ზამთარია. პოეზიას სცივა. ქუჩაზე მიჰქრიან მოღუნული კაცები... ყვირიან, იქადიან ტრამვაები, ხელიდან ხელში გადადის გაზეთები, სადაც მთავრობის სადგომია. რა ამბავია ასეთი. ომია, ომია...“

პოემის ამ ნაწილის შესახებ შალვა აფხაძე წერდა: სახეები, რომლებიც სცილდებიან თითქოს სინამდვილეს და ფანტასტიკაში,

ირეალურში გადადიან, ისე როგორც ბლოკის „თორმეტში“. მთელი პოემა არის ანთებული, სასონარკვეთილებამდე მისული მწუხარებით, გაუბზარავი ინტიმით და მეგობრობით, რაც ნამდვილი პოეზიაა. „წარბგაშლილი“ სტრიქონებით მობოჭვილია მთელი პოემა“.

1924 წელს პარიზში, საპყრობილე „სანტეში“ დაიწერა ლექსი „სამშობლოს“. საფრანგეთის მთავრობის მენშევიკური ლიდერების მიერ პოეტის პოლიტიკურად არასაიმედოდ გამოცხადებამ, დევნამ და დაპირისპირებამ, კიდევ უფრო გაამძაფრა მასში უცხოობის, სამშობლოს სიშორის მტანჯველი გრძნობა, რაც ასე ოსტატურად გადმოიცა ლექსში „სამშობლო“. ლექსი მიმართვაა:

„ო, საქართველოვ, წიგნო, ჩუმად გადასაშლელო a
გულისცემაში ჩასრესილო, სიკეთევ წმინდა, b
შენი წყლულებით მინდა გული მეც ავაჭრელო a
შენი სახელით გახარება ათასჯერ მინდა. b
დიდი ტრიუალის მეც დამადგი მძიმე უღელი, a
გასწონე გული, სიყვარული წიგანა ისრით b
მე, თავმოჭრილი, წამებაში შეწუხებული a
მეამბორები, სახსოვარო, სისხლოვან კისრით!“ b

საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, 1922-23 წლებში შეიქმნა მისი „გარდაცვალება“, რომელსაც პოეტი „პოემას“ უწოდებს. იგი ორი თავისიგან შედგება: „სტამბოლი“ და „პარიზი“, გადმოგვცემს მწერლის სულიერ განწყობილებას. სიმბოლიზმს პოეზიის ცნება ფართო გაეხებით ესმოდა. სანდრო ცირკიძე თვლიდა, რომ „პოეზია არის განცდა“ და მისი გადმოცემა შეიძლება „სონეტით, პროზით, სიმფონიით“. ამავე თვალსაზრისით უწოდებს ნიკოლო მიწიშვილი პროზაული ფორმით დაწერილ „გარდაცვალებას“ პოემას. ვფიქრობთ, ეს ნანარმოები იმ თემატური რკალის ნაწილია, რომელიც მიწიშვილის დოკუმენტურ პროზაში აისახა, ოღონდ მეტი პოეტურობა და ლირიზმი ახლავს. „გარდაცვალება“ 1926 წელს დაიბეჭდა ურნალ „მნათობში“ (№ 2) და იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად. სპეციალურად ამ გამოცემისათვის დაწერილ შესავალში ავტორი წერდა: „წმინდანიანი“, „შავი ვარსკვლავი“, „გარდაცვალება“ ეს ერთი მთლიანი გზაა პოეტისა და ადამიანის. ამ გზაზე არ იყო სიყალბე და კომპრომისი. პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბათ, ესაა მიზეზი, რომ მე როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელი ამბოხებული დროის აქტუალობას. როგორც პოეტი, მე, შესაძლებელია, დავრჩჩ წარსულში, მაგრამ მოქმედების, გამშედვანბისა და სიცოცხლის ლოგიკამ მე გამათანასწორა თანამედროვეობასთან, როგორც ადამიანი.“

სათაურში გატანილი სიტყვა „გარდაცვალება“, ნიკოლო მიწიშვილს გაეცელი აქვს როგორც განახლება: „გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს... აქ არის სურვილი... განახლების“. პოეტს ესმოდა, რომ ამგვარი „გარდაცვალების“ შემდეგ, იბადება ახალი ადამიანი: „მინდა ვნახო, როცა მე დავაჩერდები უბედურებით გატენილ საკუთარ ლეშს. მაშინ ვიქენები ბედნიერი. მაშინ დაიბადება პოეტი. რომლის სახელიც ჯერ არ ვიცი. და ვნახავ საქართველოს მაშინ“.

„გარდაცვალებაში“ კვლავ გაგრძელდა მარტოობის მძაფრი განცდა, უსიხარულობა, პესიმიზმი, რასაც იგი ისევ მტკინვეულად განიცდის: „წმიახდანიანი“ დამეუფლა განხორებით... აინთო განმეორებით ცეცხლი საკირესი“. მისთვის მიუღებელია ეს მიბრუნება და ამიტომ ხაზგასმით ამბობს: „ეს წიგნი... არა ვარ მე... ეს წიგნია ის, რასაც მე ვალავ. რაც მე არ მინდა რომ ვიყვე!“ პოეტის მიზანი ალარ არის ცხოვრებიდან განდგომა, სოცოცხლეზე უარის თქმა, პირიქით, იგი სიცოცხლისკენ ილტვის და წერს: „სიცოცხლე — თვალწამოვარდნილი, არის მაინც სიცოცხლე... მე ვლებულობ სიცოცხლეს ძირიანად. მე ვიხრჩვები სიცოცხლის წყურვილით“. ხოლო მეორეგან: „მე მნამდა ქვეყანა და მნამს, როგორც ჩემი თავი.“ „გარდაცვალება“ მთავრდება ნიკოლო მიწიშვილის ევროპასთან გამოთხოვებით: „მშვიდობით ევროპა... შინ. შინ სახლისკენ. მიწისკენ. ჩემი მიწა და ჩემი თავსაფრიანი დედა. ზარებმა შეწყვიტეს თურმე რეკვა ჩვენს სოფელში, მაგრამ ხარები ისევ ბლავიან ჩვენსას. ჰყოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს.“

„წმინდანიანი“, „შავი ვარსკვლავი“ და „გარდაცვალება“ 1926 წელს, ნიკოლო მიწიშვილის დაბრუნების შენდეგ, გამოიცა ცალკე წიგნებად და მკითხველს დაანახა პოეტის შემოქმედებითი გზა, მისი მწერლური სახე.

ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაში განსაკუთრებულია ლექსების ციკლი „ახალი მოედანი“, რომელშიც ექვსი ლექსია გაერთიანებული. ამ ციკლიდან ცალკე შეიძლება გამოიყოს „ჰაჯი-მურატის მოჭრილი თავი“, საუკეთესო ლექსი არა მარტო მიწიშილის, არამედ იმ პერიოდის ქართულ პოეზიაში. მასში დახატულია „გაორებული“ კაცის ტრაგედია. ტრაგიკული იყო ბედი შამილის ნაიბის, ჰაჯი-მურატისა, დაღესტნის აჯანყების მონაწილეებს რომ განუდგა და რუსებს მიემხრო. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ მშობლიურ მთებს დაუბრუნდა, მაგრამ ორივე მხრიდან მოღალატედ ჩათვლილმა, შერცხვენილმა დაასრულა სიცოცხლე.

ღინამიურად, მღელვარედ და ლამაზად იწყება ლექსი იმ წუთიდან, როცა ჰაჯი-მურატის მოკვეთილი თავი თბილისისკენ მოაქვს „შავნაბადიან“ მხედარს. „შ“ ბერის ალიტერაცია პირველივე

სტრიქონებში უკვე რაღაც იდუმალის განცდას, შემაშფოთებელ განწყობილებას იწვევს და მეითხველს ამბის მოლოდინით მუხტავს: თოთხმეტმარცვლიანი, ჯვარედინი რითმა შენარჩუნებული აქვს ცხრტაებიან ლექსს:

შემახის გზაზე ვიღაც შავმა,შავნაბდიანმა, a
შუაღამისას დასძრა შავი ყარაბახული, b
და თბილისამდე ბედაურმა ორბის ფრთიანმა, a
გასცვითა ნალი, ამ დღისათვის შემონახული. b
არც ღამეიყო, მაგრამ თითქო არც თენდებოდა,
როცა მხედარმა სასახლეზე მოაგდო ცხელი
და უმალ, თუმცა ფეხზე დგომა უძნელდებოდა,
კრიაზ-ნამესტნიკს ნარუდინა ხურჯინით ძღვენი.

ლექსში, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალების ხაზგასმა და შემჩნევა, მომზდარის მონანილეს და მხილველს ხდის მკითხველს. სწორედ ეს არის პოეტის ოსტატობა, შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს ამაზრზენ ცერემონიალს:

გადასცა წიგნი, შეისწორა ხანჯალი ბასრი,
დასწევდა ამანათს, მოარიდა ლაპარაკს ყური,
მან ამოილო გაფერილი სპილენძის კასრი,
შემდეგ წამოდგა და ასეთი ახსნა სურათი:
„მოჭრილი თავი მოგართვითო ჰაჯი-მურატის“.

უცხო და მოკლე ფრაზა გადაუვლის დარბაზს:

ღია ფანჯრიდან ქარმა შუქი დააბარბაცა,
ბაღში აპრილის გაისულდრა ტებილი ტაროსი,
და მოკლე ფრაზამ, ინგლისურმა, გასჭრა დარბაზი.
„ჭკუამ დაღუპა ეგ ბარბაროსი.“

მერყევ ინტელიგენციას, კარგა ხანს ორჭოფობაში მყოფს, მკაფრი განაჩენი გამოუტანა პოეტმა, როცა შეაჯამა ჰაჯი-მურატის საქციელი: „მაგრამ თუ იბრძვი, სამუდამოდ უნდა იცოდე, გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით.“

1935 წელს პოეზის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე ლევან ასათიანმა აღნიშნა: „ეხლა მე უნდა მოგახსენოთ მიწიშვილის ლექსების შესახებ. მე მოგახსენებთ იმ ლექსებზე, რომლებიც გამოქვეყნდა 1935 წელს... ეს ლექსები არის მეტად საინტერესო მოვლენა უკანასკნელი წლის ქართულ პოეზიაში. უმთავრესად ეს შეეხე-

ბა თვით მწერლის, ნიკოლო მინიშვილის განვითარებას, როგორც პოეტისას... ამ ლექსებით მინიშვილი ამართლებს თავის მაღალ მოწოდებას პოეტისას და ქართულ პოეზიაში უმთავრესად ამ ლექსებით იყავებს უმაღლეს ადგილს. ხშირად ეს ლექსები, როგორც პოეტური სახეები, დიდ შედევრს წარმოადგენს“.

ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა ნიკოლო მინიშვილს მომავლისთვის. ფიქრობდა და ემთავრებინა „ეპოვე“, შეექმნა პოემა და წერილების სერია ახალ საქართველოზე. შორს არ იყო „ვეფხისტყაოსნის“ იუბილე, რომლის მომზადებაშიც მან მცირე წვლილი როდი გაიღო, მაგრამ მწერლის ნაცნებარს გახორციელება არ ეწერა. იმ სერიოზულმა შეცდომებმა, რასაც 20-იან წლებში ჰქონდა ადგილი შემოქმედებითი ინტელიგენციის მისამართით და რომელიც სამწუხაროდ, სხვადასხვანაირად ხორციელდება ყოველ ახალ დროში, 30-იანი წლების შუა ხანებიდან ხელახლა იჩინა თავი.

ეს იყო პერიოდი, როცა გალაკტიონ ტაბიძეც იძულებული გახდა განეცხადებინა: „მე არ ვიცი, რა უნდათ მათ, როცა ამბობენ, რომ მე თითქოს შევიქენი გასარიცხი, ყველასგან ათვალისწინებული პიროვნება, რომ მე ადგილი არ უნდა მქონდეს საზოგადოებაში, მაგრამ რა გზით მივდივარ, ეს იცის მთელმა საქართველომ. მე მშვენივრად ვიცი, რა უნდათ ჩემგან, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჯვარზე ვარ გაკრული. მე ვიცი, რა ლაპარაკი არის ამ დარბაზში, მაგრამ იმ უდიდესი გზიდან, რომელსაც მე დავადექი, არასოდეს არ დავიხევ!“

კრიტიკის უსაფუძვლო თავდასხმები გაძლიერდა ნიკოლო მინიშვილის ნინააღმდეგაც. ჩრდილში დარჩა მისი დიდი დამსახურება, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მისი გულწრფელი შემოქმედება. სამაგიეროდ, ხელახლა გადაფასდა „წმინდანიანი“, „შავი ვარსკვლავი“, „გარდაცვალება“, არასწორად იქნა გაგებული მისი შემოქმედება. ასეთი დამოკიდებულება უჩვეულო როდი იყო იმ პერიოდისათვის. მსგავს კრიტიკას და ზოგჯერ უარეს შეფასებებს იმსახურებდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიმაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი. ნიკოლო მინიშვილის უკანასკნელი საჯარო გამოსვლა მოხდა 1937წლის 7 მაისს მწერალთა კავშირის გაფართოებულ სხდომაზე. უჩვეულოა ეს გამოსვლა თავისი ნერვული დაძაბულობით, გაურკვევლობის მოლოდინითა და ნინათვრებნობით. ეს გამოსვლა ნინასწარი ხილვა იყო იმ ტრაგედიისა, რომელიც შემოდგომ დატრიალდა და თავისი სისხლიანი ფრთით ქართველ მწერლებსაც შეეხო. მათთვის, ვინც მომავლის განუჭვრეტლად, მომავლის მსჯავრის მორიდების გარეშე ქმნიდა შიშის, დაბნეულობისა და დაუსაბუთებელი ანგარიშ-

სწორების ატმოსფეროს, გაფრთხილებად დარჩა ამ სხდომაზე ნიკოლო მიწიშვილის სიტყვები: „ნურავის ნუ ჰეონია, რომ მომავა-ლი თაობა ჩვენს მიმართ ლმობიერი იქნება. სამართალი არსებობს და მკვდარი საზოგადო მოღვაწე არანაკლებ პასუხისმგებელია, ვიდრე ცოცხალი“.

საკუთარი ალსასრულიც კი, შემთხვევით თუ უცნაური ძალის კარნახით, მწერალმა 1922 წელს ზუსტად გამოითვალა: „მე 26 წლისა ვარ და ყველაფერი ისე ეწყობა, რომ ახლა ვიწყებ თავიდან ცხოვრებას. ჩემი ანგარიშით მე კიდევ გავძლებ 15 წელს და ლირს ამისთვის თავის ტეხა? რამდენად ბედნიერნი არიან ჩემი სოფლის ბიჭები, რომელიც დაცოლშვილდნენ, გაიჩინეს ხარ-კამეჩი, ურემი, სახლ-კარი, მტერ-მოყვარე და ახალი ჩოხა-ახალუხით გამოდიან დღეობაში“, — წერდა ნიკოლო მიწიშვილი „ეპოპეს“ ფურცლებზე და მართლაც, 15 წლის შემდეგ, მოვიდა ალსასრული, ულმობელი და უსამართლო.

პოეტი ცისფერყანწელ მეგობრებს „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმულებს“ უწოდებს და ამ სიმართლეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

დიახ, ეს იყო 1937 წლის 7 მაისს, 2 ივნისს კი იგი დააპატიმრეს (13 ივლისს კი იგი დახვრიტეს). 22 ივლისს მწერალთა კავშირში თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა. 14 აგვისტოს დააპატიმრეს მიხეილ ჯავახიშვილი, 9 ოქტომბერს კი ტიციან ტაბიძე. როგორც გაირკვა ისინიც დაპატიმრებიდან სულ ცოტა ხანში დახვრიტეს.

ტრაგიკულად დასრულდა პოეტის სიცოცხლე 1937 წელს. მაგრამ ის, რაც მან ხანმოკლე სიცოცხლით მოასწრო როგორც პოეტ-მა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, მნიშვნელოვანია და ლირ-სეულ ადგილს აკუთვნებს მას ქართული პოეზიის საგანძურში.

მარიკა ჯიქია

უურნალ „ცისფერი ყანწების“ პოეტურ თხზულებათა ანთროპონიმიული სივრცე

XX საუკუნის დასაწყისში — 1915-16 წლების მიჯნაზე — შეიქმნა ლიტერატურული დაჯგუფება და მან სახელწოდება მიიღო თავისი პირველი ბეჭდური ორგანოსაგან, რომელსაც დაერქვა „ცისფერი ყანწები“. ცისფერყანწელები თავს სიმბოლიზმის მიმდევრებად აცხადებდნენ. სარბიელზე გამოსვლისას მათ გამოავლინეს სწრაფვა „წმინდა ხელოვნებისადმი“, ბოჟემური განწყობილება და წინა თაობის ქართველ კლასიკოსთა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. ეს დაემთხვა ცნობილ ისტორიულ მოვლენებს, რამაც გაამძაფრა სამყაროს ტრაგიკული აღქმა.

პოეტის ენის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკა-ფრაზე-ოლოგიის შესწავლას გულისხმობს. შემოქმედის ლექსიკა იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში ხშირად შემონახულია ნაკლებად ცნობილი ან უამთა სვლის გამო სრულიად მივიწყებული და იქნებ ზოგჯერ უცნობი ინფორმაციაც კი (კინაძე 1998: 125).

პოეტთა შემოქმედება ხომ საისტორიო წყაროთმცოდნეობის საიმედო დასაყრდენია.

სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებულ ნიუანსთა უსასრულობა სემანტიკურ სტრუქტურათა გართულება და გაუბრალოება, შინაგან კავშირთა მოულოდნელობა — აი, სიტყვის მრავალწახნაგოვანი არსებობის ზოგიერთი გამოვლენა პოეტურ ტექსტში. ყოველ პოეტს ხომ თავისი პოეტური ლექსიკონი, მყარი სემანტიკური რიგი, სიტყვათა შორის კავშირთა თავისი სამყარო აქვს.

როგორ „ცხოვრობენ“ ამ სამყაროში პირის საკუთარი სახელები?

ერთი შეხედვით, საკუთარი სახელი ყველაზე ცხადი გრამატიკული კატეგორია. იგი მუდამ მიემართება სივრცისა და დროის ერთ კონკრეტულ ობიექტს — პირს. ყოველი ტიპის სახელთაგან ადამიანის საკუთარი სახელი ყველაზე უფრო კონკრეტულია და ამავე დროს სიგნიფიკატორული შინაარსი არ გააჩნია. საგანთა ერთადერთი დასახელებაა, რომელსაც, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, მნიშვნელობა არა აქვს, უშუალო ცნებითი მიმართება არ გააჩნია.

საკუთარი სახელით, როგორც წესი, იდენტიფიცირდება დასახელებული პირი როგორც შეტყობინების ობიექტი (საგანი) და მაქსიმალურად არის რეალიზებული მისი დენოტატიური შესაძლებლობები. აქ ესაა დასახელებულ პირთან მჭიდროდ დაკავშირებული

ნიშანი თვისებების დაუსახელებლად — მხოლოდ პირის სახელია.

გამოჩენილ ისტორიულ პირთა, მწერალთა, მხატვართა და ა.შ. სახელებს აქვთ ინდივიდუალური კონტაციები, ხატოვანი წარმოდგენები.

მაგალითად:

გოლდონი იდგმება მსოფლიოს მრავალი თეატრის სცენაზე.

აქ გოლდონი კი არის და იდგმება-ც კია, ოღონდ გოლდონის პიესები იგულისხმება;

სტენდალმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ფრანგულენოვან პროზაში — მხედველობაშია სტენდალის შემოქმედება;

ასეთ მაგალითებში საკუთარი სახელი კონკრეტულ, თუმცა დაუსახელებელ შინაარსს შეიცავს.

ენაზე ფიროსმანი — გულისხმობს ფიროსმანის ნახატების ნახვას;

სულ წავიკითხე ლორთქიფანიძე — ნიშნავს ნიკო ლორთქი-ფანიძის ყველა თხზულების წაკითხვას;

მოვისმინჯ რახმანინოვი — მოვისმინჯ რახმანინოვის ნაწარმო-ებები და ა.შ.

ამ მაგალითებში გოლდონი, სტენდალი, ფიროსმანი თუ რახ-მანინოვი არარეფერენციულად მოიხსენიება.

მაგრამ ზოგჯერ ორაზოვნება მაინც იჩენს თავს:

კლდიაშვილი ირონიულია — საკუთრივ დავით კლდიაშვილი არის ირონიული თუ მისი თხზულებების სტილი, წერის მანერა?

პირველ შემთხვევაში დავით კლდიაშვილი, საკუთარი სახელი, რეფერენციული იქნება, მეორეში — არარეფერენციული.

ილია და აკაკი პროსპექტზე გვერდიგვერდ დგანან — აქ ილია და აკაკი ილიასა და აკაკის ძეგლს გულისხმობს.

ნამდვილი კარუზოა, სოკრატეა, დონ კიხოტია, ოტელოა — აქ საკუთარი სახელი გარკვეულ პირზე არა მხოლოდ უთითებს, არამედ ამ პირის ზოგიერთ თვისებას ავლენს: სიმღერის მანერას, ხმის ტემ-ბრს — თუ ეს კარუზოა, ჭკუას — თუ სოკრატეა და სხვ. ერთი შე-იძენს თვისებას (ან აქვს, ან მიენერება), რაც ერთგვარად გაიგივე-ბულია მეორის (ქვემდებარის) ინდივიდუალურ თვისებასთან. ეს სიტუაცია ხმირია უარყოფითი კონტაციისას — ქვემდებარეს არ გააჩნია ესა თუ ის თვისება:

მაგრამის ზვიადი არ არის — აქ უარყოფით ნაწილაკს ორი ფუნ-ქცია აქვს: გამოცალკევებისა და საკუთრივ უკუთქმითობის. მისით გამოიყოფა, ვთქათ, ზვიად გამსახურდიას თვისებები და ქვემდე-ბარე წარმოჩნდება უარყოფით ასპექტში.

წინამდებარე წერილში საკუთარ სახელთა ფუნქციის ამ რაკურ-
სში მიმოვინილეთ უურნალ „ცისფერი ყანებში“ დაბეჭდილი ლექსები.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში “Interieur” („ინტერიერი“)
გვითხულობთ:

ავანთებ სანთელს ვრუბელის წინ, მოთენთილ ხელით,
გადავშლი ბოდლერს, გადიკითხავ მის „მარტოობას“...

ვრუბელის ნახატის, ფერწერული ტილოს წინ თუ ვრუბელის
პორტრეტის წინ?

ამ ლექსის ბოლო სტროფში ისევ ეს ორი გვარ-სახელი
ფიგურირებს:

ჩემს წინ — ბოდლერი, გადაშლილი ვით სახარება...
გიუურ თვალებით შემომხედავს ჩემი ვრუბელი.

ფაქტია, რომ ბოდლერის ლექსებია სახარებასთან შედარებულ-
გატოლებული, ხოლო ვრუბელის კონცექსტში ნავარაუდებია
მხატვრის უსაჩინოესი ქმნილება „დემონი“, ან ამ ციკლის რომე-
ლიმე ნახატი.

ლექსი მთავრდება სულის შემძვრელი სტრიქონით:

სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება.

ამავე უურნალში ტიციან ტაბიძის ლექსი — წიგნიდან „ქალდეას
ქალაქები“ — ასე იწყება:

გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს.

სპარსული ლირიკის უპრწყინვალესი წარმომადგენელი ჰაფეზი
(ტიციან ტაბიძე მას გაფიზად იხსენიებს ალბათ რუსულის გავლე-
ნით; ხოლო რუსულში /h/-ს უქონლობის გამო თავკიდურ ჰოზი-
ციაში /h/ გადმოიცემა /g/-თი. ამ დროს არ არსებობდა ჰაფეზის
ლექსთა ქართული თარგმანები. ჰაფეზი შირაზელია, იგი შირაზში
მოღვაწეობდა; შირაზი კი ვარდების ქვეყანა იყო. ამდენად, ტიცი-
ანისეული გაფიზის ვარდი სამგზის შეპირობებულია:

1. ჰაფეზი შირაზელია;
2. შირაზი ვარდების ქვეყანაა;
3. ჰაფეზის პოეზიის (ერთ-ერთი) საგანიც ვარდია. და ეს ვარდი
პრუდომის — ცნობილი ლექსმცოდნის — ვაზაში თავსდება.

ცისფერყანელები განსაკუთრებულ ჰაფივს მიაგებდნენ ბე-
სიკს, ხოლო შარლ ბოდლერი ამ მიმდინარეობის სათაყვანებელი

პოეტია. ამდენად, ერთი ლექსის სივრცეში რეტროსპექტულად აღ-
მოჩნდნენ ბესიკი და ბოდლერი, ოლონდ ბესიკის ბალში, ბოდლერის
ბოროტების ყვავილების ნაცვლად (ასეა დასათაურებული პოეტის
კრებული), ბოროტი ყვავილები ირგვება.

ტიციან ტაბიძისავე უსათაურო ლექსის პირველი სტროფია:

ბაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე...

ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა! შექსპირს — უარი!...

რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი

აქაც, რა თქმა უნდა, დანტეს შემოქმედებაა მხედველობაში.
რატომ ყვითელი?

დიდი ხნის ნინ გარდასული დანტე, ტიციანისავე განმარტებით,
სიბრაზითა და აღმფოთებით ფერდაპარგულია.

ვაქებდი შექსპირს, რა თქმა უნდა, მის თხზულებებს, მაგრამ...
ფარდაა ჩამოსაშვები: მორჩა, გათავდა...

შექსპირის პიესების (რაც ფარდით ლოკალიზდება და ზუსტდე-
ბა: ვთქვათ, არა სონეტებს, არამედ დრამატურგიული თხზულებე-
ბის) დადგმას — უარი;

ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი — ანუ არ არსებობს პო-
ეტისთვის კლასიკოსი კომპოზიტორის ღვთაებრივი მუსიკა.

თუმცა მეორე — ზამთრის — კრებულში ვალერიან გაფრინდა-
შილის სონეტის მესამე სტროფში ასეთი სტრიქონია:

მაღალ კუბოში გააღვიძებ შუმანს და ვერდის...,

რაც არამც და არამც არ არის უარყოფითი კონოტაციის
შემცველი.

ასევე ზამთრის კრებულში პაოლო იაშვილი ტრიპტიხის II სეგ-
მენტში — ვერლენ — წერს:

უბედურ ვერლენს დასცინიან ჩვენს სამეფოში
(მე მორიდებით მის ყვითელ თმებს სხივს დავაფენდი)

ვერლენი, ბოდლერ და მალარმე! ამ სამებაში

მე ყველა მიყვარს ..., მაგრამ ვერლენს თრთოლვით ვისმენდი...

და ისევ ტიციანის ლექსში — წარმოსახვით დიდ ბალში! —

მოქრიან რემბო, ერედია, ემილ ვერხარნი.

ჩვენი კვლევის რაკურსში ორნაირი ანთროპონიმებია: ერთი —
არაპოეტური (რეალურ ცხოვრებაში გამოყენებული), მეორე კი —

პოეტური. მხატვრულ თხზულებებში ფუნქციური როლის მიხედვით ვხვდებით ორი სახის პოეტურ ანთროპონიმებს: ნეიტრალურ-სა (ძალიან ახლოსაა არაპოეტურთან) და ფუნქციურად ნიშნიერს (ალექსანდრე როვა 1985: 107-108). თავის მხრივ, პოეტურ ანთროპონიმს, ნებისმიერი ანთროპონიმის თვისებების გარდა, უნდა მოეპოვებოდეს ინკურსიული, რეალობის ეფექტი, ბერითი ფონი (ეროვნული), კოლორიტი და შინაგანი ბუნების შესაბამისი რეპრეზენტაცია.

ყოველივე ამის კვალობაზე მხოლოდ პაოლოსეული ელენე დარიანი მოგვეცემა.

ასეთია ცისფერყანწელთა ორი კრებულის პოეტურ თხზულებათა ანთროპონიმიული პარადიგმა.

დასახელებულ ავტორთა მიერ გამოყენებული საკუთარი სახე-ლები, მხატვრული მეტყველების კონტექსტში ანთროპონიმთა გამოყენების სპეციფიკა შეესაბამება მსოფლიო ლიტერატურის განვითარების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ონომასტიკურ rationes communes-s (ვასილევა 2000: 75). აქვე შევნიშნავთ, რომ უურნალ „ცისფერი ყანწების“ ორსავე ნომერში გამოქვეყნებული ლექსების ანთროპონიმიული ინვენტარი ორგანულად ერწყმის პოეტთა საჭიროობო რეალიებს.

ამჟამად ჩვენი ამოცანა არ არის, ლექსებში დასახელებულ ანთროპონიმთა მიხედვით პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის (და სხვათა)სტილის შესახებ რამენაირი მსჯელობა. მხოლოდ ერთ მომენტს წარმოვაჩენ — ბეთოვენი, ბოდლერი, დანტე, ერედია, ვერდი, ვერლენი, ვერპარნი, ვრუბელი, მალარმე, პრუდომი, რემბრანდ, შექსპირი, შუმანი და ჰაფეზი — მხოლოდ ეს უკანასკნელია აღმოსავლური სამყაროდან, დანარჩენი ცამეტი — დასავალელია.

დამოცვებანი:

ალექსანდროვა 1985: Алекперова З. Функции поэтической и непоэтической антрапонимики. // Сақаვშირო კონფერენციის — „თანამედროვე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლები“. — მოხსენებათა თეზისები . თბ.: ილია ჭავჭავაძის სახელობის ნიგნის ფაბრიკა. 1985.

ვასილევა 2000: Васильева Н.В. К стилистике имени собственного. // RES LING-ISTICA. M.: Academia, 2000.

კიკნაძე 1998: კიკნაძე ი. გეოგრაფიული სახელწოდება მწერლის შემოქმედებაში. // ქართველური ონომასტიკა. I. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

* * *

ნიკა აგლაძე

ლუდინგირას ელეგიების პოეტიკის ზოგიერთი საკითხი

კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე ადამიანი სიკვდილისა და სიცოცხლის შესახებ ფიქრობდა. გამონაკლისს ამ მხრივ არც ძველი შუამდინარეთი, შუმერის, აქადისა და ბაბილონის პერიოდი წარმოადგენდა. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს ორი ტექსტი, რომელთა შესახებაც გვექნება საუბარი.

1957 წლის გაზაფხულზე ცნობილი ამერიკელი შუმეროლოგი, სემიუელ კრამერი მოსკოვს ეწვია და ა. ს. პუშკინის სახელობის მუზეუმის საცავებში მუშაობის უფლება მიიღო. სწორედ აქ აღმოაჩინა მეცნიერმა თიხის ფირფიტა, რომელზეც დატანილი იყო 4 სვეტად დაყოფილი და ხაზით ორად განაწილებული ტექსტი. დეტალური შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ფირფიტაზე დატანილი იყო იქამდე უცნობი შუმერულენოვანი ლიტერატურული ძეგლი. კრამერმა ტრანსლიტერაციის ნაწილი მოსკოვში მუშაობისას შეასრულა, დამატებით მუზეუმისგან ძეგლის ფოტოსურათები მიიღო, რის დახმარებითაც ფილადელფიაში გააგრძელა ტექსტის შენავლა და 1960 წელს გამოსცა კიდეც. როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტი შეიცავდა ორ დასატირებელ სიმღერას, ამიტომაც კრამერი მათ „შუმერულ ელეგიებს“ უწოდებდა. მოგვიანებით დამკვიდრდა სახელწოდება „ლუდინგირას ელეგიები“, ელეგიებში ნახსენები მოტირალის, ჭირისუფლის სახელის მიხედვით.

ელეგიათაგან პირველი 112 პწკარს შეიცავს და შეეხება ლუდინგირას მამის სიკვდილს. მეორე დასატირებელი სიმღერა 66 პწკარიანია და მოგვითხრობს მისივე მეუღლის, ნავირთუმის გარდაცვალების ამბავს. ტექსტების სტრუქტურის დეტალური განხილვა სცდება ჩემი ნაშრომის მიზნებს. დოკუმენტის ნაწილების გამოყოფა და მათი ურთიერთგანლაგების ლოგიკის დადგენა ცალკე კვლევას მოითხოვს, რომლისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, ლურსმული ტექსტის წვდომაა საჭირო. ეს კი არა მარტო ჩემთვის, არამედ დიდი კვლევითი ცენტრების სწავლულთათვისაც პრობლემურია. ამდენად, შესაძლებელია მხოლოდ ზოგადად, ძალიან მოკლედ, აღვნიშნოთ, თუ რაზეა საუბარი განსახილველ ტექსტებში.

პირველი ელეგია შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან:

1. მამის, ნანაიას ქება, სიკვდილი და ამ ამბის ლუდინგირასა-
თვის შეტყობინება (პწკარი 1-20).*
2. სხვადასხვა ადამიანის მიერ ნანაიას დატირება (21-62)
3. ლოცვა გარდაცვლილისათვის (63-69)
4. თანაქალაქელთა სევდა (70-75)
5. ნანაიას მკვლელის წყევლა (77-84)
6. რამდენიმე ლოცვა (85-112)

მეორე დასატირებელი სიმღერა მოიცავს:

1. ცნობას მეუღლის, ნავირთუმის სიკვდილის შესახებ (1-9)
2. თანაქალაქელთა მწუხარების აღწერას (10-19)
3. ძლიერ დაზიანებულ, გაუგებარი მონაკვეთს (20-38)
4. ლუდინგირას სევდასა და მეუღლის დატირებას (39-56)
5. რამდენიმე ლოცვას (57-66)

როგორც ვხედავთ, ელეგიების დიდი ნაწილი რიტუალური ხა-
სიათისაა. აქ მრავლადაა ლოცვები, ქურუმი ქალების დატირებანი
და წყევლა, რომელსაც გარდაცვლილის მკვლელს უთვლიან. საკ-
მაოდ ვრცელია, აგრეთვე, ნარატიული ნანილი, რომელიც ხოტბას
ასხამს გარდაცვლილს და მისი სიკვდილის ამბავს გადმოსცემს.
ტექსტის ეს ელუმენტები, არსებული ინტერპრეტაციით, იმპერსო-
ნალურია. ვ. სტრუვე და ლ. ლიპინი ელეგიათა პირველი გამოცემის
შესავალში გამოთქვამენ მოსაზრებას, თითქოს, იმპერსონალური,
ნარატიული ნაწილი მოგვიანო დანამატი უნდა იყოს, თავად დატი-
რებანი კი სწორედ ლუდინგირას უნდა წარმოეთქვა (კრამერი 1960:
6-7). აღნიშნულის საპირისპიროდ, კრამერი ნაკლებად სავარაუდოდ
მიიჩნევს ტექსტის ორი ავტორის მიერ შექმნას და ამის დასასა-
ბუთებლად შესავლისა და დატირების სტილური ერთგვაროვნება
მოჰყავს (კრამერი 1965: 198). ჩემს მიზანს ნამდვილად არ წარმოად-
გენს აღნიშნულ დავაში რომელიმ მხარის დაჭერა, მით უფრო, რომ
მისი ალბათობის მაღალი ხარისხით გადაწყვეტა, პრაქტიკულად,
შეუძლებელია. ამავე დროს, საინტერესოდ მიმაჩნია ტექსტის ზო-
გიერთი მახასიათებლის განხილვა, რამაც, შესაძლოა დისკუსიას
დამატებითი არგუმენტი შესძინოს.

საკითხი, ჩემი აზრით, უპრიანია შემდეგნაირად დავსვათ: რა
წარმოადგენს ლუდინგირას ელეგიების პოეტიკის საფუძველს, რა
სტილისტური ხერხები და ტროპებია გამოყენებული პოეტური ტე-
ქსტის გენერირებისათვის. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არ-
ქაული პოეზია რითმას არ იცნობდა. ძველაღმოსავლურ, გარდა ხე-

* პწკართა ნუმერაცია მომაქვს კრამერის 1960 წლის გამოცემის მიხედვით. იხ.:
კრამერი 1960.

თურისა, ტექსტებში დღემდე დადასტურებული არ არის არც მეტ-რის არსებობა. სამაგიეროდ, კრამერის თქმით, ლუდინგირას ელე-გიების ტექსტები გაწყობილია განმეორებებით, შედარებებითა და მეტაფორებით.

ჩამონათვალის პირველი პუნქტი არანაირ ეჭვს არ იწვევს. ნათე-ლია, რომ არაერთი პწყარის ბოლოები იდენტურია. ამდენად, საქმე გვაქვს ეპიფორასთან, რადგან ამგვარი სტრიქონები არა რეგუ-ლარულად არის წარმოდგენილი და განმეორებული ძესიტყვებებიც იცვლება. მოვიყვანოთ ერთი ეპიფორის მაგალითი:

3. ab₁-ba uru₂^{ki}-a tu₃-a-ra tur₅-ra gaba ba-ri
4. sud-a₂₃ kal-la kur sud-da pad₃-da tur₅-ra gaba ba-ri
5. KA DIM₃ sag₉-sag₉ lu₂ inim zil₂-zil₂-le tur₅-ra gaba ba-ri^{1*}

3. ქალაქში მცხოვრები მამა ავად გახდა
4. ძვირფასი ბრილიანტი, (მხოლოდ) შორეულ მთაში რომ გვხვდება, ავად გახდა
5. ის, ვინც იყო მშვენიერი, მჭევრმეტყველი, ავად გახდა

ბევრად იშვიათად, მაგრამ განმეორებანი გვხვდება პწყარების დასაწყისშიც, ანუ საქმე გვაქვს ანაფორასთან:

48. a-na-am₃ i₃-gu, [...]
49. a-na-am₃ i₃-/na₄\ [...]

48. რაც უნდა ეჭამათ, [...]
49. რაც უნდა ესვათ, [...]

ტექსტში პრობლემას არ ქმნის შედარებათა მოძიებაც. მაგალი-თისათვის, მეორე ელეგიის მე-5 და მე-6 სტრიქონებში ნავირთუმი გakkul ჭურჭელს არის შედარებული. მართალია, ხსენებული ჭურ-ჭლის ზუსტი დანიშნულება და შედარების მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია, მაგრამ ეჭვგარეშეა სტრიქონის დასაწყისში ნავირთუ-მის ხსენება. ასევე ჭურჭლის აღმნიშვნელ გრაფემამდე დაზიანე-ბულია რამდენიმე ნიშანი, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ იმას გვაუწყებდა, თუ რით ჰგავს gakkul-ს ლუდინგირას მეუღლე. სამა-გიეროდ, მეტაფორის, საუბარი გვაქვს ჭეშმარიტ, „გაუცვეთელ“ მეტაფორაზე, ტექსტში დადასტურება გარკვეულ პრობლემებთა-

* ტრანსლიტერაცია მომყავს ETCSL (მუმერული ლიტერატურის ელექტრონული კო-რპუსის) მიხედვით. [ob.:http://etcsl.orinst.ox.ac.uk/cgi-bin/etcsl.cgi?text=c.5.5.2&display=Crit&charenc=gcirc#](http://etcsl.orinst.ox.ac.uk/cgi-bin/etcsl.cgi?text=c.5.5.2&display=Crit&charenc=gcirc#)

ნაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ იმ მონაკვეთებში, სადაც არ გვაქვს შედარება და, მაგალითად, ნავირთუმი მოხსენებულია „ყვი-თელ ძროხად“, ამგვარი ეპითეტი მეტაფორად ვერ ჩაითვლება, რადგან „ყვითელი ძროხა“ ქალღმერთ ინანას წოდებაა და არაერთგზის დასტურდება ტექსტებში. ამდენად, სახეზეა ერთგვარი სიმბოლო, გაქავებული მეტაფორა, როდესაც ჯერ ყვითელი ძროხა დაუკავშირდა ქალღმერთს და შემდგომ ეს ეპითეტი იქცა ზოგად საქებარ სიტყვად. ამგვარივე ახსნა ეძებნება ტექსტში არსებულ მეტაფორათა უმრავლესობას. ჩემი აზრით, გამონაკლისს ამ ზოგადი წესიდან, დიდი ალბათობით, უნდა წარმოადგენდეს ერთი პასაჟი, რომლის განხილვასაც შემოგთავაზებთ.

ზემოთ აღინიშნა, რომ თავად დატირება (რომელსაც სტრუკტურულ და ლიპინი რეალურ ლუდინგირას მიაწერდნენ) ელეგიების ბოლოსაა მოქცეული. ნავირთუმისადმი მიძღვნილ მონაკვეთში ვხვდებით შემდეგ პწკარებს:

50. KA X LA? KA DIM₃? inim sag₉ me-am₃ ga-mu-ri-in-pad₃
51. გiშ?-dim₃? mar-uru₅ ar₂-re-eš dim₂-ma-გu₁₀ me-am₃ ga-mu-ri-in-pad₃

50. სად არის პირი, მშვენიერი პირი, მინდა მოგიხმო.
51. სად არის ჩემი იარაღი (?), დიდებულად დამზადებული კაპარჭი, მინდა მოგიხმო.

ამ პასაჟში ლუდინგირა თავის ცოლს მიმართავს (ეს, პრაქტიკულად, უეჭველია, რადგან ნავირთუმისადმი მიმართული ქება-დატირება შემდეგ სტრიქონებშიც გრძელდება). ინტერესს წარმოადგენს სიტყვა mah-urts₅, რომელიც ითარგმნება, როგორც კაპარჭი. საკითხავია, თუ რას გულისხმობსა აქ ელეგის ავტორი. სავარაუდოა, რომ საქმე გვქონდეს ერთგვარ ეროტიკულ მეტაფორასთან. იარაღი, როგორც წესი, ასოცირდება მამაკაცურ საწყისთან, სასქესო ორგანოსთან და მასკულინურ სიმბოლოსაც წარმოადგენს. ამგვარი მიდგომის დასტური შუმერულენოვან სამყაროშიც მოგვეპოვება, რადგან აქ სიტყვამ ტიშ (teš), თავდაპირველი მნიშვნელობით — ხე, შეიძინა ასევე იარაღის, ურდულისა და სასქესო ორგანოს მნიშვნელობა (შარაშენიძე 2005). რადგან ისარი ერთგვარი იარაღია, კაპარჭი კი მისი მოსათავსებელი ადგილი, წიაღი, სავარაუდოა, ძველი შუამდინარეთის მკვიდრის აზროვნება სწორედ ამ მიმართულებით განვითარებულიყო. ამდენად, სიტყვა „კაპარჭი“ ქალური საწყისის,

უფრო სწორად, ქალური ბუნების, მისი წიაღის აღსანიშნავად უნდა იქნეს გამოყენებული. ახალგარდაცვლილი მეუღლის დატირებისას მისი ფიზიკური მნიშვნელობის აღნერისას, გასაკვირად, ან უადგილოდ არ უნდა ჩაითვალოს მოტირალის მიერ მსგავსი მეტაფორის მოხმობა; მაგრამ დაგვრჩა გადასაწყვეტი საკითხი, არის კი სიტყვა „კაპარჭი“ აქ მეტაფორა, თუ „იარაღის“ მსგავსად, ისიც „გაცვეთილია“, * უკეთეს შემთხვევაში — ქალური საწყისის სიმბოლოდ ქცეული. ამის პირდაპირი დასტური, რასაკვირველია, არ გვაქვს და ვერც გვექნება. თუმცა, შესაძლებელია, ერთი ირიბი არგუმენტი მოვიშველიოთ. საქმე ისაა, რომ პენსილვანიის შუმერული ლექსიკონის (PSD) თანახმად, სიტყვა „ჰის“ დაახლოებით 5 ათასჯერ გამოიყენება ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (ძვ.წ. 2000-1500 წწ.) პირველადი და ყველა სხვა მნიშვნელობით. რაც შეეხება სიტყვას მაჰ-ურუ, ის სულ ოცდაათიოდეჯერ არის დამოწმებული და, ძირითადად, სწორედ პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც საბრძოლო აღკაზმულობა.

ყოველივე ზემოთქმული მაძლევს საშუალებას, ვივარაუდო, რომ საყვარელი ქალის კაპარჭად მოხსენიება, რაც დღევანდელი მკითხველისათვის საკმაოდ უხეშად უღერს, სწორედ ლუდინგირას ელეგიების თანადროულია. ის ნამდვილად მეტაფორული ხასიათისაა და, ამასთან, არა „გაცვეთილ“, არამედ ხალას მეტაფორას წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ტროპი მხოლოდ ტექსტის ბოლო ნაწილში, საკუთრივ დატირებაში გვხვდება, შესაძლოა, დამატებითი არგუმენტი მიეცეს მოსაზრებას ელეგიების ორი ავტორის შესახებ. თუმცა, გადაჭრით რაიმეს თქმა ამ მიმართულებით შეუძლებელია. სავსებით დასაშვებია, რომ განათლებულ და საკმაოდ წარჩინებულ კაცს (მამამისი გადამწერი იყო), მამისა და საყვარელი მეუღლის საფლავთან სიტყვა წარმოეთქვა, და ეს დატირება შემდგომში საფუძველი გამხდარიყო ლოცვებითა და რიტუალებით გაფორმებული ტექსტის შექმნისათვის.

ასეა თუ ისე, ლუდინგირას ელეგიები კაცობრიობის ისტორიის პირველ გამოსათხოვარ სიმღერას წარმოადგენს, სადაც სიკვდილის ტრაგედიის გვერდით სიცოცხლის ტრაგედიაცაა ასახული და მკაცრ რიტუალურ ფორმულებს შორის ადამინთა სევდა გამოსჭვივის. ამდენად, აუცილებელია სამომავლოდ აღნიშნული ტექსტების ყოველმხრივი და სიღრმისეული გამოკვლევა.

* ხშირი გამოყენებისას, სასაუბრო ენაში დამტკიცებისას მეტაფორის „გაცვეთას-თან“ დაკავშირებით, იხ., მაგ.: ცანავა 2009: 9.

დამოცვებანი:

შარაშენიძე 2005: შარაშენიძე ჯ. შუმერული ქრესტომათია. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

ცანავა 2009: ცანავა რ. მეტაფორა. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

კრამერი 1960: Крамер С. Н. *Две шумерские элегии*. М.: Издательство восточной литературы. 1960.

კრამერი 1965: Крамер С. Н. *История начинается в Шумере*. М.: «Наука», 1965.

ETCSL: <http://etcsl.orinst.ox.ac.uk/>

PSD: <http://psd.museum.upenn.edu/epsd1/index.html>

ნუნუ ბალავაძე

ტრიოლეტი „ცისფერყანწელებთან“

ტრიოლეტი ლექსმცოდნეობაში ასე განიმარტება: „ევროპული მყარი სალექსო ფორმა; ტერმინი შემოსულია ფრანგულიდან, მაგრამ სიტყვა „ტრიო“ (სამი) იტალიურიდან მოდის. ტრიოლეტი რვატაეპიანი ლექსია, რომელშიც სამი ტაეპი — I, IV და VII უცვლელად მეორდება. I-II სტრიქონები მეორდება ლექსის ბოლოს. სწორედ I სტრიქონის სამჯერ გამეორების გამო ეწოდება ლექსის ამ ფორმას „ტრიოლეტი“. ტრიოლეტი გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ფრანგულ პოეზიაში. საქართველოში იგი XX საუკუნის 10-20-იან წლებში დამკვიდრდა და, ძირითადად, მისი გავრცელება ქართველ სიმბოლისტებს უკავშირდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მათ ნინ ნამოსნიეს 14-მარცვლიანი ლექსი, არც ის იქნება გასაკვირი, რომ „ცისფერყანწელებთან“ ხშირია ევროპული მყარი სალექსო ფორმა ტრიოლეტი.

ქართულ პოეზიაში როდესაც ტრიოლეტზე ვსაუბრობთ, ვალერიან გაფრინდაშვილის „სანტიმენტალური ტრიოლეტი“ გვახსენდება. შეიძლება ითქვას, სწორედ ეს ლექსი იქცა ჩვენს სინამდვილეში ტრიოლეტის სახედ, საზომად:

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი,
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა,
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა.
მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა,
ვტიროდი ხარბად — მარტოობით ნაალერსალი.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.
(გაფრინდაშვილი 1961: 87)

უპირველეს, უნდა აღინიშნოს, რომ ტრიოლეტებში პოეტები, ძირითადად, სევდიან განწყობას სთავაზობენ მკითხველს, რომელიც ხშირად უკავშირდება ტრფობის ობიექტს: „მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა“; „შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა“. ამასთანავე, ტრიოლეტში ლირიკული გმირი „თხრობის სახით“ გადმოსცემს საკუთარ განწყობას. მონათხრობში კი, თითქოს, ერთფეროვნება ჩანს. ლექსის შინაარსობრივი და სტრუქ-

ტურული მხარე სტატიკურია. დინამიკა, ერთი შეხედვით, არ შეიძლება მეტყველება ითქვას, დინამიკას მკითხველი გრძნობს ბოლო ორ სტრიქონში, ანუ როდესაც ლექსი თავიდან ბოლომდე იკვრება, ერთიანდება. ლექსში დინამიკა შემოდის ისევ იმ „ნაცნობი“ I-II სტრიქონების გამეორებით, რომლებსაც ასე ელოდება მკითხველი. ეს განსაკუთრებულია ტრიოლეტის სტრუქტურაში, ვინაიდან ნებისმიერი პოეტის ტრიოლეტი იმავე განცდას აღძრავს, რადგან: ეს ბოლო ორი ტაქტი აღარ არის ის I და II. ესენი უკვე III, IV, V და VI სტრიქონებში იფილტრება და სრულიად განსხვავებულ შინაარსს იძენს — ბოლო ორი სტრიქონის განმეორება სხვა კონტექსტის შექმნისთვის არის საჭირო — ავტორის მიერ I და II სტრიქონებს თუ აზოგადებენ დანარჩენი ტაქტები, ბოლო VII და VIII კი, პირიქით, დანარჩენ ნათქვამს უფრო უსვამს ხაზს.

როგორც უკვე აღინიშნა, ტრიოლეტი „ცისფერყანწელებს“ თავიანთი შემოქმედების ნანილად გაუხდიათ. ტრიოლეტებს წერენ: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა კარმელი, შალვა აფხაძე.

ტრიოლეტში, შინაარსობრივი პლანის გარდა, უმთავრესია რითმა თავისი ბერითი შედგენილობის, ადგილმდებარეობისა და მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. ამასთანავე, განმსაზღვრელია საზომი. საზოგადოდ, ტრიოლეტი იზოსილაბური სალექსო ფორმაა. კერძოდ კი, 14-მარცვლიანი (5/4/5) ტაქტებით იწერება. ბერითი შედგენილობის მიხედვით მასში იდენტური რითმები ხშირია. ბელურა — ესაფეხურა — მეხურა; ნაალერსალი — ვერსალი. ადგილმდებარეობის მიხედვით რითმები ასე დალაგდება — abaaabab. ე.ი. თავდაპირველად, ლექსი ჯვარედინი რითმის სტრუქტურით იწერება: ab — ბელურა — ვერსალი, რომელსაც მოსდევს წყვილადი რითმა: aa — ბელურა — ესაფეხურა და ისევ გადადის ჯვარედინ რითმაში: abab — მეხურა — ნაალერსალი — ბელურა — ვერსალი.

ტრიოლეტში მე-2, მე-6 და მე-8 სტრიქონები იდენტურრითმიანია, ანუ ყველგან გვაქვს b — ეს არის ტრიოლეტის ფორმა. აქ რითმები ხუთმარცვლიანია: ნაზი ბელურა / ესაფეხურა.

საინტერესოა, სხვა „ცისფერყანწელები“ თუ იცავენ ტრიოლეტის ამგვარ წყვილას, სიზუსტეს. პაოლო იაშვილი სათაურში „მეფის ქორწილი“ ოთხ ტრიოლეტს აერთიანებს:

„ქორწილი ხარობს, / და სხივოსნობს / მეფე ძვირფასი, a
ფირუზის თასი / ქარვისფერი / ღვინით აივსო; b
მეფემ დედოფალს / მიაწოდა / მეფური თასი. a
ქორწილი ხარობს / და სხივოსნობს / მეფე ძვირფასი a

ტახტის გარშემო / ქალწულების / გრძნეული დასი a
უმღერის მეფეს: / „მოგვილოცავს / დღე სამაისო“. b
ქორწილი ხარობს / და სხივოსნობს / მეფე ძეირფასი, a
ფირუზის თასი / ქარვისფერი / ღვინით ავსო“. b
(იაშვილი 2000: 25)

საინტერესოა, რომ პოეტი თავის ტრიოლეტებს ქორწილის თემას უძღვინის. აქაც გმირის შინაგანი სამყარო, ემოციები იწევს წინ და სურათი იშლება მკითხველის თვალწინ. იქმნება შთაბეჭ-დილდება, რომ პოეტი რომელიმე მხატვრულ ტილოს უყურებს და აქედან გამომდინარე გადმოსცემს საკუთარ ემოციებს. პაოლო იაშვილის ტრიოლეტებზე საუბრისას საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ცნობილია, რომ „ელენე დარიანის დღიურები“ აბსოლუტურად განსხვავდება სხვა მისი ლექსებისაგან. და თუ რომელიმე ლექსს შევადარებთ მის „ელენე დარიანის დღიურებს“, ეს სწორედ ამ ოთხ ტრიოლეტზე უნდა ითქვას. დღიურებშიც ხშირია 14-მარცვლიანი სტრიქონები და შინაარსობრივი თვალსაზრისითაც ერთგვარად უკავშირდება ქორწილის თემას. იქ თუ ქალია მთავარი ლირიკული გმირი, ტრიოლეტში მამაკაცი (მეფე) იკავებს განმსაზღვრელ როლს. ანდა, ელენე დარიანის დღიურების პერსონაჟი ქალი, იგივე დედოფალი პაოლოს ახლა თავის ტრიოლეტებშიც შემოჰყავს და თუკი ტრიოლეტში „თხრობა“ | პირში ხდება, ანუ გმირი თავის განცდებზე გვესაუბრება, პაოლო იაშვილი აქ უკვე მეფის შესახებ, ე.ი. III პირზე, სხვაზე საუბრობს, მაგრამ ეს არ არის სხვაზე თხრობა: აქ საუბარია ისევ საკუთარ განცდებზე. ლირიკული გმირი მეფის სახეში საკუთარ პიროვნებას ნიღბავს.

მეორე ტრიოლეტი პირველს ბუნებრივად აგრძელებს. იგივე სტრუქტურაა დაცული.

ანათებს დარბაზს / ვეზირების / ტანსაცმელებით, a
ცეცხლისფრად ელავს / ლალის ფარჩა / და ოქრომკედი, b
ვერცხლის სურგბში / სჩქეფს ღვინო და / სხვა სასმელები, a
ანათებს დარბაზს / ვეზირების / ტანსაცმელები... a
... და დაღალულან / დედოფალის / თეთრი ხელები, a
დედოფლის სახე / ფერმკრთალია, / ვით ნისლში გედი. b
ანათებს დარბაზს / ვეზირების / ტანსაცმელები, a
ცეცხლისფრად ელავს / ლალის ფარჩა / და ოქრომკედი. b
(იაშვილი 2000: 26)

საყურადღებოა ერთიც: ტრიოლეტის | ტაეპის 3-ჯერ განმეორება მხოლოდ ლექსის ფორმას არ უნდა ემსახურებოდეს. იგი მიმანიშ-

ნებელია ტრიოლეტში ჩადებული განწყობის, მთავარი სათქმელისა. ვალერიან გაფრინდაშვილთან „ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა“ ლექსის დედააზრია, რომელიც უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს გამეორების დროს, ხოლო ყველა დანარჩენი სტრიქონი სსნის ამ მოწყენის მიზეზს. პაოლო იაშვილის I ტრიოლეტშიც მეფის სახე იკვეთება: „ქორნილი ხარობს და სხივოსნობს მეფე ძვირფასი“. II ტრიოლეტი ქორნილის სხვა „აქსესუარებს“ უსვამს ხაზს: „ანათებს დარბაზს ვეზირების ტანსაცმელები“. III ტრიოლეტი ამას მოგვითხრობს: „მოსწყინდა მეფეს ეს ნადიმი და სილამაზე“. IV ტრიოლეტი ქორნილის დასრულებაზე საუბრობს: „სეფე დარბაზში მზის სხივების ცეცხლი ანთია“.

როგორც ჩანს, პაოლო იაშვილის ტრიოლეტები მისდევენ ტრიოლეტის სტრუქტურას როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით.

„ცისფერყანწელებიდან“ საინტერესოა კოლაუ ნადირაძის ტრიოლეტები. ცნობილია მისი ექვსი ტრიოლეტი. პირველი სამი გაერთიანებულია სათაურში „ტრიოლეტები“, მეორე სამი შეტანილია სათაურში „ტრიოპტიხი“.

პირველ — სამ ტრიოლეტში მიმართვის ობიექტი საყვარელი ქალია:

კიდევ ცოტა ხანს / დაიცადე, / ჩემო ძვირფასო, a
 კიდევ ცოტა ხანს / იხმაურებს / ჩემში გრიგალი! b
 მინდა სინაზით / ეს წუთები / ახლა ავავსო. a
 კიდევ ცოტა ხანს / დაიცადე, / ჩემო ძვირფასო! a
 შემდეგ გატყდება, / დაიღვრება / ავსილი თასი a
 და ჩანაცრდება / სამუდმოდ / ჩემს გულში ალი... b
 კიდევ ცოტა ხანს / დაიცადე, / ჩემო ძვირფასო, a
 კიდევ ცოტა ხანს / იხმაურებს / ჩემში გრიგალი... b
 (ნადირაძე 1979: 99)

აქაც 14-მარცვლიანია სტრიქონი, რითმები 5-მარცვლიანი: ჩემო ძვირფასო / ახლა ავავსო. რითმები ურთიერთიდენტურია. განმსაზღვრელი თემაა — „კიდევ ცოტა ხანს დაიცადე, ჩემო ძვირფასო“. I ტრიოლეტი საინტერესოა იმით, რომ აქ „თხრობა“ ანტყოოთი ან ნარსულით კი არ შემოიფარგლება (როგორც ამას ვალერიან გაფრინდაშვილსა და პაოლო იაშვილთან ვხედავთ), არამედ მომავალს უკავშირდება.

შემდეგ გატყდება, დაიღვრება ავსილი თასი.

და ჩანაცრდება სამუდამოდ ჩემს გულში ალი.

II ტრიოლეტში თხრობა უბრუნდება წარსულს, ანუ პოეტი ტრიოლეტისთვის ტრადიციულ ფონს ამზადებს:

ბედნიერებით გვაერთებდა ჩვენი ბავშვობა, a
პირველი მზერა, სიყვარული და ურუანტელი“. b
მაგრამ ეს კვნესა, ატირებულ გულით ნაშობი, a
გლოვაა მისი, რომ გათავდა ჩვენი ბავშვობა!.. a
თუ შენი სახის დავინყებას გული არ შერება, a
მხოლოდ იმიტომ, რომ უკვდავი არის ბავშვობა, a
პირველი მზერა, სიყვარული და ურუანტელი. b

ვხედავთ, რომ II ტრიოლეტი განსხვავებულია. IV სტრიქონში I ტაების განმეორება არ ხდება. მას სხვა სტრიქონი ენაცვლება, მაგრამ პირველიცა და მეოთხე სტრიქონიც ბავშვობით ბოლოვდება. მეშვიდე ტაეპიც განსხვავებულია:

„მხოლოდ იმიტომ, რომ უკვდავი არის ბავშვობა“. — შესაბამისად, თუ ტრიოლეტს ერთი სტრიქონის სამჯერ გამეორების გამო ეწოდა ასე, მაშინ კოლაუნადირა და მეოთხე სტრიქონში ეს ფორმა დარღვეულია. ანალოგიურია III ტრიოლეტიც. აქ პირველი ტაეპი „მხოლოდ ერთია სიხარული და მოგონება“ მეოთხე სტრიქონში ასე ტრანსფორმირდება: „რადგან ერთია სიხარული და მოგონება“, ხოლო მეშვიდე სტრიქონში ასეთია: „დარჩეს სიმღერა, როგორც კვნესა და მოგონება“. როგორც აღინიშნა, ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ — არა მხოლოდ სიტყვათა იდენტურობა, არამედ შინაარსის იგივეობა. II ტრიოლეტის მთავარი თემაა ბავშვობა, ხოლო III ტრიოლეტი ბავშვობის მოგონებაზე აკეთებს აქცენტს.

რაც შეეხება „ტრიპტიხში“ შეტანილ ტრიოლეტებს, აქ დაცულია ტრიოლეტის კანონიკა. თემა კვლავ სიყვარულია:

მე მენატრება შენი ყელი, თეთრი, გედური,
და ფარჩეულზე შენი ხელის ნაზად გასობა!
(ნადირაძე 1979: 165)

საინტერესოა მეორე ტრიოლეტი:

თვით ჰანიბალიც / ისურვებდა / შენსა ხასობას, a
და კართაგენში / წაგიყვანდა / სასიყვარულოდ; b
იქ შენთვის მთვარე / დაინყებდა / ცივ ალმასობას! a
თვით ჰანიბალიც / ისურვებდა / შენსა ხასობას... a

შენ ლედი მაკბეტ / შეგნატრებდა / ხშირად მსგავსობას a
და უბრძანებდა / ქმარს მოეკალ / ღამე ფარულად... b
თვით ჰანიბალიც / ისურვებდა / შენსა ხასობას a
და კართაგენში / წაგიყვანდა / სასიყვარულოდ. b
(ნადირაძე 1979: 165)

კოლაუ ნადირაძის ხელნაწერებში დაცულია ეს მეორე ტრიოლეტი და დასათაურებულია ასე: „ფრაგმენტი „ტრიპტიხი“-დან ტრიოლეტი II“, რომელიც რვა სტრიქონის ნაცვლად, შვიდ სტრიქონიანია. მას სტრიქონი „თვით ჰანიბალიც ისურვებდა შენსა ხასობას“ აკლია, რაც არღვევს ტრიოლეტის ფორმას, ხოლო კრებულში ეს IV სტრიქონი შეტანილია...

უნდა ალინიშნოს, რომ ტრიოლეტში ხშირი და ნიშანდობლივია ეპითეტების, შედარებების გამოყენება: „ვარ მოწყენილი, ვით ზამ-თარში ნაზი ბელურა“ — შედარება, ეპითეტი (ვალერიან გაფრინდაშვილი) („თეთრი ვერსალი“ — ეპითეტი); „და სხივოსნობს მეფე ძვირფასი“ — ეპითეტი („ფილუზის თასი ქარვისფერი ღვინით აიგსო“; „და დაღალულან დედოფაალის თეთრი ხელები“ — ეპითეტი (პალლ იაშვილი). „თუ სიყვარული დღეს მინათებს, როგორც კანდელი“ — შედარება; „მე მენატრება შენი ყელი, თეთრი გედური“ — ეპითეტი (კოლაუ ნადირაძე).

„ცისფერყანწელთა“ ტრიოლეტებიდან გამოირჩევა შალვა კარმელის „საფირონის ტრიოლეტები“, სადაც სამი ტრიოლეტი ერთიანდება: I ტრიოლეტის სათაურია, „ქარისციხე ქუთაისში“:

იხრჩობა ქარში / ქუთაისი / ნაფორიაქი, a
ფრთამარდ ეოლის / ჭიხვინებენ / გიუი მერნები b
შეშლილმა დამემ / შეისუნთქა / თიოქმის თრიაქი. a
იხრჩობა ქარში / ქუთაისი / ნაფორიაქი. a
დაჯდა ლაქვარდის / დომინოზე / მთვარე იაქი, a
მოპანგა შხამით / საროსკიპო / და ტავერნები b
იხრჩობა ქარში / ქუთაისი / ნაფორიაქი. a
ფრთამარდ ეოლის / ჭიხვინებენ / გიუი მერნები. b
(კარმელი 2000: 93)

შალვა კარმელი იცავს ტრიოლეტის სტრუქტურას. მეორე, მეექვსე და მერვე სტრიქონების რითმები იდენტურია, მაგრამ შინაარსის თვალსაზრისით შემოაქვს განსხვავებული — არა სულიერი მდგომარეობის აღნერა, არამედ ბუნების სურათების დემონსტრირება. ჭიხვინებენ / გიუი მერნები — ტრიოლეტის მთავარი თემაა: „იხრჩობა ქარში ქუთაისი ნაფორიაქი“. ამასთანავე, ყურადღებას

იქცევს ლექსის ბგერწერა, კერძოდ ალიტერაცია. შალვა კარმელი „რითმის სიზუსტითაც გამოირჩევა, რაც ერთგვარად უხდება ტრი-ოლეტის კონსტრუქციას: „ნაფორიაქი — თრიაქი — იაქი“. ვალერი-ან გაფრინდაშვილი შალვა კარმელს „რითმის კავალერს“ უწოდებს, ხოლო პაოლო იაშვილი აღნიშნავდა: „შალვა კარმელი ჩუქურთმების ოსტატი იყო პოზიაში. მას, როგორც მთვარეულს, იტაცებდა რითმა და ლექსის გამართულობით ის ყოველთვის საკვირველი იყო“ (კარმელი 2000: 5).

II ტრიოლეტშიც სათაურით „სურნელი თოვა“ ბუნების სურათია აღწერილი: „თეთრ ყვავილებით ფანჯარასთან ფშვინვენ ტყემლები“.

III ტრიოლეტში ამას სულიერი მარტობა ენაცვლება:

ვით ეს სტრქონი, — ჩემი სევდაც წავა და მოვა,

ისევ საზანდარს ატირებენ მგოსნის თითები...

(კარმელი 2000: 94)

„ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრი შალვა აფხაიძეც ტრი-ოლეტებს წერს. ცნობილია მისი ოთხი ტრიოლეტი, მაგრამ ისინი გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან: 1. ცხრატაეპიანია (ცნობილია, რომ ცხრატაეპიანი ტრიოლეტის ნიმუშები ქართულ პოეზიაში იოსებ გრიშაშვილს ეკუთვნის სახელწოდებით „ტრი-ოლეტები შეითანბაზარში“). 2. იდენტური რითმის შესატყვისი არა მე-2, მე-6 და მე-8 სტრიქონებში, არამედ მე-2, მე-6, მე-7 და მე-9 ტაეპებში გვხვდება: ყვავილთა ღვარად — სივრცეში წყნარად — ცრემლად დამდნარა — ყვავილთა ღვარად. 3. ნაცვლად I, IV და VII სტრიქონებისა მეორდება I, IV და VIII სტრიქონები, რაც ცხრატაეპიანობით არის განპირობებული:

რა მიხარია / რომ თბილისში / ვარ მთაწმიდელი, a

ბესიკის ბალი / რომ მეფრქვევა / ყვავილთა ღვარად b

და კოჯორს სიოც / მიალერსებს / დამცხრალი, ნელი, a

რა მიხარია, / რომ თბილისში ვარ მთაწმიდელი, a

და მისი სავსე / მთვარე დადის / სივრცეში წყნაად b

ახ, აქ — რამდენჯერ / ჩემი ტრფობა / ცრემლად დამდნარა, b

დამტენებია / თვეზე ღამე / გულგრილი, გრძელი, a

რა მიხარია / რომ თბილისში / ვარ მთაწმიდელი, a

ბესიკის ბალი / რომ მეფრქვევა / ყვავილთა ღვარად. b

(აფხაიძე 1945: 30)

ვხედავთ, რომ ტრადიციული ტრიოლეტის მსგავსად, შალვა აფხაიძეც I-II ტაეპებს ჯვარედინი რითმით იწყებს: მთაწმიდელი / ყვავილთა ღვარად; ამას მოსდევს წყვილები, იდენტური რითმა:

დამცხრალი, ნელი / ვარ მთაწმიდელი, რაც ისევ ტრიოლეტის-თვის არის დამახასიათებელი, ხოლო შემდეგ ხდება დამატებითი ტაეპის ჩასმა, რომელიც ხ რითმის შესაბამისია, რომლის მომდენო ორი სტრიქონი არის არა ჯვარედინრითმიანი, არამად ab-ს ნაცვლად ჯდება ba, ამას მოსდევს ab და იკვრება ე.ნ. რკალური რითმა baab: ცრემლად დამდნარა / გულგრილი გრძელი / ვარ მთაწმიდელი / ყვავილთა ღვარად.

იგივე სტრუქტურაა შემდეგ ტრიოლეტებშიც, რომელთა დედა-აზრსაც ამ სტრიქონებით გამოხატავს პოეტი: „დილით ალვის ხე მე-სალმება მე აქ პირველი“ — II; „რა საამოა მაღლა სწრაფვა, ფრენა მწვერვალზე“ — III. როგორც ვხედავთ, შალვა კარმელის მსგავსად, აქაც პერიზაჟებია პოეტის ყურადღების საგანი, მაგრამ IV ტრიოლეტში ისევ სიყვარულის ობიექტი შემოდის:

კვირა დღე იყო მან ამ ქუჩით რომ აიარა
და სილამაზით შეარხია მთელი მანძილი.
(აფხაიძე 1945: 31)

ლექსის აგებულება აქაც განსხვავებულია. შალვა აფხაიძის ტრიოლეტება და ტრადიციულ ტრიოლეტს შორის საერთო 14-მარცვლიანი სტრიქონები და 5-მარცვლიანი რითმაა.

შესაბამისად, ვხედავთ, რომ ევროპული მყარი სალექსო ფორმა ტრიოლეტი „ცისფერყანნელებისათვის“ ერთგვარი „ნავთსაყუდელია“ როგორც ქართულ პოეზიაში მათ მიერ გაბატონებული 14-მარცვლიანი ლექსის (5/4/5), ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

დამოცხვანი:

აფხაიძე 1945: აფხაიძე შ. ლექსები. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1945.

იაშვილი 2000: იაშვილი პ. ქართული სიტყვიერება. თბ.: საქპრესა“, 2000.

კარმელი 2000: კარმელი შ. ბაბილონი. თბ.: „დედაენა“, 2000.

ნადირაძე 1979: ნადირაძე კ. ერთტომეული. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ნადირაძე 1927-1984: ნადირაძე კ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერები. თბ.: 1927-1984.

თამარ გელაშვილი

მისტიური ქალის სახე დანტე გაბრიელ როსეტის შემოქმედებაში

ფრიდრიხ ნიცშე თავის ნაწარმოებში „ანტიქრისტე“ წერს, რომ „ქალის შექმნა, ღმერთის მეორე შეცდომა იყო“ (ნიცშე 2009: 32). თუმცა, ალბათ, ეს ყველაზე კარგი „შეცდომა“ იყო, რადგან რომ არა ევა, ადამი მოსაწყენი ცხოვრებით იცხოვრებდა ედემის ბაღში და არ მოხდებოდა მისი იქიდან გამოდევნა, შესაბამისად, არაფერი იარსებებდა, მოსაწყენი და მარადიული ჰარმონიის გარდა. ევამ, რომელმაც ერთი შეხედვით დალუპა ადამი, სინამდვილეში ახალი სიცოცხლე შთაბერა მას, რადგან სწორედ აკრძალული ნაყოფის ჭამისა და სამოთხის ბაღიდან გამოდევნის შემდეგ ჰარმონია დის-ჰარმონიამ შეცვალა, ბედნიერება — ტანჯვამ, ხოლო მარადისობა — დროებითობამ. მან კი ის გამოიწვია, რომ ჰარმონიისა და მარა-დიულობისაკენ ლტოლვის სურვილი და აუცილებლობა გაჩნდა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ და ნათლად ხელოვნებაში აისახა.

იქიდან გამომდინარე, რომ ხელოვნებას საუკუნეების მანილზე მამაკაცები ქმნიდნენ, უდავოა, რომ ქალის სახეს ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სხვადასხვა მწერალი სხვადასხვაგ-ვარად ნარმოგვიდგენს ქალს, ხანდახან ის მამაკაცთა დამლუპვე-ლად გვევლინება, ხანაც პირიქით — მათ მხსნელად. ასე იქცა ქალი, როგორც გაღმერთების, ასევე ზიზღისა და გმობის ობიექტად. ქალი ერთი შეხედვით, ადვილად გამოსაცნობი და, ამავდროულად, მის-ტიურიცაა. მამაკაცები ერთდროულად იხიბლებიან და ეშინიათ კი-დეც მისი.

სტატიის მთავარი ამოცანაა, განიხილოს მისტიური ქალის სახე, ერთ-ერთი გამორჩეული პრე-რაფაელიტის პოეტისა და მხატვრის, დანტე გაბრიელ როსეტის შემოქმედებაში. თუმცა ვიდრე უშუალოდ საკვლევ საკითხზე გადავიდოდეთ, ალბათ, აუცილებელია ორიოდე სიტყვა ითქვას პრე-რაფაელიტებისა და მათი საძმოს შესახებ, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენს ნარმოადგენდა ინგ-ლისურ ლიტერატურაში.

პრე-რაფაელიტთა საძმო ინგლისელი მხატვრების, პოეტებისა და კრიტიკოსების გაერთიანება იყო, რომელიც 1848 წლის სექტემ-ბერში, ინგლისში ჩამოყალიბდა. მას სათავეში დანტე გაბრიელ როსეტი, უილიამ ჰოლმან ჰანტი და ჯონ ევერეტ მილე ედგანენ. ამ სამეულს შემდგომში კიდევ ოთხი წევრი შეუერთდა: უილიამ მაკელ როსეტი, ჯეიმს კოლინსონი, ფრედერიკ ჯორჯ სტივენსი და ტომას

ვულნერი. უდავოა, იბადება კითხვა, თუ რატომ უწოდებდნენ ისინი თავიანთ თავს პრე-რაფაელიტებს? ამის მიზეზი ის იყო, რომ საძმოს აზრით, რაფაელის შემდეგ მხატვრობა მანერული და არაგულ-წრფელი გახდა. შესაბამისად, ისინი თავიანთ ამოცანად მიიჩნევ-დნენ ადრეული იტალიური რენესანსის ბუნებრიობისა და სინრფე-ლის დაბრუნებას.

პრე-რაფაელიტთა საძმოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებუ-რებას ისიც წარმოადგენდა, რომ მათთვის პოეზია და მხატვრობა განუყრელი იყო და მათი უმეტესობა, წერის გარდა, ხატავდა კიდეც.

ერთ-ერთი, ყველაზე გამორჩეული წევრი პრე-რაფაელიტთა საძმოდან დანტე გაბრიელ როსეტი იყო. მისი ნახატების წყარო მისი საყვარელი მწერლები და მათი შემოქმედება იყო, მათ შორის: შექსპირი, კოლრიჯი, გოთე; თუმცა ყველასაგან გამორჩეული ადგილი დანტე ალიგიერს ეკავა. როსეტი ცდილობდა, თავადვე აქსესნა ის სიმბოლოები, რომელსაც იყენებდა და ამისათვის სურათის ჩარჩოს მიმართავდა. მაგალითად, თავის პირველ ნახატს, რომელიც მან უკვე პრე-რაფაელიტთა საძმოს ფარგლებში შექმნა ჰქოლმან ჰანტის სტუდიაში, ამხსნელობითი სახის სონეტი მიაწერა. ეს სურათი და ლექსი ყველასათვის ცნობილი ქალწული მარიამის ახალგაზრდობას ასახავს.

როგორც დანტე გაბრიელ როსეტი წერს, წითელი ტილო იმის სიმბოლოა, რომ ქრისტე ჯერ არ დაბადებულა. წიგნები, რომელთაც თავზე ოქროსფერი წიგნი ადგვთ, არის ქველმოქმედების სიმბოლო, როგორც პავლე ამბობს, შროშანების უმანკოებას გამოსახავს, შვიდეკლიანი ვარდი და შვიდტოტიანი პალმა, წმინდა მარიამისათვის ჯილდოცაა და სასჯელიც. უდავოა, რომ ეს სიმბოლოები ალუზია ქრისტეზე, თავად რიცხვ შვიდს კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიბლიაში და მას მრავალჯერ ვხვდებით. ხოლო მტრედის უკანა ფონზე სულინმინდაა.

როსეტის მხატვრობისა და პოეზიაში ერთ-ერთ ცენტრალურ ხატს ქალი წარმოადგენს, რომელსაც მისთვის ხშირად მისტიკური ხასიათი აქვს. ქალის სახის როსეტისეული გააზრება სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდან არის ნასაზრდოები, მათ შორის არის დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ და ტომას მელორის „არტურის სიკვდილი“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული როლი მისმა პირადმა გამოცდილებამაც შეასრულა.

1860 წელს როსეტიმ ელიზაბეტ სიდალზე იქორნინა, მიუხედავად იმისა, რომ ლიზი ამ დროისათვის მომაკვდავი იყო და ორი წლის შემდეგ ოპიუმის ზედმეტი დოზის მიღებისაგან გარდაიცვალა. ლიზის სიკვდილის შედეგად კი როსეტიმ თავისი „ბეატრიჩე“ შექმნა,

რომელიც, თითქოს, ერთი შეხედვით, დანტეს ბეატრიჩეზეა, თუმცა თუ დავაკვირდებით, ლიზიზე უფროა. ნახატი სავსეა სიმბოლიზ-მით: წითელი მტრედი ბეატრიჩეს ხელზე, სიკვდილი სიმბოლოა, მზის საათი, რომელიც უკანა პლანზეა, ცხრა საათს უჩვენებს, ეს ელიზაბეტ სიდალის გარდაცვალების დროა; როსეტი 1863 წელს ელენ ჰიტონთან გაგზავნილ წერილში წერს:

„ალბათ გახსოვს ის მიმართება, რაც დანტეს ჰქონდა რიცხვ ცხრასთან და ბეატრიჩესთან. პირველად მას ხვდება ცხრა წლის ასაკში, ის კვდება ცხრა საათზე 1290 წლის 9 ივნისს. ამით ყვე-ლაფერის ნათქვამი. დანტე მას მიიჩნევდა და აიგივებდა რიცხვ „ცხრასთან“, ანუ ცხრა სრულყოფილი რიცხვია, ანდაც სრულყო-ფილების სიმბოლო“ (უილტონი... 1997: 154).

ცხრა, ისევე როგორც სხვა რიცხვები, მნიშვნელოვანი სიმბო-ლების მატარებელია. საფიქრებელია, რომ დანტე შემთხვევით არ უნდღებდა ბეატრიჩეს „ცხრას“, რადგან ცხრა სულგრძელობის, ჰარმონიის, შთაგონების სიმბოლოა. იქიდან გამომდინარე, რომ ცხრა 3X3-ის ერთობაა, სრულყოფილების სიმბოლოა. ამას გარდა, ცხრა მარადიულობასაც გამოხატავს. ალბათ, ისიც არ უნდა დავი-ვინყოთ აპოლონი და მისი ცხრა მუზა. ბეატრიჩე დანტეს მუზა იყო, ხოლო ელიზაბეტი — როსეტის.

ბეატრიჩეს ხელში ყაყაჩო უჭირავს, რომელიც სწორედ ის ოპი-უმია, რომელმაც ელიზაბეტი შეიწირა. უკანა პლანზე არ შეიძლება არ შევნიშნოთ ქალი და მამაკაცი, სავარაუდოდ, დანტე და ბეატ-რიჩე, ამ უკანასკნელს ხელში სინათლის სხივი უკავია, რათა გზა გაუნთოს დანტეს, თუმცა თუ დანტეს სახეს დავაკვირდებით, იგი თითქოს მისგან მოშორებით დგას და ამრეზითაც კი უყურებს მას. ალბათ, როსეტის ამ სურათით თავისი და ლიზის ურთიერთობის ჩვენება სურდა და არა დანტესი და ბეატრიჩესი. ლიზის შეეძლო ყო-ფილიყო მისთვის ბეატრიჩე და მისი გზამკვლევი, თუმცა დანტესა-გან განსხვავებით, როსეტიმ ეს არ მოინდომა. ასევე აღსანიშნავია ის კედელიც, რომელიც ამ ორ პლანს შუაზე ჰყოფს და საფიქრებე-ლია, რომ როსეტიმ ეს კედელი ტყუილად არ ააგო.

მისტიური ქალის სახე, როსეტის ნახატების გარდა მის ლექსებ-შიც გვხვდება. აშკარაა, რომ როსეტის ერთდროულად იზიდავს კიდევაც ეს მისტიური ქმნილებები და აშინებს კიდეც.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს როსე-ტის ლექსი „დალოცვილი ქალბატონი“ (The Blessed Damozel’), რომელზედაც როსეტიმ არა მხოლოდ ფერწერული ტილო შექმნა, არამედ ლექსიც. ორივე ნახატიცა და ლექსიც ერთი და იმავე მის-ტიური სიმბოლიკის მატარებელია. უცნაური სიყვარულის ისტო-

რია, რომელიც ამ ნაწარმოებშია, შთაგონებულია ედგარ ალენ პოს „ყორნისაგან“, სადაც გადმოცემულია პოეტის განცდები საყვარელი ქალის, ლენორის, გარდაცვალების გამო. როსეტიმ თავის ბიოგრაფს თ. ჰოლ კეინს მისწერა, რომ მისი ეს ლექსი პოს ყორნის გაგრძელება იყო: „მე დავინახე, რომ პომ შეუძლებელი შეძლო და გადმოგვცა დედამიწაზე არსებული მგლოვიარე შეყვარებულის ხატი, და მე გადავწყიტე აბსოლუტურად შემეცვალა გარემოება და მიმეცა შესაძლებლობა განოეთქვათ ის ტაჯვა რომელსაც ზეცაში მყოფი საყვარელი ადამიანი განიცდის, რომელიც სიკვდილის ძალით იძულებულია დაშორდეს დედამიწაზე იმას, რომელიც უყვარს“ (კეინი 2008).

ეს ლექსი დატვირთულია მრავალი სიმბოლოთი, და აღსანიშნავია, რომ პოეტმა ლექსის პირველი ოთხი სტროფი ნახატის ჩარჩოზე მიაწერა. ორი, ყველაზე მნიშვნელოვანი, სიმბოლო პირველი ტაეპის ბოლოს გვხვდება, როდესაც პოეტი აღგვინერს ქალბატონს:

She had three lilies in her hand,
And the stars in her hair were seven
(როსეტი 2012: 343)

მას ჰქონდა სამი შროშანი ხელში
და მის თმაში შვიდი გარსკვალი იყო ჩამაგრებული

უდავოა, იბადება კითხვა, თუ რატომ უჭირავს ხელში დალოცვილ ქალბატონს ხელში შროშანი და ვარსკვლავი?

ცნობილია, რომ შროშანი სიმბოლური დატვირთვის მატარებელი ყვავილია. ძველი ბერძნები შროშანს ჰერასთან, ზევსის ცოლთან აკავშირებდნენ. მათ მაჩნდათ, რომ ჰერაკლეს კვების დროს ჰერას რძე დაიღვარა და აქედან გაჩნდა ეს ყვავილი. რომაელებისათვის ეს ყვავილი სექსუალურობასთან ასოცირდებოდა, იმის გამო რომ შროშანს საკმაოდ მოზრდილი ბუტკოები აქვს. შროშანი ბიბლიაშიც ხშირად არის ნახსენები და აქ ის სინმინდესთან ასოცირდება. არსებობს ქალწული მარიამის ბევრი სურთი, სადაც ის შროშანთან ერთად არის გამოსახული და ეს ყვავილები მისი რწმენისა და უმანკოების სიმბოლოა. ამას გარდა, შროშანი ახალგაზრდობასთანაცაა დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ როსეტის შროშანი ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, ქალბატონის ახალგაზრდობას, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს და, ტკივილს მატებს ამ დანაკლისს. სამი შროშანი კი წმინდა სამების ხაზგასმას ემსახურება.

ვარსკვლავი, რომელსაც მრავალი სიმბოლური დატვირთვა აქვს, ერთ-ერთი ვერსიით, ქრისტეს ხუთ ჭრილობას განასახირებს

და როსეტის სურდა, ხაზი გაესვა, თუ რა ძლიერი იყო ის ტანჯვა, რასაც ეს ქალბატონი განიცდიდა იქ ზეცაში, საყვარელი ადამიანისაგან მოშორებით. ციფრი შვილი სულიერი სრულყოფილების სიმბოლოა და სულინმინდას გამოხატავს.

„კურთხეული ქალბატონის“ პერსონაჟი ქალისაგან სრულებით განსხვავებული, თუმცა მასავით მისტიური, მაგრამ ამ შემთხვევაში ფატალური ქალის სახეს ქმნის როსეტი ერთ-ერთი სონეტში „სხეულის მშვენიერება“ (Body's beauty). სონეტის მთავარი პერსონაჟი ლილიტი წარმოდგენილია, როგორც ოქროსფერომიანი, მარად ახალგაზრდა, მაცდური ქალი, რომელიც თვალისმომომჭრელ ბადეს ქოვს, რომელშიც კაცებს აბამს.

And still she sits, young while the earth is old,...
Draws men to watch the bright web she can weave,
Till heart and body and life are in its hold.

(როსეტი 2012: 265)

ებრაული ფოლკლორის თანახმად, ლილიტი ადამის პირველი ცოლი იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც მან ადამის სრული მორჩილება არ მოისურვა, გაძევებულ იქნა ედემის ბალიდან და დემონური ხასიათის მატარებელ პერსონაჟად მოგვევლინა. ადამს კი ღმერთმა მეორე ცოლი ევა უბოძა, რომელიც მისი ნეკნისაგან შექმნა, რაც მისი მორჩილების გარანტია იქნებოდა.

ლეგენდის თანახმად, ლილიტი ძაფს ართავდა და მრავალრიცხოვანი საყვარლები ჰყავდა, რომელთან ურთიერთობის შედეგად მრავალი შვილი შეეძინა, რომლებიც შემდეგ დედამიწას მოედვნენ. ხოლო, როდესაც უკან დაბრუნება უნდათ, ისინი ამისათვის სარკეს იყენებენ. ამიტომ მიიჩნეოდა, რომ ლილიტი ყველა სარკეში ცხოვრობდა. ლილიტზე ბევრი ძველებრაული თქმულება არსებობს, რომლებშიც ის ნეგატიურ და დემონური ნიშან-თვისებების მატარებელ ქალადაა წარმოდგენილი, ლილიტი ძლიერი და ფატალური ქალია, რომელიც კაცების მბრძანებლობას არ ემორჩილება. ის ვიქტორიანული ეპოქის ქალის იდეალს უპირისპირდება და, სავარაუდოა, რომ სწორედ ეს იზიდავს როსეტის მასში. ლილიტი მამაკაცებში ვნებას და ამასთანავე შიშს აღძრავს, რადგან თუ მისი გავლენის ქვეშ მოექცევი, ვეღარ გათავისუფლდები, თუმცა მისი მიმზიდველობისაგან თავის შორს დაჭერა ძალიან ძნელია.

სურათზე ლილიტი ვარდისა და ყაყაჩის თანხლებით არის გამოსახული. ვარდი სიყვარულის სიმბოლოა, ხოლო ყაყაჩი იპიუმსა და ზმანებასთან ასოცირდება, შედეგად, როსეტის იმის ხაზგასმა

სურდა, რომ ის სიყვარული, რომელიც კაცებს ლილიტთან აკავშირებს, ზმანების მაგვარი უფრო და რეალობას არ შეესაბამება.

კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელშიც როსეტი ქალის სახეს კიდევ ერთი ახალი წახნაგით წარმოგვიდგენს — „ფიამეტას ხილვაა“, რომელიც როსეტიმ 1878 წელს შექმნა, და მსგავსად წინა ორი სონეტისა, ამ ლექსსაც სახით ნახატი მოჰყვება.

While she, with reassuring eyes most fair,
A presage and a promise stands; as 'twere
On Death's dark storm the rainbow of the Soul.

(როსეტი 2012:92)

სურათის ჩარჩოზე სამი ტექსტია წარმოდგენილი: ბოკაჩიოს სონეტი „ფიამეტას ბოლო ნახვა“, ამ სონეტის როსეტისეული თარგმანი და როსეტის ლექსი, რომელის ფიამეტას, ბოკაჩიოს მუზას, ეძღვნება. ფიამეტა, წინა ორი ქალის მსგავსად, მისტიკიზა. მისი ნამდვილი სახელი მარია დაკვინო იყო, ფიამეტა კი ზედმეტსახელი და ითარგმნება, როგორც პატარა ალი. ფიამეტას სურთზე ალის-ფერი კაბა აცვია, რაც ალუზია მის სახელთან. მის უკან ფონი შავია. ანუ წინა პლანზე სიცოცხლეა, უკან კი სიკვდილი. წარმავალი ვაშლის ყვავილობა, რომლითაც ფიამეტაა გარემოცული, ხაზს უსვამს, რომ მშვენიერება წუთიერია. თეთრი და წითელი ყვავილების ცვენა სიმბოლურად გამოხატავს კვდომას. წითელი ჩიტი, რომელიც ფიამეტას თავზე ადგას, სიკვდილის მაცნეა. პეპელები კი, რომელიც გარს არტყია, სულის სიმბოლოა. ფიამატას თავზე შარავანდედი ადგას, რაც მის ანგელოსურ რაობას წინა პლანზე წევს.

როსეტის ლექსი, რომელიც ნახატს თანახლავს, მის აღნერას წარმოადგენს. ლექსის მთავარი სიმბოლო აქაც, როგორც „დალოცვილ ქალბატონში“ ახალგაზრდა ქალბატონის გარდაცვალებაა და, მიუხედავად იმ შავი ფონისა და ტრაგიკული განწყობისა, რომელსაც ლექსი განიცდის, მას მაინც იმედიანი და ნათელი დასასრული აქვს.

ბოლო სტრიქონში სიბნელეში ცისარტყელის დანახვა ის იმედია, რომელიც მკითხველს სჭირდება, რადგან ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანის სულს აქვს უნარი იყოს ცისარტყელის სხივი, იყოს შავი სიკვდილის გარემოცვაში. მუზის ფიზიკურმა სიკვდილმა არას-დროს არ უნდა გამოიწვიოს მისი სულიერი დაკარგვა, რადგან ასეთ შემთხვევაში შემომქმედი ვერაფერს ველარ შექმნის, სწორედ ამასვე ემსახურება ამ ლექსის იმედიანი დასასრული.

ამრიგად, დანტე გაბრიელ როსეტის შემოქმედებაში ქალის სახეს საინტერესო სიმბოლური დატვირთვა აქვს. იგი ხან მის ბეატრიჩედ

წარმოგვიდგება, ხან მაცდურ ლილიტად და ხან პოეტის მუზად. მაგრამ რაც აერთიანებს ყველა ამ სახეს, არის მისი მისტიურობა და პოეტური გამოხატვის საინტერესო ფორმა, რომელშიც პოეზია და მხტვრობა ერთმანეთს ავსებს და ერთად წარმოქმნის ქალის სახის ორგინალურ და საინტერესო გააზრებას.

დამოღვვანი:

ნიცშე 2009: Nietzsche F. *The Antichrist*. IAP, Las Vegas, 2009,

კეინი 2008: Project Gutenberg's *Recollections of Dante Gabriel Rossetti*, by T. Hall Caine, <http://www.gutenberg.org/files/25574/25574-h/25574-h.htm> (28/04/2013).

როსეტი 2012: Rossetti D. G. Poems. <http://www.poemhunter.com/> poem/ (28/04/2013).

უილტონი... 1997: Wilton A., Bryant B., Upstone R. *The Age of Rossetti, Burne-Jones & Watts: Symbolism in Britain 1860-1910*, exhibition catalogue, Tate Gallery, London 1997, pp.154-7 no.44.

„ცისფერყანწელთა“ ავტოპორტრეტები

„ცისფერყანწელები“ — პირველი ქართული ლიტერატურული სკოლის შემქმნელები საქართველოში. სკოლისა, რომლის წარმომადგენლებმა უცნობ ნილაბაფარებული სამყარო გააცნობიერეს და სცადეს ჩასწორებული სამყარო გააცნობიერეს. მათ ერთ-ერთ ძირითად პრინციპად საკუთარი „მეს“ გამორჩეულობის განსაკუთრებული შეგრძნება, ამასთანავე, პოეტური ნიღბების სიყვარული სახელდება.

სიმბოლისტი მწერლები პოეზიაში მხატვრული სახის ფუნქციით იყენებდნენ სიმბოლოებს. ცისფერყანწელებმა მხატვრულ სახეთა შერჩევისას, უპირატესობა სწორედ სიმბოლოს და მეტაფორას მიანიჭეს.

ესეში „ცისფერი ყანწებით“, სიმბოლიზმზე საუბრისას, მისი არსის ასახსნელად, ტიციან ტაბიძე რემი დე გურმონს იმოწმებს: „— რა არის სიმბოლიზმი? — კითხულობს გურმონი, — „თუ დავეყრდნობით სწორ გრამატიკულ მნიშვნელობას სიტყვისას, თითქმის, არაფერი. თუ კითხვას გავწევთ განზე, მაშინ იმას შეუძლია აღნიშვნა იდეათა მთელი რიგის: ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილ ფორმულების უარისყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი. ის ნიშნავს კიდევ იდეალიზმს, სოციალური რიგის ფაქტების უგულებელყოფას, ანტინატურალიზმს, ტენდენციას მხოლოდ იმ ხაზების გადმოცემისას, რომელიც ერთ ადამიანს მეორისაგან ანსხვავებს. სურვილს, საჭიროა, ის რაც არსებითა“ (ტაბიძე 1999:85).

„ცისფერყანწელები“ პოეტებისთვის პოზის აუცილებლობას მიიჩნევდნენ უპირველესად. პოზისა, რაც, ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა შემოქმედებისთვის და ასევე, იქნებოდა ნიჭის უტყუარი მაჩვენებელი.

პოეტურ პოზას საჭიროდ მიიჩნევდნენ, რათა ჰქონოდათ სინამდვილესთან პოეტური დამოკიდებულება. „მათთვის ლირიკა იყო ავტოპორტრეტი, მაგრამ არა ფოტოგრაფიული, რადგან ფოტოგრაფია გულისხმობდა გამეორებას, ავტოპორტრეტი კი პოზას. ამ პრინციპით იწერებოდა „ცისფერყანწელების“, როგორც საკუთარი, ასევე ერთმანეთის პორტრეტები.

ავტოპორტრეტებისთვის, ძირითადად, სონეტის მყარ ფორმას იყენებდნენ. სწორედ მათი დიდი დამსახურებაა სონეტის, როგორც ორიგინალური სალექსო ფორმის დამკვიდრება ქართულ პოეზიაში.

მათ ახსნეს და გაამჟღავნეს ღვთაებრივი საიდუმლო, რის სათქმე-ლადაც ლექსის ეს ფორმა იყო მომარჯვებული. სიმბოლისტებმა სონეტი გაიაზრეს, როგორც სიმბოლო, რაც უკვე გულისხმობდა სპეციფიკური შინაარსის, პრობლემატიკის სიმბოლოების მეშვეობით გადმოცემას. ისინი ამ სალექსო ფორმას ცხოვრებისეული ყალბი წესრიგის ნილბად სახავდნენ.

ქართველმა სიმბოლისტებმა ფრანგი პოეტების გამოცდილება გაიაზრეს და აითვისეს. მათ „ახალი, ორიგინალური, სიმბოლისტური თემატიკის დამუშავებისას, ეროვნული პოეზიისათვის უცხო სალექსო ფორმა გამოიყენეს, სადაც სიტყვები მუსიკალური უდერადობის მიხედვით იქნებოდა შერჩეული“ (ბარბაქაძე 2008:65).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ავტოპორტრეტზე და შევეცდებით მათში რამდენადმე სისტემურობის, რამდენადმე სიმბოლურობის დანახვა-ჩვენებას.

პირველ ყოვლისა, პაოლო იაშვილის „ავტოპორტრეტზე“ გესაუბრებით.

ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული,
ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული,
ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული
ვამაყობ მითი, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული.

დამონებულ ხალხს შევაპარე სიტყვა თარსული,
ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული,
მხოლოდ უალდის ყელსახვევით გაკვირვებული,
მათრობს გაშიში, სურნელება ძველი, სპარსული.

საქართველოში არ ინამეს ჩემი დენდობა,
მაგრამ ბოდლერის ცივი ლანდი მე თუ მენდობა,
ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი.

მე მახალისებს მხოლოდ ჩემი Salto-mortale,
შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა (1917).

მიუხედავად იმისა, რომ პოეტს სონეტში, თითქოს, სხვა თვალით დანახული, შეულამაზებელი საკუთარი თავი ჰყავს აღწერილი, მასში ნათლად ჩანს ავტორის არტისტული პოზა და მანერულობა. აქ წარმოდგენილია, როგორც ფიზიკური, ისე შინაგან-განწყობითი ანარეკლი. ხელოვნური პოზა, რომელიც ავტორს აქვს მორგებული, სონეტის მყარ ფორმაშიც ვლინდება. სონეტი, როგორც არისტოკრატიული ფორმა, „ცისფერყანწელთა“ განსაკუთრებული პატი-

ვისცემით სარგებლობდა. სწორედ ამ სალექსო ფორმით წერდნენ მედალიონებს, რომლებსაც ერთმანეთს ან უცხოელ სიმბოლისტ პოეტებს უძღვნიდნენ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის აზრით, „ამას ისინი პრინციპული მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევდნენ და ამ წესს სიმბოლიზმით გატაცების წლებში, თითქმის, ყველა „ცისფერყანწელი“ იცავდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა“ (ნიკოლეიშვილი 1995:224).

შალვა აფხაძის თქმით, პაოლო ხშირად ამბობდა, რომ სონეტი ტევადი ფორმაა, რომ მას პოეტი თავის განკარგულებაში ჰყავს და ავტორი ვალდებულია სათქმელი თოთხმეტ სტრიქონში ჩატიოს.

„სონეტი იხერებოდა ჩვენამდეც, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს სწორი სონეტი, რომლის კატრენებში ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთმანეთს ერითმება, ხოლო ტერცეტებში უფრო ჯვარედინი რითმებია, საერთოდ კი ამ შემთხვევაში პოეტს მეტი თავისუფლება ენიჭება“ (აფხაძე 1988:15).

პაოლოს „ავტოპორტრეტი“ შემდეგი სქემითაა წარმოდგენილი: (abba/abba/ccd/dee).

კატრენებში გვხვდება სამმარცვლიანი იდენტური რითმები (პირგაპარსული — წარსული; გათეთრებული — ჩაფიქრებული; თარსული — სპარსული; კრებული — გაკვირვებული) ტერცეტები კი — ოთხმარცვლიანი და სამმარცვლიანი იდენტური გარითმვის სისტემითაა წარმოდგენილი (დენდობა — მენდობა); (ხავერდსა — ალავერდსა)

აქ სარითმო სიტყვათა უმრავლესობა ავტორის მახასიათებელი ეპითეტებია (პირგაპარსული, გათეთრებული, ჩაფიქრებული, გაკვირვებული, მართალი...).

ვრცელი წარსულის არქონით გაამაყებული პოეტი ლამაზ რითმისთვის ჩაფიქრებული წარმოგვიდგება, რომლის სახეშიც, შესაძლოა, ყველა სიმბოლისტი ცნაურდებოდეს. ისინი ხომ ნაფიქრ-ნაპოვნ რითმებს საჩქრადაც კი უძღვნიდნენ ერთმანეთს. და ასე, რითმისთვის წუთით ჩაფიქრებული პაოლო, საკუთარ პოეტურ სულს გვიჩვენებს, თუმცა არც პოეტურსავე პოზას ივიწყებს და იქვე, ძველი სპარსული სურნელებით, ჰამიშით მთვრალი წარმოგვიდგება, მაშინ როდესაც საქართველოში მისი დენდობა არ ინამეს. და შაინც, შეჲხარის მზეს, ეტრფის მთვარის ყვითელ ხავერდს.

ტიციან ტაბიძის თქმით, ძველი ქართული მწერლობა, შემოქმედებითი ინტენსივობის თვალსაზრისით, რუსთაველით იწყებოდა და ბესიკით მთავრდებოდა. პაოლოს მიერ რუსთაველთან ალავერდის გადასვლაც, შესაძლოა, იმით იყოს განპირობებული, რომ „რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რაშიც ის ხვდება ედგარ პოს და პოლ ვერლენს“ (ტაბიძე 1999: 101).

პოეტის ავტოპორტრეტი ისეთივე შთამბეჭდავი, სხარტი და ლა-კონურია, როგორც მის მიერვე დახატული სხვადასხვა ეროვნების მწერალთა პორტრეტები. მასში პოეზის დანიშნულებაზეც, პო-ეტის საქმეზეც საუბრობს ავტორი.

„ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“, — ამბობს პოეტი, თუმცა, ამასთანავე, არ ერიდება აღიაროს, რომ ხელოვნური პოზა აქვს მიღებული, — ბუნებით შავია, ხელოვნურად გათეთრებული.

როგორც ჩანს, პალლო საკუთარ ბუნებრივ ფერად შავს მიიჩ-ნევს, აღსანიშნავია, რომ „ფსიქოლოგების დაკვირვებით, როდესაც ესა თუ ის ადამიანი შავ ფერს ანიჭებს უპირატესობას, ამით ის გაც-ნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ პროტესტს უცხადებს თავის ბედისწერას“ (აზიანიძე, ელაშვილი 2006: 84). ამასთანავე, საინტე-რესოა თეორი ფერის სიმბოლიკაც. ბუნებრივ სიშავეს ხომ, პოეტის თქმით, ხელოვნური სითეთრე ანაცვლებს.

ფიზიკურ სახესთნ ერთად, სულიერი განცდები, ინტერესე-ბი, შინაგანი სამყარო წარმოადგინა ტიციან ტაბიძემაც სონეტში „ავტოპორტრეტი“, რომელთან დაკავშირებითაც შ. აფხაიძე ამბობ-და: „არსებობს ტიციან ტაბიძის მრავალი ფოტოგრაფიული პორ-ტრეტი, მაგრამ ვფიქრობ, საუკეთესოა ის, რომელიც დახატა პო-ეტის ფუნჯით საკუთარ ლექსში“ (აფხაიძე 1988: 65).

უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები,
სარკეში იმალება თმაოთეთრი ინფანტა,
ღლიავის დაკოცნით მაღლე ვიღალები,
მწვავენ ტალღები, თმებმა რომ დაფანტა.

მასსენეს ელოდნენ დათლილი თითები,
ჯირითს რომ ელიან ფეხმარდი ცხენები,
სხვანაირ მუსიკის დღეს მპანენ ზცირთები,
ძვირფასად ვინთები ლექსების ხსენებით.

აზიურ ხალათში — ვით ფაშა ეფენდი,
ვოცნებობ ბაღდადზე მოღლილი დენდი,
ვფურცლავ მალარმეს „Divagations“-ს.

იყავი, რაც გინდა შავი, საცოდავი,
ცხოვრებაგ! ხელში მაქვს მე შენი სადავე,
რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ გაქციო (1916).

ტიციანისთვის მეტაფორა და სიმბოლო მთავარი მხატვრული სამუალებებია. პოეტის მეტყველების სტილი, ძირითადად, სიმბო-ლისტური და მეტაფორისტულია. სწორედ ამ ორ მხატვრულ ხერხს

ემყარება პოეტის მხატვრული მეთოდი მის მიერ სამყაროს ასახვა-გარდასახვისას.

მირიან აბულაძისაზრით, „ავტოპორტრეტი“ ტიციან ტაბიძის სიმ-ბოლისტური პოეზიის ესთეტიკური იდეალების გასაღებია. „სადაც პოეტი გვევლინება ჰიუსმანის პერცოგ დეზ'ესენტის როლში. ტყუილად კი არ ადარებს იგი თავის თავს ინგლისური ესთეტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს — ოსკარ უაილდს:

უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები,
სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა...
(ტაბიძე 1999: 139)

აქვე საინტერესო იქნება ცისფერი ფერის სიმბოლიკასაც თუ მივადევნებთ თვალს: „გოეთემ იშვიათი ლაკონურობით მონათლა ლურჯი (ცისფერი) ფერი: „მომხიბლავი არაარსი“. უფრო ზედმინევნითი დახასიათება ამ რომანტიული ფერისა ეკუთვნის აბსტრაქტული ფერწერის ერთ-ერთ ფუძემდებელს ვასილ კანდინსკის: „რაც უფრო უძიროა ლურჯი ფერი, მით უფრო უხმობს ის ადამიანს უსასრულობისაკენ, აღვიძებს მასში სიწმინდისადმი, და ბოლოს, ზეგრძნობიერებისადმი სწრაფვას.

ლურჯი ტიპური ზეციური ფერია. რაც უფრო იმსჭვალება ადამიანი ამ ფერით, მით უფრო მეტი სიმშეიდე ეუფლება მას... ლურჯი ფერის ძირითადი სიმბოლიკაა: უსასრულობა, მარადიულობა, ჭეშმარიტება, ერთგულება, რწმენა, უმანჯოება, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრება“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 82).

ამ სონეტში, ისევე, როგორც, ზოგადად, სიმბოლისტების შემოქმედებაში, პოეტური ფერწერის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ხაზება-მული. ფერწერა, რომელიც სათქმელს მეტ ემოციურობას სძენს.

როგორც კი წარმოვიდგენთ ტიციანს უაილდის პროფილით, ცისფერი თვალებით და თლილი თითებით, რომელიც ჯოჯოხეთური ცხოვრების სამოთხედ გადაქცევას ლამობს, გვახსენდება აკაკი განერელიას მიერ წარმოდგენილი ტიციანისავე პორტრეტი: „... თითები ჰქონდა იშვიათად გრძელი და ლამაზი, ფრჩხილებიც ფაქიზად მოვლილი, უფრო მშვენიერი თითები ჩემს თვალებს არ უნახავს.

გამუდმებულად პაპიროსი ეჭირა ხელში.
ზაფხულობით იცვამდა თეთრ და ფართო ჯიბეებიან „ტოლსტოვიას“ და მკერდზე მენამულ მიხაკს იბნევდა, რომელიც ქალაქში მარტოოდენ მისი გარეგნობის აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა... ...არტისტიზმი გამოსჭვიოდა თითოეულ მის უესტსა და ფრაზაში (განერელია 1988:239).

არტისტიზმითაა სწორედ გაუღენთილი ლექსების ხსენებით ძვირფასად ანთებული, ზვირთებით „სხვანაირი მუსიკისგან“ განპანილი ტიცანი.

აღნიშნულ სონეტში მარცვალთა რაოდენობა თითოეულ სტრიქონში 10-დან 13-მდე მერყეობს. კატრენები ჯვარედინი სამმარცვლიანი რითმითაა განყობილი (თვალები — ვილალები; ინფანტა — დაფანტა), (თითები — ზვირთები; ცხენები — ხსენებით) სქემით (abab).

კიდევ ერთი, სონეტად დაწერილი „ავტოპორტრეტი“ შალვა კარმელს ეკუთვნის. თუმცა მისი სათაური ცოტაოდენ განსხვავდება უკვე განხილულთაგან. „ავტოპორტრეტი პროფილში“ ასე უწოდა ავტორმა ლექსს, რომელსაც წარმოგიდგენთ:

დავკარგე გვარი, შევამცირე მისი გაისი;
და ცრუ სახელად ავირჩიე კარმელი, ძვირი.
ახ, ალბათ, ვინმეს ვეგონები უდაბნოს მწირი.
სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი.

მისდევს ლეილას ჰაშიშებით გიუი ყაისი.
მაგრამ ინფანტას ბრმა თვალებზე მე უფრო ვტირი.
გადიფრენს ქარი მკვდარ ქვეყნებზე ლანდებით ხშირი.
ჩემთან ლოცვებში მოლოზანად მოვა თაისი.

მეფისტოფელის წამოსასხამს ვშლი ცეპელინად,
რომ გავადევნო პოეზიას ყველა მიზნები.
მე მას, კარმელი, ვით მონასტერს, — შევეხიზნები.

ვტრიალებ დამწვარ არაბებში მზიურ ელლინად.
ვიცი: უთუოდ საამაყოდ მაქეს რეფლექსებში:
მდიდარი რითმა რომ გავმართე ქართულ ლექსებში! (1920)

აშკარად იგრძნობა პოეტის ევროპული სული და რაფინირებული ლექსისადმი მისი ლტოლვა. ზოგადად, ის ვერსიფიკაციული ძიებებით იქცევდა ყურადღებას. ვალერიან გაფრინდაშვილის შეფასებით: „შალვა კარმელი, უპირველეს ყოვლისა, რითმის კავალერი იყო... პოეზია და ლექსი იყო სტიქია შალვა კარმელის. ის კულტურული იყო ზედმინებით და იყო ნიშნები, რომ ის გახდებოდა ტეოდორ დე ბანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა...“ (კარმელი 2000:7).

როგორც ჩანს, რითმებისადმი მისი ამგვარი დამოკიდებულება თავადაც სრულად ჰქონდა გაცნობიერებული. მოცემულ სონეტში ავტორი აღნიშნავს:

ვიცი: უთუოდ საამაყო მაქვს რეფლექსებში:
მდიდარი რითმა რომ გავმართე ქართულ ლექსებში!

შალვა კარმელის პოეზია გმოირჩევა უცხო სიტყვათა სიმრავლით, სიტყვებისა, რომლებიც განმარტებას საჭიროებს, არა მარტო, მათი სიმბოლურობის გამო. გამონაკლისს არც „ავტოპორტრეტი პროფილში“ წარმოადგენს.

(მაგალითად: „**ყაისი** — ნამდვილი სახელია ცნობილი პოემის „ლეილა და მეჯნუნის“ გმირის — მეჯნუნის. მეჯნუნი შერქმეული სახელია და არაბულად ნიშნავს გიუს. ამ ძველი არაბული ლეგენდების ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული დამუშავება ეკუთვნის ნიზამი განჯელს (1188).)

ინფანტა — ესპანეთსა და პორტუგალიაში უფლისწულის ტიტული ან ამ ტიტულის მქონე პირი.

თაისი — იგულისხმება ფრანგი მწერლის ანატოლ ფრანსის (1844-1924) რომანის „თაისის“ (1890) გმირი. ძველი კოპტური ლეგენდის თანახმად, ალექსანდრიელი კურტიზანი ქალი — თაისი — მოექცა ქრისტიანად და შემდგომში აღიარებულ იქნა წმინდანად (ახ.წ. IV ს.) ფრანგ კომპოზიტორ მასნესაც აქვს დაწერილი ცნობილი ოპერა „თაისი“.

ცეპელინი — დირიჟაბლის ტიპი (გამომგონებლის გვარის მიხედვით) (კარმელი 2000: 125)).

„ახ, ალბათ, ვინმეს ვეგონები უდაბნოს მწირი.

სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი, — ამბობს პოეტი. პირველ ტაეპში „უდაბნო“ მის ჩვეულებრივად ქცეულ სიმბოლოდ (უნაყოფობის, უკაცრიელობის, მიუსაფარობის) შეიძლება გავიაზროთ. აქ, ერთი შეხედვით, უკიდეგანო ქვიშის ოკეანეში არსებული ღრმა სულიერების სავანე ჩანს. მით უფრო, რომ ავტორის სევდიანი განწყობაც იგრძნობა. „სხვა უდაბნოდ“ საქართველოს და, კერძოდ, ქუთაისის სახელდება კი დაგვაფიქრებს მის მონოთეისტურ გააზრებაზე: „უდაბნო, როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში არის ღვთისჩენის (გამოცხადების) ადგილი და ორივე მონოთეისტური რელიგია — იუდაიზმიც და ქრისტიანობაც — სწორედ უდაბნოს მიიჩნევენ თავის პირველად არეალად“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 68).

მეფისტოფელის წამოსასხამის დახმარებით, პოეტი პოეზიის-თვის მიზანთა გადევნებას ცდილობს. მიუხედავად ამისა, აპირებს, შეეხიზნოს მონასტერს. მონასტერი კი უფლის სახლი, წმინდა ადგი-

ლია: „კოსმიური ჰარმონიის მიწიერი ანარეკლი, ადამიანის ღმერთან მიახლების საკრალურად შემოსაზღვრული არე — სიმბოლო თავად სამყაროს“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 64).

შალვა კარმელი წერდა „ნაპირებგადალახულ“ ლექსებს, მსგავსად მისი „თანამოძმებისა (გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სანდორ ცირკიძის, კოლაუ ნადირაძის, პაოლო იაშვილის), თუმცა განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა სონეტისადმი, რომელსაც შესანიშნავი რითმებით აფორმებდა.“

სონეტის „ავტოპორტრეტი პროფილში“ კატრენები რკალური რითმებითაა წარმოდგენილი. აქ ერთმანეთს ენაცვლება სამმარცვლიანი და ორმარცვლიანი იდენტური სარითმო წყვილები (გაისი — ქუთაისი; ძვირი — მწირი; ყაისი — თაისი; ვტირი — ხშირი), სქემით (abba; abba). ტერცეტებში კი (cdd;cee) სქემაა, ასევე სამმარცვლიანი იდენტური რითმით (მიზნები — შევეხიზნები; რეფლექსებში — ლექსებში).

განხილულ „ავტოპორტრეტთაგან“ განსხვავებით, გიორგი ლეონიძის ამავე სახელწოდების ლექსი სონეტის მყარი ფორმით არ არის დაწერილ.

ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაცინი
რომის კედლებთან ურაგანი და დინამიტი.
ცხელ რუსუდანის მესრისება მე სარეცელი,
დაუბრუნებელ სივრცეების მაღრჩობს ამინდი.
ძევლი სისხლები არის ჩემში დარეულები,
(კახეთის მსუქან თეძოების ვწოვე მტევნები).
თავზე მაღიან კვირეები მოვარეულები
და პურპურივით მზე მეცემა დაუტევნელი.
რასის ჭრილობებს ტანზე ვითვლი, როგორც ყვავილებს,
ქართლის თავადი და პარიჟის დიდი ტრიბუნი.
მიყვარს დროშები საქართველოს გამოყვანილი
მზე — ჩემი გვარის ლაშქრობაში გათეთრებული
პოეზიაში, როგორც რუმბში ჩაყუდებული
ყველა წვენებში, ყველა შხამში სული ჩავაწე
არტიურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული —
მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე
მე ვარ პოეტი, კვირეული, ვარ ნიამორი.
შეგვიანებულ ტრამვაების ყრუ „ნევერმორით“!

მანამ, სანამ უშუალოდ „ავტოპორტრეტის“ განხილვას შევეცდებით, საჭიროდ მიგვაჩინია, აღვნიშნოთ, რომ გიორგი ლეონიძე თავის სიმბოლისტურ წარსულს, ფაქტობრივად, უარყოფდა და აცხადებდა, რომ „სიმბოლისტებში მას, უპირველესად, ხიბლავდა ტექნიკუ-

რი სიმდიდრე, ფორმალური სირთულე, ძიება, ბრძოლა რითმისთვის და ლექსის მუსიკალურობისთვის” (ლეონიძე 2008: 229). თუმცა კვლევის შედეგად, ბელა წიფურია ასკვენის, რომ „გიორგი ლეონიძის სიმბოლისტურ პერიოდში შექმნილი ლექსები, ფაქტიურად, სრულიად ცალსახა მიმართებას ამჟღავნებს, როგორც სიმბოლიზმის ზოგად კონტექსტთან, ისე უშუალოდ იმ დაჯგუფებასთან, რომლის ფარგლებშიც მუშაობს ამ წლებში პოეტი. მეორე მხრივ, დღევანდელი თვალსაწიერიდან ცხადი ხდება ისიც, რომ გიორგი ლეონიძის პოეტური ინდივიდუალობის ჩამოყალიბების პროცესი უნდა იყოს გახსილული სიმბოლისტურ პერიოდის შემოქმედებითი ძიებების ფონზე“ (ტაბიძე 2005: 358).

მონოგრაფიისგან განძარცვული გიორგი ლეონიძის პოეტური ხმა არც „ავტოპორტრეტში“ ივინწყებს მის ნაწარმოებთა მთავარ ინტონაციად, მუდმივ შინაგან თემად და მოტივად ქცეულ ცხოვრებისადმი ვაჟყაცურ დამოკიდებულებას. „ეს არის ის შინაგანი პოეტური ინერცია, რომელიც თავისებურ რიტმში გარდატეხს და თავისებურ ქღერადობას ანიჭებს გარეშე სინამდვილის ყველა მოვლენას, ყველა ხმასა და მელოდიას“ (ასათიანი 1983: 181).

ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაცინი
რომის კედლებთან ურაგანი და დინამიტი...

ძველი სისხლები არის ჩემში დარეულები...

რასის ჭრილობებს ტანზე ვითვლი, როგორც ყვავილებს,
ქართლის თავადი და პარიუსი დიდი ტრიბუნი...

ბარბაროსი, სარაცინი, ხაზარი – ეს მხატვრული წარმოსახვით გაერთიანებული სემანტიკური რიგი ლეონიძის ენიგმადაა ქცეული, რომელთაც მოგვიანებით „ყივჩალიც“ ემატება და გარკვეულ პოეტურ სახეებად ყალიბდება ავტორის შემოქმედებაში.

„ძველი სისხლები არის ჩემში დარეულები“, — წერს პოეტი და აქ სისხლი ცხოველმყოფელი ძალის რიტუალურ სიმბოლოდ გვევლინება, რაც ადამიანის სხეულში განსახიერებს ღვთაებრივ ელემენტს.

„ავტოპორტრეტში“ პოეტური ფანტაზით, პიროვნული ტრანსფორმაციაა გადმოცემული. თავისი პიროვნული „მეს“ „სხვად“ გარდასახვა, ფსიქოლოგიური სუბიექტის ფსიქოლოგიურ ობიექტში „ჩასმაა“ წარმოდგენილი.

ქართული ლიტერატურის მიერ პირვინციული კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობისაგან თავდასაღწევ გზად გიორგი ლეონიძეს, სხვა „ცისფერყანნელთა“ მსგავსად, ეროვნული მწერლობის

განვითარების გზის ევროპულ შემოქმედებით სიახლეებთან დაკავშირება მიაჩნდა. ამ თვალსაზრისს პოეტი სწორედ ხსენებულ ლექსში გამოხატავს:

არტიურ რემბოსთან პოროტ ტყუპად ჩახუტებული —
მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე...

ლექსში არაიდენტური ჯვარედინი რითმებია, მდიდარი ასონენსებითა და კონსონანსებით. აქცენტი კეთდება, როგორც ხმოვნებზე, ისე თანხმოვნებზე: (სარაცინი — სარეცელი; დინამიტი — ამინდი; მტევნები — დაუტევნელი; დარეულები — მთვარეულები და ა.შ.).

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ მართალია, ნაშრომში ხუთოდე „ცისფერყანწელის“ ავტოპორტრეტით შემოვიფარგლეთ, მაგრამ, ვიქიქრობ, გარკვეული სურათის წარმოდგენა შევძელით, მათი საკუთარი თავის ხატვის პრინციპისა, თუ, ზოგადად, პოეტის, პოეზიისადმი მათივე დამოკიდებულების შესახებ. თითოეული მათგანი სიმბოლოების მეშვეობით აღწერს „მეს“, გამოხატავს თავისი ბუნების არსებით ნიშნებს და ცდილობს სამყაროს არსის წვდომას.

დამოცვებანი:

აბზიანიძე, ელაშვილი 2006: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. I. თბ.: „ბაკმი“, 2006.

აბზიანიძე, ელაშვილი 2007: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. II. თბ.: „ბაკმი“, 2007.

ასათიანი 1983: ასათიანი გ. თანამდევი სულები. თბ.: „მერანი“, 1983.

აფხაძე 1988: აფხაძე შ. მახსოვეს მარადის. თბ.: „მერანი“, 1988.

ბარბაქაძე 2008: ბარბაქაძე თ. სონეტი საქართველოში. თბ.: „უნივერსალი“, 2008.

განერელია 1988: განერელია ა. ნარკვევები, პორტრეტები. // ლექსმცოდნეობა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1988.

კარმელი 2000: კარმელი შ. ბაბილონი. თბ.: „დედაენა“, 2000.

ლეონიძე 2008: ლეონიძე გ. ასი ლექსი. თბ.: „ინტელექტი“, 2008.

ნიკოლეიშვილი 1995: ნიკოლეიშვილი ა. პაოლო იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. ქუთაისი: „საწუთო“, 1995.

ტაბიძე 1999: ტაბიძე ტ. „ცისფერი ყანწებით“. სონეტები, რჩეული ლექსები, ესსე. // ნერილები ტიციან ტაბიძის შემოქმედებაზე. თბ.: „მეცნიერება“, 1999.

ტაბიძე 2005: ტაბიძე ტ. ასი ლექსი. თბ.: „ინტელექტი“, 2005.

უილიამ ბატლერ იეიტსი — სანშიშესული პოეტის ხილვა

„სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა, გარდა სიგიურის“, — წერს ვალერიან გაფრინდაშვილი „ბოპემის მონოლოგში“ და ძნელად მოიძებნება პოეტი, რომელსაც ეს გამოთქმა უფრო შეესაბამება, ვიდრე უილიამ ბატლერ იეიტსს, ირლანდიულ სიმბოლისტ პოეტს, რადგან იეიტსისთვის სიმბოლიზმი მხატვრული მეთოდი კი არა, რელიგია იყო, პოეტური სიგიურე კი მისი ჰობი და კარიერა. სიცოცხლის ბოლომდე იეიტსს მტკიცედ სჯეროდა, რომ სამყარო ნიშნებითა და სიმბოლოებით იყო სავსე და რომ ყოველივე მიწიერი, როგორც უან მორეასი წერს თავის „სიმბოლიზმის მანიფესტში“, მხოლოდ პირველსაზე იდეალის მკრთალი გამოვლინება იყო. იეიტსის ერთ-ერთ ლექსში „დალოცვილნი“, ლირიკული გმირი ქუმჰალი* ღმერთან მიდის და ეკითხება, სად არის „ყველაზე დალოცვილი სული“. ღმერთი პასუხობს, რომ ყველაზე დალოცვილი სული დედამინაზე უგონოდ მთვრალია. ეს სიმთვრალე ბოდლერს მოგვაგონებს: „მთვრალი უნდა იყო ყოველთვის. ეს ერთადერთი გამოსავალია... რომ არ იგრძნო დროის საშინელი ტვირთი ზურგზე რომ განეცვა და მინამდე გხრის, მარად მთვრალები უნდა ვიყოთ. მთვრალი, მუდმივად მთვრალი უნდა იყო რომ დროის წამებულ მონად არ იქცე”** (ბოდლერი 1970: 74) სიმთვრალე გულისხმობს რეალობისაგან გაქცევის მცდელობას, რამდენადაც გაცვეთილი უნდა ჩანდეს უკვე ეს ფრაზა. ხელოვნებას შეუძლია ნარმოაჩინოს სამყარო, რომელიც არ ჩანს და არ შეიგრძნობა როგორც ობიექტური რეალობა. აქ მინდა გავიხსენო ისევ შარლ ბოდლერის ლექსი „თმა“, სადაც ის ქალის თმას „ოცნების ოაზისს“ უწოდებს, რაც ალბათ საუკეთესო განსაზღვრებაა ზოგადად სიმბოლოს. სიმბოლიზმი პოეზიას ყველაფერზე მაღლა აყენებდა, რადგან მხოლოდ პოეტს შეეძლო ხილულს მიღმა ჭვრეტა. ბოდლერმა ალბატროსის თავისუფლება ცაში და მისი ტანჯვა მინაზე პოეზის და პოეტის სიმბოლოდ აქცია. იეიტსის ადრეულ პოეზიაშიც, „ზღვის ქაფის ზემოთ მოფარფატე თეთრი ჩიტები“*** თავისუფლებაზე, მარადიულობასთან ზიარებაზე ოცნების სიმბოლო იყო. თუმცა მოგვიანებით ამ პოეტურმა ხატმა

* ირლანდიური მითოლოგიის პერსონაჟი.

** ავტორის თარგმანი.

*** ავტორის თარგმანი

ტრანსფორმაცია გა-ნიცადა. 1919 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „ველური გედები ქულში“ პოეტისთვის გედების ფრენა უკვე შორეული ახალგაზრდობის მოგონებას და სიკვდილის სიახლოეს განასახიერებს.

ლექსი იწყება შემოდგომის, ოქტომბრის პეიზაჟის აღნერით. ოქტომბრის ბინდს, რომელშიც წყალი წყნარ ცას ირკვლავს, სიწყნარეს-თან ერთად ზამთრის, გარდაცვალების მოახლოების გარდაუვალი სევდა თან დაჰყვება. სინტაქსი მარტივია და ზოგჯერ ნარატიულს ჰგავს: იეიტსი თითქოს მარტივი წინადადებებით ჰყვება ერთი ჩვეულებრივი შემოდგომის საღამოს შესახებ. ადრეული ლექსებისგან განსხვავებით, იეიტსი თავს არიდებს რთულ პოეტურ ლექსიკას და ჩახლართულ სინტაქსს (მაგ. „მას სურს სამოთხის ტანისამოსი“). ლექსის რიტმიც და რითმაც მელანქოლიურ, სევდიან განწყობას ქმნის, მაგრამ ამჯერად ეს არც ახალგაზრდა შეყვარებულის სევდაა და არც მეოცნებე ხელოვანისა: ეს უკვე ხანში შესული პოეტის ხილვაა. მაშასადამე, ლექსის გარეგნულ ფორმასთან ერთად, იცვლება ლირიკული გმირიც: ცა მისი სულიერი მდგომარეობის სიმბოლოა — ქარი აღარ ქრის.

The trees are in their autumn beauty,
The woodland paths are dry,
Under the October twilight the water
Mirrors a still sky;
Upon the brimming water among the stones
Are nine-and-fifty swans.

საინტერესოა, რომ ცა აღნერილია არა პირდაპირ, არამედ წყალში მისი ანარეკლით. წყალი კი იეიტსთან ადრეული ლექსებიდანვე საინტერესო სიმბოლიკით გამოირჩევა. როგორც ოლბრაიტი აღნიშნავს, „ნეოპლატონური მითოლოგიის თანახმად, რომელსაც იეიტსი იყენებდა, წყალი ხატების წარმოქმნის მედიუმია“ (ოლბრაიტი 1972: 33). ხატები ჩვენს გონებაში მუდმივად ფორმირდება, თითქოს, რაიმე გუბეში ირეკლებოდნენ, — წერს ის თავისი გვიანდელი ლექსის, „ულისა და ბელაილის“ კომენტარში. იეიტსს სჯეროდა, რომ რადგან ჩვეულებრივი, ძოკვდავი ოცნება ან სიზმარი რეალობის სარკეა, ამიტომ უკვდავ სამყაროზე ოცნება, შესაბამისად, უკვდავი სამყაროს ხატი იქნებოდა. ამიტომაც პოეტური ხატი იეიტსთან სპექტრულ ანარეკლს ემსგავსება. წყალში არეკლილი ცა და გედები თვითონ წარმოადგენენ ხილულს მიღმა სამყაროს, ან პოეტის ოცნების ანარეკლს. 1885 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „გედი“ სტეფან მალარმეც გედს ზებუნებრივის გამოხატულებად აღიქვამს.

მალარამეს გედი, ბოდლერის ალბატროსის მსგავსად, დედამიწაზე შებოჭილი და საბრალოა ისევე, როგორც პოეტი. იეიტსის ლირიკული გმირი კი, რომელიც გედებს უცქერს, თუნდაც ისე რეალურს, რომ მათი დათვლაც კი შეიძლება, მათ ლალ, თავისუფალ ფრენაში ხედავს არა იმდენად უკვდავებას და მარადისობას, რამდენადაც ოცნებას მარადისობაზე, რომელიც მისთვის უკვე შეუძლებელია.

მოულოდნელი და, ერთი შეხედვით, უცნაურია, რომ ლირიკულმა გმირმა გედების ზუსტი რაოდენობა იცის. რიცხვი „ორმოც-დაცხრამეტის“ სიმბოლური დატვირთვა ამ ლექსში დღემდე გაუკვევლია და, შესაძლოა, სულაც შემთხვევითი იყოს. თუმცა უფრო საინტერესოა თვითონ ის ფაქტი, რომ პოეტი გედებს თვლის, რაც პრაიორის აზრით, მათ „გარეალურებას“ ნიშნავს — პოეტი ხაზს უსვამს, რომ მისი პეიზაჟი არც ოცნებაა და არც სიზმარი:

The nineteenth autumn has come upon me
Since I first made my count;
I saw, before I had well finished,
All suddenly mount
And scatter wheeling in great broken rings
Upon their clamorous wings.

შემოდგომის სიწყნარეს გედების მოულოდნელი აფრენა და ხმაური არღვევს. ამ ხმაურში, რომელიც ახალგაზრდობას ახსენებს, პოეტი სიცოცხლის ნეურვილსა და ვნებას შეიცნობს, რომელიც არასოდეს ქრება. საინტერესოა, რომ ადრეულ ლექსში პატარა, თეთრი ჩიტები თითქოს იკარგებიან, უერთდებიან მარადიულობას უსასრულო ზღვის და ცის ფონზე. „ველურ გედებში“ კი გედები პეიზაჟის დომინანტური ნაწილია. მათი თითქოს უცვლელი სიმრავლე, მმვენიერება და თავისუფლება შედარებულია დროის სვლასთან („მეცხრამეტე შემოდგომა“), რაც ლირიკული გმირის დაბერებას, სიკვდილთან მიახლოებას უსვამს ხაზს. მოახლოებული ზამთრის — სიკვდილის ფონზე პოეტი მათ უკვე წარმოიდგენს არა როგორც ოცნების, არამედ როგორც მიუწვდომელი, განუხორციელებელი ოცნებების სიმბოლოს.

Unwearied still, lover by lover,
They paddle in the cold
Companionable streams or climb the air;
Their hearts have not grown old;
Passion or conquest, wander where they will,
Attend upon them still.

„მათი გულები არ დაპერებულაო“, — აღნიშნავს ლირიკული გმირი სევდით. ახალგაზრდობა იქიტსთან სიმბოლოა მარადიულობისა, რადგან ახალგაზრდებისთვის სიკვდილი, დღის დასასრული იმდენად მორია, რომ თითქმის არარსებულს ემსგავსება.

მაშინ ლირიკულ გმირს შეეძლო საკუთარი თავის გედებთან გაიგივება და ოცნება იმაზე, რომ მასაც ხელენიფებოდა იდეალთა სამყაროსთან ზიარება.

სანამ ბოლო სტრობს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირობითად ეს ლექსი შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: ანტყო და მოგონება წარსულზე. ცხრამტი წლის შემდეგ, როცა ხანშიშესული პოეტი გედებს უყურებს, ისინი ალარ დაფრინავენ ხმაურით. პეიზაჟი, გედების რაოდენობაც კი იგივეა, ერთადერთი, რაც შეიცვალა, თვითონ პოეტია და გედების წყნარი ფრენაც ლირიკული გმირის სულიერი განწყობის პარალელურია, მისი ანარეკლია. ლექსის ბოლოს ქაოტური ხმაურიდან ისევ სიწყნარეში გადავინაცვლებთ:

But now they drift on the still water,
Mysterious, beautiful;
Among what rushes will they build,
By what lake's edge or pool
Delight men's eyes when I awake some day
To find they have flown away?

ლექსის ბოლოს ლირიკული გმირი ფიქრობს იმ დღეზე, როცა გაიღიძებს და აღმოაჩენს, რომ გედები გაფრენილან. უნდა აღნიშნოს, რომ იქიტსისთვის გედები მარადიული სამყაროს, იდეალთა ამქვეყნიური გამოვლინებაა. ისინი რეალურია და მათ დაითვლით კიდეც, მაგრამ, მეორე მხრივ, მათი სითეთრე იმდენად სუფთაა, რომ კაცი იფიქრებს, მელნის ერთი შეხებაც კი დაღუპავს, — წერს იქიტსი მოგვიანებით, 1931 წელს ლექსში „ქული და ბელაილი“. მაშასა-დამე, ის დღე, როცა ტბის წყალში მხოლოდ ზამთრის ცა აირეკლება, არარსებობის მოლლინია, გაღვიძება კი გარდაცვალებაზე — მარადიულ უძრაობაში გადასვლაზე მიანიშნებს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ლექსში რამდენიმე კონტრასტია: ერთი მხრივ, გედების დათვლა, რომელიც მოულოდნელი და უცნაური ჩანს, სიწყნარისა და ხმაურის მოხაცვლეობასთან ერთად, რეალურობის განცდას ქმნის. თუმცა, მეორე მხრივ, წყალი რეალურ სამყაროს ლირიკული გმირის შინაგან სამყაროს უპირისპირებს, რომელიც სიმბოლურად ანარეკლით არის გამოხატული. შესაბამისად, საბოლოოდ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ლექსს ორი

ნაწილი აქვს, რომლებიც ერთდროულად თანაარსებობს: რასაც პოეტი ხედავს და აღიქვამს, სპეციალურად ზედმეტი სიზუსტით არის აღნერილი, რაც უპირისპირდება ანარეკლს წყალში — წყნარ ცას, როგორც სულის სიმბოლოს და მოგონებას ახალგაზრდობაზე. თუმცა ყველაზე მთავარი კონტრასტი არის გედების, როგორც უსასრულობის, უკვდავების სიმბოლოდ აღქმა და ფიქრი მოახლოებულ სიკვდილზე.

გარდა ამისა, „ველურ გედებში“ იეიტსი უკვე ახალი დროის სიმბოლისტია. „ველური გედების“ კრებული, ერთი მხრივ, იეიტსის სიმბოლიზმის გაგრძელებაა, მეორე მხრივ, კი ეზრა პაუნდის და მოდერნიზმის გავლენა: ჩვენი დროის ტრაგედია, წერდა ის ადრეულ ლექსში, ის არის, რომ ოცნება უკვე შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ოცნება, ან ჩვენი სამოთხე, ყველა შემთხვევაში იდეის მიწიერი გამოვლინება კი არა უბრალოდ კარიკატურაა და საბოლოო იმედგაცრუება. მის ერთ-ერთ ლექსში „ირლანდიელი მფრინავი სიკვდილს ეგებება“, ბუნებრივი ფრინველის ნაცვლად, ხელოვნური ჩიტი, ანუ თვითმფრინავი არის თავისუფლების სიმბოლო და არანაკლებ მიმზიდველი:

I know that I shall meet my fate
Somewhere among the clouds above;
Those that I fight I do not hate
Those that I guard I do not love;

იეიტსის ლირიკული გმირი მეომარია, მაგრამ მას არც პატრიოტიზმი შთააგონებს და არც სახელის მოხვეჭა:

A lonely impulse of delight
Drove to this tumult in the clouds;

და რადგან “The years to come seemed waste of breath/ A waste of breath the years behind”, ამიტომაც მფრინავისთვის სიცოცხლე აზრს მოკლებულია. აღფრთოვანება, რომელმაც ის ღრუბლებისკენ მიიზიდა, სინამდვილეში სიკვდილის მოლოდინია, მაგრამ ამავე დროს თავისუფლების მოპოვების, უმოქმედობისაგან გაქცევის ერთად-ერთი საშუალებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილი იეიტსისთვის ცხოვრების უმაღლესი სიბრძნე იყო, ის რაც ცოცხალთათვის მუდამ მიუწვდომელია: “...wisdom is the property of the dead/A something incompatible with life”, წერს ის თავის ლექსში „სისხლი და მთვარე“*. ხელოვნება და

* „სიბრძნე მკვდრების საკუთრებაა, სიცოცხლესთან შეუსაბამო“.

მშვენიერება კი მარადიულობის გამოვლინება, რომელიც „მოკვდავ ჭურჭელში სულდგმულობს“. იეიტსის მთელ პოეზიას საფუძვლად უდევს პარადოქსი, რომ ზედაპირული, ქარაფშუტა ახალგაზრდობა ასე ახლოა მარადიულ მშვენიერებასთან, ხანში შესული ხელოვანი კი, რომელიც უფრო და უფრო უახლოვდება იდეალთა სამყაროს, ჭეშმარიტებას, მით უფრო შორცება უკვდავებაზე ოცნებასაც კი. სიკვდილის სიახლოვე და იმედგაცრუება, სრულყოფილის შექმნის და, შესაბამისად, უკვდავებასთან ზიარების შეუძლებლობა იეიტ-სთან ისევ ეხმიანება მალარმეს ლექსს „ცა“, სადაც მარადიული ცა თითქოს დასცინის პოეტს, რომელსაც არაფერი შეუძლია და ისღა დარჩენია პოეზია დაწყევლოს.

დამოცვებანი:

ბოდლერი 1970: Baudelaire Ch. *Paris Spleen 1869*. New Directions Publishing Corporation, New York: 1970.

იეიტსი 2008: Yeats W. B., *The Major Works*. Oxford University Press, 2008.

იეიტსი 2010: კელტური მიმწერი. მთარგმნელი მედეა ზაალიშვილი. თბ.: „ინ-ტელექტი“, 2010.

მალარმე 1996: Mallarme St., *Collected Poems: Bilingual Edition*. Translated by Henry Weinfield. University of California Press. London, 1996.

ოლბრაიტი 1997: Daniel A., *Quantum Poetics: Yeats, Pound, Eliot and the Science of Modernism*. CUP. Cambridge, UK, 1997.

პრაიორი 2011: Pryor Sean, W.B. Yeats, *Ezra Pound and the Poetry of Paradise*. Ashgate Publishing, 2011.

ჯეფარესი 1968: Jeffares, A., Norman. *A Commentary on the Poetry of William Butler Yeats*. Stanford University Press, 1968.

თამთა კალატოზიშვილი

ნიკოლო მიწიშვილი — ჯვარზე პოეზიით „დალურსმნული“ პოეტი

„პოეტის პორტრეტის დანახვა შეიძლება მხოლოდ წიგნით“ — წერდა გალაკტიონი, ნიკოლო მიწიშვილის პირველი წიგნის: „წმინდანიანის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით. ამ წიგნში, მართლაც, კარგად იკვეთება პოეტის სულიერი მდგომარეობა, იმ ეპოქასთან მიმართებაში, რომელშიც პოეტს უხდებოდა ცხოვრება. მიწიშვილი, მართალია, სიმბოლისტია, მაგრამ მისი ლექსებისთვის ერთი გადახედვიდანვე იგრძნობა პოეტის დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, პესიმისტურია.

შალვა აფხაიძე მის შესახებ წერდა: „ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაში არის შინაგანი გულწრფელობა და სიმართლე. მთელი მისი პოეზია არის საუკეთესო ილუსტრაცია, ან უკეთ, დოკუმენტაცია იმ სულიერი კრიზისის, რომელიც ახალი ეპოქის მიჯნაზე დამდგარ პოეზიას ახასიათებს. პოეტის ფესვი წარსულშია, ხოლო „ადამიანის“ სახე წინ იყურება... პოეზია, რომელსაც დეკადენსის საკმევლის სურნელება სდიოდა, იყო გამომხატველი დარღვეული ეპოქის... ლექსები გამართული და ძლიერია, როგორც კომპოზიციით, ისე დეკორატიული მორთულობით“. და ამ დეკორატიულ მორთულობებში კი, ხშირად, ბევრი სიმბოლო იმაღლება.

განსახილველად ავიდე პოეტის სიმბოლისტური ლირიკის ის ნაწილი, რომლითაც პოეტი ავტოპორტრეტს გვიხატავს.

„ცისფერყანწელებთან დაახლოების შემდეგ, ნ. მიწიშვილის შემოქმედებაში მკვიდრდება „უცნობი და გაუგებარი“ პოეტური სახეები, არარეალური, დეკადენტური ხილვები, მელანქოლია, მარტოობა“. ეს სულისკვეთება გამოსჭვივის განსახილველად აღებულ, თითქმის ყველა ლექსში. საერთოდ, მისი ლექსების (და არამხოლოდ ლექსების) უმრავლესობას, რომლებშიც პოეტი თავის თავს გვიხატავს, ახასიათებს პესიმისტური განწყობილებები. მაგალითად ლექსში „ავტოპორტრეტი“ პოეტი წერს:

ეშმაკის ნაკოცნი—გრეხილი ტუჩები.

ქალა გაცვეთილი. ობით დაყლარტული.

თვალი გახელილი. ცვრით განაფუჭები.

ნვერის ლეროებში მატლი გახლართული.

(მიწიშვილი 2006:34)

როგორც ვხედავთ, ლექსი მხატვრული სახე-სიმბოლოებითაა აგებული: „ეშმაკის ნაკოცნი — გრეხილი ტუჩები“, „ცვრით განაფუჭები ობით დაყლარტული გახელილი თვალი“. „გაცვეთილი ქალა, არწივის ნისკარტი — ცხვირი ჩანგრეული“, „შუბლის მარმარილო ლია და გაშლილი, ყვითელი ლოყაბი, ტალახად მღვრეული“. „ყბები და კბილები — რღვევისგან დაშლილი“ — ამ სახე-სიმბოლოებით ხსნის თავს პოეტი.

განვიხილოთ თთოეული სახე:

1) ეშმაკის ნაკოცნი გრეხილი ტუჩები.

ადამიანის სხეულის სიმბოლიკაში „პირი მეტაფორული წარმოსახვით კარიბჭეა ორ სამყაროს შორის, ეშმაკი კი მაცდურია, რომელიც სტაცებს ადამიანს გულიდან ღმერთის სიტყვას“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2011: 7). რამდენადაც ბიბლიური ბიოგრაფიით ეშმაკის სახე ეს არის „თავი დაცემული ანგელოზებისა“ და „გადმოგდებულია ზეციდან ბოროტ სულებთან ერთად“. ეშმაკი, რომელიც კოცნის პოეტს, მედიუმს რეალურ და ირეალურ სამყაროებს შორის, მიიღოვის ზეცისაკენ, თვითონ პოეტში კი ეშმაკისეული, დემონური საწყისების შემომტანია.

2) „ცვრით განაფუჭები ობით დაყლარტული გახელილი თვალი“.

თვალიც, ისევე როგორც პირი, „სამყაროს შეცნობის ხილული სიმბოლოა, რომელიც იმავდროულად სულიერი წვდომის უნარსაც განასახიერებს (სანთელი გუამისაი არს თუალი (მათე, 6: 22; ლუკა, 11:34), ამასთანავე, როგორც ხშირად ამბობენ, თვალები ადამიანის სულის სარკეცაა, და შესაბამისად, მათში „არეკლილია“ ზემგრძნობელობა, მომნუსხველობა, ნარსულის სურათები და მომავლის განჭვრეტა“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2011:7), თუმცა, ეს სამყაროს შემცნობელი თვალი პოეტს დაბინდული აქვს. შესაბამისად, დაბინდული, ამღვრეული მზერა სნეულ, აფორიაქტულ სულს განასახიერებს.

აფორიაქტული სულის გამომხატველია მომდევნო სახე-სიმბოლოც.

3) „წვერის ბოლოებში მატლი გახლართული“.

„წვერ-ულვაში ოდიოგანვე მამაკაცურ ღირსებას, ძალას, გონიერებას განასახიერებდა“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2011: 9), წვერ-ულვაში სიბრძნის, ღირსების ასოციაციას გვაძლევს, მასში გახლართული მატლი კი ამ გონიერებასა და სიბრძნეში იქრება. როგორც ვიცით, მატლი იბადება კვერცხიდან და რთულ მეტა-მორფოზს განიცდის, ამჯერად არა მხოლოდ თვითონ, არამედ ამ მეტამორფოზს განაცდევინებს პოეტსაც, რომელსაც თავის ქალა გასცევთია, ცხვირი ჩანგრეული აქვს, ლოყა — ჩაყვითლებული, ყბები და კბილები კი ნგრევისგან დაშლილი.

ასე აღწერს გარეგნულად საკუთარ თავს პოეტი და სხეულის ეს გარეგნული მხარეები გვაძლევს მის შინაგან გამოხატულებასაც, რამდენადაც, „თავი, როგორც სამყაროს სიმბოლო (პლატონი), ადამიანში ღვთაებრივის საწყალია. მრავალი ტომი თვლიდა რომ ადამიანის სული სწორედ თავშია მოთავსებული... თავის ქალა, მით უმეტეს გაცვეთილი თავის ქალა კი, სიკვდილის ემბლემატური გამოსახულებაა, იგი ცხოვრების ამაოების იდეის გამომხატველია, „რომლის მხატვრული პერიფრაზი ცნობილია შექსპირის პიესიდან — ჰამლეტი იორიკის თავის ქალით ხელში (აბზიანიძე, ელაშვილი 2011:7)“. ამის მხატვრულ პერიფრაზს წარმოადგენს ნიკოლო მიჩიშვილის ეს ლექსიც, სადაც პოეტის თავის ქალას ყბები და კბილები რღვევისგან აქვს დაშლილი.

4) „ყბები და კბილები — რღვევისგან დაშლილი“.

კბილები ისევე როგორც წვერი, ძალაუფლებისა და ძლიერების სიმბოლოა, მათი დაკარგვა რეალობაშიც და სიზმარშიც კი მტკიცნეულად აღიქმება, კბილის დაკარგვა კასტრაციის ან იმპოტენციის მაუნტებლადაც აღიქმებოდა ძველად, რაც შეეხება ჩაყვათლებულ ლოყებს. პლატონი „ნადიმში“ ფერს აღწერს, როგორც ფორმას, რომელიც თანაფარდია შეხედულებისა და გრძნობისა. გარდა იმისა, რომ ყოველი ფერი იწვევს გრძნობად-კონკრეტულ განცდას, ამავდროულად, უმაღლესი სიმბოლოს მატარებელია. ამ შემთხვევაში, ტექსტში ყვითელი ფერი ავადმყოფობის გამომხატველი სიმბოლოა, რამდენადაც ყვითელი ლოყები ავადმყოფ ადამიანებს ახასიათებს.

რიტმულ ნაბიჯებზე თავი სულ ქანაობს,
კისრის და კეფაში იხსნება ხტილები.
კუბო მოტორტმანობს, მისცურავს და ნავობს
უკან მომყვებიან ქუდგადახდილები.
(მინიშვილი 2006: 34)

— აგრძელებს პოეტი.

ცხოვრების მდინარებაში, სიარულისას, მოძრაობისას, თავი სულ ქანაობს, თავი რომელიც გამგებელია მთელი სხეულისა და სულისაც, კისრითაა დაკავშირებული სხეულის სხვა ნაწილებთან. კისრის ხრტილები პოეტს გადახსნია, თუმცა კუბო, ამ შემთხვევაში პოეტის სახლი, მაინც „მისცურავს და ნავობს“, ეს ცურვა, ისევე როგორც გალაკტიონთან, პოეზიის აღმნიშვნელი მეტაფორული სახე უნდა იყოს. რამდენადაც ავტორი ავტოპორტრეტს გვიხატავს, აქ კუბო, რომელიც ნავთანაა შედარებული, მის პოეზიას უნდა აღნიშნავდეს.

ავტოპორტრეტში ასახული სახე სიმბოლოები გვხვდება ასევე ლექსში („***როდესაც ვითვლი ჩაცვენილ კბილებს“), სადაც ისევ ვხვდებით კუბოს და ჩაცვენილი კბილების სახე-სიმბოლოებს:

როდესაც ვითვლი კბილებს ჩაცვენილს
და შეუძენელს კეთილს ქონებას,
ვხედავ სიცოცხლეს — კუბოდ ჩაცვენილს,
ჩემი ტირილის არგაგონებას....
(მიწიშვილი 2006: 30)

მსგავს სიმბოლოებს ვხვდებით მიწიშვილის მეორე ლექსშიც „ჩემი ვინაობა“, სადაც ავტორი ბედისაგან დალურსმნულად მიიჩნევს თავს. „და დახნულია ნაადრევად ეს ჩემი სახე — / გულიც ასე მაქვს წამებისგან გამოღადრული“ (მიწიშვილი 2006: 22), — წერს იგი.

მე ალარ მშველის ჩემი ლოცვა და ქრისტეს მადლი.
ნასროლ ქვასავით მე არ ვიცი სად დავვირდები.
ტვინის ფულუროს ანადგურებს მსუქანი მატლი
და ჩამომწივის — რომ ჯოჯოხეთს გადავბარდები.
(მიწიშვილი 2006: 23)

როგორც ვხედავთ ამ ლექსშიც ვხვდებით ზემოთ განხილული ლექსის მსგავს სახე-სიმბოლოებს, როგორებიცაა: მსუქანი მატლი (შდრ.: წვერის ღეროებში მატლი გახლართული) ტვინის ფულური (შდრ.: ქალა გაცვეთილი), ჯოჯოხეთი (შდრ.: ეშმაკის ნაკოცნი გრეხილი ტუჩები).

ნოკოლო მიწიშვილის პორტრეტის შესაქმნელად აღსანიშნავია ლექსი „გამოთხოვებაც“, სადაც პოეტი თავს საწყალ მგზავრად მიიჩნევს.

სიტყვა „მგზავრი“, გარდა სხვა არაერთი დატვირთვისა, რელიგიური სიმბოლოცაა და მის ძალიან ზოგად განმარტებას თუ მოვიტანთ — „წუთისოფლად გამვლელს“ ნიშნავს (სოლოვიოვი).

ემპირიულ რელიგიურ ცნობიერებაში მოგზაურობას, მიუხედავად რიგი ნიუანსური სხვაობებისა — მისიონერული ხასიათი აქვს და მაგალითის მიმცემია (ქრისტიანობაში, მთავარი მიმართულებების წარმომადგენლებთან ერთად, არაერთი დამოუკიდებელი ორდენის ბერი და სექტანტი, ისლამში — დერვიში, ჰინდუიზმში — სანიასი და ა.შ.).

შესაბამისად, მგზავრი, რაც უნდა ირაციონალურ საბაბს გვთავაზობდეს, ბუნებრივია, კონკრეტულ შედეგზეა ორიენტირებული.

რა უნდა იყოს პოეტისთვის მთავარი შედეგი მგზავრობისა?

რომანტიზმის ეპოქაში პოეზიამ კიდევ უფრო გადამუშავა ეს თემა და მგზავრობას ამსოფლიური, ზოგადადამიანური ტრაგიზმის ფუნქცია შესძინა (ბაირონი, მიკევიჩი). ქართულ რომანტიზმში ამ მოტივის მთავარი დამწერგავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თითქმის კოპერენტულია ევროპელი პოეტების და ასევე დავალებულია რელიგიური ეგზეგეტიკით, როცა ირაციონალურ, ანგარიშმიუცემელ სწრაფვას „გამართლებას“ უძებნის:

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავი ბედის წინ გამოუქროლდეს
(ბარათაშვილი 1954:44)

ლექსში „გამოთხოვება“ ნ. მინიშვილის მგზავრობის, გამვლელობის მიზანიც ეს არის. ალსანიშნავია ისიც, რომ მისი არაერთი ლექსის ფრაგმენტი აშკარად ენათესავება ბარათაშვილის მერანს. „გამოთხოვებაში“ ტანჯვისგან გასათავისუფლებლად მთაში ასული პოეტი ბარად ბრუნდება, როდესაც მთის ნაკადის პასუხს მოისმენს, რომელიც ქვევით სხვა ნაკადებთან შესაერთებლად იმისთვის მოედინება, რომ იქცეს მდინარედ და „ტალახი ამა ქვეყნისა შორს წარიღოს“... ამის შემყურე პოეტი ბარათაშვილისეული სულისკვეთებით შესძახებს:

ნამსვე დავპრუნდი, რო მომესმა ესე სიტყვები...
ხალხს დავუპრუნდი, მთებიდან მე დავეშვი ბარად,
იქ, სადაც ისმის შემზარვი ტირილის ხმები —
ცრემლი სიცილზე რომ შევცალო ვეცდები მარად,
(მინიშვილი 2006: 20)

— წერს იგი („მთებში“, 1912წ.); ლექსში „გამოთხოვება“ კი პოეტი ამბობს:

მე მაცოცხლებდა წელმაგარი გლეხების გვარი,
მაგრამ შევრიე იგი სისხლი შხამიან ძმარში
დავიწვი ისე, როგორც ჩვენსას იწვოდა კვარი
და მშობელ მინას ვაგონდები მხოლოდ სიზმარში.
(მინიშვილი 2006: 39)

ნიკოლოზ მინიშვილი იწვის სამშობლოს ბედით, რომელიც პოეტის მოვალეობად მიიჩნევს ბრძოლასა და სიყვარულის არ დათმობას და ბარათაშვილისეული პათოსით მოგვიწოდებს:

საკუთარ სისხლით გაზარდე ღმერთი
და უკვდავება მშობელ მინაზე.
თავდავიწყებით თუ არ ამღერდი
ვერ აენთები ვარსკვლავად ცაზე.
მინას არ უყვარს მხდალი და კუშტი
გამბედაობის დარჩი გირაოდ.
დააძმობილე ტვინი და მუშტი
ბედის სასწორის დასაყირავად.

(მიწიშვილი 2006: 72)

არ გამანათებს გვირგვინები და პროცესია,
გულლია საფლავს არ დააბნევს ვარდს ქალწულები,
კუბოს ცხენებიც არ წაიღებს როგორც წესია,
აძლილ ნაბიჯით წამათრევენ დაქანცულები...
(მიწიშვილი 2006: 39)

წერს მიწიშვილი ლექსებში „პოეტს“ და „გამოთხოვება“ და ისევ
გვახსენდება ბარათაშვილის მერანი, სადაც პოეტი თავის მომავალ
გარდაცვალებას წინასწარმეტყველებს:

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი!
(ბარათაშვილი 1994: 45)

მწერალი ბარათაშვილის მერანთან, ისევე როგორც ედგარ პოს
ყორანთან, ნათესაობას ამჟღავნებს ასევე ლექსებით „შავი ვარსკვ-
ლავი“ და „წმინდანიანი“.

წმინდანიანი ლეგენდარული ფრინველია, რომელიც საუკუნეში
ერთხელ ევლინება ქვეყანას მზის ჩასვლის შემდეგ და ბინდში
ცეცხლს ყრის ანთებული ფრთებით...

საუკუნეში ერთხელ ქვეყანას
მოევლინება წმინდანიანი—
ცეცხლის ფრინველი, მთოველი ცოდვის
და როგორც გველი წვრილტანიანი...
(მიწიშვილი 2006: 63)

ის მაცდური ფრინველია, რომელიც სატრფოს დაკარგვით და-
დარდინანებული, მარტოდ დარჩენილი ვაჟის ოთახიში ნამდვილი
სტუმარივით შებრძანებულა. მის ყველა კითხვას ერთადერთი სი-
ტყვით — „აღარასოდეს“ (შდრ.: ედგარ პოს „ყორანს“) პასუხობს და

უიმედობის განცდით აღავსებს ვაჟს, რომელსაც ერთადერთი იმედი-ლა დარჩენია — იქ, იმქვეყნად მაინც შეხვდეს თავის სატრფოს.

დემონური ძალის მქონე ფრინველი, რომლის სიტყვებიც „არა რა“ რეფრენად გასდეს მთელ ტექსტს და გვახსენებს სარტრის ეგრეთ წოდებულ პესიმისტური (პირველი) პერიოდის ნაწერებს, რომელთანაც ცნობიერება და საერთოდ ადამიანური სამყარო გაგებულია, როგორც „არარა“, რომელიც უპირისპირდება ყოფი-ერებას. ადამიანური სამყაროს მსგავს გაგებას ვხვდებით ნიკოლო მინიშვილის არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ მის მინიატურებშიც. პოეტის ამგვარი ალექსა, გარკვეულწილად, განპირობებული იყო იმ ვითარებით, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება. 20-იანი წლები-დან მოყოლებული საბედისნერო რეალი ნელ-ნელა იკვრებოდა ქართული ინტელიგენციის გარშემო. საბჭოთა ცენზურა საბჭოური იდეოლოგიის შესაბამის ნაწარმობებს ითხოვდა. ამ ყველაფერს კარგად ასახავს ლექსი „განწყობილება“ (1934 წ.), სადაც პოეტი ხან საბჭოური წითელი მელნით აწერს ხელს საკუთარ ლექსებს, ხან ლურჯით, რომელიც მისთვის სიმშვიდესთან, ჰარმონიულობასთან ასოცირდება:

აიღებ კალამს, ხან წითელი, ხან შავი მელნით —

„ნ.მინიშვილი“, დასწერ. წაშლი, კიდევ და კიდევ-

თევზის თვალივით შეირჩევა ჯურლმულში ხელნი.

შეგეშინდება. წაშლი. მცველნი. სულ ძველი ძველნი.

პატარა მკერდში გულს ვეღარ იტევ.

(მინიშვილი 2006: 75)

დაბოლოს: „ჩემი ლექსები, სამშობლო და ერთი სახელი, /ჩემი ძარღვებით შეკრული და შეერთებული“... — წერს ნიკოლო მინიშ-ვილი („ერთადერთი სონეტი“ (თამარ ვაჩანაძეს)). გამოკვლევას კი ვამთავრებ მისივე სიტყვებით, ევროპიდან გამომგზავრების წინ რომ დაუწერია პოეტს: „შინ, შინ. სახლისაკენ. ჩემო მინა და ჩემო თავსაფრიანო დედა. ზარებმა შეწყვიტეს რეკვა ჩვენს სოფელში, მაგრამ ხარები ისევ ბლავიან ჩვენსას, ჰკოცნიან მწვანე მინას და ელიან დაკარგულ პატრონს“.

დამოცვებანი:

აბზიანიძე, ელაშვილი 2011: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუს-ტრირებული ენციკლოპედია. თბ.: „ბაკმი“, 2011.

ბარათაშვილი 1954: ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1954.

მინიშვილი 200: მინიშვილი ნ. წმინდანიანი. თბ.: „ინტელექტი“, 2006.

გუბაზ ლეთოდიანი

ქართული ვერლიბრი 1920-იან წლებში

თავად ტერმინი *vers libre* ფრანგულია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს თავისუფალ ლექსს. მას მიიჩნევენ შეგნებულ რეაქციად რეგულარული, მეტრული ლექსის წინააღმდეგ.

ვერლიბრი არის დისმეტრიული სისტემა, რომელსაც არ გააჩნია რითმი, მეტრი, არ ახასიათებს იზოსილაბიზმი. მასში სტრიქონები არა არის მოწესრიგებული, შესაძლოა, თითოეული მათგანი ეყრდნობოდეს განსხვავებული რაოდენობის მარცვლებს, მელოდიური სტრუქტურის გამოვლენის სხვადასხვაგვარ წესრიგს. ასევე დასაშვებია, შეიცავდეს ლექსწყობის ყველა შესაძლორიტმულ ვარიაციას. მისი რიტმი დამყარებულია ისეთ ელემენტებზე, როგორებიცაა: სიტყვა, ფრაზა, წინადადება, პარაგრაფი. ვერლიბრში მრავალსისტემურობა დაკავშირებულია უსისტემობასთან.

ერთ-ერთი რუსი მკვლევარი წერს: „ალბათ, ვერლიბრის განსამარტავად ყველაზე მართებულია მისი უკუთქმითი გზით დახასიათება. ტინიანოვის და ორლიცის მიხედვით, ვერლიბრი — ეს არის ლექსწყობის ტიპი, რომელიც პრინციპულად თავისუფალია რიტმის, მეტრის, რითმისა და ზოგიერთი სხვა „მეორეული მახასიათებლის“, მაგალითად, სტროფიკისაგან. თავისუფლების ესდონე, შესაბამისად, უარყოფათა თანმიმდევრულობა, შესაძლოა, იყოს სხვადასხვაგვარი, რაც დაკავშირებულია გენეზისა და განვითრებასთ“ (<http://www.openspace.ru/literature/events/details/35736/?attempt=1>).

ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, თუ რა არ აქვს ვერლიბრს. საინტერესოა, რა აქვს? ლაშა იმედაშვილი თავის სტატიაში „ვერლიბრის თვისებურებანი“ წერს: „რიტმული სიმეტრია ფუნქციური თვალსაზრისით ენაცვლება, როგორც მეტრს, ისე რითმას. ასე რომ, თავისუფალი ლექსი სულაც არაა თავისუფალი შინაგანი კანონზომიერებისგან. საქმე ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით სრულად ეს კანონზომიერებანი“.

საინტერესოა, თუ რის გამო შეიძლება ინოდებოდეს ვერლიბრი ლექსად. შიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნია ლექსისათვის ბევრი წინანდობლივი რამ (მაგრამ მხოლოდ გარეგნულად), ის მაინც ლექსად ინოდება.

საგულისხმოა ერთი მომენტი, ვინაიდან ვერლიბრი დაკავებული არ არის სტრიქონთა დაბოლოებების მოწესრიგებით, მეტი შესაძლებლობა ეძლევა პოეტს აზრის უფრო ზუსტი ფორმირებისთვის. ამასთან მას გააჩნია სახეობრივი სისტემის აგების თავისებური სა-

შუალება, რასაც უწოდებენ მონტაჟს. მონტაჟი, როგორც ცნობილია, მოდერნიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ლიტერატურული ხერხია. „ფილმის ენაზე „მონტაჟი“ ნიშნავს გარეგნულად დაუკავშირებელი ობიექტების, კადრების თანმიმდევრულ გაერთიანებას ერთი ფილმის ფარგლებში, ისე, რომ ისინი მაყურებლის გონებაში ახალ მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან.“ (http://archive.suite101.com/article.cfm/performance_poetry/107835)

ერთ-ერთი რუსი ავტორი, ა. პროკოპიევი შენიშნავს, „მონტაჟი იყო არა კინემატოგრაფიის, არამედ პოეზიის აღმოჩენა: ერთი სტრიქონი-ერთი პლანი; მეორე სტრიქონი-სხვა პლანი; მზერა ზევიდან, ქვევიდან, შორიდან და ა.შ.“ (<http://www.openspace.ru/literature/events/details/35736/?attempt=1>)

მონტაჟის გარდა სხვა არაერთი სიახლე მოიტანა ვერლიბრმა, მაგ: „აბსოლუტური მეტაფორა.“ „აბსოლუტური მეტაფორა“ უარყოფს რეალობას, ანუ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პოეტის სუბიექტური დამოკიდებულება, ვინაიდან „ექსპრესიონისტულ „აბსოლუტურ მეტაფორაში“ ცნებათა შეერთება ეფუძნება არა მხოლოდ „არამსგავსთა მსგავსებას“, არამედ ერთმანეთისთვის უცხო არსთა სუბიექტურ ემოციურ შეთანადებას“. იგი იქცევა („აბსოლუტური მეტაფორა“) საგანზე ფიქრის საშუალებად.

ვერლიბრი ჩნდება 1880-იან წლებში. „ის მოდის სიმბოლისტების პოეზიდან“ (<http://www.britannica.com/EBchecked/topic/626443/vers-libre>) დასავლურ კულტურაში იგი ფართოდ გავრცელდა მე-20 საუკუნის დასასწისში. დამკვიდრდა როგორც ტენდენცია და შემდეგ იქცა მოდერნისტული პოეზიის ტრადიციად.

ქართულ სალიტერატურო სივრცეში ვერლიბრის შემომტანად ცისფერყანნელებს მიიჩნევენ. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თეორიულადაც დამუშავებს შალვა აფხაიძემ და სანდრო ცირეკიძემ (ბარბაქაძე 2011). რა თქმა უნდა, მცირე გადაცდომებიც იყო მისი თეორიული გააზრებისას — ეს არც არის გასაკვირი, თავისუფალი სალექსო ფორმა სიახლეს წარმოადგენდა. სტრუქტურული მახასიათებების, გამოსახვის ხერხთა და სხვა სიახლეთა გამოსავლენად მასალაა საჭირო. მასალა კი იმხანად ცოტა იყო. შალვა აფხაიძე წერს: „თუ პროზას და პოეზიას აქვთ ჯვარედინი გზა — ეს იქნება თავისუფალი ლექსი: აქ შეხვდებიან ისინი ერთმანეთს“. სანდრო ცირეკიძეც იზიარებს აფხაიძის მოსაზრებას, იგი „თვლის, რომ „ცისფერყანნელთა“ არაკანონიურ სონეტთა შორის „სონეტი ნაპირებგადალახული“ არის ერთგვარი ცდა თავისუფალი ლექსისა და პროზის შერწყმისა“ (ბარბაქაძე 2011: 146). ამასთან ის პირველი ქართული ვერლიბრის ავტორად პაოლო იაშვილს მიიჩნევს.

რა თქმა უნდა ვრლიბრი ვერ ჩაითვლება პოეზიისა და პროზის გზაჯვარედინად, პროზისა ლექსის შერწყმას ვერლიბრი არ ჰქვია. ვერც პ. იაშვილს მივიჩნევთ ვერლიბრის შემომტანად. მისი პირველი თავისუფალი ლექსი არის „ევროპა“, რომელიც 1922 წელს დაიწერა. 1919 წლის გალაკტიონის მეორე კრებულში „არტისტული ყვავილები“ უკვე არის ვერლიბრით დაწერილი არაერთი ლექსი: „ფარდების შრიალი“, „ჩვენი საუკუნე“, „სამრეკლო უდაბნოში“, „ლრუბლები ოქროს ამურებით“.

მიუბრუნდეთ თავისუფალი ლექსის პროზასთან სიახლოვის საკითხის. ამასთან დაკავშირებით აკაკი განერელია მიუთეთებს: „ვერლიბრის თავისებურება ისაა, რომ მისი უხმოდ კითხვის თუ ზეპირი წარმოთქმის დროს საზომი მკაფიოდ არ ვლინდება სისტემის სახით, თვისუფალ ლექსში მეტრი მონაწილეობს პოტენციალურად და მეტნილად აუნაზღაურებელი მოლოდინის სახით“ (განერელია 1981: 373). სწორედ „საზომის რეალიზაციის მოლოდინი“ მას აშორებს პროზისგან, ამიტომაც ა. განერელია მიიჩნევს, რომ „თვისუფალი ლექსი არასოდეს ჩაითვლება სწორ, თანაბასტრიქონიან ლექსისა და პროზას შორის გარდამავალ ფორმად“ (განერელია 1981: 373).

როგორც ცნობილია, ვერლიბრს ტონურ სისტემას მიაკუთვნებენ. ეს არა გასაკვირი, რადგან ის პირველად ფრანგულსა და ინგლისურ ენებში გამოჩნდა, ანუ ისეთ ენებში, რომელთაც ახასიათებთ მახვილიანობა.

ქართულ ენაში მახვილი მკვეთრად არ ვლინდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექსის სტრუქტურა ენის სტრუქტურაზეა დამოკიდებული, მაშინ ქართული თავისუფალი ლექსი ვერ იქნება ტონური. ასევე საგულისხმოა, ვერლიბრი უარყოფს თანაბარმარცვლიანობას (თანაბარმარცვლიან ურითმო ლექსი თეთრი ლექსია). ა. ხინთიბიძე მიუთითებს, რომ „ქართული ვერლიბრისთვის დამახასიათებელია სილაბურობის დარღვევა, სხვადასხვა სიგრძის სტრიქონთა არაკანონზომიერი მონაცვლეობა, სტროფული ამორფიზმი ანდა ასიმეტრიულობა, ურითმობა ანდა რითმის სპორადული ხასიათი“ (ხინთიბიძე 2000: 60). ასე რომ მას ვერ მივაკუთვნებთ ლექსწყობის სილაბურ-ტონურ სისტემას.

სხვა ენებში მახვილი რიტმის მაორგანიზებელია. აქვე შეიძლება დაისვას კითხვა, იღებს თუ არა ქართული ენა ვერლიბრს? თუ ზოგადად, ვერლიბრში რიტმის მაორგანიზებელი მახვილია, მაშინ, რით შეიძლება ანაზღაურდეს ქართული „უმახვილო“ თავისუფალი ლექსის რიტმულობა? ქართულ რეგულარულ ლექსში რიტმის მაორგანიზებელი არამხოლოდ სილაბურობა, სტროფიკა და

რითმაა, არამედ მათთან ერთად მნიშვნელობა ენიჭება ევფონიასა და ანუამბემანს (გადატანას). როგორც თ. დოიაშვილი აღნიშნავს, „ფართოდ გაააზრებული, „ევფონია“ ბერათგამეორებასა და რითმასთან ერთად რიტმსაც მოიცავს“ (დოიაშვილი 1981: 37). ჩვენ სწორედ რიტმის საკითხი გვაინტერესებს. როგორც უკვე ვთქვით, ვერლიბრი რეგულარული ლექსისთვის მახასიათებლებს, იზოსილაბიზმს, რითმას, მეტრიკას, სტროფიკას უარყოფს. მათ კი რიტმის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვით. თავისუფალი ლექსს კი მაინც აქვს რიტმი. ვფიქრობ, სწორედ ევფონია და გადატანა არის ვერლიბრის რიტმის მთავარი მაორგანიზებელი ფაქტორი. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, სუსტმა მახვილმაც დაარეგულიროს ლექსის რიტმულობა, მაგრამ არა იმ დონეზე, როგორც ამას ევფონია და „გადატანა“ შეძლებს (ანუამბემანს, როგორც ტერმინს, ვერლიბრთან მიმართებით გამოიყენებთ ბრჭყალებით, ვინაიდან ანუამბემანი მეტრულად მოწესრიგებული ლექსისთვისაა დამახასიათებელი („ანუამბემანი მხოლოდ მყარი, გამოკვეთილი მეტრის მქონე ლექსებში აღიქმება“, დოიაშვილი 2000).

ევფონია უზრუნველყოფს ლექსის კეთილხმოვანებას. მისი ძირითადი სახეებია: ალიტერაცია (ერთი და იმავე ან მსგავს თანხმოვანთა გამეორება) და ასონანსი (ერთი და იმავე ხმოვანთა გამეორება), ასევე ბერათა ერთობლიობა და ბერათმიმბაძველობა, ანუ ონომატოპერა (ხინთიბიძე 2000). „ლექსის ევფონია ენის ფონეტიკურ მონაცემებს ეფუძნება“ (ხინთიბიძე 2000: 96). ქართულ ენას კი ახასიათებს სიმბიმეცა და სიმსუბუქეც (ხინთიბიძე 2000). რიტმის „დაგდება-აწევას“, ვერლიბრში, მსუბუქ (მუსიკურ სიტყვათა) და მძიმე (მრავალნებმოვნიანი) სიტყვების მონაცვლეობა უნდა ქმნიდეს.

ანუამბემანი, იგივე გადატანა, ფრანგული სიტყვაა და ქართულად გადაბიჯებას ნიშნავს (ხინთიბიძე 2000). აკაკი ხინთიბიძე შენიშნავს: გადატანა მაშინ გამოიყენება, როდესაც „აზრის კონკრეტული მონაკვეთი არ თავსდება ერთი სტრიქონის ფარგლებში და გადადის მეორე სტრიქონზე“ (ხინთიბიძე 2000: 65). სინტაქსისა და რიტმის შეუთავსებლობა იძლევა ანუამბემანს. „გადატანა რიტმის ძალდატანების შედეგია სინტაქსზე“ (ხინთიბიძე 2000: 65).

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ენა თავისუფლად იღებს ვერლიბრს. ევფონიისა და „გადატანის“ საშუალებით კი ქმნის რიტმს. ამ აზრის დასასაბუთებლად, და ასევე სხვა ასპექტების ხასგასასმელად, განვიხილავთ პაოლო იაშვილის თავისუფალ ლექსს.

ევროპა

1915, იანვარში
პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია,
დიდ ნიაღვარში
მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკი“.
ეს იყო მაშინ,
როცა სენაში
ჰყოდნენ პარიზის მოქალაქენი გერმანელ ტყვეებს...
ვიგონებ დღეებს,
როცა ვერდენს მოადგა შანთი,
როცა დასცალეს ტროკადერო,
და ლუვრს მოსტაცეს ლაურა-დე-დიანტი,
გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო.
ლუქსემბურგში:
იდგა ვერლენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში,
ლამის ქალები, პოეტები მოშორდნენ „დარკურს“
და კაფე „ლილლას“
და მათხოვრები სენის ხიდებქვეშ
მარსელიეზით ხვდებოდნენ დილას.
პარიზელები ცყავილებით, პატარა ჯვრებით
გზავნიდნენ ბავშვებს პერლაშების სასაფლაოზე,
გამოვექეცი ევროპის ქაოსს,
სისხლს,
დანგრეულ რეიმსის ტაძარს,
უზარმაზარ ტანკების ქშენას,
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.
ვიგონებ მართლა ურუანტელით
ლამანშის სრუტეს,
იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს.
შოტლანდიაში
ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი
და გავიღიმე ვით ნახევრად გაგიჟებულმა,
გამოვექეცი ევროპის წარლვნას...
პარიზში დამრჩა ერთი საფლავი,
ლეგიონის ორდენის წევრი,
აღმოსავლეთში განთქმული გმირი,

და ქუთაისში გადამტანი რევულუციის,
მკვდარი მარნასთან

პერლაშეზე განსვენებული
ბუჭუტა აბაშიძე.

ლექსი, აშკარად, ასტროფულია. მასში უარყოფილია თანაბარმარცვლიანობა, ეს ერთი შეხედვითაც შეიმჩნევა. აქვს სპორადული ხასიათის რითმა, რაც დასაშვებია ვერლიბრისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს მოულოდნელი რითმა აცოცხლებს რიტმს: ტყვეებს—დღეებს; ლუქსემბურგში—ქურქში; „ლილლას“—დილას; ქშენას—გადაშენებას. ამ უკანასკნელ რითმაში, რიტმული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს „შენ“ ბგერათ-შეთანხმების ალიტერაცია. გამოსაყოფია მთელი მონაკვეთი, სა-დაც „ლ“ ბგერის ალიტერაცია, ანუამბემანთან ერთად რიტმულ ვარიაციას ქმნის:

„და ლუკრს მოსტაცეს ლაურა-დე-დიანტი,
გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო.

ლუქსემბურგში:

იდგა ვერლენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში,
ღამის ქალები, პოეტები მოშორდნენ „დარკურს“

და კაფე „ლილლას“

და მათხოვრები სენის ხიდებქვეშ

მარსელიეზით ხვდებოდნენ დილას.

პარიზელები ყვავილებით, პატარა ჯვრებით

გზავნიდნენ ბავშვებს პერლაშეზის სასაფლაოზე“.

ყურადღებას იმსახურებს ასტროფულობა, რომელსაც სტრუქტურული ფუნქცია აკისრია, როგორც რიტმის გამოვლენაში, ასევე შინაარსობრივი მხარის გამოსაყოფად. მთლიანობაში ლექსის რიტმულობა დაბალია. მასში სხვადასხვა ამბავია მოთხრობილი. ლექსი სტრუქტურულია აგებულია სურათებზე/კადრებზე. ეს აგება ჰგავს მონტაჟურ ტექნიკას, მაგრამ არ არის კლასიკური მონტაჟი. ვინაიდან მკითხველი არაა ჩართული სურათთა დაკავშირებაში და ცალკეული მოვლენებიც მხოლოდ ერთი პლანითაა დანახული. რიგ შემთხვევაში კი ნარატივი უფრო პროზაულია, ვიდრე პოეტური. ალბათ, ეს ლექსის შინაარსის დამსახურებაცაა.

დამოცვებანი:

ბარბაქაძე 2011: ბარბაქაძე თ. ქართული ლექსმცოდნეობის ისტორია. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

განერელია 1981: განერელია ა. ვერსიფიკაცია. // რჩეული ნაწერები. ტ. III. თბ.: „მერანი“, 1981.

დოიაშვილი 1981: დოიაშვილი თ. ლექსის ევფონია. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1981: 3 -210

დოიაშვილი 2000: დოიაშვილი თ. *Enjembement*. თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2000.

იაშვილი: იაშვილი პ. საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია. თბ.: „მერანი“, 1971.

იმედაშვილი 1982: იმედაშვილი ლ. ვერლიბრის თავისებურებანი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1982.

ხინთიბიძე 2000: ხინთიბიძე ა. ლექციების შემოქლებული კურსი. თბ.: 2000.

<http://www.openspace.ru/literature/events/details/35736/?attempt=1>

<http://www.britannica.com/EBchecked/topic/626443/vers-libre>

http://archive.suite101.com/article.cfm/performance_poetry/107835

მწირის სახე ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში

ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს მწირის სახე, რომელშიც პოეტი საკუთარ თავს მოიაზრებს. სულხან-საბა მწირს ასე განმარტავს: „ესე არს უცხო ვინმე უცხოთა ადგილას იყოფებოდეს და გამოიზრდებოდეს, გინა სულსა ზრდიდეს და წმი-დათა ადგილსა მოილოცევდეს“.

ლოტერატურაში მწირის სახე, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლი პატრიოტისა, მიხეილ ლერმონტოვმა შემოიტანა. ლერ-მონტოვის „მწირი“ თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარულს ეძ-ლვნება. მწირის შემდგომ პოეტმა დემონის სახის დამუშავება დაი-წყო. ტიციანის შემოქმედებაში გვაქვს, როგორც ერთი, ისე — მეორე სახე-სიმბოლო. მხოლოდ, მისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე ამ სახეებს სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა ენიჭება. მ ნ ი რ ი ს სახე ტიციანთან პირველად 1910 წელს, „მგზავრის სიმღერაში“, გვხვდება. ამ პერიოდში დაწერილ ლექსებში განსაკუთრებით მძაფ-რად არის გამოხატული სულიერი ობლობის, მიუსაფრობის გრძნო-ბა. პოეტს სამყარო ნისლით დაბურულ, კაუშნით მოცულ ადგილად წარმოუდგენია, სადაც ობლოლი და მიუსაფარი მარტოდმარტო დახე-ტიალობს. ეს მარტოსულობა და კაეშანი, ნაწილობრივ, სიმბოლის-ტური სკოლის მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, ნაწილობრივ კი, საქართველოში მომხდარი მოვლენების პოეტური გადააზრება.

„მგზავრის სიმღერა“ გოეთეს მიბაძვით არის დაწერილი. ლექსი 10 მარცვლიანი იზოსილაბური საზომითააგამართული, ცეზურა სტრიქონს შუაზე ჰქონდება — (5/5):

ცად კაეშანი/გამეფებულა,
სძინავს სამყაროს, /ნისლით დაბურულს,
შავი ძაძები/ჩაუცვამს მყინვარს,
მაღლა ატყორცნილს, /ცად აყუდებულს.
ჩემი ქვითინი, /მოთქმა, გოდება
არავის ესმის, /არ ეყურება,
სევდა-ნაღველმა/დალიეს გული,
მარტოდმარტო ვარ, /არ მესვენება.
ოჳ, ზენაარო! /მითხარ, როდემდის
ვიდოდე მწირი/მე უსაფარი,
დავიღალევი/ცხოვრების გზაზედ,
არ ძალმიძს ვზიდო/ნამების ჯვარი.

მეგობრის ალერსს/არ ვარ ჩვეული,
 მუდამ თან დამდევს/შავი ნაღველი,
 ალთქმის ქვეყანა/კიდევ შორს არი,
 რწმენა-იმედის/ჰქება კანდელი.
 მშვიდობას ითხოვს.../მშვიდობას სული,
 სოფლის ვაებით/ანატირები,
 ნუ, ნუ დამძარსავ/ასე სიცოცხლით,
 მომზედე ბედკრულს,/გემუდარები!
 (ტაბიქე 1985:46)

ლექსში მოცემული გვაქვს ინტერვალიანი, არაიდენტური რით-მა — (xaxa): დაბურულს-აყუდებულს, არ ეყურება — არ მესვენება, უსაფარი-ჯვარი, ნაღველი-კანდელი, ანატირები-გემუდარები. სტრიქონში ხმოვანთა რაოდენობას თანხმოვნები სჭარბობს. გვაქვს კიბური ალიტერაცია: „მშვიდობას ითხოვს... მშვიდობას სული, სოფლის ვაებით ანატირები“, ხშირად მეორდება ს, ქ, ძ, მ, დ, ბ თან-ხმოვნები და ე, ო, უ ხმოვნები.

„მთავარ მხატვრულ საშუალებას ტიციან ტაბიძისათვის წარმოადგენს მეტაფორა და, მისი როგორც კერძო ფორმა, სიმბოლო. ტიციან ტაბიძის პოეტური მეტყველების სტილი შემოქმედების პირველ პერიოდში, ძირითადად, სიმბოლისტური და მეტაფორისტულია. პოეტის მიერ სამყაროს ასახვა — გარდასახვის დროს მისი ძირითადი მხატვრული მეთოდი სიმბოლოსა და მეტაფორას ემყარება“ (აბულაძე 1999: 150). სიმბოლისტურია „მგზავრის სიმღერაც“. ლირიკული გმირი მოხეტიალე მწირის სახით გვევლინება, რომელიც ცდილობს, ალთქმული ქვეყანა იპოვოს, მაგრამ მიზნისთვის ვერ მიუღწევია და თანდათან იმედს კარგავს. მის ირგვლივ ყოველივე ტანჯვასა და მწუხარებას მოუცავს; მშფოთვარეა მნირის სული, სიმშვიდე ვერ უპოვია. თავის მიუსაფრობას მწირი სამყაროს უსამართლობას აბრალებს, თუმცა, ლექსში არ ჩანს გამოკვეთილი მიზეზი, თურატომ ეხატება მწირს ამქეყენიური ცხოვრება ასეთ მუქ ფერებში. ეს არც არის საჭირო, წუთისოფელი, ზოგადად, უსამართლო, ცხოვრება ლექსის ლირიკული გმირისთვის მხოლოდ ვაების მომგვრელია. თავისთავად ცხადია, რომ მარტოდ მოხეტიალე მწირისთვის, რომელსაც სამშობლო და ნათესავები ალთქმული ქვეყნის მოსანახულებლად და სულის საზრდელად მიუტოვებია, უცხოა მეგობრის ალერსი. მწირი სამუდამო მარტოობისთვის არის განწირული, მან მუდმივად უნდა იხეტიალოს, სანამ მიზანს არ მიაღწევს და წმინდა მინას არ იხილავს, მაგრამ ეს მინა ძალიან შორეულია, რისი შეგრძნებაც მწირის სასონარკვეთილებას კიდევ უფრო ამძაფ-რებს და მის ტანჯვას აუტანელს ხდის.

როგორც ვთქვით, „მგზავრის სიმღერა“ 1910 წლით თარიღდება. ამავე სახელნოდების სონეტში, რომელიც 1911 წელს არის დაწერილი, მეორედ გვხვდება მწირის სახე:

ცოდვის სავანეს,/დავშორდი სოფელს,
სული მშვიდობას/უდაბნოდ ეძებს,
მაგრამ თანმსრბოლსა/კაეშან-ნალველს,
ვაგლაბ! რომ სული/ვერც აქ იშორებს.
ვით სალამანდრა,/სიყვარულის/ცეცხლში ვიწვები,
მაგრამ, ოხ! კიდევ/რომ არ დავიწვი!
გულის სამღერა/ხომ ვიმღერე, /მაშ, რად არ ვკვდები?
ცავ, შენ გაფიცებ, /შენ შემოგჩივი.
მაგრამ ვის ესმის/მწირის გოდება,
უდაბნოდ ცრემლი/ტყვილად იღვრება,
სთვლემს ცა მდუმარე..../ქვეყანას სძინავს,
სატრფო შორს არის, /სატრფო ნალველი;
უფრო ის მტანჯავს, /რომ მისი ცრემლი
არ დაეფრქვევა/მის მგოსნის საფლავს.

(ტაბიძე 1985: 48)

თუკი პირველ ლექსში ტიციანი ამქვეყნიური ცხოვრებით დაღლილობას გამოხატავდა და ზენაარსს შველას ევედრებოდა, სონეტში უკვე აშკარად გვხვდება თვითმკვლელობის მოტივი. „თვითმკვლელობის კულტი სიმბოლისტურ პოეზიაში თავის განწყობილებებით მჭიდროდაა დაკავშირებული დეკადენტურ-ბოჰემურ სულისკვეთებასთან. ამდენად, ეს მოტივი თითქმის ყველა სიმბოლისტური სკოლისათვის იყო დამახასიათებელი როგორც დასავლეთში, ისე რუსეთში. ამ მხრივ არც ყანწელები ჩამორჩებიან“ (აბულაძე 1999: 1420). ტიციანის ადრეულ შემოქმედებაში ეს მოტივი ხშირად იჩენს თავს, მხოლოდ განპირობებულია სიმბოლისტური სულისკვეთებით. ტაბიძის გვიანი ხანის ლექსებში ამ მოტივს სულ სხვა დატვირთვა ეძლევა.

„მგზავრის სიმღერა“, კლასიკური სონეტის მსგავსად, ორი კატრენისა და ორი ტერცეტისაგან შედგება. თუმცა, კლასიკური სონეტის ფორმას არ იცავს: გამართულია ათმარცვლიანი საზომით (5/5), მაგრამ მეორე კატრენის პირველი და მესამე სტრიქონები თოთხმეტმარცვლიანია (კლასიკური სონეტი თავიდან ბოლომდე თოთხმეტმარცვლიანი უნდა იყოს). პირველ კატრენში მოცემული გვაქვს ჯვარედინი რითმა (abab); ერთმანეთს ერითმება: „სოფელს-ნალველს“ და „ეძებს-იშორებს“, ასევე მეორე კატრენშიც. პირველ

ტერცეტში ერთმანეთს ერითმება მოსაზღვრე სტრიქონის ბოლოები: „გოდება-იღვრება“, მეორე ტერცეტში კი „ნაღველი-ცრემლი“, ხოლო ტერცინების ბოლო სტრიქონები ქმნის რითმას: „სძინავს-საფლავს“. რაც შეეხება შინაარსს, როგორც გრ. რობაქიძე მიგვითითებს: „სონეტის პირველი კატრენი ერთ თემაზე უნდა იყოს აგებული, მეორე კატრენში თემა კონკრეტდება. ტერცეტებში უნდა მოხდეს არსებითი გარდატეხა ლექსის კომპოზიციაში“ (ხინ-თიბიძე 2000: 93). ტიციანის სონეტში ეს პირობა დაცულია. პირველ კატრენში ლირიკული გმირი (ავტორი თავად გვევლინება თავისი ლექსების ლირიკულ გმირად) საუბრობს ამ სოფლისგან განშორება-სა და თავის ნაღველზე, მეორე კატრენში მისი სევდის მიზეზი კონკრეტდება და ვიგებთ, რომ პოეტი სიყვარულისგან იტანჯება. აქვე იკვეთება თვითმეცვლელობის მოტივი: „ვით სალამანდრა, სიყვარულის ცეცხლში ვიწვები, გულის სიმღერა ხომ ვიმღერე, მაშ, რად არ ვკვდები?“. ტერცეტებში პოეტი უკვე სიკვდილს აღარ უხმობს, ემოციური ფონი ნაკლებად ექსპრესიულია, ლირიკული გმირი ჩივის, რომ არავის ესმის უდაბნოდ მყოფი მწირის გოდება, სამყარო ძილის საბურველშია გახვეული, „სატრფო შორს არის, სატრფო ნაღველი; უფრო ის მტანჯავს, რომ მისი ცრემლი არ დაეფრქვევა მის მგოსნის საფლავს“. აშკარაა ბარათაშვილისეული სულისკვეთება, თუმცა, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, მერანის მხედარსა და მწირს შორის საქმაოდ დიდი სხვაობაა, ისევე, როგორც განსხვავდებიან მათი სატრფოები. მერანი და მისი მხედარი დაურკებლად მიისწრავიან „ბედის სამძღვარის“ გადასალახად, ბარათაშვილის ლირიკულმა გმირმა იცის, რომ დაიღუპება, მაგრამ იმედი აქვს, რომ მისგან თელილი გზა მაინც დარჩება და მოძმეებს გავლა გაუადვილდებათ. „მერანში“ ბედისწრასთან დაპირისპირების მოტივი გვაქვს, რაც გმირისგან უცილობლად მოითხოვს თავის განირვასა და ყველასა და ყველაფრის დატევებას. მერანის მხედრის სატრფო რეალურად არსებულია, ისევე, როგორც მისი მშობლები და მეგობრები, თუმცა არარეალური ჩანს იმის გამო, რომ მხედრისაგან ძალიან შორს იმყოფება და ვეღარასოდეს იხილავს მას, ამიტომ მხოლოდ ოცნების ნაწილი გამხდარა. ხოლო მწირის სატრფო უფრო აბსტრაქტული სახეა — „სატრფო ნაღველი“. მწირისთვის უცხოა მერანის შეუპოვარი სრბოლა, ისევე, როგორც არ ჩანს მოყვასის დახმარების, მისთვის გზის გაადვილების მოტივი, მაგრამ, მერანი-ვით, ისიც მუდმივად მიისწრაფვის თავისი მიზნისკენ, უდაბნოში ამიტომაც დახეტიალობს. თუმცა იტანჯება და სიკვდილს ნატრობს, მაგრამ მიაჩინა, რომ მისი ტანჯვა ამაოა: „მაგრამ ვის ესმის მწირის გოდება, უდაბნოდ ცრემლი ტყვილად იღვრება“. მის ხმას არ ძალუდს

მდუმარე ცისა და მძინარე ქვეყნის გამოღვიძება. მწირი ყველასგან გარიყულია, მისი ხმა არ ესმით: არც ღმერთს და არც ადამიანებს.

„ქალდეას მზე“, ფაქტობრივად, სამშობლოს თემატიკაზე შექმნილი პირველი ლექსია, რომელშიც მწირის სახე გვხვდება. „ტიციან ტაბიძისთვის ქალდეა, ეს კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილი, ქართველ ტომთა მხოლოდ ადრეული სამყოფელი კი არ არის, არამედ იგი ზოგადად საქართველოს სინონიმია. პოეტმა ისტორიული კატეგორიის მქონე ცნებიდან თავისი მდიდარი პოეტური წარმოსახვის საშუალებით შექმნა მრავალი მხატვრული ნიუანსის შემცველისახე—სიმბოლო — ქალდეა“ (აბულაძე 1999:146). „ქალდეას მზე“ ჰეტეროსილაბური საზომით არის დანერილი (5/4,5):

გრძელი, შორი გზა და ოცნება

უსაზღვრო გზებზე...

მზის სიცხოველე, მზით მოთენთვა,
სიმღერა მზეზე.

ჩემში სტირიან წინაპარნი —

ბრძენი მოგვები,
დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ,
უკან მოვყვები.

ძველი სიტყვები დაფიცების,
დავიწყებული,
ძველი ქალაქი — დღეს ნაცარი,
უწინ ქებული,
ძველი ქალდეა წვავს ოცნებას
და ეძახის სულს,
ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ
დიდებულ წარსულს.

გამობრწყინდება სიდონისკენ

გზა მიმავალი,
თეთრ უდაბნოში გაიშლება
საკურთხეველი.

დიდ სიმღერისთვის ჩემი გული
უკვე მზად არი,
მბრძანებელ ჩრდილთა მოწოდებას
მხოლოდ მოველი.

მარტო ვიქნები, მარტოობას
წინდაწინ ვსტირი,
მაგრამ ამასაც აღარ უფრთხის
გვიანი მწირი.

მესმის – მეძახის, ვხედავ – მხედავს,
ვიჩქარი, მიგჰერი.

ძვირფას საფლავებს, როგორც ქორი,
დაფრინავს ფიქრი.

გრძელი, შორი გზა და ოცნება
უსაზღვრო გზებზე,
ჩემი საფლავი ძველ ქალდეას
იქნება მზეზე.

(ტაბიძე 1985: 78)

ტიციანი იყენებს ინტერვალიან რითმას — (xaxa): „გზებზე-
მზეზე“, „მოგვები-მოვყვები“, „დავიწყებული-ქებული“, „სულს-
ნარსულს“, „ვსტირი-მწირი“, „მივჰერი-ფიქრი“. პირველი და ბოლო
კატერინის რითმა მეორდება. კატერენბში პირველი და მესამე
სტრიქონები ცხრამარცვლიანია, ცეზურით იყოფა — (5/4). მეორე
და მეოთხე სტრიქონები ხუთმარცვლიანია.

როგორც ალვინიშვილი, ქალდეა, სიმბოლურად, სამშობლოს სა-
ხეა. ლექსში კვლავ მთავარი ადგილი უჭირავს გზას, რადგან მწირის
სტიქია, მისი ბუნებრივი სამყოფელი გზაა. მას ხომ უმთავრეს მიზ-
ნად ხეტიალი დაუსახავს, ვიდრე წმინდა ადგილებს არ მოინახუ-
ლებს და არ განინმინდება, მწირი მუდმივად მიემართება აღთქმუ-
ლი ქვეყნისკენ. „ქალდეას მზეში“ გამოხატულია სამშობლოს წარ-
სული დიდებით სიამაყისა და ძავბნელი აწმყოთი გამოწვეული
მწუხარების განცდები. პოეტი გრძნობს, რომ ის უკვე მზად არის
დიადი საქმეებისთვის, „ჩემში სტირიან წინაპრები, ბრძენი მოგვები,
მბრძანებელ ჩრდილთა მონოდებას მხოლოდ მოველი“. ამ ლექსში
პირველად გვხვდება სამშობლოსათვის თავგანწირვის აშკარად
გამოკვეთილი მოტივი (ვგულისხმობთ იმ ლექსებს, რომლებშიც
მწირის სახე გვაქვს!). პოეტი უკან მოჰყვება „დანგრეულ კიბეს“ და
აშენებს მას. მან იცის, რომ ამ კიბის ასაშენებლად თავის განირვა
მოუწეს. „მარტო ვიქნები, მარტობას წინდაზინ ვსტირი, მაგრამ
ამასაც აღარ უფრთხის გვიანი მწირი“, — ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ
ლირიკული გმირი კარგად აცნობიერებს თავის ხვედრს და მზად
არის, იკისროს სამშობლის სამსახური. გმირები თავიდანვე განწი-
რული არიან დასაღუპავად. „ძვირფას საფლავებს, როგორც ქორი,
დაფრინავს ფიქრი“. ტიციანმა იცის, რომ მოვა დრო და ისიც აქ
განისვენებს, წინაპართა ნეშტებთან ერთად; მისი „საფლავი ძველ
ქალდეას იქნება მზეზე“.

„რასაკვირველია, დასაღუპად განწირული პოეტი და დასაღუ-
პად განწირული ქვეყანა სიმბოლიზმის ნაცნობი, „ძველი“ თემაა“,

მაგრამ საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდგომ ქვეყანა რე-ალური საფრთხის წინაშე დადგა, ისევე, როგორც ინტელიგენციისა და მწერლების დიდი ნაწილი. ეს საფრთხე და განადგურების შიშით გამოწვეული ტრაგიზმი მთელი სიმძაფრით აისახა ტიციანის შემოქ-მდებაში. მისი ლექსი: „მე ყაჩალებმა მომკლეს არაგვზე“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია ამ თვალსაზრისით:

მინდა, რომ ვიყო/მწირი გულადი,
საშინელ ღამეს/ვეფხვი რომ დაბდლვნა,
ვარ ავსებული/შენით გულამდე
და მოვარდნილი/ცრემლების წარლვნა.
(ტაბიძე 1985:130)

ლექსი დაწერილია ათმარცვლიანი საზომით, ცეზურასტრიქონს შუაზე ჰყოფს (5/5). გვაქვს ჯვარედინი, ასონანსური და კონსონან-სური რითმა — (abab): გარღვეული-გადარეული, ცა-მირეცხავს, უფსკრულებს-მუსკულებს, მომდევს-მომდებს, ბედი-ყბედი, ახია-ტრაბახია, გულადი-გულამდე, დაბდლვნა-წარლვნა. ხშირად მეორ-დება თანხმოვნები: ც, კ, ს, ბ, თ.

აქ უკვე მწირთან ერთად, დემონის სახეც გვხვდება. დემონი, საერთოდ, ბოროტების სახეა. უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლისტ პოეტებთან ბოროტება საკმაოდ თავისებურ სახეს იღებს. მაგა-ლითად, ბოდლერის შემოქმედებაში ღმერთი და სატანა ერთმა-ნეთს უპირისპირდება და პოეტი ამ უკანასკნელის შხარეს იჭერს. როგორც უორჟ ბატაი აღნიშნავს, ბოდლერი, თითქოს, პატარა ბავშვია, რომელსაც სურს, თავის დააღნიოს ყოველგვარ შეზღუდ-ვას და ამისათვის ამბოხს არ ერიდება. სატანა მისთვის თავისუფ-ლებისთვის მებრძოლი გმირია, რომელიც კანონმდებელ ღმერთს უჯანყდება. ეს, თავისთავად, უკვე საინტერესო დაპირისპირებაა, იმ თვალსაზრისით, რომ სიმბოლისტი პოეტები ღვთის არსებობას არ აღიარებდნენ. ისინი ცდილობდნენ, ძევლი ხატები დაენგრიათ და ახლები შეექმნათ. მაგრამ, სადაც სატანაა, იქ, თავისთავად, იგუ-ლისხმება ღმერთიც, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს, ეს ორი სახე განუყოფელია. ბოდლერი, სატანის სახის შემოტანით, აღი-არებს ღმერთსაც, მხოლოდ არღვევს ტრადიციულ ჩარჩოებს და, როგორც ვთქვით, კეთილის მაგივრად, ბოროტის შხარეს იჭერს. ეს ბოროტებაც აბსტრაქტულია, ეშმაკი, უპირველესად, თავისუფლე-ბის სახედ განიხილება და არა ბოროტების სათავედ. აქ არ დგას რწმენის საკითხი ტრადიციული სახით, ანუ არ დგას ღვთის არსე-ბობის თუ არარსებობის პრობლემა, ღმერთი და ეშმაკი, უბრა-

ლოდ, მხატვრული სახეებია, რომლებიც სხვა პრობლემის გამოხატვას ემსახურებიან: თავისუფლებისა და კანონის მორჩილების დაპირსპირებას.

სხვაგვარი სიტუაციაა ტიციანთან. სარწმუნოებასთან დაშორების პრობლემა მის ლექსებშიც არის გამოხატული. „სიმბოლისტი პოეტის მიერ საკუთარი სარწმუნოების დაკარგვა მით უფრო მტკიცნეულად ისახება, რამდენადაც ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს არ არის მისთვის უცხო და უმნიშვნელო სივრცის გულგრილი უგულებელყოფა, არამედ სულში დაცული სივრცისგან დაშორება. იგი ვერ ფლობს საკუთარ სულს, ვეღარ ფლობს მცხებებს, რომლებიც გულში ღრმად დაიმარხა, ვეღარ ფლობს საკუთარ თავს“ (წიფურია 1999: 115) პოეტი ქალდეას უკავშირებს იმ ლექსებს, სადაც რწმენის დაკარგვაზე საუბრობს. ეს მიზანმიმართულია, რადგან ქალდეა წინაპართა სამყოფელია, შესაბამისად, ის არ არის ქრისტიანული, არამედ წარმართულია, პოეტი შორდება ქრისტიანობას და უბრუნდება წარმართულ რელიგიას, ეძებს სხვა ხატებს, რათა ინამოს, რადგან სიმბოლისტი პოეტი მხოლოდ მატერიალური მრნამსით ვერ იცხოვრებს, მას აუცილებლად უნდა სწავლის რაიმე სულიერი. ტიციანის პოეზიაში არის ერთი გამორჩეული შტრიხი. მას ღმერთის არსებობაში როდი შეაქვს ეჭვი, მართალია, წერს, რომ სარწმუნოება მოკვდა, მაგრამ რეალურად, ეს მხოლოდ სიმბოლისტური მრნამსის ზეგავლენა თუ გამოხატულებაა. ტიციანი, უბრალოდ, არ აღიარებს ქრისტიანულ ღმერთს, უარყოფს მას, რადგან აღარ სჯერა მისი ყოვლისშემძლეობის, სიკეთის, სამართლიანობის. ტ. ტაბიძე არ არის ათეიისტი, მის შემოქმედებაში არ არის ლაპარაკი უღმერთობაზე, პოეტი, მხოლოდ, ცდილობს მოქებნოს სხვა ღმერთი და მას წინაპართა სარწმუნოებაში ეძებს, იმ გზას უბრუნდება, რომელზეც მისი ხალხი დადიოდა მანამ, სანამ ქრისტიანული რელიგია შემოვიდოდა.

დემონი ტიციანთან სატანის კი არა, ზოგადად, ბოროტების სახეა, რომელსაც მთელი სამყარო გარემოუცავს. მის ადრეულ ლექსებში, გარკვეულწილად, ბოდლერის გავლენაც იგრძნობა, მაგრამ შემდგომ პერიოდში დემონის სახე განსხვავებულ დატვირთვას იძენს. კერძოდ კი, იგი რუსეთის ტოტალიტარულ სახედ გვევლინება. ტიციანი, თავისუფლების მოყვარე მწირი, ამ რეჟიმს არ ემორჩილება და იცის, რომ აუცილებლად დაიღუპება. ის უკვე ხედავს „გიგანტის შოლტის მუსკულებს და რკინის ბანარს“, ყელზე რომ მოსდებს, მაგრამ მწირს უკან დახევა არ სჩვევია და პოეტიც გზას აგრძელებს, თუმცა წინ სიკვდილი ელის. განწირულობის ეს მოტივი ტაბიძის სხვა ლექსებშიც ვლინდება.

დარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები,
(ტაბიძე 1985:162)

— გვეუბნება პოეტი 1929 წელს დაწერილ ლექსში „ანანურთან“, ტიციანს მოჰყავს შესანიშნავი მხატვრული სახე: კალმახი მდინარის საპირისპრო მიმართულებით მცურავი თევზია.

1932 წელს, იმ პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირში რეპრესი-ების ტალღა იწყება, ტ. ტაბიძე ამაყად აცხადებს:

თუ გაწყდა ძარღვი სიმამაცისა,
მე ცოცხალი ვარ, ერთი მიურიდი.
ვარ დაფრენილი ორბისგან გნოლი
და არ იკარებს გული სალავათს,
ხევსურის ჯაჭვის ნაგლეჯი რგოლი —
ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს.
(ტაბიძე 1985:177)

რაკი დაღუპვა გარდაუვალია, სჯობს, რომ ვაჟკაცურად დაიღუ-პოს. ამიტომაც ამბობოს პოეტი: „მინდა რომ ვიყო მწირი გულადი, საშინელ დამეს ვეფხვი რომ დაბდლვნა“.

მწირის სახე უკანასკნელად 1936 წელს დაწერილ სონეტში გვხვდება:

თითქო მშობლიურს ისმენდეს ნანას
ანდა დაღუპვა იყოს ნუგეში —
ასე აპარებს დემონი დანას
აკანკალებულ თამარს უბეში.
ასე ფართხალებს მწირი გულადი
დაბდლვნილი ვეფხვის სისხლის გუბეში.
ყორანი შავი ყორნის სულამდე
არაგვის ველზე ითრობა ლეშით.
ორი არაგვი, როგორც ორი და,
ვით დღე და ლაშე — თეთრი და შავი,
ბავშვურ ტირილით ტოლად მოდიან,
რომ ერთად მტკვარში დაიღრჩინ თავი.
(ტაბიძე 1985: 199)

„ორი არაგვი“ უაღრესად საინტერესო ლექსია მხატვრული თვალსაზრისით. „ამ არაკანონიკურ სონეტს ერთი ზედმეტი კატ-

რენი აქვს, რომელიც სონეტის გასაღების ფუნქციას ასრულებს“. „ორი არაგვი“, ისევე, როგორც 1911-1915 წ.წ.-ში შექმნილი სონეტები, ათმარცვლიანია. „მათ პოეტი მოგვიანებით თავად უწოდებდა „არასწორს“, ამიტომაც ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ მიმართავს კვლავ ათმარცვლიან საზომს ჩვენთვის საინტერესო სონეტში? ჩანს, პოეტი იხსენებს ახალგაზრდობას და პოეზიით გატაცების პირველ დღეებს... ისევე, როგორც სიკვდილის წინ უბრუნდება ადამიანი თავისი ბავშვობის სამყაროს“ (ბარბაქაძე 1999).

„ორი არაგვი“ მხატვრული სახეებითა და იდეური სათქმელით კავშირს ამჟღავნებს ტიციანის ორ ლექსთან: „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ და „ანანურთან“. სამივე ლექსში გვხვდება არაგვის სახე. შავი და თეთრი არაგვი ერთმანეთს უჰირისპირდება, მაგრამ მათი ბედი გადაჯაჭვულია, ისინი ერთ ხვედრს იზიარებენ, ერთად აგრძელებენ სვლას.

საინტერესო თამარის სახე. აღსანიშნავია, რომ ტიციანის დემონი ლერმონტოვის დემონის რემინისცენციაა. სამივე გმირი — მწირი, დემონი და თამარი რუსი პოეტის პოემებში გვხვდება. თამარის სახე ლერმონტოვმა ქართულიდან აიღო, როგორც სანიმუშო ქართველი ქალის სახე. ტიციანთან თამარი „თავისი ერთადერთობით არის განუმეორებელი და ღმერთთან წილნაყარი“ (ბარბაქაძე 1999).

„ორ არაგვში“ თამარი, თითქოს, სრულიად საქართველოს სახეა, ხოლო დემონი, როგორც აღვნიშნეთ, აგრესორ ქვეყანას განასახიერებს, რომელიც პოეტის სამშობლოს დაღუპვითა და გადაგვარებით ემუქრება. თამარი, დემონთან შედარებით, სუსტია და თავის დაცვა არ ძალუძს, ამიტომაც კანკალებს გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში.

ტიციანი თვალნათლივ გადმოგვცემს საქართველოში შექმნილი ვითარების მთელ სიმძაფრეს და ტრაგიკულობას. ქვეყანა ისეთ დღეში იყო, რომ ბევრი სიკვდილს ნატრობდა. ბოლშევიკები უდანაშაულო ადამიანებს „ქვეყნის მტრებად“ ნათლავდნენ და მანამ ანამებდნენ, სანამ მათგან აღიარებას არ მიიღებდნენ. პატიმართავის სიკვდილი ჯალათებისგან თავის დაღწევის, გათავისუფლების საშუალება იყო, მაგრამ ამ ფუფუნების მისაღებად მეგობრების სასიკვდილო განაჩენზე უნდა მოეწერათ ხელი.

მიუხედავად მცდელობისა, საქართველოს არ შეეძლო, წინ აღსდგომოდა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიას. მთავრობის რისხვა განსაკუთრებით ინტელიგენციას დაატყდა თავს.

საყოველთაო უბედურების უამს, გულადი მწირი, სამშობლოს-თვის თავდადებული, „ფართხალებს დაბდლვილი ვეფხვის სის-

ხლის გუბეში“. ქვეყანა სასაფლაოს დამსგავსებია და ყორნების სანადიმო ქცეულა.

შექმნილ სიტუაციაში თავგანწირული პატრიოტისთვის ერთა-დერთი გზაღა რჩება: მსხვერპლად შეეწიროს თავის ქვეყანას. ტი-ციანმა იცის, რომ თავისი საქციელით ბევრს ვერაფერს შეცვლის, მას არ ძალუდს დემონის დამარცხება, მაგრამ თავისი დაუმორჩილებლობით, შეუდრეველობითა და სიმამაცით მშობელ ხალხს მაგალითს აძლევს და წინაპართა იმედებს ამართლებს. პოეტს ულირს ამ საფასურად სიცოცხლის გაღება და სამშობლოსთან ღირსეულ მამულიშვილად გამოთხოვება.

დამოცვებანი:

აბულაძე 1999: აბულაძე ა. ცისფერყანწელთა პოეზია. თბ.: 1999.

ბარბაქაძე 1999: ბარბაქაძე თ. ტიციან ტაბიძის სონეტები. // ტაბიძე ტ. სონეტები. რჩეული ლექსები, ესსე. თბ.: „მეცნიერება“, 1999.

ტაბიძე 1985: ტაბიძე ტ. ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბ.: „მერანი“, 1985.

ტაბიძე 1999: ტაბიძე ტ. სონეტები, რჩეული ლექსები, ესსე, წერილები ტიციან ტაბიძის შემოქმედებაზე. თბ.: „მეცნიერება“, 1999.

წიფურია 1999: წიფურია ბ. კომენტარები ტ. ტაბიძის წერილისა „ცისფერი ყანწები“. // ტაბიძე ტ. სონეტები რჩეული ლექსები, ესსე. თბ.: „მეცნიერება“, 1999.

ხინთიბიძე 2000: ქართული ლექსმცოდნეობა. ლექციების შემოკლებული კურსი. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2000.

მარიამ ნოზაძე

ოსკარ უაილდის იმპრესიონისტული ლექსების სიმბოლიკა

ოსკარ უაილდის იმპრესიონისტული ლექსები, როგორც ციკლი ან ლექსების კრებული, ცალკე არ არის გამოყოფილი უაილდის შემოქმედებაში. ასეთი მოხსენიება, გარკვეულწილად, პირობითია, თუმცა არც თუ ისე საფურცელს მოკლებული. ზოგადად, უაილდის პოეზია გარკვეული თემატური ნაირგვარობით ხასიათდება; მაგალითად, ადრეულ ლექსებში გამოიყოფა ე.წ. რომაული ხანის ლექსები, როცა უაილდი იტალიაში მოგზაურობის დროს მარადიულ ქალაქს უძღვნის სონეტებს, ან გვიანი პერიოდი — „რიდინგის ციხის ბალადა“, რომელიც „უაილდის ალსარებადაა“ მიჩნეული და მისი შემოქმედების ყველაზე გულწრფელ და „ნამდვილადგანცდილ“ ნაწარმოებს ნარმოდგენს. „იმპრესიონისტულს“ უაილდის პოეზიიდან ვუწოდებთ იმ ათამდე ლექსს, რომლის სათაურშიც სიტყვა impression ანუ „შთაბეჭდილებაა“ მოხსენიებული და რომლებიც, უხეშად რომ ვთქვათ, ფრანგული კულტურის გავლენითაა დაწერილი (ალსანიშნავია, რომ მათი სათაურები ფრანგულ ენაზეა).*

უაილდის პოეზიაზე ფრანგული კულტურის, უფრო ზუსტად კი, იმპრესიონიზმის გავნელაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, პირველ ყოვლისა, ქრონოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით. იმპრესიონისტების პირველი რვა გამოიფენის თარიღი არის 1874-1886 წლები, ხოლო უაილდი სწორედ ამ ხანაში მოგზაურობს ევროპაშიც და ამერიკაშიც. ამავე პერიოდში ფრანგული თეატრისა და ხელოვნების „ნარდგენა“ ინგლისშიც აქტიურად ხდებოდა (უაილდი 2000: 169). ცნობილია, რომ იგი შესანიშნავად იცნობდა ფრანგულ თეატრს და თანამშრომლობდა კიდევ Comédie-Parisienne-სთან.** შესაბამისად, ფრანგული კულტურა და უაილდი ერთმანთისგან შორს მყოფი ცნებები სულაც არ იყო. ამგვარად, სავარაუდოა, რომ უაილდი იმპრესიონიზმს, როგორც ხელოვნების ახალ მიმდინარეობას და მის ძირითად მახასიათებლებს, იცნობდა. იმპრესიონისტული აღქმის ნაკადის გავლენით, იმავე ემოციების განცდით და მათი

* ეს სათაურებია: Impression Du Matin; Impression De Voyage; Impression _ Le Reveillon; La Bella Donna Della Mia Mente; La Fuite De La Lune; Les Silhouettes; Le Jardin Des Tuilleries; Le Ballons; La Mer; Le Jardin; Le Panneau.

** სწორედ ამ თეატრში დაიღდა 1896 წლის 11 თებერვალს უაილდის ყველაზე ცნობილი პიესა ‘სალომე’. აგრეთვე, ცნობლია, რომ Comédie-Française-ს ლინდონურ საგასტროლო ნარმოდგენებს უაილდი სიამოვნებით ესწრებოდა, ასე რომ, უაილდი ფრანგულ კულტურას ფრანგული თეატრის წყალობით ნამდვილად კარგად იცნობდა.

გამოხატვის მეთოდების მიბაძვით, იგი ქმნის, მაგალითად, ისეთ ლექსებს, როგორიცაა *Impression Du Matin* ან *Le Jardin*. ორივე ლექსს ქვემოთ განვიხილავთ, რადგან ისინი არაჩვეულებრივად გამოხატავენ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც უაილდმა იმპრესიონისტებისგან დროებით აიღო.

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ უაილდთან სიტყვა *impression* საკმაოდ აქტუალურია არაიმპრესიონისტული ციკლის, ანუ სრულიად სხვა სალექსო ფორმით და სხვა სტილით დაწერილ ლექსებშიც; მაგალითად, *Impressions de Theatre*-ის სათაურის ქვეშ მოქცეულია რამდენიმე სონეტი, რომლებიც იმდროისათვის პოპულარული ქალი მსახიობებისთვისაა მიძღვნილი (მათ შორის ყველაზე ცნობილია სარა ბერნარისადმი მიძღვნილი ლექსი „ფედრა“, რომელიც 1878 წელს რასინის „ფედრაში“ შესრულებული მთავარი როლის გამო დაიწერა, როდესაც კომედი-ფრანსეს ინგლისში ჰქონდა საგასტროლო სპექტაკლები (უაილდი 2000: 169). ამ ლექსს იმპრესიონისტულ გამომსახველობასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს. მეორე თემატიკა, სადაც სიტყვა *impression* გვხვდება მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობით და სტილზე არ მიგვანიშნებს, არის საბერძნეთში ან რომში მოგზაურობის შთაბეჭდილებით შექმნილი ლექსები. აქ ჭარბობს კულტურულად ღირსშესანიშნავი ადგილების ამსახველი სურათები და მიუხედავად იმისა, რომ სათაურებშიც გამოტანილია სიტყვა „შთაბეჭდილება“, გადმოცემის მანერა არაა იმპრესიონისტული; მაგ., საბერძნეთის ხილვით აღფრთოვანებას გამოხატავს უაილდი ლექსიში *Impression De Voyage*,* ხარობს „არკადიის მინდვრების“ და ზეთისხილის რტოების ცქერით, ზაკინთოსის კუნძულსაც ჰკიდებს თვალს და ითაკის კლდეებსაც ჩაუვლის (უაილდი 2000: 77). ამგვარად, მაგალითებით დასტურდება, რომ უაილდთან რაღაცით გამოწვეულ შთაბეჭდილებაზე წერა უკვე ნორმაა, შემამკობელ სონეტსაც შეიძლება სათაურად *impression* ერქვას, მაგრამ, თავის მხრივ, მეთოდურად იმპრესიონისტული ლექსების სიმრავლე შედარებით ნაკლებია, ვიდრე სიტყვა „impression“-ის გამოყენების სიხშირე. თუკი სიტყვებს რაიმე ძალა აქვთ, ფრანგი მხატვრების მეშვეობით „შთაბეჭდილება“ გასათვალისწინებელ და ყურადსალებ ტერმინად იქცა მსოფლიო კულტურაში, უფრო მოკლედ, სიტყვა „შთაბეჭდილება“ პოპულარული გახდა. უაილდის შემოქმედება ამას ნამდვილად მოწმობს.

რაც შეეხება მეთოდოლოგიურად იმპრესიონისტულ ლექსებს, მათი გამოყოფისა და დაჯგუფების მიზეზი ისაა, რომ უაილდმა,

* ლექსი საბაერძნეთში კატაკოლოში ყოფნისასაა დაწერილი.

ერთი მხრივ, ამ ლექსებში აღსანერი საგნის ხატის შექმნა მთლიანობის ეფექტსა და საერთო შთაბეჭდილებაზე ყურადღების გადატანით განიზრახა და, მეორე მხრივ, სიხათლესა და შუქ-ჩრდილებით თამაში აქცია იმის საშუალებად, რომ სათქმელი გაემჟღავნებინა ლექსში.

რას გულისხმობს შთაბეჭდილების მთლიანობა. უპირველესად იმას, რომ ასეთი ლექსები ეძღვნება და ასახავს ერთ მოვლენას, უფრო სწორად კი, ერთი მოვლენისადმი ავტორის ემოციურ-აღქმით დამოკიდებულებას, რაიმე ერთ სიუჟეტს, რომელიც ავტორმა შეამჩნია და ნანახის პოეტური შთაბეჭდილების გადმოცემა განიზრახა. მაგალითად, ლექსში Impressions, I, Les Silhouettes ხდება მხოლოდ ის, რომ ზღვაში გემბანზე მყოფი მეზღვაური გახედავს ნაპირს, სადაც მომკელები ჩაივლიან. ამ მარტივი „სიუჟეტიდან“ ისედაც ნათელი ხდება, რომ მწერლის ამოსავალი რაიმეს მოთხრობა საერთოდ არ არის, არამედ განწყობის, შთაბეჭდილების ჩვენება უნდა. ეს მიზანი ლექსის ბოლო ფრაზაში იხსნება: „მომკელთა გამოჩენა ცის სილუეტს ჰგავს“ „The young brown-throated reapers pass,/Like silhouettes against the sky“, არის სრული კულმინაცია იმ ზღვისპირა ამინდისა, ქარის, სინათლის, რომელიც მთელ ლექსში ფონს ქმნის იმის გასამუდავნებლად, რაც არის მთავარი სათქმელი, ამ შემთხვევაში, მომკელთა გამოჩენა. სწორედ ეს, ანუ წამიერი თვალის მოკვრით დანახულის და აღქმულის გადმოცემა არის შთაბეჭდილების თემის ქვეშ გაერთიანებული ლექსების უმთავრესი ასპექტი. გასაკვირი არაა, რომ მეტაფორებისა და შედარებების უმეტესი წილი ასეთ ლექსებში ფერებსა და სინათლეზე მოდის, რადგანაც ამ ორის გარეშე ხედვა, ფიზიკური გაგებით, უბრალოდ, შეუძლებელია. ამგვარად, გარდა შთაბეჭდილების სიუჟეტური მთლიანობისა, აქ შემოდის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი: სინათლის და ფერის აღქმა უაილდის იმპრესიონისტულ ლექსებში.

გთავაზობთ მაგალითებს, რომლებიც ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება. მთლიანად სინათლის ეფექტზეა აგებული ლექსი Impression, Le Reveillon, სადაც შთაბეჭდილების ობიექტი არის კვლავ ერთი ცნება, ამ შემთხვევაში, დილა. სამ სტროფში არის აღნერილი, როგორ თენდება და კვლავ მხოლოდ სინათლის დაცემაა პოეტური შთაგონების ობიექტი. პირველ სტროფში ვხედავთ, როგორი გარიურაჟია ზღვაზე, სადაც სინითლიდან ნისლის გავლით თეთრი ქალბატონი (დღე) წამოდგება:

Impression - Le Reveillon

The sky is laced with fitful red,
The circling mists and shadows flee,
The dawn is rising from the sea,
Like a white lady from her bed.

(სინათლის სხივის შემდგომი გავრცელება
შენობებს წვერებს სწვდება)

And jagged brazen arrows fall
Athwart the feathers of the night,
And a long wave of yellow light
Breaks silently on tower and hall,
And spreading wide across the wold
Wakes into flight some fluttering bird,
And all the chestnut tops are stirred,
And all the branches streaked with gold.

(უაილდი 2000: 89)

ბოლო ექვსი სტრიქონის თარგმანი: „გრძელი ყვითელი სხივის ტალღა/ჩუმად ამტვრევს კოშკებისა და შენობათა წვეროებს,/და ტრიალ ადგილას გავრცელებით/ასაფრენად ალვიძებს მთრთოლვა-რე ჩიტს/და წაბლის ყველა წვერო შეირხა/და ყველა ტოტი შეირყა ოქროთი (ოქროს სხივით)“. აქ თემა კვლავ ერთია, — გათენება. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ლექსში შობისწინა დილაა აღნერილი, თუმცა, რომ არა სათაური Reveillon, ამას, შესაძლოა, ვერც მივმხ-ვდარიყავით, რადგან შობის არცერთი ცხადი მინიშნება არ გვაქვს, გარდა ერთისა, რომ a white lady from "her bed", შესაძლოა, დღე კი არ იყოს, როგორც ზემოთ ვთქვით, არამედ ღვთისმშობელის წამოდგო-მა მაცხოვრის გაჩენის დილას. სამივე სტროფს რომ ჩავიკითხავთ, თითქოს თვალით მივყვებით იმ ადგილებს, რომლებსაც თავად ავ-ტორმა მიმდევრობით შეხედა: ჯერ ზღვაზე დაინახა გარიურაჟი წითლად, შემდეგ იქედან წამოსული სხივი შენობების წვეროებს მისწვდა და ბოლოს დაუსახლებელ სივრცესაც მოედო, გავრცელ-და. ღვთისმშობელს თუკი მოვიაზრებთ თეთრ ქალბატონში, მაშინ ისიც გამოვა, რომ უაილდმა ლექსში მაცხოვრის შობით გავრცელე-ბული ნათელი სხივის ბრნწყინვალებაც გვაჩვენა გათენების ციალ-თან ერთად. აი, ამ ხედვას და ფიზიკური და ღვთაებრივი ნათელის გავრცელებით მიღებულ ემოციას ასახავს შობის დილის ლექსი.

მხატვრული გამოხატვის იმავე ფორმას ვხვდებით ლექსში Le Jardin, სადაც სიმბოლოთა მეტყველება მეტია, ვიდრე უბრალოდ ფერებით გამოხატული სეზონურად ცვალებადი ბალის სცენა ტექსტის ზედა შრეზე: ბალში შემოდგომა იწურება და ზამთარი მოდის, სიყვითლიდან მომაკვდავ სითეთრეში გადადის ბუნება. ეს ყველაზე ზოგადი აღწერაა, სინამდვილეში კი, ლექსში გაცილებით მეტი რამ ხდება.

Le Jardin

The lily's withered chalice falls
Around its rod of dusty gold,
And from the beech-trees on the wold
The last wood-pigeon coos and calls.
The gaudy leonine sunflower
Hangs black and barren on its stalk,
And down the windy garden walk
The dead leaves scatter, _ hour by hour.
Pale privet-petals white as milk
Are blown into a snowy mass:
The roses lie upon the grass
Like little shreds of crimson silk.

(უაილდი 2000: 113)

თარგმანი: შროშანის თაიგულის ბარძიმი ეცემა ბინძური ოქროს კვერთხის გვერდით და წიფლის ხესთან ბოლო მტრედი ღუღუნებს.

ბრწყინვალე ლომისფერი მზესუმზირა შავი და უნაყოფო თავის ყუნწზე კიდია და ქარიანი ბალის რომ დაუყვები, მკვდარი ფოთლები დაგორავენ (მიმოიფანტებიან) საათგამოშვებით.

რძესავით ფერმკრთალი თეთრი ბუჩქები დახრილია თოვლზე: ვარდები ბალაზე აწყვია როგორც პატარა ნაფლეთები ჟოლოს-ფერი აპრეშუმისა.

ლექსში სიმბოლოები მრავლად არის და ფერებთან მიმართება საკმად ნიშნეულია: ყვითელი (და შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შავიც, როგორც გადამნიფებული, შავმარცვლებიანი და ყვითელგვირგვინიანი მზესუმზირის ფერი) სიმნიფის სიმბოლოა, წითელი, — სიყვარულის და თეთრი, — სიკვდილის. არსებითია ისიც, რომ სიმბოლოთა წყვილი ბარძიმი-კვერთხი ორი დაპირისპირებული სქესის კლასიკური მინიშნებაა, რაც ლექსის სიუჟეტს უკეთ გამოკვეთს; მიუხედავად იმისა, რომ სამივე სტროფში

მხოლოდ თითო „სცენაა“ ასახული (ბარძიმის დაცემა/მზესუმზირის თავთავი/ვარდის ფურცლები თოვლზე), სიმბოლოებისა და ფერების მეშვეობით მთლიანობა მაინც იკვრება: შეყვარების შემდეგ ბალში ლომისფრად მოელვარე მზესუმზირა უნაყოფოდ და ეულად დარჩა, — სიყვარულმა ბალში ნაყოფი ვერ გამოილო.

მივყვეთ ისევ ფერთა სიმბოლიკას, რადგან იმპრესიონისტული ასახვისთვის ეს ყველაზე გამომსახველობითია და, ზოგადადაც, ფერები უაილდის შემოქმედებაში შესამჩნევი და დიდი დატვირთვის მქონეა პოეტური მეტყველებისას. მიჩნეულია, უაილდისთვის მთავარი ფერი (ცხოვრებს ფერი) ყვითელია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი რომელიმე ლექსში ფერები გადატანითი მნიშვნელობით ცხოვრების რომელიმე ფაზას უკავშირდება, ყვითელი ფერი აუცილებლად შუახნის ასაკს განასახიერებს. ამავე დროს, თუკი არის ყვითელი, არის სინათლეც. ამ უკანასკნელს კი, შეუძლია გააცოცხლოს საგნები, ანუ ხილულისა და არსებულის მდგომარეობაში გადაიყვანოს უჩინარისა და ბნელის მდგომარეობიდან. მხოლოდ სინათლე არის ის, რასაც მივყავართ დასანახავ, შესამჩნევ ობიექტამდე, მის გარეშე საგნების არსებობა ეჭვევეშ დგება.

ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ლექსი Impression Du Matin, ვხვდებით განთიადის სცენას, ანუ სამყაროს შეფერვის სცენას (რაც იმპრესიონისტებთან სიახლოვეზე საუბრისას, არცაა გასაკვირი). ლექსში ტემზისპირა გარიურაჟია აღნერილი ქალაქი და შენობები ჩნდება მხოლოდ სინათლის მოვლენის შემდეგ; მოვლენებს, უფრო სწორად კი, მწერლის მიერ შემჩნეულ ობიექტებს ვხედავთ მას შემდეგ, რაც ისინი განათდება; ვიზუალური აღქმისთვის, შთაბეჭდილებისთვის აუცილებელი კომპონენტი სინათლეა და იგი ამ პოეტური თხზულების მთავარი გმირია. ამით უაილდის ლექსის გათენების სცენა ისეთივე ხდება, როგორიც იმპრესიონისტების ნახატების გარიურაჟი:

Impression Du Matin

The Thames nocturne of blue and gold
Changed to a Harmony in grey:
A barge with ochre-coloured hay
Dropt from the wharf: and chill and cold
The yellow fog came creeping down
The bridges, till the houses' walls
Seemed changed to shadows and St. Paul's

Loomed like a bubble o'er the town.
 Then suddenly arose the clang
 Of waking life; the streets were stirred
 (უაილდი 2000: 41)

თარგმანი: „ტემზის ნოქტიურნი ლურჯსა და ოქროსფერში/ შეიცვალა ნაცრისფერი ჰარმონიით: სატვირთო გემმა ყვითელი თივისფერი სხივი/ შემოიტანა ნავსადგურში: სუსხიანი და ცივი/ ყვითელი ნისლი ჩამოცოცდა/ ხიდებიდან, სანამ სახლების კედლები/ გვეჩვენებოდა ჩრდილებით შეცვლილად და წმინდა პეტრეს ტაძარი/ ბუნდოვნად გამოჩნდა როგორც ბუშტი ქალაქის თავზე. შემდეგ უცბათ რეკა გაისმა/ სიცოცხლის გაღვიძების: ქუჩები შეირჩა“. აი, ეს შერხევა გარკვეულ მოძრავ ხატს ქმნის, ზუსტად ნახატის მსგავს დინამიკას მატებს ლექსს და თან მკითხველისათვის ვიზუალიზიციის წილსაც ზრდის. ერთი მხრივ, საგნები ხილული ხდება გათენებით და, მეორე მხრივ, ქუჩები ცოცხლდება. მაგრამ მხოლოდ გათენების ამგვარი მხტავრული ასახვით არაა ეს ლექსი საინტერესო, ის ფერწერასთან უშუალო კავშირს შექმნის ისტორიითაც ავლენს. პირველი ორი ბწკარი მიუთითებს ცნობილი ამერიკული ნარმოშობის ინგლისელი მხატვრის ჯეომს მაკეილ უისტლერის ორ ფერწერულ ტილოზე: Nocturne: Blue and Gold – Old Battersea Bridge c.1872-5, ძველი ბატერსის ხიდის დამის პეიზაჟით და Harmony in Pink and Grey, რომელიც ლედი მოს (Lady Meux, 1881) პორტრეტს წარმოადგენს.* ქრონოლოგიური მონაცემების გარდა, დასახელებული ლედი მოს პორტრეტი ლექსს უკავშირდება იდეური თვალსაზრისითაც: Harmony in Pink and Grey-მ იყო პასუხი იმავე წელს ცოტა ხნით ადრე შექმნილ ტილოზე სახელწოდებით: Harmony in Grey an black და ასახავდა გამოსვლას და გარდასახეას მუქი ფერების ტენდენციიდან ნათელი ფერებისკენ (ისევე, როგორც თავად ლედი მოს პირადი ცხოვრების ცვლილებებს). „ვარდისფერისა და ნაცრისფერის ჰარმონიამ“ დიდი აუიოტაჟი გამოიწვია ინგლისში და, როგორც ჩანს, უაილდიც შთააგონა: სწორედ უისტლერის ნახატებზე მინიშნებით ქმნის სიბრუნვიდან განათების ეფექტის პირველ-ორ სტრიქონში, სანამ უშუალოდ სიტყვები: „სინათლე“, „სხივი“ „ყვითელი“ გამოჩნ-

* შესაძლოა, რომ რომელიმე სხვა ისეთი ფერწერული ტილო იგულისხმებოდეს, რომლის სათაურშიც ფიგურირებს სიტყვა „ჰარმონია“, ან „ნაცრისფერი“, ასეთი ფორმულირება საკმაოდ ხშირია უისტლერთა, მაგალითად: Harmony in Grey and Green, Harmony in Grey an black, ფრაზა „ჰარმონია ნაცრისფერში“ რამდენმე ტილოს სათაურში აქვს მხატვარს გამოტანილი. მაგრამ მეტად სავარაუდო, რომ ხსნებულ ლექსს Harmony in Pink and Grey-სთან ჰქონდეს საერთო (<http://etchings.arts.gla.ac.uk/catalogue/biog/?nid=MeuxV>)

დება მომდევნო სტრიქონებში. ანუ ამ ორი ტილოს სათაური, ერთი მხრივ, გათენების მეტაფორაა და, მეორე მხრივ, კურსის და მი-მართულების მანიშნებელიც, რაც იმაშიც გვარებუნებს, რომ თავის თანამედროვე მხატვრების ხედვას უაღლდი ნამდვიალდ ითვალისწინებდა.

მოგვიანებით დაწერილი ლექსი *Symphony in yellow* (პირველად გამოქვეყნდა Centennial Magazine-ში, 1889) საინტერესოა იმით, რომ ფერის სიმბოლიკა მასში გაცილებით თამამია. ლექსი ურბანული სივრცის შთაბეჭდილებას ასახავს. გასაკვირი არაა, რომ ამ ლექსში ყვითელი ფერი მარკირებულია:

Symphony in yellow

An omnibus across the bridge
Crawls like a yellow butterfly,
And, here and there, a passer-by
Shows like a little restless midge.
Big barges full of yellow hay
Are moored against the shadowy wharf,
And, like a yellow silken scarf,
The thick fog hangs along the quay.
The yellow leaves begin to fade
And flutter from the Temple elms,
And at my feet the pale green Thames
Lies like a rod of rippled jade.

(უაილდი 2000: 121)

ფერის აღმნიშვნელი სტრიქონები, ცხადია, აქაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის: ომნიბუსი რომ ყვითელ პეპელას ედარება ეს, თავის მხრივ, საინტერესო მოვლენაა; პეპლისეფექტიანი მოელვარე ომნიბუსი, ერთდროულად, ურბანული სივრცის პოეტურობაც არის და ირონიაც, პოეტურობა იმიტომ, რომ მკითხველი ხედავს, მზის სხივებს როგორ აირეკლავს ომნიბუსის შუშები, პეპლის ფრთების მსგავსად და ირონიული იმიტომ, რომ ქალაქში პეპლების მაგიერ ომნიბუსით გიჩევს ადამიანს ტკბობა, ისინი პეპლებივით ჩქარა კი არ მოძრაობენ, არამედ ნელა მოცოცავენ და მათთან შედარებით ფეხით მოსიარულები ისეთივე სწრაფი არსებები არიან, როგორც ქუნქლები. ლექსის ომნიბუსივით მდორე მოვლენებიასე ვითარდება: „ნავსადგურზე ტვირთის სიყვითლე გასდევს სანაპიროს, როგორც ყვითელი აბრეშუმის ყელსახვევი / ყვითელმა ფოთლებმა გაქრობა დაიწყეს ტაძრის ეზოს თელებიდან, / ჩემს ფეხებთან ღია მწვანე

ფერის ტემზა საფირის ზოლს დაემსგვავსა“. ეს ეპიზოდი არც თუ ისე მხიარული შუადღის გაქვავებულ, მზეზე უძრავად ქცეულ სცენას ასახავს და შეიძლება ითქვას, რომ აღწერითია (ტემზას უძრაობა და მწვანე ქვად ქცევა ნიშნეულია საკმაოდ). ამ პეიზაჟურობით, გარკვეული მოსაზრებით, უაილდი არ არღვევს იმრესიონისტულ ტენდენციებს: ცნობილია, რომ პოეტ-იმპრესიონისტად წოდებული კანადელი პოეტის არჩიბალდ ლამპმანის ლექსების უმეტესობა სწორედლანდშაფტურსიუჟეტებსასახავს. მაგრამ უაილდის შემთხვევაში ეს კონკრეტული ლექსი, ნავმისადგომის სცენით და მდორეომნიბუსით, მხოლოდ „გაჩერებული“ ქალაქის ვიზუალურ მხარეს არ უნდა ეძღვნებოდეს, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ლექსის სიმბოლური დატვირთვა იმდენად დიდია, რომ სხვა იდეას უნდა დავუფიქრდეთ. თუ ყვითელი ცხოვრების ფერია, ლექსში ცხოვრების სიმფონია უნდა იყოს წარმოდგენილი (სათაურიდან გამომდინარე), აქ კი, ყვითელ ნისლში გახვეული ქალაქი და გაქვავებული, უკეთეს შემთხვევაში, მღლავი მდინარე და ცხოვრება გვაქვს, მიუჟედავად ფერებისა და შედარებების ეფექტურობისა, ლექსი მაინც პესიმისტურია იმ რეალობის მიმართ, რომლის პოეტურად ასახვასაც ცდილობს (ლექსის იდეა, დაახლოებით, ასე ფორმულირდება: ცხოვრება არ იძვრის, არ ისმის და გაქვავდა).

ფერებით შექმნილი სურათის, ანუ მეტაფორულად ფერით გამოხატული ხატის შექმნის კიდევ ერთ კარგ მაგალითს ვხვდებით ამავე ციკლში. ესაა ლექსი LA MER (ზღვა). ლექსის „სიუჟეტი“ ასეთია: „მთვარე ლომის თვალივით ანათებს ზამთრის ცაზე ყავისფერ ღრუბლებში, ამ დროს მეზღვაურის საჭესთან დგომა სხვა არაა თუ არ აჩრდილი წყვდიადში, ქვემოდან კი ძრავის მუშაობა ისმის. შტორმმა თავის კვალი მაინც დატოვა: მძიმე გუმბათი ახლა თხელი ყვითელი ქაფივით ტივტივებს ტალღებზე სირმასავით“. მთელი ეს შედარება და მხატვრულობა პეიზაჟისა, კულმინაციურად მიმართულია ბოლო მეტაფორისკენ; მთვარის ლომის თვალთან შედარება და მესაჭის აჩრდილისებრი ლანდი ერთგვარ ფონს ქმნის ცენტრალური სათქმელისთვის, რომელიც მხატვრული ფორმულირებით ასეთია: (თუკი გუმბათში ცარგვალი იგულისხება) „ცა ჩამოიქცა“ შტორმის შემდეგ და ცა და მიწა გაერთიანდა და ცის ნაწილი ზღვის ქაფად იქცა. ხოლო მარტივი ენით თუ ვიტყვით, ლექსის იდეა ასეთია: ბუნების ძალის დემონსტრირებას მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ყველაფერმა სახე დაკარგა.

The shattered storm has left its trace
Upon this huge and heaving dome,
For the thin threads of yellow foam
Float on the waves like ravelled lace.

(უაილდი 2000: 113)

მართალია, ბევრი ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ამ ლექსებში, ძირი-
თადად, ერთი მოვლენა, ეპიზოდი ან სურათია აღწერილი და მთავარი
სათქმელიც შეიძლება მხოლოდ ერთი ფრაზა იყოს, მაგრამ უნდა ვი-
ვარაუდოთ, რომ თუ ეს ასეა (და დავივინყებთ ყველა ქვეტესტს),
ეს მონოსიუჟეტურობა ფერწერის მეთოდებისკენ სწრაფვით უნდა
იყოს განპირობებული. ბუნებრივია, რომ მხოლოდ დესკრიფცია
ვერ იქნება მწერლის მიზანი, მაგრამ აი, წერის მხატვრულ მეთოდში
ფერწერის ეფექტების გამოყენება, შესაძლოა, გარკვეულ სპეციფი-
კას ითხოვდეს: გამომსახველობის მაღალი კოეფიციენტთან ერთად,
შესაძლოა, ვთქვათ, სიუჟეტური ხაზი მრავალმხრივად არ ვითარდე-
ბოდეს. მაგრამ ფერის და სინათლისათვის ლექსში ცენტრალური
ადგილის მინიჭება სიახლეა და მეთოდოლოგიურ დამუშავებას წარ-
მოადგენს. თავის მხრივ, ეს მეთოდი არ გამორიცხავს და, პირიქით,
კიდევ მოითხოვს სიმბოლოთა სიტარბეს; საყოველთაოდ ცნობილი
სიმბოლოების: კვერთხისა და ბარძიმის წყვილის, ან ლომის მეტა-
ფორის ქვეშ მზის მოაზრების გვერდით გვხვდება სინათლის სხ-
ივით გაცოცხლებული ქუჩები, ყვითლად მოელვარე ომნიბუსი და
ნეფრიტის ტემზა და ა.შ. ეს გამოვლინებები გასაკვირი აღარ იქნე-
ბა, თუკი უაილდის ამ ლექსებისა და იმპრესიონისტი მხატვრების
გამომსახველობითი მეთოდების მსგავსებაზე ვსაუბრობთ. შესა-
ბამისად, ისიც არ არის შემთხვევითი, რომ სიუჟეტურ გადასვლებს
და მოვლენათა ფართოსპექტურიან განვითარებას ამ ლექსებში ვერ
ვხვდებით. ისინი ვერც გადააჭარბებენ იმ საზღვრებს, რომლებიც
ერთი ფერწერული ტილოს მასშტაბებს გასცდება. რადგანაც ვი-
ზუალური ხელოვნებისგან განსხვავებით, ლექსი ისეთივე სიცხა-
დის მატარებელი არ არის, როგორც ტილო (თუნდაც ყველაზე
არარეალისტური), უაილდის იმპრესიონისტულ ლექსებში მთავარი
სათქმელი ყოველთვის გამოკვეთილად ერთა, მოქმედების განვი-
თარების ადგილიც, უმეტესად, ერთი და, რაღა თქმა უნდა, წამიერ,
თვალის ერთი შევლებით აღქმულ შთაბეჭდილებას ასახავს.

ეს არ წიშნავს, რომ კოპირების, ფერწერიდან ლიტერატურაში
მეთოდების აბსოლუტური გადატანის შემთხვევა გავქვს. ექსპრესი-
ის ახალი მეთოდები, რომლებიც განხილულ ლექსებში შეგვხვდა
უფრო მცდელობაა, ახალი მხატვრული ტენდენციები მოისინჯოს.

აქვე გავიხსენოთ, რომ ეს ლექსები მოგზაურობითა და ფრანგულ კულტურასთან სიახლოვითაა განპირობებული და უაილდის შემოქმედების მხოლოდ გარკვეულ ფაზას ან პერიოდს წარმოადგენის. ამ ლექსების რაოდენობა არ აჭარბებს თხუთმეტს და მხატვრული მეტყველებითა და ფორმით მათ მეტ-ნაკლებ ერთიანობაზე საუბარი ნამდვილად შეიძლება. თუმცა ისტორიულად ცნობილია, რომ შემდეგ უაილდმა თავის ლირიკაში წერის იმპრესიონისტული მანერა მაგისტრალურ პრინციპად სულაც არ აირჩია.

დამოცვებანი:

უაილდი 2000: *The Collected Poems of Oscar Wilde*. Wordsworth Poetry Library. Macmillan & Co Ltd, Chatham plc, Chatham, Kent, Great Britain, 2000.

<http://www.uwo.ca/english/canadianpoetry/cpjrn/vol34/compton.htm>

<http://www.literaryjewels.com/2008/10/impressionism-in-literature.html>

<http://www.tate.org.uk/art/artworks/whistler-nocturne-blue-and-gold-old-battersea-bridge-n01959/text-summary>

<http://etchings.arts.gla.ac.uk/catalogue/biog/?nid=MeuxV>

თამარ ცინცაძე

იოსებ გრიშაშვილი და ცისფერყანწელები

XX საუკუნის 10-20 იანი წლები ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდია ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამას ყველა ერთ-ხმად აღიარებს, ვინც კი იმ დროის მწერლობას, ესეისტიკას, ლიტერატურულ მიმდინარეობებს, პრესასა და ლიტერატურულ კრიტიკას შეხებია.

იყო: პრესის, წიგნის, ესეის, მოთხრობის, რომანის, დრამის, ლირიკის, სონეტის, ქართული ვერსიფიკაციის განახლების, ძველი-სა და ახლის შეჯახება-შერკინების ბუმი. ახალი „მოდერნიზმის“ სახელით, რუსეთის გავლით, შემოვიდა საქართველოში, მხოლოდ თხუთმეტიოდე წელი იარსება (1912-1927), მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში. მოდერნიზმი „ქართული სულის რენესანსის“ გამოვლენა და ახალი დროის ევროპეიზმი იყო ქართულ ლიტერატურაში, რაც ყველაზე უკეთ შეძლეს სიმბოლისტებმა — სიტყვა იდუმალი განცდით აღავსეს და გააფეტიშეს. სამყარო ჭვრეტის საგნად გამოცხადდა, რომელიც სიმბოლოთა, მინიშნებათა, ნახევარტონთა ენით უნდა ამეტყველებულიყო. საამისოდ სიმბოლისტებმა მიმართეს ლირიკას — ახალ სალექსო ფორმებს — და მასში მოაქციეს „სული შეშლილი და ბედნიერი“.

1913 წლის 19 მაისს ქუთაისში გამოიცა (ქუთაისია ქართული მოდერნიზმის აკვანი) ყოველკვირეული ალმანახის — „ოქროს ვერძის“ პირველი ნომერი. რედაქტორი ბესარიონ ჯაიანი. ავტორებს კრებდა და სასტამბოდ ამზადებდა პაოლო იაშვილი. ალმანახმა მხოლოდ თვე-ნახევარს იარსება — გამოიცა ხუთი ნომერი, მაგრამ „ოქროს ვერძი“, შეიძლება, ჩაითვალოს სიმბოლიზმისაკენ მიდრეკილ პირველ გამოცემად და ნიადაგის მომზადებად 1916 წელს ცისფერყანწელთა ხმამაღლი განაცხადისათვის. „ოქროს ვერძის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა გალაკტიონის „მე და ღამე“, სიმბოლისტურია გრიგოლ რობაქიძის „ფიორდების ასულს“. ალმანახს მსჭვალავს ქართული სიტყვის განახლების პათოსი. სწორედ მის ფურცლებზე განაცხადა გრიგოლ რობაქიძემ, რომ საქართველოში რენესანსი დაიწყო.

ამ დროისათვის იოსებ გრიშაშვილი უპოპულარესი პოეტია. ლექსის, მეტრის, რითმისა და მეტაფორის ოსტატი. გამოცემული აქვს „ოცნების კოცნა“ (1911) და „ბროლის ღიმილი“ (1913). მისი გავლენით წერენ პირველ სტრიქონებს გალაკტიონ ტაბიძე და ალექსანდრე აბაშელი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, კონ-

სტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე და გიორგი ლეონიძე. ჯერ კიდევ დიდი სიამტკბილობაა მასა და მომავალ „ცისფერყანწელებს“ შორის: გრიგოლ რობაქიძესთან ერთად მოგზურობს მთელ საქართველოში, ამის შესახებ რამდენიმეჯერ იუწყება „ოქროს ვერძი“: „10 ივლისიდან დაიწყება ტურნე რობაქიძისა და გრიშაშვილისა. მათ განზრახვა აქვთ, შემოიარონ შემდეგი ადგილები: სურამი, ბორჯომი, წალვერი, ცემი, ბაკურიანი, აბასთუმანი და სხვა (ლიტერატურული უურნალები 2011ა: 25,104).

„ოქროს ვერძი“ რეცენზიას უძღვნის იოსებ გრიშაშვილის მეორე წიგნას „ბროლის ლიმილს“: „ჩვენს ახალგაზრდა მგოსნებში ი. გრიშაშვილს საუკეთესო ადგილი უჭირავს. მისი ლექსები, ყოველთვის საუკეთესო ფორმაში ჩამოყალიბებული, ახალის და ლამაზის რითმებით შემუშლი, ხშირად გაუგებარი, მაგრამ ყოველთვის სასიამოვნო საკითხავი, დლითი დღე ამკვიდრებენ ახალგაზრდა მგოსნის სახელს ჩვენს ლიტერატურაში. იმის დიდ პოეტურ ნიჭზე ორი აზრი არ არსებობს. ყველა ულოცავს მას ნათელ მომავალს“ (ლიტერატურული უურნალები 2011ა: 46).

„ოქროს ვერძი“ აღტაცებული მიესალმა ალექსანდრე აბაშელის „მზის სიცილს“, მაგრამ ყოველი წიგნის რეცენზიერს თავი ვალდებულად მიაჩნდა, დასაწყისშივე იოსებ გრიშაშვილის სახელი ეხსენებინა და დითირამბებით შეემკო: „ჩვენ გვიყვარს მშვენიერი ჭაბუკი, რომლის სიტყვას ოცნება კოცნით მოჰყერებია. გვხიბლავს მისი დარდი ყვავილების ფორთლებათ შლილი, გვიტაცებს მისი ქნარი, „ოლოლის“ და ან მეორეს, მესამეს, და, ვინ იცის, რამდენის გიშურ სიყვარულით ანატირი — ჩვენ გვიყვარს გრიშაშვილი“ (ლიტერატურული უურნალები 2011ა: 102).

იოსებ გრიშაშვილის მხოლოდ ერთადერთი ლექსი დაიბეჭდა „ოქროს ვერძში“ — „სხივთა წვიმა“, რომლითაც იხსნება ალმანახის მესამე ნომერი. მაღალი შაირით განყობილ ორგაეპედებს (გრიშაშვილმა ალადგინა თექვსმეტმარცვლიანი ლექსი) ერთი და იგივე რითმა ამშვენებს — მართლაც მშვენიერი რითმები, უმტესად სახელი და ზმანა გარითმული: გაიღიმა — სხივთა წვიმა; ვარსკვლავთ სხივი და მეც ვლვივი; ამიხსენი — სხივი შენი; ერთხელ ზმნები: წამოსცვივდა — ალივლივდა; თითოჯერ — სახელები და საწყისები: სხვანაირი — მთის შაირი; განსხვავება — უკვდავება. არავითარი ბუნდოვანება, არავითარი უცხო სიტყვები. გამჭვირვალე შინაარსი, ფორმა და რითმა, განმეორებები სრულ ჰარმონიას ქმნის. მუსიკალური სტრიქონები იოლად აღიქმება და სწრაფად მკვიდრდება მესიერებაში. ეს იგრძნობა თუნდაც ორიოდ ბაიათში:

თუ ზღვის სხივი ზედ ეფრქვევა, მეც მეფრქვევა სხივი შენი.
მაშ, რით მჯობნის მე ზღვა, მითხარ! მაშ, რით მჯობნის, ამიხსენი.

გრიგოლ რობაქიძე, 1921 წლამდე ქართული მოდერნიზმის (ამ-დენად, სიმბოლიზმის) მამამთავარი, ჯერ კიდევ 1916 წელს, იოსებ გრიშაშვილს საქართველოს პირველ პოეტად მიიჩნევდა. თავად გრიგოლს გალაკტიონზე მეტად ტიციანი და პაოლო მოსწონდა, გრიშაშვილი აღიარებდა გალაკტიონის პირველობას და გალაკტიონიც მას უმხელდა თავისი გულის დარდს: „...ამ ბოლო დროს რა-ლაც უჩინარი სენი შეპარება, საშინელი სენი მარტომბისა, და, ვით სიკვდილით დასჯილი სახერჩობელის წინ, თვალებით ვერებ მონათე-სავე სულს. საშინელებაა, აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტომბას“ (წერილი ინახება გრიშაშ-ვილის სახლ-მუზეუმში. — თ.ც.). მეგობრული და საქმიანი ურთიერ-თობა აკავშირებდათ იოსებ გრიშაშვილსა და პაოლო იაშვილს. 1986 წელს უურნალ „მნათობში“ ნოდარ გრიგორაშვილმა გამოაქვეყნა პაოლო იაშვილის წერილები იოსებ გრიშაშვილისადმი — გამოგ-ზავნილი ქუთაისიდან და საჩხერიდან 1915-1916 წლებში — სულ 21 წერილი. ცხრა 1915 წლით თარიღდება, 12 — 1916-ით. წერი-ლებში კარგად ჩანს ორ ახალგაზრდა პოეტის წრფელი ურთიერ-თობა, ცხოვრება-საქმიანობა, განწყობა, შემოქმედებითი გეგმები. სიმბოლისტები ალმანახის გამოსაცემად ემზადებიან და პაოლო სთხოვს გრიშაშვილს, მიაწოდოს ლექსები, დაეხმაროს უურნალის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების, რეკლამის, გავრცელებისა და გაყიდვის საქმეში.

1915 წლის 5 მარტს იოსებ გრიშაშვილის საღამო გაიმართა ქუთაისში. საგაზეთო განაცხადსა და პროგრამაში, პაოლო იაშვი-ლის წინადადებით, გალაკტიონი იყო მოხსენებული. გალაკტიონმა უარი განაცხადა საღამოში მონაწილეობაზე — მისთვის დაუკი-თხავად მონაწილეთა შორის მოხსენიების გამო. ამ უხერხულობით შეწუხებულ და შეშფოთებულ გრიშაშვილს პაოლო ამშვიდებს, გან-მარტებითი წერილის მონერას ჰპირდება და გალაკტიონსაც კარგა გვარიანად გაკენწლავს (წერილი 20 მარტითაა დათარიღდებული). 29 მარტის წერილში პაოლო „არშინ-მალ-ალანის“ დასის (რომელიც, პაოლოს თქმით, საუკეთესოა) საჩქაროდ ქუთაისში ჩასაყვანად დახმარებას სთხოვს გრიშაშვილს. არადა, განხეთქილების შემდეგ, ეს სახელი დამცირების სინონიმად იქცა და ამ ეპითეტით ამკობდ-ნენ „ცისფერყანწელები“ გრიშაშვილს. თუნდაც ზოგადად: „გრძელი ულვაშებით ქონდრისკაცები სიონში მღერიან არშინ-მალ-ალანს.“

ყოველი წერილი სხარტი, მოკლე, საქმიანი და ლაკონიურია. თუნდაც ასეთი, სამეულის ნაღდი ნახელავი: სოსოს, გაფიზის ვარდს, ფირუზის კოცნა. პაოლო იაშვილი. ტ. ტაბიძე. ვ. გაფრინდაშვილი. ქუთაისი 1915. 6. 15. „ძვირფასი სოსო“ კისლოვოდსკშია, პაოლო — საჩხერეში და ბორჯომს აპირებს ნასვლას. უჩვეულო განწყობა და სიმშვიდე გამოსჭივის ამ მოკლე ბარათიდან: „შემოდგომის-თვის რაღაცებს ვაპირებ, თუ ოცნება ოცნებად არ დარჩა. სოფელ-ში მშვენიერი სიგრილეა, მყუდროება, ყველა მიყვარს, არავინ არ მძულს. ომის შესახებ არაფერს არ ვკითხულობ და აღარც მაინ-ტერესებს“. პაოლოს მთელი ყურადღება ახლა უურნალისკენაა მიპ-ყრობილი, დაბეჯითებით სთხოვს ლექსების გაგზავნას: „ალმანახში მონანილეობას მიიღებნ უკანასკნელი დროის გამოჩენილი მწერ-ლები, შენც დაგვამშვენ, გთხოვ, რაც შეიძლება მაღლე გამოგზავნე ლექსები, უფრო ლაღი და გაბედული, ვიდრე ყველა შენი ლექსები. იცოდე, რომ ჩვენი ალმანახი იქნება გასახარელი ყველასათვის, ვინც გრძნობას ნამდვილ სილამაზეს თანამედროვე შემოქმედებაში“ (გრიგორაშვილი 1986: 147). და იქვე: „ცისფერი ყანწებისათვის“ უსათუოდ ნამოიღე საოცარი ლექსი“.

შემდეგი ექვსი წერილი ეთმობა თბილისში „ცისფერი ყანწე-ბისათვის“ ყდის, ასოების და კლიშეების დამზადებას, გაზეთებში „ყანწების“ შესახებ განცხადების დაბეჭდვას და უურნალი-ზაციას. გრიშაშვილმა ყველა დავალება პირნათლად შეასრულა და „ფერადი სიტყვებიც“ შეანია „ცისფერ ყანწებს“, რომელმაც, როგორც პაოლო ამბობს, ნამდვილი „ომი“ გამოიწვია: „ქუთაისი აპირებს ჩვენს გაძევებას, მაგრამ რაინდული სული ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენში“ (გრიგორაშვილი 1986: 149).

გრიშაშვილმა ლექსიც გაუგზავნა „ყანწებს“ — „სძინავს დედ-ოფალს“ და ყოველმხრივ ხელი შეუწყო მის გამოსვლასა და გავრ-ცელებას, მაგრამ განხეთქილების ვაშლი საცაა უნდა გაგორებული-ყო: გრიშაშვილს ალარ უნდოდა სიმბოლისტებთან ურთიერთობა, პაოლო დაჟინებით სთხოვდა დარჩენას. ერთი კვირით გადადო „ყან-წების“ მეორე ნომრის გამოცემა — სოსოსაგან ლექსს ელოდებოდა და მიიღო კიდეც — „შეშლილი ოთახი“ — ნამდვილი სიმბოლის-ტური განწყობისა და შეფერილობის ლექსი. პაოლო აღტაცებულია: სათაურიც მოსწონს და მთლიანად ლექსიც, ოღონდ რაღაცებების შეცვლას სთხოვს, თუნდაც რამოდენიმე სიტყვის და „დარიანულში“ უკვე ნახმარი ორი რითმისა — ესეც მეტად კარგი ლექსის სრული უნაკლობისათვის სურს. თბილისისათვის „ყანწების“ მეორე ნო-მერიც გრიშაშვილს გამოუგზავნა და ახლაც გრიშაშვილი ემზადება „ლეილას“ გამოსაცემად. გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინ-

დაშვილი და პაოლო იაშვილი მზად არიან თანამშრომლობისათვის. ეს ამ მიმოწერის ბოლო წერილია, 1916 წლის 19 დეკემბრით დათარიღებული, ვალერიანისა და პაოლოს ხელმოწერით. პაოლომ ლექსი შეცვალა და „ლეილასათვის“ „სევდიანი ზურმუხტი“ გამოაგზავნა, გაფრინდაშვილმა — „ქალს ჩაუენილი თვალით“. გრიშაშვილმა „ჩაუენილი“ „ჩასმულით“ შეცვალა, მაგრამ, ავტორის თხოვნით, ისევ ძველი სათაური დატოვა.

ამ წერილებში ჩინებულად გამოიკვეთა გრიშაშვილისა და „ცისფერყანწელთა“ ურთიერთობა. აქებდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის პრესაში თანამშრომლობდნენ: გრიშაშვილი „ცისფერ ყანწებსა“ და „ლიგეიაში“, პაოლო, გრიგოლ რობაქიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი — „ლეილაში“. გრიშაშვილსა და „ყანწელებს“ შორის კონფლიქტის მიზეზად ზოგი მის სიმბოლიზმისაკენ გადახრას მიიჩნევს, ზოგიც — სიმბოლისტების ნაციონალურ ხედვას. ჩვენი აზრით, ერთიცაა და მეორეც. მართალია, ამ საკითხზე გრიშაშვილს, სიმბოლისტების დარად, ტრაქტატები და მანიფესტები არ დაუწერია, მაგრამ მისი პოზიცია წლების განმავლობაში გამოიკვეთა სონეტის, რითმისა თუ „სალომეას“ გარშემო ატეხილ კამათში. „იოსებ გრიშაშვილმა იგრძნო, რომ პოეზია სხვა გზით მიდიოდა, რომ აღმოსავლური პათეტიკა, თემატიკა და ლექსიკა ლიტერატურის აღსასრულს ნიშნავდა. ამიტომ აითვისა სონეტი და ტრიოლეტი, თოთხმეტმარცვლიანი ლექსი, დაწმინდა გრძნობა და სალექსო ფორმა, ევროპას მიაძყრო თბილისის ქუჩაბანდებში გამომწყვდეული მზერა“ (სიგუა 2002: 52). „ცისფერყანწელებმა“ იუკადრისეს — გრიშაშვილი წარსულს ეკუთვნის, ჩვენ გვპარავს და ასე დაედო სათავე მრავალწლიან კონფლიქტს. „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის შემაჯამებელ წერილში — „ცისფერი ყანწებით“ — ტიციან ტაბიძე ჩვენში სიმბოლიზმს უკვე ღამეგათეულად მიიჩნევდა, თუმცა „ჯერ კიდევ ბინდია, მაგრამ ეს ბინდია საგარისურაჟო“... იმის საილუსტრაციოდ კი, რამდენად არის ჩვენი მწერლობა სიმბოლიზმისაგან კვალდამჩნეული, ტიციანი ახასიათებს „ძვირფას სამებას ჩვენი პოეზიის“: სანდრო შანშიაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს და იოსებ გრიშაშვილს.

შანშიაშვილს თარგმანებსა და სიმბოლისტობის პატენტის დაძლევას უწუნებს. გალაკტიონს ყველაზე მეტად ემჩნევა სიმბოლიზმისკენ გადახრა და, ეტყობა, გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას. ძვირფასი სამების მესამე წევრს — გრიშაშვილს — მეტად მკაცრად განსჯის: თითქოს ერთდღოულად უწუნებს და უნინებს ბესიკისა და ერეკლესდროინდელ თბილისთან განშორებას, „მაგრამ დაშორდნენ კი ისინი ერთმანეთს ისე, რომ ვერ იც-

ნონ?“ გრიშაშვილისადმი ბრალდება ბესიკის დავიწყება და წარსულის უცოდინარობაა. ტიციანი ორმაგი სტანდარტით წერს. იცის, რომ შეახსენებენ გრიშაშვილის თვალისმომქრელ მეტაფორას, მიუხედავად ამისა, „გრიშაშვილი ძალიან დამთავრდა და ეხლა თავის თავს დაუწყო გადამღერება და უნდა მოხდეს ძირითადი ტეხილი მისი შემოქმედების, რომ არ დაჭინეს გვირგვინები. თუმცა იმ გვირგვინების ღირსი, რომელსაც იგი ატარებს, უსათუოდ არის“ (ლიტერატურული ჟურნალები 2011ა: 124-125). იმავე წერილში კიდევ ერთხელ ახსენებს გრიშაშვილს უარყოფით კონტექსტში და წერილის მეორე-მესამე ნაწილი, ფაქტობრივად, ეთმობა გრიგოლ რობაქიძეს — საქართველოში სიმბოლიზმის შემომტანსა და მამათავარს: „პირველი მოციქული სიმბოლიზმისა სიტყვიერად ქადაგებდა მოდერნიზმის სახარებას. გრ. რობაქიძის აქაფებული სიტყვა, აღმაფრენი ფანტაზია, თვალისმომქრელი სახეები ძვირფასი მოგონებაა ჩვენი ახალგაზრდობისა. პირველად იმან შეგვახედა იოპანანანის მოქრილ თავს (ტიციანი მაშინ ვერ წარმოიდგენდა, როგორი კამათი ატყდებოდა რობაქიძესა და გრიშაშვილს შორის „სალომეას“ თარგმანის გამო), პირველად იმან მოგვასმენინა ნიცშეს მწვალებელი სიტყვა. ამ ბრძნებისას ტურნირზე ძალიან ცოტანი იყვნენ რჩეულნი და მოწვეულნი...“ (ლიტერატურული ჟურნალები 2011ა: 122-123).

ერთი მხრივ, გრიშაშვილს უკითხინებენ სიმბოლისტობისაკენ გადახრას, მეორე მხრივ, თავად რობაქიძეს გაუზომავს სიმბოლიზმის საზომით მისი მჭრელი ჭკუა. ათამამებდა, ხელს უწყობდა და „ასე იკერებოდა შეუკერელი. აქედან არის ვაჟა-ფშაველას და ი. გრიშაშვილის მოდერნისტობის ისტორია“ (ლიტერატურული ჟურნალები 2011ა: 123). უცნაური ტანდემია — ვაჟა და გრიშაშვილი! ვაჟასა და აკაკისაგან გზადალოცვილ პოეტს ქართული ლექსის განმახლებლის პრიორიტეტს ართმევდნენ და, საერთოდ, მოდერნისტობას უკრძალავდნენ. არადა, 20-იანი წლების დასაწყისამდე, ვიდრე „აკადემიურ ჯგუფს“ შეუერთდებოდა და მისი ერთ-ერთი ლიდერი გახდებოდა, გრიშაშვილი ყოველგარი ლიტერატურული მიმდინარეობისა და ჯგუფებისაგან განზე მდგომი პოეტი იყო. გრიშაშვილისადმი „ცისფერყანწელთა“ ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, მათ ძალიან კარგად იცოდნენ გრიშაშვილის ფასი. გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძის სიტყვები: „უახლეს მწერლობაში ყველაზე უცნაური ფენომენი გრიშაშვილია... ქართული საზოგადოება ორ ბანაკად არის გაყოფილი. ერთს მოსწონს იგი და გუნდრუს უკმეეს, მეორე უარყოფითად ხვდება... ასეთი შედავება თავისთავად პოეტის ნიჭის მაჩვენებელია... გრიშაშვილი რომ ფრიად ნიჭიერია, ეს ყველასათვის უნდა იყოს ცნობილი“ (გრიშაშვილი 2009: 27). და

ქართული კრიტიკის აღიარებული მეტრის კიტა აბაშიძის შეფასება: „გრიშაშვილი სულ მოკლე დროში ახალგაზრდა პოეტების პირველ რიგში ჩადგა. დღეს იგი „მაესტროთ,“ „ოსტატათ“ არის ცნობილი, მის ლექსებს საჯაროდ კითხული ბენ, ნოტებზე იღებენ, მღერიან, მის ნაწარმოებებს არჩევენ, სწავლობენ, ერთხმად აღტაცებაში მოდიან. გრიშაშვილმა ლამის თავისი შკოლა შექმნას ლირიკული პოეზიისა. ჩვენი ახალგაზრდა პოეტები მის გამოსროლილ სიტყვებს იტაცებენ, იმეორებენ და ათასის გადასხვაფერებით აწვდიან საზოგადოებას. მისი დაფნის გვირგვინი, ეტყობა, ძილს უფროთხობს ახალგაზრდა პოეტებს“ (გრიშაშვილი 2009).

გრიშაშვილს ერთი საუცხოო თვისება ჰქონდა: ყველა კრიტიკულ გამოხმაურებას რუდუნებით აგროვებდა და რვეულებად კრავდა. მის სახლ-მუზეუმში რამდენიმე ასეთი რვეულია დაცული. მათ შორის ერთ-ერთს, „ჩემი და გრ. რობაქიძის კამათი „სალომეას“ თარგმანის გამო,“ ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. გრიშაშვილმა, ალექსანდრე აბაშელის დარად, 1915 წელს ვრცელი ლექსით უპასუხა თავის განმქიებელთ — „ვინც რა უნდა სთქვას“ — ქვესათაურად „ვუძღვნი ჩემს კრიტიკოსებს.“ მართლაც, მიუხედავად იმისა, ვინ რას ამბობდა, როგორც ვნახეთ, პალლ დაუინებით მოიხსოვდა „ცისფერი ყანხებისათვის“ გრიშაშვილისაგან ლექსებს და მანაც თითო-თითო ლექსი გამოაქვეყნა უურნალის პირველ და მეორე ნომერში: „სძინავს დედოფალს“ და „შეშლილი ოთახი.“ ჩვენ მხოლოდ ერთმანეთის უურნალებში დაბეჭდილ ლექსებს შევეხებით.

ცნობილ პოეტაგან, როგორც საპატიო სტუმრებს, „ცისფერი ყანხების“ ფურცლები დაეთმო იოსებ გრიშაშვილსა და გალაკტონ ტაბიძეს. უურნალის მესვეურები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლექსის ფორმას — მის გარეგან მხარეს. ამას მოწმობს ლექსებში ფერადი შრიფტით გამოყოფილი სარითმო კლაუზულები, რომლებიც მეორე ნომერში არ განმეორებულა. „სძინავს დედოფალს“ ნამდვილი გრიშაშვილისეული ლექსია — ფორმით, სტილით, რითმით, რიტმით, შინაარსით. მეფე-დედოფალში ახალშეუდღებული წყვილის პირველი ლამის ინტიმი იგულისხმება, ბროლის ნახერხით ნაგებ კოშკში — მოჩვენებითი ბედნიერება და დედოფლის დალატი — ცოლი ქმარს (სიზმარში) კოხტა, თმახუჭუჭა ბიჭში ცვლის. ნაზმანევ სატრუოს ქალი აბანოში ეპატიუება და თავის სურვილებს კარნახობს. უნდა ვაღიაროთ, რომ შინაარს აშკარად სჯაბნის ფორმა — რითმათა თავბრუდამხვევი სიჭრელე, რიტმისა და მეტრის ცვლა. ლექსს თავსა და ბოლობში ორ-ორი ოცმარცვლიანი, შიდა და გარე რითმებით გაწყობილი შავთელური კატრენი ახლავს — 5/5/5/5; ორჯერადი მოსაზღვრე რითმებით — aabb; ძირითადად, რითმა ორ-

მარცვლიანია, ორჯერ — სამმარცვლიანი. ორი კატრენის შემდეგ
პოეტი ცვლის რიტმს, ოცმარცვლიანი, შედარებით მდორე თხრობა
იცვლება გრიშაშვილისათვის საყვარელი ათმარცვლიანი ლექსით.
ტემპის გამოცვლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შინაარსობრივმა
მხარემ — სტატიკა დინამიკაში გადავიდა, მოსაზღვრე რითმა ჯვა-
რედინით შეიცვალა:

ო, კოხტა ბიჭო! ო, თმა-ხუჭუჭავ!
კარგო ვეზირო, მომეცი-ხელი,
დღეს, გამაგონე, თვალს ნუ მოხუჭავ!
იყავ მღვიძარე, იყავ ფიცხელი!

ხუთ ათმარცვლიან კატრენში პირველი და ბოლო მეორდება,
როგორც ბოლო ორი ოცმარცვლიანი კატრენი პირველი-ორის ოდ-
ნავ სახეცვლილი განმეორებაა. პოეტური სინტაქსისაგან განმე-
ორება გრიშაშვილის პოეტური სტილის დამახასიათებელი ნიშანია.
„ღამე“ და „სინხავს დედოფალს“ შინაარსის მხრივ ყველაზე დამახა-
სიათებელი სიტყვებია. სიტყვათა გამეორებამ გააბატონა ლექსში
გარკვეული ბგერათკომპლექსები და შექმნა მუსიკალური ბგერ-
წერა — ლექსის არაჩვეულებრივი ევფონია.

„შეშლილი ოთახი“ ნამდვილი სიმბოლისტური ლექსია. ალბათ,
ამიტომ მოსწოდა იგი განსაკუთრებით პაოლო იაშვილს. მალარმეს
ოთახის ესთეტიკა, მისტიკური სარკე, ღამე, ფარადა, თეთრი ფერის
მაგიური ძალა... ოთახის ჰერმეტული გარსი, სინაზედაბრუნებული
ნესტიანი სარკიდან გადმოსული ჰუნე და ჰუნეთი მზის ამორძალი
— მწყემსი ორძალით და მზისკენ, სინათლისაკენ გაჭრის დაუოკე-
ბელი სურვილი. ფარადა აქ ცადალმყვანებული ფრთების ფუნქცია
აქვს. რარიგ გვაგონებს ეს პასაუი ალექსანდრე აბაშელის ლექსების
ლირიკული გმირის არაერთგზის მზისეთში (ალექსანდრე აბაშელის
ლექსიკიდანა) მოგზაურობას:

ჩემი ოთახი რა რიგ ჰყვავის? — რა რიგ გაზრდილა!
ვიშ! აღარ ძალუს ამ შავეთში მას ყოფნა ასე, —
მალე გვეწვევა მზე ცისკრული, მზე მოკისკასე
და შავ ოთახზე ჯვარს დაინერს მოთეთრო დღლა.
ჩემი ოთახი რა რიგ ჰყვავის? — რა რიგ გაზრდილა!

„შეშლილი ოთახი“ სიმბოლისტური რედიფიანი ლექსია: ოთხი-
ვე კატრენს რედიფად გასდევს ყოველი სტროფის პირველი ტაეპი,
რომელიც ერითმება მეოთხეს და შესანიშნავ რიტმულ-მუსიკალურ
ჰარმონიას ქმნის, ამიტომაცაა გამოყენებული რკალური და მოსაზ-
ღვრე რითმები — abba — გრიშაშვილისათვის დამახასიათებელი

ფერადოვნებით და რითმის მორფოლოგიით, თუნდაც: ამორძალი-ორძალი; ფარდა-აფარფარდა; წიგნებს-შეგვიგნებს. ბესიკური თო-თხმეტმარცვლედი 5/4/5. გრიშაშვილს უყვარს გამეორება, სიტყვის თავისუფლად მოქნევა, რათა განსაკუთრებული შინაარსი ჩადოს სიტყვაში. ერთ სტროფში ერთდროულად შეიძლება არსებობდეს — გამეორება, სიმბოლო, მეტაფორა და გაპიროვნება.

1917 წელს გამოვიდა გრიშაშვილის უურნალის — „ლეილას“ — პირველი ნომერი (სულ სამი ნომერი დაბეჭდა — 1917-1920-1924). გრიგოლ რობაქიძე მიესალმა ამ პირველი, ქალისახელიანი უურნალის გამოსვლასთვის მადლობა გადაუხადა „ჩვენს მოკისკასე გრიშაშვილს“ უურნალის ამ სახელით მონათვლისათვის. რობაქიძე ქებად და სურვილად დაიღვარა, მისთვის ჩვეული პათოსით ხოგბა შეასხა დიად და საოცარ აღმოსავლეთს: „საქართველო ხომ ნატეხია აღმოსავლეთის და ჩვენ არ უნდა დავივინებოთ ჩვენი ძვირფასი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება, მათი ქორნილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ.“ (ლიტერატურული უურნალები 2011ა: 177). მართალია, გრიშაშვილი „ევროპამ სახლში არ შეიწვია“, მაგრამ ქართული „ლეილა“ არ დაივინებდა ევროპას და აღმოსავლური ჰანგებით აამეტყველებდა. რა თქმა უნდა, ეს სურვილი იყო, თორებ ამ ლამის დილემადქცეულ კითხვას თავად გრიგოლ რობა-ქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკოლო მინიშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, აკაკი ჰაბაგა და ივანე გომართელი უტრიალებდნენ (თანამედროვე თუ იმ დროის ავტორთა ნაფიქტ-ნალვანი თავმოყრილია 1997 წელს გამოცემულ კრებულში — „ევროპა თუ აზია?“).

აღმოსავლეთის და დასავლეთის სინთეზი? — ეს ხომ უკვე მოხდა ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსნის“ სახით. „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნანარმოებია, საიდანაც ერთნაირად მოიხიბლება აღმოსავლეთი და დასავლეთი და მაინც იგი წმინდა ქართული ხასიათისაა (მორის ბოურა). მართალია, სიმბოლისტები ცნობდნენ რუსთველის გენიალობას და შოთას პოემა ათვლის წერტილად მიაჩნდათ, მაგრამ სინთეზისათვის რუსთველის რანგის პოეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ბადალი ქმნილება იყო საჭირო და არა, უბრალოდ, აღმოსავლეთის, თუნდაც თვალისმომჭრელად აღწერა. რუსთველის ესთეტიკური სამყაროს „გზაჯვარედინის“ (ჰეგელი) დისკურსიული კვლევისათვის გურამ ასათიანმა „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური პოეტიკა აირჩია და დამაჯერებლად გვიჩვენა, როგორ და რის მეშვეობითაა მოღწეული „ოქროს კვეთა“ (ასათიანი 1988: 538-547).

ამ თემაზე საუბარს ვერ დავასრულებთ „ლეილას“ 1924 წლის ნომერში დაბეჭდილი ერთი ბრწყინვალე ესეისა და წერილის გარეშე: ივანე გომართელის „გრიშაშვილის პროფილი“ და აკაკი პაპავას „ტფილისით გამართლება“. „გრიშაშვილის პროფილში“ გრიშაშვილი ჩანს, როგორც ევროპელისა და აზიელის ნაზავი: (ლიტერატურული ჟურნალები 2011ა: 231). აკაკი პაპავა „ტფილისით გამართლებაში“ იპოლიტ ტენის „გეოგრაფიულ კლიმატურ“ თეორიას იშველიებს: სულ პატარა სივრცეზე გაშლილი ეს ფერადი ხალიჩა „...შორდება ოდნავ აღმოსავლეთის კოლორიტს, მაგრამ ვერ ეთვისება დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებას — მეცნიერებასთან შეჯახებას“. აღმოსავლეთის ღრმა, მელოდიურ ფილოსოფიას დაშორებულ და დასავლეთის ბუნტარულ ფილოსოფიამდე ვერმისულ ჩვენს მწერლობას მაინც ამართლებს ავტორი ქართული უხვი ბუნებით, ძველებური სიმღერებითა და უფრო ფერადი ფორმებით. და სრულიად მოულოდნელი დასკვნა — გრიშაშვილის პოეზია-პოზიციის და სიმბოლისტთა ახალი თქმის ღირსეული თანაარსებობისაა: „და ამ ახალ ფორმებზე მუშაობს დღეს ქართული პოეზია და ტფილისი მას გაამართლებს ძველი თარებით, ქუჩაბანდებით, ჰამქრებით და ოქროს ქამრებით. და ტფილისის სული ამართლებს ახალ თქმას „მოშხა-მულ ყვავილებზე და კოლომბინაზე...“ (ლიტერატურული ჟურნალები 2011ა: 229). ძნელი სათქმელია, ამ მისის აღსრულება სურდა რედაქტორს „ლეილას“ დაარსებით ან შეეცდებოდა თუ არა, საპირნონედ აღმოსავლეთისათვის დასავლეთის დადებას, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ 1920 წლის ნომერი ვახტანგ კოტეტიშვილის ესეით — „აზიისაკენ“ — იხსნება. და კიდევ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი: მიხეილ ჭიაურელის მიერ ირანულ-არაბული დამწერლობის სტილით გაფორმებული ყდა.

„ლეილას“ პირველი ნომრის გარდა, „ცისფერყანწელთა“ ლექსები გრიშაშვილის ჟურნალში არ დაბეჭდილა. შვიდწლიან პერიოდში აისახა განხეთქილება გრიშაშვილსა და „ყანწელებს“ შორის და რედაქტორზე განაწყენებული სიმბოლისტები აღარ წყალობდნენ „ლეილას“. ჟურნალის მეორე ნომერი „შვილდოსანში“ შეაფასა კოლაუნადირაძემ: გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“, ვარლამ რუხაძის „ცხოვრებისეული ყვავილები“ და გრიშაშვილის „ლეილა“ (პოეზია). გალაკტიონისათვის რამდენიმე თბილ სიტყვას იმეტებს, მაგრამ „მთელი წიგნის მიღება გასაჭიროა“. იოსებ გრიშაშვილის პოეზია არშინ-მალ-ალანია“, ვარლამ რუხაძის — მაზოლი, რომელიც უნდა მოიჭრას. გრიშაშვილის ნიჭი და კულტურა ავაბრელი მოქალაქის ემოციების გალექსვას მოუნდა“... გრიშაშვილმა „ლეილა“ ვულგარობითა და მხატვრული სიღატაკით გაავსო. შეუძლებელია

ყველა ლექსის შეფასება, ვინაიდან მხატვრული საზომის გარეშე დგანან. გრიშაშვილის „ტრიოლეტები შეითანხაზარში“ და „ქორნილი ჩვენს უპანში“ ბედნიერ შეცდომად უნდა ჩათვალოს. რეცენზენტი ვახტანგ კოტეტიშვილს აზიოფილობას სწამებს, ვინაიდან არ ეთანმება „ლეილას“ პირველ ნომერში გამოცხადებულ რობაქიძის პრინციპს. და სარკაზმული დასკვნა: „მეორე ქმრის ხელში „ლეილა“ გამოიცვალა. ეს ქალის თვისებაა. ჩვენ ვიცით აზიის ღირებულება. ქართულ პოეზიას აზიურობა არ დაკლებია. არ აკლია ახლაც. საჭირო არის მხოლოდ ის, რომ ევროპამ „ლეილაში“ ვინმე „შეშალოს“: ამისათვის ისინი საკმაოდ აზიელები არიან და საკმაოდ ჯანმრთელი — საუბედუროთ“ (ლიტერატურული უურნალები 2011ა: 211-212).

„ლეილას“ მეორე ნომრის ასეთი სასტიკი შეფასების მიუხედავად, მარუთა შუამდინარელი „ახალ წიგნებში“ მიმოიხილავს ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისებს.“ ცისფერყანნელებში იაშვილსა და გაფრინდაშვილს მიიჩნევს საინტერესო პოეტებად, „თუ პირველს მუნასიბური ნიჭი აქვს — და სანთიან მგოსნად ითვლება, მეორე — მძიმეა ლოდივით და ყოველ მის პწერაში ბრინჯაოს სიმტკიცე ჩანს“ (ლიტერატურული უურნალები 2011ა: 212-213). გაფრინდაშვილი პოეტია, ნიჭიერი პოეტიც, მაგრამ პოეზიის სიყვარული და ავტორისადმი უაღრესი პატივისცემა უფლებას არ აძლევს, მისი ორი ნაკლი არ აღნიშნოს: პოეტი რითმის გულისთვის უამრავი უცხო სიტყვით ტვირთავს ლექსს, მეორეც: ერთი და იგივე რითმა, ამ ერთ ციცქანა წიგნში, რამდენიმეჯერ არის განმეორებული. არა-და ასეთი მეთოდით რითმის არჩევისათვის თავის დროზე გრიგოლ რობაქიძე არასაკადრისი სიტყვებით გაუმასპინძლდა ალექსანდრე აბაშელს. ჯერჯერობით მხოლოდ ამ ორ ნაკლს სჯერდება რეცენზენტი — არასაკადრისი სიტყვებისაგან ღმერთმა დამიფაროსო. „ლეილაზე“ საუბარს ჩვენ პირველი ნომრის საპატიო სტუმრების — ვალერიან გაფრინდაშვილისა და პაოლო იაშვილის ლექსების განხილვით დავასრულებთ: „ქალს ჩაჟენილი თვალით“ და „სევდაანი ზურმუხტი“.

„ქალს ჩაჟენილი თვალით“ უცნაურსათაურიანი, ტიპობრივი სიმბოლისტურ-გაფრინდაშვილისეული ლექსია. საკმაოდ, მძიმე ტრადიციული ლექსწყობით — შვიდი კატრენი თოთხმეტმარცვლიანი ზომით, პოლიფონიური რიტმითა და ჯვარედინი რითმებით — 5/4/5. უცხო სიტყვებითა და დიალექტიზმებით ნაკლებდატვირთული (სპინსკი, არშია, ღლიავი). ჩვენი აზრით, საინტერესო რითმებით: მენავსება—მსგავსება; გაარჩია—არშია; ერთი—გასაღმერთი; ღლიავი—ნიავი. ერთი შეხედვით, ძნელი გასაგებია სათაური: უკუმშველი ფორმა „თვალით“ ქალის (ადამიანის) თვალს

გულისხმობს. სინტაგმაში მიმღეობა „ჩაუენილ“ (იმერული კილოკავი) — ჩასმულს უნდა ნიშნავდეს (შეთანხმების წესი დარღვეულია). ლექსში მამაკაცის წრფელი გრძნობა გულცივი, მედიდური ქალის მიერ უარყოფილია:

რად სხვანაირობს შენი ცქერა და რად მაწვალებს?
გული, პირბადით დაბინდული, მე მენავსება;
იდუმალთ თრთოლვით მე ვუცქერი შენს ცისფერ თვალებს,
მაკვირვებს მუდამ საკვირველი მათი მსგავსება.

ეტყობა, გულისას თვალები ამბობს, ამიტომაცაა ისინი მუდამ მსგავსი და ამოუცნობი, მაგრამ მეორე კატრენში იკვეთება მთავარი სათქმელი: თვალი ყალბი და თვალი მართალი, თვალი ცოცხალი და თვალი უსიცოცხლო — „ჩაუენილ“ — იმ ძერფასი თვლის მსგავსი, რომელსაც „კლავიშებით მოთენთილ თითებზე“ (საოცნებო ქალი, ჩანს, მუსიკოსია) მუდამ ატარებს. აქ არ იგრძნობა გრიგოლ ორბელიანის, ბარათაშვილის, გალაკტიონის სრული თვითგაღება და თავგანწირვა. მძაფრი მამაკაცური ვნება დაოკებულია აკრძალვით — იქ მისი ადგილი არ არის! მაგრამ წყენა ხანდახან მაინც იელვებს, გაშმაგებამდე მისულიც კი.

„ქალს ჩაუენილ თვალით“ „ყველაზე ორთოდოქს სიმბოლისტს“ ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის და, ბუნებრივია, მას თავისი პრეტექსტი გააჩნია, სიმბოლიზმის ყველა პრინციპისა და მოთხოვნის დაცვითაა შესრულებული და მთლიანდ აკმაყოფილებს სიმბოლისტურ ესთეტიკას: ლექსში მოვლენების იქით „საგნები იზმორებიან უცხონი“, შეიგრძნობა კამერულის, ინტიმურის განცდა, იდუმალისაკენ ლტოლვა. თავად პოეტი იდუმალის ესთეტიკას მარადექალურობის იდეას უკავშირებდა, რომელიც ბოლომდე შეუცნობელ რაიმე საიდუმლოს შეიცავს. და პოეტის მიერ ნაქადაგები „ოთახის ესთეტიკა“, მისი ნაწილი — ძვირფასი თვლები, მარგალიტი, მოლუსკი ორმაგი ნიჟარით — სიყვარულის სიმბოლო — სატანჯელად ევლინება ლირიკულ გმირს (ენუქიძე 2006: 35):

რა რიგ მწყურია მარგალიტი თვალში რომ ბრნყინავს,
ო, როგორ მინდა, შენს წამნამებს შევეხო კბილით!
ეგ შენი თვალი დაუნდობი გულს გამიყინავს,
ეგ შენი თვალი იამაყებს ჩემი ტკივილით!

პაოლო იაშვილის „სევდიანი ზურმუხტი“ ისეთი ლექსია, რომელიც ავტორის სურვილისამებრ უნდა გავიგოთ. ამ ლექსში მკვეთრად იმიჯნება რეალურ და წარმოსახულ სიმულაციაზე დამყარე-

ბული მისტიკური სამყარო. აქტუალიზაცია, ანუ წაკითხვის შედეგად ჩამოყალიბებული გარკვეული დისკურსები, ინტერტექსტური მიმართებისა და პრეტექსტების საფუძველზე უყალიბდება მკითხველს. ლექსში არის ფაბულა (ესეოდენ იშვიათი სიმბოლისტთა პოეზიაში), სათქმელი ასოციაციურად იშლება და ამძაფრებს განწყობილებას. ზვიადი პირამიდები, პირქუში სფინქსი, თეთრად გათენებული ღამე, პირამიდებში გაფანტული სიბნელის ნისლი და „მოშვილდაობს“ ავი მაცნე. „პირამიდებში“ ზღაპრული სამხრეთი, ეგვიპტური მითები, ბიბლიური სახეები ელენე დარიანის წარმოსახვაშია, წარმოსახვითია უდაბნოც, მდინარეც, პირამიდებიც... მოვლენები მომავალში ვითარდება, აქ კი წარსულია, თითქოს ისტორიულიც კი: უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ ნეფერტიტის მშვენება იელვებს... ეგვიპტის რომელიდაც დედოფალს ფარაონის სიკვდილი აუნება: დედოფლის ღრმა მწუხარება, ჩაკეტილი სივრცე; ლურჯი, მწვანე, თეთრი ძვირფასი თვლები და ზურმუხტის ცვრებად დაღვრილი ცრემლი. მისმა მხედარმა არ იცის საზღვრების იქით წასასვლელი ნათელი გზა, სანთლისფერი ლოცვა არ ჭრის, რადგან „საზღვრების იქით ნათელი გზა არ ინახება“. ძვირფასი ქვების ფერთა გამაში არ ურევია შავი. ეს ფერი თავად სიკვდილია — მზემოკლებული, უსიცოცხლო, ლანდფური. ლამისფერი ფარჩით შემოსილი ფირუზი — ცისფერი — მარადიული არსებობის, ანუ სულთა საუფლოს ნიშანია, სიკვდილის ნათებაა, სიჩუმე და გარინდება. ზურმუხტი მწვანე ქვაა, „მასში ჯერ არ იგრძნობა პირდაპირი მიმართება ღმერთისკენ ან ღმერთისაგან, არის მხოლოდ მოძრაობა ღმერთის გასწვრივ, თავისუფალი თამაში მის წინაშე... მწვანე ფერი არის შუქისა და წყვდიადის გაწონასწორება“ (ენუქიძე 2006:53). აღმოსავლეთის ძვირფასი ქვის ამქვეყნიურ სისპეტკაეს მარადიული პირამიდები შეინახავენ, ისევე, როგორც ძველ სიმღერებს, — მარად ახალსა და შეყვარებულს, — და არაბებს მუდამ ემახსოვრებათ დედოფლის წმინდა სახება:

როცა არაპი ჰფანტავს სილას აელვარებულს,
იგონებს, როგორ ლოცულობდი და როგორ სწუხდი,
და იმ სიმღერას მარად ახალს და შეყვარებულს,
პირამიდებში სევდიანი, — ჰქვია, — ზურმუხტი.

პირამიდებში სევდიანი ზურმუხტი — ასე იკითხება ლექსის ბოლო ტაეპი. პირამიდებივით გამძლეა გაზურმუხტებული ხსოვნა, ერთდროულად გულისამაჩუყებელი და ამაღლებულიც, სევდიანიც და სიხარულნარევი სიამაყით საკვსე. გამჭვირვალე, ნათელი, ბუნდოვანებისაგან დაცლილი, მსასოებელი და ერის გამძლე მეხსიერე-

ბის მოთაყვანე. ეს ლექსი, პაოლოს სხვა ლექსებთან შედარებით, ნაკლებცნობილია. მას სპეციალურად (რამდენადაც ვიცი) არავინ შეხებია, ამდენად, მისი გამოწვლილვით განხილვა გამართლებულად მიგვაჩნია: პირველ ცხრატაეპედს — იამბიკოს პლუს კატრენი, სამი ოქტედი მოსდევს. ასტროფია შემდეგ აღარ მეორდება. თოთხმეტმარცვლიანი ბესიკური ზომა 5/4/5. რითმა უხვია, გამორჩეული: მეტად უხდება — გაზურმუხტება; სწუხდი — ზურმუხტი; ელის — სიბძელის. ერთმანეთს ერითმება სახელები, მიმღეობები, უმეტესად სახელი და ზმნა. ძირითადად გარითმულია „ცისფერყანწელთათვის“ საყვარელი ჯვარედინი რითმით (abab), მხოლოდ ერთი კატრენია გალექსილი მოსაზღვრე რითმით (aaaa).

გრიშაშვილმა და „ცისფერყანწელებმა“ „ლეილას“ პირველი ნომრით ერთმანეთის ჟურნალებში სტუმრიანობა დაამთავრეს. მათთვის ნეიტრალურ ჟურნალში — ლადო მაჭავარიანის „აისში“ (1918, № 1) კიდევ ერთხელ გვერდიგვერდ დაიბეჭდნენ და იწყება გახმაურებული პოლემიკა გრიშაშვილსა და გრიგოლ რობაქიძეს შორის „სალომეას“ თარგმანის გამო. „ლეილას“ მეორე ნომერში მარუთა შუამდინარელმა გაკვრით ახსენა კაკაბაძეთა „შვიდი მნათობის“ მეორე ნომერში დაბეჭდილი რობაქიძისეული თარგმანი: „... „სალომე“ იმით არის აღსანიშნავი, რომ უთვალავი ნაცვალსახელია. რაც სრულებით არ ეგუება ქართულ ენას ან, აბა, რა ქართულია: „ვეცხლი,“ „კვტარები“, „შეპუდრულნია“ და სხვა...“

იოსებ გრიშაშვილი, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ კამათს და თავი გამარჯვებულადაც მიაჩნდა. მას სკრუპულოზური სიზუსტით შეუკრებია თავისი და გრიგოლ რობაქიძის წერილები (გრიგოლი ბეჭდავდა გაზეთ „საქართველოში“, გრიშაშვილი — „სახალხო საქმეში“), ერთ რვეულად შეუკრავს და დაუსათურებია: „ჩემი და გრ. რობაქიძის კამათი „სალომეას“ — თარგმანის გამო. ი. გრიშაშვილი, 1920 წ. ქ. ტფილისი“. ეპიგრაფად ნაუმძღვარებია: ეს კამათი მოგვაგონებს „ერთი წევთი თაფლის“ ამბავს. რვეული დაცულია გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში და ჩვენც მხოლოდ იმით ვსარგებლობთ.

სალომეს თემა ყოველთვის პოპულარული იყო საქართველოში (სახარების მხატვრობა, ეკლესიათა მოხატულობა, ზარზმისა და ბეთანიის ფრესკები — სალომეას როკვა იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავით. იაკობ ნიკოლაძის ქანდაკება — „სალომეა“, დია ჩიანელის „საუკუნეთა ორლობეში“ და თვით იოსებ გრიშაშვილის „სალომეას სურათზე“). გრიგოლ რობაქიძე „სიტყვის როიაზში“ ასტრალურ ხაზს ამ სიტყვისას ასე ხსნის: სალომეა — ვნება სიკვდილში. თითქმის ერთდროულად ექვსმა მწერალმა თარგმანა

ოსკარ უაილდის პიესა. უაილდმა „სალომე“ სპეციალურად სარა ბერნარისათვის დაწერა ფრანგულად. პაოლოსა და გრიგოლ რობაქიძის თარგმანები უშუალოდ დედნიდანა შესრულებული. რვეულის ბოლოს გრიშაშვილს მიუწერია, ვინ როდის თარგმნა „სალომეა“, სად დაიბეჭდა და სად დაიდგა: „გრიგოლ რობაქიძის გარდა სალომე თარგმნა ქართულად: 1. ა. სარაჯიშვილმა (ხელნაწერი). იხ. ამ თარგმანის შესახებ ხრონიკა ს. ფირცხალავას გაზ. „მზე-ში“ 1908, №1 გვ.4. თვით ტექსტი იხ. საქ. საისტ. და საეთ. მუზ. ხელნაწერი №15 42; 2. პავლე დადვაძემ (დაიბეჭდა „დროების“ დამატებაში — („დროება“ 1909 № 39-დან). 3. შალვა ამირეჯიბმა (დაიდგა „რუსთაველში“ ვერიკო ანჯაფარიძის საბენეფისოდ); 4. პაოლო იაშვილმა (დაიდგა „რუსთ-ში“ 1923 წლის 23 თებერვალს); 5. გრიგოლ რობაქიძის თარგმანი კი (იხ. 1919 წ. „შვიდი მნათობი“, № 2) — ჯერ არსად წარდგენილა; 6. დ. კასრაძემ (ხელნაწერი) ცენტრალურ არქივში ინახება.

თავად გრიშაშვილი გვიყვება რობაქიძესთან კამათის პერიპეტიებს: „ამ ჩემი შენიშვნის შემდეგ გავიდა რვა თვე და გრიგოლ რობაქიძემ ორი ფელეტონი დაბეჭდა „საქართველოში“ შემდეგი სათაურებით: „ქართული რიტმიული“. მეორე წიგნში მეც გადმომერა: „როცა „სალომე“ ვთარგმნე გავშალე ბევრი სიტყვა. მაგალითად: „მკვდრის“ მაგივრად, რომელიც ენას მოსტებს ნარმომთქმელს, მე ვიხმარე „კვტარის“ და სიტყვა რიტმიულად გაიშალა. ეს არ მოსწონებია ვიღაც მარუთა შუამდინარელს, მაგრამ რა მოეთხოვება ისეთ ფინაჩს, რომელსაც ფსევდონიმი ვერ გამოუგონებია არაგა-მაკრეტინებელი (იხ. „საქართველო“, 1920 წ. №82, მარიამობის-თვე, 24).

ეს სიტყვები წალვერში წაუკითხავს გრიშაშვილს, სწყენია და „სახალხო საქმის“ რედაქტორისათვის გამოუგზავნია წერილი — „სალომეს გარშემო“. გრიშაშვილი „არქეოლოგიურ ნაშთს“ უწოდებს „ცნობილ ლექტორს“ — თავკერძას, გულლროსა და განდიდების მანიით შეჰყრობილს და წინადადებას აძლევდა „საქართველოს“ რედაქტორის, აერჩიათ საპაექრო ჯგუფი, — ძველი და ახალი ქართულის მცოდნე პირები, — და, თუ მათ მოენონებოდათ „სალომეს“ თარგმანი — მათი ხმალი და ჩემი კისერიო! რა თქმა უნდა, საპაექრო ჯგუფი არ შექმნილა, უამისოდაც ცხარე, გესლიანი და დაუხდობელი იყო კამათი „სალომეას“ გარშემო. საკმარისია გრიშაშვილის წერილების სათაურების დასახელება: „ენას აღვირი,“ „ნანამები „სალომე“, „სალომე-რობაქიძის გარშემო.“ არც რობაქიძე რჩებოდა ვალში: დასცინოდა მარუთა შუამდინარელს, ვითომ არ იცოდა, ვინ იდგა ამ ფსევდონიმის უკან. აბრიაბრუებდა გრიშაშვილის ქართულს, მარუთა ან გრიშაშვილის მონაფეა, ან მისი ორეულიო. გრიგოლს

ხმას აშველებდნენ ყანწელები: „ტიციანი გრიშაშვილს სარკასტული სიტყვებით ამკობდა; ვალერიანი „რითმის ავაზაქს“ ეძახდა „შეშლილი ოთახის“ ავტორს“ (სიგუა 2002: 140). არანაკლებია გრიშაშვილის ყანწელებისადმი „გამეტებული ეპითეტები“: ტიციანი — „პოეზიის პარალიჩი,“ ვალერიანი — „გაკეთებული ნიჭის პატრონი,“ გრიგოლ რობაქიძე — „ქართული ლექსის მწამებელი!“ პაოლოს მხოლოდ ერთხელ ახსენებს, ისიც სქოლიოში — პავლუშა იაშვილად მოიხსენებს, მაგრამ იქვე, აშიაზე, ფანქრით მიუწერია (თითქოს ბოდიშს იხდისო თ.ც.): „ეს დავწერე იმიტომ, რომ ჩემი ფსევდონიმი „გ...“ გახსნეს“.

გრიშაშვილის პირველ მოკლე წერილს რობაქიძემაც მოკლედ უპასუხა — „მარუთა შუამდინარელს.“ ჯერ თითოეული სიტყვის, თითოეული ფრაზის გამოწვლილ; ვით განხილვა არ დაწყებულა, მაგრამ მარუთას ორეულს — იოსებ გრიშაშვილს კი გულიანად ლანდღავს. „ნაწამებ სალომეში“ გრიშაშვილმა კბილი გაუსინჯა რობაქიძის „სალომეს“ და ნახა, „რა ჭაშნიკისაა ეს ბედმოძვირებული პატარძალი“. „იმ რიოში მარგალიტების“ დასაცავად თუ უარსაყოფად ოპონენტებმა არაფერი დაიშურეს — თავდაუზოგავად იშრომეს: რამდენად მართებულია ქართულ ენაში ნაცვალსახელთა ურვეულო მოქარბებით ხმარება; გაურბის თუ არა ქართული თანხმოვანთა თანხვედრას, ვეცხლი თუ ვერცხლი? ტრედი თუ მტრედი? გაიარს თუ გაივლის? კუდი თუ ბოლო? მკვდარი თუ კვტარი? „ბიბლიის სურნელი“ — ბიბლიის ენა თუ პროვინციული (დიალექტური) მეტყველება? თასი თუ ლანგარი?...

„ესთეტიკის საქმე ისე წახდა, რომ გრიშაშვილზე გვიხდება საუბარი, მაგრამ არც ისე წამხდარა, ფაშალიშვილებზე ვიდაოთო“! და გრიგოლმა გაამართლა თავისი თარგმანი, რომ „სიტყვას სძენს ლირიზმს ბიბლიის პატეტიკა, ძველქართული ინტონაცია“. მან პრინციპულად უარყო პროვინციალიზმი, მაგრამ საჭიროდ მიიჩნია კუთხური სიტყვების ათვისება — განსაკუთრებით მეგრულისა და თავისი მოსაზრებების დასაცავად გაზრდა „საქართველოში“ ზედიზედ ორი წერილი გამოაქვეყნა ერთი და იმავე სათაურით: „ქართულის გარშემო.“ ორივე მხარემ მოიხმო ზღვა მასალა: სასულიერო და საერო მწერლობა — ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, წმიდა წერილი, სულხან-საბას „სიტყვის კონა“, თანამედროვე მწერლობა და ლექსიკონები. ყველაზე ძლიერი, არგუმენტირებული, დამაჯერებელი და დასაბუთებული გრიშაშვილის ბოლო, ორნაწილიანი წერილი იყო: „სალომე-რობაქიძის გარშემო“, ერთ-ერთ ძველი ხელნაწერიდან ამოღებული ეპიგრაფით: „ვინც დაბადებიდან ოცი წლის ლამაზი არ არის, ოცდაათისა — ღონიერი, ორმოცისა — გო-

ნიერი, ორმოცდა ათისა — მდიდარი, და სამოცისა — ღვთისმოყვარე: მისთვის ყოველი იმედი ამაოა!“ გრიშაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გამომჟღავნა უტყუარი ინტუიცია, ქართული ენის ღრმა ცოდნა, ჩინებული ერუდიცია, მოიშველია დამაჯერებელი ტონი. გრიშაშვილის რვეული აქ მთავრდება. როგორც მინაწერიდან ჩანს, „გრ. რობაქიძის პასუხი არ ყოფილა“.

ჩვენი საუკუნის შემდეგ მსაჯულის როლს ვერ ვიკისრებთ, მაგრამ, როგორც ობიექტური დამკვირვებელი, ვფიქრობთ, რომ სიმართლე გრიშაშვილის მხარეს იყო (პაოლო იაშვილის „სალომეას“ თარგმანი დღესაც საუკეთესოდაა მიჩნეული). ათასი ბოდიში გრიგოლ რობაქიძის სახელისა და გენის ნინაშე, მაგრამ ამის თქმის უფლებას გვაძლევს საუკუნის გადასახედიდან უცხო თვალით წაკითხული „სალომეას“ თარგმანი, რომელმიც დღესაც იმავეხარვეზებს ხეხდავთ, როგორსაც მაშინდელი მკითხველი. ერთადერთხელ რობაქიძის ქართული „რიტმიულად“ არ გაიშალა, არადა „გრიგოლ რობაქიძე ერთი იმ იშვიათი მწერალთაგანია, რომლის თეორიული მაქსიმები უკლებლივ არის გადატანილი მის შემოქმედებით პარაქტიკაში“ (რობაქიძე 2004: 37). ეს განსაკუთრებით ითქმის სონეტზე. დღეს, შეიძლება, თამამად ითქვას, რომ მთელი ქართული „სონეტიანა“ გრიგოლ რობაქიძისაგან გამოვიდა, ამ „ძველთა-ძველი დასავლეთელისაგან“, როგორც თავად უწოდებდა თავის თავს.

გრიგოლ რობაქიძის სონეტებს საუკეთესო გამოკვლევები უძღვნეს აკაკი ხინთიბიძემ — „გრიგოლ რობაქიძის სონეტები“ და თამარ ბარბაქაძემ — „შენს სონეტებში გადარევა შეკრული როკავს“ (რობაქიძე 2004). ქართული სონეტის მკვლევართა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თამარ ბარბაქაძის სქელტანიანი ნაშრომი „სონეტი საქართველოში“ (ბარბაქაძე 2008). მეცნიერი ვრცლად მომოიხილავს სონეტის ისტორიას და თეორიას, სონეტს და ქართულ სინამდვილეს, სონეტის გენეზის საქართველოში და აკეთებს ქართული სონეტის საუკუნოვან ანალიზს — იოსებ გრიშაშვილიდან ლადო სეიდიშვილამდე — დღემდე. წიგნში სონეტთა კლასიფიკაცია და ანალიზი იოსებ გრიშაშვილის სონეტებით იწყება, შემდეგ ალექსანდრე აბაშელისა და გრიგოლ რობაქიძის სონეტები, რომელთაც სამართლიანად მოსდევს „პოლემიკა სონეტის გარშემო“. ნაშრომში იმდენად დაწვრილებით, საქმის ღრმა ცოდნითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა ეს საკითხი განხილული, ჩვენ მოკლედ მხოლოდ გრიშაშვილისა და „ცისფერყანელთა“ კამათს შევეხებით.

როგორც „სალომეას“ შემთხვევაში, კამათის მიზეზი ისევ გრიშაშვილის შენიშვნა გამხდარა. 1918 წელს გამოვიდა გრიშაშვილის

მონოგრაფია „საიათნოვა“, რომლის სქოლიოში ავტორი შენიშვნავდა: „ჩვენში პირველად 1909 წელს სწორი სონეტები შემოიტანა პეტრარკას სონეტების ზეგავლენით პოეტმა კ. მაყაშვილმა (1909 წ. „ჩანგი“, გვ.361), შემდეგ გ. გობეჩიამ (1910, „სახალხო გაზეთი“, დამატება, № 21), შემდეგ მეც და შანშიაშვილმაც დავწერეთ ასეთი სონეტები“ (გრიშაშვილი 1918: 68. სქოლიო). აკაკი ხინთიბიძის ვერსიით, ერთ საღამოზე რობაქიძემ წაიკითხა თავისი „სონეტი“ და „წამდილი სონეტის შემოტანა საქართველოში ცისფერყანწელთა მოვლენებს დაუკავშირა და ამას მოჰყვა გრიშაშვილის ვრცელი სქოლიო (რობაქიძე 2004: 38):

ოპონენტები „საქართველოსა“ და „სახალხო საქმის“ ფურცლებიდან ეპაექრებოდნენ ერთმანეთს: „ვინ შემოიტანა სონეტი საქართველოში? როგორ ლექსს შეიძლება ვუწოდოთ სონეტი? როგორი უნდა იყოს ქართული ლექსის მეტრი და რითმა? შეიძლება თუ არა სონეტის სპეციფიკური ნიშნების შეცვლა?... (ბარბაქაძე 2011: 125-126).

თუ პირველობაზე მიდგებოდა საქმე, ბოლოს და ბოლოს, ქრონოლოგია გაარკვევდა, ვინ როდის რა დაწერა. მაგრამ ასე უბრალოდ არ იდგა საკითხი — მთავარი ამ მყარი, ჰერმეტიული სალექსო ფორმის კანონიკის დაცვა იყო. სონეტისათვის აუცილებელი „გარე მხარისა“ და „შინა მხარის“ ერთიანობა — გრიგოლ რობაქიძის დაკანონებული ნორმაა, რომლის დაცვას მოითხოვდა ყოველი სონეტისათვისაგან. თავად კი ამ სფეროში, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს. 20-იანი წლების დასაწყისში „ცისფერყანწელებს“ ქართული პოეზიის ბატონ-ბატორონად მიაჩნდათ თავი. მათ, სამწუხაროდ, პოეზიის სანაგვეზე გადაუძახეს, „შვიდ სტრიქონიანი „სონეტები, „შანსონეტური ეროტიკა, ყარაჩოლული უზრდელობა, გაკრეტინებული „მიმართულებების“ პოეზია“... („შვილდოსანი“ 1920: 207). ძნელი მისახვედრი არ არის, ვის გულისხმობდა ტიციანი ასეთ პოეტებში. გრიგოლ რობაქიძის თქმით, როცა „აპოკალიპსის ეპილეფსია“ ევროპასა და რუსეთს მოედვა, ქართული პოეზია ამ დროს უნიჭო პოეტების არენა იყო. „არ არის საჭირო ამ ხალხის გვარების გახსენება, მათ თანდათანობით მოვიწყებას პოეზიის პრესტიჟის დაცვა მოითხოვს... და სწორედ ამ კრიზისის დროს გამოვიდა „ცისფერი ყანწები“ („შვილდოსანი“ 1920: 207).

ტიციან ტაბიძემ „დაისრულ სებასტიანეში“ სამად სამ პოეტს არგუნა დაფინის გვირგვინი: გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაშვილსა და ვალერიან გაფრინდაშვილს: „სხვა დროს სხვა მწერალმა სამი ტომი მაინც უნდა დაწეროს თვითეულ მათგანზე — ქართული პოეზიის ისტორიაც აქედან დაიწყება“ („შვილდოსანი“ 1920: 207). მარ-

თალია, „ცისფერმა ყანწებმა“ ამოავსო წარსულის ცარიელი ხრამი, მაგრამ კრიზისი მაინც გრძელდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ „ცისფერყანწებმა“ თავისებურად გაიაზრეს სონეტის ფორმა და მას უნივერსალური სიმბოლოს როლი მიანიჭეს: „ვისაც არ შესწევს ძალა, მან არ უნდა ჩაიცვას სონეტის რეინის პერანგი, უსათუოდ ამ სიმძიმის ქვეშ ჩაიკეცება. არც ერთი ფორმა არ მოითხოვს იმისთანა ჰარმონიას, — შინაარსთან, როგორც სონეტი“ (ლიტერატურული ჟურნალები 2011ბ: 18-20).

„პოეტი-სიმბოლო“ — ამგვარად გააზრებული ლექსი გულისხმობს სფერიფიურ შინაარსს, ისეთი თემის დამუშავებას, სიმბოლისტური პოეზიისათვის რომ იქნებოდა დამახასიათებელი (ბარბაქაძე 2011: 127). ამ კრიტერიუმს, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა „მოდერნისტებამდე დაწერილი სონეტები“, მათ შორის, ვერც გრიშაშვილისა — შინაარსით, ფორმით, რითმით, რიტმით, სტროფიკით... გრიშაშვილს მიაჩნდა, რომ „სონეტი, უნინარეს ყოვლისა, ლექსის ფორმაა, ამიტომ მასში გამოხატული გრძნობაც, ყველა პოეტის მიერ დაახლოებით დაცულია“, მაგრამ საპირისპირო დაუმტკიცა გრიგოლ რობაქიძემ და სამართლიანადაც. მან განიხილა შანშიაშვილის, მაყაშვილის, გობეჩიასა და გრიშაშვილის სონეტები და დაასკვნა: „... არც ერთი მათგანი არ შეიძლება სონეტად იქნეს მიღებული“ (რობაქიძე 1918: 214). სონეტის თეორეტიკოსები ასეთი მაქსიმალიზმითა და სიმკაცრით, ქართულ ლიტერატურულესთეტიკურ შესხედულებებთან ერთად (არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე), ევროპული და რუსული მოდერნიზმის თეორიას ავითარებდნენ და, ამდენად, სწორი იყო „ცისფერყანწელთა“ არჩევანი შინაარსისა და ფორმის თაობაზე. გრიშაშვილმა ყველაზე მეტი სონეტი 1917-1918 წლებში დაწერა (მათ შორის კოჭლი სონეტებიც). რამდენიმე, რითმისა და სტროფიკის მიხედვით, კანონიკურია, მაგრამ შინაარსი არ ერწყმის ფორმას. სონეტის გარშემო პოლემიკის დროს (1918) ქართულ პოეზიაში უამრავი სონეტი იყო დაწერილი, მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს თამარ ბარბაქაძე, „ნამდვილი, კლასიკური ნორმებით სრულყოფილი, აღბათ, მხოლოდ გრ. რობაქიძის მიერ დაწერილი რამდენიმე სონეტი იყო — „დიდი შუადლე“ და „ფრანგ პოეტს“ (ბარბაქაძე 2008: 125). იმავე მკვლევარის ცნობით, პაოლო იაშვილის სონეტები გამოირჩევა „ცისფერყანწელთა“ სონეტებისაგან თავისი კანონიკურობით, არცერთი სონეტი არ უხვევს დადგენილი ნორმებიდან (ბარბაქაძე 2008: 203).

მართალია, მომავალმა ვერ გაამართდა ვალერიან გაფრინდაშვილის გაბედული პარადოქსი, — „იტალიისა და საფრანგეთის შემდეგ სონეტის ბრნყინვალე ისტორიაში მესამე ადგილს დაიჭერს

საქართველო”, — მაგრამ XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქართულ პოეზიაში ნამდვილად შეიქმნა „უნაკლო სონეტი — ახალი ქართული სონეტი” და ამაში, უდავოდ, დიდია გრიგოლ რობაქიძის — სონეტისტისა და ლექსის თეორეტიკოსის როლი.

დასასრულ, 1921 წელი — ტრაგიკული მიჯნა საქართველოს ისტორიაში, ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. გრიშაშვილი დიდხანს ვერ შეეგუა „გამარჯვებულ წითელ ჩექმას“ და, გამსახურდიასა და აბაშელთან ერთად, ყველაზე შეურიგებელი ნაციონალისტი აღმოჩნდა. 1921 წელს გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ გაილაშქრა კონსტანტინე გამსახურდიამ. მიზეზი: მათი ეროვნული უპრინციპობა, მისალმება ბოლშევიკებისადმი, ესთეტიკური დეკადენტობა, „წითელ რუსეთთან დაძმობილება“, ეპიონობა. შულობი განახლდა და ტიციანმა ისე დაკარგა წონასწორობა გრიშაშვილს უწოდა „ხარფუხელი ჰოტენტოტი“, „ხარფუხელი სომები იოსება მამულოვი“. კონსტანტინე გამსახურდიამ უმართებულო თავდასხმებისაგან დაიცვა გრიშაშვილი. რობაქიძის მისამართით გულდაწყვეტილი წერდა: ვერ იქნა და ვერ იგრძნო ამ კაცმა ქართული წიადაგიო (სიგუა 2002:143). მოდერნისტულ ბანაქში კონფლიქტი მაშინ დასრულდა, როცა საქართველოში „სამუშავების ქროლა დაიწყო“ — გამოჩნდნენ მათი საერთო მტრები — „რაპპელები“ — ბოლშევიზმის რუპორები და ლიტერატურული სოციალიზმის ტერორით დამამკვიდრებლები.

დამოცვებანი:

ასათიანი 1988: ასათიანი გ. საუკუნის პოეტები. თბ.: 1988.

ბარბაქაძე 2004: ბარბაქაძე თ. „ენს სონეტებში გადარევა შეკრული როკავს“. // გრიგოლ რობაქიძე. 13 სონეტი. თბ.: 2004.

ბარბაქაძე 2008: ბარბაქაძე თ. სონეტი საქართველოში. თბ.: 2008.

ბარბაქაძე 2011: ბარბაქაძე თ. ქართული ლექსმცოდნების ისტორია. თბ.: 2011.

გრიგორაშვილი 1986: გრიგორაშვილი ნ. პაოლო იაშვილის წერილები იოსებ გრიშაშვილისადმი. „მნათობი“, №10, 1986.

გრიშაშვილი 1911: გრიშაშვილი ი. ოცნების კოცნა. ტფ.: 1911.

გრიშაშვილი 1913: გრიშაშვილი ი. ბროლის ღიმილი. ტფ.: 1913.

გრიშაშვილი 1918: გრიშაშვილი ი. საიათნოვა. ტფ.: 1918.

ენუქიძე 2006: ენუქიძე ქ. ელენე დარიანის დღიურები — ავტორი და ლირიკული გმირი. თბ.: 2006.

იაშვილი 1976: იაშვილი პ. რჩეული. თბ.: 1976.

- კრებული... 1997:** კრებული ევროპა თუ აზია? თბ.: 1997.
- ლიტერატურული ჟურნალები 2011ა:** ლიტერატურული ჟურნალები 10-20-იანი წლები. პირველი წიგნი. თბ.: 2011.
- ლიტერატურული ჟურნალები 2011ბ:** ლიტერატურული ჟურნალები 10-20-იანი წლები. მეორე წიგნი. თბ.: 2011.
- ნაცვლმვილი 2006:** ნაცვლიშვილი პ. წინასიტყვაობა. // იოსებ გრიშაშვილი. 100 ლექსი. თბ.: 2006.
- რობაქიძე 1918:** რობაქიძე გრ. სონეტი საქართველოში. გაზეთი „საქართველო“, № 214, 1918.
- რობაქიძე 2004:** რობაქიძე გრ. 13 სონეტი. თბ.: 2004.
- სიგუა 2002:** სიგუა ს. ქართული მოდერნიზმი. თბ.: 2002.
- ხელაია 1986:** ხელაია მ. 96 ესსე. თბ.: 1986.
- ხინთიბიძე 2000:** ხინთიბიძე ა. ქართული ლექსმცოდნეობა. თბ.: 2000.
- ხინთიბიძე 2004:** ხინთიბიძე ა. გრიგოლ რობაქიძის სონეტები. // გრიგოლ რობაქიძე. 13 სონეტი. თბ.: 2004.

სარჩევი

აკაკი ხინთიბიძე

გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები?! 3

ლალი ავალიანი

„ცისფერი ორდენი“ —
ნოვატორობა, ტრადიცია, ეკლექტიკა 16

თამარ ბარბაქაძე

„ცისფერყანწელთა“ მეტრიკა
(შალვა კარმელი) 55

ქეთევან ბეზარაშვილი, თამარ ლომიძე

გრიგოლ ლვის მეტყველის ციკლი
„ბოროტისა მიმართ“ და ნ. ბარათაშვილის
„სულო ბოროტო“: ქართული რომანტიზმის
ქრისტიანული წყაროები 64

ლევან ბრეგაძე

ტიციან ტაბიძის დადაისტური მადრიგალები 76

მანანა გელაშვილი

„მშვენიერი თვალები პირბადის მიღმა“
სიმბოლოს გაეგბისათვის სიმბოლისტურ პოეზიაში 84

ნინო ვოვიაშვილი

ერთი ლექსის ანალიზი
(შალვა კარმელის „მკვლელობა სონეტში“) 91

ქეთევან ელაშვილი

ცისა ფერის მხატვრული დიაპაზონი
„ცისფერყანწელებთან“
(ვალერიან გაფრინდაშვილი) 98

ქეთევან ენუქიძე

პაოლო იაშვილის თარგმანები 104

მურად მთვარელიძე

ნაზონის სევდის ანარეკლი
ტიციან ტაბიძის პოეზიაში 121

სოფიო მუჯირი	
გერმანული „ანტისასიყვარულო ლექსის“ ენობრივი და პოეტიკური მახასიათებლები.....	130
ზეინაბ სარია	
ვერლიბრი „ცისფერყანწელებთან“.....	140
შორენა ქურთიშვილი	
„ცისფერყანწელთა“ მეტრიკა ქართული პოეზის რეფორმაციის ხანაში (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი).....	151
ზოია ცხადაია	
ტიციან ტაბიძის მხატვრული აზროვნების ზოგიერთი თავისებურება.....	159
ბელა წიფურია	
„ცისფერი ყანწები“ და ავანგარდი.....	172
თამარელა წონორია	
სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმული ნიკოლო მიწიშვილი.....	184
მარიკა ჯიქია	
უურნალ „ცისფერი ყანწების“ პოეტურ თხზულებათა ანთროპონიმიული სივრცე.....	199
* * *	
ნიკა აგლაძე	
ლუდინგირას ელეგიების პოეტიკის ზოგიერთი საკითხი.....	204
ნუნუ ბალავაძე	
ტრიოლეტი „ცისფერყანწელებთან“.....	210
თამარ გელაშვილი	
მისტიური ქალის სახე დანტე გაბრიელ როსეტის შემოქმედებაში.....	218
ლანა გრძელიშვილი	
„ცისფერყანწელთა“ ავტოპორტრეტები.....	225

ქეთევან გრძელიძე	
უილიამ ბატლერ იეიტსი —	
ხანშემცირებული პოეტის ხილვა.....	235
თამთა კალატოზიშვილი	
ნიკოლო მიწიშვილი —	
ჯვარზე პოეზიით „დალურსმნული პოეტი“	241
გუბაზ ლეთოდიანი	
ქართული ვერლიბრი 1920-იან წლებში.....	248
სალომე ლომოური	
მწირის სახე ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში.....	255
მარიამ ნოზაძე	
ოსკარ უაილდის იმპრესიონისტული	
ლექსების სიმბოლიკა.....	266
თამარ ცინცაძე	
იოსებ გრიშაშვილი და ცისფერყანწელები.....	277